

შოთა რუსთველი

# ჟურნალ-ტელევიზიონი

ტექსტი აღდგენილი

მიხეილ წერეთლის

მიხრ.

პარიზი 1977

მხიბვრელი  
საქართველო  
საბავშვო  
ლიტერატურა

შოთა რუსთველი


# ვეფხისტყაოსანი

ბეჭდის ალბომი

მიხეილ წერეთლის

მხატვარი

თბილისი 1977



შოთა რუსთველი

Chota ROUSTVELI  
(XII<sup>e</sup> siècle)

**Le Chevalier à la peau de tigre**

Texte restitué

par

**Mikheïl TSERETELI**

Edité par Nino SALIA

8, rue Berlioz, 75116 Paris

## ზ ა მ ო მ ც ე მ ლ ი ს ა ზ ა ნ .

მიხეილ წერეთლის მიერ კრიტიკულად დამუშავებული და აღდგენილი ტექსტი ვეფხის-ტყაოსნისა, გაწმენდილი ჩანართებიდან, მისი დაბადებიდან 80 წლის შესრულების გამო შექმნილი საიუბილეო კომიტეტის მიერ შეგროვილი თანხით \*) გამოცემულ იქმნა 1962 წელს.

ვინაიდან ჩვენ გადავწყვიტეთ ხელმეორედ დავებეჭდოთ ეს ტექსტი მისი ძეგორე ნაწილის, ჩანართთა დამატებით, საჭიროთ მიგვაჩნია ქართულ საზოგადოებას მივცეთ შემდეგი განმარტება: ტექნიკური პირობები დაბეჭდვისა იმ დროს უაღრესად მძიმე იყო, დავით ხელაძე, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართულ ბეჭდვით საქმეს უცხოეთში, ცოცხალი აღარ იყო. ლევილის ქართულმა სტამბამ ვერ იკისრა ამ შრომის გამოცემა. ისიღორე ქარსელაძე, ავადმყოფობის გამო, მხოლოდ აწყობაზე დასთანხმდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ასოები მარტო რვა გვერდის აწყობას ყოფნიდა; ასე რომ ყოველი რვა გვერდის დაბეჭდვა საჭიროებდა ოთხჯერ მეზავრობას პარიზსა და ლევილს შუა. პარიზში არც ერთ სტამბას არ აინტერესებდა ასეთი პატარა სამუშაო და ვინც დასთანხმდა, წელიწად-ნახევარი გვაწამა, სანამ წიგნი დაიბეჭდებოდა. გარდა ამისა ბევრი ასო გაცვეთილი გამოდგა და დაგვიჭირდა ხელით გასწორება ცუდათ გამოსული ასოებისა. ცხადია, ასეთ პირობებში გამოცემული

---

\*) საიუბილეო კომიტეტი დაარსებული პარიზში, „ბედი ქართლისას“ მიერ, შესდგებოდა შემდეგი პირებისაგან: ქ-ნი ოლა გეგეჭკორი, ნელი მდივანი, ლუბა აბღუშელი, ელ. დეკანოზი, პოლემტ კლდიაშვილი. კომიტეტის წარმომადგენლები იყვნენ: ალექსანდრე კორძია (გერმანია), ბიძინა ქუთათელაძე (ინგლისი), ირაკლი ოთხმეზური (ბელგია), მელიტონ ჟღენტი (საშო, საფრანგეთი), ალექსანდრე ჯინჭარაძე (ამერიკის შეერთებული შტატები) და აკაკი პაპაევა (არგენტინა). ხაზინადრის, ქ-ნ პოლემტ კლდიაშვილის მიერ გადმოცემული სია შემომწირველთა და სრული ანგარიში ინახება ჩვენთან, მიხეილ წერეთლის არქივში.

შრომა დამაკმაყოფილებელი ვერ იქნებოდა, და ჩვენი მუდმივი ოცნება მას შემდეგ იყო ორივე ნაწილი მიხილვად წერეთლის დიდი შრომისა (პირველი — აღდგენილი ტექსტი, ცუდად დაბეჭდილი, მეორე — ჩანართები, გამოუქვეყნებელი) ერთად, რიგიანად გამოგვეცა, რასაც ვასრულებთ დღეს.

მიხილვად წერეთელმა „ქაოთლის ცხოვრების“ ტექსტზე და „გვეფხის ტყაოსანზე“ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წინ დაიწყო მუშაობა, როდესაც იგი ბერლინის უნივერსიტეტში ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორი იყო. 1942 წელს, ბერლინიდან ქალაქ კვედლინბურგში გადასახლდა თავის მეგობრებთან და თან წაიღო მთელი ნაწერები, რაც კი ბერლინის დაბომბვას გადაურჩა. (იქ დაეღუპა მას დიდი ნაწილი სუპერული ნაწერებისა, რაც გადარჩა, ჩვენ გამოვაქვეყნეთ „ბედი ქართლისაში“: №№: 6—7, 10, გერმანულად). აქ მუშაობდა იგი შედარებით წყნარ პირობებში, თითქმის ომის ბოლომდე, ხოლო ამ ქალაქთან, ომის შთახლოების გამო, 1945 წელს, ექიმი გივი კობახიძე იქ რომ არ ყოფილიყო, დაეღუპებოდა მთელი ნამუშევარი. მან გადაიყვანა ქართველი ძეგლიერი საუნივერსიტეტო ქალაქ გოტინგენში და დიდი ნაწილი მისი ნაწერებისა და წიგნების, ტრანსპორტის უქონლობის გამო, თავისი ზურგით ატარა. ასე შეგვიწვინარჩუნა გ. კობახიძემ ეს განძი ქართული კულტურისა.

როგორც ვიცით, მიხილვად წერეთელი იყო არა მხოლოდ სახელგანთქმული ძეგლიერი, ცნობილი საქართველოში და უცხოეთში, არამედ პოლიტიკური მოღვაწეც; თავგამოდებული მებრძოლი მამულიშვილი; მთელი სიცოცხლის განმავლობაში არც ერთი შემთხვევა არ გაუშვია, რომ აქტიური მონაწილეობა არ მიეღო ქართველი ერის უფლებათა დაცვაში. პატივცემული ყველას მიერ, იგი დიდი მორალური ძალა იყო, ბრწყინვალე წარმომადგენელი ჩვენი ერის საუკეთესო მისწრაფებათა. ჩვენ ვფიქრობთ, არ იქნება ზედმეტი ორიოდ სიტყვით აღვნიშნოთ მისი როლი მეორე მსოფლიო ომის დროს, რომ ვინმემ ეს როლი ყალბად არ წარმოადგინოს.

ომის დაწყებისთანავე ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა სცადეს განმეორება პირველი ომის დროს მათ მიერ წარმოებული მუშაობისა გერმანიაში და მიხილვად წერეთელმა, სპირიდონ კედიამ, ზურაბ ავალიშვილმა და სხვებმა, ეროვნული კომიტეტიც შექმნეს, მაგრამ მან სულ ცოტა ხანი იარსება. — მუშაობის პირობები ახლა სულ სხვა აღმოჩნდა, ვიდრე ვილჰელმის გერმანიის დროს. ასევე უშედეგოდ დამთავრდა საქართველოს მეგობრის, გრაფ შულენბურგის ცდაც ირაკლი ბაგ-

რატიონის ხელმძღვანელობით, ქართული ეროვნული კომიტეტის შექმნისა. არც ნოე ჟორდანიას მიუცია არავისთვის პოლიტიკური, მანდატი გერმანიაში სამუშაოდ.


ამნაირად, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაში არ არსებულა არავითარი ქართული პოლიტიკური ხელმძღვანელობა. არც ერთ პასუხისმგებელ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს არ უთანამშრომლია და არც შეეძლო ეთანამშრომლა გერმანიის მაშინდელ მთავრობასთან, რომელსაც ლაპარაკიც არ სურდა ერების უფლებებზე. ეს არის ისტორიული სინამდვილე.

მიხეილ წერეთლის არქივში, რომელიც მისი ანდერძის ძალით ჩვენთან ინახება, კიდევ ბევრი სხვა ხელთნაწერია გამოსაქვეყნებელი, — მათ შორის ყველაზედ ძვირფასი, — ეს ქართული ენის გრამატიკაა გერმანულად, რომელიც ჯერ-ჯერობით არც ერთ ევროპიულ ენაზე არ არსებობს; სიტყვა-სიტყვით თარგმანი ახალ ქართულად „ე.ტ.“-ის ტექსტისა, აგრეთვე მის მიერ აღდგენილი ადგილები „ქართლის ცხოვრებისა“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (კომენტარიები დაიბეჭდა „ბედი ქართლისაში“ №№ 6, 7, 8, 9), და რომლის აღდგენილ ტექსტს დართული აქვს მიხეილ წერეთლის მიძღვნა თავის დისადმი :

„რომელმან შემინელე სიმწარე ობლობისა, მასწავე კითხვა და წერა ქართული, შთამინერგე გულს ღრმა სიყვარული და პატივი ქართული სიტყვისა, მამცნე სიდიადე და მახილვე სიტკბო „ვეფხისტყაოსნისა,“ და „ქართლის ცხოვრებისა“, შენს წმიდა ხსოვნას ვუძღენი „ისტორიათა და აზმათა“, შენი გრძნობით და აზრით რუსთველის მიერ ნათქვამთა, საყვარელო, ჩემთვის უდროოდ დაკარგულო დაო კონა“ († 1918).

**ნინო ხალია.**

პარიზი, 1977.



მიხეილ შაბეთაი

## წინა - სიტყვა.

ეს გამოცემა „ვ. ტ.“-ისა იგივე ცდა არის პოემის ტექსტის დადგენისა და აღდგენისა, რაგვარიც არის გამოცემა იუსტინე აბულაძისა და სხვათა, შეიძლება თვით ვახტანგისაც. უბრალო, მაგრამ დაკვირვებული მკითხველისათვისაც ცხადია, რომ ჩვენამდე მოხწეული კელთ-ნაწერები საესეა დანართებით, ჩანართებით და გადამწერელთა მიერ ნაქმნარი შეცდომებით და ცუდად აღდგენილი ტაეებით.

ჩემი კრიტიკა „ვ. ტ.“-ის ტექსტისა ბევრს რასაკვირველია გადაჭარბებულად მოეჩვენება, — აუარებელ სტროფთა ჩანართად მიჩნევა, გაბედული შესწორებანი თვით ტექსტში, და სხვა, მაგრამ მე ვუკვირდებოდი სტროფთა ლექსის თვისებას, მოთხრობის მიმდინარეობას, კონტექსტს, და ვცანი ნამდვილ ტექსტად „ვ. ტ.“-ისა ის, რაც უეჭველად რუსთველის შემოქმედებად მიმაჩნია, ხოლო ზოგი შევნიერი სტროფებიც კი, რომელიც შეიძლება აგრეთვე რუსთველის მიერ იყოს შეთხზული, ხოლო საეჭვოდ მომეჩვენენ, ჩანართთა შორის მოვაქციე, ვითარცა მესხი მელექსის მიერ დაწერილი „ვ. ტ.“-ის შესავსებად. ვინც ურყეველ სიმტკიცეს მოუბოვებს ამ სტროფთა რუსთველისობას, ის მას კვლავ დაუბრუნებს „ვ. ტ.“-ის ტექსტს, ხოლო ცდა ჩანართთა გამოყოფისა ტექსტიდან მხოლოდ ცდად უნდა დარჩეს, — ერთ წინადადებად მკვლევართათვის. — აგრეთვე ჩემი შესწორებანი თვით ტექსტის ტაეებში შეტანილნი შეიძლება არც ისე გაბედულად მოეჩვენოს მკითხველს, თუ დაუკვირდება კონტექსტს, ძველ რედაქტორთაგან მრავალ ცუდად აღდგენილ წარყვნილ ადგილს, მათგანვე შესწორებულ სიტყვებს ჩანართთა შესაწყობად ნამდვილ სტროფებთან და სხვა, და ეს ცდაც ჩემი ტექსტის ადგილთა შესწორებისა აგრეთვე ერთი წინადადებაა მკვლევართათვის. — ასეთი ცდები სხვაც იქმნება, ხოლო უკეთესს მოველით ჩვენ მეცნიერთაგან საქართველოში. მათ კელთ აქვსთ ყველა კელთ-ნაწერი „ვ. ტ.“-ისა და შეუძლიათ

მათი შესწავლის შემდეგ უკეთესად დადგენა და აღდგენა ტექსტისა. ჩემს განკარგულებაში კი იყო მხოლოდ ი. აბულაძის, პ. ინგოროყვას და სხვ. მიერ აღნიშნული ვარიანტები, თუმცა უმეტესად უკეთეს კელთ-ნაწერთაგან. ხოლო ჩემ მიერ ვერსარგებლობისათვის საქართველოში მყოფ კელთ-ნაწერთა საყვედური არ მეთქმის: რასაც კელი არ მიმიწვდებოდა მით ვერ ვისარგებლებდი.

დასაბუთებას ტექსტის შესწორებათა და დანართთა და ჩანართთა განდევნისა აქ ვერ ვბეჭდავთ ნივთიერი დაბრკოლების გამო. თუ რაოდენად სწორნი არიან ტექსტის შესწორებანი, ამას მკითხველი თვით განსჯის კრიტიკული აპპარატის განხილვის დროს, აგრეთვე თვით იგრძნობს, განსაღვენი იყო თუ არა ესე თუ ის ჩანართი, ან დანართი, რომელთაგან მრავალი უკვე განდევნილი იყო სხვა გამომცემელთაგან. ერთი ნაწილი „ვ. ტ“-ის ტექსტის კრიტიკისა დაბეჭდილი იყო „ბედი ქართლისა“-ში №№ 12, 13, 14, 15 და 16. და იგივე შრომა, ოდნავ გადაკეთებული, და აგრეთვე მეორე ნაწილი („ჩანართთათვის“) დაბეჭდება, როდესაც ამის საშუალება მოგვეცემა.

თავებად და თავების ნაკვეთებად დაყოფა ტექსტისა ჩვენ გამოცემაში შინაარსის მიხედვით არის ქმნილი (რვა „კარი“, ნაკვეთების აღნიშვნით და არა კელთ-ნაწერთა მიხედვით: „აქა ამბავი“ და სხვა, „აქა წიგნი“ და სხვა). ეს ძველი სათაურები რასაკვირველია რუსთველს აოგუფუნისა არამედ მის შემდეგ, გვიანდელ საუკუნეებში „ვ. ტ“-ის გამომცემელთაგან არის შეთხზული.

ტექსტი ჩემი გამოცემისა ახალი მართლ-წერით იბეჭდება ერთი გამოცემისათვის: „ხ“-ს მაგიერად ვხმარობ „კ“-ს, სადაც ეს მართებულია, რათგანაც „კ“-ს ვმარებამ „ხ“-ს ნაცვლად და „ხ“-ს ხმარებამ „კ“-ს ნაცვლად ბევრი გაუგებრობა გამოიწვია: მაგ. „მე, რუსთველი კელობითა (ასეა ნაგულისხმევი იმ გამოცემებში, რომლებშიც „ხელობითა“ არის დაბეჭდილი), ვიქმ საქმესა ამა დარი“, (ანუ „ამადარი“) უნდა ნიშნავდეს თითქოს: „მე, კელობით რუსთველი ე. ი. თანამდებობით რუსთველი, გამეგ, საკელოდ მქონებელი რუსთავისა: (იხ. ა. შანიძის ლექსიკონი. „ვ. ტ.“ 1957) „ვიქმ საქმესა ამა დარი“. ხოლო რა საქმეს იქმს? ან რას ნიშნავს ამადარი? რაც ამ „ამადარ“-ზედ უცნაურობა დაწერილა, ცნობილია. „კელობით რუსთველიც“ მიუღებელია — არა-ჩვეულებრივი გამოთქმა და, რაც უფრო უფრად-საღებია, არავითარი აზრიც არ აქვს ტაეპს და შეუთანხმებელია კონტექსტთან. ხოლო ვიტყვი რა: „მე

რუსთველი, კელობითა“ და აღვადგენთ რა ყოვლად მიუღებელ „ვიქმ საქმესა ამა დარი, თუ ამადარი,“ მივიღებთ ტაეპს: „მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამას მცდარი,“ ესე იგი, „მე რუსთველი, გონება დაკარგულობით მცდარი ვიქმ ამ საქმეს“: ე. ი. „ვ. ტ.“-ის ლექსად გარდათქმას და მიძღვნას ღმრთისმიერი სახის მქონე მეფისადმი, ვისთვისაც პოეტი „ხელობს და სხ. . . ეს კი სრულიად ეთანხმება კონტექსტს, მთელ შინაარსს „მიძღვნისა“. — იუსტინე აბულაძის გამოცემის 241,3 დაბეჭდილია: „მეფე არ დაჯდა, არა სჭირს ხელისა მიუმცდარობა“ (ტარიელის მამას სარიდანს). „მიუმცდარობა“ ი. აბულაძეს ლექსიკონში სწორად აქვს განმარტებული: „უტომელობა“, მაგრამ იქვე ამ სიტყვას განმარტავს: „გამოუცდებლობა“, „სიბრძნე“(!), და „ხელისა მიუმცდარობა=სირვევნი“(!). ასეთს რამეს რუსთველი არ დაწერდა და არც დაუწერია. სიტყვას „სჭირს“ აქ არ აქვს მნიშვნელობა „სჭირს“=„აქვს, „დამართებული აქვს“, „შეპყრია“ და სხვა, არამედ „უჭირს“, „უმძიმს“, „ემძნელება“ და სხვა, და „ხელისა“ კი არ უნდა წაევიკითხოთ, არამედ „კელისა“. აგრეთვე ტექსტში იქმნებოდა არა „მეფე რა დაჯდა“, არამედ (სარიდანი) „მეფედ-ლა დაჯდა“ (ფარსადანის მიერ შეწყალებისა, საკარგყმოს მიღების შემდეგ). ამგვარად ჩვენ გვაქვს სწორად აღდგენილი ტაეპი: (სარიდანი) „მეფედ-ლა დაჯდა, არა სჭირს კელისა მიუმცდარობა“=„ისევე მეფედ დაჯდა (როგორც იყო დამოუკიდებლობისას), (მას) არ ეძნელება თანამდებობის შეუტომლად აღსრულება“ (და არა „გიეის სირვევნი არ სჭირდა“!). — არც ახალ ქართულ მართლ-წერას აწყენდა უმართებულოდ განდევნილი „კ“-ს ისევე შემოღება, და ერთობ გაუგებარია, თუ რად განდევნეს ქართული ანბანიდან სხვა ძველი ასოებიც. მართლსაჩინოდ ჩვენ „ლიბერალებს“ ასეთი რამ დიდ „განახლებად“ მიაჩნდათ..

ზოგი ჩემი შესწორება ტექსტში და ზოგ ჩანართთა განდევნა ტექსტიდან სრულიად ეთანხმება სხვა გამომცემელთა და მკვლევართა კრიტიკას. ეს აღნიშნული მაქვს კრიტიკულ აპპარატში. და მიუხედავად იმისა რომ ჩემი კრიტიკა მათგან სრულიად დამოუკიდებელი იყო, პრიორიტეტი რასაკვირველია მათ ეკუთვნის, რათგან მათი შრომები ჩემ გამოცემაზედ უფრო ადრეა გამოქვეყნებული. ხოლო შეიძლება იყვნენ კიდე სხვა იგვევობანი ჩემ და სხვათა მიერ ტექსტის დადგენისას, და თუ იგინი არ აღმინიშნავს, ეს მხოლოდ იმიტომ რომ მათ შრომებს ვერ ვიტყვით.

ძველი ქართულისა და კერძოდ რუსთველის ენის გაგება უბრალო მკითხველისათვის ძნელია. ამიტომ, რათა მათთვის გამეადვილებია „ვ. ტ“-ის ტექსტის კითხვა და მიხვედრა, დამზადებული მაქვს სიტყვა-სიტყვით თარგმანი ტექსტისა ახალ ქართულად, — აგრეთვე სიტყვა-სიტყვით გერმანული თარგმანი მისი რომ უცხო მთარგმნელმა „ვ.ტ.“-სა ნამდვილი ტექსტი თარგმნოს მხატვრულად, და არა აღუდგენელი და სავსე დანართ-ჩანართებითა, ვინაითგან უკრიტიკოდ გამოცემული ტექსტის თარგმანი სწორ წარმოდგენას რუსთველზედ ვერ მისცემს უცხო მკითხველს. — უკეთეს პირობებში ეს ორივე თარგმანიც გამოიცემა.\*)

მ. წერეთელი.

მვნხნი, 1960.

\*) გერმანული თარგმანი უკვე გამოიცა ჩვენ მიერ. ნ. ს.

## I. უემოკლესანი

ველთ-ნაწერები:

- A — ქ. შ. წ.-ჯ. გამ. საზ. მუზ. № 5006. მე-XVII საუკ.
- B — იქვე № 4988. მე-XVII საუკ.
- C — საქ. საისტ.-საეთნ. საზ. მუზ. № 757. 1671 წ.
- D — იქვე № 54. 1680 წ.
- E — საზ. უნივ., ყოფილი საქ. საეკლ. მუზ. № 363. მე-XVI საუკ.
- F — საქ. საისტ.-საეთნ. საზ. მუზ. № 599. 1646 წ.
- G — ქ. შ. წ.-ჯ. გამ. საზ. მუზ. № 2829. 1688 წ.
- H — საქ. საისტ.-საეთნ. საზ. მუზ. № 1117. მე-XVII საუკ.
- I — ქ. შ. წ.-ჯ. გამ. საზ. მუზ. № 4499. მე-XVII საუკ.
- K — საქ. საისტ.-საეთნ. საზ. მუზ. № 461. მე-XVII საუკ.
- L — იქვე (მოსკოვის ვარიანტი) № 2074. მე-XVI საუკ.

II. დაბეჭდილი გამოცემანი:

- აბ — ი. აბულაძე, ვ. ტ., თბილისი 1914 და 1926 წ.
- კაკ<sup>1</sup> — ს. კაკაბაძე, ვ. ტ., პირველი გამოცემა, თბილისი 1913 წ.
- კაკ<sup>2</sup> — ს. კაკაბაძე, ვ. ტ., მეორე გამოცემა, თბილისი 1927 წ.
- უგ — ვ. ტ., საქ. საზ. უნივ გამოცემა, თბილისი 1937 წ., 1951 წ. და 1957 წ.
- ჭიჭ — კ. ჭიჭინაძე, ვ. ტ., თბილისი 1934 წ.
- ვახტ — ბატონიშვილი ვახტანგ, ვ. ტ., თბილისი 1712 წ.
- ინგ — პ. ინგოროვა, ვეფხის ტყაოსანი, თბილისი 1953 წ.

III. სხვა შემოკლებანი.

დგ — დაბეჭდილი გამოცემანი.

- ინგ. რუსთვ. — პ. ინგოროვა, Rustweliana I, თბილისი 1926 წ.
- შ — ა. შანიძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბილისი 1935 წ.;
- «ვ. ტ.»-ის ტექსტის შესწორებანი, «მნათობი» № 7, 1956 წ.
- ბნ — ბელთ-ნაწერები.

## მ ი ძ ლ ვ ნ ა.

- 1 რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
ზეგარდმო არსნი სულითა ყენა, ზეცით მონაბერითა,  
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი - ფერითა, —  
მისგან არს ყოვლი კელმწიფე სახითა მის-მიერითა. —
- 2 მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამას<sup>1</sup> მცდარი<sup>1</sup>: —  
ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი!  
დაუძლიურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,  
ანუ მომცა<sup>2</sup> განკურნება, ანუ მიწა მესამარი!<sup>3</sup> —
- 3 ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარგალიტი ობოლი კელით<sup>4</sup> კელს<sup>4</sup> საგოგმანები,  
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საქოჴმანები:  
ჩემსა<sup>5</sup> ხელ-მქმნელსა<sup>6</sup> შეემართო<sup>6</sup>, ლაღსა მას, კვლაც აზმანები?<sup>7</sup>
- 4 კამს მელექსე ნაჭირეებსა თვისსა ცუდად არ აბრკვობდეს!  
ერთი უჩნდეს სამიჯნუროდ,<sup>8</sup> ერთსა ვისმე აშოკობდეს, —  
ყოვლსა მისთვის კელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს.  
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის<sup>9</sup> ენა<sup>9</sup> მუსიკობდეს!
- 5 ჩემი აწ სცანით ყოველმა, — მას ვაქებ ვინცა მიქია!<sup>10</sup>  
ესე მიჩნს მისად<sup>11</sup> სახელად, არ თუ-რე<sup>12</sup> გამიქიქია!  
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია,  
ვისი<sup>13</sup> სახელი შეფარვით<sup>14</sup> ქვემორვე<sup>15</sup> მითქვამს, იქია<sup>16</sup>.

1. აბ VIII, 1 ამაღ არი; ჴიჴ 8,1 და უგ 8,1 ამა დარი; კაკ<sup>1</sup> 2,1 ამაღარი.  
2. ენ და დგ მომცეს. 3. ასე ჩუბ; სხვა ენ და დგ მე სამარი.—მესამარი < მესა-  
მარის. 4. ენ და დგ ელის-ელ. 5. G მისმან ხელ-მქმნელმან; სხვა ენ და დგ ჩემ-  
მან ხელ-მქმნელმან. 6. C დავმართო; სხვა ენ და დგ დამ(მ)ართოს. 7. კაკ<sup>1</sup> 3,4  
ლაღმან და ლამაზმან ები(!); სხვა ენ და დგ ლაღმან და ლამაზმა ნები. 8. ენ და  
დგ სამიჯნურო. 9. კაკ<sup>1</sup> 12,4 ყველას მისთვის. 10. ინგ რუსთვ. I, გვ. 109,1 (მარ-  
რის მიხედვით) ვინ ცამ იქია. 11. ენ და დგ დიდად. 12. ინგ რუსთვ. I, გვ.  
109,1 დამე (!?); სხვა ენ და დგ თავი. 13. ენ და დგ მისი. 14. ასე C, D, G და H;  
სხვა ენ და დგ შეფრქვევით. 15. ასე G; სხვა ენ და დგ ქვემორე. 16. ენ და დგ  
მიქია.

კ ა რ ი კ ი რ ვ ე ლ ი

ამგავი როსტევან არაბთა მფვისა, თინათინ მფვის

ასულისა და ავთანდილ სპასპეტიისა

თინათინის გამეფება.—როსტევან მეფის დაღრეჯილობა ნადიმ-ზედ,—მას ღირსეული მემკვიდრე ვაჟი არ რჩება!—მეფის და ავთანდილის ნაძღვევი და ნადირობა.—ნახვა ვეფხის-ტყავოსნისა და ცდა მისი შეპყრობისა.—უკვალოდ წარკდომა ვეფხის-ტყავოსნისა, ძებნა და ვერ-პოვნა მისი.—თინათინის მიერ მისი მიჯნურთა ავთანდილის გაგზავნა პოვნად ვეფხის-ტყავოსნისა და ავთანდილის წასვლა.

K 38.453  
409R

- 1 იყო არაბეთს როსტევან მეფე, ღმრთისაგან სვიანი, მალალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებიანი, თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბნარი წყლიანი.
- 2 სხვა ძე არ ესეა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ<sup>1</sup> ასული, სოფლისა მნათი მნათობი, მზეთაცა<sup>2</sup> დასთა დასული<sup>3</sup>. მან მისთა მკერეტთა წაულის გული, გონება და სული! — ბრძენი გამს მისად<sup>4</sup> მაქებრად<sup>4</sup> და ენა ბევრად ასული!<sup>5</sup>
- 3 მისი სახელი თინათინ, — არს ესე საცოდნარია. რა გაიზარდა, გაიესო, — მზე მისგან საწუნარია, — მეფემან იკმა<sup>6</sup> ვაზირნი, — თვით ზის ლალი და წყნარია, — გვერცა<sup>7</sup> დაისხნა, დაუწყო მათ ამოდ<sup>8</sup> საუბნარია.<sup>9</sup>

1. ასე ინგ 33.1; სხვა დგ და კნ მარტო. 2. ინგ რუსთვ. გვ. III ზეცისა; სხვა კნ და დგ მზისაცა. 3. დასული=მოდასე, დასისაგანი. 4. F და G მისდა საქებრად (შეად. კაკ<sup>1</sup> 27.4). 5. ასული < ასეული. 6. კნ და დგ ხშირად უკმნა. 7. გვერცა < გვერდსა. 8. კნ და დგ ამო. 9. F და G საუბარია (შეად. უიკ<sup>2</sup> 36.4).

- 4 უბრაბანა: „გკითხავთ საქმესა ერთგან სასაუბნაროსა:  
რა ვარდმა მისი ყვაილი გააკმოს დაამქნაროს:  
იგი წაეა<sup>1</sup> და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა. —  
მზე ჩაგვისვენდა, — ბნელსა ვსჭკერეთ ღამეს<sup>2</sup> არ<sup>2</sup> უთენაროსა<sup>3</sup>, —
- 5 მე გარდასრულვარ<sup>4</sup>, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია. —  
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, — სოფელი ასრე მქმნელია. —  
რალა იგი სინათლე,<sup>5</sup> რასაცა ახლავს ბნელია! —  
ჩემი ძე<sup>6</sup> დავსვით კელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია.“
- 6 ვაზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ბრძანეთ თქვენი ბერობა!  
ვარდი თუ გაკმეს, ეგრეცა გემართებს რაზომცა<sup>7</sup> ჯერობა, —  
მისივე ჰმეტობს ყვაილთა<sup>8</sup> სული და ტურფა-ფერობა,—  
მთვარესა მცხრალსა ვარსკლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა! —
- 7 მაგას ნუ ბრძანებთ. მეფეო, ჯერ ვარდი არ დაგჭნობია!  
თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია. —  
კმდა<sup>9</sup> განაღამცა<sup>10</sup> სათქმელად<sup>11</sup> რაცა თქვენ გულსა გლმობია:  
სჯობს და — მას მიეც მეფობა ვისგან მზე შენაფლობია.
- 8 თუცა ქალია, კელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია.  
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენთ გვითქვამს კვლა დია.  
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია. —  
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. —

1. C და G წარკლების (შეად. კაკ<sup>1</sup> 29,3). 2. ან და დგ ღამესა. 3. ასე აბ 3,4; K მომთნაროსა; ინგ რუსთვ. გვ. 67 უმთენაროსა; ვახტ. და სხვა დგ ჩვენ უმთვაროსა (?). 4. F გარდავსულვარ; C, G და K გარდასულვარ. 5. C სიცოცხლე. 6. C, F და G მზე. 7. C და D აზომცა. 8. ასე K (შეად. ინგ რუსთვ. გვ. 68); სხვა ან და დგ ყოველსა. 9. ასე C, G, I და ვახტ. (შეად. კაკ<sup>1</sup> 32,3); F და D აამს (შეად. აბ 7,3; ჭიჭ 40,3; უგ 38,3). 10. ვარ. გაღანამცა. 11. C, D, F, G და I საქნელად (შეად. აბ 7,3; ჭიჭ 40,3; უგ 38,3).

- 9 ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა, საროსა მჯღობნი<sup>1</sup> ნაზარდი, მსგავსი<sup>2</sup> მზისა და მთვარისა, ჯგროთ<sup>3</sup> უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა, მას თინათინის შეენება ჰკლვიდის წამწამთა ჯარისა.
- 10 გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად. რა მოჰპოვრდის, ვერ-მჭკრეტელმან ვარდი შექმნის ფერ-ნაკლულად. ნახის, კეცხლი<sup>5</sup> გაუახლდის, წყლული გაკდის უფრო წყლულად. საბრალოა, — სიყვარული კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად.
- 11 რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა, ავთანდილს მიჰხვდა სიაშე, ვსება სჭირს მას<sup>6</sup> აქ<sup>6</sup> ალისა<sup>6</sup>. თქვა: „ზედა-ზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა. ნუთუ მით<sup>7</sup> ვბოვო წამალი მე ჩემი, ფერ-გამჭრქალისა!“<sup>8</sup>
- 12 მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი<sup>9</sup> გამრავლდა<sup>10</sup> ხასისა, — ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა, ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა-დასისა. — მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს: „უთქმელია ფასისა!“
- 13 თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მის ნათელითა. დასეა და თავსა გვირგვინი დაადგა<sup>11</sup> თავის<sup>11</sup> კელითა, მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამსელითა. — ქალი მზეებრ<sup>12</sup> სჭვრეტს<sup>12</sup> ყოველთა ცნობითა ზე<sup>13</sup> ახენდველითა.

1. F მგზავსი. 2. F მჯღობი. 3. ასე ინგ 40,3; სხვა დგ გნ ჯერ. 4. ვარ. ჰკლა-  
ვდის, ჰკლევდის. 5. ასე ინგ 41,3; სხვა დგ და გნ ცეცხლნი. 6. ასე უიუ 44,2 და  
უგ 42,2; ვახტ., C და I მისოქალისა; D და A მისო ალისა; აბ 10,2 და კაკ<sup>1</sup> 36,2  
მი სოქალისა; ზოგი დგ მის სოქალისა, მის სოქ-ალისა. 7. აბ 11,4 ვით. 8. F გა-  
მჭრალისა (შეად. კაკ<sup>1</sup> 36,4). 9. F ჯარნი. 10. ვახტ და F გამრავლდეს. 11. ასე  
ვახტ.; C, F და G დასდგა თავისა (შეად. კაკ<sup>1</sup> 39,2; აბ 14,2; უგ 45,2). 12. ასე C,  
D და G; F ბრძნად უჭვრეტს; ვარ. მზეებრ უჭვრეტს. 13. C, D და G ბრძნად  
(შეად. კაკ<sup>1</sup> 39,4); F მზეებრ.

- 14 უკუ-დგეს და თაყვანის-სცეს მეფეთა<sup>1</sup> და მათთა<sup>1</sup> სპათა, დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა, ბუქსა ჰკრეს და წინწილანი დააბრკობდეს<sup>2</sup> ტკბილთა<sup>3</sup> კმათა. — ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა-ბოლო-ფრთათა.
- 15 მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ელირსებოდა, — ამად ტირს, — ბალი ვარდისა ცრემლითა აღივსებოდა. მეფე სწვრთის: „მამა ყოველი<sup>4</sup> მისაგან ითავსებოდა. ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამევესებოდა.“
- 16 უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი: დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩვენგან<sup>5</sup> კელმწიფედ კმობილი. აქათგან ესე სამეფო მართ<sup>6</sup> შენია<sup>6</sup> მონდობილი. ხარშვა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი!
- 17 ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების. უხვი აქსნილსა დააბამს, — იგი თვით ების, ვინ ების. უხვად გასცემდი, — ზღვათაცა შესდის და გაეიდინების.“
- 18 ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა, ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა. — მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილზინებდა, — თინათინ მზესა წუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა!
- 19 მოიკმო მისი გამზრდელი ერთგული, ნაერთგულევი. უბრძანა: „ჩემი საკუთრულე, შენგან დანაბეჭდულევი. — მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი.“ მოართვეს, — გასცა უზომო<sup>7</sup>, უნაგარიშო, ულევი.

1. ასე აბ 15.1; A და ვახტ. მეფეთა და მისთა; სხვა გნ და დგ მეფემან და მისთა. 2. გნ და დგ დაატკობდეს (?). 3. კაკ<sup>1</sup> 40,3 მათთა. 4. კაკ<sup>1</sup> 41,3 ყოველთა. 5. C და F ჩემგან. 6. F შენი არს მართ (შეად. კაკ<sup>1</sup> 42,3; უგ 48,3). 7. F და G ურიცხვი.

- 20 კვლა<sup>1</sup> ბრძანა<sup>1</sup>: „წადით, ვაკსენით რაცა სად საჭურჭლენია! ამილახროო,<sup>2</sup> მოასხი<sup>2</sup> რემა, ჯოგადა<sup>3</sup> ცხენია!“ — მოიღეს, — ვასცა ურიცხვი<sup>5</sup> სიუხვე არ მოსწყენია. ლარსა ჰხვეტდიან ლაშქარნი მართ ვითა მეკობრენია. —
- 21 ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა ვითა ნათურქალსა, მას ტაიქსა არაბულსა ქვე-ნაბამსა, ნასუქალსა. — რომე ჰგეანდა სიუხვეითა ბუქსა ზეცით ნაბუქალსა. — არ დაარჩენს ცალიერსა არ ყმასა და არცა ქალსა. —
- 22 დღე ერთ გარდაკდა; პურობა, სმა-ჟამა იყო, ხილობა, ნადიმად მსხდომთა<sup>5</sup> ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა. „ნეტარ რა უმძიმს, რა სჭირსო?“ — შექმნეს ამისი ცილობა.
- 23 ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენართა, თვითო აიესეს ჭიქები, მივლენ ქცევითა წყნართა, წინა მიუხსდეს მუკლ-მოყრით, პირითა მოცინართა, ვაზირი ლაღობს ენითა წყლიანად მოუბნართა:
- 24 „დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო! მართალ ხარ, წარკდა საჭურჭლე შენი მძიმე და ძვირიო, — ყველასა ვასცემს ასული თქვენი საბოძვარ-კვირიო, — ყოლამცა<sup>6</sup> მეფედ ნუ დასვი, თავსა რად უგდე ჭირიო?“
- 25 — „ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა რომე მწყენია: სიბერე მახლავს, დავლივენ<sup>7</sup> სიყმაწვილისა დღენია, — კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია, რომე მას ჩემგან ესწავლენ<sup>8</sup> სამამაცონი ზნენია.

1. გნ და დგ უბრძანა. 2. ვარ. ამილახრონო, მოასხით. 3. გნ და დგ ჯოგო და. 4. ასე ინგ 54,3; სხვა გნ და დგ უზომო. 5. აბ 25,2 და ჭიქი 58,2 მჯდომთა. 6. კაკ<sup>1</sup> 52,4 ყოლამცა. 7. ვარ. დავლიე. 8. ასე შან.

- 26 ერთი მივის<sup>1</sup> ასული, ნაზარდი სათუთობითა,  
 ღმერთმან არ მომცა ყრმა-შვილი, — ვარ საწუთროსა თმობითა. —  
 ანუშცა<sup>2</sup> მგვანდა<sup>3</sup> მშვილდოსნათ, ანუ კვლა მებურთობითა<sup>4</sup>, —  
 ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა.“
- 27 ყმა მეფისა ბრძანებასა, ლალი, წყნარად მოისმენდა,  
 თავ-მოდრეკით გაიღიმნა, გაცინება დაუშვენდა,  
 თეთრთა კბილთათ გამომკრთალსა<sup>5</sup> შუქსა<sup>6</sup> ველთა მოაფენდა.  
 მეფე ჰკითხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რა შეგრცხვენდა?“
- 28 — „მიწამცა<sup>6</sup> თქვენი ავთანდილ თქვენს წინა, — მშვილდოსანია!  
 ნაძლევი დავდეთ, მოვასხნეთ<sup>7</sup> მოწმად თქვენივე<sup>8</sup> ყმანია<sup>9</sup>. —  
 მოასპარეზედ ვინ მგავსო?! — ცუდნი-ლა უკუ-თქმანია!  
 გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია!“
- 29 — „მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილებასა,  
 ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა-კლებასა,  
 კარგთა ყმათასა<sup>9</sup> ვიქმოდეთ მოწმედ ჩვენთანა ხლებასა, —  
 მერმე, — გამოჩნდეს მოედანს, ვის-ძი<sup>10</sup> უთხრობდენ<sup>10</sup> ქებასა!“
- 30 ავთანდილცა დაჰმორჩილდა, საუბარი გარდაწყვიდეს.  
 იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმიდეს.  
 ნაძლევიცა გააჩინეს, — ამა პირსა დაასკენიდეს:  
 „ვინცა იყოს უარესი თავ-შიშველი სამ დღე ვლიდეს!“ —
- 31 დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,  
 ძოწუულითა მოსილი, პირად ბროლ-ბაღანშოსანი<sup>11</sup>,  
 პირ-ოქრო რიდე ეხვია, ჰშვენოდა ქარქაშოსანი, —  
 მეფესა გასვლად აწვევდა, მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი.

1. გნ და დგ მიზის. 2. G და ვაზტ ანუცა. 3. ვარ. მგვანდეს; კაკ<sup>1</sup> 55,3 ანუცა მგვანდეს. 4. ასე G; სხვა გნ და დგ ბურთაობითა. 5. ინგ 64,3 გამომკრთალთა შუქთა. 6. ინგ 67,1 და სხვა მიწადა. 7. F მოვასხათ. 8. A და G თქვენივე სპანია. 9. ასე F; ვარ. კაცთასა (შეად კაკ<sup>1</sup> 59,3). 10. G ვის მოუთხრობენ; სხვა გნ და დგ ვისძი უთხრობდეს. 11. ვარ.—ბალახშოსანი.

- 32 შეეკაზმა მეფე, შეგდა, ნადირობას გამოვიდეს. —  
მრგვლივ მინდორსა მოსდგომოდეს, ალყას<sup>1</sup> გარე-შემოპკრვიდეს, —  
ზეიმი და ზარი იყო, სპანი ველთა დაჰფარვიდეს, —  
ნაძლევისა მათისათვის ისროდეს და ერთგან სრვიდეს, —
- 33 მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-მიუწვდომელი,<sup>2</sup>  
ირეში, თხა და კანჯარი, ქურციკი მალლად მხდომელი<sup>3</sup>,  
მას პატრონ-ყმანი გაუკდეს, — ჭვრეტადმცა<sup>4</sup> სჯობდა<sup>5</sup> რომელი! —  
აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!
- 34 ცხენტა მათთა ნატერფალნი მხესა შუქთა წაუხვმიდეს;  
მიჰკოცდეს და მიესროდეს<sup>6</sup>, მინდორს სისხლსა მისახმიდეს,  
რა ისარი<sup>7</sup> დაელივის,<sup>7</sup> მონანი-ყე<sup>8</sup> მოართმიდეს,  
მხეცნი მათგან დაკოდილნი წალმა ბიჯსა ვერ წარსდგმიდეს.
- 35 იგი მინდორი დალივეს, — მართ მათგან განარბენია,  
მინდორსა იქათ<sup>9</sup> წყალი დის და წყლისა პირსა ტყენია.<sup>10</sup>  
იგი მაშვრალნი გარდაკდეს<sup>11</sup>, — მოსწყდეს, რაზომცა მკნენია. . .  
ნადირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია. —
- 36 ნახეს, — უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა!  
შავი ცხენი სადავითა ჰყვა<sup>12</sup> ლომსა<sup>12</sup>-და<sup>12</sup>-ვითა-გმირსა.  
კშირად ესხა მარგალიტი ლავამ<sup>13</sup>-აბჯარ<sup>13</sup>-უნავირსა<sup>13</sup>, —  
ცრემლსა<sup>14</sup> ვარდი დაეთრთვილა გულსა მღულლად ანატირსა.
- 37 მას ტანსა კაბად ემოსა გარე-თმა-ვეფხის-ტყავისა,  
ვეფხის ტყავისა ქუდივე ეყო სარქმელად თავისა,  
კელთა ნაჭერი მათრაკი ჰქონდა უსხოსი მკლავისა. —  
ნახეს და ნახეა მოუნდა<sup>15</sup> უცხოსა სანახავისა.

1. ასე ინგ 73,2; სხვა დგ და გნ ალყად. 2. G მიუხდომელი. 3. ვარ. მწ (ლ) ტომელი. 4. G საჭვრეტლად. 5. ვახტ სჯობდეს. 6. ასე F; ვახტ და სხვა დგ მიისროდეს. 7. G ისარნი დაელივისის (შეად. კაკ<sup>1</sup> 67,3). 8. G მონანი-ვე (შეად. კაკ<sup>1</sup> 67,3). 9. ვარ. იქით. 10. ასე ინგ 78,2; K ხენია; სხვა გნ და დგ კლდენია. 11. ასე K; სხვა გნ და დგ ორნივე. 12. I ყვეს ლომსა და; G ყვანდა ლომსკა; კაკ<sup>1</sup> 75,2 ყვანდა ლომსა. 13. F და I ლავამსა და უნავირსა. 14. ინგ რუსთო. გვ. 71 ცრემლთათ. 15. ვახტ მოუნდათ.

- 38 წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულ-მდულარისად,  
თავ-ჩამოგდებით მტირლისა, არ ჰერეტით მოლიზლარისად.  
მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად, —  
ახლოს მივიდა, — მოსცალდა სიტყვისა თქმად-ლა<sup>1</sup> რისად!<sup>1</sup>
- 39 ვერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად შეუზარდა.  
დიდ-ხანს უჰერეტს გაკვირვებით, თუცა გული უმაგარდა.  
მოაკსენა: „გიბრძანებს“ო, ახლოს მიდვა, დაუწყნარდა.  
იგი ტირს და არა ესმის, მისგან გაუუმეცარდა. —
- 40 სხვაგან ქმნის<sup>2</sup> მისი გონება მისმა თავისა - წონამან. —  
ესე მეფისა ბრძანება ერთველ კვლა ჰკადრა მონამან.  
არცა დააგდო ტირილი, არცა-რა გაიგონა მან,  
არცა გაკლია<sup>3</sup> ბაგეთა<sup>3</sup> თავი ვარდისა კონამან.
- 41 რა პასუხი არა ვასცა, მონა გარე-შემობრუნდა, —  
როსტანს ჰკადრა: „შემიტყვია, იმას თქვენი არა უნდა,  
თვალნი მზეებერ გამირეტნა<sup>4</sup>, გული მეტად შემიდრწუნდა,  
ვერ ვასმიწე საუბარი, მით დაცყოვენ ხანი მუნ, და!“
- 42 მეფე გაკვირდა, გაცაწყრა, — გული უც<sup>5</sup> მისთვის მწყრომარე,  
გავზავნა მონა თორმეტი მისი, წინაშე მდგომარე, —  
უბრძანა: კელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე,  
მიღით და აქა მომგვარეთ ვინა არის იქი მჯდომარე!“
- 43 მონანი მიდგეს, მივიდეს, გაკდა აბჯრისა ჩხარია.  
მაშინ-ლა შეკრთა იგი ყმა, — ტირს მეტად გულ-მდულარია, —  
თვალნი მოარნა, ყოველგან ნახა ლაშქართა ჯარია.  
ერთხელ ესა თქვა: „ვა-მეო“, სხვად არას მოუბარია.

1. კნ და უგ თქმად აღარისად. 2. ვახტ ქნის (შეად. აბ 51<sup>1</sup>, 1); K და სხვა კნ და ღგ ქრის. 3. G და I გაკლია ბაგენი; F გაკლიჩნა ბაგენი (შეად. კაკ<sup>1</sup> 80, 4) აბ 51<sup>1</sup>. 14 გაკლიჩნა ბაგეთათ. 4. კნ და ღგ გამირეტდეს (?). 5. უც<უძს.

- 44 თვალთა კელი უკუ-ივლო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა,  
კრმალ-კაპარტი მოიმაგრა, მკლავნი გაიმაძაქურნა,  
ცხენსა შეჯდა, — მონათამცა საუბარნი რად იყურნა!  
სხვასა მპარსა გაემართა, მათნი<sup>1</sup> ქირნი<sup>1</sup> არ განკურნნა!
- 45 მონათა კელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად,  
მან, გლახ, იგინი დაკადნა მტერთაცა საწყალობელად!  
ჰკრნა<sup>2</sup> ერთმანერთსა, დაცვივდეს<sup>3</sup> თავსა<sup>4</sup> კელ-აღუპყრობელად<sup>5</sup>,  
ზოგსა გარდაჰკრის მათრაკი მკერდამდის<sup>6</sup> გასაპობელად!
- 46 მეფე გაწყრა, გაგულისდა, ლაშქარნიცა<sup>7</sup> შეუზახნა,<sup>8</sup>  
მან მდევართა მიწეენამდის არ უჰყვრიტნა<sup>9</sup>, არცა ნახნა,  
რაზომნიცა მიეწივნეს, ყოვლნი მკედართა დაასახნა.  
კაცი კაცსა შემოტყორცა, — როსტან ამად ივაგლახნა.
- 47 შესხდეს მეფე და ავთანდილ მის ყმისა მისაწეველად.  
იგი ლალი და უკადრი მივა ტანისა მრხეველად,  
ტაიქსა<sup>10</sup> მიაქვს მერანსა<sup>10</sup>, — მიეფინების მზე ველად! —  
შეიგნა მისვლა მეფისა მისად უკანა-მდევენელად.
- 48 რა ცნა, მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრაკი მისსა ცხენსა,  
მასვე წამსა დაიკარგა, — არ უნახავს თვალსა ჩვენსა! —  
ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა, ანუ ზეცად ანაფრენსა,  
ეძებდეს და ვერ ჰპოვებდეს კვალსა მისგან წანარბენსა.

1. უგ 93,4 მათი ჰირი არ განკურნა. 2. ვარ. (ჰ)კრა. 3. ასე I; სხვა ენ და დგ დაკონა. 4. ასე C და D (შეად. კაკ<sup>1</sup> 85,3; უგ 94,3;) სხვა ენ და დგ თავის. 5. ვარ.—აუპყრობელად. 6. C ქვე მკრდამდის. 7. ასე F, G და I (შეად. კაკ<sup>1</sup> 85,1); C და D მონანიცა (შეად. აბ 57,1; ჰიუ 99,1). 8. C და D შეუზრახნა (?). 9. C და G უჰყვრიტა; I უყურა. 10. C, D ვახტ და სხვა დგ ტაიჭი მიუქს მერანსა; F და K ტაიჭი მიჭრის მერანი; G ტაიჭი მიაქვს მერანსა; I ტაიჭი მიაქვს მერანი.

- 49 კვალი ძებნეს და უკვირდა<sup>1</sup> ვერ-პოვნა ნაკვალევისა, —  
 ეგრე კვალ<sup>2</sup>-წმიდად წარკდომა<sup>3</sup> კაცისა, ვითა დევისა, —  
 ლაშქარნი მკედართა სტიროდეს, სწრაფა აქეს<sup>4</sup> წყლულთა ხევისა.  
 მეფემან ბრძანა: „ვნახეო<sup>4</sup> მიზეზი ლხინთა ლევისა.“
- ქ
- 50 ბრძანა: „ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შვება, —  
 ამაღ მიყო სიამისა სიმწართა დანალვლება,  
 სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალ-უტე განკურნება, —  
 მასვე მადლი! ესე იყო წადილი და მისი ნება!“
- 51 ესე თქვა და შემობრუნდა, დაღრეჯილი წამოვიდა,  
 არცა-ლა ჰკრა ასპარეზსა, ვა-მე-ვა-მ-სა<sup>6</sup> მოუთრევიდა. —  
 ყველაკაი დაიშალა<sup>7</sup> სადაცა ვინ მკეცთა სრვიდა. —  
 ზოგთა თქვეს: თუ „მართალია!“ ზოგი „ღმერთო!“ უზრახვიდა.
- 52 თინათინს ესმა მამისა ეგეთი დაღრეჯილობა,  
 აღდა და კარსა მივიდა, — ჰქონდა მზისაცა ცილობა! —  
 მოლარე უხმო<sup>8</sup>, უბრძანა: „ძილია თუ ღვიძილობა?“  
 მან მოაქენა: „დაღრეჯით ზის, სჭირსო ფერ-შეცვლილობა.“
- 53 ერთაი ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის სკამითა, —  
 უცხო ყმა ვინმე უნახავს, ასრე დაღრეჯით ამით ა<sup>9</sup>.  
 თინათინ ბრძანა: „აწ წავალ, შესვლა არ<sup>9</sup> ჩემგან<sup>9</sup> ქამით ა<sup>9</sup>  
 მიკითხოს, ჰკადრე — იყო<sup>10</sup> აქა ერთითა<sup>11</sup> წამითა“.

1. აბ 60.1 უკვირდათ. 2. D და I კვლა. 3. F და I დაკარგვა. 4. ვახტ აქესთ.  
 5. F ვპოყეო. 6. ან და დგ ვამი ვამსა. 7. უგ 100.3 მოიშალა. 8. აბ 63.3 და სხვ.  
 იკმო.—რუსთველი ემარობს აგრეთვე «უემო» «იემოს» მაგივრად. ე. ი. «უ»-ს  
 (< ვ-ი) რეფლექსიურ ფორმად. აქ სჯობს «უემო» ალლიტერაციისთვის: «უა-  
 მო, უბრძანა». 9. I არა ეამს ქამითა (შეად. კაკ<sup>1</sup> 93.3). 10. ან და დგ იყო-თქო.  
 11. C და ვახტ ერთისა. (შეად. კაკ<sup>1</sup> 93.4; უგ 103.4).

- 54 ხანი გამოკდა, მეფემან<sup>1</sup> ბრძანა<sup>1</sup>: „რასა იქმს ქალიო, ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო?“  
მოლარე ჰკადრებს: „მოვიდა აწალა<sup>2</sup> ფერ-ნამკრთალიო, დაღრეჯით გცნა და მიბრუნდა წინაშე მომავალიო“.
- 55 უბრძანა თუ: „წადი, უკმე, უმისობა ვით გაექლეო!  
მოახსენე, — რად დაბრუნდი შენ, მამისა სიციოცხლეო?  
მოდო, ჰმუნევა გამიქარევე, გულსა წყლულსა მეწამლეო,  
ვითხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ ლხინთა რად დავლეო.“<sup>3</sup>
- 56 თინათინ ადგა, მივიდა<sup>4</sup>, მიჰყვა<sup>4</sup> მამისა ნებასა, —  
უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა! —  
მამამან გვერცა დაისევა, აკოცა ნება-ნებასა,  
უბრძანა: „მოხვალ<sup>5</sup> რად არა? მელი<sup>6</sup> მე<sup>6</sup> მოყვანებასა?“
- 57 ქილმა ჰკადრა: „კელმწიფეო, დაღრეჯილსა ვინცა გცნობდეს,  
ვინცა<sup>7</sup> განახა კადნიერად, რაზომ გინდა ამყობდეს!  
თქვენნი აგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დაამყობდეს! —  
კაცმან საქმე მოიგეაოს, ვეჰე, ჰმუნეასა ესე სჯობდეს.“
- 58 უბრძანა: „შვილო, რაზომცა მჭირს საქმე საევაგაზხია,  
შენი ჰვრეტა და სიახლე ლხინადვე დამისახხია,  
მომაქარევი<sup>8</sup> სევდისა მართ ვითა მუფარახხია, —  
ვეჰე, რა სცნა, შენცა ამართლო<sup>9</sup> ჩემი სულთ-თქმა და ახო.
- 59 უცხოხა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდევკიდე;  
მისმა შუქმა განანათლა სამყარო და კმელთა კიდე,  
რა უმძიმდა, არ ვიციოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე,  
ჩემად ნახვად არ მოვიდა, გავგულისდი, წავეკიდე.

1. ასე I; სხვა ენ და დგ იკითხა: «ნეტარ»... 2. I აწელა; C და D აწყალა (შეად. კაკ<sup>1</sup> 94.3); G აწე აქ. 3. დავლეო < დავლეუო. 4. ასე უგ 106.1; C მოვიდა, მოჰყვა (შეად. აბ 67.1; უიჰ 110.1). 5. ასე F (შეად. აბ 67.4); C, G, I და ვახტ მახლაე (შეად. კაკ<sup>1</sup> 96.4 და უგ 106.4). 6. კაკ<sup>1</sup> 94.4 და უგ 106.4 რად მელი; ინგ 106.4 მოელი. 7. კაკ<sup>1</sup> 97.2 ვინცა. 8. კაკ<sup>1</sup> 98.3 მომქარეველი. 9. ასე ინგ 108.5; აბ 69.4 მამართლო.

- 60 მე რა მნახა, ცხენსა შეგღდა, თვალთა ცრემლნი მოიკოცნა.  
შესაპყრობლად შეველზახენ სპანი, — სრულად დამიკოცნა!  
ვითა ეშმა დამეკარგა, არ კაცურად გარდამკოცნა!  
ჯერთოცა ესე არა ვიცი, ცხადი იყო თუ მეოცნა!
- 61 ტკბილნი ღმრთისა<sup>1</sup> წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს!<sup>2</sup>  
დამავიწყდა რაცა დღენი მზიარულნი<sup>3</sup> წამეარნეს!  
ყოვლმან პირმა ვაგლახ მიყოს, ველარავინ<sup>4</sup> მინეტარნეს!<sup>4</sup>  
საღამისცა დღენი მესხნეს, ველარამან<sup>5</sup> გამაზარნეს!<sup>5</sup>“
- 62 ქალმან ჰკადრა: „მოგახსენებ მე სიტყვასა დანაყბედსა:  
ჰე, მეფეო, რად ემდურვი ანუ ღმერთსა ანუ ბედსა,  
რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა?  
ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!
- 63 მე ამას ვარჩევ: „მეფე ხარ, მეფეთა ზედა მფლობელი,  
შორს არის თქვენი საზღვარი ბრძანება-მისათხრობელი!<sup>6</sup>  
გაგზავნე კაცი ყოველგან მისთა აშბავთა მცნობელი.  
ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი.“
- 64 მოასხნეს კაცი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა,  
უბრძანეს: „წადით, პატოკთა თავიმცა რად დაჰრიდეთა,  
მონახეთ, ძებნეთ იგი ყმა, სხვად ნურად მოიცილიდეთა!  
მისწერეთ წიგნი სადაცა ვერ მისწვდეთ, ვერ მიხვიდეთა!“
- 65 კაცი წავიდეს, იარეს მართ<sup>7</sup> ერთი წელიწადია.  
მონახეს, ძებნეს იგი ყმა, იკითხეს კვლა და კვლა ღია, —  
ვერცა<sup>8</sup> თუ ნახეს მნახველი<sup>8</sup> ღმრთისაგან დანაბადია!  
კულდათ მაშვრალნი მოვიდეს, — მათსავე<sup>9</sup> გულსა ზადია. . .

1. გნ და დგ მისნი. 2. ასე C და ვახტ; G და I გამიმწარნეს. 3. კაკ<sup>1</sup> 101,2; აბ 72,2 და სხვ. მზიარულსა(?). 4. ასე C, F და ვახტ (შეად. აბ 72,3); D და G ველარამან მინეტარნეს; I ველარავინ გამაზარნეს. 5. F მე ვერავინ გამაზარნეს; I ველარამან უკუ-ყარნეს(?). 6. ასე F; სხვა ენ და დგ მიუთხრობელი. 7. ასე ინგ 116,1; ვარ. მათ. 8. I ვერც ნახეს მისი მნახავი; ვახტ ვერცა თუ ნახეს ნახული; უგ 116,3 ვერ ნახეს მისი მნახავი. 9. F მისავე.

- 66 ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ მართ<sup>1</sup> პერანგი, იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი. — შემოვიდა მას წინაშე თინათინის მონა ზანგი, მოაკენა: „გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი.“
- 67 ავთანდილს მიჰხედა მოსმენა საქმისა სანატრელისა. ადგა და კაბა ჩაიცვა მჯობი ყოვლისა ჭრელისა. უხარის შეყრა ვარდისა, ბარ<sup>2</sup> ერთგან შეუყრელისა, — ამოა ჭერეტა ტურფისა, სიახლე საყვარელისა!
- 68 ავთანდილ ლალი, უკადრი, მივა, არვისგან ჰრცხვენოდა. მას ნახავს, ვისთვის<sup>3</sup> ვამთავან ცრემლი<sup>4</sup> მრავალჯერ სდენოდა<sup>5</sup>. — იგი უებრო ქუშად ჯდა, ელვისა მსგვასად შევენოდა, მთვარესა მისთა შექთავან უკუნი გარდაჰფენოდა.
- 69 გარ-ცმულნი<sup>6</sup> ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი, ებურნეს მოშლით რიდენი ფასისა<sup>7</sup> თქმად საჭირონი,<sup>7</sup> ჰშვენოდეს შავნი წამწამნი გულისა გასაგმირონი, მას თეთრსა ყელსა ეხვიენეს<sup>8</sup> გრძლად თმანი არ-უქშირონი.
- 70 დაღრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა. — ავთანდილს უთხრა დაჯდომა წყნარად, ცნობითა მშვიდითა. მონამან სელნი<sup>9</sup> დაუდგნა<sup>9</sup>, დაჯდა კრძალვით და რიდითა. პირის-პირ პირსა უჭერეტდა საესე ლხინითა დიდითა.
- 71 ქალმან უთხრა საუბარი კეკლუც-სიტყვად,<sup>10</sup> არ დუხჭირად იტყვის: „თუცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად<sup>11</sup>, მიკვირს<sup>12</sup>, მოგხედა წამის-ყოფით<sup>13</sup> საქმე ჩემგან<sup>14</sup> საეჭვი<sup>15</sup> რად! — მაგრა გითხრა პირველ ხეალმე<sup>16</sup> სენი მე მჭირს რაცა ჭირად:

1. C, F და G მას. 2. გნ და დგ არ. 3. ენ და დგ ვისთა. 4. F ცეცხლი. 5. F სდებოდა. 6. გნ და დგ გაძრციელსა და სხვ. 7. G (შეად. კაკ<sup>1</sup> 112.2) ფასის თქმად გასაჭირონი. 8. კაკ<sup>1</sup> 112.4 ვეიდნეს. 9. G სკამი დაუდგა. 10. ასე C (შეად. უგ 127.1); სხვა გნ და დგ კეკლუც-სიტყვა. 11. C დასაჭირად. 12. ასე ვახტ. და სხვ.; აბ 82.3 და უგ 127.3 გიკვირს. 13. C და ვახტ. წამის-ყოფად. 14. ასე ინგ. 127.3; ვარ. შენგან. 15. კაკ<sup>1</sup> 115.3 სახე ჭირად(?). 16. G ხოლმე.

- 72 გაკსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მკეცი დაგეკოცა,  
ყმა გენახა უცხო ვინმე რომე ცრემლი მოეკოცა? —  
მასუკანით გონებამან მისმან ასრე დამამკოცა, —  
შენ გენუკვი მონახეასა, კილით კიდე მოლაკო-ცა!<sup>1</sup>
- 73 აქანამდის ნაუბარსა თუცა ვერას ვერ გეტყვია,  
მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია.  
ვიცი, რომე განუწყვედლად თვალთათ<sup>2</sup> ცრემლი<sup>2</sup> გისეტყვია.  
შეთუპყრიხარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვია.
- 74 ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამაღ ორად:  
პირველ, — ყმა ხარ, კორციელი არვინა გყავს შენად სწორად.  
მერმე, — ჩემი მიჯნური ხარ, — დასტურია, — არ ნაჭორად, —  
წაღი<sup>3</sup>, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს თუნდა შორად.
- 75 შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,  
რომე დამკსენ<sup>4</sup> შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე.  
გულსა გარე<sup>5</sup> საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე,  
მერმე მოდი, ლომო, მზისა<sup>6</sup>, — შეგეყრები, შემეყარე<sup>7</sup>.
- 76 საშსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებარი,  
ჰპოვო, — მოდი გამარჯვებით, მხიარულად მოუბარი,  
ვერა ჰპოვო, — დავიჯერებ, იყო თურე<sup>8</sup> უჩინარი.  
კოკობი და დაუფრჭენელი<sup>9</sup> ვარდი დაგზღვე დაუმქნარი<sup>10</sup>.
- 77 ღიციით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი, —  
მზეცა მომხედეს კორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი, —  
სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი! —  
შენი მკვლიდეს<sup>11</sup> სიყვარული, გულსა დანად<sup>12</sup> მასაქმარი!<sup>12</sup> —

1. ასე ინგ 128.4: აბ 83.4 და სხვ. მოლახო ცა. 2. ასე უგ 129.3. ( თვალთა  
ცრემლი (შეად. კაკ<sup>1</sup> 117.3): ვახტ თვალთა ღაწვი. 3. C და ვახტ წა და. 4. ნნ  
და დგ დამკსენა. 5. ვახტ აგრე (?). 6. ნნ და დგ მხესა (მზისა < მზისად). 7. C და  
ვახტ შემეყარე (შეად. კაკ<sup>1</sup> 119.4). 8. ვარ. თურმე. 9 C უფურჭენელი. 10. კაკ<sup>1</sup>  
120.4 არ დამქნარი. 11. ვარ. მკლევდეს. მკლაედეს. 12. ნნ და დგ დანა ასა-  
ქმარი.

- 78 კვლა შეჰფიცეს ერთმანერთსა, დააპირეს ესე პირი,  
გასაღდეს და გაამრავლეს საუბარი სიტყვაჲჳშირი,  
გაადვილდა აქანამდის გარდევალა რაცა ჭირი, —  
თეთრთა კბილთათ გამოჰკრთების თეთრი ელვა ვითა ჭვირი. . .
- 79 ყმა წავიდა, სიშორესა თუცა მისსა ვერ გასძლებდა.  
უჯულმავე იხედვიდა, თვალთა რეტად აყოლებდა.  
ბროლსა სეტყეს და ვარდსა აზრობს, ტანსა მჭეერსა ათრთოლებდა,  
გული ჰქონდა გულისათვის, სიყვარულსა ავალებდა.
- 80 საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების,  
ვითა ვერხვი ქარისაგან ირხვეის და იკეცების,  
რა მიჰრულნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების,  
შეკრთის, დიდნი<sup>1</sup> დაიზახნის<sup>1</sup>, მით პატიჲი ეოცების. —
- 81 მოშორებება საყვარლისა მას შეჰქმნოდა მისად ლაზოდ,  
ცრემლსა ვითა შარგალიტსა<sup>2</sup> სწვიმს<sup>3</sup> ვარდისა დასანაზოდ<sup>4</sup>. —  
რა გათენდა, შეეკაზმა მისთა მჭევრეტთა სალაშაზოდ,  
ცხენსა შეჯდა, გაემართა, დარბაზს მივა სადარბაზოდ.
- 82 დარბაზს ეჯიბი შეგზავნა, — მართ მისგან შენარონია, —  
შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, მე ესე გამოგონია:  
ყოველი პირი მიწისა თქვენ კრმლითა დაგომონია, —  
აწ, თუ სჯობს, ესე ამბავი ცნან რაცა გარემონია;
- 83 მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,  
თინითინის კელმწიფობა<sup>5</sup> მტერთა თქვენთა გულსა ვჰგმირო,  
მორჩილ-ქმნილი<sup>6</sup> გავახარო, ურჩი ყოველი ავატირო,  
ძლენი გკადრნე ზედა-ზედა, არ სალამი დავაძვირო.“

1. ასე ინგ 140.4: სხვა დგ და პნ დიდი დაიზახნის. 2. G მარგალიტი. 3. ასე C, G და I (წვიმს): სხვა პნ და დგ ჰყრის. 4. C და I და სანაზოდ. 5. F პატრონობა. 6. F, G და I—ქმნილინი (შეად. კაკ<sup>1</sup> 129.3): C და ვახტ—ქნილთა.

- 84 მეფესა ეთქვა ამისა დიადი მადლიერობა,<sup>1</sup> —  
 ებრძანა:<sup>2</sup> „ლომო, არა გჭირს შენ ომთა გადუტდევლობა<sup>3</sup>,  
 აწ მაგა შენსა თათბირსა ჰვაესო შენივე ქველობა,  
 წა, მაგრა მომხედეს, რალა ექმნა, თუ სიშორისა გრძელობა!“
- 85 ყმა შევიდა, თაყვანის-სცა, მადლი რამე მოაქსენა:  
 „კელმწიფეო, მიკვირს, ქება რად იკადრეთ ჩემი თქვენა! —  
 აწ ნუთუმცა სიშორისა<sup>4</sup> ლმერთმან ბნელი გამოითენა,  
 პირი თქვენი მხიარული მხიარულსა კვლა მიჩენა!..“
- 86 გამოემართა ავთანდილ, მოყმე მკნე, ლალად მავალი,  
 ოც დღე იარა, ლამეცა<sup>5</sup> დღეს ზედა-წაპართო<sup>6</sup> მრავალი. —  
 იგია ლხინი სოფლისა, იგია ნიეთი და ვალი, —  
 არ მოსცილდების<sup>7</sup> თანათინ მისი<sup>8</sup> მას, — მისგან მწვევ ალი<sup>8</sup>.
- 87 რა მივიდა<sup>9</sup>, სიხარული შიგან გაკვდა სამეფოსა<sup>10</sup>.  
 მოეგებნეს დიდებულნი, ძღვენსა სძღენიდეს იეფოსა<sup>10</sup>. —  
 იგი პირ-მზე არ მოსცდების სიარულსა სასწრაფოსა, —  
 მიჰხედეს მყოფნი მას წინაშე სიხარულსა სადაფოსა.
- 88 ქალაქი ჰქონდა მაგარი საზაროდ სანაპიროსა.  
 გარე კლდე იყო, — გიამბობ ზღუდესა უქვითკიროსა<sup>11</sup> —  
 ყმამან მუნ დაჰყო სამი დღე ამოსა სანადიროსა.  
 გაზრდილი<sup>12</sup> მისი შერმადინ დაისვა სავაზიროსა.

1. მადრიელობა < მადლიერობა. 2. F, G და I უბრძანა (შეად. კაკ<sup>1</sup> 130,2).  
 3. ანუ I; C და ვანტ გამდრეკელობა. 4. გნ და დგ ნუთუ კვლა. 5. კაკ<sup>1</sup> 131.3 კვლავ  
 ნახვისა(?); უგ 145.3 კვლა ნახვითა. 6. უგ 147.2 ლამეცა დღეზედა წართო. 7. უგ  
 147.4 არ მისცილდება; I მას არ მისცილდის; სხვა გნ და დგ არ მისცილდების.  
 8. G მას, მისგან გულსა წეავს ალი; I რაგინდ გზა ჰქონდეს სავალი; სხვა გნ და  
 დგ მისი მას, ვისგან სწვევ(ს) ალი.—ჩვენგან აღდგენილი მწვევ < მწვეავი. 9. ინგ  
 148.1 მოვიდა. 10. კაკ<sup>1</sup> 134.2 უფასოსა. 11. უქვითკიროსა > უქვითკიროსა (შე-  
 ად. გნ და დგ). 12. C და G გამზრდელი; F ერდგული.

- 89 უბრძანა: „აჰა, შერმადინ, ამაღ მე შენგან მრცხენიან, — ჩემნი საქმენი ყოველნი გკოდნიან, გაგივლენიან, მაგრა არ იცი აქამდის, რანიცა ცრემლნი<sup>1</sup> მდენიან<sup>1</sup>. — მე ვისგან მქონდეს პატიჟნი, აჲ მასეე მოულხენიან.
- 90 მიბრძანა: „მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა, მოხვიდე, — სრულ-ექმნა მაშინ-ლა შენი წადილი გულისა: ქმარი არ მინდა უშენო,<sup>2</sup> მომხვდესცა<sup>3</sup> ხისა<sup>3</sup> რგულისა.<sup>4</sup> მომცა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა.
- 91 პირველ, — ყმა ვარ, წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად. კამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გემართებს ყმასა ყმურად, — მერმე, — ცეცხლი დაუესია, აღარა მწევეს გულსა მურად, — კამს თუ კაცი არ შეუდრკეს ჭირსა<sup>5</sup>, დაჰხედეს<sup>5</sup> მამაცურად. —
- 92 ვართ უმოყვრესნი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა. ამისთვის ვნუკავ სმენასა შენ ამა ჩემთა კმათასა: ჩემ-წილ დაგადებ პატრონად, თავადად ჩემთა<sup>6</sup> სპათასა<sup>6</sup>, — ამა საქმესა ვერა ვიქმ მე განდობასა სხვათასა.
- 93 ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი, ჰპატრონობდი<sup>7</sup>, დარბაზს კაცსა გაგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი, წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვენობდი, — აქა საღმე არ ყოფასა ჩემსა მათმცა რად აგრძნობდი! —

1. C და I ცრემლი მდენიან; G ცეცხლნი მდებიან. 2. ასე აბ 104.3; ა. შანიძე, ძვ. ქ. ენა და ლიტ., გვ. 130,3; ვარ. უშენოდ. 3. კაკ<sup>1</sup> 138.3 და უგ 153.3 მომხვდეს ხისაცა; სხვა დგ და კნ მომხვდების ხისა. 4. (ხისა) რგულისა < (ხისად) რგულისად. 5. ასე F, G და I; C და ვახტ ჭირს, მიუტანეს (შეად. აბ 105.4). 6. ასე G და I (შეად. აბ 106.3); C თავადად სხვათა ყმათასა(?); F თავადთა სხვათა ყმათაცა(?); ვახტ თავადად სხვათა სპათასა(?). 7. G ნაპრობდი (შეად. კაკ<sup>1</sup> 141.1).

- 94 ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დასახე. —  
აქათ სამ წელ მომიცადე, ხვაშიადი შემინახე.\*)  
მე ნუთუმცა შემოვბრუნდი<sup>1</sup>, ალვა ჩემი არ დაჰქნა ხე.\*)  
არ მოვბრუნდე, — მომიგლოვე, მიტირე და მივაგლახე.\*)
- 95 მაშინ-ლა ჰკადრე მეფესა არ-საქმე-სასურვალაი:  
უამბე<sup>2</sup> ჩემი სიკვდილი, — იყავ მართ<sup>3</sup> ვითა<sup>3</sup> რველია<sup>3</sup>:  
„მიჰხვდაო<sup>4</sup> საქმე, რომელი ყოველთათვის გარდუევალია.“  
გლაზაკთა მიეც საქურჭლე, — ოქრო, ვეცხლი და თვალია.<sup>5</sup>
- 96 მაშინ უფრო მომეკმარე, ამისგანცა უფრო მკნედ-რე, —  
ნუთუ აღრე დამივიწყო, — მაკსენებდე ზედა-ზედ-რე. —  
მეტად კარგად დამიურვე სული ჩემი შეივედრე.  
ზრდანი ჩემნი მოიგონენ, გული შენი მოიმედრე.“
- 97 რა მონამან<sup>6</sup> მოისმინა, გაუკვირდა, შეუზარა<sup>7</sup>,  
თვალათ<sup>8</sup> ვითა ნაგუბარი<sup>9</sup> ცრემლი ცხელი გადმოლვარა<sup>10</sup>, —  
მოახსენა: „უშენომან გულმან რათმცა<sup>11</sup> გაიხარა!  
ვიცი რომე არ დასდგები, მაგას გიშლი ამაღ არა.
- 98 ჩემად ნაცვლად დაგაგებო, — ესე სიტყვა რად<sup>12</sup> მიბრძანე!  
რაგვარა ვქმნა პატრონობა? რამც გიფერე, რამც გიგვანე?  
შენ მარტოსა გიგონებდე, მემცა მიწა ვიაკვანე!“  
სჯობს, ორნივე გავიპარნეთ, — წამოგყვები, წამიტანე!“

1. ვარ. შემოვბრუნდე. \*) კაკ<sup>1</sup> 142,2: სპათა ჩემთა ეთავადე, საგელმწიფოა შემინახე; 3: თუ სამ წლამდის არ მოვიდე, ხვაშიადი შემინახე; 4. კვლავ ნუთუმცა შემოვბრუნდე, ალვა ჩემი არ დაჰქნა ხე. 2. ასე G; I და დგ აცნობე. 3. G და დგ მართ ვითა მთრვალია; I ცრემლითა სველია. 4. G და I მიხვდა, თქვი; სხვა გნ და დგ მიჰხვდა-თქო. 5. ასე C და F; სხვა გნ და დგ რველია. 6. C შერმა-დინ. 7. ასე C; სხვა გნ და დგ შეუზარა. 8. G თვალთა. 9. G საგუბარი(?) ; C და I მარგალიტი (შეად. აბ 111,2). 10. ასე C, G და I; სხვა გნ და დგ გარდმ(ა)ყარა. 11. უიქ 174,3 რადმცა; უგ 160,3 რამცა. 12. ინგ 161,1 ვით.

- 99 ყმაძან უთხრა: „მომისმინე მართლად გითხრობ, არა ჭრელად: რა მიჯნური ველთა<sup>1</sup> რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად, — მარგალიტი არვის მიჰხვედეს უსასყიდლოთ, უვაჭრელად. — კაცი ცრუ და მოღალატე კამს ლახვრითა დასაჭრელად. —
- 100 ვისმცა ვუთხარ<sup>3</sup> ხვაშიადი? — შენგან კიდე არვინ ვარგა! უშენოსა პატრონობა<sup>4</sup> ვის მივანდო, ვინ იქმს კარგა?! — სანაპირო<sup>5</sup> გაამაგრე, — მტერმან ახლოს ვერ იბარგა! კვლა ნუთუმცა შემოვიქეც<sup>6</sup>, ღმერთმან სრულად არ დამკარგა!
- 101 ფათერაკი<sup>7</sup> სწორად მოჰკლავს ერთი იყოს თუნდა ასი. მარტოობა ვერას<sup>8</sup> მიზამს, მცვეს თუ ცისა ძალთა დასი. — აქათ სამ წელ არ მოვიდე; მაშინ გამართებს გლოვა, ფლასი. — წიგნსა მოგცემ, — გამორჩილობდეს<sup>9</sup> ვინცა იყოს ჩემი ხასი“.
- 102 დაწერა თუ: „ჩემნო ყმაზო, გამზრდელნო<sup>10</sup> და ზოგნო ზრდილნო, ერთგულნო და მისანდონო, ამაზედან<sup>11</sup> გამოცდილნო, თქვენ ჩემისა საწადლისა<sup>12</sup> მიდგომილნო ვითა ჩრდილნო, წიგნი ჩემი მოისმინეთ ყოვლნო ერთგან შემოყრილნო!<sup>13</sup>
- 103 მიწამცა<sup>14</sup> თქვენი ავთანდილ, ისმინეთ, გიწერ მე რასა, — თვით ვიქმ კელითა ჩემითა ამა წიგნისა წერასა: ცოტასა ხანსა ვარჩივე<sup>15</sup> ვაჭრა<sup>16</sup> სმასა და მღერასა. პურად და საჭმლად<sup>17</sup> მივენდე<sup>18</sup> ჩემსა მშვილდსა და ცერასა.

1. ასე კაკ<sup>1</sup> 147,2 და უგ 162,2; ვარ. ველად. 2. C ლახვრისა; F ლახვართა. 3. ასე C და G (შეად. აბ 114,1); სხვა გნ და ვახტ უთხრა (შეად. კაკ<sup>1</sup> 148,1). 4. C საპატრონო. 5. G საგელმწიფო. 6. G შემოვებრუნდე; სხვა გნ შემოვიქეცე (შეად. კაკ<sup>1</sup> 148,4). 7. C და I განგებაა. 8. ვერას < ვერ-რას. 9. G და I გამორჩილობდენ (შეად. კაკ<sup>1</sup> 149,4 და უგ 164,4). 10. ასე C და D; F, G, I და ვახტ გაზრდილნო; კაკ<sup>1</sup> 150,1 დაზრდილნო. 11. ინგ 165,2 ამას ზედა. 12. ასე G; F ბრძანებისა; კაკ<sup>1</sup> 150,3 საწადლისა. 13. ინგ 165,4 შემოხდილნო. 14. ასე ვახტ (შეად. აბ 117,1); C, F, G და I მიწაცა (შეად. უგ 166,1). 15. ასე კაკ<sup>1</sup> 151,3; G ვარჩივენ; F ვარჩივენ; სხვა გნ და დგ ვარჩივე, ვარჩივენ (შეად. აბ 117,3). 16. F და G უირნი. 17. G სასმლად(?). 18. უგ 166,4 მივენდე.

- 104 საქმე რამე მიც<sup>1</sup> თავისა-ზე-სადმე-გარდსახვეწელი.  
დაეყო მარტოდ და ღარიბად ესე<sup>2</sup> წლეული<sup>2</sup> მე წელი.  
გემუღარები ამისთვის, ვარ თქვენი შემომხვეწელი<sup>3</sup>,  
მე დამახვედროთ სამეფო მტერთაგან დაულეწელი.
- 105 მე შერმადინ დამიგდია ჩემად-ნაცვლად<sup>4</sup>, — პატრონობდეს,  
სიკვდილსა და<sup>5</sup> სიკოცხლესა სადამდისცა ჩემსა<sup>6</sup> სცნობდეს;  
ყოვლთა<sup>7</sup> მზეებრ მოგეფინოს, ვარდს<sup>8</sup> არ ზრვიდეს<sup>8</sup>, არ აჭნობდეს,  
შემცოდესა<sup>9</sup> ყველაკასა<sup>9</sup> ვითა ცვილსა<sup>10</sup> დაადნობდეს.
- 106 თქვენცა იცით, — გამიზრდია ვითა ძმა და ვითა შვილი.  
ამას ასრე ჰმორჩილობდით<sup>11</sup> არს<sup>12</sup> ვითამცა<sup>12</sup> აეთანდილი.  
ბუჟსა იკრას, — აქმნევინეთ ყოვლი საქმე ჩემგან<sup>13</sup> ქმნილი. —  
მე თუ დრომდის არ მოვიდე, გლოვა გმართებს, არ სიცილი.“
- 107 ესე წიგნი<sup>14</sup> გაასრულა<sup>15</sup> წყლიანმან და სიტყვა-ნაზმა,  
წელთა ოქრო შემოირტყა, საღარიბოდ შეეკაზმა<sup>16</sup>.  
ბრძანა, — მინდორს შეეკვდებოი, ლაშქარიცა<sup>17</sup> დაერაზმა.  
მასვე წამსა წამოვიდა, შინა ხანი არა დაზმა.
- 108 ბრძანა: „წადით ყველაკაი, აქა მემკრედ<sup>18</sup> არვინ მინა“.   
მონებიცა მოიშორვა<sup>19</sup>, თავი გაითავისწინა.  
მარტო გარე-შემობრუნდა, შამბი შიგან გაირბინა. —  
მიწყვი მისად<sup>20</sup> საგონებლად მისი მკლველი თინათინ ა<sup>21</sup>...

1. მიც < მიძს. 2. G ეს წელიწადი (!). 3. F შემოხვეწელი. 4. ასე G და I; სხვა გნ და დვ კერძად. 5. და=ან(უ)=მეგრ. დო. 6. I ჩემსას. 7. G ესე. 8. F ვარდსა ზრვიდეს (შეად. კაკ<sup>1</sup> 153,3); C ვარდსა სადმე. 9. G კაცსა თავის შემცოდესა; I შემცოდესა შიშისაგან. 10. G ცვილსა. 11. F მსახურებდით. 12. ასე ინგ 169.2; აბ 128.2 არის ვითამც. 13. F მისგან. 14. G და ვანტ სიტყვა. 15. G და ვანტ დაასრულა. 16. ასე G და I; F შეეკაზმა; აბ 121,2 მოეკაზმა. 17. F და G ლაშქარნიცა. 18. ასე F; სხვა გნ და დვ მომკრედ. 19. C და F მოიშორა. 20. F მკლვდის. 21. აბ 122,4 თინათინა(?).

- 109 რა ლაშქართა ინადირეს და პატრონი მოითვალეს,  
იგი პირ-მზე ველარ ნახეს<sup>1</sup>, პირი მათი აფერ-მკრთალეს<sup>2</sup>,  
მათსა დიდსა სიხარულსა სიმძიმილი<sup>3</sup> ანაცვალეს. —  
ყოვლგან<sup>4</sup> რბოდეს საძებარად<sup>5</sup> ვინცა იყო უცხენ-მალეს.
- 110 შერმადინ ერთგან<sup>6</sup> შეყარნა<sup>6</sup> ხასნი და დიდებულები,  
უჩვენა იგი უსტარი, — ამბავი მისი<sup>7</sup>, თქმულები.  
რა მოისმინეს, ყველაი<sup>8</sup> დარჩა გულ-დანაწყულულები,  
თავსა იცემდეს, არ იყო გული უცრემლო, ულები.
- 111 ყოვლთა ჰკადრეს: „თუცა ყოფა ჩვენ უმისოდ გვეარმისცა, —  
უშენოსა საჯდომი<sup>9</sup> და<sup>9</sup> ტახტი<sup>10</sup> მისი<sup>10</sup> ვისმცა მისცა!  
განაღამცა გმორჩილობდით<sup>11</sup>, თუ გვიბრძანო რაცა ვისცა!“ —  
იგი მონა იპატრონეს<sup>12</sup>, ყველაკამან<sup>13</sup> თაყვანის-სცა.

1. ასე F და G; C I და ვახტ კპოეს (შეად. კაკ<sup>1</sup> 159,2); უგ 173,2 პოეს.  
2. ასე F, G და I; სხვა გნ და დგ იფერმკრთალეს. 3. გნ და დგ სამძიმარი(?).  
4. I ყოვლგნით. 5. I საძებნელად. 6. F ერთად შეყარა. 7. G და I მისგან. 8. კაკ<sup>1</sup>  
159,3 ყოველი. 9. I საპელმწიფო. 10. I ანუ ტახტი. 11. ასე C; I და ვახტ გმო-  
რჩილობდეთ (შეად. კაკ<sup>1</sup> 160;3); F დაგმორჩილდეთ. 12. ასე F; სხვა გნ და დგ  
-პატრონეს. 13. G და ყველამან.

კ ა რ ი მ ე ო რ ე

**ავთანდილის მიერ ქებნა და ნახვა ვეფხის-ტყავოსნისა.**

ავთანდილის სიარული ქებნად ვეფხის-ტყავოსნისა. — ვეფხის - ტყავოსნის ხილვა ხატაელ ძმათა ჩვენებით. — მისვლა ავთანდილისა ვეფხის-ტყავოსნის ბინად, შეპყრობა მის მიერ ქალის ასმათისა და ცდა ვეფხის-ტყავოსნის ამბის მისგან შეტყობისა. — შეყრა ავთანდილისა და ვეფხის-ტყავოსნისა, — ინდოეთის ამირბარის ტარიელისა.

- 1 ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახვით<sup>1</sup> გარდაიარა. დაავლო ზღვარი<sup>2</sup> არაბთა, სხვათ ზღვართა<sup>2</sup> არე იარა. — მაგრა მის მზისა გაყრამან სიცოცხლე გაუზიარა! თქვა თუ: „მე მასმცა ვეახელ<sup>3</sup>, აწ ცხელსა ცრემლსა ვღვრი არა!“
- 2 მუნ ეძებს, ცრემლი<sup>4</sup> მტირალსა<sup>4</sup> სდის ზღვათა შესართავისად. უჩნდის ქვეყანა ტახტად და მკლავი სადებლად თავისად. თქვის: „საყვარელო, მოგზორდი, გული შენ დავრჩა, ვთქვა<sup>5</sup> ვისად? შენთვის სიკვდილი მეყოფის ღზინად ჩემისა თავისად.“
- 3 ყოვლი პირი ქვეყანისა მოვლო<sup>6</sup> სრულად<sup>6</sup>, მოიარა, ასრე რომე ცისა ქვეშე არ დაურჩა არე<sup>7</sup> არა,<sup>7</sup> მაგრა იგი მის ამბისა<sup>8</sup> მსმენელსაცა ვერ მიმხედარა! — ამაშიგან წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა.
- 4 მას მიჰხვდა წვერი სადგურად მალლისა მთისა დიდისა. გამოჩნდა მუნით მინდორი სავალი დღისა შვიდისა. მის მთისა ძირსა წყალი დის არად<sup>9</sup> სანდომი კიდისა: ორგნითვე ტყესა შეეკრა ნაპირი წყლისა კიდისა.

1. I ოთხ-ახვი; სხვა გნ და დგ ოთხ-ახვით. 2. ვარ. მზღვარი, მზღვართა. 3. ასე C და D; F ვიახლე; I ვიახელ (კაკ<sup>1</sup> 162,4). 4. I ცრემლთა მტირალი; F ცრემლით მტირალსა; კაკ<sup>1</sup> 165,1 ცრემლი მტირალი. 5. F თქვა. 6. I სრულად მოვლო; G ერთობ სრულად. 7. ასე ინგ 182,2; სხვა დგ და გნ არ იარა. 8. F და I ამბავსა. 9. ასე F, G და I (შეად. უგ 184,3; უიჰ 203,3); სხვა გნ და დგ არათ (შეად. აბ 132,3).

- 5 საგონებელი შეექმნა, დადგა<sup>2</sup> საქმისა<sup>2</sup> მრჩეველად  
თქვა: „თუ დავბრუნდე, — ეზომი ხანი რად დავყავ მე ველად?  
ჩემსა რა ვკადრო მნათობსა, — ვიყავ<sup>2</sup> რად<sup>2</sup> დღეთა მღეველად, —  
მისი ვერა ვცან<sup>3</sup> ჭორადცა<sup>4</sup>, ვარ ვისთა გზათა მკვლეველად?!
- 6 თუ არ დავბრუნდე, საძებრად დავყვნი სხვანიცა ხანანი,  
რომელსა ვეძებ ვერა ვცნენ<sup>5</sup> ამბავნი მე მისთანანი,  
დრო გარდაუწყედეს შერმადინს, მიჰხედენ<sup>6</sup> ლაწვისა ბანანი,  
მივიდეს, ჰკადრნეს<sup>7</sup> მეფესა საქმენი დასაგვანანი,
- 7 უამბოს ჩემი სიკვდილი<sup>8</sup>, თვით ჩემგან დავედრებულნი,  
მათ შექმნან გლოვა, ტირილი, ქმნან საქმე გამწარებული, —  
მერმე მივიდე ცოცხალი, სხვაგან მე სადმე რებული?!“ —  
ამას იგონებს ტირილით გონება-შეიწრებული. —
- 8 მობრუნება დააპირა, სულთ-თქვნა, მერმე ივაგლახა.  
მას მინდორსა დაემართა, გზა თვალითა გამოსახა. —  
თვესა ერთსა სულიერი კაცი არსად არ ენახა. —  
მხეცი იყენეს<sup>9</sup> საშინელნი, მაგრა არა შეუზახა<sup>10</sup>.
- 9 თუცა მხეც-ქმნილი ავთანდილ გულ-ამოსკვნით და კენესით ა,  
ეგრეცა ჭამა მოუნდის ადამის ტომთა წესითა. —  
ისრითა მოჰკლა<sup>11</sup> ნადირი, როსტომის-მკლავს-გურძეს-ითა,  
შამბისა პირსა გარდაკდა, ცეცხლი დააგზო კენესითა.
- 10 ცხენსა მისცა საძოვარი ვირე მწვადნი<sup>12</sup> შეიწოდეს.  
ექვსნი რამე ცხენოსანნი, ნახა<sup>13</sup>, მისკენ მივიდოდეს<sup>14</sup>.  
თქვა თუ: „ჰვეანან მეკობრეთა, თვარა<sup>15</sup> კარგი რამც იცოდეს!  
აქა კაცი ხორციელი, ვეჰ, <sup>16</sup>ყოფილა არაოდეს!

1. F ადგა თავისა. 2. G რად ვიყავ. 3. ასე F, G და I; ვახტ. ვცნა (შეად. აბ 133,4; ვცნა). 4. G ჭორადაც; ვახტ ჭორნიცა. 5. ასე უგ 187,2; სხვა დგ და გნ ვცნენ. 6. ასე C და D; F და I მიხედეს; ვახტ შერჩეს (შეად. აბ 134,3). 7. ასე უგ 187,4; აბ 134,4; კაკ<sup>1</sup> 170,4 და ჭიჭ 206,4 ჰკადროს. 8. F ამბავი. 9. G იყვეს. 10. F და I შეუზახა. 11. გნ და დგ მო(ჰ)კლის(?). 12. ასე C; სხვა გნ და დგ მწვადნი. 13. ასე აბ 138,2; G და I ნახნა. 14. G და I მიდიოდეს (შეად. კაკ<sup>1</sup> 177,2). 15. ვარ. თვარე. თვარამ. 16. ასე ინგ 196,4; სხვა დგ და გნ კვლა.

- 11 კელთა ჰქონდა მშვილდ-ისარი,<sup>1</sup> მათკენ<sup>2</sup> მივა მიფარული.<sup>3</sup>  
 ორთა კაცთა წვეროსანთა ყმა<sup>4</sup> მოჰყვანდა უწვერული;  
 თავსა იყო დაკოდლი, შეებნინდა სისხლსა გული.  
 ტიროდეს და იჭირვოდეს, ცოტა ედგა მას, გლახ, სული.
- 12 უყივლა თუ: „ძმანო, ვინ ხართ? — მეკობრეთა დაგამსგავსენ!<sup>5</sup>“  
 მათ მიუგეს: „დაგვიწყნარდი, გვიშველე რა, ცეცხლნი ავსენ<sup>6</sup>;  
 ვერა გვარგო მოგვიმტკიენე,<sup>7</sup> ჭირნი<sup>8</sup> ჭირით<sup>8</sup> მოგვისავსენ,<sup>9</sup>  
 სატირელნი<sup>10</sup> მოგვიტირენ, ლაწენი შენცა დაიხავსენ<sup>11</sup>“.
- 13 ავთანდღო მიდგა, ეუბნა მათ კაცთა გულ-მდულარეთა.  
 მათ უთხრეს მათი ამბავი, ტირილით მოუბარეთა:  
 „ჩვენ ვართო ძმანი სამნივე, მით ვიდენტ ცრემლთა მწარეთა. —  
 ღია გვაქვს ციხე-ქალაქი ხატაეთს არე-მარეთა.“
- 14 კარგი გვესმა სანადირო, ნადირობას წამოვედით.  
 გყვეს ლაშქარნი უთვალავნი; წყლისა პირსა გადავკედით;  
 სანადირო მოგვეწონა, თვესა ერთსა არ<sup>12</sup> წავედით<sup>12</sup>;  
 ვკოცეთ<sup>13</sup> მხეცი<sup>13</sup> უსაზომო<sup>7</sup> მინდორით და მთით და ქედით.
- 3
- 15 ჩვენ სამთა ძმთა ჩვენთანა მესროლნი დავაწბილენით,  
 მით ერთმანერთსა სამნივე ჩვენ კიდე დავეცილენით:  
 „მე უკეთ მოვკლავ,<sup>14</sup> მე გჯობო“, — სიტყვანი ვაეაქილენით,  
 ვერ გავაჩინეთ მართალი, ვისარჩლეთ, ვითაკილენით.

1. C, D, F და ვახტ. ისარ-მშვილდი. 2. ვარ. მათკე. 3. ან და დგ მხიარუ-  
 ლი(?). 4. C, D, G და I ძმა. 5. ვარ. დაგამსგავსენ. 6. ვარ. ავსენ. 7. ასე აბ 140,3;  
 C, F და I მოგვიმტკიენ; ვახტ მოგვიტირენ. 8. ასე G; ვახტ ჭირი ჭირით (შე-  
 ად. კაკ<sup>1</sup> 179,3; აბ 140,3; ჭიჭ 218,3); F და G ჭირი ჭირსა; I ჭირნი ჭირთა (შეად.  
 უგ 198,3). 9. ვარ. მოგვისავსენ. 10. ასე ვახტ (შეად. ან და დგ); F სატირალი.  
 11. ვარ. დაიხავსენ; კაკ<sup>1</sup> 179,4 დაიხავსენ; F დაიხავსენ(?); ინგ 198,4 დაიხავსენ.  
 12. F, G და I აქა ვდგეით, ვდგეით (შეად. კაკ<sup>1</sup> 181,3). 13. ასე F (შეად. აბ 142,4);  
 C, D და I ვგოცდით მგეცსა უსაზომსა; G ვგოცეთ მგეცნი უსაზომო. 14. C  
 მოვკვალ.

- 16 დღეს აეყარენით ლაშქარნი, საესენი ირმის ტყავითა.  
ეთქეთ: „გავაჩინოთ მართალი, ვინ ვჯობთ თავისა მკლავითა;  
თავსა ვეახლნეთ მარტონი, დავდგეთ თავისა<sup>1</sup>-თავითა,  
თვით-დანახულსა მოვკლვიდეთ, ნუ ვესვრით<sup>2</sup> დამნახავითა.“
- 17 ჩვენ ვიახლენით სამთავე სამნივე<sup>4</sup> მებაჯრენია.<sup>4</sup>  
ლაშქართა წასვლა ვუბრძანეთ, — ვართ<sup>5</sup> არას მოაზრენია!  
მოვინადირეთ მინდორი, ისი ტყენი და ღრენია.  
დავკოცეთ მკეცი, მფრინველი არცა<sup>6</sup> ზე<sup>6</sup>-გადაგვტრენია!
- 18 ანახლად მოყმე გამოჩნდა კუშტი, პირ-გამქუშავია.  
ზედან ჯდა შავსა ტაიჭსა, — მერანი რამე შავია!  
თავსა და ტანსა ემოსა გარე თმა-ვეფხის-ტყავია. —  
ჯერთ მისი მსგავსი შეენება<sup>7</sup> კაცთაგან უნახავია!
- 19 ვუქვრიტეთ, მისთა ელვათა შუქნი ძლივ განვიცადენით.  
ეთქეთ თუ: „მზეაო ქვეყანად, ნუ ვიუბნებით<sup>8</sup> ცად<sup>9</sup> ენით!<sup>9</sup>“  
მისი მოვინდინდა შეპყრობა, ვკადრეთ და შევეცადენით.  
ასრე სულთ-თქმით და ვაებით მით ვართ, ცრემლისა<sup>10</sup> წადენით<sup>10</sup>.
- 20 მე უხუცესმა უმცროსთა კაცი დავსთხოვე ქენებით.  
ჩემმან შემდეგმან<sup>11</sup> ტაიჭი მისი მით აქო კსენებით.  
ამან მართ ოდენ მორევნა გვითხრა<sup>12</sup>, — ვუვალეთ<sup>13</sup>, ვენებით<sup>14</sup>.  
მივპართეთ, იგი აგრევე წყნარად მივა და შევენებით.

1. C მართ ოდენ. 2. ვარ. მოვკლვედით. 3. C. ვისრით. 4. C სამნი მებაჯრენია. 5. აბ 145,2 და სხვ. მით; ინგ 203,2 მართ. 6. C რაცა ზედ. 7. ასე C (შეად. აბ 146,4); F და G შეენებით. 8. კნ და დგ ვეუბნებით. 9. კაკ<sup>1</sup> 186,2 ცადენით. 10. უგ ... დადენით; ვახტ და ინგ 205,4 ცრემლისაცა დენით. 11. C შემდეგმან (შეად. აბ 148,2). 12. ასე F (შეად. კაკ<sup>1</sup> 187,3 და უგ 206,3); სხვა კნ და დგ გვითხრა. 13. ასე ჰიჭ 226,3; G და I უვალეთ (შეად. კაკ<sup>1</sup> 187,3; აბ 148,3); უგ 206,3 ვუვალეთ; C და D უვალეთ; F უთვალეთ. 14. F, G და I ჩვენ ნებით (შეად. აბ 148,3); C და D ჩვენ ეებით (?); უგ 206,3 ჩვენებით.

- 21 ბროლმან ლალსა გარეულმან ვარდნი თხელნი ანატიფნა. იგი ტკბილნი გონებანი ჩვენნი<sup>1</sup> მეტად განამყიფნა.<sup>2</sup> არ აგვიხვნა, არცა დაგვსხნა,<sup>3</sup> ყოლა არად ამოგვეკრიფნა, მისნი მკვახედ მოუბარნი მათრაკითა შეგვამწიფნა.
- 22 უმცროსსა ძმასა მივეციტ, უფროსნი<sup>4</sup> გავეზიდენით.<sup>5</sup> კელი მოჰკიდა, — დადევო! — ესეცა<sup>6</sup> ჰკადრა კიდ ენით. მან კრმალსა კელი არ მიჰყო, ჩვენ ამად გავეკიდენით,<sup>7</sup> — თავსა დადაჰკრა მათრაკი, ენახეთ სისხლისა კი დენით!
- 23 მით ერთითა მათრაკითა თავი ასრე გარდაჰტერიწა, — ვითა მკედარი უსულო ჰქმნა, ვითა მიწა დაამიწა! — მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა,<sup>8</sup> მოამიწა.<sup>9</sup> თვალთა წინა წაგვივიდა ლალი, კუმტი, ამაყი, წა —! —
- 24 აღარ დაბრუნდა, წავიდა წყნარად და აუჩქარებლად. — აგერა მივა, ნახეო, იგი მზეებრ და მმთვარებლად! — შორს უჩვენებდეს აეთანდილს მტირალნი გაუხარებლად. ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი მისი, მის მზისა მარებლად. —
- 25 აჰა მიხვდა აეთანდილსა ლაწვეთა ცრემლით არ დათოვნა, რათგან ცუდად არ წაუკდა მას ეზომი გარედ ყოვნა. — კაცსა მიხვდეს საწადელი, — რას ეძებდა,<sup>10</sup> უნდა<sup>11</sup> პოვნა, მაშინ მიხვან აღარა კამს გარდასრულთა ჭირთა კსოვნა. —
- 26 უთხრა თუ: „ძმანო, ვარ ვინმე ლარიბი უადგილოსა. მე იმა ყმისა საძებრად მოვშორდი სავაზრდილოსა, აწ თქვენგან მივჰხვდი საქმესა ყოლა<sup>12</sup> არ საადვილოსა, ღმერთიმცა ნურას ნულარ იქმს თქვენსა სადაღრეჯილოსა!<sup>13</sup>“

1. გნ და დგ ჩვენთვის. 2. აბ 149,2 გააყიფნა; ინგ 207,2 გაამყიფნა. 3. C დაგვსხნა. 4. ასე კაკ<sup>2</sup> 186,1; სხვა დგ და გნ უფროსსა(?) 5. ინგ 208,1 არ ვეკიდენით; სხვა გნ და დგ დავეზიდენით(?) 6. ინგ 208,2 ესოდენ. 7. გნ და დგ დავეკრიფდენით. 8. C მოამდაბლა. 9. C ამიწა. 10. გნ და დგ ეძებდეს. 11. C მისი. 12. კაკ<sup>1</sup> 193,3 ძნელსა. 13. გნ და დგ დასაღრეჯილოსა(?).

- 27 ვითა მე მივკვხვდი წადილსა ჩემის გულისა, ნებასა,  
აგრემცა ღმერთი ნურას იქმს ძმისა თქვენისა ვნებასა!“ —  
უჩვენა მისი სადგომი: „მიდითო ნება-ნებისა,  
ჩრდილსა გარდასეთ, მაშვრალნი! მიეციო მოსვენებასა.“ —
- 28 ესე უთხრა და წავიდა, ცხენი გაქუსლა დეზითა,  
ვითა გავაზი გაფრინდა, რა<sup>2</sup> გაშვებულნი<sup>2</sup> ხეზით ა,  
ან მთვარე მზისა შემყრელი, —მზე სინათლით<sup>3</sup> ა<sup>3</sup> ზეზითა.<sup>3</sup> —  
დაივსო ცეცხლი შემწველი მისითა მან მიზეზითა! —
- 29 მიეწურა, ივონებდა, ახლოს შეყრა ვითა ავოს:  
„საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს!  
კამს თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,  
არ სიწყნარე გონებისა მოიძულოს,<sup>4</sup> მოიძაგოს.
- 30 რათგან ისი არის სადმე უცნობოდ და ისრე რეტად,  
რომე კაცსა არ მიუშვებს საუბრად და მისად ჭერეტად,  
მივეწვევი, — შევიყრებით ერთმანერთის ცემა-ჟლეტად,  
ანუ მომკლავს,<sup>5</sup> ანუ მოვკლავ<sup>6</sup>. . .“ და<sup>7</sup> იმაღვის<sup>7</sup> მეტის-მეტად.
- 31 დღისით ვლეს და სალამო-ჟამს გამოუჩნდეს დიდნი კლდენი.  
კლდეთა შიგან ქვაბნი იყენეს, ძირსა<sup>8</sup> წყალი ჩანადენი.  
წყლისა პირსა არ ითქმოდა შამბი იყო თუ რასდენი<sup>9</sup>, —  
ხე დიდრონი,<sup>10</sup> თვალ-უწვდომი,<sup>11</sup> მალლა კლდემდის ანაყდენი.
- 32 მან ყმაძან ქვაბსა მიჰმართა, გავლნა წყალნი და ტყენია<sup>12</sup>.  
ავთანდილ ცხენსა გარდაკდა, მონახა დიდნი ზენია,  
მას ზედა ჭერეტად გავიდა, ძირსა დააბა ცხენია,  
მუნით უჭერეტდა, — იგი ყმა მივა<sup>13</sup> ცრემლ-მონადენია.

1. C მაშვრალი (შეად. კაკ<sup>1</sup> 194.4). 2. გნ და დგ არ გაშვებულნი ხეზითა(?).  
3. გნ და დგ მზე სინათლითა ზეზითა. 4. C მოიძულვოს. 5. C მოვკლავ. 6. C მომკლავს. 7. კაკ<sup>1</sup> 197.4 დავიკარგვით(?). 8. C პირსა. 9. ვარ. რამდენი. 10. C დიდრუან. 11. C თვალ-უცხოში; აბ 159,4 თვალ-უწოში. 12. აბ. 160,1 და სხვ. კლდენია. 13. C მისდის; კაკ<sup>1</sup> 201,4 მეტად.

- 33 რა ტყენი გავლნა მან ყმამან, მოსილმან ვეფხის ტყავითა,  
ქვაბისა<sup>1</sup> კარსა<sup>1</sup> გამოდგა ქალი ჯუბითა შავითა,  
ატირდა მალლად, ცრემლითა ზღვათაცა შასართავითა.  
იგი ყმა ცხენსა გარდაკდა, ყელსა მოეჭდო მკლავითა.
- 34 იგი ტყერი გაეკშირა დანაგლეჯსა მათსა თმასა!  
ერთმანერთსა ეხვევოდეს ყმა ქალსა და ქალი ყმასა.  
იზახდიან, მოსთქმიდიან, მისცემდიან კლდენი კმასა. —  
ავთანდილ სჭერეტს გაკვირვებით მათსა აგრე ქცევა-ზმასა.
- 35 სული დაიღო მან ქალმან, დათმო გულისა წყლულობა,  
ქვაბს შეიყვანა ტაიჭი, მოჰკადა აღკახმულობა,  
მას ყმასა შეჰქსნა, შეიღო აბჯრისა წელ-მორტყმულობა.  
შინა შევიდეს, მას დღესა გარდაკდა გამოსრულობა.
- 36 ავთანდილს უკვირს, — ამბავი ისი თუ ვცნაო მე რითა?! —  
გათენდა, ქალი გამოდგა<sup>2</sup> მოსილი მითვე ფერიითა,  
შავსა აუღდა ლაგამი, სწმენდა რიდისა წვერითა,  
შეკაზმა, მოაქვს აბჯარი წყნარად, არ რამე ჩხერიითა.
- 37 ავთანდილ ახლოს კვლა ნახა სახე მისავე კაცისა;  
ულვაშ-აშლილი, წვერ-გამო, — ნუ თუ მზეაო, თქვა, ცისა! —  
ეყნოსა სული<sup>2</sup> ალვისა, ქართავან მონატაცისა. —  
ასრე უჩნს მოკლეა ლომისა მართ ვითა ლომსა ვაცისა!<sup>4</sup>
- 38 მასვე გზასა წამოვიდა რომე გუშინ შეეარა.  
შამბი გავლო, გაეშორა, თავი მინდორს გააგარა. —  
ავთანდილ სჭერეტს გაკვირვებით, მალვით, — ხესა მოეფარა,  
თქვა თუ: „ღმერთმან ესე საქმე მეტად კარგად მომიგვარა!“ —

1. F მათ ქვაბთა კართა. 2. კაკ<sup>1</sup> 205.2 გარდმოდგა. 3. აბ 166.3 სუნი. 4. F  
კატისა; კაკ<sup>1</sup> 207.4 კაცისა.

- 39 ჩამოვიდა, ცხენი აესნა მისგან ხესა გამობმული,  
ზედან შეჯდა, გაემართა. ქვაბი იყო კარ-განხმული.<sup>1</sup>  
მუნით ქალი გამოიჭრა გულ-მდუღარე, ცრემლ-დასხმული.  
ევონა თუ დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლ-ბაკმული.<sup>2</sup>
- 40 ვერ იცნა, სახე არ ჰგვანდა მისი მის ყმისა სახესა.  
ფიცხლად გაიქცა, მიჰმართა ზახილით კლდესა და ხესა.  
ყმა გადაიჭრა, დააბა ვითა კაკაბი მახესა.  
კმას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერთ-სახესა.
- 41 მას ყმისა თავი არ მისცა, ჰვერეტადცა ებილწებოდა.  
ვითა კაკაბი არწივისა ქვეშე მიდამო ძრწებოდა.<sup>3</sup>  
ტარიელს ვისმე უზახდა მწედ, თუცა არ ემწებოდა!  
ავთანდილ მუკლთა უყრიდა, თითითა ეხვეწებოდა.
- 42 ეტყოდა: „სულე, რამც იყავ, კაცი ვარ, ადამიანი!  
უფერო-ქმნილნი მინახვან ვარდნი და ისი იანი, —  
მისი რამ მითხარ, — ვინ არის ტან-საროჲ პირ-ბაკმიანი?  
სხვად არას გიზამ,<sup>4</sup> ნუ გეშის, ნუ ყივი აგრე კმიანი!“
- 43 ქალი ეტყოდა ტირილით, — სარჩელი უგავს ბრჭობასა:  
„თუ არ შმაგი ხარ, დამეკსენ, — შმაგი ხარ, მოდი ცნობასა!  
აწ მეტად ძნელსა საქმესა მნუკავ<sup>5</sup> ადვილად თხრობასა!  
ტულად ნუ სცდები,<sup>6</sup> ნუ ელი მავა ამბისა მბობასა!“<sup>7</sup>
- 44 კვლაცა ჰკითხა ზენარობით, მოუყარნა მუკლნი წინა,  
მავრა ვერა<sup>8</sup> ვერ დაჰყარა, მუდარობა მოეწყინა,  
პირსა ზედან გაგულისდა, თვალთა სისხლი მოედინა,  
ადგა, თმითა<sup>9</sup> წამოზინდა, ყელსა დანა დააბჯინა.

1. C კარ-გახმული. 2. ასე C; F, G და I ფერ-ბაკმული. 3. C წრწებოდა; კაკ<sup>1</sup> 212,2 კრთებოდა. 4. ინგ 233,4 გკადრებ. 5. ვარ. მნუკევ. 6. ვარ. სცთები. 7. C ცნობასა. 8. ვერა < ვერ-რა. 9. თმათა.

- 45 ეგრე უთხრა: „მე ეზომი ჯავრი ვითა შეგარჩინო?!  
რაგვარა თუ ამატურო, ცრემლი ცუდათ დამადინო!  
ვიჯობს მითხრა, ამის მეტი მართ არლარა არ გაწყინო,  
თვარა ღმერთმან მტერი ჩემი მოკლას, ვითა მოვაკვდინო!“
- 46 ქალმან უთხრა: „ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი;  
თუ არ მომკლავ: არ მოვეკვდები, მრთელი ვარ და მოუტკლავი,  
რად რა გითხრა, სადამდისცა ვიყო ჭირთა უნახავი!  
კელა თუ მომკლა, სასაუბროდ აღარ მედგას<sup>1</sup> ზედან თავი. —
- 47 ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატიუად ნურად გგონია,  
მით რომე დამკსნი ტირილსა, შემშრების ცრემლთა ფონია,  
ჩალად მიჩნს ყოველი სოფელი, მისთვისვე შემიწონია! —  
ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრნე<sup>2</sup> სიტყვანი მისანდონია!“
- 48 ყმამან თქვა თუ: „არ ერგების აწ ამისი ასრე თქმევა,  
სხვისა<sup>3</sup> რასმე<sup>3</sup> მოგონება<sup>3</sup> სჯობს, საქმისა გამორჩევა.“ —  
გაუშვა და ცალკე დაჯდა, ტირს, დაუწყო<sup>4</sup> ცრემლთა ფრქვევა.  
ქალსა უთხრა: „გაგარისხე, აწ არ<sup>5</sup> ვიცი<sup>5</sup>, ვით დავრჩე, ვა!“
- 49 ქალი დაუჯდა კუშტ-გვარად, ქუშობს ჯერთ არ დამტკბარია,  
ავთანდილ ქვე-ზის ტირილად აღარას მოუბარია. —  
ვარდისა ბალსა მოგუბდა ცრემლისა ნაგუბარია.<sup>6</sup> —  
კელა იქათ ქალი ატირდა მისთვის გულ-ნალმობარია. —
- 50 ყმა მტირალი შეებრალა, ამაღ ცხელნი ცრემლნი ღვარნა.  
მავრა უჯდა უცხოს უცხო, არ ბაგენი აუბარნა.  
ყმამან ცნა<sup>7</sup> თუ — გონებანი ჩქარნი ჩემთვის დააწყენარნა! —  
ცრემლ-დენილი შეეხვეწა, ადგა, მუკლნი მოუყარნა.

1. ასე C (შეად. უგ 240,4); სხვა გნ და დგ მებას. 2. ასე ინგ 242,4; სხვა გნ და დგ გითხრა(?). 3. ასე C; კაკ<sup>1</sup> 222,2 სხვისა რასმე მოგვარება; სხვა გნ და დგ სხვასა რასმე მოვიგონებ. 4. C და იწყო; კაკ<sup>1</sup> 222,3 დაიწყო. 5. C ესე თქვი. 6. გნ და დგ საგუბარია(?). 7. კაკ<sup>1</sup> 224,3 თქვა.

- 51 უთხრა: „ვიცი, აღარ ვარგხარ შენ<sup>1</sup> აწ<sup>1</sup> ჩემად<sup>1</sup> დასადობლად.<sup>2</sup> გაგარისხე, დარჩომილვარ<sup>3</sup> ღარიბად და ამად ობლად. აწ ეგრეცა თავი ჩემი დამიც<sup>4</sup> შენდა დასანდობლად. ამად რომე შეცოდება შეიდჯერ თქმულა შესანდობლად.
- 52 თავი ჩემი სამსახურად თუცა ავად მოგაწონე, — მიჯნურისა შებრალება კამს, ესეცა გაიგონე! სხევანით ყოვლგნით უღონო ვარ, არვინ<sup>5</sup> არის ჩემი ღონე, — სულთა მოგცემ გულისათვის, სხვა მეტიმცა რა გაქონე!
- 53 ვარ მიჯნური ხელი ვინმე გაუძღებლად<sup>6</sup> სულთა-დგმისად. ჩემმან მზემან გამომგზავნა საძებარად<sup>7</sup> იმა ყმისად. — ღრუბელიცა ვერ მიჰხვდების მე მისრულვარ სად<sup>8</sup> ამისად!<sup>8</sup> — გულნი<sup>9</sup> თქვენნი<sup>9</sup> მიჰოვნია<sup>9</sup> — მისი შენად<sup>10</sup>, შენი მისად.
- 54 მისი სახე გულსა ჩემსა ხატად ასრე გამოვხატე, ვისთვის<sup>11</sup> ხელმან, გამოჭრილმან ღზინი ჩემი ვაალქატე. — ორისაგან ერთი მიყავ, — ტყვე-მქმენ<sup>12</sup> ანუ მანაზატე. ან მაცოცხლე, ანუ მომკალ, ჳირი ჳირსა მომიმატე!“
- 55 ქალმან უთხრა ყმასა სიტყვა პირველისგან უამესი: „ეგე ღონე<sup>13</sup> მოიგონე დია რამე უკეთესი; წელან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა შთამოსთვის<sup>14</sup>, აწ მოყვარე გიჰოვნევარ, დისაგანცა უფრო დესი.

1. აბ 181,1 შენ აწ ჩემდა; კაკ<sup>1</sup> 225,1 შენ ჩემისა. 2. ჳიჳ 271,1 დად სანდობლად; აბ 181,1 და კაკ<sup>1</sup> 225,1 დასანდობლად; C დასანდობლად. 3. C დაგრჩომილვარ; სხვა გნ და დგ დაგრჩომივარ. 4. დამიც<დამიძს. 5. ინგ 247,3 შენგნით. 6. F, G და I გაუძღობლად(!); კაკ<sup>1</sup> 229,1 გაუწყვეტლად(?!). 7. C საძებნელად. 8. უგ 250,3 სადა, მი—, სად; კაკ<sup>1</sup> 229,3 სადა ვლისად(!). 9. G და ვანტ გული შენი მიჰოვნია; სხვა გნ და დგ გული თქვენი მიჰოვნია. 10. უგ 254,4 და კაკ<sup>1</sup> 229,4 შენდა. 11. გნ და დგ მისთვის. 12. C ტყვედ-მქენ; კაკ<sup>1</sup> 230,3 ტყვე მყავ. 13. C სიტყვა (შეად. უგ 252,2). 14. ვარ. ჩამო(ს)თვის.

- 56 აწ რაცა გითხრა თუ ამა საქმესა დამმორჩილდები,  
რასაცა ეძებ, — მიჰხედები უცილოდ, არ ასცილდები.  
თუ არ მოჰისმენ, ვერ ჰპოვებ, რაზომცა<sup>1</sup> ცრემლსა ჰმილდები.  
მოგხედების მღურვა სოფლისა, მოსცდები,<sup>2</sup> გაცასწილდები“.
- 57 ყმამან უთხრა: „ეგე საქმე ამას ჰგავსო, არა სხვასა:  
ორნი კაცი მივიდოდეს<sup>3</sup> სადაურნი სადმე გზასა.  
უკანამა წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჰასა.  
ზედ მიადგა<sup>4</sup>, ჩაჰყოდა, ტირს, იზახის ვაგლახ-ვისა.
- 58 ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იყავ მადა,<sup>5</sup> მომიციდიდე,  
წაველ თოკთა მოსახემელად, მწადსო თუცა<sup>6</sup> ამოგზიდე“.  
მას ქვეშეთსა გაეცინა, გაუკვირდა მეტად კიდე,  
შემოჰკიელა: „არ გელოდე, — სად გაგექცე, სად წავიდე“<sup>7</sup>“
- 59 აწ. დაო, შენთა კელთა ჩემი საბელი ყელისა.  
სხვად, ულონოა უშენოდ ჩემგან აპურობა კელისა.  
რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა.  
თვარ ვისმცა ექმნა გეარლითა<sup>7</sup> შეკრვა თავისა მრთელისა!“
- 60 ქალმან უთხრა: „მომეწონა, ყმაო, შენი საუბარი,  
ხარ უცილოდ კარგი ვინმე მოყმე, ბრძენთა საქებარი, —  
ხარ<sup>8</sup> ვინათგან<sup>8</sup> აქანამდის მავა ჰქირთა დამთმობარი, —  
რაცა გითხრა მომისმინე, — გიპოვნია<sup>9</sup> საქებარი!
- 61 გითხრობ,<sup>10</sup> თუ ცოდნა გწადიან ჩვენისა<sup>11</sup> შენ სახელისა:  
ტარიელ არის სახელი იმა მოყმისა ხელისა.  
მე ასმათ მქვიან, რომელსა წვა მაქეს<sup>12</sup> ცეცხლისა ცხელისა.  
სულთ-დგმა<sup>13</sup> სულთ-თქემისა ბევრისა, მაშა თუ არ ერთკელისა.

1. < რაზომ-მცა. 2. ინგ 254.4 საქმესა: სხვა დგ და ონ მოჰკედები. 3. ასე კაკ<sup>1</sup> 233.2; სხვა დგ და ონ მიდიოდეს. 4. კაკ<sup>1</sup> 233.4 წაადგა. 5. ონ და დგ მანდა. 6. ინგ 256.2 თუმცა (?). 7. G და ვახტ გოარლითა; I გურგალავით. 8. ასე C (შე-ად. უგ 258.3 და კაკ<sup>1</sup> 236.3). 9. ასე C (შეად. უგ 258.4 და კაკ<sup>1</sup> 236.4); სხვა ონ და დგ გიპოვნევარ. 10. ინგ 260.1 გითხრა. 11. C მისისა. 12. კაკ<sup>1</sup> 237.3 მუირს; ინგ 260.3 მკლავს. 13. ონ და დგ სულთქმა, სულთ-თქმა (!).

- 62 ამას გვედრებ, — მოიცადო, თავი სხვაგან არსად არო.  
რა მოვიდეს შევეხვეწო, ნუთუ ვით<sup>1</sup> რა<sup>1</sup> მოვაგვარო, —  
ერთმანერთსა შეგამეცნენ, თავი შენი შევაყვარო,  
ვით გიამბოს საქმე მისი, საყვარელსა გაახარო.
- 63 ქალსა ყმამან მოუსმინა, დაპმორჩილდა, დაპრთო ნება.  
ამაზედან<sup>2</sup> მოიხედეს,<sup>3</sup> — კევით ესმა ჩხაპუნება.  
მთვარე წყალსა გამოსრული ნახეს,<sup>4</sup> — შუქთა მოფინება<sup>5</sup>.  
უკუ-პრიდეს, აღარა ქმნეს მუნ ხანისა დაყოვნება.
- 64 ქალმან უთხრა: „ყმაო, ღმერთმან მოგცა ჟამად რაცა გინა,  
მაგრა თავი უჩინო ქმენ, დამალული იყავ შინა.  
იმა ყმისა მუენებლე კორციელი არავინ ა!  
ნუთუ<sup>6</sup> ვით<sup>6</sup> რა<sup>6</sup> მოვაგვარო, — შენი ნახვა არ ეწყინა.“
- 65 ავთანდილ ქვაბსა დამალა<sup>7</sup> ქალმან,<sup>7</sup> — მალვითა<sup>7</sup> ძლითა. —  
იგი ყმა ცხენსა გარდაკდა, შენოდა კაპარქ-კრმალითა.  
ატირდეს მალლად, ცრემლითა ზღვათაცა შესამალითა. —  
ავთანდილ სარკმლით უჭვრეტდა ქვრეტითა იღუმალითა. —
- 66 ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლითა<sup>8</sup> ბანამან.,  
დიდ-ხანს იტირეს ყმამან და ქალმან მან შავოსანამან. —  
შეკჳსნა, შეილო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან.  
დადუმდეს, ცრემლნი მოკჳვეთნა შავმან გიშრისა დანამან.
- 67 ავთანდილ სარკმლით უჭვრეტდა, — ტყვე საკნით სააზატები.<sup>9</sup>  
მან ქალმან ქვეშე დაუგო ვეფხის ტყავისა ნატები,  
მას ზედა დაჯდა იგი ყმა, სულთ-თქვამს ჳირ-მონამატები.  
სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატები.

1. C ვითა. 2. <ამას ზედან; აბ 195,2 და ჳიჭ 289,2 ამას ზედა; უგ 263,2 და კაკ<sup>1</sup> 240,2 ამაზედა, 3. C მოიხედნეს. 4. C ვნახე. 5. კაკ<sup>1</sup> 240,4 მოვანება. 6. C თუ ვითა რა. 7. C დამალვით; კაკ<sup>1</sup> 242,1 და უგ 265,1 ქალმან დამალა ქვაბს დამალვითა. 8. ბნ და დგ ცრემლისა. 9. ენ და დგ ნააზატები (?).

- 68 „რად<sup>1</sup> დაბრუნდი<sup>1</sup>“, მოახსენა,<sup>1</sup> „მითხარ რაცა წაგეკიდა?“  
მან უბრძანა: „მონადირე მეფე ვინმე გარდმეკიდა.  
ჰყვეს ლაშქარნი უთვალავნი, ბარგი მძიმედ აეკიდა.  
იგი მინდორს ნადირობდა, დაეფანჩეა მარეკი, და!“
- 69 სევდათ მეცა კაცთა ნახვა, ცეცხლი უფრო გავიალე.  
არ<sup>2</sup> მიეუფელ<sup>2</sup> ახლოს შეყრად, თავი ჩემი შევიწყალე.  
მათგან მკრთალი შემოვბრუნდი, ტყესა შიგან დავიმაღლე.  
ვთქვი:<sup>3</sup> „ნუთუმცა უკუ-მრიდა, რა გათენდეს, წავალ ხვალე.“<sup>4</sup>
- 70 ქალსა ცრემლნი<sup>4</sup> გარდმოსცივდეს<sup>4</sup> ას-ნაკეცად.<sup>5</sup> ბევრის-ბევრად<sup>5</sup>.  
მოაკსენა: „მკეცთა თანა იარები მარტო ტვერად,  
არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად.  
მას მაგითა ვერას არგებ, დღეთა შენთა ცუდად ჰლევ რად?“
- 71 უბრძანა: „დაო, ეგვა მსგავსი შენისა გულისა,  
მაგრა არ არის ქვეყანად წამალი ამა წყლულისა.  
ვის ძალ-უც პოვნა კაცისა თვით სოფლად არ მოსრულისა! —  
ჩემი ღზინია სიკვდილი, გაყრა კორცთა და სულისა.
- 72 ღმერთმან სხვამცა ეტლსა ჩემსა სადმცა<sup>6</sup> კაცი რად<sup>7</sup> დაბადა,  
სიახლე და საუბარი თუცა<sup>8</sup> მისი მე მეწადა!  
ვინმცა გასძლნა ჭირნი ჩემნი, ანუ ვინმცა შეეცადა! —  
შენგან კიდე კორციელი, დაო, მივის არა-სადა.“
- 73 ქალმან ჰკადრა<sup>9</sup>: „არ გამიწყრე, ვიშიშვი და ვიაჯ დია.  
რათგან ღმერთსა ვაზირობა შენი ჩემზედ მოუგდია,  
ვერ დავმალავ, უკეთესი<sup>10</sup> რაცა საქმე გამიცდია:  
არ-რა<sup>11</sup> ეარგა უსაზომო, — თავი<sup>12</sup> ზომსა<sup>12</sup> გარდგიკია!“

1. ასე C (შეად. უგ 270,1); ვარ. ზოგსენა: «რად. დაბრუნდი» (შეად. აბ 260,1). 2. ასე უგ 271,2 და კაკ<sup>1</sup> 248,2 (მიუფე); სხვა დგ და გნ არ მივეო. 3. კაკ<sup>1</sup> 248,4 დღეს. 4. ასე აბ 202,1; უიუ 208,1 ცრემლი გარდმოსცივდეს; ინგ 172,1 ცრემლი გარდმოსცივდა. 5. C ას-ნაკეცნი, ბევრი-ბევრად; ინგ 272,1 ას-ნაკეცი, ათას-ბევრად. 6. C. რადმცა. 7. C რა; კაკ<sup>1</sup> 252,1 (ღმერთმან) ეტლსა ჩემსა რადმცა კაცი სხვამცა (რად დაბადა). 8. აბ 205,2 თუმცა. 9. კაკ<sup>1</sup> 253,1 უთხრა. 10. ასე C; სხვა გნ და დგ უკეთესსა. 11. გნ და დგ არა. 12. ასე ინგ 276,4; ზოგი გნ და დგ ზომსა თავი.

- 74 ყმამან უთხრა: „რას მენუევი<sup>1</sup> არა ვიცი, გამიცხადე!  
კაცი ჩემად სამსახურად უღმრთოდ მემცა ვით დავბადე!  
ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე!  
განალამცა გავნადირდი, თავი ასრე გაეიკადე!“
- 75 ქალნან კვლა ჰკადრა: „გავსაჯე მეტითა შეგონებითა, —  
მაგრა თუ კაცი მოგვევარო, — მოგყვეს თავისა ნებითა,  
იგი გეახლოს<sup>2</sup>, ილხენდე მისითა შემეცნებითა, —  
ფიცე არ მოჰკლა, არ ეყო<sup>3</sup> რას<sup>4</sup> საენებლისა<sup>5</sup> ვნებითა.“
- 76 ყმამან<sup>6</sup> უთხრა<sup>6</sup>: „თუ მაჩვენებ<sup>7</sup>, — ვნახვე, დიდად<sup>8</sup> გავიხარებ.  
სიყვარულმან მისმან, ვისთვის ხელი მიწდორს თავსა ვარებ,  
არას ვუზამ უგემურსა, არათ<sup>9</sup> ოდეს გავამწარებ.  
რაცა ჩემგან ეამების<sup>10</sup> ვაამებ, და შეეიყვარებ.“
- 77 ქალი ადგა და წავიდა მის ყმისა მოსაყვანებლად, —  
„არ ეწყინაო“, უამბობს, არს მისად მაგულენებლად,  
კელი მოჰკიდა, მოჰყვანდა ვით მთვარე მოსავენებლად. —  
იგი რა ნახა ტარიელ, თქვა მზისა დასაგვენებლად! —
- 78 გამოეგება ტარიელ, ჰმართებს ორთავე მზე დარად,  
ანუ ცით მთვარე უღრუბლოთ<sup>14</sup> შუქთა მოჰფენდეს ქვე ბარად,  
რომე მათთანა ალვისა ხეცა ვარგიყოს<sup>12</sup> ხედ არად! —  
ჰგვანდეს შეიღთავე მნათობთა, სხვადმცა რისად<sup>13</sup> ეთქვი მედარად!<sup>14</sup>
- 79 მობრუნდა,<sup>15</sup> ყმამან აეთანდილოს<sup>16</sup> კელი შეუპყრა<sup>16</sup> კელითა.  
ერთგან დასხდეს და იტირეს დიდ-ხანს ცრემლითა ცხელითა.  
ასმათი სულსა უღებდა სიტყვითა საურველითა<sup>17</sup>:  
„თავთა ნუ დაჰკოცთ, ნუ ბნელ-იქმთ მზეთა<sup>18</sup> თქვენითა ბნელითა!“

1. G მენუევი. 2. აბ 208,3 გიახლოს. 3. ენ და დვ იყო. 4. ენ და დვ არ(?).  
5. კაკ<sup>1</sup> 255,4 საენებელი. 6. C და D მან უბრძანა. 7. ვარ. მიჩვენებ. 8. ვარ. მეტად.  
9. ასე C (შეად. აბ 209,3); F არცა; სხვა დვ არა. 10. აბ 209,4 იამების. 11. უგ  
231,2 უღრუბლო; აბ 211,2 და ჭიჭი 310,2 უღრუბლოდ.—უღრუბლოთ < უღრუ-  
ბლოთ. 12. C ვარგიყო. 13. ასე ინგ 281,4; უგ 281,4 რასად; კაკ<sup>1</sup> 258,4 რადა;  
სხვა დვ ენ რისა. 14. აბ 211,4 და სხვა მე დარად; ინგ 281,4 მე და რად. 15. ასე  
C და I; G და ვახტ მობრუნდეს (შეად. დვ). 16. G კელი აეთანდილოს ყმამან შე-  
უპყრანა. 17. ენ და დვ საკვირველითა(?). 18. ენ და დვ მზესა.

- 80 ტარიელის ვარდი იყო დათრვილული, არ დაზრული. —  
კმასა უთხრა: „მესწრაფების, მითხარ შენი დაფარული;  
ვინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური სად<sup>1</sup> მოსრული? —  
მე სიკვდილსა აღარ ვახსოვ, ვარ მისგანცა განწირული.“
- 81 ავთანდილ გასცა პასუხი, — სიტყვები ლამაზებია:  
„ლომო და გმირო ტარიელ, ვის თავი<sup>2</sup> გინაზებია!  
მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია.  
მიჯნურობითა დავმწვარვარ, ცეცხლი უშრეტე მგზებია.“
- 82 მე პატრონისა ჩემისა ასული შემყვარებია. —  
თვით მეფედ მათად მას ხედვენ მონები მკლავ-მაგრებია. —  
თუცა არ მიცნობ, — გინახავ, თავი<sup>3</sup> ვით<sup>3</sup> გიაზრებია:  
გახსოვსცა, ოდეს დაჰკოცე<sup>4</sup> მონები არ საპყრებია?<sup>5</sup>
- 83 შენ მიხდორს გნახეთ გაჭრილი, ჩვენ ზედა გარდგეკიდენით.  
პატრონი ჩემი გაგიწყრა, ჩვენ კაფად წაგეკიდენით.  
გიკმეთ, არ მოხველ, ლაშქარნი უკანა გამოგკიდენით.  
შენ ველნი წითლად შეჰღებენ<sup>6</sup> სრულად სისხლისა კი<sup>7</sup> დენით.<sup>7</sup>
- 84 ყველაკასა მათრაკითა თავი უკრმლოდ გარდაჰკვეთეთ<sup>8</sup>. —  
მეფე შეჯდა, — დაგვეკარგე, კვალი შენი ვერ მოვკვეთეთ, —  
ვითა ქაჯი დაგვემალე, — მონებიცა დავაფეთეთ,  
ამან უფრო დაგვაშმაგნა,<sup>9</sup> თავი სრულად გავაშეთეთ
- 85 კმუნვა შეექმნა, — თქვენც იცით, კელმწიფე ნებიერია.  
მოგნახეს, გძებნეს ყოველგან მათ რუკა დაუწერია,  
ვერ ნახეს შენი მნახელი<sup>11</sup>, ვერცა ყმა, ვერცა ბერია. —  
აწ გამომგზავნა, რომელსა ვერ მზე ჰგავს, ვერ ეთერია.

1. კნ და დგ სით. 2. C და D ტანი. 3. C თუ ვითა. 4. ასე ინგ 286,4; აბ 216,4 დაჰკოცენ. 5. ასე C და G; ვახტ მკლავ-მაგრებია (შეად. კაკ<sup>1</sup> 263,4); I გულ-მაგრებია; F საყვარლებია. 6. G და I შეღებე. 7. G და I მიდენით (შეად. კაკ<sup>1</sup> 264,4 და უგ 287,4). 8. ვარ. გარდაჰკვეთეთ. 9. ასე C; სხვა კნ და დგ დაგვაშმაგნა. 10. G და I დავაშეთეთ; F გავაშმაგეთ. 11. C ნახული (?); ინგ 289,3 მნახავი.

- 86 მიბრძანა: „მიცან ამბავი მის მზისა<sup>1</sup> წარკდომილისა. მაშინ ვარ მქმნელი საქმისა მის, შენგან მონდომილისა.“  
სამ წლამდის მითხრა დადენა უმისოდ ცრემლთა მილისა. —  
არ გიკვირს, გავძელ<sup>2</sup> ვერ ჭერეტა მისისა მე ღიმილისა?
- 87 აქანამდის მნახავიცა კაცი შენი არ მენახა.  
თურქნი<sup>3</sup> ვნახენ, რომე თქვენთვის სიტყვა რამე გაემკვანა. —  
მათრაკითა ჩამოგვედო ერთი, მკვდარსა დაგესახა. —  
მათ მასწავლეს, ძმა რომელთა სულთ-მობძრავი<sup>4</sup> სამე გლახ ა<sup>5</sup>.
- 88 ტარიელსა აეხსენა<sup>6</sup> ომი მათი მაშინდელი.  
იტყვის: <sup>7</sup> „მაკსოვს ეგე<sup>8</sup> საქმე, თუცა არის აღრინდელი.  
ერთგან გნახენ ნადირობას შენ და შენი მე გამაზრდელი.  
მით ვტიროლი, — მომეგონა მე, გლახ ჩემი წარმწყმედელი.“
- 89 რას მაქნევლით, რად გინდოლით,<sup>9</sup> ერთმანერთსა რითა<sup>10</sup> ეჭვან-  
[ლით?  
თქვენ, მორკუმულნი, სთამაზობლით<sup>11</sup>, ჩვენ, მტირალნი, ღაწვთა<sup>12</sup>  
[ებანდით.  
რა მონანი შესაპყრობლად<sup>13</sup> მომწიენით,<sup>14</sup> გაჰგულვანდით,<sup>15</sup>  
აწ ვეკვ, რომე ჩემად ნაცვლად თანა მკვდართა მიიტანდით<sup>16</sup>.
- 90 მოვიხედე<sup>15</sup>, მომეწია რა პატრონი შენი ვნახე.  
კელმწიფობით შემებრანლეს,<sup>16</sup> ამაღ კელი არ შევახე.  
თუქლთა წინა გამოვექეც<sup>17</sup> მეცა<sup>18</sup> რადმცა<sup>18</sup> შევუზახე!<sup>19</sup> —  
ჩემი ცხენი უჩინოსა<sup>20</sup> ჰგავს,<sup>20</sup> სხვასამცა რას ვასახე!<sup>20</sup> —

1. ვარ. ყმისა. 2. ასე C; სხვა გნ და დგ გავძლე. 3. ვარ. ქურდნი. 4. გნ და დგ მკვდართა (?). 5. აბ 221,4 სულ-მობრძავი. 6. ასე აბ 222,1 და უგ 292,1; კაკ<sup>1</sup> 269,1 ჭიჭე 321,1 მოვგონა. 7. კაკ<sup>1</sup> 269,2 თქვა თუ. 8. C იგი. 9. C; და სხვა გნ და დგ გინდოდა(თ). 10. C რათა. 11. ასე C; სხვა გნ და დგ თამაზობლით. 12. გნ და დგ ღაწვსა. 13. ვახტ მომწიენით შესაპყრობლად, გაგულოვნდით; F და I შესაპყრობლად მომწიენით, გაგულოვნდით; G შესაპყრობლად მომეწიენეს, გაგულოვნდით. 14. F წაიტანდით. 15. C მოვიხედენე. 16. ინგ 294,2 არა ვაჰადრე. 17. ინგ 294,3 წამოღვევ; C გამოგექეც. 18. ინგ 294,3 მეტი რამცა; სხვა დგ და გნ მეტი არა. 19. გნ და დგ შეუზრახე. 20. C უჩინოსა ჰგავს და სხვასა რასმც ვასახე; აბ 224,4 და ჭიჭე 323,4 უჩინოსა ჰგავს და სხვასამცა რად ვასახე; კაკ<sup>1</sup> 271,4 და უგ 294,4 უჩინოს ჰგავს, სხვასამცა რას დავასახე.

- 91 კაცმან ვერ ასწრას თვალისა დაფახვა, დაწამწამება!  
მას გავექცევი, ვისგანცა ჩემი არას<sup>1</sup> ვსცნა ამება. —  
მათ თურქთა<sup>2</sup> მიღმა გამეგო მე არას არ შეწამება!  
აეად ჰშვენოდა მორეენა და ჩემი დათამამება! —
- 92 აწ ვაშად მოხველ, — მეამა ნახვა შენისა პირისა, —  
ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მსგავსი გმირისა!  
მაგრა<sup>3</sup> გარჯილხარ<sup>3</sup>, არა ხარ გარდაუკდელი ჭირისა. —  
ძნელია პოვნა კაცისა, ღმრთივ ზეცით განაწირისა!
- 93 წამოსრულხარ ჩემად ძებნად, პატრონისა სამსახურად, —  
ღმერთმან ქმნა და გიპოვნევიარ, შენცა ცდილხარ შამაცურად. —  
მაგრა ჩემსა<sup>4</sup> რა<sup>4</sup> გიამბობს,<sup>4</sup> გამოჭრილევარ ასრე თუ რად?!  
მე თუ ვიტყვი, დამწვევს ცეცხლი ცხელი, შემიქმს ალად-მურად,...
- 94 მერმე<sup>5</sup> უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა<sup>6</sup> იძმოს<sup>6</sup> თუ<sup>6</sup> დაცა იღოს,  
კამსო<sup>7</sup> მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს. —  
ღმერთმან ერთი რად<sup>8</sup> აცხოვნოს, თუ მეორე არ წარწყმიდოს! —  
შენ ისმენდი, მე გიამბობ, რაცა<sup>9</sup> გინდა წამეკიდოს. —

1. ასე C; სხვა გნ და დგ არა. 2. ვარ. ქურდთა. 3. კაკ<sup>1</sup> 273.9 გარჯილხარ, მაგრა (?). 4. ასე C, D, G და I; A ჩემი რა გიამბო. 5. გნ და დგ ყმასა. 6. ასე აბ 231.1; ვახტ ძმა ანუ თუ (შეად. კაკ<sup>1</sup> 278.1); F ძმა ანუ(—). 7. კაკ<sup>1</sup> 278.2 გამს თუ. 8. ინგ. 306.3 ვით; «ვ. ტ.» 1951 წ. რით. 9. ასე უგ 306.4; სხვა დგ და გნ რალა(?).

კ ა რ ი მ ე ს ა მ ე

ტარიელის მიერ თვისი აზვის გზობა ავთანდილისათვის

ამბავი ტარიელის მამის სარიდანისა და ინდოთ მეფის ფარსადანისა. — ტარიელის დაბადება და აღზრდა. — მეფის ასულის ნესტანდარეჯანის დაბადება და აღზრდა. — სარიდანის სიკვდილი და ტარიელის გაამირბარება. — ტარიელის და ნესტანდარეჯანის გამოჯნურება. — ომი ხატაელთა წინააღმდეგომ და ტარიელის გამარჯვება. — მეფეთა მიერ ნესტანდარეჯანის საქმროდ მოწვევა ხვარაზმშასი და სასიძოს მოკლეა ტარიელის მიერ. — ნესტანდარეჯანის დაკარგვა. — ტარიელისა და ასმათის წასვლა ძებნად ნესტანდარეჯანისა. — ტარიელის მიერ ნახვა ფრიდონისა, მულლაზარის მეფისა და მათი ძმად შეფიცვა. — ტარიელის მიერ დევთა დაკოცა და მათ სადგომს, ქვაბთ დაბინავება.

- 1 ისმენდი, მიეც<sup>1</sup> გონება ჩემთა ამბავთა<sup>2</sup> სმენასა, საუბართა და საქმეთა<sup>3</sup> ვითა ძლივ ვათქმევ ენასა. — ვინა<sup>4</sup> იგი<sup>4</sup> ხელ-მქმნა,<sup>5</sup> მოველი ვისგან<sup>6</sup> აროდეს ლხენასა, მისგან<sup>7</sup> შეუცავ სევდასა<sup>8</sup>, სისხლისა ცრემლთა<sup>9</sup> დენასა. —
- 2 ინდოეთს შევიდთა მეფეთა ყოველი კაცი ხართ მცნობელი. ექესი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი, — უხვი, მდიდარი,<sup>10</sup> უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი, ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი.
- 3 მამა ჩემი ჯდა მეშვიდე მეფე, მებრძოლთა მზარავი, — სარიდან ერქვა სახელად<sup>11</sup>: — მტერთა სრვად დაუზარავი.<sup>12</sup> ვერვინ ჰკადრებდა წყენასა, ვერ ცხადი ვერცა მპარავი. ნადირობდის და იშვებდის საწუთრო გაუმწარავი.

1. ინგ 310,1 მოცე. 2. კაკ<sup>1</sup> 282,1 ნათქვამთა. 3. კაკ<sup>1</sup> 282,2 სიტყვათა. 4. გნ და დგ იგი ვინ(?). 5. C, D და G ხელ-მქმნის (შეად. კაკ<sup>1</sup> 282,3). 6. გნ და დგ მისგან. 7. გნ და დგ ვისგან. 8. ასე C, D, G და I (შეად. კაკ<sup>1</sup> 282,4); სხვა გნ და დგ სევდათა. 9. გნ და დგ სისხლისა ღვართა. 10. G და I მდაბალი (შეად. კაკ<sup>1</sup> 283,3). 11. ასე ინგ 312,2; ან 237,2 და სხვ. სახელი. 12. გნ და დგ დაუზარავი(?).

- 4 ხალვა მოსძულდა, შეექმნა გულს კეფშანთა ჯარები.  
 თქვა: „წამილია მტერთაგან<sup>1</sup> ძლევით ნაპირთა არები, —  
 ყოვლგნით გამიხსმან; მორკმით ვზი, მაქვს ზეიმი და ზარები.“  
 ბრძანა: „წავალ და მეფესა ფარსადანს შევეწყვარები.“
- 5 ფარსადანს წინა დაასკვნა გაგზავნა მოციქულისა.  
 შესთვალა: „შენ გაქვს მეფობა ინდოეთისა სრულისა,  
 აწ მე მწადს, თქვენსა წინაშე მეცა ეცნა ძალი გულისა,  
 სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა.“<sup>2</sup>
- 6 ფარსადან შექმნა ზეიმი<sup>3</sup> ამა ამბისა მცნობელმან.  
 შესთვალა: „შენ გაქვს მეფობა ინდოეთისა სრულისა,  
 რათგან ეგე ჰქმენ მეფემან ჩემებრ ინდოეთს მჯდომელმან<sup>4</sup>,  
 აწ მოდი ასრე პატივ-გცე ვითა ძმამან<sup>5</sup> და<sup>5</sup> მშობელმან.“
- 7 ერთი სამეფო საკარგ-ყმოდ,<sup>6</sup> უბოძა ამირბარობა.<sup>7</sup> —  
 თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირ-სპასალარობა. —  
 მეფედ-ლა<sup>8</sup> დაჯდა,<sup>8</sup> არა სჭირს კელისა<sup>9</sup> მიუმცდარობა,  
 სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს კეისარობა.
- 8 თვით მეფემან მამა ჩემი დაიმკირა<sup>10</sup> სწორად თავსა,  
 თქვა: „ჩემებრი<sup>11</sup> ამირბარი<sup>12</sup>, ნაძლევნი ვარ, ეისცა ჰყავსა!“  
 ლაშქრობდის და ნაპირობდის,<sup>13</sup> აძლევდიან მტერნი ზავსა. —  
 მას არა<sup>14</sup> ვჰგავ<sup>14</sup> ასრე ვითა მე სხვა კაცი არა მგავსა. —
- 9 ძე არ ესეა მეფესა და დედოფალსა მზისა დარსა.  
 ჰმუნეა ჰქონდა, ჟამი იყო, მით აეხენეს სპანი ზარსა!  
 ვაი<sup>15</sup> კრულ<sup>15</sup> ა<sup>15</sup> დღემცა იგი, მე მივეცი ამირბარსა!  
 მეფემან<sup>16</sup> თქვა:<sup>16</sup> „შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა.“

1. კაკ<sup>1</sup> 285.2 მტერთათვის. 2. ვახტ სამსახურისა. 3. კაკ<sup>1</sup> 287,1 ხარება.  
 4. C მპყრობელმან; F მფლობელმან. 5. C მამამან. 6. C საკარგვად; F საკად-  
 რად(?); სხვა გნ და დგ საკარგყმო. 7. ვარ. ამილბარობა. 8. კაკ<sup>1</sup> 288,3 მეფედ რა  
 დასჯდის; კაკ<sup>2</sup> 298,3 მეფე რა დაჯდის; სხვა გნ და დგ მეფე რა დაჯდა. 9. აბ  
 241,3 ხელისა(?). 10. გნ და დგ დაიჭირა. 11. ასე კაკ<sup>1</sup> 289,2 და უგ 317,2; ვარ.  
 ჩემებრივ. 12. ვარ. ამილბარი. 13. გნ და დგ ნადირობდის(?). 14. კაკ<sup>1</sup> 289,4 არ  
 ვგავარ. 15. კაკ<sup>1</sup> 290,3 ვაჟ კრულია; უგ 318,3 ვა, კრულია; სხვა დგ და გნ ვაი  
 კრული. 16. კაკ<sup>1</sup> 290,4 და უგ 318,4 მეფემ ბრძანა.

- 10 მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად.  
საპატრონოდ მზრდიდეს<sup>1</sup> სრულთა<sup>1</sup> ლაშქართა და ქვეყანათად.  
ბრძენთა მიმცეს სასწავლელად კელმწიფეთა ქცევა-ქმნათად, —  
მოვიწიფე. — დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად.
- 11 მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა დედოფალი“. —  
ესე რა თქვა ყმაძან, სულთ-თქვნა, ცრემლით ბრძანა: „შობა ქალი“;  
დაბნედასა მიეწურა, ასმათ ასხა გულსა წყალი. —  
თქვა: „მაშინვე მზესა ჰგვანდა აწ მედების ვისგან ალი.
- 12 ქება არ ითქმის ენითა აწ ჩემგან ნაუბართა! —  
ფარსადან დაჯდა ხარებად ზეიმითა და ზართათა.  
ყოვლენით მოვიდეს მეფენი ნიჭითა მრავალ-გვართათა.  
საჭურჭლედ გასცეს,<sup>2</sup> აივსნეს ლაშქარნი საბოძვართათა. —
- 13 მას ქალსა ნესტანდარეჯან ეყო<sup>3</sup> სახელად კმობილი. —  
შვიდისა წლისა შეიქმნა ქალი წყნარი და ცნობილი,  
მთვარისა მსგავსი, მზისაგან შევენებით ვერ<sup>4</sup> შეფრობილი<sup>4</sup>. —  
მისსა ვით<sup>5</sup> გასძლებს გაყრასა გული ალმასი, წდობილი!
- 14 იგი ასრე მოიწიფა, მე შემეძლო შესვლა ომსა.  
მეფე ქალსა თვით<sup>6</sup> ხედვიდა მეფობისა ქმნისა მწთომსა.  
მამასავე კელთა მიმცეს, რა შევიქმენ ამა ზომსა.  
ებურობდი და ვნადირობდი,<sup>7</sup> ვით კატასა ვკოცდი ლომსა. —
- 15 მეფემან სახლი<sup>8</sup> აავო, შიგან სამყოფი ქალისა.  
ქვად ფაზარი<sup>9</sup> სხდა, კუბო<sup>10</sup> დგა<sup>10</sup> იაგუნდისა, ლალისა<sup>11</sup>,  
კარსა<sup>12</sup> ბახჩე<sup>12</sup> და<sup>12</sup> საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა, —  
იგი მუნ იყვის, მედების ვისგან საკმილი ალისა.

1. კაკ<sup>1</sup> 291,2 ზრდა დამიწყეს. 2. კაკ<sup>1</sup> 294,4 გასცა. 3. გნ და დგ იყო(?).  
4. ასე უგ 327,3; ვარ. არ შეფრობილი; უიჭ 360,3 არ შეფლობილი. 5. კაკ<sup>1</sup> 297,4  
ვერ. 6. უგ 328,2 ვით. 7. ასე კაკ<sup>1</sup> 298,4 და უგ 328,4; სხვა დგ და ონ ვთამაშობ-  
დი. 8. ასე ვახტ F, G და I კომეი (შეად. კაკ<sup>1</sup> 299,1). 9. C და F ბაზარი. 10. F  
დათლილი. 11. C და F იაგუნდისა თვალისა. 12. G კარზედან ბაღჩა; L და  
ვახტ პირსა ბაღჩა და; F და I ძირსა ბაღჩა და (შეად. აბ 252,3).

- 16 დღე და ღამე მუჯამრითა ეკმეოდის ალვა თლილი.  
ზოგჯერ კოშკს ჯდის, ზოგჯერ ბაღას ჩამოვიდის, რა დღის  
[ჩრდილი. —  
დავარ იყო და მეფისა, ქვერივი, ქაჯეთს გათხოვილი, —  
მას სიბრძნისა სასწავლელად თვით მეფემან მისცა შვილი.
- 17 სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოსათა<sup>1</sup> ფარდითა.<sup>1</sup>  
ვერვინ ვხედვიდით.<sup>2</sup> შეიქმნა პირითა მინა-ვარდითა.  
ასმათ და ორნი მონანი ჰყუიან,<sup>3</sup> იმღერდის<sup>4</sup> ნარდითა.  
მუნ იზრდებოდის ტანითა, გაბაონს განაზარდითა.
- 18 მამა მომიკვდა, — მოვიდა დღე სიკვდილისა მისისა.  
ქმნა გაუცუდდა ფარსადანს ნიშატისადა<sup>5</sup> ნიშისა.  
მათ<sup>6</sup> გაეხარნეს, ვის ზარი დაჰლევედის მტრისა<sup>7</sup> შიშისა.  
ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა კსენება „შ-ისა.
- 19 მე წელიწდამდის ბნელსა ვჯე საწუთრო-გაცუდებულნი.<sup>8</sup>  
დღისით და ღამით ვვაებდი ვერვისგან სულ-დადებულნი.  
გაყუიანად ხასნი მოვიდეს, მითხრეს მეფისა მცნებულნი, —  
ებრძანა: „შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავითა ღებულნი.
- 20 ჩვენ უფრო გვეტივის იგი, ვინ დაგვაკლდა სწორად თავისა..“  
ასი ებოძა საჭურჭლე. ებრძანა აკდა შავისა,  
ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა, —  
„შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე საურავისა.“
- 21 ავენთი,<sup>9</sup> დამწვეს მამისა საკმილთა დაუშტრომელთა.<sup>10</sup>  
უკუნით<sup>11</sup> გამომიყუიანეს ხასთა მათ წინა-მდღომელთა.  
გამოსლვისათვის ზემი შექმნეს ინდოეთს მფლობელთა.  
შორს მომეგებნეს, მაკოცეს პატივით, ვითა მშობელთა.

1. შეად. აქვე სტრ. 25; კაკ<sup>1</sup> 301.1 და უგ 331.1; ოქსინოთა და შარდითა;  
სხვა გნ და დგ ოქსინოთა და შადითა. 2. ვარ. ვხედვედით; კაკ<sup>1</sup> 301.1 ვნახვედით.  
3. კაკ<sup>1</sup> 301.3 ყუა. 4. კაკ<sup>1</sup> 301.3 იმღერდიან. 5. გნ და დგ ნიშატისა და. 6. კაკ<sup>1</sup>  
304.3 მას. 7. ასე აბ 257.3 და სხვ.; კაკ<sup>1</sup> 304.3 და უგ 334.3 მისუან. 8. კაკ<sup>1</sup> 305.1  
—გამწარბებულნი. 9. კაკ<sup>1</sup> 307.1 ავტირდი. 10. ასე უგ 337.1; აბ 260.1 და კაკ<sup>1</sup>  
307.1 და აბ 260.1 დაუშტრეულთა; ჭიკ 372.1 დაუქრთებულთა. 11. ასე უგ 337.2;  
სხვა დგ და ან უკუნის(?).

- 22 მათ<sup>1</sup> საჯდომთა<sup>1</sup> ახლოს დამსვენეს, პატივის<sup>2</sup> მცემლის<sup>2</sup> ძისა დარად. მის კელისა საურავი მათ ორთავე მითხრეს წყნარად. ურჩ-ვეჭმენ და მისეულთა წესთა ქცევა მიჩნდა ზარად. არ მომეშენეს, დავმორჩილდი, თაყვანის-ვეც<sup>3</sup> ამირბარად.“
- 23 კკლა დაიწყო თქმა ამბისა მან, რა ხანი მოიტირა:  
„დღესა ერთსა მე და მეფე მოვიდოდით, გვენადირა.  
მიბრძანა თუ: „ქალი ვნახოთ, კელი კელსა<sup>4</sup> დამიჭირა. —  
მის ჟამისა მკსენებელი მე სულთ-დგმული არ გიკვირა?! —
- 24 მეფემან ახემა დურაჯთა მითხრა მიტანად ქალისა.  
გამოუხვენ და წავედით ჩემად სადებლად აღისა. —  
მაშინ დავიწყე გარდაკდა მე საწუთროსა ვალისა!  
აღმასისა კამს ლახვარი ლახვრად გულისა სალისა! —
- 25 ბაღჩა ვნახე უტურფესი ყოვლისავე სალხინოსა.  
მფრინველთაგან კმა ისმოდა უამესი სირინოსა.  
მრავლად იყო სარაჯები ვარდის-წყლისა აბანოსა,  
კარსა ზედა-მოჰფარვიდა ფარდაგები ოქსინოსა.
- 26 ვიცოდი, სწადდა არვისგან ხახვა მის მზისა დარისა.<sup>5</sup>  
მე გარეთ<sup>6</sup> ვდეგ და მეფემან შეველო ფარდაგი კარისა.  
ვერას ვხედედი, ოდენ კმა მესმოდა საუბარისა:  
ასმათს უბრძანა გამოხემა დურაჯთა ამირბარისა.
- 27 ასმათ ფარდაგსა აზიდნა, კარსა<sup>7</sup> ვდეგ მოფარდაგულსა.  
ქალსა შეჰხედე, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა!  
მოვიდა, მიესცნე<sup>8</sup> დურაჯნი მთხოვა ცეცხლითა დაგულსა. —  
ვა-მე, მას აქათ საკმილსა დავუწევევ ნიადაგულსა! —

1. კაკ<sup>1</sup> 308,1 თვით საჯდომსა. 2. კაკ<sup>1</sup> 308,1 და ჟიჟ 373,1 პატივი მცეს.  
3. C თაყვანის-მცეს. 4. კაკ<sup>1</sup> 309,3 გელთა. 5. F ზენისა (?). 6. ვარ. ვარედ, გარე-  
7. გნ და დგ გარეთ, გარედ, გარე. 8. კაკ<sup>2</sup> 330,3 მიესცენ(?). \*ამ ორ სტროფს  
გნ-ში და დგ-ში შეცდომით ადგილი აქვს შეცვლილი.

- 28 ღურაჯნი მიესცენ,<sup>1</sup> გავილე სხვა ვერა<sup>2</sup> გზა-ლა<sup>2</sup> თავისა, —  
დავეცი, დავბნდი, წამიკდა ძალი მკართა და მკლავისა! —  
რა სულად მოველ, შემესმა კმა ტირილისა და ვისა, —  
გარე<sup>3</sup>-მომრტყმოდა<sup>4</sup> ჯალაბი<sup>5</sup> ვითა ჩამსხდომნი<sup>6</sup> ნავისა.
- 29 შიგან ვწევ დიდთა დარბაზთა ტურფითა საგებელითა,  
ზედ<sup>7</sup> დამტიროდეს<sup>7</sup> მეფენი ცრემლითა უშრობელითა,  
პირსა იხოკდეს კელითა, ლაწვისა გამზობელითა.  
მუყრნი მოასხნეს, სენითა მთქვეს გამაბელზებელითა.
- 30 სამსა დლესა დარბაზს<sup>9</sup> ვიყავ არ ცოცხალი არცა მკვდარი,  
მერმე ცნობა მომივიდა, მივხვდი რასმე მიუხმედარი.  
ეთქვი თუ: „ჰაი<sup>9</sup>, რაშიგან ვარ მე სიცოცხლე გარდამკდარი!<sup>10</sup>  
თმობა ვსთხოვე შემოქმედსა, ვჰკადრე სიტყვა სამუდარი.
- 31 ეთქვი თუ: „ღმერთო, ნუ გამწირავ, აჯა ჩემი შეისმინე!  
მომეც ძალი დათმობისა, ცოტად ვით-მე<sup>11</sup> აღმადგინე!  
აქა ყოფნა გამამელავენებს, სახლსა ჩემსა მიმაწვინე!“ —  
მანვე ქმნა და მო-რე-ვეჯობდი, გული წყლული გაეარკინე.<sup>12</sup>
- 32 იქათ და აქათ მომიხსდეს, მახვრიტეს სახვრეტელია,  
მე მოვახსენე: „პატრონო, გული აწ უფრო მრთელია.  
ცხენსა შეჯდომა მწადიან<sup>13</sup>, ვნახენ<sup>14</sup>; წყალი და ველია“.  
ცხენი მომგვარეს, შეცავეჯე, მეფე ჩემთანა მსლველია<sup>15</sup>.

1. ასე C, G, I და K; აბ 268, I მთხოვნეს. 2. ასე C, G და K; I გზა ველარა.  
3. ასე C, G და I (შეად. დგ); F გართ. 4. ასე C; I მომრტყმოდეს (შეად. დგ);  
G მომრტყმოდენ; F მომატყდა. 5. ასე C და F; G და I ჯალაბნი (შეად. დგ).  
6. C და I ჩამსხდომნი; ინგ. 348.4 ჩამსხდომსა(?). 7. G ზედ დამტიროდენ; I ზე-  
დან მტიროდეს; C და F ზედა მტიროდეს. 8. F ასრე 9. კაკ<sup>1</sup> 322,3 ჰაი, ჰაი.  
10. F—გარდამწყადარი. 11. F და ვახტ. ვითა (შეად. კაკ<sup>1</sup> 323,2). 12. F, G და I  
გავიკურნე (შეად. კაკ<sup>1</sup> 323,4). 13. ასე C, F, G და I, ვახტ მომინდა. 14. ასე C;  
F ვნახენ; სხვა ენ და დგ ვნახო; ვახტ ვნახე(?). 15. ასე აბ 273,4; სხვა დგ მსლვე-  
ლია.

- 33 გამოვედით, მოვიარეთ მოედანს და წყლისა პირსა,  
ჩემსა მიველ, დავაბრუნვე მეფე, მიმყვა სახლთა ძირსა.  
შინა მიველ, — უარ გავკე, სხვა დამერთო ჭირი ჭირსა.  
ვთქვი თუ: „მოვკვდე, ბედი ჩემი ამის მეტსა რას-ლა ღირსა!“ —
- 34 ზაფრანის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლითა<sup>1</sup> ბანამან,  
გული უფრო-რე დამიჭრა ათი-ათასმა დანამან. —  
საწოლს<sup>2</sup> მეკარე<sup>2</sup> შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან.  
ვთქვი თუ: „რა იცის ამბავი, ნეტარ, ან იმან ან ამან?!“ —
- 35 — „მონააო ასმათისი“. — „რა იცისო?“ ვარქვი, „ჰკითხე!“  
შემოვიდა, სააზიკო წიგნი მომცა, წავეკითხე,  
გამიკვირდა, სხვად ვითამცა ვქმენ გულისა მწველთა სითხე! —  
ვისგან<sup>3</sup> ექვი არა მქონდა სევდად მაწვა გულსა ვით<sup>4</sup> ხე.
- 36 მე გამიკვირდა: „სით უყვარ, ანუ ვით მკადრებს თხრობასა! —  
მიუყოლობა არ ვარგა, დამწამებს უზრახობასა,  
ჩემგან იმედსა გარდასწყვედს, მერმე დამიწყებს გმობასა.“ —  
დავწერე რაცა პასუხად ჰმართებდა აზიკობასა.
- 37 დღენი გამოხდეს და გული უფრორე დამწვეს მწვევ<sup>5</sup> ალთა,  
ველარ ვუჭვრეტდი ლაშქართა მინდორს თამაშად მავალთა,  
დარბაზს ვერ მიველ, მკურნალთა დამიწყეს მოსვლა მრავალთა, —  
მაშინ დავიწყე გარდაკლა მე<sup>6</sup> საწუთროსა<sup>6</sup> ნავალთა! —
- 38 მათ ვერა<sup>7</sup> მარგეს, მე გულსა ბინდი დამეცა ბნელისა,  
სხვამან ვერავეინ შემატყო დება ცეცხლისა ცხელისა,  
სისხლი დამწამეს<sup>8</sup>, — მეფემან ბრძანა გაქსნევა კელისა,  
გავისხენ ფარვად პატიეთა, არვისგან საეჭველისა.<sup>9</sup>

1. გნ და დგ ცრემლისა. 2. კაკ<sup>1</sup> 327,3 საწოლის მეკარე. 3. გნ და დგ მისგან-  
4. გნ და დგ მით. 5. აბ 278.1 მე; კაკ<sup>1</sup> 330.1 და უგ 361.1 კვლავ. 6. G მე საწუთ-  
როსა დავალთა (შეად. აბ 278.4); I სოფლისა ლზინთა(?) და ვალთა (შეად. კაკ<sup>1</sup>  
330.4; უგ 361.4; ჭიკ 403.4). — ნა-ვალ-ი=ნავალები. ვალად აღებული. შეად.  
სა-ვალ-ი=ვალი (დ. გურამიშვილი, იხ. ა. შანიძე ქ. ენა და ლიტ \* გვ. 230.23).  
7. ვერა < ვერ-რა. 8. კაკ<sup>1</sup> 331.3 დამწამა. 9. საეჭველისა < საეჭველისად.

- 39 კელ-გაკსნილი, სევედიანი საწოლს ვიყავ თავის-წინა, ჩემი მონა შემოვიდა, შევჭხედე თუ თქვას, რა-ძინ ა?<sup>1</sup> „მონააო ასმათისი“, — შემოყვანა ვუთხარ შინა, გულსა შინა დაუუზრახე: „რა მპოვაო, ანუ<sup>2</sup> ვინ ა!“
- 40 მონამან წიგნი მომართვა, მე წავეკითხე ნებასა. წიგნსა შევიტყევე<sup>3</sup> ჰლამოდა შეყრისა<sup>4</sup> მოსწრაფებასა. პასუხად ვსწერდი: „უამია, მართალ ხარ გაკვირვებასა, მოვალ, თუ მიკმობ, მე ნუ მექვე მოსვლისა დაზარებასა.“
- 41 გულსა ვარქვი<sup>5</sup> თუ: „ლახვარნი ეგე<sup>6</sup> ვით დაგალონებენ? — ამირბარი ვარ,<sup>7</sup> კელმწიფე, სრულად ინდონი მმონებენ.<sup>8</sup> აზრად შეიქმენ საქმისა, ათასჯერ შეაწონებენ. თუ შეიგებენ, მე მათთა არეთა არ მარონებენ!..“
- 42 კაცი მოვიდა მეფისა, — სწადსო ამბისა სმინება. მოყვანა ვუთხარ, ებრძანა: „ქმნაცა<sup>9</sup> სისხლისა<sup>9</sup> დინება?“ მე ვპაადრე: „კელი გავიკსენ, დამიწყო მოჯობინება. წინაშე მოვალ, ამისთვის კელა უფრო მმართებს ღხინება.“
- 43 დარბაზს მიველ, მეფე ბრძანებს: „ამის მეტსა ნუ იქმ, აბა!“ ცხენსა შემსვა უკაპარჰო, წელსა არა არ შემება. შევქადა, ქორნი მოუტივნა, დურაჯები დაინაბა, მშვილდოსანთა<sup>10</sup> გაუსაგნა,<sup>10</sup> იტყოდიან<sup>11</sup> „შაბა! შაბა!“
- 44 შინა დავსხედით ნადიმად მას დღესა მინდორს რებულნი, მომღერალნი და მუტრიბნი არ იყენეს სულ-დაღებულნი. მეფემან გასცნა მრავალნი თვალნი ღარიბად ქებულნი აუვსებელნი არ დარჩეს მას დღესა მათნი ხლებულნი.

1. ასე კაკ<sup>1</sup> 332.2; სხვა გნ და დგ რა მინა. 2. კაკ<sup>1</sup> 332.4 აქა. 3. კაკ<sup>1</sup> 333.2 და უგ 364.2 შევატყევე. 4. გნ და დგ მოსლვისა. 5. კაკ<sup>1</sup> 334.1 ვუთხარ. 6. ინგ 365.1 ეგრე. 7. G და I ხარ (შეად. კაკ<sup>1</sup> 334.2). 8. G და I გმონებენ (შეად. კაკ<sup>1</sup> 334.2). 9. ასე უგ 366.2; სხვა დგ ებრძანა ქმნაცა სისხლისა დინება. 10. C და G მშვილდოსანნი(?) გაასაგნა (შეად. კაკ<sup>1</sup> 336.4); I მშვილდოსნები(?) გაასაგნა; ვაბტ. დასხვა დგ მშვილდოსნები(?). მშვილდოსანნი(?) გაასაგნანა(?). 11. კაკ<sup>1</sup> 336.4 ყიოდიან.

- 45 ვეცდებოდი არა მცალდა სევდისაგან თავსა<sup>1</sup> კრძალვად. ვეჯიხებდი, ცეცხლი უფრო მედებოდა გულსა ალვად. ჩემნი სწორნი წავიტანენ, — ჩემსა დავჯდე,<sup>2</sup> ვთქვი, არ<sup>2</sup> ხალვად,<sup>2</sup> შექმენ სმა და ნადიმობა პატივთა და ჭირთა მალვად.
- 46 მოლარემან შინაურმან ყურსა მითხრა ნაუბარი:  
„ქალი ვინმე იკითხავსო,<sup>3</sup> — ინახვისცა<sup>4</sup> ამირბარი?  
ზეწარითა მოუბურავს პირი ბრძენთა საქებარი.“  
ვარქვი: „საწოლს წაიყვანე, ჩემგან არის ნახმობარი.“
- 47 ავდეგ, მსხლომნი, ნადიმობად<sup>5</sup> აემზადნეს<sup>6</sup> ასაყრელად. —  
„შოდი,<sup>7</sup> ვუთხარ, „ნუ ასდგებით, მოვალ ხანსა<sup>8</sup> დაუზმელად.“  
გამოველ და საწოლს შეველ, მონა დადგა<sup>9</sup> კარსა<sup>10</sup> მცველად.  
გული მივეც თობა-ქმნათა აუგისა საკრძალველად.
- 48 კარსა შევდეგ, — ქალი წინა მომეგება, თაყვანის-მცა.  
მითხრა: „მოსვლად<sup>11</sup> თქვენს წინაშე კურთხეულ ა<sup>12</sup> რამან<sup>13</sup>“  
[ღირს-მცა!<sup>14</sup>“  
გამიკვირდა, — მიჯნურისა თაყვანება ექმნა ვისმცა!“ —  
ვთქვი: „არ იცის აშვიკობა, თუმც იცოდა, წყნარად ზისმცა!“ —
- 49 ადგა,<sup>15</sup> მითხრა: „თქვენს<sup>16</sup> კრძალვასა<sup>16</sup> ჩემგან ცნობა უბნევია,  
ნუ მექვე რაცა პატრონისა ბრძანებასა უქმნევია.<sup>17</sup>  
ეგ ზომ დიდი შემართება გულსა მისსა უთნევია,  
ამან წიგნმან გაგაგონოს<sup>18</sup> ჩემთვის რაცა<sup>19</sup> უმცნევია<sup>20</sup>.

1. ან და დგ თავის. 2. ან და დგ დავჯდე. მთქვიან ალყად. 3. კაკ<sup>1</sup> 339.2 და უგ 370.2 გიკითხავსო. 4. კაკ<sup>1</sup> 339.2 ინახვისმცა; უგ 370.2 ინახვისა. 5. ასე კაკ<sup>1</sup> 340.1; სხვა დგ და ან ნადიმობით. 6. კაკ<sup>1</sup> 340.1 დამზადნეს. 7. კაკ<sup>1</sup> 340.2 შარდი(?); სხვა დგ და ან შადი. 8. ინგ 371.2 ხანთა. 9. კაკ<sup>1</sup> 340.3 მიდგა. 10. ინგ 371.3 კარის. 11. ან და დგ მოსვლა. 12. უგ 372.2 არს. 13. კაკ<sup>1</sup> 341.2 და უგ 372.2 ვინცა. 14. კაკ<sup>1</sup> 341.2 და უგ 372.2 ღირსმცა (ღირს-მცა : ღირს-მცნა). 15. აღი-მართა თაყვანის-ცემის შემდეგ. 16. ასე G და I (შუად. კაკ<sup>1</sup> 343.1 და უგ 375.1), სხვა ან და დგ თქვენსა მკრძალსა(?). 17. ასე ჰიუ 417.2; სხვა დგ და ან უთქმევია. 18. კაკ<sup>1</sup> 343.4 გამამართლოს. 19. აბ 291.4 ვისმცა. 20. ან და დგ უთქმევია.

- 50 წიგნი ვნახე, მისი იყო, ვისგან<sup>1</sup> მდაგაუს ალი<sup>2</sup> გულსა.  
მოეწერა მზისა შუქსა: „ნუ დაიჩნევ, ლომო, წყლულსა!  
მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდები! მაგრა ბნედა ცუდი მძულსა! —  
აწ ასმათი მოგაკსენებს ყველაკასა ჩემგან თქმულსა. —
- 51 ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?  
სჯობს, საყვარელსა უჩვენენე საქმენი საგმირონია! —  
ხატეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია.<sup>3</sup>  
აწ მათნი<sup>4</sup> ჯავრნი<sup>4</sup> ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია. —
- 52 შენგან ჩემისა ქრობისა წინასაც ვიყავ მნდომია,  
მაგრა აქამდის საუბრად კვლავ ჟამი არ მომხდომია. —  
ძულან<sup>5</sup> ხელ-ქმნილსა გიჰკრეტტი კუბოსა შიგან მჯდომია,  
მალა.<sup>6</sup> ყველაი<sup>6</sup> მასმია, რაცა შენ გარდაგკდომია.
- 53 მართლად ვითხრობ, მომისმინე ესე, რაცა მოგაკსენე:  
წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე,  
გიჯობს ცულად ნულარა სტირ, ვარდი კვლამცა<sup>7</sup> რად დასტენე!  
მზემან მეტი რა-ლა გიყოს, —აჰა, ბნელი გაგითენე!“
- 54 თვალთა დავიდევე უსტარი მე მისგან მონაწერია.  
პასუხად ვსწერდი: „მთვარეო, შენცა მზემ ვით მოგერია! —  
მე ლმერთმან იგი ნუ მომცეს, რაც არა შენი ფერია! —  
სიზმრად მგონია დარჩომა ჩემი, ვერ დამიჯერია!“ —
- 55 ასმათს ვუთხარ: „მე პასუხსა ამის მეტსა ვერ მივჰხედები.  
ესე ჰკადრე: მზეო, რათგან ჩემთვის ნათლად აღმოჰკვდები.  
აჰა მკვდარი გამაოცხლე, ამას იქათ აღარ ებნდები.  
რაცალა<sup>8</sup> სამსახური,<sup>8</sup> ვტყუვი<sup>8</sup> თულა ვერიდები!“ —

1. გნ და დგ ვისი. 2. ასე G და I; სხვა გნ და დგ ცეცხლი. 3. კაკ<sup>1</sup> 345,3 მოხარაჯენია. 4. ასე უგ 377,4; სხვა დგ და გნ მათი ჯაჭრი. 5. ვარ ძოდან. 6. კაკ<sup>1</sup> 346,4 მე აქა ყველა; სხვა დკ და გნ მანდა ყველაი. 7. G კვლაცა; I კვლად-ცა (შეად. კაკ<sup>1</sup> 347,3). 8. G და I რასაცალა სამსახურსა ვიტყვი (შეად. კაკ<sup>1</sup> 349,4); სხვა გნ და დგ რაცალა, სამსახურსა. ვტყუვი.

- 56 ასმათ მითხრა: „მე მიბრძანა, — ესე ვმქნათო, ესე სჯობდეს: ვინცა გნახოს, ჩემგან მისსა საუბარსა ვერა სცნობდეს; ჩემად ნახვად მოვიდოდეს, შენ ვითამცა გაშიკობდეს. — დამცა-ვედრა, — ამირბარსა უთხარ, ასრე ნამუსობდეს.\*
- 57 მეკეთა ესე თათბირი, სიბრძნე გულისა მისისა, — მისი, მზესაცა რიდება ჰქონდის<sup>1</sup> ნახვისა ვისისა, ვისგან<sup>2</sup> მომეცა მოსმენა არ საუბრისა მქისისა, ვისთა შექთაგან უკუნსა ჰგევანდის სინათლე დღისისა.
- 58 ასმათს მივართვი რჩეული თვალი ოქროსა ჯამითა, მან მითხრა: „არა<sup>3</sup> არ მინდა, ვარ გამაძლარი ამითა.“ ერთი აილო ბეჭედი, მართ აწონილი დრამითა: „ესე კმა ნიშნად, სავსე ვარ, სხვად,<sup>4</sup> კელის შესაბამითა.
- 59 ქალი ადგა წამოვიდა, მე ლახვართა გულსა მრიდეს. ლხინმან ბნელი გამინათლა, დაშრტეს ცეცხლი<sup>5</sup> რომე<sup>5</sup> მწვიდეს. შეველ, დავჯე ნადიმადვე, ჩემნი სწორნი სადა სმიდეს. მხიარულმან საბოძვარი გავეც. ზამი<sup>6</sup> გაადიდეს.
- 60 გავგზავნე კაცი ხატაეთს და წიგნი ჩემ-მაგიერი. მიესწერე: „მეფე ინდოთა არსმცა<sup>7</sup> ღმრთისაგან<sup>7</sup> ძლიერი! მათი ერთგული გაძღების ყოველი სული მშვიერი, ვინცა ურჩ-ექმნას, იქნების<sup>8</sup> თავისა არ მადლიერი!
- 61 ჩვენო ძმაო და პატრონო, თქვენგან არ გავიმწარებით, ესე რა ნახოთ ბრძანება, აქამცა მოიარებით, თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ, ზედა არ მოგეპარებით. სჯობს რომე გვნახნე,<sup>9</sup> თავისა სისხლთა<sup>10</sup> ნუ ეზიარებით!“

1. ასე კაკ<sup>1</sup> 351.2 დ<sup>1</sup> უგ 384.2; სხვა დგ ან ჰქონდეს. 2. ასე კაკ<sup>1</sup> 351.3; სხვა დგ და ან მისგან. 3. არა < არ-რა. 4. ზოგი ან და დგ სხვას(?). 5. ასე ინგ. 386.2; ზოგი ან და დგ ცეცხლი. 6. ვარ. ზემი (=ზეიმო). 7. კაკ<sup>1</sup> 354.2 არისმცა ღმრთულეზ; ინგ. 387.2 ... ღმრთულეზბრ. 8. კაკ<sup>1</sup> 354.4 მოკვდეზბის. 9. კაკ<sup>1</sup> 355.4 გვნა-  
ლთ. 10. კაკ<sup>1</sup> 355.4 სისხლით.

- 62 კაცი<sup>1</sup> გავგზავნე,<sup>1</sup> მე გულსა უფრო მომეცა ლხინები,  
დარბაზს ვიშვებდი, დამევესო ცეცხლი წვად მოუთმინები.  
მაშინ სოფელმან საწუთო<sup>2</sup> მიუხვის რაცა ვინები.  
აწ ხელ-მქნა, რომე საახლოდ მკეტოცა მოვეწყინები! —
- 63 პირველ, — გაჭრისა პირება, მერმე. — დაწყნარდეს ცნობანი,  
ჩემთა სწორთაგან იყენიან ჩემს წინა ნადიმობანი,  
მაგრა დამშლიდეს ლხინთაგან სურვილთა დიადობანი,  
ზოგჯერ<sup>3</sup> შემცვიან<sup>3</sup> სევდათა, ეთქვი საწუთროსა გმობანი.
- 64 დღესა ერთსა საწოლს მოველ მეფისა<sup>4</sup> სრიოთ<sup>4</sup> წამოსრული.  
ვჯე და მასვე ვივინებდი, არ მიეცა თვალთა რული.  
წიგნი მქონდა საიმედო, ამად ვიყავ მხიარული.  
კარსა<sup>5</sup> მცველმან მონა უკმო,<sup>6</sup> უთხრა საქმე დაფარული:
- 65 “მონააო ასმათისი“, — საწოლს ვუთხარ შემოყვანა.  
მოეწერა, — გიბრძანებსო, ვისგან<sup>7</sup> მესვა გულსა დანა.  
ლხინმან ბნელი გამინათლა, ამიფოლხეა<sup>8</sup> ჯაჭვეთა მანა.  
წაველ, მონა წავეტანე, — რამცა ვუთხარ ამისთანა!
- 66 ბაღა<sup>9</sup> შეველე,<sup>9</sup> არა დამხვდა კაცი ჩემი მოუბნარი<sup>10</sup>.  
ქალი წინა-მომეგება მხიარული, მოცინარი.  
მითხრა: „ვაშად ამოგილე, არ გასვია გულსა ნარი!  
მოდი, ნახე ვარდი შენი უფრკვენელი და დაუშქნარი.“
- 67 ამიგდო ქალმან ფარდაგი მძიმე თავისა ძალითა,  
სადა დგა კუბო შემკული ბადახშნისათა<sup>11</sup> ლალითა.  
შიგან ჯდა იგი პირითა მზისაებრ ელვა-მკრთალითა,  
მე შემომხედის ლამაზად მის მელნის ტბისა თვალითა.

1. ასე უკ 389,1; სხვა დგ და ონ კაცი გავგზავნე. 2. კაკ<sup>1</sup> 356,3 და უკ 389,3  
საწუთრო; სხვა დგ და ონ საწუთრომ. 3. კაკ<sup>1</sup> 357,4 მით შემცვიან (შემცვიან-  
შემცივიან). 4. კაკ<sup>1</sup> 358,1 მეფის სრიოთა. 5. კაკ<sup>1</sup> 358,4 კარის. 6. კაკ<sup>1</sup> 358,4 იგმო.  
7. ონ და დგ ვისი(?). 8. კაკ<sup>1</sup> 359,3 ამიფოლხედა. 9. კაკ<sup>1</sup> 360,1 ბაღას შეველ.  
10. ასე ონგ 393,1; ვარ. მოუბარი. 11. ონგ 354,2 მადახშანურის; სხვა დგ და ონ  
ბადახშითა და.

- 68 დიდ-ხანს ვდევ და არა მითხრა სიტყვა მისსა მონასურსა.  
ოდენ ტკბილად შემომხედის ვითამცა<sup>1</sup> რა<sup>1</sup> შინაურსა.  
ასმათ უკმო, მოიუბნეს, ქალი მოდვა, მითხრა ყურსა:  
„აწ წადიო, ვერას<sup>2</sup> გითხრობს.“ — მე კვლა მიმცა აღმან მურსა!
- 69 ასმათ გამოყევა, წამოველ, ფარდაგი გამოვიარე.  
ვთქვი: „საწუთროო, ვით<sup>3</sup> წელან გული დარმანთა მიარე,  
მაშინ მომეცა<sup>4</sup> იმელი, — ლხინი რად გამიზიარე?“ —  
გულმან გაყრისა სიძნელე კვლა უფრო დამიტიარე.  
— : —
- 70 ასმათ ლხინსა მიქადებდა, ჩავიარეთ შიგან ბალი.  
მითხრა: „ეგრე წასვლისათვის ნუ გაჩნია გულსა დალი,  
სიძიმილითა ერდო დაკაშ,<sup>5</sup> სიხარულის კარი აღი! —  
სირცხელი აქეს საუბრისა, მერმე თავსა კრძალავს ლალი.“
- 71 მე ვუთხარი: „დაო, შენგან ვეჭვ ამა გულისა წამალსა!  
ზენაარ, სულთა ნუ გამყრი, ამბითა მშრეტლი ამ ალსა;  
ჩემთანა წიგნსა ნუ გაწყვედ შენ ზედა-ზედა მავალსა;  
თუ რას სცნობ ჩემთვის არა ვეჭვ მე შენგან რა<sup>6</sup> დანამალსა.“
- 72 შევეჯე, წამოველ, მდიოდა ნაკადი ცრემლთა მილისა.  
საწოლს შემოველ, ხელ-ქმნილსა<sup>7</sup> ღონე არ მქონდა ძილისა.  
ბროლი და ლალი შევიქმენ მე ულურჯესი ლილისა.  
ღამე მერჩია, მეწადა არ გათენება დილისა.
- 73 ხატაეთს მყოფნი მოვიდეს, — მათგან<sup>8</sup> მოსლვისა დრონია! —  
სიტყვანი შემოეთვალნეს ლაღნი და უკადრონია:  
„არცა რა<sup>9</sup> ჩვენ<sup>9</sup> ვართ<sup>9</sup> ჯაბანნი, არ<sup>10</sup> ციხე-უმაგრონია!<sup>11</sup>  
ვინ არის თქვენი კელმწიფე, ჩვენზედა<sup>12</sup> რა პატრონია?!“

1. კაკ<sup>1</sup> 362.2 ვითამც რამე. 2. ვერას < ვერ-რას. 3. გნ და დგ ვის. 4. გნ და დგ მოვეცა. 5. ასე ვახტ (შეად. კაკ<sup>1</sup> 364.3); სხვა დგ გნ დაგშე. 6. გნ და დგ არ(?). 7. კაკ<sup>1</sup> 366.2 ხელქმნილი. 8. კაკ<sup>1</sup> 367.1 მათის. 9. კაკ<sup>1</sup> 367.3 და უგ 400.3 თუ ჩვენ ვართ; ინგ 400.3 ჩვენ ვართო. 10. გნ და დგ არც. 11. ასე უგ 400.3; სხვა დგ ციხე უმაგრონია. 12. ასე ჰიუ 442.4 და უგ 400.4; აბ 315.4 ჩემზედა.

- 74 მოეწერა: „რამაზ მეფე წიგნსა გიწერ ტარიერსა;<sup>1</sup>  
გამიკვირდა, რა ეწერა წიგნსა შენგან მონაწერსა!  
რაგვარა თუ მადა გეკმე, ვინ ვჰპატრონობ<sup>2</sup> ბევრსა ერსა!  
ამის მეტსა ნულა<sup>3</sup> ვნახავ კვლაცა<sup>3</sup> წიგნსა შენ მიერსა!“
- 75 ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია.  
იგი ვარსკლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია.  
შორით და ახლოთ<sup>4</sup> ყველანი<sup>5</sup> მართ ჩემკენ მონასხპანია.  
ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე-კაპანია. —
- 76 ფიქლად<sup>6</sup> მოვიდეს, არ ექმნათ მათ შინა ხან-დაზმულობა. —  
აღლუმო ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა,  
სიჩაუქე და სიკეთე,<sup>7</sup> კეკლუცად დარაზმულობა,  
ტაიჭთა მათთა სიმაღლე, აბჯრისა<sup>8</sup> ხვარაზმულობა.
- 77 აღვმართე დროშა მეფისა აღმითა წითელ-შავითა.  
დილასა ვბრძანე გამართვა ლაშქართა უთვალავითა.  
თავსა ვსტიროდი, ვიტყოდი ბედითა მეტად ავითა:  
„მზე თუ არ ვნახო, არ ვიცი, ვიარო ვითა,<sup>9</sup> და<sup>9</sup> ვითა!“
- 78 შინა მიველ, დაღრეჯილსა გულსა სევდა მიიფედა.  
თვალთა ვითა ნაგუბარი<sup>10</sup> ცრემლი ცხელი გადმოჩქეფდა.  
„ბედი ჩემი უბედური, ვთქვი თუ, ჯერთცა ვერ გამეფდა!  
ხელმან<sup>11</sup> ვარდი რად იკელთა, რადგან ასრე ვერ მოჰკრეფდა!“
- 79 მონა შემოდგა, — მივეცი საქმესა გაკვირვებულსა:  
ასმათის წიგნი მომართვა მე, მეტად შეჭირვებულსა.  
ეწერა: „გიკმობს შენი მზე შენ, მისთვის მოსურვებულსა.  
მოდი, სჯობს მადა ტირილსა, — საქმესა ბედითა<sup>12</sup> - ვებულსა.“

1. ტარიერსა: ტარიელსა. 2. ასე უგ 401,3. 3. ინგ 401,4 ნუმცა... კვლადა.  
4. ასე უგ 402,3; სხვა დგ ან ახლოს; ახლოთ < ახლოთ. 5. ინგ 402,3 ყველაი.  
6. გნ და დგ ფიქლად(ვ). 7. კაკ<sup>1</sup> 370,4 აბჯართა. ინგ 403,3 სიფიცხე. 8. ინგ 403,4  
და სხვ. აბჯართა. 9. ინგ 404,4 ბნელსამცა(?); სხვა დგ და გნ ვითა და. 10. შან.  
საგუბართ; სხვა დგ და ან საგუბარი(?). 11. კაკ<sup>1</sup> 372,4 გელმან. 12. კაკ<sup>1</sup> 373,4  
ბედით ვნებულსა(?); სხვა დგ და ან ბედით ვებულსა.

- 80 ვითა მმართვედა, ეგ ზომი რამცა<sup>1</sup> ვით<sup>1</sup> გავიხარეო!  
შელამდა, წაველ, ბალისა მე კარი შევიარეო.  
სად ასმათ პირველ მენახა, მუნვე ჩნდა მდგომიარეო.  
სიცილით მითხრა: „წამოვლე, მოგელის ლომსა მთვარეო.“
- 81 შემავლო სახლი, ნაგები კეკლუცად, ბანის-ბანითა.  
გამოჩნდა მთვარე ნათლითა გარე შუქ-მონაენითა,  
ფარდაგსა შიგან მჯდომარე შესამოსლითა მწვანითა,  
საკრძალავი<sup>2</sup> და ღარიბი, უცხო პირით და ტანითა.
- 82 შეველ, წარვდეგ ნოხთა პირსა, მე დამიწყო ცეცხლმან შრეტად.  
გულსა ბნელი გამინათლდა, ზედან ლხინი ადგა სვეტად.  
მას ბალიში შემოედო, — მზისა შუქსა სჯობდა მეტად! —  
ჩემგან პირსა იფარვიდა, აიხედის<sup>3</sup> წამის<sup>4</sup> ჭკვრეტად.
- 83 უბრძანა თუ: „მოაკსენე, ასმათ, დაჯდეს, ამირბარსა.“  
მან ბალიში დამართებით დადვა მას მზედ, საქებარსა.  
დავჯე, მივეც<sup>5</sup> გულსა ლხინი საწუთროსა დამგმობარსა. —  
მიკვირს, სულნი რადლა მიდგან, ვიტყვი მისგან ნაუბარსა! —
- 84 მიბრძანა: „ძულან<sup>6</sup> გეწყინა გაგზავნა<sup>7</sup> უუბარისა,  
მზემან გაყრითა დაგაჰნე ვითა ყვავილი ბარისა.  
დავსჯიდა დენა ცრემლისა ნარგისთა<sup>8</sup> ნავუბარისა. —  
მავრა კამს ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა!
- 85 თუცა ჰმართებს დედა-კაცსა მამა-კაცის<sup>9</sup> დიდი კრძალვა,  
მავრა მეტი უარეა არა თქმა და ჭირთა მალვა. —  
მე თუ ზეპირ მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იღუმალ ვა! —  
ძულან<sup>6</sup> ქალი გამოვგზავნე, ვქმენ მართლისა შემოთვალვა. —

1. ასე კაკ<sup>1</sup> 374,1 და უგ 407,1; სხვა გნ და დგ რამც ვითა. 2. კაკ<sup>1</sup> 375,4  
საკვირველი. 3. აბ 324,4 აიხედნის. 4. კაკ<sup>1</sup> 376,4 წამსა. 5. ვახტ მისცენ. 6. ვარ.  
ძოდან (=წოდან). 7. კაკ<sup>1</sup> 378,1 და უგ 411,1 გაშვება. 8. გნ და დგ ნარგისთათ(?).  
9. კაკ<sup>1</sup> 379,1 და უგ 412,1 მამაცისა.

- 86 ერთმანერთისა მას აქეთ რაცა ორთავე ვიცითა, —  
აწცა მიცოდი საშენოდ მითვე პირითა მტკიცითა,  
ამას შესჯერდი<sup>1</sup> დიდითა ზენართა და ფიცითა:  
გეცრუვო<sup>2</sup>, — ღმერთმან მიწა მქნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა!
- 87 წა, შეები ხატაელთა, ილაშქრე და ინაპირე.  
ღმერთმან ქმნას და გაგიმარჯედეს,<sup>3</sup> მორკმულმანცა ჩემ კერძ ირე.  
მაგრა რა ვქმნა, კვლაცა ნახეა მომხედებოდეს შენი ვირე?! —  
გული მომეც გულისათვის,<sup>4</sup> — ჩემი შენთვის დაიმჭირე.<sup>5</sup>“
- 88 ზედან წიგნსა საფიცარსა შეჰკვიციე და შემომფიცა.  
მისგან ჩემი სიყვარული ამით უფრო დაამტკიცა:  
„უშენოსა მოწონება ვისიცაო გულსა მიცა,<sup>6</sup> —  
ღმერთი მომკლავს! — ამას იქათ თავსა ვეტყვი ამას, ვსწვრთიცა“.
- 89 დავავე ხანი მის წინაშე, სიტყვანიცა ტკბილნი ვთქვენით,  
ვჭამეთ ამო ხილი რამე, ერთმანერთსა ვეუბენით.  
მერმე ავდეგ წამოსავლად ტირილით და ცრემლთა დენით, —  
მისთა შუქთა შევენებანი ნათლად მადგეს გულსა ფენით. —
- 90 მეძნელებოდა სიშორე მისი ბროლ-ბადაზშ-მინისა,  
მე გამიახლდა სოფელი, მქონდა სიმრავლე ლხინისა:  
ჩემად ჩნდა იგი სინათლე ეთერით მზედ ნაჩინისა! —  
აწ მიკვირს, მისსა<sup>7</sup> გამყრელსა<sup>7</sup> გული მიც<sup>8</sup> კლდისა ტინისა! —
- 91 დილასა შევეჯე, ვუბრძანე: „ჰკარით ბუკსა და ნობასა!“  
სრულთა სპათასა ვერ ვითხრობ არ შასასხდომლად მზობასა!  
ლომმან მიემართე ხატაეთს, — ვერვინ მიზრახავს კრდლობასა!<sup>9</sup>  
უგზოდა<sup>10</sup> ვლიდეს ლაშქარნი, არ გაივლენდეს<sup>11</sup> გზობასა.

1. ასე უიკუ 455,3; ზოგი დგ და ბნ შევსჯერდი(?). 2. კაკ<sup>1</sup> 380,4 გიტყუო.  
3. კაკ<sup>1</sup> 381,2 ვაგემარჯოს. 4. ასე G (შეად. კაკ<sup>1</sup> 381,4); სხვა ბნ და დგ გაუყრე-  
ლად. 5. ბნ და დგ დაიჭირე. 6. მიცა > მიძსა. 7. ასე ინგ 419,4; ზოგი ბნ და დგ  
მისი გამყრელი. 8. მიც < მიძს. 9. ინგ 420,3 მხდლობასა. 10. ინგ 420,4; ვარ. უგ-  
ზოსა. 11. ინგ 420,4 ვერ გაივლიდეს; სხვა ბნ და დგ არ გაივლიდეს.

- 92 დავაგდე ზღვარი ინდოთა, მევლო პაშტაი ხანია,  
რამაზის კაცი მემთხვია, — ხატაეთზედა<sup>1</sup> ხანია. —  
მან მითხრა მოციქულობა გულისა მოსაფხანია:  
„ჩვენთა მგელთაცა დასჰამენ თქვენნი<sup>2</sup> ინდოთა<sup>2</sup> თხანია!“
- 93 მე შემომძღვნეს რამაზისგან ძღვნად საჭურჭლე საშინელი.<sup>3</sup>  
მითხრეს: „გკადრებს,—ნუ ამოგვწყვედ, არის შენგან არ საქმნელი,  
ზენაარი გამოგვიღე, მით გვაბია ყელსა წნელი,  
მოურბეველად მოგაკსენეთ<sup>4</sup> თავნი, შვილნი, საქონელნი.
- 94 რაცა შეგცოდეთ, შეგვინდევე, — თვით ჩვენვე შეგვინანია!  
თუ ღმრთისა<sup>5</sup> შეგვიწყალებდე, აქა ნუ მოვლენ სპანია, —  
ქვეყანა ჩენი არ აწყდეს, რისხვით არ დაგვტყდენ ცანია,  
შენ მოგცნეთ<sup>6</sup> ციხე-ქალაქნი,<sup>7</sup> მოგყენენ ცოტანი ყმანია.“
- 95 გვერცა<sup>8</sup> დავისხენ ვაზირნი, ვიუბნეთ, გავიზრახენით.  
მითხრეს თუ: „ხარო ყმაწვილი, ბერნი<sup>9</sup> მით გკადრებთ, გლახ ენით:  
არიან მეტად მუხთალნი, ჩვენ ერთკელ კვლაცა ვნახენით,  
არამცა მოგკლეს<sup>10</sup> ლალატად, არამცა ვივაგლახენით!
- 96 ჩვენ ამას ვარჩევთ: წახვიდე<sup>11</sup> კარგითა მართ მამაცითა,  
ღაშქარნი ახლოს გეკიდნენ,<sup>12</sup> სცნობდნენ ამბავსა კაცითა.  
გულ-მართლად იყვენენ, — მიენდევე, აფიცე ღმრთითა და ცითა.  
არ დამორჩილდენ,— შეპრისხდი რისხვითა კვლა-და-კვლაცითა“.

1. კაკ<sup>1</sup> 387,2 და უგ 421,2 ვინ ხატაეთის; უიუ 463,2 ვინ ხატაეთზე. 2. კაკ<sup>1</sup> 387,4 და უგ 421,4 ინდონო, თქვენნი. 3. უიუ 464,1 საჩინელი(?). 4. ასე კაკ<sup>1</sup> 388,4 (მოგაბსენეთ); უიუ 464,4 მოგასხენით(?); სხვა დგ და გნ მოგასხენეთ. 5. კაკ<sup>1</sup> 389,2 ღმრთულად(!); უგ 423,2 ღმრთულეებრ(?); სხვა დგ და გნ ღმრთითა.— ღმრთისა < ღმრთისად (ღმრთისათვის). 6. გნ და დგ მოგცეთ. 7. გნ და დგ ციხე-ქალაქი. 8. გვერცა < გვერდსა. 9. გნ და დგ ბრძენნი(?). 10. ასე უგ 424,4; სხვა დგ და გნ მოგკლან. 11. ასე უგ 425,1; კაკ<sup>1</sup> 391,1 წახვიდეთ; სხვა დგ და გნ წავიდეთ. 12. ასე უგ 425,2; კაკ<sup>1</sup> 391,2 გეკიდნეს; სხვა დგ და გნ გეკიდნენ.

- 97 მეკეთა ესე თათბირი ვაზირთა ნავაზირევი.  
შევსთვალე: „რამაზ მეფეო, ვცან შენი დანაპირები.  
სიკვილისა გიჯობს სიცოცხლე, — დაგვიდგამს ვერ ქვითკირები!  
ლაშქართა დავჰყრი, ცოტათა<sup>1</sup> წამოვალ, შენ კერძ ვირები.“
- 98 მათ ლაშქართაგან სამასნი<sup>2</sup> კარგნი<sup>2</sup> მოყმენი, ქველანი,  
თანა წამომყვეს, წაცაველ, დაეყარენ სპანი ყველანი.  
დავედრე: „სადა მე მევლოს, ვლენით იგივე ველანი,  
ახლოს მომდევდით, მიშველეთ,<sup>3</sup> — გიკმობ, თუ მინდენ შევლანი“.
- 99 სამ დღეს ვიარე, მემთხვია სხვა კაცი მისევე ხანისა.  
კვლა ეძღვნა უცხო მრავალი შესამოსელი ტანისა.  
ებრძანა: „მწადსო სიახლე შენ ლალისა და ჯანისა,  
რა შეგეყარო, მაშინ სცნა შენ<sup>4</sup> ძღვენობა ამისთანისა!“
- 100 კვლაცა ეთქვა: „მართალია ეზოდ ჩემი მონაცხენი, —  
მე თვით წინა-მოგვეგებვი, მესწრაფების ნახეა შენი.“  
მოუახსენე: „ღია, ღმერთო, ბრძანება ვქნა მეცა თქვენი,  
ტბილად ვნახეთ ერთმანერთი, ვიყვნეთ ვითა მამა-ძენი.“
- 101 მუნით წარსული გარდავექ<sup>5</sup> ტევრისა რასმე კიდესა.  
კვლა მოციქულნი<sup>6</sup> მოვიდეს მას ლამეს<sup>7</sup> არ დამრიდესა.  
წინა ტურფათა ტაიჭთა ძღვნად ჩემთვის მოზიდვიდესა:  
„შენსა ნახვასა მეფენი, თქვეს, მართლად ინატრიდესა.“
- 102 მითხრეს: „მეფე მოგაკენებს, — მეცა შენ კერძ ვიარები,  
სახლით ჩემით წამოსრული ხვალე ადრე შეგეყრები.“ —  
მოციქულნი დავაყენენ, ხარგა, დავდგი, არ მასრები,<sup>8</sup> —  
მეტად ამოდ ვუალერსე, — ერთგან დაწვენეს ვით მაყრები.

1. ასე კაკ<sup>1</sup> 392,4 და უგ 426,4; სხვა დგ და გნ ცოტათი. 2. კაკ<sup>1</sup> 393,1 და უგ 427,1 სამასი კარგი. 3. კაკ<sup>1</sup> 393,4 და უგ 427,4 მიშველდით. 4. კაკ<sup>1</sup> 394,4 კვლავ. 5. ასე I; სხვა გნ და დგ ჩამოვგე. 6. G მოციქული. 7. ასე G (შეად. კაკ<sup>1</sup> 396,2); აბ 344,2 და სხვ. სალამად. 8. C, G, H და ვაზტ მზირები (შეად. კაკ<sup>1</sup> 397,3); სხვა გნ და დგ მაზრები.—(იხ. საბა: ზღუდე: მასარი).

- 103 კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურე არ წაკდების:  
ერთი კაცი უკ-მო-რე-სწყდა, მოდგა, მალვით მუუბნების:  
„დიდი მაცო! თქვენი ვალი, ჩემგან ძნელად გარდიკდების,  
გაწირვა და დავიწყება ჩემგან თქვენი არ იქმნების!
- 104 მე მამისა თქვენისაგან ვარ ცოტაი<sup>3</sup> განაზარდი.  
თქვენი მესმა სალალატო, საცნობელად გამოვევარდი.  
მკვლარი მიმძიმ სანახავად ტანი მქვერი, პირი ვარდი,  
ყველასავე<sup>3</sup> მოგახსენებ, გამიგონე, დამიწყნარდი:
- 105 რომე ცუდად არ მოჰლორდე, — ისი კაცნი გლალატობენ!  
ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჯერ ათასობენ,  
კელა სხვაგან გითქს<sup>4</sup> სამი ბევრი, — ასრე ფიცხლად მით გიკომობენ,  
აწვე თავსა არ ეწევი, — ფათერაკსა შევასწრობენ!
- 106 მეფე ცოტათა<sup>5</sup> გეგებვის ვის მქვერტნი ვერ გელევიან,  
მალვით ჩაიციენ აბჯარსა; მიენდო, ვით<sup>6</sup> გეტნევიან, —  
კვამლსა შეიქმენ ლაშქარნი, ყოველგნით მოგეხვევიან. —  
რა ერთსა გცემდენ<sup>7</sup> ათასნი, ეგრეთცა მოგერევიან.“
- 107 მას კაცსა ამოდ ვეუბენ და შადლსა გარდვიკდიდია,  
რომე: „არ მოვეკდე, შემოგზლო შენ ამას ინატრიდია! --  
აწ ამხანაგთა არ გიგრძნან, წადი, მათთანა მიდია.<sup>8</sup>  
თუ დავივიწყო, უთუოდ, მემცა ვარ განაკილია!“
- 108 არვის გავენდეც სულთ-დგმულსა, დავმალე ვითა ჭორია:  
„რაცა იქმნების, იქმნების, ყოვლი თათბირი სწორია!“ —  
მაგრა სპათაკენ გავგზავნენ კაცნი: „გზა<sup>9</sup> თუ-ლა<sup>9</sup> შორია, —  
შევსთვალე, — ფიცხლად წამოდით, მოგრაგნეთ მთა და გორია!“

1. მაცო < მამსო. 2. ასე კაკ<sup>1</sup> 399,1 და უგ 433,1 აბ 347,1 და სხვ. ცოტათი.  
3. კაკ<sup>1</sup> 399,4 ყველაქასა. 4. გითქს < გიდგს. 5. ასე ინგ 435,1; აბ 349,1 ცოტად  
მოგეგებვის. 6. ასე კაკ<sup>1</sup> 401,2; ჭიუ 477,2 და უგ 435,2 მით. 7. ასე უგ 435,4; კაკ<sup>1</sup>  
401,4 გცემდეს; სხვა დგ და გნ გცემენ. 8. კაკ<sup>1</sup> 402,3 და უგ 436,4 ვლიდია. 9. კაკ<sup>1</sup>  
424,3 და უგ 437,3 თუ გზაცა; სხვა დგ და გნ გზა თუცა.

- 109 მე დილასა მოციქულთა სიტყვა ტკბილი შევეუთვალე:  
“რამაზს ჰკადრეთ, — მოგეგებვი, მოდი, მოვალ მეცა მალე.” —  
ნახევარ დღე სხვა ვიარე, ჭირსა თავი არ ვაკრძალე:  
„განგებაა, — დღესცა მომკლავს, ქვემცა სადა დაწემალე!“<sup>1</sup>
- 110 ქედსა რასმე გარდავადეგ, მინდორს მტკერი დავინახე,  
ეთქვი თუ: „მოვალს რამაზ მეფე; ჩემთვის<sup>2</sup> უდგამს<sup>3</sup> თუცა მახე,  
ჩემი გაჰკვეთს კორცთა<sup>4</sup> მათთა<sup>5</sup> კრმალი ბასრი, შუბი მახე!“<sup>4</sup> —  
მაშინ ვუთხარ სპათა ჩემთა, სახე დიდი დავუხახე.
- 111 ეთქვი თუ: „ძმანო, ისი კაცი ჩვენ ლალატსა გვიდგებიან!  
შკლავთა ჩვენთა<sup>5</sup> სიმაგრენი ამისთვისცა რად; დალბიან!  
ვინცა მოკვდენ<sup>6</sup> მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცად<sup>7</sup> რბიან!  
აწ შევებნეთ ხატელთა, კრმალნი ცულად რად<sup>8</sup> გვაბიან!“ —
- 112 ეუბრძანე ჩაცმა აბჯრისა ლაღმან სიტყვითა ვაფითა.  
დავეკაზმენით საომრად ჯაჭვითა, ჯავშან-ქაფითა.  
რაზმი დავაწყევ, მივჰმართე, წაველ დიდითა სწრაფითა. —  
მას დღესა ჩემი მებრძოლი ჩემმანვე კრმაღმან დაფითა!
- 113 მივეახლენით, შეგვატყვეს მათ ტანთა-აბჯარ-ცმულობა.  
კაცი მოვიდა, მომართვა მეფისა მოციქულობა.  
ეთქვა თუ: „ჟამად გვაჩნია ჩვენ თქვენი არ ორგულობა!  
აბჯრითა გხედავთ, შეგვექმნია აწ ამად გულ-ნაკულულობა.“
- 114 შევსთვალე თუ: „მეცა ვიცი რაცა ჩემთვის გავიგია!  
თქვენ რასაცა სთათბირობდით, არ იქნების, არ<sup>10</sup> იგია!<sup>10</sup>  
ბრძანეთ,<sup>11</sup> მოდით<sup>11</sup> შემებნით<sup>12</sup> ვითა წესი და რიგია!  
მეცა თქვენად დასაკოცლად კელი კრმალსა დამიგია!“ —

1. ასე კაკ<sup>1</sup> 404,4; სხვა დგ და გნ დაეიმალე. 2. კაკ<sup>1</sup> 405,2 მას მოუდგამს ჩემთვის. 3. გნ და დგ გორცსა მათსა. 4. გნ და დგ ახე(?). 5. ასე ინგ. 440,2; სხვა დგ და ან თქვენთა. 6. გნ და დგ მოკვდეს. 7. გნ და დგ ზეცას. 8. კაკ<sup>1</sup> 406,4 და უგ 440,4 რას. 9. კაკ<sup>1</sup> 407,2 ჯაჭვითა, ჯავშან—. 10. ასე უგ 443,2; სხვა დგ არ, იგია(?). 11. კაკ<sup>1</sup> 409,3 აწ მოდით და. 12. კაკ<sup>1</sup> 409,3 და უგ 443,3 შეგვებნით.

- 115 რა მივიდა მოციქული, კვლამცა<sup>1</sup> რადლა გამოგზავნეს!  
კვალი შექმნეს ლაშქართათვის<sup>2</sup> დამალული გაამჟღავნეს,  
სამალავით გამოვიდეს, თაენი ორგნით აქარავნეს,  
შექმნეს რაზმი მრავალ-კაცი, თუცა, ღმერთო, ვერა<sup>3</sup> მავნეს!
- 116 შუბი ვსთხოვე, კელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად.  
საომარად ატეხილი ვიყავ მათად<sup>4</sup> გამტეხელად.  
ერთსა წავსწვდი უტევენსა, წავგრძელდი და წავე გრძელად, —  
მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად.
- 117 ახლოს მიველ, შემომხედეს, „შმაგიაო!“ ესე თქვესა.  
მუნ მიჰვმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა.  
კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰკდეს მზესა,  
შუბი გატყდა, კელი ჩავყავ, — ვაქებ, კრძალო, ვინცა გლესა!
- 118 შიგან ასრე გავერივე გნოლის ჯოგსა ვითა ქორი.  
კაცი კაცსა შემოვსტყორცი,<sup>5</sup> ცხენ-კაცისა დავდგი გორი.  
კაცი ჩემგან ვანატყორცი ბრუნავს ვითა ტანაჯორი! —  
ერთობ სრულად ამოვსწყვიდე წინა-კერძი<sup>6</sup> რაზმი ორი.
- 119 ერთობილნი მომეხვივნეს მრგვლივ შეიქმნა ომი დიდი.  
ვჰკრი რასაცა, ვერ დამიდგის, სისხლსა მჩქეფრად<sup>7</sup> აღმოვღვრიდი.  
ცხენსა კაცი ვაკვეთილი მანდიკურად გადავჰკიდი.  
სითცა ვიყვი, გამექციან, მათ შექმნიან ჩემი რიდი.
- 120 სალამო-ჟამს დაიზახა ქედით მათმან დარაჯამან:  
„ნულარა<sup>8</sup> სდგათ<sup>9</sup> წავედითო,<sup>9</sup> კვლა მოგებენდა რისხვით ცამან!  
მოვა მტერი საშინელი, შეგვაშინა ამაღ ამა, —  
ნუ თუ სრულად ამოგვწყვიდნეს უთელაემა ბევრმან სპამან!“

1. კაკ<sup>1</sup> 410,1 და უგ 444,1 კვლა(ვ)ცა(?). 2. კაკ<sup>1</sup> 410,2 ლაშქართავან(?).  
3. ვერა < ვერ-რა. 4. ზოგი გნ და დგ მათდა. 5. ასე ინგ 447,2; სხვა გნ და დგ შე-  
მოვსტყორცი. 6. კაკ<sup>1</sup> 413,4 და უგ 447,4 წინა-კერძო. 7. გნ და დგ მჩქეფრსა(?).  
8. კაკ<sup>1</sup> 415,2 ნულარ სდგახართ. 9. უგ 449,2 წავედითო.

- 121 ჩემნი ლაშქარნი, რომელნი წამომეტანნეს მე არა,  
რა ეცნა წამოსრულიყვნეს, ლამე--წამორთვით ეარა.  
ვერ დაიტევდა მინდორი და არე მთათა ეარა!  
გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლაცა, ბუკმან კმა გააზიარა.<sup>2</sup>
- 122 იგი ნახეს, გასაქცევლად გაემართნეს, — შევჰკივლენით!  
ველნი ჩვენგან ნაომარნი ომითავე გარდაველენით,  
რამაზ მეფე ჩამოვადე, ერ-თმანერთსა გავეკრმლენით,  
მისნი სპანი ყველანივე<sup>3</sup> დავიპყრენით, არ მოვეკლენით.
- 123 უკანანიცა ლაშქარნი მოესწრნეს<sup>4</sup> მათ გაქცეულთა.  
დაუწყეს პურობა, ჩამოყრა შეშინებულთა, ძლეულთა.  
ძილისა მიჰხვდა ნაცვალი<sup>5</sup> ძილ-მკრთალთა, ლამე-თეულთა, —  
ტყვეთა მრთელთაცა არ აკლდა კენესა მართ ვითა სნეულთა.
- 124 მას ადგილსა ნაომარსა გარდავეკედით მოსვენებად.  
კელსა კრმლითა დავეკოდე, წყლულად მაჩნდა არ ნაღებად.<sup>6</sup>  
ჩემნი სპანი მოვიდიან საჭერეტლად და ჩემად ქებად,  
ვერ იტყვიან, ვერ მიმხვდარან ქებასაცა<sup>7</sup> მოკსენებად.
- 125 ერთსა კაცსა ეყოფოდეს დიდებანი რომე მჭირდეს.  
ზოგთა შორით<sup>8</sup> დამლოციან, ზოგნი კოცნად გამიპირდეს,  
რომელთაცა გავეზარდე დიდებულნი ამიტირდეს,  
ჩემგამ კრმლითა განაკვეთი ნახეს, მეტად გაუჰკირდეს. —
- 126 გავეზაენენ ყოვლგან<sup>9</sup> ლაშქარნი, ალაფი ავაღებინე.  
ერთობ საესენი მოვიდეს, — თავი<sup>10</sup> ავალაღებინე,<sup>10</sup>  
სისხლსა<sup>11</sup> მძებნელთა ჩემთა სად<sup>11</sup> მინდორი შევაღებინე.  
არ<sup>12</sup> ვჰბრძოლე, კარი<sup>12</sup> ქალაქთა<sup>12</sup> უომრად ავაღებინე.

1. ასე უგ 450.2; სხვა დგ და ენ ეცნათ. 2. უგ 450.4 გაიზიარა(?); კაკ<sup>1</sup> 416.4 გაიზიარა(!). 3. კაკ<sup>1</sup> 417.4 და უგ 451.4 ყველაქანი. 4. უგ 452.1 მოესწრეს. 5. კაკ<sup>1</sup> 418.3 სანაცვლო. 6. ინგ 453.2 დაღებად. 7. კაკ<sup>1</sup> 419.4 ქებასაცა. 8. ასე კაკ<sup>1</sup> 420.2 და უგ 454.2; აბ 368.2 და სხვ. შორის. 9. ინგ 455.1 ყოველგნით. 10. უგ 45 5, 2 თავიცა ვალაღებინე; სხვა დგ და ენ თავი ვალაღებინე (?). 11. კაკ<sup>1</sup> 421.3 და უგ 455.3 ჩემთა მებრძოლთა სისხლითა; სხვა დგ და ენ სისხლსა მძებნელთა ჩემთასა. 12. K კარი მაშინვე ციხეთა.

- 127 რამაზს ვარქვი: „შემიგია<sup>1</sup> საქმე შენი სამუხთაღე,<sup>2</sup>  
 აწ ეგრეტა შეპყრობილმან თავი გამოიმართაღე!  
 სიმაგრეთა ნუ ამაგრებ, ყველა კელთა მომათვალე,  
 თვარა შენი შეცოდება მემცა ზედან-რად-წავსთვალე!“
- 128 რამაზ მითხრა: „ილარ<sup>3</sup> არის<sup>3</sup> ამის მეტი ჩემი ღონე:  
 ერთი ჩემი დიდებული მომეც, ზედა მაპატრონე,  
 ციხოვანთა გავუგზავნო, საუბარიმც<sup>4</sup> გავეგონე.<sup>4</sup>  
 კელთა მოგცემ ყველაქასა, — განალამცა შენ გაქონე!“
- 129 მივეც ერთი დიდებული, თანა ყმანი წავატანენ,<sup>5</sup>  
 ციხოვანნი ერთობილნი ჩემს წინაშე მოვიყვანენ.<sup>5</sup>  
 კელთა მომცეს სიმაგრენი, ომი ასრე შეევანანენ.<sup>5</sup>  
 საჭურჭლენი სიმრავლითა რასამცა ვით დავავგანენ.<sup>5</sup>
- 130 მაშინ-ლა შეველ ხატაეთს მოვლად და მოსათვალავად.  
 კლიტენი საჭურჭლეთანი მომართენეს დაუმალავად.  
 ქვეყანა ჩავსხი, ეუბრძანე: „იყვენით თქვენ უკრძალავად.  
 მზემან არ დაგწვენე,<sup>6</sup> იცოდით, დაგყარნე<sup>7</sup> გაუგვალავად.“ —
- 131 საჭურჭლენი გარდაენახენ თავის-თავის, კიდის-კიდე.  
 უცხო ფერთა საჭურჭლეთა დავშვრები თუ მოვსთვალვიდე! —  
 ერთგან ვნახენ საკვირველნი ყაბაჩა და ერთი რიდე.  
 თუცა ჰნახენ,<sup>8</sup> სახელისა ცოდნასაცა<sup>9</sup> ინატრიდე!

1. ზოგი ონ და დგ შემიგნია. 2. ჰიკ 498,1 სიმუხთაღე. 3. C, F, G და I აღარაა (შეად. კაკ<sup>1</sup> 423.1). 4. C, F, G და I საუბარი გამოგონე (შეად. კაკ<sup>1</sup> 423.3; ჰიკ 499.3; უგ 457.3); აბ 371.3 საუბარი გამოგონე; ინგ 457.3 შეთვლილობა გამოგონე. 5. კაკ<sup>1</sup> 424: წავატანე. მოვიყვანე, შეევანანე, დავავგანე. 6. ონ და დგ დაგწვენე. 7. ონ და დგ დაგყარნე. 8. ასე C და F; G და I ნახო (შეად. კაკ<sup>1</sup> 426.4); ინგ 460.4 თუმცა ჰნახე. 9. ცნობასაცა (შეად. აბ 374.4); I კოდნასამცა.

- 132 ვერა შევიგენ, — რა იყო, ანუ ნაქმარი რაულად.  
ვისცა უჭყენი,<sup>1</sup> უკვირდის<sup>2</sup> ღმრთისაგან<sup>3</sup> თქვის<sup>3</sup> სასწაულად.  
არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არც ორზაულად.  
სიმტკიცე ჰგვანდა<sup>4</sup> ნაქედსა, ვთქვი ცეცხლსა<sup>5</sup> შენართაულად.
- 133 იგი საძღვნოდ მისად დავდევი,<sup>6</sup> ვისი შუქი მანათობდა.  
მეფისათვის დავარჩივე საარმალნოდ რაცა სჯობდა.  
ჯორ-აქლემი ათჯერ-ასი, — ყველაკი წვივ-მაგრობდა, —  
დატვირთული გავუგზავნე, ამბავსაცა კარგსა ცნობდა.
- 134 წიგნი დავწერე: „მეფეო, სვემცა<sup>7</sup> არს<sup>7</sup> თქვენი სვიანად.  
მე ხატაელთა მიმუხთლეს, თუცა მათ ეცა ზიანად.  
ჩემი ამბავი დასტური ამად გაცნობე გვიანად.  
მეფე შევიპყარ, მოგივალ მე ალაფიან-ტყვიანად.“
- 135 რა ყველაი დავიურვე<sup>8</sup> ხატაეთით გავემგზავრე.  
წამოვიხვენ საჭურჭლენი, საკელმწიფო დავიავრე.  
ვერ მოვეყავ აქლემითა, აზავრები ვააზავრე.  
მოვირტყენ<sup>9</sup> და მოვივლინე, რაცა მწადდა არგე ვყავრე.
- 136 ხატაეთისა კელმწიფე მომყვანდა შეპყრობილია.  
ინდოეთს მოველ. მეგება ჩემი გამზრდელი ტკბილია.  
რა ქება მითხრა, არ ითქმის, — ჩემგან სათქმელად წბილია.  
კელი გამოიქსნა, შემაკრა<sup>10</sup> მან სახვეველი ღბილია.
- 137 ედგენს<sup>11</sup> ტურფანი კარავნი მოედანს ჩამოდგომილსა.  
საუბრისა და ჭერეტისა ჩემისა მას მონდომილსა.  
მას დღესა ედვა ნადიმი მას შიგან გარდაკდომილსა.  
მიალერსებდა, მიჭერეტდა წინაშე ახლოს ჯდომილსა.

1. F უჩვენეთ; G უჩვენით; E ვაჩვენი. 2. F და E უკვირდა. 3. F და G ღმრთისაგან თქვეს; აბ 375.2 ღმრთისა თქვის მან. 4. აბ 375.4 ჰგვანდის. 5. ასე აბ 375.4 და ჭიჭ 503.4; ან ცეცხლთა (შეად. კაკ<sup>1</sup> 427.4 და უგ 461.4). 6. კაკ<sup>1</sup> 428.1 დავსხენ. 7. ასე უგ 463.1; სხვა დგ და გნ სვემცაა. 8. ვაჩტ დავიურე. 9. ასე I და ვანტ; F მოვირტყენე. 10. C და F შემომკრა; G შემამკრა; I შემამკრანა. 11. კაკ<sup>1</sup> 432.1 დადგენ(?).

- 138 მას<sup>1</sup> ლამეს<sup>1</sup> ესხედით ნადიმაღ, მუნ ამოდ გავიხარენით,  
დილასა ქალაქს შევედით, მოედნით ავიყარენით.  
მეფემან ბრძანა: „ლაშქარნი მიკმენით,<sup>2</sup> შემოჯარენით,  
დღეს ხატელი<sup>3</sup> მიჩვენეთ,<sup>3</sup> ტყვენიცა შემომგვარენით.“<sup>4</sup>
- 139 რამაზ მეფე მას წინაშე შეპყრობილი მოვიყვანე.  
ტკბილად ნახა კელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე.  
ორგული და მოღალატე ნამსახურსა დაამგვანე,<sup>4</sup> —  
ესე არის მამაცისა მეტის-მეტი სიგულვანე!<sup>5</sup> —
- 140 მას მეფესა ხატელსა უმასპინძლა, უღაღერსა,  
ეამიერად უბრძანებდის საუბარსა მათსა ფერსა.  
ცისკრად მიკმეს, მიბრძანებდეს მე სიტყვასა ლმობიერსა:  
“შეეუნდოთო<sup>6</sup> ხატელსა მას, აქამდის შენამტერსა?”
- 141 მე ვკადრე: „ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა,  
თქვენცა უყავით წყალობა მას, ღონე-გაცულებულსა.“ —  
რამაზს უბრძანებს: “იციოდი, გაგზავნი შეწყალებულსა,  
მაგრა ნუ<sup>7</sup> ვნახავთ კვლაცა-ლა<sup>8</sup> ჩვენს წინა გაწბილებულსა!”<sup>9</sup>
- 142 ხარაჯა დასდევს, შეპკვეთეს დრაპკანი ას-ათასია.<sup>9</sup>  
კვლა ხატაური ათასი,<sup>10</sup> სხვა სტავრა, სხვა ატლასია.  
მერმე ყველაი დამოსა, — იგი და მისი ხასია.  
შეწყალებული გაგზავნა,<sup>11</sup> — უყო<sup>12</sup> რისხვისა<sup>13</sup> ფასია!
- 143 ხატელმა დაუმადლა, დადრკა, მდაბლად ეთაყვანა.  
მოახსენა: „ორგულობა თქვენი ღმერთმან შემანანა,  
თულა ოდეს შე-ცა-გციოდო,<sup>13</sup> მაშინ მომკალ მემცა<sup>14</sup> განა!“ —  
წაივინა და ყველაკაი მისი თანა წაიტანა.<sup>15</sup>

1. უგ 467.1 მას ლამით(?). 2. ინგ 467.3 უხმენით. 3. ასე უგ 467.4; სხვა დგ და ნ ხატელნი მიჩვენეთ. 4. ნ და დგ დავა(მგვანე). 5. ასე უგ 468.4; სხვა დგ და ნ სიმგულვანე. 6. ნ და დგ შეუნდობო. 7. I ნუმც. 8. F და ვახტ (შუად კაკ<sup>1</sup> 384.4) კელა(ე)მცალა). 9. ნ და დგ ასჯერ-ასია. 10. C და F; G სამასი; I მრავალი (შუად. კაკ<sup>1</sup> 437.2 და უგ 471.2). 11. G გაუშვა. 12. I არ უყო რისხვის. 13. F შეგციოდოდა; აბ 386.3 და სხვ. შელაგციოდო. 14. უგ 472.3 მეცა. 15. ინგ 472.4 წაიტანა.

- 144 მოვიდა კაცი მეფისა, ცისკრობს, არ დანალამია.  
 ებრძანა: „რა შენ გაყერივარ,<sup>1</sup> მას აქათ, თვეო სამია,  
 მინდორს მოკლული ისრითა ნადირი არ მიჭამია.  
 არ დამამწვრალხარ, წამოდი, — თუცა დაშვრობის ჟამია.“<sup>2</sup>
- 145 შევეკაზმე დარბაზს მიველ, დამხვდა ჯარი ავაზისა.  
 შავარდნითა საცეე იყო სრულად არე დარბაზისა.  
 მეფე ქვე-ჯდა შეკაზმული, შვენებითა მსგავსი მზისა,  
 გაეხარნეს მისვლა ჩემი, ტურფისა და ლამაზისა.
- 146 იღუმალ ცოლსა ეუბნა, — არ<sup>3</sup> ჩემგან უცოდნელია —:  
 „ომით მოსრული ტარიელ საჭერეტლად სასურველია.  
 მან განანათლოს მჭერეტელთა გული, რაზომცა ბნელია,  
 რაცა დაგვედრო საქმნელად, ქმენ, არა საზოზნელია.“<sup>4</sup>
- 147 აწ, — მითქვამს საქმე უშენოდ. — შენცა ცან ესე მცნებული:  
 რათგან ქალია სამეფოდ ჩვენგანვე სახელდებული,  
 ვინცაღა ნახავს, აწ ნახოს, აჰა დღე<sup>5</sup> ედემს<sup>6</sup> ხლებული!<sup>5</sup>  
 გვერცა დაისვი, ორნივე სრას დამხვდით, მოვალ შევებული.“
- 148 მოვინადირეთ მინდორი, ძირი მთისა და გორისა.  
 იყო სიმრავლე ძაღლისა, შავარდნისა და ქორისა.  
 ადრე დაებრუნდით, ვიარეთ არ ეჯი გზისა შორისა.  
 აღარ იბურთეს, დაშლა ქმნეს თამაშობისა ორისა.
- 149 ჩემთა მჭერეტელთა მოეცვა ქალაქი, — შუკა და ბანი.  
 ომ-გარდაკდილსა მშვენოდეს მე ენიანნი<sup>6</sup> კაბანი.  
 ფერ-მიკდილ-გვარად ვშვენოდი ვარდი ცრემლითა ნაბანი.  
 ვინცა მიჭერეტდის, ბნდებოდის, — მართლად არს, არ კატაბანი!

1. ასე ინგ 473.2; სხვა დგ და გნ შენგან გაყრილვარ. 2. G და ვახტ ხანია(?)  
 (შეად. კაკ<sup>1</sup> 439.4). 3. გნ და დგ მართ. 4. ასე ინგ 475.4; სხვა დგ და გნ საზოზ-  
 ნელია. 5. ჰიუ 518.3 ხე ედემს ხებული. 6. ინგ 478.2 მავნიანნი.

- 150 რიდენი რომე მეშოენეს ქალაქსა ხატაელთასა,  
იგი მეზვიენეს, მშვენოდეს,<sup>1</sup> ვახელებ გულსა ხელთასა! —  
ძევე გარდაკდა, დარბაზსა შევედით ჩემთა მზრდელთასა.  
შევხედენ, დავკვრთი ელვისა ლაწვთა<sup>2</sup> მათ მზებრ<sup>3</sup> ნათელთასა!
- 151 მას მზესა ტანსა ემოსნეს<sup>3</sup> ნარინჯის ფერნი ჯუბანი,  
ზურგიტ უთქს<sup>4</sup> ჯარი ხადუმთა დას-დასად, უბან-უბანი.  
სრულად ნათლითა აევსო სახლი, შუკა და უბანი.  
მუნ ვარდსა შუა შვენოდეს ძოწ-მარგალიტნი ტყუბანი.
- 152 ნაომარსა, დაკოდილსა კელი ყელსა ჩამომება.  
დედოფალი საჯდომთაგან ადგა, წინა მომეგება,  
ვითა შვილი გარდამკოცნა, ლაწვი ვარდი დამილება,  
მითხრა: „ნუ ექვ, ამას იქათ თუცა<sup>5</sup> მტერი შე-ლა-გება!“
- 153 აზლოს დამისვეს ადგილსა, მუნ, სადა მემამებოდა.  
პირის-პირ მიჯდა იგი მზე, გული ვისთვისცა კვდებოდა.  
მალვით ვუქვრეტდი, მიქვრეტდა, სხვად არად მეუბნებოდა.<sup>6</sup>  
თვალნი მოვსწყვიდინი,<sup>7</sup> სიცოცხლე ამითა მებრმებოდა.
- 154 შეიქმნა სმა და პურობა მსგავსი მათისა ძალისა.  
სხვა გახარება ასეთი არს უნახავი თვალისა! —  
ჯამი და ქიქა ყველაი ფირუზისა და ლალის ა. —  
არვისი ბრძანა მეფემან გაშვება<sup>9</sup> არა-მთვრალისა.<sup>9</sup>
- 155 მე მუნა მყოფი მიეცი შევებასა მეტის-მეტასა.  
რა შემომხედნის, შევხედნი, ცეცხლი!<sup>10</sup> მიწყებდის.<sup>10</sup> შრეტასა.<sup>10</sup>  
კაცთა კრძალვასა ვაწვევდი გულსა შმაგსა და რეტასა. —  
რა უამეა პირის-პირ საყვარელისა ჭერეტასა!

1. კაკ 445,2 ვშვენოდი. 2. გნ და დგ ლაწვთა მზებრ; ინგ 479,4 ლაწვთასა მზებრ. 3. კაკ<sup>1</sup> 446,1 ემოსა. 4. უთქს < უდგს. 5. გნ და დგ თულა(?). 6. C და F მეგონებოდა. 7. F მოვსწყვიტენ; G და I მოვსხლიტნი (შეად. კაკ<sup>1</sup> 448,4). 8. ვარ. ფეროზისა. 9. G და I გაშვება არცა მთვრალისა; C არცა გაშუება მთვრალისა. 10. გნ და დგ ცეცხლმან დამიწყის შრეტასა(?!).

- 156 დაადდეს მღერა მუტრიბთა, — „სულეთო!“ — თავი ხარიან.  
მიბრძანეს: „შვილო ტარიელ, ვით გითხრათ, ვით გეიხარიან.  
ნეტარ-ძი გვაქვსო, მებრძოლნი მით ჩვენნი ვაგლახ არიან! —  
მართალ-ან<sup>1</sup> შენნი მჭკრეტელნი, არ ცუდათ იმკვებარიან!
- 157 აწ თუცა<sup>2</sup> გამართებს<sup>3</sup> შემოსვა ვის მორკმით ძოგიველენიან,  
არ შეგმოსთ, მაგა კაბათა არ აგკდით, — ტურფად გშვენნიან.  
აწ გქონდეს ასი საჭურჭლე ვის შუქნი<sup>4</sup> მოგიფენიან.  
თვით შეიკერე რაცა გწადს, ჩვენგან ნულარა გრცხვენნიან.“
- 158 კვლაცა დასხდეს<sup>5</sup> მხიარულნი,<sup>6</sup> მოიმატეს<sup>5</sup> სმა და მღერა,  
კვლა გაგრძელდა ნადიმობა, ბარბითთა<sup>6</sup> და ჩანგთა ჟღერა.  
დედოფალი<sup>7</sup> წამოვიდა,<sup>7</sup> შეეყარა მწუხრსა დღე რა.  
ძილ-პირამდის სიხარულსა სიხარული ჰგვანდა ვერა.
- 159 ავიყარენით, მიგვკირდა სმა დოსტაქნისა მეტისა.  
საწოლს შემოველ, შემექმნა ცნობა მართ ვითა რეტისა,  
ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე იმა<sup>8</sup> ცეცხლთა შრეტისა.  
მეგონებოდის<sup>9</sup>, — მალხენდის გონება მისგან ჰკრეტისა.
- 160 მონა მოვიდა, მიამბო ამბავი მე მართალია.  
„თქვენსა ამბავსა იკითხავს აჯილოსანი ქალია.<sup>10</sup>  
მაშინვე ვიცან, ავიჭერ ჩქარ-ჩქარად, გულ-გამყრთალია,<sup>10</sup>  
მოვიდა, ვნახე ასმათი ჩემს<sup>11</sup> წინა მომავალია.<sup>11</sup>
- 161 მე ვისთვის ვკვდები, მეამა ასმათის ნახვა მე მისად.  
ალარ მივუშვი — ვაკოცე — ქმნაღლა თაყვანის-ცემისად.  
კელი მოვჰკიდე, დავისვი ახლოდ<sup>12</sup> ტახტისა ჩემისად.  
ვჰკითხე თუ: „ნეტარ მისრულა მორჩი ალვისა ხე მისად?

1. ასე უგ 485,4 (—ან=არიან); სხვა დგ და გნ მართალ არნ. 2. კაკ<sup>1</sup> 452,1 ვითა. 3. ასე კაკ<sup>1</sup> 452,1 და უგ 486,1; სხვა დგ და გნ გვემართებს. 4. ასე უგ 486,3; სხვა დგ და გნ შუქი. 5. გნ და დგ მხოლ.: დაჯდა, მხიარული, მოიმატა. 6. ასე კაკ<sup>1</sup> 453,2; სხვა დგ და გნ ბარბითი. 7. ინგ 488,3 დედოფალნი წამოვიდეს. 8. გნ და დგ ამა. 9. ასე უგ 489,4; სხვა დგ და გნ მეგონებოდა. 10. ასე ინგ 490; აბ 409-ა. 11. ასე კაკ<sup>1</sup> 455,4 სხვა დგ და გნ ჩემთანა. 12. უგ 491,3 ახლო.

- 162 მიამბე მისი ამბავი, სხვად ნურად<sup>1</sup> მეუბნებია.“  
 მითხრა თუ: „გკადრებ მართალსა, აწ ჩემგან არ სათნებია.  
 დღეს ერთმანერთი გინახავს და ტურფად მოგწონებია.  
 აწ<sup>2</sup> კვლაცა<sup>2</sup> ცნობა ამბისა მას ჩემგან<sup>2</sup> უბრძანებია.“
- 163 წიგნი მომართვა — ჩაეხედენ — პირისა თემთა მთენისა.  
 ეწერა: „ენახე სიტურფე წყალ-ჯაეარისა შენისა.  
 ომ-გადახდილი ჰშეენოდი, — შენატევები ცხენისა.  
 არ ავი მიჩანს<sup>3</sup> მიზეზი ჩემისა ცრემლთა<sup>4</sup> დენისა! —
- 164 იგი მე მომცენ<sup>5</sup> რიდენი, რომელნი წელან გშეენოდეს.  
 რა მნახო, შენცა გეამოს, შენეულითა ვშევენ<sup>6</sup> ოდეს.<sup>6</sup>  
 ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი გალაგვლენოდეს,<sup>7</sup> —  
 ერთი ასეთი ცოცხალსა სხვა ღამე გაღამთენოდეს!<sup>8</sup>
- 165 მიუწერე: „მზეო, შუქი შენი, შენგან მონაფენი,  
 გულსა მეცა, გამიცუდდეს სიჩაუქე, სიაღფენი.  
 ხელმან შენნი განვიცადენ სინატიფე-სიტურფენი.  
 სულთა ნაცვლად სამსახურნი<sup>9</sup> რამცა<sup>10</sup> ვითა გიმუქენი!
- 166 მაშინ ოდეს დამარჩინე, სულთა სრულად არ გამყარე.  
 აწცა ჩემთვის ესე ჟამი მასვე ჟამსა<sup>11</sup> დავადარე. —  
 სამკრე შენი მომივიდა, შემოვიბი მკლავსა გარე.  
 რომე მმართებს სიხარული, ეზომიმცა<sup>12</sup> რა ვიხარე!
- 167 განაღამცა ვიწინაშე, — აჰა რიდე რომე მთხოვე,  
 ყაბაჩაცა ასეთივე, ამისებრი<sup>13</sup> ვერა ჰპოვე!<sup>14</sup>  
 დაბნედილსა ნუ დამაგდებ, მიშველე რა, მარგე, მოვე!  
 სოფელს ყოფნა უშენოსა კაცსა ვისმცა შეეებოვე:“ —

1. კაკ<sup>1</sup> 457.1 ნურას. 2. I აწე სცნობ სხვასა ამბავსა რაც ჩემთვის; კაკ<sup>1</sup> 457.4 აწ კვლავცა ცნობა ამბისა მას ჩემთვის (შეად. F და G). 3. G მიმჩნის; F, G და I მიმჩნის (შეად. კაკ<sup>1</sup> 458.2). 4. F სისხლთა(?). 5. ასე უგ 496.1; სხვა დგ და გნ მომეც (მამეც). 6. ინგ 496.2 შენ ოდეს; სხვა გნ და დგ მშევენოდეს. 7. კაკ<sup>1</sup> 461.3 რამ გაგვლენოდეს. 8. ინგ 496.4 «არ გაგვთენოდეს»; სხვა გნ და დგ «არ გაგვთენოდეს». 9. ასე უგ 503.4; სხვა დგ და გნ სამსახური. 10. უგ 503.4 რადმცა (?). 11. F, G და I დღესა (შეად. კაკ<sup>1</sup> 469.2). 12. ასე G; ვარ. ეზომიმცა; F გეთიმცა. 13. ვარ. ამისებრივე. 14. უგ 505.2 ვპოვე(?).

- 168 ქალი აღგა, გამეყარა. დავწევ, ამოდ დამეძინა.  
მაგრა შევეკრთი, — საყვარელი ჩემი ენახე ძილსა შინა.  
გამელევიდა, აღარა მყვა, სულთ-დგმულობა მომეწყინა.  
ლამე ასრე გავათენე, მისი კმაცა არ მესმინა!
- 169 დილასა ადრე სრას მიკემეს, დღე რა ქმნა მწუხრმან ჟამითა.  
აუღეგ, ეცან მათი ამბავი, წასვლა ვქმენ მითვე წამითა.  
ენახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა<sup>1</sup> ოდენ სამითა.  
რა მიველ, მითხრეს დაჯდომა, წინაშე დავჯე სკამითა.
- 170 მიბრძანეს თუ: „ღმერთმან ასრე დავგაბერა, დაცაველი, —  
ჟამი გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვივლია, —  
ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია;  
ყმისა<sup>2</sup> არ-სმა<sup>2</sup> არად<sup>3</sup> გვაგვა<sup>4</sup> ამაღ, — ზედან<sup>5</sup> - წავგიტოვლია.“<sup>6</sup>
- 171 აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,  
რომე მოვსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,  
სამეფოსა ვაპატრონოთ, საკელმწიფო შევანახოთ,  
არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა კრმლი ჩვენთვის არ ვამახოთ?<sup>7</sup>
- 172 ვთქვი: „თქვენი ძისა არა-სმა გულსა ვით მიეფარების.<sup>7</sup>  
მაგრა კმა ჩვენდა იმედად ვინ მზესა დაედარების. —  
ვისცა სთხოვთ შვილსა სასიძოდ, მას დიდად გავხარების,  
სხვამცა რა გკადრე,<sup>8</sup> თვით იცით მაგას რა მოეგვარების.“<sup>9</sup>
- 173 დავიწყეთ რჩევა საქმისა, გული მიც,<sup>9</sup> თუცა მელია!  
ვთქვი: „ჩემგან დაშლა ამისი არ ითქმის, არ სათქმელი!“<sup>10</sup>  
მეფემან ბრძანა: „ხვარაზმშა, კელმწიფე ხვარაზმელია,  
თუ მოგვცემს შვილსა სასიძოდ, მისებრივ არ - რომელია.“

1. არა «სახითა», როგორც აბ 418,3 და სხვ.. 2. G ყმის არა სმა (შეად. კაკ<sup>1</sup> 473,4). 3. G არა (შეად. კაკ<sup>1</sup> 473,4). 4. G გავვა (შეად. კაკ<sup>1</sup> 473,4; შან. გავვა (>გვა გვა). 5. G ამაზედან (შეად. კაკ<sup>1</sup> 473,4); F ამათზედა; უგ 508,4 ამათზე-დან(?); ინგ 508,4 ამათ ზედან; აბ 419,4 ამაღ ზედან. 6. C წაველია(?!). 7. კაკ<sup>1</sup> მი-ეფერების. 8. უგ 510,4 გკადრეთ. 9. ასე უგ 511,1; სხვა დგ და გნ უც(?) (მიც < მიძს; უც < უძს). 10. ასე ინგ 511,2; სხვა დგ და ან საქმელია (< საქმელია).

- 174 რომე პირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეტყვებოდა.  
ერთმანერთსაცა უჭერეტდეს, სიტყვაცა აგრე სწებოდა.  
ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა!  
ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი-და-მო კრთებოდა.
- 175 დედოფალმან თქვა: „ხვარაზმშა მეფეა მორჭმით მჯდომელი.  
მთსამცა შვილსა სასიძოდ<sup>1</sup> ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი!“<sup>2</sup> —  
შეცილებამცა<sup>3</sup> ვით<sup>3</sup> ვკადრე,<sup>3</sup> რათგან თვით იყო მდომელი!  
მოწმობა დავრთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა-მკდომელი!
- 176 გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინა შვილისა მთხოელი.  
შესთვალეს: „გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოელი.<sup>4</sup>  
არს ერთი ქალი საძეო, არ კიდე-გასათხოელი.<sup>5</sup>  
თუ მოგვეცემ შვილსა სასიძოდ,<sup>6</sup> სხვასა ნულარას მოელი.“
- 177 კაცი მოვიდა, — აევსო ჯუბაჩითა და რიდითა, —  
გაძხარებოდა ხვარაზმშას სიხარულითა დიდითა.  
ებრძანა: „მოგვხვდა ღმრთისაგან ჩვენ რომე ვინატროდითა!  
თვით მაგისებრსა შვილსამცა ჩვენ კელსა რასა ვკვდიდითა!“
- 178 კელა გაგზავნეს სხვანი კაცი სასიძოსა მოყვანებად,  
დაცავერდეს<sup>7</sup>: „ნუ აყოვნებთ, მოდიო ჩვენად ნაბრძანებად.“ —  
მე მაშვრალი. ნაბურთალი საწოლს შეველ მოსვენებად.  
გულსა სევდა შემეყარა, ვიწყე ჭირთა მოპოვნებად.
- 179 მეტმან სევდამან მიმწურა გულსა დაცემად დანისად. —  
ასმათის მონა შემოდგა მე<sup>8</sup> ვჯე<sup>8</sup> ლალი და ჯანი<sup>9</sup> სად.<sup>9</sup>  
წიგნი მომართვა, ეწერა: „ვინ ჩანს<sup>10</sup> ალვისა ტანისად,  
ადრე მოდიო, გიბრძანებს, დაუყოვნებლად ხანისად!“

1. F საძეოდ. 2. I სჯობდეს (შეად. კაკ<sup>1</sup> 478,2). 3. C, F და I შეცილებამ-  
ცა ვინ კკადრა (შეად. კაკ<sup>1</sup> 478,3); G შეცილებასა ვინ კკადრებს. 4. ასე უგ  
514 და ინგ 514; სხვა დგ და ან ყოველი. 5. აბ 425.3 არ-კიდე. 6. ასე ინგ 514,4;  
სხვა დგ ან სამისოდ. 7. კაკ<sup>1</sup> 481,2 და უგ 516,2 დავედრეს თუ; სხვა დგ და ან  
დაავედრეს. 8. ასე G და I; C და ვაბტ შეეჯე(?). 9. აბ 428.2 ჯანისად(?). 10. ასე  
G; სხვა ან და დგ სჩან(?).

- 180 შევევ, წაველ, ბაღჩას მიველ, ვითა სცნობდე,<sup>1</sup> ჭირთ<sup>2</sup> რა<sup>2</sup> ზომით!  
ბაღჩა შეველე, კოშკი აღჩნდა,<sup>3</sup> ასმათ ენახე<sup>4</sup> ძირსა დგომით.  
ენახე, ჭერეტდა<sup>5</sup> ნატირებად,<sup>6</sup> ცრემლი აჩნდა ლაწვთა წთომით.  
დამიმძიმდა, არრა<sup>7</sup> ვკვითხე, ჩემი სჭირდა მისვლა ნდომით. —
- 181 იგი ენახე დაღრევილი, ესე მეტად დამიმძიმდა,  
— ვითა წინას შემომცინის, არლა აგრე გამილიმდა!  
ყოლა სიტყვა არ მომიგო, ოდენ ცრემლთა გარდმოსწვიმდა.  
ამით უფრო დამაწყულულა, არა წყლულთა მიაქიმდა.
- 182 ჩემნი ერთნი გონებანი მეტად შორად გამიკიდნა:  
შინა კოშკად შემიყვანა, ფარდაგსაცა ამიზიდნა.  
შეველ ენახე იგი მთვარე, ჭირმან ყოვლმან უკუ-მრიდნა!  
გულსა შუქი შემომადგა, მაგრა, კრული,<sup>8</sup> არ დამიდნა!
- 183 ეყო<sup>9</sup> არ-ნათლად ნათელი ფარდაგსა შემომდგომელი,  
ებურა მოშლით პირ-ოქრო-მე-მივეც-რიდენ-რომელი,<sup>10</sup>  
მითვე მწვანითა, უებრო, მიწოლით ტახტსა მჯდომელი.  
ცრემლისა ღეარსა მოეცვა პირი ელეთა მკრთომელი.
- 184 ქვე-წვა ვით კლდისა ნაპირსა ვეფხი პირ-გამეხებული.  
— არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული! —  
ასმათ<sup>11</sup> მუნ<sup>11</sup> დამსვა შორს-გვარად გულსა; მე ლახვარ-ხებულნი  
მერმე წამოჯდა წარბ-შერკმით გამწყრალი, განრისხებულნი.
- 185 მიბრძანა: „მიკვირს, რად მოხველ მშლელი პირისა მტკიცისა,  
გამწირავი ღა მუხთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა!  
მაგრა ნაცვალსა პასუხსა<sup>12</sup> მოგცემსო!<sup>13</sup> ზენა<sup>13</sup> კი ცისა!<sup>13</sup>“  
ვკადრე: „რა გკადრო პასუხი მის ჩემგან, მე,<sup>14</sup> უეიცისა?<sup>14</sup>“

1. F სცნობდი. 2. F და I ჭირთა; სხვა ენ და დგ ლხინთა. 3. ასე G (აჩნდა); F დამგდა. 4. ინგ 518.2 დამხვდა. 5. ენ და დგ ვსუვრეტდი. 6. კაკ<sup>1</sup> 483.3 ნატი-რება. 7. ენ და დგ არა (<არ-რა). 8. ინგ 520.4 მიკვირს, სხვა დგ და ენ გული. 9. ენ და დგ იყო. 10. K მოშლის ებურნეს პირს ოქრო რიდე მე მივეც რომე-ლი. 11. ენ და დგ ასმათმან. 12. C, F და G პატიყსა. 13. C, F და G მოგცემსო ...; I მიიგებს ზენამცა ცისა; უიუ მოგცემსო ზე ნამი ცისა?; კაკ<sup>1</sup> 488.3 და უგ 523.3 მოგცემსო ზენამცა ცისა; აბ 434.3 მოგცემსო ზენა მი ცისა. 14. ვარ. მართ უეიცისა; მე, უიცისა.

- 186 ვთქვი: „პასუხსა ვერას<sup>1</sup> გკადრებ, თუ არა ვსცნობ მე მართალსა: რა შეგცოდნე, რა მიქმნია — უცნობოსა ფერ-ნამკრთალსა?“  
კვლაცა მითხრა: რა<sup>2</sup> გეუბნო<sup>2</sup> მტყუენასა და, შენ, მუხთალსა!<sup>3</sup>  
ღიაცურად რად მოვლორდი, მე დაუწვავ ამით აღსა! —
- 187 შენ არ იცი ხვარაზმშასი საქმროდ ჩემად მოყვენება?! —  
შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება!  
შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება!  
ღმერთმან ქმნას და დაგირჩინო<sup>4</sup> ცუდად შენი კელოვენება!
- 188 გაკსოვს, ოდეს „ჰაის“<sup>5</sup> ჰზმიდი, ცრემლი შენნი ველთა ჰბანდეს,  
მკურნალნი და დასტაქარნი წამალსა-ყე<sup>6</sup> მოგიტანდეს? —  
მამაცისა სიცრუვესა, ნეტარ სხვანი რამცა ჰგვანდეს? —  
რათგან დამთმე, მეცა დაგთმობ, ვინ-ძი უფრო დაზიანდეს!
- 189 ამას ებრძანებ: ვინცა გინდა ეპატრონოს ინლოეთსა,  
ეგრეც მე მაქვს პატრონობა, — უგზოს<sup>7</sup> ვლიდენ<sup>8</sup> თუნდა გზეთსა!  
ეგე აგრე არ იქმნების, წა<sup>9</sup>, — მომცდარხარ,<sup>9</sup> მოსაცდეთსა!<sup>9</sup>  
აზრნი შენნი შენვე გგვანან მტყუენასა და, შენ, აგეთსა!
- 190 ცოცხალ ვიყო, შენ ინლოეთს. ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო! —  
თუ ეცადო დაყოფასა, კორცთა შენთა სული გაჰყო! —  
სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა კელი აჰყო!“  
ესე სიტყვა დაასრულა, ყმა ატირდა, სულთ-თქვნა, ახ-ყო.<sup>10</sup>
- 191 თქვა,<sup>11</sup> „რა მესმა ესე მისგან, მეიმედა მეტის-მეტად!  
კვლა მიეცა თვალთა ძალი მის ნათლისა ეგრე ჰერეტად.  
აწ დაეკარგე! რად არ გიკვირს,<sup>12</sup> რად ცოცხალ ვარ, რა ვარ<sup>13</sup>  
[რეტად! —  
ვა, სოფელო უხანოო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხერეტად! —

1. ვერას < ვერ-რას. 2. G, ვახტ და კაკ<sup>1</sup> 489,3 რას გეუბნა. 3. F აგეთსა.  
4. ასე უგ 525,4; კაკ<sup>1</sup> 490,4 დაგირჩინოს; სხვა დგ და გნ დაგარჩინო. 5. კაკ<sup>1</sup> 491,1  
ჰაი, ჰაი, სხვა დგ და გნ ჰაი. 6. კაკ<sup>1</sup> 491,2 წამალსაყე. 7. ასე ჰიუ 570,2 და ინგ  
527,2; სხვა დგ და გნ უგზოდ. 8. ჰიუ 570,2 ვლიდეს. 9. ჰიუ 570,3 და უგ 527,3 წა.  
მომცდარხარ მოსაცეთსა; აბ 438,3 წა, მომცდარხარ მო-საცეთსა(?). 10. აბ 439,4  
აჰ-ყო. 11. G ვთქვი; ვახტ ვთქვა. 12. ასე ინგ 529,3 სხვა დგ და გნ გიკვირ. 13. გნ  
და დგ რად(?).

- 192 შეეხედენ, ვნახე სასთუმალს<sup>1</sup> მუსაფი გაშლით მდებარე.  
ავილე,<sup>2</sup> დავედგე<sup>3</sup> მე ღმრთისა და მერმე მათი მქებარე.  
ვჰკადრე თუ: „მზეო, დაგიწვაჲ,<sup>3</sup> — ჩემადცა<sup>4</sup> დაწვად<sup>5</sup> მგზებარე,<sup>5</sup>  
რათგან-ლა<sup>6</sup> მომკლავ,<sup>7</sup> პასუხი ერთაი<sup>8</sup> გკადრო მე ბარე!
- 193 რომე გკადრებ, ესე სიტყვა აწ თუ ცუდად ნალიქნია,  
ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი<sup>9</sup> ნუმცა<sup>10</sup> ჩემთვის ნაშუქნია!<sup>11</sup>  
თუ მალირსებ განკითხვასა, — ავი არ-რა არ მიქმნია!“ —  
მან მიბრძანა: „რაცა იცი, თქვიო“, თავი დამიქნია. —
- 194 — „მე მეფეთა დარბაზს მიკმეს, შექმნეს დიდი ვაზირობა.  
მათ წინასვე დაეპირა იმა ყმისა ძენი ჰქრობა.  
დამეშალა, — ვერ დაეშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა.  
თავსა ვუთხარ: „მიემოწმე ჟამად, გიჯობს გულ-მაგრობა!“
- 195 მემცა დაშლა ვითა ვჰკადრე, რათგან იგი ვერ მიმხედარა,  
არ<sup>12</sup> თუ<sup>12</sup> იცის,<sup>12</sup> ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა?! —  
ერთი<sup>13</sup> მე<sup>13</sup> ვარ<sup>13</sup> მემალულე, სხვასა მართებს არვის<sup>14</sup> არა!<sup>14</sup>  
ვის მოიყვანს არა ვიცი, ანუ იგი ვინ მომცდარა!
- 196 ვთქვი: ამითა ველარას ვიქმ, ღონე სხვა რა მოვაგვარო.  
თავსა ვუთხარ: ნუ მოგიცავ,<sup>15</sup> გონებო მრავალ-გვარო!  
მედვა გული მკეცისაებრ, ათასჯერცა მინდორს ვარო! —  
ვისცა მივეც<sup>16</sup> თავი შენი, — შენვე რადმე<sup>17</sup> არ წამგვარო!<sup>17</sup>“

1. ვარ. სასთაულ, სასთუნალ. 2. კაკ<sup>1</sup> 518.2 ავდეგ, ავილე; უგ 530.2 ავილე, ავდეგ. 3. C და G დაგიწვავს. 4. აბ 441.3 ჩემიცა დაწვა; სხვა დგ და კნ ჩემიცა დაწვი. 5. კნ და დგ მზე ბარე(?). 6. კნ და დგ რათდგან არ. 7. კაკ<sup>1</sup> 518.4 და უგ 530.4 მოშკალ. 8. კაკ<sup>1</sup> 518.4 და უგ 530.4 ერთილა. 9. F შუქი. 10. B, G, I და K ყოლე (შეად. დგ ყოლა); C და ვანტ ყველა. 11. ასე C, H და ვანტ; B, F, G, I და K ნუ შუქნია (შეად. დგ). 12. კაკ<sup>1</sup> 492. და უგ 534.2 თუ არ იცის; ინგ 534.2 არ იცის თუ. 13. ასე K (შეად. აბ 445.3); C, D, I და ვანტ ტარიელ არს (შეად. უგ 534.3). 14. ასე F, G, I და ვანტ; C და D არად არა; K არვის და რა(?). 15. კაკ<sup>1</sup> 500.2 მოგიცავს(?). 16. კაკ<sup>1</sup> 500.4 მივსცე. 17. აბ 446. 4 რად მე არ წამგვარო?!

- 197 სულთა ვყიდდი გულისათვის, კოშკი ამად გამებაზრა. —  
იგი წვიმა და-რე-ნელდა, რომე პირველ ვარდი აზრა.  
ენახე, ძოწსა მარგალიტი გარე ტურფად<sup>1</sup> მოემაზრა.  
მიბრძანა თუ: „ეგე საქმე მემცა მართლად რად მეაზრა!“
- 198 არ დავიჯერებ მე შენსა ლალატსა, ორგულობასა,  
უარის-ქმნასა ღმრთისასა და<sup>2</sup> მისთვის<sup>3</sup> არ-მადლობასა! —  
იაჯდი თავსა ჩემსა და მორკმით ინდოეთს ფლობასა.  
მე და შენ დავსხდეთ კელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიძე-სძლობასა!“
- 199 მოღმობიერდა,<sup>4</sup> მომიტება გამწყრალი, გამქისებული. —  
ანუ მზე იყო ქვეყნად, ან მთვარე პირ-გავსებული: —  
ახლოს დამისვა, — მალირსა<sup>5</sup> აქამდის არ-ღირსებული.  
მეუბნებოდა, — დამივსო<sup>6</sup> ცეცხლი ამითა გზებული.<sup>7</sup>
- 200 მიბრძანა თუ: „გონიერი, კამს, აროდეს არ აჩქარდეს,  
რაცა სჯობდეს, მოაგვაროს. საწუთროსა დაუწყნარდეს. —  
თუ სასიძო არ მოუშვა, ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,  
შენ და იგი წაეკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს!“
- 201 კვლა თუ სიძე შემოუშვა, მე შემირთოს, იყოს ასდენ:  
ერთმანერთსა გავეყარნეთ, ძოწეულნი გავცივლასდენ,  
მათ მორკმულთა მოივლინონ, ჩვენ პატიყენი გავცივასდენ. --  
ეგე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გავციხასდენ!“
- 202 მე ვჰკადრე: „ღმერთმან აშოროს მას ყმასა შენი ქმარობა!  
რა შემოვიდენ ინდოეთს, შევიგნა მათი გვარობა.\*  
ვუჩვენო ჩემი ძალ-გული და ჩემი მეთმარობა: —  
ასრე დავკადნე.<sup>9</sup> შეეძლოს აღარას<sup>10</sup> არ<sup>10</sup> საკმარობა!“

1. ასე ინგ 536.3; სხვა ან და დგ ტურფა. 2. კაკ<sup>1</sup> 501.4 მიაზრა. 3. ან და დგ ამისთვის. 4. ასე კაკ<sup>1</sup> 503.1 და უგ 538.1; აბ 449.1 მე ღმობიერად; ინგ რუსთვე-  
1. გვ. 62 მე ღმერთისაებრ: „ვ. ტ.\* 538.1 ღმრთისაებრად. 5. ასე კაკ<sup>1</sup> 503.3 და  
უგ 538.3; სხვა ან და დგ დამიტება. 6. ასე აბ 449.4; ინგ 538.4 შემექმნა; ჭიჭ  
581.4 «დამეხლა ...». 7. ინგ 538.4 ვსებული. 8. კაკ<sup>1</sup> 506.2 გმირობა(?) 9. ასე ინგ  
541.4: ვარ. დაჯხადო; დავუოცნე. 10. ინგ 541.4 აღარა. არ.

- 203 მიბრძანა თუ: „კამს დიაცი დიაცურად, — საქმე - დედლად. — დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქმნები შუა-კედლად. რა მოვიდეს, სიძე მოკალ, მისთა<sup>1</sup> სპათა აუწყვეტლად — ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს კმელსა ნედლად! —“
- 204 იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა, ჰკადრე თუ: სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა! ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა! — არ დამეკსნები, — გაგიკვი ქალაქსა ვითა ტრამასა! —
- 205 ჩემი ყოლა ნურა გინდა სიყვარული, ნურცა ნდომა. — ამით უფრო მოგეცემის სამართლისა შენ მოკლომა. ქმნას მეფემან ყელ-მოტეხით შემოხვეწა, შემოკვლომა, კელთა მოგცეს<sup>2</sup> თავი ჩემი, შეგვეფროდეს ერთგან სხდომა.“
- 206 ესე მეტად მომეწონა თათბირი და გამორჩევა, ჩემთა მტერთა დავაქადე დასაკოცლად კრმლისა<sup>3</sup> ქნევა. მერმე აედგე წამოსავლად, მან დამიწყო ქვე-ვე<sup>4</sup> წვევა. მწადადა, მაგრა ვერ<sup>5</sup> შეეკმართე<sup>5</sup> შემოჰლომა,<sup>6</sup> შემოხვევა.
- 207 ხანი დავყავ, გავეყარე, მაგრა გავკე ვითა ხელი. ასმათ წინა ჩამომიძღვა, ჩამდიოდა ცრემლი ცხელი. ჭირი ბევრჯერ ვაათასე,<sup>7</sup> ლხინი ჩემი ვაერთკელი. მერმე წასვლა არა მწადადა, — ამოდ<sup>8</sup> მივალ,<sup>8</sup> არ ფიცხელი.
- 208 მოვიდა კაცი, — სასიძო მოვო! — მოსვლა გვახარა. — მაგრა თუ ღმერთი რას უზამს, არა იცოდა, გლახ, არა! — მეფესა მიჰხვდა სიამე, არ სიტყვა ივაგლახა-რა. მიბრძანა, ახლოს მიმისე,<sup>10</sup> — მოდიო, — თავი დახარა.

1. ასე კაკ<sup>1</sup> 507.3 და უგ 542.3 მისთა. 2. ასე ინგ 545.4 და სხვ. 3. კაკ<sup>1</sup> 511.2 კრმალოთა. 4. ასე კაკ<sup>1</sup> 511.3 და უგ 546.3: სხვა დგ და ინ ქვე-ქვე. 5. კაკ<sup>1</sup> 511.4 ველარა ვქენ. 6. კაკ<sup>1</sup> 511.4 შეჰიღება(?): სხვა დგ და ინ შემოჰლომა. 7. კაკ<sup>1</sup> 512.3 ვიათასი. 8. ინ და დგ ამაღ. 9. ასე ინგ 547.4: სხვა ინ და დგ მიველ. 10. კაკ<sup>1</sup> 513.4 მიმიკმო.

- 209 მიბრძანა: „ჩემთვის ესე დღე ღვინი და სიხარულია.  
გარდავიკადოთ ქორწილი, კამს ვითა, დასაზრულია:¹  
კაცი გავგზავნოთ, მოვილოთ² ყოვლგნით საჭურჭლე სრულია.  
უხვად გავსცემდეთ, ვავსევდებთ. — სიძუნწე უმეცრულია!“
- 210 მე გავგზავნენ³ ყოვლგან⁴ კაცი საჭურჭლეა წამოიხმელნი.  
სასიძოცა მოგვევიდა, იყვნეს ხანსა⁵ არ დამზემელნი.  
შიგნით ჩვენნი გაეგებნეს, გარეთ მოდგეს ხვარაზმელნი.  
მათ ლაშქართა ერთგან მყოფთა ვერ იტევდეს ვერცა კმელნი.
- 211 მეფემან ბრძანა: „მოკაზმე⁶ კარვითა მოედანია.  
გამოისვენოს სიძემან, დაჰყოს ცოტაი ხანია.  
მუნ მისად ნახვად გავიდენ უშენოდ ხანნი⁷ სხვანია, —  
შენ⁸ აქა ნახენ,⁸ ნუ წახვალ,⁸ — შენგან⁹ ესეცა⁹ კმანია.⁹“
- 212 მოედანს დავდვი კარვები წითლისა ატლასებისა,  
მოვიდა სიძე, გარდაცდა, — დღე, ჰგვანდა, არს¹⁰ ალესებისა!  
შეიქმნა გასვლა შიგანთა, ჯარია მუნ ხასებისა.  
დაიწყეს დგომა ლაშქართა თემ-თემად, დას-დასებისა.¹¹
- 213 მე დავშვერ ვითა წესია საურავ გარდაცდილისა.  
შინა წამოველ მაშვრალი, ქმნა მომნდომოდა ძილისა. —  
მონა მოვიდა, მომართვა წიგნი ასმათის ტკბილისა:  
„ადრე მოდიო, გიბრძანებს მსგავსი ალვისა ზრდილისა.“
- 214 ცხენისაგან არ გარდავხე, წაველ ფიცხლად, დავმორჩილდი.  
ქალი დამხვდა ნატირები, ვჰკითხე: „ცრემლსა რასა ჰმილდი?“  
მითხრა: „შენი შესწრობილი ტირილსამცა ვით ავსცილდი!  
განუწყვეტლად ვით გამართლო, რაგვარადმცა გავვაქილდი!“

1. კაკ¹ 614.2 დარეულია(?); სხვა დგ და გნ დასასრულია(?); აბ გვ. 349 დასა.  
სრულია. 2. კაკ¹ 514.3 და უგ 549.3 მოილონ. 3. აბ 460.1 გავგზავნენ(?). 4. კაკ¹  
515.1 და უგ 550.1 ყოვლგნით. 5. კნ და დგ ხანთა. 6. კნ და დგ მოკაზმეთ. 7. ასე  
ინგ 551.3; სხვა დგ და გნ სპანი. 8. ინგ 551.4 ჩვენ აქა ვნახოთ. ესე სჯობს.  
9. კაკ¹ 516.4 აქა ნახვისა კმანია; უგ 551.4 იქა ნახვისად ყმანია; ინგ 551.4 იქ ნა-  
ხვის ოდნად კმანია. 10. ასე უნ. გამ. 1957. 552.2; სხვაგან არ. 11. დას-დასებისა  
სა < დას-დასებისად.

- 215 მივედით, ვნახეთ ბალიშსა ზედა წარბ-შერკმით მჯდომარე. —  
მზე ველარას იქმს მის მეტსა მას განენათლა რომ არე!  
წარვდებ, მიბრძანა: „რასა სდგა! დღე მიგიჩნს<sup>2</sup> წინ საომარე!  
ანუ გამწირე, მიტყუვე და კვლაცა მოიმკლომარე?!“
- 216 მე მეწყინა აღარა, ვთქვი, ფიცხლად გარე შემოვბრუნდი,  
უკუ-ვპყვიველ: „აწ გამოჩნდეს, რა<sup>3</sup> მინდოდეს, ვის რა<sup>4</sup> უნდი!<sup>5</sup>  
ქალი ომსა რავგვარ მაწვევს, აგრე ვითა დავძაბუნდი!“  
შინა მიველ, მოკლა მისი დავაპირე, არ დავემუნდი:
- 217 ასა ვუბრძანე მონასა: „საომრად დამეზადენით!“ —  
შეესხედით, განვლეთ ქალაქი, არავის გავეცხადენით.  
კარავსა შეველ, სასიძო ვითა წვა; — მზარსცა<sup>6</sup> თქმად ენით, —  
უსისხლოდ მოვკალ იგრ ყმა, თუცა<sup>7</sup> კმდა<sup>7</sup> სისხლისა დენით!
- 218 კარვის კალთა ჩახლათული ჩავქერ, ჩავაქარაბაკე.  
ყმასა ფერკთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე.  
წინა-მწოლთა დაიზახეს, გლოვა მიჰხვდა საარაკე.  
ცხენსა შევეჯე, წამო-ცა-ველ,<sup>8</sup> ჯაჭვი მეცვა საკურტაკე.
- 219 კმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი, მოსაწვეარი.  
წამოველ, წვენა დამიწყეს, დავკოცე ჩემი მდევარი.  
ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთავან მოურევარი.  
მუნ<sup>9</sup> შიგან<sup>9</sup> შეველ მშვიდობით, ამოდ,<sup>10</sup> იგივე<sup>10</sup>-მე-ვარი.<sup>10</sup>
- 220 კაცნი<sup>1</sup> გავგზავნენ,<sup>1</sup> ვაცნობე ყოვლგან ლაშქარსა ყველასა:  
არ გაწყდა მოსვლა მდევართა<sup>12</sup> ლამესა დია ბნელასა.  
„აქა მომმართეთ ვინცალა ჩემსა იქმოდეთ შეველასა!“  
ჩემი რა ცნიან, სციდიან<sup>13</sup> თავებსა მათსა მართელასა.

1. ასე უგ 555.3; კაკ<sup>1</sup> 520.3 სდგე; სხვა დგ და გნ სდგი. 2. კაკ<sup>1</sup> 520.3 და უგ 555.3 გიჩანს. 3. უნ და დგ არ. 4. უიუ 599.2 ვისმცა; სხვა დგ და გნ ვისცა. 5. უგ 556.2 ვუნდი(?). 6. გნ და დგ ზარმცა, ზარმცა-: შანიძე: ზარ-მაც. 7. კაკ<sup>1</sup> 522.4 ვით გამდა; კაკ<sup>1</sup> 546.4 თუცა გამს. 8. უიუ 601.4 წაცამოველ; კაკ<sup>1</sup> 523.4 და წამო-ველ. 9. კაკ<sup>1</sup> 524.4 მაშიგან. 10. ინგ 559.4 საომრად მოსამზე ვარი. 11. ინგ 560.1 კაცი გავგზავნენ; სხვა დგ და გნ კაცი გავგზავნე. 12. ინგ 560.3 ლაშქართა (?). 13. კაკ<sup>1</sup> 525.4 და 560.4 სცივდიან.

- 221 ცისკრად ავდებ. — შევეკაზმე, რა გათენდა ღამე დილად.  
ენახენ სამნი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილად.  
ებრძანა თუ: „ღმერთმან იცის, გამეზარდე ვითა შვილად,  
ჩემი ასრე რად შესცვალე სიხარული სიმძიმოილად?
- 222 ხეარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?<sup>1</sup>  
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად<sup>2</sup> არა<sup>2</sup> შემაგებინე?<sup>2</sup>  
მე, ბერსა შენსა გამზრდელსა, სიცოცხლე მაარმებინე,  
დღედ სკვდილამდის შენიცა თავი არ მახალბებინე!<sup>4</sup>
- 223 მე შევეუთვალე: „მეფეო, ვარ უმაგრესი რველისა,  
თვარა რად მიშლოს სიკვდილსა ცეცხლი სირცხვილის<sup>3</sup> აღისა!  
მაგრა თვით იცით, კელმწიფე კამს მქნელი სამართალისა:  
მე თქვენმან მზემან მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა!
- 224 იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია.  
ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ მოგხდომია.<sup>4</sup>  
ერთი-ლა მე ვარ მემკვიდრე, ყველაი სხვა<sup>4</sup> მოგცდომია!<sup>4</sup>  
სამართლით<sup>5</sup> ტახტი<sup>5</sup> უჩემოდ<sup>5</sup> არვისად მისახდომია.
- 225 ვერ გათნევ, თქვენმა კეთილმან, აწ ეგე არ მართალაი:  
ღმერთმან არ მოგცა ყრმა-შვილი, გივის<sup>6</sup> ერთაი<sup>7</sup> ქალია, —  
ხეარაზმშა დასვა კელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალაი?  
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას<sup>8</sup> მე<sup>8</sup> ჩემი კრმალია?!

1. კაკ<sup>1</sup> 527.1 შემადებინე. 2. კაკ<sup>1</sup> 527,2 მე რად არ შემატყობინე. 3. G და I სირცხვილთა; აბ 473.2 სიკვდილთა(?!). 4. აბ 474 და სხვ.: ტაეპი მესამე მეორეს ადგილს და წინაუკმო. უიუ 607.2 და აბ 434.2 ყველაი თქვენ მოგადომია; უგ 564.2 ყველაი თქვენ მოგხდომია; უიუ 607.3 წინაშე თქვენსა მდგომია; ინგ 564,2 თქვენი მონობის მნდომია; აბ 474.3 დაგრჩომია. 5. უიუ 607.4 ... არვისად მისახდომია; უგ 564.4 ... არავის მისახდომია; შეად. ვახტ დღესამდი ტახტი უჩემოდ არავის არ მონდომია. 6. კნ და დგ გივის. 7. კაკ<sup>1</sup> 530.2 ერთი-ლა. 8. კაკ<sup>1</sup> 530.4 მე მერტყას.

- 226 შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე გამარიდე!  
ინდოეთი ჩემი არის, არვის მიესცე<sup>1</sup> ჩემგან კიდე!  
ვინცა ჩემსა დამეცილოს, მას<sup>2</sup> მისითცა<sup>2</sup> აღმოვეხვრიდე!  
სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე!<sup>4</sup>
- 227 ესე კაცი გამეგზავნეს, გონებასა გავეშმაგე.  
რომე მისი ვერ-რა<sup>4</sup> მეცნა, ამას უფრო დავედაგე.  
მას ზღუდესა გარდავადეგ, მინდორთაკენ<sup>5</sup> რომე<sup>6</sup> ვაგე.  
მესმა საქმე საშინელი, თუცა თავი ვერ წავაგე:
- 228 გამოჩნდეს ორნი ქვეითნი, მე მივეგებე წინარე.<sup>7</sup>  
ქალი ჰყვა ერთსა მონასა, ვცანცა თუ მოღმა ვინ-არე:<sup>7</sup>  
თავ-გავლელჯილი ასმათი, პირს სისხლი ჩამომდინარე!<sup>8</sup>  
აღარ მიყიულა ღომილით, არცა-ლა გამიცინარე.
- 229 იგი ვნახე დავებნივე, გონებანი გამიშმაგნა.  
შორით ვუკმე: „რაშიგან ვართ, ანუ ცეცხლმან რა<sup>9</sup> დავედაგნა?“  
მან საბრალოდ შემომტირნა, ძლივ სიტყვანი გამოაგნა.  
მითხრა: „ღმერთმან სიმრგვლე ცისა ჩვენთვის რისხვით წამოგ-  
[რაგნა!“
- 230 მიაბო: „ოდეს სასიძო მოჰკალ და კმა დავივარდა,  
მეფესა ესმა, აიჭრა, მართ მისგან გამატკივარდა.<sup>10</sup>  
შენ დავიზახნა, — მიკმეთო!<sup>11</sup> — კმა-მალლა. ვაკმაყივარდა.  
მოგნახეს, შინა ვერ გპოვეს, მით მეფე გამომჩივარდა.
- 231 ჰყადრეს: აქა აღარ არის, კარნი სადმე<sup>12</sup> გაუფლიან. —  
მეფე ბრძანებს: „ვიცი, ვიცი, მეტად კარგად შემივიან:<sup>13</sup>  
მას უყვარდა ქალი ჩემი, ცრემლნი<sup>14</sup> ველთა მოუღვრიან.  
რა ნახიან ერთმანერთი, არ-შეხედვა ვერ დათმიან.

1. ასე კაკ<sup>1</sup> 531.2 და უგ 566.2: სხვა დგ და ან მივსცემ. 8. ან და დგ მისით მასცა(?). 3. ასე კაკ<sup>1</sup> 531.4 და უგ 566.4: ზოგი დგ და ან სხვაღ. 4. ან და დგ ვერ-რა. 5. ვარ. მინდორთაკე. 6. ინგ 567.3 თვალი(?). 7. ან და დგ ვინ არე. 8. აბ 478.3 პირ-სისხლი-...: ინგ 568.3 პირსა სისხლ-... (კიუ 611.3 პირსისხლი...). 9. ან და დგ რად(?). 10. ან და დგ გასატკივარდა(?). 11. ასე კაკ<sup>1</sup> 537,3 და უგ 572.3: სხვა ან და დგ მიგმეო (მიხმეო). 12. ინგ 573.1 სითმე. 13. კაკ<sup>1</sup> 538.2 და უგ 573.2 შემვიგნიან. 14. ან და დგ სისხლ(ნ)ი(?)

- 232 აწ, თავჲან ჩემჲან, მას მოვჰკლავ ჩემად დად ვინცა მადესა!  
 შე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა, ბადესა!  
 მათ ბოჲს-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა?!  
 თუ დავარჩინო, ღმერთი ვგმო! მისად პატიჲად ნ'ზად ეს ა! —
- 233 დავარს, დასა მეფისასა, უთხრა ვინმე ღმრთისა მტერჲან:  
 თავი ჰფიცა ძმამან შენჲან, არ დავარჩენს, — იცის ერჲან! —  
 მან აგრე თქვა: უბრალო ვარ, იცის<sup>1</sup> ღმერთმან სახიერჲან!  
 ვისგან მოვკვდე, — ვისთვის მოვკვდე<sup>2</sup> მიიხვედროს იგი<sup>3</sup> ვერ<sup>4</sup> მან!<sup>5</sup>
- 234 პატრონი ჩემი აგრევე იყო, წამოხველ შენ ოდეს .  
 შენეულნივე რიდენი ებურნეს, ტურფად ჰშვენოდეს.  
 დავარ მოსთქმიდა სიტყვათა, რომელნი არა მსმენოდეს:  
 ბოჲო, შენ, ბოჲო, რად მომკალ, ვეჰვ, შენცა არა გლხენოდეს!
- 235 როსკიჲო, ბოჲო დიაცო, საქმრო რად მოაქლევინე!  
 ანუ სისხლიცა<sup>6</sup> მისიცა<sup>7</sup> ჩემით<sup>8</sup> რად მოაზლევინე!  
 არ ცუდად მომკლავს ძმა ჩემი, რა გიყავ რა მაქმნევინე:<sup>9</sup>  
 აწ, ღმერთსა უნდეს, ვერ მიჰხვედე ვის ესე ააშლევინე!<sup>7</sup>
- 236 კელი მიჰყო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი დაუფუშნა,  
 დაალება, დაალურჯა, მედგრად პირნი<sup>8</sup> მოიქუშნა.<sup>8</sup>  
 მან პასუხი ვერა გასცა, ოდენ სულთ-თქენა, ოდენ უშნა. —  
 ქალმან შეემან<sup>9</sup> ვერ-რა არგო, ვერცა წყლულნი დაუშუშნა.
- 237 რა დავარ გაძღა ცემითა მისითა, დალურჯებითა,  
 წამოდგეს ორნი მონანი პირითა მით ქაჯებითა,  
 მათ კიდობანი მოიღეს, ეუბნეს არ აჯებითა,  
 მას შიგან ჩასვეს იგი მზე, — ჰგავს, იქმნა<sup>10</sup> დააჯებითა!<sup>11</sup>

1. ინგ 576,3 უწყის. 2. კაკ<sup>1</sup> 541,4 წავბდე. 3. აბ 485,4 იგი ვერ-მან; კაკ<sup>1</sup> 541,4 იგივე ვერმან(?). 4. გნ და დგ სისხლითა მისითა(?). 5. გნ და დგ ჩემი. 6. გნ და დგ გაქმევინე. 7. გნ და დგ დააშლევინე. 8. კაკ<sup>1</sup> 544,2 პირი მოუქუშნა. 9. აქ შავი ქალი ასმათი კი არ არის (შავი, ე. ი. უბედური. მკვდარი, და სხვ.), არამედ მოახლე. მოსამსახურე შავი ქალი. 10. კაკ<sup>1</sup> 545,4 იქნას(?). 11. გნ და დგ დარაჯებითა.

- 238 ზღვათაჲენ განვლენს სარკმელნი, — მაშინვე გაუჩინარდა... —  
დავარ თქვა: მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ და!  
ვირე მომკვლიდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა!  
დანა დაიცა, მოცაკედა, — დაეცა, გასისხლ-მდინარდა. —
- 239 რად არ მიკვირებ ცოცხალსა, მე, ლახვარ-დაუსობელსა!  
აწ იგი მიყავ, რა მმართვეს ამისა მახარობელსა! —  
“ზენაარ, დამკსენ სიცოცხლე სულთა-დგმა დაუთმობელსა!” —  
საბრალოდ ცრემლსა ადენდა უკლებსა, დაუშრობელსა.
- 240 მე ვუთხარ: „დაო, რად მოვკლა, ანუ რა შენი ბრალია.  
რამცა ვქმენ ნაცვლად თვით რომე შენი<sup>1</sup> ჩემზედა ვალია! —  
აწ თავსა მისად საქებრად მივსცემ სად კლდე და წყალია!“  
სრულად გავკავდი, შემექმნა გული მართ ვითა სალია... .
- 241 ნავსა ჩავეჯე<sup>2</sup>, ზღვასა შეველ, ზღვასა შიგან გავალავდი.  
არსით ნავი მომავალი უნახავად არ დავავდი.  
მოველოდი, არ-რა მესმა, შმაგი უფრო გა-ვე-ვშმაგდი.<sup>3</sup> —  
რომე სრულად მომიძულა, ღმერთსა თურე ასრე ვსძავდი!
- 242 რომე დავყავ წელიწადი, თვე თორმეტი გამოვცა,  
მაგრა მისი მნახავიცა სიზმრი<sup>4</sup> კაცი არ მეოცა!  
თანა-მყოლი ყველაკი ამომიწყდა, დამეხოცა,  
ვთქვი თუ: „ღმერთსა ვერრას ვკადრებ, რაცა სწადდა,<sup>5</sup> აგრე  
[ყო-ცა!]<sup>6</sup>“
- 243 ზღვა-ზღვა ცურვა მომეწყინა, მით გამოველ ზღვისა პირსა.  
გული სრულად გამიმკვცდა, არ ვუსმენდი არც ვაზირსა.  
ყველაკი დამეფანტა, დაპრჩომოდა რაცა ჭირსა. —  
კაცსა ღმერთი არ გასწირავს ასრე, მისგან განაწირსა! —
- 244 ერთაი<sup>7</sup> ესე ასმათი და დამრჩეს ორნი მონანი.  
ჩემნი გულისა მდებელნი და ჩემნი შემავგონანი,<sup>8</sup> —  
მისნი ვერა ვსცნენ ამბავნი, ვერცა დრამისა წონანი!  
ტირილი მიჩნდის ლხინად და მდინდიან ცრემლთა ფონანი. —

1. ან და დგ მისი(?) 2. ზოგი ან და დგ შევეჯე. 3. ასე შან. 4. კაკ<sup>1</sup> 551.2 სიზმრად. 5. ან და დგ სწადდეს. 6. ასე კაკ<sup>1</sup> 551.4: სხვა დგ და ან ვყოცა. 7. კაკ<sup>1</sup> 553.1 ერთილა. 8. კაკ<sup>1</sup> 553.2 და უგ 590.2 შემომგონანი(?)

- 245 ლამით მევლო, მოვიდოდი ზღვისა პირსა, აღჩნდეს<sup>1</sup> ბლნი.  
ჰგვანდა,<sup>2</sup> ქალაქს,<sup>2</sup> ვეახლენით;<sup>2</sup> ცალ-კერძ იყვენს კლდენი<sup>3</sup> ნაღნი,  
არ შეამის კატა ნახვა, მიდაღვიდეს<sup>4</sup> გულსა დაღნი, —  
შენ გარდავეკ მოსვენებად, — დამხვედეს<sup>5</sup> რამე ხენი<sup>6</sup> ლაღნი.<sup>6</sup>
- 246 ზახილი მესმა, შეეხედენ,<sup>7</sup> მოყმე ამაყი<sup>8</sup> ყიოდა.  
შემოირბედა<sup>9</sup> ზღვის პირ-პირ, მას თურე წლული სტკიოდა.  
კრმლისა ნატეხი დასვრილი აქეს, სისხლი ჩამოსდიოდა.  
მტერთა ექაღდა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა.
- 247 ზედა ჯდა შავსა ტაიქსა, აწ<sup>10</sup> ესე მე<sup>10</sup> მყავს<sup>10</sup> რომელი.  
მართ ვითა ქარი მოქროდა<sup>11</sup> გაფიცებული, მწყრომელი.  
მონა მივსწივე, მისისა შეყრისა ვიყავ მნდომელი.  
შეესთვალე: „დადეგ, მიჩვენე, ლომსა ვინ<sup>12</sup> გაწყენს-რომელი?<sup>13</sup>“
- 248 მას მონასა არ-რა<sup>14</sup> უთხრა, არცა სიტყვა მოუსმინა.  
ფიცხლად შეეჯე, ჩავეგებე, — მე ჩავუსწარ ჩაველ წინა.  
ვუთხარ: „დადეგ, გავიგონო<sup>15</sup> შენი საქმე მეცა მინა!“  
შემომხედნა, მოვეწონე, სიარული დაითმინა.
- 249 გამიცადა, ლმერთსა ჰკადრა: “შენ ასეთნი ხენი ვით ხენ:“  
მერმე მითხრა: „მოგახსენებ აწ, სიტყვანი რომე მკითხენ:  
იგი მტერნი გამილომდეს აქამდისი<sup>16</sup> რომე ვითხენ.<sup>17</sup>  
უკაზმავსა მილაღატეს, — საჭურველნი<sup>18</sup> არ<sup>19</sup> გარ<sup>19</sup>-ვითხენ.<sup>19</sup>“

1. F აჩნდა. 2. K ჰგვანდეს ქალაქთ სიახლესა; სხვა გნ და დგ ჰგვანდეს ქალაქს, ვეახლენით. 3. ასე G (შეად. კაკ<sup>1</sup> 554,2); სხვა გნ და დგ კლდეთა. 4. F მიდაღვიდა; K მიდაღვიდის (შეად. კაკ<sup>1</sup> 554,3); G მილაღვიდის. 5. K დავეხდეს (დაგუხდეს). 6. F ხენი ნაღნი(?); K ხე-ბალაღნი(?). 7. G გავკვირდი (შეად. კაკ<sup>1</sup> 556,1). 8. ასე K; სხვა გნ და დგ ამაყად. 9. G შემოარბედა (შეად. კაკ<sup>1</sup> 556,2). 10. ასე K (შეად. უგ 594,1); F და G აწ ესე მე მითქს (შეად. კაკ<sup>1</sup> 557,1); აბ 501,1 და ჰიუ 637,1 ესე აწ მე მყავს. 11. ასე უგ 594,2 და კაკ<sup>1</sup> 557,2; სხვა დგ და კნ მი-ქროდა. 12. K ვით. 13. K მწყრომელი. 14. არ-რა > არა (შეად. კნ და დგ). 15. გნ და დგ გამიგონე. 16. კაკ<sup>2</sup> 585,3 აქანამდის; G და I აქამდისსა (შეად. უგ 596,3). 17. G და I ვითხენ. 18. C, F, G და K საჭურველნი(?). 19. F ასრე ვითხენ; G ამაღ ვითხენ; C, I და K გარ ვერ ვითხენ (შეად. აბ 503,4 და უგ 596,4); კაკ<sup>1</sup> 585,4 ვერ გარღვითხენ.

- 250 მე ვუთხარ: „დადგე, დაწყნარდი, გარდაეკდეთ ძირსა<sup>1</sup> ხეთასა!“  
არ შეუღრკების ქაბუკი კარგი მახვილთა<sup>2</sup> კვეთასა!“  
თან წამომყვა, წავედით უტკბოსნი მამა-ძეთასა. —  
მე გავეკვირვე ჰერეტასა<sup>3</sup> მის<sup>3</sup> ყმისა<sup>3</sup> სინაზეთასა. —
- 251 ერთი მონა დასტაქარი მყვა და წყლულნი შეუხვივნა,  
ისრის პირნი<sup>4</sup> ამოუხვნა,<sup>5</sup> დაკოდილინი<sup>6</sup> არ ატკივნა.  
მერმე ვჰკითხე: „ვინ ხარ, ანუ მკლავმან შენმან ვისგან ივნა?“  
სამბობლად დამირიგდა, თავი მისი გაამჩინა:
- 252 „მულაზარ<sup>7</sup> არის<sup>7</sup> ქალაქი ახლოს<sup>8</sup> მე მაქესო<sup>8</sup> რომელი.  
ნურადინ - ფრიდონ სახელ მძეს, მეფე ვარ მუნა მჯდომელი.  
ესე საზღვარი ჩემია, სადა ხარ<sup>9</sup> გარდამკდომელი.  
ცოტა მაქეს,<sup>10</sup> მაგრა ყოველგან<sup>11</sup> სიკეთე მიუწდომელი.<sup>12</sup>
- 253 მამის-ძმა და მამა-ჩემი პაპა-ჩემმან გაყვნა ოდეს,  
ზღვასა შიგან კუნძულია, ჩემად წილად მას იტყოდეს,  
თვით ბიძასა ჩემსა მიჰხვდა, ვისთა შვილთა აწ დამკოდეს.  
მათკენ დარჩა სანადირო, — მივერჩოდი,<sup>13</sup> მომერჩოდეს.
- 254 დღეს გამოველ ნადირობას, ზღვისა პირსა ვინადირე.  
მუნა<sup>14</sup> გასელა<sup>14</sup> მომნდომოდა, მართ<sup>15</sup> მრეკელი<sup>16</sup> არ ვახშირე.  
სპათა ვუთხარ: მომიცადეთ, მოვიდოდე მეცა ვირე.  
ხუთთა ოდენ ბაზეერთა მეტი არა დავიჭირე.

1. F ძირთა. 2. K ლახვართა. 3. ასე F და K (შეად. აბ 504,4); I მის ყმისა სიტურფე—(შეად. კაკ<sup>1</sup> 560,4). 4. F, G და I პირი (შეად. კაკ<sup>1</sup> 561,2). 5. F, G, I და K ამოართვა (შეად. კაკ<sup>1</sup> 561,2). 6. F, G და I დაკოდილი (შეად. კაკ<sup>1</sup> 561,2). 7. C, I და H მულდანზანზარის; G მულაზანზარი; F მულდანზინზარის; K მულ-  
ლანზარზარის; აბ 506,1 მულაზარზარის. 8. ასე F (შეად. აბ 507,1); G აწ ესე მე  
მაქეს. 9. ასე კაკ<sup>1</sup> 563,3 და უგ 600,3. 10. F, G, I, K და ვახტ ცოტაა. (შეად. კაკ<sup>1</sup>  
563,4). 11. I და K ყოველგნით (შეად. კაკ<sup>1</sup> 563,4). 12. F და G—მოუთხრობელი.  
13. K მივერჩოდე; სხვა გნ და დგ არ მივსცემდი. 14. უგ 602,2 ქორის დენა.  
15. G მე; F და I შით (შეად. დგ). 16. F, G და K მრეკალი (შეად. კაკ<sup>1</sup> 565,2).

- 255 ნავითა გაველ,<sup>1</sup> — ზღვისაგან<sup>2</sup> შტო რამე გარდმოვიდოდა.<sup>3</sup>  
არ ამოვჰკრეფდი მუნ-მყოფთა,<sup>4</sup> ვთქვი: ჩემთა რად დავჰრიდო-და!—  
დამეზაბუნნეს,<sup>5</sup> სიმრავლე<sup>6</sup> მე მათი არ გამვიდოდა.  
ვნადირობდი და ვიზახდი, კმა ჩემი არვის<sup>7</sup> ჰრიდოდა.<sup>7</sup>
- 256 მართლად იჯავრეს, — წუნობა მათი<sup>8</sup> თუ ესრე<sup>8</sup> კმდა<sup>8</sup> ვითა!  
გამომპარნეს<sup>9</sup> ლაშქარნი, გზანი შემიკრნეს ნავითა.  
თვით ბიძა-ძენი<sup>10</sup> ჩემნიცა შესხდეს მათითა თავითა,  
ჩემთა გაუკდეს ლაშქართა ომად თავისა<sup>11</sup> მკლავითა.
- 257 მათი მესმა, დავინახე, ზახილი და კრძალთა ელვა.  
ნავი ვსთხოვე მენავეთა,<sup>12</sup> მართ<sup>13</sup> ვიყვილე მე ერთკელ ვა:  
ზღვისა შეველ, მომეგება მეომარი ვითა ლელვა.  
სწაღდა, მაგრა ველარა ქმნეს ჩემი ზედა-წამოქელვა.
- 258 კვლა სხვანი ღიდნი ლაშქარნი უკანა მომწუროდეს,  
იქათ და აქათ მომიკდეს, ერთგნით<sup>14</sup> ვერ მომერეოდეს,  
რა<sup>15</sup> მომწუროდეს წინანი, ზურგით მესროდეს მე ოდეს,  
კრძალსა მივენდე, გამიტყდა, ისარნი<sup>16</sup> დამელეოდეს.

1. ასე K (შეად. აბ 510.1 და სხვ.); G და I ნავით გამოველ (შეად. კაკ<sup>1</sup> 566.1). 2. ასე F (შეად. დგ); G და I ზღვისაკენ. 3. F გამოვიდოდა (შეად. აბ 510.1 და სხვ.); G, I და K გარდმოდოდა (შეად. კაკ<sup>1</sup> 566.1). 4. აბ 510.2, კაკ<sup>1</sup> 566.2 და უბ 603.2 გამყოფთა(?); უიუ 646.2 გამყოფთა(?). 5. ასე F; G დამიძაბუნნეს (შეად. კაკ<sup>1</sup> 566.3 და უბ 602.3); აბ 510.3 უიუ 646.3 დამიზაბუნდეს. 6. ასე ინგ 603.3; სხვა გნ და დგ სიმართლე(?). 7. F არ უდიდოდა (შეად. უბ 603.4); ინგ 603.4 არ უდიდოდა; G არის დიდოდა; K არ უდიდოდა; I არ გავიდოდა (შეად. კაკ<sup>1</sup> 566.4 და უიუ 646.4); აბ 510.4 არ უვიდოდა. 8. K მათგან თუ ესრე გამს; სხვა გნ და დგ მათი თუ ესე გმდა. 9. G გამომეპარნეს (შეად. კაკ<sup>1</sup> 567.2). 10. ასე C და ვახტ; G და I ბიძის ძენი (შეად. კაკ<sup>1</sup> 567.3); F ბიძის ძენი. 11. ასე ინგ 504.4; სხვა დგ და გნ მათითა. 12. G და I მენავესა (შეად. კაკ<sup>1</sup> 568.2). 13. ასე K; სხვა გნ და დგ შით. 14. ასე K; G ერთ-კერძ (შეად. კაკ<sup>1</sup> 569.2). 15. გნ და დგ არ(?). 16. F ისარი.

- 259 მომეჯარნეს, ველარა ვქმენ, ნავით ცხენი გარდვიხტუნვე,<sup>1</sup>  
ზღვა-ზღვა ცურვით წამოვუველ, ჩემნი მჭვრეტნი გავაცბუნვე.<sup>2</sup>  
თანა-მყოლი<sup>3</sup> ყველაკაი<sup>3</sup> დამიკოცეს,<sup>3</sup> დამრჩა<sup>4</sup> მუნვე.<sup>5</sup>  
ვინცა მდევდა,<sup>6</sup> ვერ შემომხვდა,<sup>6</sup> მივებრუნდი,<sup>7</sup> მივებრუნვე.
- 260 აწ იგი იქმნას რაცალა ენებოს ღმრთისა წადილსა.  
ვეჭვ ჩემი სისხლი არ შეპრჩეს, ძალი შემწვედეს ქადილსა!  
ოკრად გავუქდი ყოფასა მათ საღამოსა და დილსა!  
ეუკმობ ყვაეთა<sup>8</sup> და ყორანთა,<sup>8</sup> მათ<sup>9</sup> ზედა<sup>9</sup> ვაქნევ კადილსა!<sup>4</sup>
- 261 ამა ყმამან შევიკვეთა, გული მისკენ მიმიბრუნდა.  
მოვაკსენე: „აჩქარება შენი ყოლა<sup>10</sup> არა<sup>10</sup> უნდა.  
მეცა თანა წამოგყვები, დაიკოცენ იგი მუნ-და!  
ჩვენ ორთავე მეომართა<sup>11</sup> გული<sup>12</sup> რადმცა შეგეკიდრწუნდა!“
- 262 მივედით მისსა ქალაქსა ტურფასა, მაგრა ცოტასა.  
გამოეგებნეს ლაშქარნი, იზმიდეს<sup>13</sup> მისთვის ოტასა.  
პირსა იხოკდეს, გაჰყრიდეს ნახოკსა ვით ნაფოტასა.  
ებვეოდიან, ჰკოცნიდეს კრმალსა და სალტე-კოტასა.
- 263 მოჯობდა, ომი შეეძლო, კმარება ცხენ-აბჯარისა. —  
დაეკაზმეთ ნავი-კატარლა და რიცხვი სპათა ჯარისა. —  
კაცმანცა<sup>14</sup> მისად<sup>15</sup> საქებრად<sup>15</sup> ენამცა<sup>16</sup> იაჯა<sup>16</sup> რისა! —  
აწ გითხრა ომი მოყმისა მებრძოლთა დამსაჯარისა. —

1. ვარ. გარდვიხტუნ(ვ)ე (შეად. G და I, კაკ<sup>1</sup> 570.1). 2. F' გავაკვირვე.  
3. G და I თანამყოლი ყველაკაი დამიგოცნეს; სხვა ენ და დგ თანამყოლინი ყვე-  
ლაკანი დამიგოცნეს. 4. K დაერჩი(?); ინგ 607,3 დამრჩეს. 5. K მუნ მე(?). 6. ინგ  
607,4 მდევდის. შემომხვდის; G და I შემამგდის(?). 7. F' მივებრუნდი და. 8. K  
ყვაესა და ყორანსა. 9. G მათ ზედან; F' და K მაზედა; კაკ<sup>1</sup> 571,4 მაზედან. 10. I'  
ყამად არად. 11. F. I და K მეომარი (შეად. კაკ<sup>1</sup> 572,4 და სხვ.). 12. F' გაღანამცა;  
სხვა ენ და დგ განაღამცა. 13. ა. შანიძე, «ვ. ტ.» 1957, ლექს. გვ. 398: ინმე-  
დეს; სხვა დგ და ენ ისხმიდეს. 14. K კაცმან. გაჰს; I კაცი, გაჰს (შეად. კაკ<sup>1</sup>  
576.3); სხვა ენ და დგ კაცი გმდა. 15. ასე K; F' მისთა მჭვრეტათვის; ინგ 613,3 მათად მაქებრად.  
16. უგ 613.3. კიკუ 656.3 და სხვ. ლონგმცა ეაჯა.

- 264 მათი მესმა დაპირება,<sup>1</sup> ჩაბალახთა<sup>2</sup> ჩამობურვა.<sup>3</sup>  
ნავი წინა მომეგება, — არა ვიცი, შეიღი<sup>4</sup> თუ რვა.  
ფიცხლად ზედა შევეჯახე, მათ დაიწყეს ამოდ ცურვა.  
ქუსლი ვჰკარ<sup>5</sup> და<sup>5</sup> დაუქცივე, დაიძახეს დიატურ ვა!
- 265 კვლა სხვასა,<sup>6</sup> მიველ, მოვჰკიდე კელი ნავისა ბაგესა,  
ზღვასა დავანთქი,<sup>7</sup> — დავკოცენ,<sup>7</sup> ომიმცა რალა აგესა!  
სხვანი გამექცნეს,<sup>8</sup> მიჰმართეს მათ მათსა საქულბაგესა. —  
ვინცა მიჰვრეტლეს,<sup>9</sup> უკვირდა,<sup>9</sup> მაქებდეს, არ მაძაგესა.
- 266 ზღვა გავიარეთ, გავედით, შემოგვიტივეს ცხენია.<sup>10</sup>  
კვლა შევიბენით, შეიქმნეს<sup>11</sup> ომისა სიმარცხენია.  
მუნ მომეწონნეს<sup>12</sup> ფრიდონის სიქველე-სიფიცხენია.  
იბრძვის ლომი და პირად-მზე, იგი ალვისაც ხენია.
- 267 თვით ორნივე ბიძა-ძენი<sup>13</sup> მისნი კრმლითა ჩამოყარნა.  
კელნი წმიდად გარდეკვეთნეს,<sup>14</sup> — იგი ასრე ასაყარნა.  
მოიყვანა მჰარ-დაკრულნი ერთგან<sup>15</sup> ორნივე,<sup>15</sup> არ გაყარნა.<sup>16</sup>  
მათნი ყმანი გაამტირლნა,<sup>17</sup> მისი ყმანი ამაყარნა.<sup>18</sup>

1. ასე F (შეად. აბ და სხვა ღვ); I და K დააპირეს (კაკ<sup>1</sup> 577,1). 2. K მუ-  
ხარადთა. 3. K ჩამობურვა. 4. ასე ინგ 614,2; სხვა ღვ და გნ იყო. 5. F შევეც(?)  
(შეად. კაკ<sup>1</sup> 577,4). 6. სხვასა < სხვამასა. 7. F დავანთქენ, დავკოცენ; K დავანთ-  
ქენ. დავბოცეთ; კაკ<sup>1</sup> 578,2 დავანთქე, დავბოცე; სხვა ღვ და გნ დავანთქი. დავ-  
ბოცე. 8. უგ 615,3 გამექცეს. 9. ასე უგ 615,4; აბ 522. 4 და ჰიუ 658,4 მიჰვრეტ-  
და, უკვირდა; კაკ<sup>1</sup> 578,3 მიჰვრეტდის, უკვირდათ; F მჰვრეტდიან, უკვირდა;  
ინგ 615,4 უკვირდეს. 10. ასე C და K; F, G, I და ვახტ ცხენითა და შემდეგ-  
—ითა; K ალვისა ზენია(?). 11. გნ და ღვ შეიქმნა. 12. ასე უგ 616,3; სხვა ღვ და  
გნ მომეწონა. 13. ვარ. ბიძის ძენი. 14. უგ 617,2 და კაკ<sup>1</sup> 580,2 დაეკვეთნეს; F  
გარდაჰკვეთნა; G დააკვეთნა. 15. გნ და ღვ ერთმან ორნი(?). 16. გნ და ღვ არ  
დაყარნა(?). 17. ასე F; I და K აატირნა; სხვა გნ და ღვ გაამტირნა. 18. ჰიუ  
660,4 ამაყ არნა.

- 268 მათნი ლაშქარნი გაგვექცეს,<sup>1</sup> — ვეცენით, გაცაფანტენით. ფიცხლად წაფულეთ ქალაქი, არ თავნი<sup>2</sup> გავაზანტენით.<sup>3</sup> ქეთა დავპლენეთ წვივები,<sup>4</sup> ჩვენ იგი გავიანტენით.<sup>5</sup> მომკალით,<sup>6</sup> ლარი დაპლივით<sup>7</sup> ან აკიდებით ან ტენით! —
- 269 ფრიდონ ნახნა საჭურჭლენი და ბეჭედნი მისი დასხნა. თვით ორნივე ბიძა-ძენი<sup>8</sup> დაპყრობილნი წამოასხნა. მისთა<sup>9</sup> ნაცვლად სისხლნი მათნი მოღვარნა და ველთა ასხნა. — ჩემი თქვეს თუ: „ღმერთსა მადლი, ვინ აღვისა ხენი ასხნა!“
- 270 მივედით, მოქალაქეთა ზარი ჩნდა რომე ზმიდიან. აჯაბთა<sup>10</sup> მქმნელნი მჭერეტელთა გულსა მუნ<sup>11</sup> დააბმიდიან. მე და ნურადინს ყველანი ქებასა შეგვასხმიდიან. გვითხრობდეს: „მკლავთა თქვენთაგან ჯერთ მათნი სისხლნი [მიდიან!“
- 271 დღესა ერთსა მე და ფრიდონ<sup>12</sup> ნადირობას<sup>13</sup> გამოვედით. ზღვასა ზედან-წარწურვილსა ქედსა რასმე გარდავედით.<sup>14</sup> ფრიდონ მითხრა: „გითხრობ რასმე: ვთამაშობდით, ცხენსა ვსხედით, ერთი რამე საკვირველი მე ვნახეო ამა ქედით.“
- 272 მე ვკითხვიდი, ფრიდონ მეტყვის მართ ამბავსა ესოდენსა: „დღე ერთ მწაღდა ნადირობა, შევჯეე ამა ჩემსა ცხენსა. — ზღვათა შიგან იხესა ჰგაეს<sup>15</sup> და<sup>15</sup> კმელთა<sup>16</sup> ზედან შევარდენსა. — აქა ვდებ და თვალს<sup>17</sup> ვუგებდი<sup>17</sup> ქორსა იქით განაფრენსა.

1. ვაზტ გაგვექცენს; C დაგვექცენს (შეად. აბ 525.1). 2. F თავი. 3. ასე C (შეად. აბ 525.2); F და K ვაზატენით(?) (შეად. კაკ<sup>1</sup> 581.2); G გავაზატენით. 4. წვივები=კედლები (შეად. ბერძ. სკელოს. წვივი, კედელი; ტა მაკრა სკელა=გრძელი კედლები). 5. ასე G; F გავატანენით(?); ინგ 618.3 დავანატენით; სხვა ან და დგ გავანატენით. 6. F მომკალი; G და K მომკალ თუ (შეად. კაკ<sup>1</sup> 581.4 და უგ 618.4). 7. K დალივით. 8. ვარ. ბიძას ძენი, ბიძის ძენი. 9. ასე F, C, F, K და ვაზტ მისად(?) (შეად. აბ 526.3). 10. ვარ. აჯათა (შეცდომა). 11. G მით (შეად. კაკ<sup>1</sup> 583.2). 12. ასე F, G, I; ვარ. მეფე. 13. F ნადირობით. 14. ასე K (შეად. აბ 529.2 და უგ 622.2); C, F, G და ვაზტ გარდავდევიტ (შეად. კაკ<sup>1</sup> 585.2). 15. ასე ინგ 623.3; სხვა ან და დგ ჰგვანდა(?). 16. კაკ<sup>1</sup> 586.3 გმელეთ. 17. ასე უგ 623.4 და კაკ<sup>1</sup> 586.4; სხვა დგ და ან თვალ-(ვ)უგებდი.

- 273 ზოგჯერ ზღვისკენ<sup>1</sup> მივიხედნი, წარვსდგომოდი ამა გორსა.  
ზღვასა შიგან ცოტა რამე დავინახე, თუცა შორსა.  
ეგრე ფიცხლად სიარული არ-რას ძალ-უც<sup>2</sup> მისსა სწორსა.  
ვერად ვიცან, გონებასა გავეკვირვე ამას<sup>3</sup> ორსა.
- 274 ვთქვი, — რა<sup>4</sup> არის,<sup>4</sup> რას<sup>5</sup> ვამსგავსო, მკურინველია ანუ მხეცი? —  
ნავი იყო, გარ-ეფარა სამოსელი მრავალ-კეცი.  
წინა კაცნი მოჰზიდვიდეს, თვალი ამაღ დავაცეცი, —  
მთვარე უჯდა კილობანსა, — ცა მეშვიდე მასმცა<sup>6</sup> ვეცი!
- 275 ამოძვრნეს ორნი მონანი შავნი მართ ვითა ფისანი.  
ქალი გარდმოსევს, — სისხონი ენახენ მისისა თმისანი!  
მას რომე ელვა ჰკრთებოდა, ფერნიმცა<sup>7</sup> ჰგვანდეს რისანი!  
მან განანათლოს<sup>8</sup> სამყარო,<sup>9</sup> გაცუდდენ<sup>10</sup> უშქნი მზისანი!
- 276 სიხარულმან ამაჩქარა, ამათრთოლა, დაცამლენწა.  
იგი ვარდი შემიყვარდა, რომე თოვლსა<sup>11</sup> არ<sup>12</sup> ეხეწა.<sup>12</sup>  
დავაპირე შეტეეება, ვთქვი, — წავიდე მათკენ მე-წა! —  
ჩემსა შავსა სულიერი რამცა ვითა გარდებეწა! —
- 277 ცხენი გავქუსლე, იქმოდა შამბი კმასა და ხრიალსა.<sup>13</sup>  
ველარ მიეუსწარ, გამესწრნეს, რაზომცა ესცემდი წრტიალსა.  
ზღვის პირსა მიველ, შევჰხედენ, ჩნდა ოდენ ზღვასა<sup>14</sup> ტიალსა.  
გამშორებოდეს, წარმსვლოდეს, ამისთვის დავეწვი აღსა.“

1. ასე F; სხვა ენ და დგ ზღვიტკენ(?)?. 2. ასე G და I; ვარ. ძალ-აქეს. 3. გნ და დგ ამაღ(?). 4. ვახტ რაა. 5. ვახტ რასა. 6. ასე ინგ 625.4; ზოგი გნ და დგ მას-ცა(?). 7. ასე I და H (შეად. უგ 626.3); ვახტ ფერნიცა (შეად. ჰიუ 661.3); C და F თვალნიმცა (შეად. აბ 533.3). 8. ვახტ განანათლოს; C განანათლა (შეად. აბ 533.4). 9. ვახტ ქეყყანა. 10. ენ და დგ გაცუდდეს. 11. I თოვსა(?). 12. ასე I; G არ ეხეწა; C ეხაეწა(?); სხვა გნ და დგ აეხეწა. 13. ასე კაკ<sup>1</sup> 591.1, ჰიუ 671.1 და ეკ 628.1; სხვა დგ და გნ სრიალსა. 14. ენ და დგ მზისა.

- 278 ესე მესმა ფრიდონისგან, მომემატა ცეცხლთა სიცხე.  
ცხენისაგან გარდავიჭერ, თავი სრულად ვავიკიცხე.  
ჩემთა ლაწვთა დანადენი მე ჩემივე სისხლი ვიცხე.  
მომკალ<sup>1</sup>, თურე<sup>1</sup> უჩემოდა<sup>2</sup> ენახამცა ვის<sup>2</sup> ისიც<sup>2</sup> ხე!<sup>2</sup>
- 279 ესე ჩემგან<sup>3</sup> გაუკვირდა ფრიდონს, მეტად ეუცხოვა.  
მაგრა მეტად შევებრაღე, ტირილითა მესათნოვა.  
ვითა შვილი დამადღუმა, მემუღარა, შემეპოვა.  
თვალთათ<sup>4</sup> ვითა მარგალიტი ცხელი<sup>5</sup> ცრემლი<sup>5</sup> გარდმოთოვა:
- 280 „ვა-გლახ მეო, რა ვიამბე ფათერაკად, მცდარმან, შმაგად!“  
მოვაკსენე: „ნურა ვაგვა, ნუ ინალვლი მაგას მაგად.<sup>6</sup>  
იგი მთვარე ჩემი იყო, მით მელდების ცეცხლი მდაგად.<sup>6</sup>  
აწ ვიამბობ, რათგან თავი გინდა<sup>7</sup> ჩემად ამხანაგად.“
- 281 ფრიდონს ეუთხარ ყველაკაი ჩემი თავსა გარდასრული.  
მან მითხრა თუ: „რას ვიტყოდი მოცთომილი, გაბასრული!  
შენ მაღალი ინდოთ მეფე ჩემსა რადმე ხარ მოსრული!  
საკელმწიფო საჯღომი და ტახტი გამართებს, სრაცა სრული!“
- 282 წამოვედით ნატირებნი, სრას დავსხედით თავის-წინა.  
ფრიდონს ეუთხარ: „ჩემი შემწე შენგან კიდე არავინ ა.  
ვითა ღმერთმან შენი მსგავსი სოფლად არ-რა მოაველინა,<sup>8</sup>  
მაშა რათგან შევემეცენ,<sup>9</sup> ამის მეტი რად<sup>10</sup> რა<sup>10</sup> მინა!

1. ინგ 629,4 მომკალ. თუცა; სხვა დგ და ან ეუთხარ. «მომკალ». 2. F და K უჩემოსა ენახოსმცა ვისცა ის ხე; C ... ენახოსცა ვისცა ის ხე; აბ 536.4... ენახამცა ვისა ის-ცხე; ჰიჰ 672,4 ენახოსმცა(!) ვისა ის ხე; უგ 629,4... ენახამცა ვისცა ისც ხე. 3. ასე ინგ 630.1; სხვ. დგ მეტად. 4. ვარ. თვალთა. 5. კაკ<sup>1</sup> 593,4 ცხელნი ცრემლნი. 6. კაკ<sup>1</sup> 594,3 დაგად. 7. ინგ 631,4 დაგიც. 8. F მომიველინა (შეად. კაკ<sup>1</sup> 597,3). 9. G და I შევემეცენ (შეად. კაკ<sup>1</sup> 597,4 და ჰიჰ 677,4). 10. ასე C (შეად. აბ 540,4); G და I რადა (შეად. კაკ<sup>1</sup> 597,4 და ჰიჰ 677,4).

- 283 არ<sup>1</sup> ავი<sup>1</sup> გესვა<sup>2</sup> მოყვარე, ჟამი თუ მომხედეს ჟამისად! —  
ენა გონება მაკმარე გამოსარჩევლად ამისად:  
რა მოვაგვარო, რა მიჯობს სალხენად ჩემად და მისად? —  
თუ ვერას მარგებ<sup>3</sup> ვიქმნები ვერ დამყოფელად<sup>4</sup> წამისად.<sup>5</sup>“
- 284 მან მითხრა: „ბედი ღმრთისაგან მიჯობს-ლა<sup>6</sup> ამას<sup>6</sup> რომელი;  
მოსულხარ ჩემად წყალობად მეფე ინდოეთს მჯდომელი! —  
მემცა რად ვიყავ ამისთვის მადლისა რასმე მნდომელი;  
ერთი ვარ მონა მონებად წინაშე თქვენსა მდგომელი.
- 285 ესე ქალაქი გზა არის ნავთა ყოველგნით მავალთა,  
შემომკრებელი ამბავთა უცხოთა რათმე მრავალთა.  
აქა მოგვესმის წამალი შენ რომე დაუწყავ<sup>7</sup> ალთა.  
ნუ თუ ქმნას<sup>8</sup> ღმერთმან<sup>8</sup> გარდაკდა<sup>9</sup> აწ<sup>9</sup> მაგა<sup>10</sup> ჭირთა და ვალ-  
[თა.<sup>10</sup>“
- 286 აჩინნა კაცნი, სადაცა სადგურნი ნავთა სჩენოდეს,  
უბრძანა: „ძებნეთ ყოველგან, სადცა<sup>11</sup> ვის მისი გსმენოდეს.“  
მოლოდნა მიჩნდა სალხინოდ, პატიჟნი მო-რე-მლხენოდეს.<sup>12</sup>  
უმისოდ ლხინი მინახავს, ამა ღღისათვის მრცხვენოდეს!..
- 287 რას ვაგრძელებდე, მოვიდეს ყოველგნით ამბისა მცნობელნი.<sup>13</sup>  
ცუდნი და ცუდთა ადგილთა თავისა დამაშვრობელნი,<sup>14</sup>  
ვერრა ვერ ეცნა, ვერ იყვნეს ვერრა ამბისა მბობელნი!<sup>15</sup> —  
მე უფრო მდინდეს თვალთაგან კვლა ცრემლნი შეუშრობელნი. —

1. კაკ<sup>1</sup> 598.1 არაჟინი(?). 2. ასე C და I; G მესვა. 3. ან და დგ ვარგებ. 4. C და F დამყოფელი; სხვ. ან და დგ დამყოფელი. 5. ასე C; F, G და I ხანისად (შეად. კაკ<sup>1</sup> 598.4). 6. კაკ<sup>1</sup> 599.1 ამასლა მიჯობს. 7. ცეცხლი გწეავს (შეად. კაკ<sup>1</sup> 600.3). 8. F ღმერთმან ქნას. 9. F და ვახტ გარდასლუვა. 10. F და G ამაგა ჭირთა მრავალთა; ვახტ მაგაა ჭირთა და ვალთა; I მაგა ჭირთა და დავალთა (შეად. კაკ<sup>1</sup> 600.4); აბ 543.4 (გარდასლუვა) მაგა ჭირთა და დავალთა; ინგ 637.4 მაგ შენთა ჭირთა და ვალთა. 11. ან და დგ რაცა(!). 12. I რომე მლხენოდეს (შეად. კაკ<sup>1</sup> 603.3); K რამე მლხენოდეს. 13. ასე G (შეად. უგ 642.1 და ჭიკუ 685.1), C და ვახტ მძებნელი; აბ 548.1 და კაკ<sup>1</sup> 605.1 მძებნელნი. 14. აბ 548.2 დამაშვრობელნი(?). 15. ასე G (შეად. უგ 642.3); აბ 548.3 და კაკ<sup>1</sup> 605.3 მცნობელნი; ჭიკუ 685.3 მთხრობელნი.

- 288 მე ფრიდონს ვუთხარ: „ესე დღე ვითა მესაზაროების,  
ამისად მოწმად ღმერთი მყავს, — სათქმელად მიუცხოების!  
უშენოდ მყოფსა ულამო<sup>1</sup> დღეცა მესალამოების.  
დაქსნილ ვარ ლხინსა ყოველსა, მით გული ჭირსა მოების.
- 289 მაშა მე მისსა ამბავსა რათგან აღარას მოველი,  
ველარ ვიქმნები, გამიშვი, ვარ ფარმანისა მთხოველი.“  
ფრიდონს რა ესმა, ატირდა, ცრემლითა<sup>2</sup> მოერწყო<sup>3</sup> ველი.  
მითხრა თუ: „ძმარ დღესითგან ცუდ ჩემი ლხინი ყოველი!“
- 290 მერმე ფრიდონ მოიყვანა, მიძღვნა ესე ჩემი ცხენი.  
მითხრა: „ჰხედავ? — პირი მზისა, თქვენ, სარონად,<sup>4</sup> ეგ<sup>5</sup> იცხენი.<sup>6</sup>  
ვიცი, მეტი არრა გინდა, ძღვენი<sup>6</sup> რადმცა<sup>7</sup> გავკიცხენი!  
თვით ამანვე მოგაწონოს საკედნობა<sup>8</sup> სიფიცხენი.“
- 291 ფრიდონ გამოიყვანა, წავედით, ორთავე ცრემლნი ვღვარენით.  
მუნ ერთმანერთსა ვაკოცეთ, ზახილით გავიყარენით.  
სრულად ლაშქარნი მტიროდეს გულითა, მართლად, არ ენით.  
გაზრდილ-გამზრდელთა<sup>9</sup> გამყრელთა<sup>10</sup> ჩვენ თავნი დავადარენით.
- 292 ფრიდონისით წამოსრული წაველ ძებნად, — კელა ვიარე,  
რომე არ-რა<sup>11</sup> არ დამირჩა კმელთა ზედა, ზღვათა გარე.  
მაგრა მისსა მნახავსაცა კაცსა ვერა<sup>12</sup> შევეყარე. —  
გული სრულად გამიშმაგდა, თავი მკეცთა დავადარე.

1. იხვ 643,3 დილა და; სხვა დგ და გნ ლაშე და. 2. ასე I და G (შეად. კაკ<sup>1</sup> 607,3); C, აბ 550.3 და სხვ. სისხლითა. 3. ასე I; C მუნ მორწყო; G მან მორწყო.  
4. კაკ<sup>1</sup> 610.2 საროს ა; სხვა დგ და გნ საროსა. 5. C და ვახტეგე ცხენი; I ეგე ხენი (შეად. კაკ<sup>1</sup> 0.2)61; აბ 553,2 და სხვა დგ ეგეც ხენი. 6. ვარ. ძღვენი. 7. გნ და დგ რამცა. 8. G და I საგედრობა (შეად. კაკ<sup>1</sup> 610.4). 9. G გამზრდელ-გაზრდილთა.  
10. გნ და დგ გაყრასა(?). 11. კაკ<sup>1</sup> 612.2 არე; სხვა დგ და გნ არა. 12. კაკ<sup>1</sup> 612.3 ვერსად; იხვ 649,3 ვერას.

- 293 ეთქვი თუ: „ჩემგან აღარა<sup>1</sup> კამს<sup>1</sup> სიარული ცუდი, ცურვა.  
ნუთუ მკეტთა სიახლემან<sup>2</sup> უკუ-მყაროს გულსა ურვა!“  
ასმათსა<sup>3</sup> და მათ<sup>3</sup> მონათა<sup>3</sup> სიტყვა ეუთხარ შვიდი თუ რვა:  
„ვიცი რომე დამისჯირხართ, ღია გმართებს ჩემი მღურვა.“
- 294 აწ წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავთა თქვენთა,  
ნულარ უჭვრეტთ ცრემლთა ცხელთა, თვალთა ჩემთა მონადენტა.“--  
რა ესენი მოისმენდეს საუბართა ესოდენტა,  
მითხრეს: „ჰაი, რასა ბრძანებ, ნუ მოასმენ ყურთა ჩვენთა!
- 295 უშენოსა ნუმცა ვნახავთ ნუ პატრონსა, ნუ უფალსა!  
ნუთუ ღმერთმან არ გაგვყარნეს ცხენთა თქვენთა ნატერფალსა,  
თქვენ გიჭვრეტდეთ საჭვრეტელსა შვენიერსა, სატურფალსა!“  
თურე ბედი მოაღაფლებს კაცსა ეგზომ არ-ღაფალსა! —
- 296 ველარ გავგზავნენ, სიტყვანი მესმნეს მონათა ჩემთანი.  
მაგრა დავყარენ არენი მე კორციელთა თემთანი!  
სახლად სამყოფნი მიმანდეს თხათა და მათ ირემთანი.  
გავიჭერ სრულად, დავტკეპნენ ქვე მინდორნი და ზე მთანი.
- 297 ესე ქვაბნი უკაცურნი ვპოვენ, — დევთა შეეკაფნეს.  
შემოვები ამოვწყვიდენ, ყოლა ვერ-რას ვერ მეკაფნეს.  
მათ მონანი დამიკოცნეს, ჯაჭენი ავად მოეჭაფნეს.  
საწუთრომან დამაღრიჯა,<sup>4</sup> ცქაფნი<sup>5</sup> მისნი<sup>6</sup> კვლა მეცქაფნეს.
- 298 აჰა, ძმაო, მაშინდლითგან აქა ვარ და აქა ვკვდები.  
ხელი მინდორს გავიჭრები, ზოგჯერ ვტირ და ზოგჯერ ვბნდები.  
ესე ქალი არ დამაგდებს, არს<sup>7</sup> მისთვისვე<sup>7</sup> ცეცხლ-ნადები.  
ჩემად ღონედ სიკვდილისა მეტსა არ-რას არ ვეცდები!

1. კაკ<sup>1</sup> 613.1 აღარაა. 2. კაკ<sup>1</sup> 613,2 სიარულმან(?). 3. უგ 650.4 მონათა და ამა ასმათს; სხვა დგ და გნ მონათა და ამა ასმათს; სხვა დგ და გნ მონათა და ამ ასმათსა. 4. G დამანადვლა. 5. G ცქაფი. 6. G უფრო. 7. კაკ<sup>1</sup> 618.3 არის მისთვის.

- 299 რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,  
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს.<sup>1</sup>  
ესე ქალი შემიკერავს, ზოგჯერ სულთ-თქვამს, ზოგჯერ ახავს.  
რათგან თავი ვერ<sup>2</sup> მომიკლავს, კრმალი ცუდად მომიმახავს!..“
- 300 პირსა იცა, გაიხეთქა ლაწვი, ვარდი აიხეწა,  
ლალი ქარვად გარდიქცევა,<sup>3</sup> ბროლი სრულად დაილეწა. —  
ავთანდილსცა ცრემლი წასდის წამწამთაგან ერთ-სახე, წა. —  
მერმე ქალმან დაადუმა, მუკლ-მოყრილი შეეხვეწა

1. კაკ<sup>1</sup> 619.2 მომინახავს. 2. კაკ<sup>1</sup> 619,4 და უგ 657,4 არ. 3. C, G და I გარ-  
დაიქცა (შეად. კაკ<sup>1</sup> 621.2 და უგ 659.2); სხვა ბნ და დგ გარდიქცია.

## ქ ა რ ი მ ე ო თ ხ ე

### ტარიელის ძმად - შეფიცული ავთანდილის დაბრუნება არაბეთს და კვლავ გამოკარვა ნახვად ტარიელისა.

ავთანდილისა და ტარიელის ძმად-შეფიცვა. — ავთანდილის დაბრუნება არაბეთს, ნახვა შერმადინისა, როსტევან მეფისა და თინათინისა, და ტარიელის ამბის მბობა. — ავთანდილის განცხადება თინათინის წინაშე, რომ იგი უნდა დაბრუნდეს შველად ტარიელისა, და თინათინის ნება-რთვა. — ავთანდილის ცდა მეფის ნება-რთვით წასლვისა, ვაზირის მოციქულობა და მეფის უარი. — ავთანდილის ანდერძი მეფის წინაშე და გაპარვა. — გლოვა როსტევან მეფისა.

- 1 ტარიელ უთხრა ავთანდილს, ასმათის დაღუმებულმან: „შენ ყველაკაი გაამე მე ვერ-რას ვერ-ამებულმან, — გიამბე ჩემი ამბავი სიცოცხლე-გაარმებულმან. აწ წადი, ნახე შენი მზე ნახვისა მოყამებულმან.“
- 2 ავთანდილ უთხრა: „მე შენი გაყრა არ მომეთმინების. თუ ვაგეყრები, თვალთავან ცრემლიცა დამედინების. — მართალსა გითხრობ, ამისი კადრება ნუ გეწყინების: შენ ვისთვის ჰკვდები, მაგითა მას არ-რა არ ელხინების.“
- 3 რა აქიმი დასნეულდეს რაზომ გინდა საქებარი, მან სხვა უხმოს<sup>1</sup> მკურნალი და მაჯისაცა<sup>2</sup> შემტყობარი.<sup>3</sup> მან უამბოს რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი, — სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი. —

1. ასე C, G და I (შეად. კაკ<sup>1</sup> 624.2 და უგ 662.2); სხვა გნ და დგ იკმოს.  
2. G მაჯაშისა (შეად. უგ 662.2); I მაჯისსავე. 3. G შემტყვებარი.

- 4 რაცა ვითხრა<sup>1</sup> მომისმინე, ბრძენი ვეტყვი არა ხელი:  
ასი გმართებს გაგონება, — არ გეყოფის, — არ ერთველი!  
კარგად ვერ-რას ვერ მოაველენს<sup>2</sup> კაცი აგრე გულ-ფიცხელი. —  
აწ შე მინდა ნახვა მისი, ვისგან<sup>3</sup> დამწვევს ცეცხლი ცხელი.
- 5 იგი ვნახო, სიყვარული მისი ჩემთვის დავამტკიცო,  
მოვაკსენო რაცა მეცნას, მეტი საქმე არა მიცო.  
შენ გენუკვი შემიჯერო, ღმერთი იღმრთო. ცაცა იცო,  
ერთმან-ერთი არ გაეწიროთ მათიცო და შემომფიცო.
- 6 რომე აქათ არ წახვიდე, შენ თუ ამას შემეპირო,<sup>4</sup>  
მეცა ფიცით შეგიჯერებ, არასათვის არ გაგწირო,  
კვლა მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოგკვდე, შენთვის ვირო,  
ღმერთსა უნდეს, ვისთვის ჰკვდები, მისთვის ასე არ გატირო.<sup>4</sup>
- 7 მან მიუგო: „უცხოს უცხო ეგრე ვითა შეგიყვარდი? —  
გასაყრელად გეძნელები იადონსა ვითა ვარდი!  
რავგარადმცა დავივიწყე, რავგარადმცა უკუ-შქარდი!  
ღმერთმან ქმნას და კვლაცა ვნახო ალვა მორჩი.<sup>5</sup> განზარდი.
- 8 პირი შენი ნახვად ჩემად თუ მობრუნდეს, ტანი ირხოს,<sup>6</sup>  
გული მინდორს არ გაიქრას, არ ირმოს<sup>7</sup> და<sup>7</sup> არცა ითხოს,  
თუ გიტყუეო, მოგალორო, ღმერთმან რისხვითა გამიკითხოს!  
შენმან ჰვრეტა-სიახლემან გამიქარვოს სევედა, მითხოს!“
- 9 ამაზედან<sup>8</sup> შეიფიცნეს მოყვარენი გულ-სადაგნი,  
იაგუნდნი ქარვის ფერნი, სიტყვა ბრძენნი, ცნობა-შმაგნი.  
შეუყვარდა<sup>9</sup> ერთმან-ერთი, სწვიდეს მიწვიე გულსა დაგნი. —  
მას ლამესა ერთგან იყენეს შევნიერნი ამხანაგნი.

1. აბ 567.1 და სხვ. ვითხარ(?). 2. I მოივლენს (შეად. კაკ<sup>1</sup> 625.3 და უგ 663.3);  
G მოილხენს. 3. კაკ<sup>1</sup> 625.4 ვისი(?). 4. ასე ინგ 665.1; სხვა ღვ და გნ შემპირო.  
5. I ნორჩი. 6. გნ და ღვ იხოს(?). 7. უგ 667.2 ირმოს; ირმოს < იორმოს. 8. ვარ.  
ამას ზედან, ამას ზედა. 9. ასე უგ 663.3; სხვა ღვ და გნ შეუყვარდათ.

- 10 აეთანდილცა მასვე<sup>1</sup> თანა<sup>1</sup> ტიროდა<sup>2</sup> და<sup>2</sup> ცრემლი ღვარა. —  
რა გათენდა, წამოვიდა, — აკოცა და გაეყარა.  
ტარიელს თუ ვით ეწყინა, — რა ქმნას, ამას ეერ მიმხედარა!  
ათანდილცა ჩატროდა, — შამბი შიგან ჩაიარა... .
- 11 მუნ მოვიდა, სადა-იგი მისნი სპანი დაეყარნეს.  
ნახეს, იცნეს, რავგარადცა<sup>3</sup> ჰმართებუ, აგრე გაეხარნეს.  
შერმანდინსაც ახარებდეს, ფიცხლად თავნი<sup>4</sup> მისკენ<sup>4</sup> არნეს.  
„მოვიდაო, აქამდისი ვისთვის ღზინი გაგვემწარნეს!“
- 12 მიეგება,<sup>5</sup> მოეხვია, ზედან დასდვა პირი კელსა.  
აკოცებდა.<sup>6</sup> სიხარულით ცრემლსა<sup>7</sup> ჰღვრიდა<sup>7</sup> ველთა მრწყეველსა.  
ესე თქვა თუ: „ნეტარ, ღმერთო, ცხადს<sup>8</sup> ვარ<sup>8</sup> თუ საოცნელსა!“<sup>8</sup>  
მე ვით ღირს ვარ ამას, რომე თვალნი ჩემნი გჰკვრეტდენ<sup>9</sup> მრთელსა!“
- 13 ყმაჰან მდაბლად მოიკითხა, ზედან დასვა პირი პირსა.  
უბრძინა თუ: ღმერთსა ვჰმადლობ, შენ თუ ჭირად<sup>10</sup> არ-რა გჭირ-  
[სა!“  
დიდებულთა თაყვანის-სცეს, აკოცებდეს<sup>11</sup> ვინცა ღირს ა.  
ზარსა სცემდეს, უხაროდა უფროსსა და<sup>12</sup> თუნდა<sup>12</sup> მცირსა.
- 14 მივიდეს სადა სამყოფად სახლი დგა<sup>13</sup> მუნ აგებული.  
მოვიდა ნახეად<sup>14</sup> ყოველი<sup>15</sup> მის ქალაქისა კრებული.  
მაშინვე დაჯდა ნადიმად მორკმული,<sup>16</sup> ლალი,<sup>16</sup> შევებული. —  
ენა მის დღისა შევებასა ყოლა<sup>17</sup> ვერ<sup>17</sup> იტყვის კლებული!

1. G და I მასთანავე. 2. G მას ღამესა (შეად. კაკ<sup>1</sup> 631.1). 3. ასე ინგ 673.2; აბ 574.2 რავგარადმცა; კაკ<sup>1</sup> 634.2 როგორამცა. 4. ასე I (შეად. კაკ<sup>1</sup> 634.3) და უგ 673.3); აბ 574.3 და ჭირუ 720.3 კაცთა თავნი. 5. ასე G და K; სხვა გნ და დგ გაეგება. 6. G აკოცებდეს. 7. G და I ცრემლთა ღვრიდეს. 8. G ცხადით ვსჰვრეტ თუ ანუ ბნელსა; I ცხადსა ვარ თუ ანუ ბნელსა (შეად. კაკ<sup>1</sup> 635.3); აბ 575.3 და უგ 674.3 ცხადსა ვხედავ ანუ ბნელსა. 9. უგ 674.4 ჰვრეტდენ. 10. უგ 675.2 ჭირი. 11. კაკ<sup>1</sup> 636.3 და აბ 576.3 აკოცებდა. 12. უგ 675.4 თუ უნდა. 13. დგას (შეად. კაკ<sup>1</sup> 637.1). 14. ასე C და G (შეად. უგ 676.2); I მოვიდეს (შეად. კაკ<sup>1</sup> 637.2); სხვა გნ და დგ შემოკრბა. 15. I ყოველნი. 16. ასე I (შეად. დგ); G... ლალად; C მორკმით, ლალი და. 17. აბ 576.4 ყოლ ვერა.

- 15 შერმადინს უთხრა, უამბო ყოველი მისგან ნახული,<sup>1</sup>—  
ანუ ვით პოვა იგი ყმა, მისგანვე მზედ დასახული.  
ავთანდილს ცრემლი უყოფდა, — უბნობდა თვალ-დაფახული:  
„უმისოდ მყოფსა სწორად მიჩნს<sup>2</sup> ჩემთვის დარბაზი და ხული!“
- 16 მან<sup>3</sup> ამბავი შინაური ყველაკაი მოაქსენა:  
„შენი წასულა არვინ იცის, რაცა<sup>4</sup> მითხარ<sup>4</sup> ავრე ვქმენა.“ —  
მას ღღეს მუნით არ წავიდა, ინადიმა, განისვენა.     o  
ცისკრად შეჯდა, გაემართა, — ღღუ რა მზემან განათენა.
- 17 შესთვალა: „მეფე უკადრი ხარმცა მორკმით და დიდობით.<sup>5</sup>  
ამა საქმესა ვიკადრებ შიშით, კრძალვით და რიდობით:<sup>5</sup>  
მის ყმისა ვერას ვერ მცნობი ვუკმობდი თავსა ფლიდობით.<sup>5</sup>  
აწ ვცან და გაცნევ ყოველსა, მოვალ შევებით და მშვიდობით.“<sup>5</sup>
- 18 მეფე შეჯდა, გაეგება მუნით ყმასა მომავალსა. —  
ამას პირ-მზე მეფისაგან ივალეზდა ვით<sup>6</sup> სავალსა.<sup>6</sup> —  
მიეგება, მოეგება, — მხიარული გულ-მკურვალსა. —  
დიდებულთა ჯარისაგან ზოგნი<sup>7</sup> ჰგვანდეს<sup>7</sup> ვითა მთრვალსა.
- 19 რა მიეახლა, გარდაკდა ყმა,<sup>8</sup> თაყვანის-სცა<sup>8</sup> მეფესა.  
აკოცა როსტან,<sup>9</sup> მიმხვდარმან<sup>9</sup> ნიშატა<sup>9</sup> სიიფესა.<sup>9</sup>  
გულ-მხიარულნი, შევებულნი მივლენ დარბაზსა სეფესა.  
მის ყმისა მოსვლა უხარის ყოველსა<sup>10</sup> მუნ<sup>10</sup> მეკრეფესა.<sup>10</sup>
- 20 მას ღღეს დასხდეს ნადიმობად, გაამრავლეს სმა და ჰამა.  
ყმასა მეფე ასრე უქვრეტს ვითა შვილსა ტკბილი მამა.  
მათ ორთავე აშვენებდა ფიფქსა თოენა, ვარდსა ნამა, —  
უხვად გასცეს საბოძვარი, — მარგალიტი ვითა ღრამა.

1. G, I და K მისი (შეად. კაკ<sup>1</sup> 638,1). 2. G და I მჩანს (შეად. კაკ<sup>1</sup> 638,4).  
3. ვარ. მუნ. 4. ინგ 678,2 რაც მიბრძანე. 5. C და I: დიდებით, რიდებით. ფლი-  
დებით, მშვიდებით (შეად. კაკ<sup>1</sup> 641). 6. ინგ 683,2 დიდსა ვალსა; აბ 582,2 ვითა  
ვალსა. 7. კაკ<sup>1</sup> 644,4 ზოგი ჰგვანდა. 8. I ყმამ თაყვანის-სცა; G ყმა თაყვანსა  
სცემს (შეად. კაკ<sup>1</sup> 645,1). 9. G და I როსტენ მეფემან ნიშტითა სიიფისა(?)  
(შეად. კაკ<sup>1</sup> 645,2 ... სიიფესა). 10. G ყოველსა მუნა მკრეფესა; I ყოველთა შე-  
მომკრეფესა.

- 21 სმა გარდაკდა, თავის-თავის გაიყარნეს მსმელნი შინა.  
დიდებულნი არ გაუშვნეს,<sup>1</sup> ყმა დაისვეს ახლოს წინა.  
მეფე ჰკითხავს, იგი ჰკადრებს რაცა ჭირი დაეომინა,  
მერმე მისი,<sup>2</sup> უცნობოსა,<sup>2</sup> რა ენახა, რა ესმინა.
- 22 გამხიარულდა თინათინ ამა ამბისა სმენითა.  
მას დღეს იხარებს სმასა<sup>3</sup> და ჭამასა,<sup>3</sup> არ მოწყენით ა.  
კვლა საწოლს დაჰხვდა მის ყმისა<sup>4</sup> მონა სიტყვითა ბრძენითა:  
მისლვა ებრძანა, — ეამა, თქმა არ ეგების ენითა.
- 23 მზე უკადრი<sup>5</sup> ტახტსა ზედა ზის მორკმული,<sup>6</sup> არ ნადევრი.<sup>7</sup>  
წყალად ეფრატსა<sup>8</sup> უხვად ერწყო<sup>9</sup> ედემს რგული<sup>10</sup> ალვა<sup>11</sup>მკვერი.<sup>7</sup>  
ბროლ-ბადახშსა აშვენებდა თმა გიშერი, წარბი ტვერი,<sup>7</sup> —  
მე ვინ ვაქებ, — ათენს<sup>12</sup> ბრძენთა გამს<sup>12</sup> აქებდეს<sup>12</sup> ენა ბევრი.<sup>7</sup> —
- 24 ყმა მხიარული წინაშე დასვა სკამითა მისითა.  
სხედან სავესენი ლხინითა<sup>13</sup> ორთავე შესატყვისითა.  
უბნობენ ლაღნი, წყლიანნი, არა სიტყვითა მქისითა.  
უთხრა: „ჰპოვეა, პატიჟნი ჰნახენ ძებნითა ვისითა?“
- 25 ჰკადრა: „რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა,  
კსოვნა არა გამს ჭირისა, ვით<sup>14</sup> დღისა<sup>14</sup> გარდასრულისა. —  
ეპოვე ხე-ტანი ალვისა, სოფლისა წყალთა რწყულისა,  
მუნ პირი მსგავსი ვარდისა, მაგრა აწ ფერ-ნაკლულისა.“
- 26 სიარულსა მისგან ძებნად სრულთ<sup>15</sup> პატიჟთა მოსთვლის ჭირსა.  
მერმე ჰკადრა, საწადლისა ღმერთმან პოვნა ვით აღირსა. —  
„საწუთრო და სოფელს ყოფა, კაცი უჩნსო<sup>16</sup> ვით ნადირსა.  
ოდენ ხელი მკვეცთა თანა იარების მიხდორს, ტირსა.“

1. გნ და დგ გაუშვეს. 2. G და I მისსა მგზავრობასა (შეად. კაკ<sup>1</sup> 648,4).  
3. აბ 588,2 სმითა და ჭამისა; ინგ 692,2 გულ-ამოდ ლხინისა. 4. კაკ<sup>1</sup> 653,3 და  
უგ 692,3 მზისა. 5. ასე I (შეად. დგ); G მორკმული. 6. ასე I (შეად. დგ); G უკა-  
დრი. 7. I: ნადევრად, მკვერად, ტვერად, ბევრად. 8. G ეფრატი. 9. I ურწყავს.  
10. I ზრდილი. 11. I ტანი. 12. G გამს ათინა მას აქებდეს; I ათენს ბრძენთა გამს  
აქებდენ. 13. ასე უგ 695,2; ვარ. სხედან. 14. ასე L; G და I ეამ-პირველ (შეად.  
კაკ<sup>1</sup> 657,2). 15. გნ და დგ სრულ. 16. კაკ<sup>1</sup> 659,3 უჩანს.

- 27 წვრილად ჰკადრა რა იცოდა, რა ნახული, რა ნასმენად: —  
„ვითა ვეფხსა წავარნა და ქვაბი აქესო სახლად, მენად.  
ქალი ახლავს საურველად<sup>1</sup> სულთა-დგმად და ჰირთა თმენად. —  
ვა, სოფელმან სოფელს-მყოფი ყოელი დასვა ცრემლთა დენად!“ —
- 28 ქალსა<sup>2</sup> რა ესმა ამბავი, მიჰხვდა წადილი ნებისა,  
განათლდა პირი მთეარისა, ვით ნათლად ნავენებისა:  
ეტყვის<sup>3</sup>: „რა უთხარ<sup>4</sup> პასუხი მას<sup>5</sup> სათნებლისა<sup>6</sup> თნებისა,<sup>5</sup> —  
რა<sup>6</sup> არს<sup>6</sup> წამალი მისისა წყულულისა განკურნებისა?“
- 29 ყმა ეტყვის: „ვის აქვს მინდობა კაცისა მომცქაფავისა!  
მან ჩემთვის დაწვა თავისა დაღვა, არ-დასაწვავისა:  
დრო დამიც ჩემგან მისელისა, მითქვამს დაღვა თავისა.  
მზე შემთფიცავს თავისა ჩემგან მზედ სახედავისა!<sup>8</sup>
- 30 კამს მოყვარე მოყვრისათვის თავი-ჰირსა-არ-დამრიდად.  
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და კიდად! —  
კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჰირი უჩნდეს ჰირად დიდად! —  
აჰა, მაქვსცა<sup>9</sup> უმისოსა ლხინი არმად, თავი ფლიდად.
- 31 მზე ეტყვის: „მომხვდა ყოველი ჩემი წადილი გულისა:  
პირველ, — შენ მოხველ მშვიდობით, მპოვნელი დაკარგულისა,  
მერმე, — ზრდა სიყვარულისა გაქვს, ჩემგან დანერგულისა. —  
ვპოვე წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა! —
- 32 შენ არ გატეხა კარგი გჰირს ზენაარისა, ფიცისა.  
კამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა, —  
ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა<sup>10</sup> კამს<sup>10</sup> მის უვიცისა.<sup>10</sup> —  
ჩემი თქვი, — რა ვქმნა ბნელ - ქმნილმან,<sup>11</sup> მზე მიმეფაროს,  
[მი<sup>12</sup> - ცისა! . .“

1. ნ და დგ სასურველად(?). 2. I მხესა (შეად. კაკ<sup>1</sup> 662.1). 3. ნ და დგ იტყვის. 4. ასე ინგ 701.3; სხვა ნ და დგ უთხრა(?). 5. G მისთა ნებისა თნებისა (კაკ<sup>1</sup> 662.3 და უგ 701.3); თნებისა < თნებისად. 6. ნ და დგ რაა. 7. დამიც < დამიძს. 8. ინგ 702.4 საესავისა.—სახედავისა < სახედავისად. 9. ნ და დგ მაქვს-მცა(?). 10. H, I და K ცოდნა გამს მართ უვიცისა; ვახტ ცოდნა გამს უვიცისა; C და ცოდნა გამს უვიცისა; G ცოდნა გამს არ უვიცისა; აბ 601.3 ცოდნა გამს უვიცისა. 11. ასე C; G დღე-კრულმან; I ხელ-ქმნილმან (შეად. კაკ<sup>1</sup> 667.4); აბ 601.4 და ჰიჰ 753.4 ბედ-ქმნილმან(?). 12. G და I თუ (შეად. კაკ<sup>1</sup> 667.4); C მე.

- 33 მათ მიჰხვდა ლხინი ყოველი ერთმანერთისა ჭერეტითა. --  
 ყმა წამოვიდა გაყრილი, მივალს გულითა რეტითა.  
 მზე ტირს სისხლისა ცრემლითა, ზღვისაცა მეტის-მეტითა.  
 იტყვის: „ვერ გაძღა სოფელი, ვა, სისხლთა ჩემთა ხერეტითა!..“
- 34 ყმა მივიდა, საწოლს დაჯდა,<sup>1</sup> ზოგჯერ ტირს და ზოგჯერ ბნდების,  
 მაგრა ახლავს გონებითა საყვარელსა, არ მოსწყდების.  
 ვით ყვავილსა<sup>2</sup> თრთვილისაგან პირსა ფერი მოაკლდების,  
 ჰხედავთ, ვარდასა უმზეობა რაგვარ ადრე დააჩნდების? —
- 35 გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი,  
 გული ჟამ-ჟამად ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მნდომელი,  
 გული ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით<sup>3</sup> ვერრას ვერ გამზომელი!  
 ვერცა პატრონობს სიკვდიმდე,<sup>4</sup> ვერცა<sup>5</sup> მეფეა<sup>5</sup> რომელი! —
- 36 რა გათენდა, შეეკაზმა ყმა, გავიდა ადრე გარე.  
 იტყვის: „ღმერთო,<sup>6</sup> მიჯნურობა არ დამაჩნდა,<sup>7</sup> და-ცა-ვფარე,<sup>8</sup> —  
 დათმობასა გეაჯები,<sup>9</sup> — გულსა შენ რა მოუგვარე!“ —  
 ცხენსა შეჯდა, გაემართა ვაზირისა სახლსა მთეარე.
- 37 ვაზირმან ცნა, გაეგება, — „ჩემსა მზეა ამოსრული!  
 ამას თურე მახარებდა დღეს ნიშანი-სიხარული!“  
 მიეგება, თაყვანის-სცა, ჰკადრა სრულსა<sup>10</sup> ქება<sup>10</sup> სრული.<sup>10</sup> —  
 კამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული!
- 38 ყმა გარდასვა მასპინძელმან არ ლაფალმან, ავმან, უქმან,  
 ფერხთა ქვეშე ხატაურსა უფენენ და მიწად უქმან.  
 ყმამან სახლი განანათლა ვით სამყარო მზისა შუქმან.  
 თქვეს: „სურნელნი<sup>11</sup> სულნი<sup>11</sup> ვარდთა დღეს მოგვებრნა<sup>11</sup> ქვენა  
 [ბუქმან!<sup>12</sup>“

1. ასე ინგ 717.1; სხვა დგ და გნ დაწვა. 2. ასე ინგ 717.3; სხვა დგ და გნ მწ-  
 ვანილსა. 3. კაკ<sup>1</sup> 679.3 მართ. 4. ან და დგ სიკვდილი(!). 5. უგ 718.4 ვერც პატ-  
 რონია(?). 6. უგ 728.2 ნეტარ. 7. უგ 728.2 და ჭიჭ 779.2 დამაჩნდეს. 8. აბ 616.2  
 და უგ 728.2 დამცავფარე; ჭიჭ 779.2 დაცამფარე. 9. ასე აბ 616.3; სხვა დგ ეა-  
 ჯების. 10. კაკ<sup>1</sup> 690.3 და უგ 725.3 ქება სრულსა სრული. 11. კაკ<sup>1</sup> 691.4 და უგ  
 730.4 სუნნელი სული... მოგვებრა. 12. ასე უგ 730.4; აბ 618.4 ქვენამ. ბუქმან.  
 ინგ 730.4 ზენა ბუქმან.

- 39 რა ჯალაბი გაიყარა, ყმა ვაზირსა ეუბნების.  
ეტყვის: შენი დაფარული<sup>1</sup> დარბაზს არ-რა არ იქნების.  
რაცა გწადდეს საურავი, მეფე იქმს და შენ გეტნების. —  
გაიგონენ ჭირნი ჩემნი, მკურნე რაცა მეკურნების.
- 40 მის ყმისა ცეცხლი მედების, წვა მჭირს<sup>2</sup> მისისა მწველისა.<sup>3</sup>  
მკლავს სურვილი და ვერ-ნახევა<sup>4</sup> ჩემისა სასურველისა.  
მას ჩემთვის სულნი არ ჰშურდეს, — შეზღვა კამს შეუზღველისა.  
კამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უშურველისა!
- 41 ოდეს წამოველ შევჰფიცე ფიცითა საშინელითა:  
„კვლა მოვალ, გნახავ პირითა არ მტერთა საწუნელითა.  
შენსა მე ვეძებ ნათელსა, — შენ ხარ გულითა ბნელითა.“ —  
უამი არს ჩემგან<sup>5</sup> წასვლისა, მით მწვეავს ცეცხლითა ნელითა.<sup>6</sup>
- 42 ყველასავე<sup>7</sup> მართლად გითხრობ, არ სიტყვასა საკეცხელსა. —  
მიმელის და ვერ მივსულვარ, ესე მიდებს ცეცხლსა ცხელსა.  
ვერ გავუტებ ზენაარსა, ვერ გავსწირავ ხელი ხელსა.  
რამცა სადა გაუმარჯვდა<sup>8</sup> კაცსა ფიცთა<sup>9</sup> გამტეხელსა!
- 43 რაცა გითხარ, ჩემ-მაგიერ, როსტანს ჰკადრე, მივედ<sup>10</sup> სრასა.  
თავმან მისმან, ფიცით გეტყვი<sup>11</sup> შენ ვაზირსა უსტასარასა:  
არ შემიპყრობს, არ დაედგები, თუ შემიპყრობს, მაქნევს რასა? —  
მიშველე რა, გული ცეცხლმან არ დამიწვას,<sup>12</sup> არა სრასა!<sup>13</sup>
- 44 ჰკადრე:<sup>14</sup> „ეინ გაქოს ყოველმან პირმან არ-მე უზრახემან,<sup>15</sup> —  
ვითა ვიშიშვი, გაცნობოს ღმერთმან ნათელთა მსახემან!<sup>16</sup> —  
მაგრა მან ყმამან ცეცხლითა დამწვა,<sup>17</sup> — ალვისა<sup>17</sup> სახემან,  
გული წამსავე წამილო, — ვერად ვერ შევიწახე, — მან!

1. ასე ინგ 732.2; სხვა დგ და ენ დამალული. 2. ინგ 733.1 მწვეავს. 3. მწვე-  
ლისა<მწველისად. 4. კაკ<sup>1</sup> 634.2 ვერ-უვრეტა. 5. ენ და დგ ჩემი. 6. ვარ. ცხე-  
ლითა. 7. კაკ<sup>1</sup> 697.1 და უგ 736.1 ყოველსავე. 8. კაკ<sup>1</sup> 697.4 გაუმარჯვა. 9. კაკ<sup>1</sup>  
697.4 ფიცის. 10 აბ 624.1 და უგ 737.1 მიედ; კაკ<sup>1</sup> 698.1 და ჭიჭ 788.1 მიდი.  
11. კაკ<sup>1</sup> 693.2 გითხრობ. 12. ასე ინგ 737.4; ვარ. დამიჭრას. 13. ასე ინგ 737.4;  
ვარ. მსრასა. 14. ჭიჭ 789.1 ვით. 15. ვახტ მე უმზრახემან; კაკ<sup>1</sup> 699.1 და უგ 738.1  
შეუზრახემან(?). 16. კაკ<sup>1</sup> 699.2 სახემან. 17. ინგ 738.3 დამწვაო, ალვისა ხემან.

- 45 აწ, შეფეო, უმისობა ჩემგან ყოლა არ ეგების.  
გული მას აქვს, უგულოსა<sup>1</sup> აქა კელი რა მეკლების?  
თუ რას ვარგებ, პირველ ზეალმე<sup>2</sup> თვით სახელი თქვენ მოგზხედების.  
ვერ-რას ვარგებ, — გულსა დავსდებ, ჩემი ფიცი არ გატყდების.
- 46 წასვლა ჩემი გულსა თქვენსა არ ეწყინოს, — არ დაჭმუნდეს.  
თავსა ჩემსა განგებული იქმნას, რაცა ღმერთსა უნდეს.  
მანვე ქმნას და გამიმარჯვდეს,<sup>4</sup> თქვენი თქვენვე<sup>5</sup> დაგიბრუნდეს.<sup>6</sup>  
არ მოებრუნდე, თქვენმცა ჰსუფევთ, მტერი თქვენი დაზაბუნდეს!<sup>4</sup>
- 47 კვლა პირ-მზე ეტყვის ვაზირსა: „მე სიტყვა შევამცირეო, —  
აწ<sup>7</sup> ესე ჰკადრე მეფესა, შე-ვინ-ვიდოდეს ვირეო.  
მიაჯე ამოდ გაშეება და თავი გაიგმირეო.  
ათი-ათასი\* წითელი შენ ქრთამად შეიწირეო.“
- 48 ვაზირმან უთხრა სიცილით: „ქრთამი შენ გქონდეს შენია!“<sup>9</sup>  
შენგან კმა ჩემად წყალობად, რომე გზა გაგიჩინია:  
მაგას რა ვკადრებ მეფესა, რაცა აწ თქვენგან მსმენია,  
ვიცი, უცილოდ ამავესებს, — შოება<sup>10</sup> არ საწყენია! —
- 49 თავმან მისმან, მუნვე მომკლავს, ვეკვ,<sup>11</sup> წამიცა არ წამაროს,  
შენი ოქრო შენვე დაგრჩეს, მე, გლახ, მიწა მესამაროს.  
მომკალ, კაცსა სიცოცხლისა სწორად რაცა მოეკმაროს!<sup>12</sup> —  
არ ითქმის და ვერცა ვიტყვი, რა<sup>13</sup> გინდა<sup>13</sup> ვინ მისაგმაროს! —
- 50 თუ მეფეცა გაგიშვებდეს, თვით ლაშქარნი რად მოლორდენ,<sup>14</sup> —  
რა<sup>15</sup> გაგიშვან, — რად დალონდენ,<sup>16</sup> ანუ მზესა რად მოჰშორდენ!—  
შენ წახვიდე, მტერნი ჩვენნი დაგვთამამდენ, გაგვისწორდენ?! —  
ეგე აგრე არ იქმნების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ!<sup>4</sup>

1. კაკ<sup>1</sup> 700.2 და უგ 739.2 გულოვანსა(?). 2. კაკ<sup>1</sup> 700.2 ხელი(?). 3. ვარ. ხოლმე. 4. ასე ჰიჟ 791.3; სხვა დგ და გნ გაგიმარჯვდეს(?). 5. C, F, G და I თქვენ-კე (შეად. კაკ<sup>1</sup> 701.3). 6. C, F, G და I დავებრუნდეს (შეად. უგ 740.3). 7. ინგ 741.2 წა. 8. ენ და დგ ასი. 9. ინგ 742.1 გმართებს(?). 10. კაკ<sup>1</sup> 703.4 ბოძება. 11. F მგონ; G რომ. 12. კაკ<sup>1</sup> 704.3 რამცა. 13. კაკ<sup>1</sup> 704.4 გინდა რა; ინგ 743.4 რაგინდ რა. 14. F და G დალორდენ; I მოლორდენს. 15. ენ და დგ რად(?). 16. აბ 632.2 და ჰიჟ 796.2 დალორდენ; კაკ<sup>1</sup> 706.2 და უგ 745.2 მოსტუტუდენ.

- 51 ყმა ატირდა, ცრემლით<sup>1</sup> უთხრა: „კამს თუ დანა გულსა ვიცი!  
ჰე ვაზირო, შეგეტყვების, სიყვარული არ თურ იცი!  
ანუ სხვათა<sup>2</sup> არ გინახავს<sup>3</sup> მოყვრობა და არცა ფიცი? —  
თუ გინახავს, უმისოსა ჩემი ლხინი ვით ამტკიცი?!
- 52 მზე დაბრუნდა, — არ ვიცოდი, მზესა რამცა დააბრუნვებს! —  
აწ ვუშველოთ, გვიჯობს, იგი ნაცვლად დღესა დაგვიბრუნვებს! —  
ჩემი ჩემებრ არეინ იცის, რა მამწარებს, რა მატკბუნვებს!  
ცულთა კაცთა საუბარი კაცსა მეტად დააჭმუნვებს! —
- 53 მეფე ანუ მისნი სპანი ნეტარ კელსა რასა მკლიან,  
აწ, ვითაცა<sup>4</sup> უცნობოსა განუწყვეტლად ცრემლნი მდიან!  
სჯობს წავიდე, არ გავტეხნე,<sup>5</sup> — კაცსა ფიცი<sup>6</sup> გამოსცდიან! —  
ჭირნი, მისგან უნახავნი, კაცსა<sup>7</sup> ვისმცა<sup>7</sup> გარდუქდიან!<sup>8</sup>
- 54 აწ, ვაზირო, მაგა პირსა გული კრული ვით მოგთმინდეს?  
რკინა ჩემი მონაცვალე კამს გაცვილდეს, არ გატინდეს! —  
ვერ გარდვიკდი ცრემლთა<sup>9</sup> მისთა,<sup>9</sup> ჯეონიცა თვალთათ<sup>10</sup> მდინ-  
[დეს! —  
მომეხმარე, ნუთუ<sup>11</sup> ჩემგან<sup>11</sup> მოკმარება შენცა<sup>12</sup> გინდეს!
- 55 არ გამიშვებს, გავიპარვი,<sup>13</sup> წავალ მათად<sup>14</sup> შეუგებლად.<sup>15</sup>  
ვითა მნუკავს,<sup>16</sup> ეგრე დავპრთო გული ცეცხლთა მოსადებლად.  
ვიცი, ჩემთვის არას გიზამს, თუ არ უნდი გასაძებლად. —  
თქვი, რა გინდა წაგეკიდოს, თავი დადევი საწამებლად.“

1. იხ. 746, I სულთქმით. 2. ბნ და დგ სხვადა(?). 3. ვარ. გიკითხავს. 4. ან და დგ ვითამცა(?). 5. C გავტეხე; F გავტეხენ; კაკ<sup>1</sup> 709.3 გავსტეხო. 6. კაკ<sup>1</sup> 709.3 ფიცი. 7. ასე G და I (შეად. აბ 635,4); C, F და ვახტ დია ვისმე; K ძნელად ვისმე. 8. F და ვახტ გამოსცდიან. 9. G თვალთა ჩემთა. 10. G ცრემლად; სხვა ბნ და დგ თვალთა. 11. G თულა ოდეს (შეად. კაკ<sup>1</sup> 710,4). 12. G ჩემგან (შეად. კაკ<sup>1</sup> 710,4). 13. ასე ვახტ; სხვა დგ და ბნ არ დაედგები. 14. ასე G და I; C და ვახტ მათგან. 15. ვახტ შეუგებლად. 16. ვარ. მნუკევს.

- 56 ვაზირმან თქვა: „შენი ცეცხლი მეცა ცეცხლად მომედების.  
ველარ ვუჭერეტ ცრემლთა შენთა, სოფელიცა გაქარდების! —  
ზოგჯერ<sup>1</sup> თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ<sup>1</sup> თქმითცა დაშავდე-  
[ბის. —  
ვითყვი,—მოგვედე არა მგამა,—ჩემი მზემცა თქვენ მოგზედების!<sup>1,2</sup>“
- 57 რა ვაზირმან ესე უთხრა, ადგა დარბაზს გაემართა.  
მეფე დახვდა შეკაზმული, პირი მზეებერ ეწაღმართა.  
შეუწინდა, საწყინარსა<sup>3</sup> მოკსენება ვერ შეჰმართა.  
დაყრიტ დგა<sup>4</sup> და<sup>4</sup> იგონებდა არ საქმეთა საომართა!
- 58 მეფემან ნახა ვაზირი დაღრეჯით, დაყმუნებულნი,  
უბრძანა: „რა გჭირს, რა იცი, რად მოხველ შეჭირვებულნი?“  
მან ჰკადრა: „რაცა<sup>5</sup> ვიცოი,<sup>5</sup> მით<sup>6</sup> ვარ თავისა ვებული!  
მართალ ხართ, — მომკლათ, რა გესმას ამბავი, — გაკვირვებულნი.“
- 59 ჩემი ჰმუნვა ჭირსა ჩემსა არცა ჰმატს<sup>7</sup> და<sup>7</sup> არცა სდილობს.  
მეწინიან, თუცა შიშსა მოციქული არა<sup>8</sup> ჰრიდობს.<sup>8</sup> —  
აწ ავთანდილ გეთხოვების, — მოაჯეგობს, არ წამქიდობს, —  
უმისყმისოდ სოფელსა<sup>9</sup> და საწუთროსა<sup>9</sup> მისთვის ჰვლიდობს.<sup>9</sup>“
- 60 რაცა იცოდა, ყველი ჰკადრა მოშიშრად ენითა. —  
კვლა მოახსენა: „რამცა სცან სიტყვითა ესოდენითა,  
თუ რაგვარ მყოფი მინახავს, თუ რაგვარ ცრემლთა დენითა! —  
მართალ ხართ, ჩემთვის რისხვანი თუცა<sup>10</sup> იანაზდენითა!“

1. C და F ზოგი. 2. კაკ<sup>1</sup> 712,4 მოგბედების(?). 3. ასე F და I; სხვა გნ და დგ საწყინლისა. 4. ასე უგ 752,4; სხვა დგ და გნ დადგა. 5. ასე ინგ 753,3, აბ 640,3, უიუ 804,3 და უგ 753,3 არა ვიცოი; კაკ<sup>1</sup> 714,3 არა, არ ვიცი. 6. ასე ინგ 753,3; სხვა გნ და დგ მართ. 7. უგ 754,1; კაკ<sup>1</sup> 715,1 მეტობს; ვარ. მეტს. 8. კაკ<sup>1</sup> 715,2 და უგ 754,2 ვერ დარიდობს; ინგ 754,2 არ დაჰრიდობს. 9. უიუ 805,4 სოფელი და საწუთროცა... ფლიდობს(?). 10. ასე აბ 642,4 და უიუ 806,4; სხვა დგ და გნ თუმცა; ინგ 755,4 თუმცა რისხვანი ჩემთვის.

- 61 რა მეფემან მოსმინა, გაგულისდა, გაუცნობდა.<sup>1</sup>  
ფერი ჰკრთა და გასაშიშრდა, — შემხედველთა შუაშთობდა.  
შეუზახნა: „რა სიქეი, შმაგო, მაგას სხვამცა ვინ მითხრობდა!  
აესა კაცსა ურჩევნია, აესამცა რას აღრე სცნობდა!
- 62 ვითამც რამე სახარელი საქმე მითხარ, — ვითა აღრად!  
მაგის მეტი რა ვინ მიყოს, თუ არ მომკლას მუხთლად, ღადრად!  
შმაგო! ენა ვით იხმარე აწ მაგისად ჩემად მკადრად?!<sup>3</sup>  
აგრე შმაგი არ ვაზირად, არად ვარგხარ არცა სხვად რად!
- 63 კამსცა, კაცვან პატრონისა საწყინარსა არ დახედნეს, <sup>4</sup>  
ოდენ სიტყვა უმეცრული უმეცრულად<sup>5</sup> დაიუბედნეს?!  
მე მაგისად მოსმენამდის რად არ ყურნი შემეჭედნეს!  
შენ თუ მოგკლა, სისხლნი შენნი შენმან<sup>6</sup> ქედმან მიიქედნეს!“
- 64 კვლა უბრძანა: „თუცა მისგან აწ არ იყავ მოგზავნილი,  
თავმან ჩემმან, თავსა<sup>7</sup> მოგკვეთ,<sup>7</sup> არად უნდა ამას ცილი!  
წა,<sup>8</sup> უკუ-დეგ! — ავი, შმაგი, უმეცარი, შლეგი, წბილი!  
შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან<sup>9</sup> ქმნილი!“
- 65 ვაზირმა, გლახ, გამორიდნა, მართ ველარას ვერ იძრწივნებს.  
გამოდრწა<sup>10</sup> და<sup>10</sup> გამომელდა, გულსა წყლულსა მოიმტკივნებს. ---  
შეის ხასობს, გაის ქუშობს, ენა ასრე მოაყივნებს. —  
მტერი მტერსა ვერას ავენებს, რომე<sup>11</sup> კაცი თავსა ივენებს!
- 66 თქვა: „ცოდვათა ჩემთა მსგავსი ღმერთმან მეტი რა მიჩვენოს!  
რად მოვლორდი, რად დავბნელდი, ნეტარ ვინლა გამითენოს!  
ვინცა<sup>12</sup> სხვამან<sup>13</sup> კანდიერად პატრონსა რა მოაკსენოს, —  
ჩემნი ღლენი მასმცა ადგან, რაძინ, ვითა განისვენოს!“

1. კაკ<sup>1</sup> 717,1 და უგ 756,1 გაავცნობდა(?). 2. F სიხარულად (შეად. აბ 644,1);  
ინგ 757,1 სახარული; სხვა გნ სიხარული. 3. ასე აბ 644,3; ვახტ კადრად. 4. ასე  
G და K (შეად. დგ); სხვა გნ დარიდნეს. 5. კაკ<sup>1</sup> 719,2 ულაგოდ. 6. ასე ინგ 758,4;  
სხვა დგ და გნ ჩემმან. 7. კაკ<sup>1</sup> 720,2 აწვე მოგკლავე. 8. კაკ<sup>1</sup> 720,2 აწ. 9. კაკ<sup>1</sup> 720,4  
შენგან. 10. F და I გამოდურწ(ნ)ა. 11. ვახტ რომელ. 12. კაკ<sup>2</sup> 756,3 ვინმცა.  
13. კაკ<sup>2</sup> 756,3 სხვა რა; უგ 762,3 კაცმან; აბ 649,3 და პიქუ 813,3 კვალაღ.

- 67 ვაზირი გაწბილებული მივა ბედითა შავითა. —  
 აეთანდილს უთხრა დაღრეჯით, პირითა გამქუშავითა:  
 „მაღლი რა გკადრო, აწ თქვენგან გავხასდი<sup>1</sup> მე, მაშა, ვითა! —  
 ვა, კარგი თავი, უებრო, დაეკარგე დაეაშავითა!<sup>2</sup>“
- 68 ვით გამკადა, რა მიბრძანა, — არ ეგების ჩემგან თხრობა, —  
 რა სიავე, რა სირეგენე, რა შლულობა, რა შმაგობა!  
 მე თვით კაცად აღარ ვარგვარ, აღარცა<sup>3</sup> მიც თავსა ცნობა.  
 ესე მიკვირს, რად არ მომკლა, მისცა თურე ღმერთმან თმობა!
- 69 მეცა ვიცოდი. — რაცა ვქმენ ცთომით არ წამკიდებია, —  
 ვიაზრე, გამიწყრებოდა. — კმუნეა მით გამკიდებია,<sup>4</sup> —  
 განგებით ქმნილსა რისხეასა ვერავენ დაპრიდებია! —  
 შენთვის სიკვდილი ღზინად მიჩნს,<sup>5</sup> — ჭირი არ გამცუდებია.“
- 70 ყმაჰან უთხრა: „აღარ წასვლა არ ეგების ჩემგან, — აროს!  
 იაღონი მაშინ მოკვდეს, ოდეს ვარდმან იდამქნაროს?! —  
 კამს, უძებნოს ცვარი წყლისა, მისთვის თავი ყოვლგან აროს!  
 ვერ უპოვოს. — რა ქმნას! ანუ გული რითა დაიწყნაროს? —“
- 71 უმისოდ მყოფი ვერ გავსძლებ ჯდომასა ვერცა წოლასა.  
 მართ ნადირთაებრ გაჭრასა ვირჩევ, მათთანა რბოლასა!  
 ასე გასრულსა რად მნუკავს<sup>6</sup> მისთა მებრძოლთა ბრძოლასა?! —  
 სჯობს უყოლობა კაცისა მომღურავისა ყოლასა!
- 72 მოვახსენებ ერთკელ კვლაცა, აწ რაზომცა მეფე წყრების:  
 ნუთუ გაბრჭოს, გული ჩემი ვით იწვის და ვით ენთების! —  
 არ გამიშვებს, გავიპარვი, რა იმედი გარდმიწყდების!  
 მე თუ მოკვდებ, ჩემი კერძი სოფელიმცა გარდიფხვრების!“

1. კაკ<sup>1</sup> 724.3 გამგადა და. 2. აბლატ. ხმნის ფორმიტგან «დავაშავე»; აბ 650.4 და ჭიუ 814.4 და ვ აშ-ა-ვითა(?); ა. შანიძე. «ვ. ტ.» 1957, ლექს. გვ. 356: დავა შავითა. 3. ინგ 765.3 აღარა. 4. ბნ და დგ გამდიდებია. 5. ვარ მჩანს 6 ვარ. მნუკვეს. 7 კაკ<sup>1</sup> 730.4 გაქარდების.

- 73 მთიუბნეს, ვაზირმან ქმნა სმა-ჰამანი<sup>1</sup> მათნი ფერნი,  
უმასპინძლა, ძღვენნი უძღვნა შვეიერსა შვენიერნი.  
მისნი ყმამან<sup>2</sup> აღვეავსნა,<sup>3</sup> მოყმენი ჰყვეს<sup>4</sup> ანუ<sup>4</sup> ბერნი.  
გაიყარნეს, ყმა წავიდა, სახლად ჩადგეს მზისა წვერნი... .
- 74 შერმადინს ეტყვის, უბრძანებს პირ-მზე, ნათელთა მფენელი:  
„ეეც დღე არის იმედი ჩემის გულისა მლხენელი,  
შენგან თავისა შენისა საჩემოდ გამოჩენელი.“ —  
მქებრად ამბისა მათისა კამს მკითხველი<sup>5</sup> და მსმენელი! —
- 75 ეტყვის: „როსტან არ გამიშვა, არცა სიტყვა მომისმინა!  
მან არ იცის, რად<sup>6</sup> ვინა<sup>6</sup> და<sup>6</sup> სულთ-დგმულია<sup>6</sup> ვისგან ვინა!  
უმისომცა ნუ ცოცხალ-ვარ ნურცა გარე, ნურცა შინა! —  
რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა!
- 76 რადლა ვაგრძელებ სიტყვასა, ჟამია შემოკლებისა!  
აწ გაპარევა წამალი ამა<sup>7</sup> გულისა ლებისა.<sup>7</sup>  
რასაცა გვედრებ, ისმენდი, ვირე დრო გქონდეს ზღებისა,  
შენ გაამაგრე დაჭირეა ჩემისა ნასწავლებისა:<sup>8</sup>
- 77 აწ მეფეთა სამსახურად პირველ თავი გაამზადე,<sup>9</sup>  
სიკეთე და უკლებლობა შენი ერთობ გააცხადე,  
სახლი ჩემი შეინახე, სპათა ჩემთა ეთავადე.  
სამსახური აქამდისი,<sup>10</sup> კვლა გავლენა გააკვლადე.

1. აბ 657,1 ჰამა-სმანი. 2. კაკ<sup>1</sup> 731,3 ყმანი; სხვა დგ პნ მყოლნი(?). 3. კაკ<sup>1</sup> 731,3 აღაავსნა(?). 4. კაკ<sup>1</sup> 731,3 თუ უნდა. 5. კაკ<sup>1</sup> 734,4 მკითხავი. 6. ასე აბ 661,2 და ჭიჭ 827,2; კაკ<sup>1</sup> 735,2 რა მჭირს ანუ სულდგმულია; კაკ<sup>2</sup> 771,2 რათა ვინა და სულდგმული; უგ 775,2 რა მჭირს ანუ სულდგმული ვარ. 7. კაკ<sup>1</sup> 738,2 ამ გულის დაწყლოლებისა. 8. კაკ<sup>1</sup> 738,4 ნასწრაფებისა(?). 9. გნ და დგ დაამზადე(?). 10. ვარ. აქანამდის.

- 78 მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალი ნუმცა<sup>1</sup> მოგაკლდების.  
ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს, ორგულიმცა შენი კვდების!  
შემოვიქცე, შენი ჩემგან ვალი კარგად გარდიკდების. —  
პატრონისა სამსახური არა-ოდეს არ წარკვდების.“
- 79 ესე ესმა, ცრემლი ცხელი შერმადინსა თვალთა სდინდი.<sup>2</sup>  
მოაკუნა: „მარტოობით ჭირსა რადმცა შევეუშინდი!  
მაგრა რა ექმნა, — უშენოსა დამეცემის გულსა ბინდი. —  
წამიტანე სამსახურად, მოგეკმარო რადცა“<sup>3</sup> გინდი!
- 80 ვის ასმია მარტოსაგან ღარიბობა ეგ ზომ დიდი!  
ვის ასმია პატრონისა ჭირსა შიგან ყმისა რიდი!  
დაკარგულსა გიგონებდე, რა ვიქმნები აქა ფლიდი?!“  
ყმამან უთხრა: „ვერ წავიტან, რაზომსაცა ცრემლსა ჰღვრიდი:
- 81 შენგან ჩემი სიყვარული ვითამც არა დამეჯერა!  
მაგრა საქმე არ მოხდების, უამი ასრე დამემტერა:  
ვის მივანდო სახლი ჩემი, შენგან კიდე ვინმც მეფერა?  
გული დაღევ. დაიჯერე, ვერ წავიტან, ვერა, ვერა!
- 82 თუ მიჯნური ვარ, ერთი ვკამ ხელი მინდორთა მე<sup>4</sup> რებად!<sup>4</sup> —  
არ მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა<sup>5</sup> სისხლსა<sup>5</sup> ფერებად?!<sup>5</sup> —  
გაჭრა კელია მიჯნურთა, რად<sup>6</sup> სცალს<sup>6</sup> თავისა<sup>6</sup> ტერებად!<sup>6</sup> —  
ასრეა ესე სოფელი, შესჯერდი, —კმა<sup>7</sup> შეჯერებად! —
- 83 რა მოგშორდე, მახსენებდი, სიყვარული ჩემი გჭონდეს.  
არ ვეშინვი მტერთა ჩემთა, თავი მონად მომიმონდეს. —  
კამს მამაცი გულოვნობდეს ჭირსა შიგან, არ დალონდეს! —  
ძმულს, რა<sup>8</sup> კაცსა სააუგო საქმე არა არ შესწონდეს!

1. კაკ<sup>1</sup> 740.1 და უგ 780.1 ნურა. 2. სდინდი > სდინდის. 3. ასე უგ 781.4; აბ 666.4 და ჭიჭ 836.4 რაცა; კაკ<sup>1</sup> 741.4 რადაც. 4. კაკ<sup>1</sup> 744.1 მარებად(?). 5. კაკ<sup>1</sup> 744.2 სისხლისა ცრემლთა ფერებად(?). 6. კაკ<sup>1</sup> 744.3 არა სცალს თავის ბრალებად(?); სხვა გნ და დგ რად სცალს თავისა ბერებად(?). 7. გნ და დგ კვლა(?). 8. კაკ<sup>1</sup> 745.4 რომ.

- 84 მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ<sup>1</sup> ამოვჰკრეფ<sup>1</sup> კიტრად<sup>2</sup> ბერად,  
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად.  
ჩემსა მზესა დავეთხოვე,<sup>3</sup> გავუშვივარ,<sup>3</sup> — დავდგე მე რად!  
მას<sup>4</sup> თუ დავსთმობ, სახლსცა<sup>5</sup> ჩემსა ველარ დავთმობ მისად,<sup>6</sup> —  
[ვერად.
- 85 აწ ანდერძსა ჩემსა მოგცემ როსტანს წინა დაწერილსა.  
შენ შეგვედრებ, — დაგიჰჭიროს ვითა გმართებს ჩემსა ზრდილსა.  
მოვეკვდე, — თავსა ნუ მოიკლავ, სატანისგან ნუ იქმ ქმნილსა.  
ამას ზედა იტირებდი, დაიდებდი თვალთა მილსა.“
- 86 დაჯდა წერად ანდერძისა საბრალოსა საუბრისად:  
„ჰე მეფეო, გავიპარე<sup>7</sup> ძებნად ჩემგან საძებრისად.  
ვერ დავდგები შეუყრელად ჩემად<sup>8</sup> ცეცხლთა მომდებრისად.  
შემინდე და წამატანე მოწყალება ღმრთიეებრისად.
- 87 ვიცი ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა განზრახულსა,  
კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა!  
მე სიტყვასა ერთსა გკადრებ პლატონისგან სწავლად<sup>9</sup> თქმულსა:  
სიცრუვე და ორ-პირობა აენებს კორცსა, მერმე სულსა.
- 88 რათგან თავია სიცრუვე ყოვლისა უბადობისა,<sup>10</sup>  
მე რად<sup>11</sup> გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!<sup>12</sup>  
არა ვიქმ, — ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!  
მით ვისწავლებით, — მოგვეცეს შერთვა ზესთ<sup>13</sup> მწყობრთა<sup>13</sup>  
[მწყობისა.<sup>14</sup>

1. ვანტ არა მოვჰკრეფ(?); კაკ<sup>1</sup> 746.1 არა მოკრებს(?!). 2. ვანტ კიტრსა(?).  
3. G I ასრე მართებს მიგმარება. 4. ასე კაკ<sup>1</sup> 746.4 და ინგ 786.4; სხვა დგ გნ მაშ.  
5. გნ და დგ სახლსა. 6. აბ 671.4 ვის სად; ინგ 786.4 ვისსა; მისად=მოყვრის  
თვის. 7. კაკ<sup>1</sup> 748.2 გავიპარვი. 8. გნ და დგ ჩემთა(?). 9. გნ და დგ სწავლა—  
10 ასე ინგ 790.1; სხვა დგ და გნ უბედობისა. 11. ინგ 790.2 ვით. 12. ძმობისა<  
ძმობისად. 13. ასე აბ 675.4; ჭიჭ 845.4 და კაკ<sup>2</sup> 778.4; კაკ<sup>1</sup> 750.4 ზე წესთა. 14. უგ  
790.4 წყობისა(?).

- 89 წაგიკითხავს,<sup>1</sup> სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ,  
ვით იტყვიან, ვით აქებენ! ცან ცნობანი მიაფერენ:  
„სიყვარული აღგვამალღებს!“ — ვით ექვანნი ამას ეღერენ. —  
შენ არ ჯერ-ხარ, — უსწავლელნი კაცნი რადმცა შევაჯერენ!
- 90 ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად, —  
ვინ არს, ძალი<sup>2</sup> უხილავი,<sup>3</sup> შემწედ<sup>3</sup> ყოვლთა მიწიერთად,  
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ერთი<sup>4</sup>; ღმერთად.  
იგი გაჰკდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად. —
- 91 რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არ-რა<sup>5</sup> საქმე არ იქმნების. —  
მზისა შუქთა ვერ-მქვერტელი ია კმების, ვარდი ჭნების.  
თვალთა ტურფა საქვერტელი ყველა<sup>6</sup> რამე<sup>6</sup> ეხედნების,<sup>7</sup> —  
მე ვით გაქძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით მეთნების!
- 92 რაზომცა სწყრები, შემინდევ შეცვლა თქვენისა მცნებისა.  
ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე მაგისისა თნებისა.  
აწ წასელა იყო წამალი ჩემთა საკმძილთა გზნებისა.  
სადა ვინღ ვიყო, რა მგამა, ყოფალა<sup>8</sup> მქონდეს<sup>8</sup> ნებისა!
- 93 არას გარგებს<sup>9</sup> სიმძიმილი,<sup>10</sup> უსარგებლო ცრემლთა დენა.  
არ გადავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა.  
წესი არის მამაცთავან<sup>11</sup> მოჭირვება, ჭირთა თმენა.  
არვის ძალ-უც კორციელსა განგებისა გარდავლენა!
- 94 რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად,  
გარდამკდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად,  
თქვენვე განახნე<sup>12</sup> მხიარულნი, დიდებით და დაელა-მრავლად.  
მას რა ვარგო, — დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად.

1. აბ 676.1 წაგიკითხავ; 2. კაკ<sup>1</sup> 752.2 ძალთა მეცნიერი. 3. ასე უგ 792,2; სხვა დგ და გნ შემწე. 4. გნ და დგ ღმერთი. 5. გნ და დგ არა (<არ-რა>. 6. კაკ<sup>1</sup> 753.3 უცხოლ რამე; უგ 793.3 უცხოლ რადმე. 7. ზოგი გნ და დგ ეშ-ედ-ნების(?); ინგ 703.3 ეშეენების. 8. აბ 679.4 ყოფაცა მქონდეს; უიუ 849.4 ყოფამცა მქონდეს(?); უგ 794.4 ყოფამცა მქონდა. 9. ინგ 795.1 გვარგებს. 10. კაკ<sup>1</sup> 755.1 სამძიმარი. 11. ინგ 795.3 მამაცისა. 12. კაკ<sup>1</sup> 756.3 განახო; უგ 796.3 განახე; სხვა დგ და გნ განახენ.

- 95 მეფეო, ესე თათბირი, მომკალ, ვინ დამიწუნოსა!  
მეფეო, ნუ თუ წასელამან თქვენ ჩემმან დაგაკუმუნოსა?! —  
ვერ ვეცრუებები, ვერ ვუზამ საქმესა საზაბუნოსა,<sup>1</sup> —  
პირის-პირ მარცხვენს, — ორნივე მივალთ მას საუკუნოსა!
- 96 რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მღმეკელსა,<sup>2</sup>  
შემდრკალსა,<sup>3</sup> შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!  
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა!  
სჯობს სახელისა მოხვეკა ყოველსა მოსახვეკელსა!
- 97 ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი.  
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი. —  
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მკცოვანი. —  
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა<sup>4</sup> სიკვდილი სახელოვანი! —
- 98 მერმე,<sup>5</sup> — ვიშიშვი, მეფეო, თქვენად კადრებად ამისად:  
სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად!  
მოვა შემყრელად<sup>6</sup> ყოველთათვის<sup>7</sup> ერთგან დღისა და ღამისად! —  
თუ ვერა განახენ ცოცხალმან, სიცოცხლე<sup>8</sup> გქონდენ<sup>8</sup> ჟამისად! —
- 99 მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები.  
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები.  
შენ დაამდიდრე ყოველი ობოლი, არრას მქონები.  
მიღეწიან, მომიგონებენ, — დამლოცვენ მოვემგონები.<sup>9</sup>
- 100 ამას იქათ ჩემგან ჩემი ამბავიცა არ გეცნევის.  
ამად გვედრებ სულსა ჩემსა, — წიგნი გკადრებს, არ გეტნევის:  
არას არგებ,<sup>10</sup> — ეშმაკისა საქმეთაგან დაეძლევის. —  
შემინდე და შემივიდრე, — მკედარსა რალა გარდმეკდევის! —

1. ვარ. საძაბუნოსა. 2. კაკ<sup>1</sup> 759,1 და უგ 799,1 მხმეკელსა. 3. კაკ<sup>1</sup> 751,2  
შედრეკით; უგ 799,2 შედრეკილ—. 4. ვარ. ნაძრახსა. 5. ინგ 801,1 დია. 6. გნ და  
დგ შემყრელი(?). 7. ინგ 801,3 ყოველთა(?). 8. ინგ 801,4 ყოფამცა მქონდა; სხვა  
გნ და დგ სიცოცხლე მქონდეს. 9. მო-ვე-მგონები (გნ და დგ მოვეგონები). 10. აბ  
684,3 და უიჭ 862,3 არგებს(?); კაკ<sup>1</sup> 765,3 გარგებს(?); უგ 805,3 მარგებს(?).

- 101 გვედრებ, მეფეო, შერმადინს, მონასა ჩემსა რჩეულსა.  
ნაკად აქვს ჭირი სამისად ამ წელიწადსა წლეულსა.  
ნუგეშინის-ეც წყალობით ჩემგან წყალობა-ჩვეულსა,  
ნუ დაადინებ თვალთაგან ცრემლსა სისხლითა ფრქვეულსა. —
- 102 გასრულდა<sup>1</sup> ჩემი ანდერძი, ჩემგან ნაწერი კელითა.  
აჰა, გამზრდელი, მოგშორდი, წაველ გულითა ხელითა!  
ნუ სჭმუნავთ ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ მოსილნი ბნელითა!  
სუფევიტამცა<sup>2</sup> ხართ თავითა მტერთაგან საკრძაღველითა!“
- 103 მისცა ანდერძი შერმადინს, რა გაათავა წერითა,  
უთხრა: „ჰკადრეო მეფესა საქმითა მეცნიერითა.  
შენ დაგამეტებს ვერავენ მსახურებითა<sup>3</sup> ვერითა.“ —  
მოესვია და ატირდა ცრემლითა სისხლითა ფერიითა. . .
- 104 ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო კმელთა და ცათაო,<sup>4</sup>  
ზოგჯერ მომცემო პატიეთა, ზოგჯერ კეთილთა. მზათაო,  
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,  
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო!
- 105 ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი ჰვლობ ქვენად-ზესა:<sup>5</sup>  
შენ დაჰბადე მიჯნურობა. შენ აწესებ მისსა წესსა,  
მე სოფელმან მომაშორეა უკეთესსა ჩემსა მზესა, —  
ნუ აღმოჰფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესა!
- 106 ღმერთო, ღმერთო, მოწყალო, არვინ მივის შენგან კიდე,  
შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ველიდე:  
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარიდე!  
თულა დავრჩე, გამსახურებდე, შენდა მსხერებლსა შევსწირვიდე.“

1. კაკ<sup>1</sup> 767.1 დასრულდა. 2. კაკ<sup>1</sup> 767.4 სუფევიტამც. 3. კაკ<sup>1</sup> 768.3 სამსახურითა. 4. კაკ<sup>1</sup> 769.1 ზღვათაო. 5. კაკ<sup>1</sup> 770.1 ქვეყნად(?).

- 107 რა ილოცა,<sup>1</sup> ცხენსა შეჯღა, მალვით კარნი გაიარნა,  
შერმანდინცა დააბრუნვა, — საბრალომან<sup>2</sup> ცრემლნი<sup>3</sup> ღვარნა:<sup>2</sup>  
მონა ტირს და მკედრსა იცემს, სისხლმან<sup>3</sup> მისმან<sup>3</sup> კლდენი<sup>3</sup> ღარნა!<sup>3</sup>-  
პატრონისა ვერა მჭვრეტმან ყმაბან რადმცა<sup>4</sup> გაიხარნა! —
- 108 აწ ამბავი სხვა დავიწყო, — ყმას<sup>5</sup> არ<sup>5</sup> წავჰყვე<sup>5</sup> წარმავალსა:  
არ შეექმნა დარბაზობა მას დღეს როსტანს გულ-გამწყრალსა.  
რა გათენდა ქუში ადგა, ჰგავს თუ აღენს პირით ალსა.  
კმობა ბრძანა ვაზირისა, — მიიყვანდეს შიშით მკრთალსა.
- 109 რა ვაზირი მოწიწებით დარბაზს ნახა შემოსრული,  
როსტან უთხრა: „არა მაკსოვს გუშინდელი შენგან თქმული.  
მაწყინე და გამარისხე, ვერ დავიღე დიდ-ხანს სული,  
ახომ რომე გავათორივე შენ, ვაზირი გულის-გული.
- 110 თულა<sup>6</sup> მახსოვს<sup>7</sup> — რად<sup>8</sup> უნდოდ<sup>9</sup> და<sup>9</sup> ისრე აედ რად გაგკადე?  
მართლად უთქვამს მეცნიერსა,<sup>10</sup> — წყენააო ჳირთა მბადე.<sup>11</sup>  
ესე-გვარსა ნუ-ოდეს იქმ, საქმე ხოლე განიცადე. —  
აწ მითხარ თუ რას იტყოდი, — თქვი და სიტყვა ვააკვლადე.“
- 111 კელა მოახსენა ვაზირმან სიტყვა ნაგუშინდელევი.  
რა გაიგონა, შესთვალა პასუხი არ ნაგრძელევი:  
„შენ თუ უშმაგო მგონიხარ, ვარმცა ურია მე ლევი!  
კელა მაგის<sup>12</sup> მეტად ნუ მასმენ, თვარა მე სრულად გელევი!“
- 112 რა გამოვიდა, ვაზირმან<sup>13</sup> ძებნა, ვერ პოვნა<sup>14</sup> მინანი.  
მართ გაპარვასა უთხრობდეს მონანი ცრემლთა მდინანი.  
მან თქვა: „მე დარბაზს ვერ შევალ, მაკსოვან დღენი წინანი.  
ვინცალა ჰკადრებს, მან ჰკადროს, — რაცა ვთქვი, მასცა ვინანი!“

1. კაკ<sup>1</sup> 772.1 იცოდა(?). 2. კაკ<sup>1</sup> 772.2 თუცა ვაზნი ადიოდა. 3. კაკ<sup>1</sup> 772.3 საბრალომან ცრემლნი ღვარნა. 4. აბ 696.4 რამცა. 5. 813.1 წავჰყვე(?); სხვა გნ და დგ ყმასა წავჰყვე(?). 6. კაკ<sup>1</sup> 775.1 და კაკ<sup>2</sup> 817.1 თუ რად(?). 7. ასე კაკ<sup>1</sup> 775.1 და კაკ<sup>2</sup> 817.1; სხვა დგ და გნ გაესოვს. 8. კაკ<sup>1</sup> 775.1; კაკ<sup>2</sup> 817.1 და უგ 815.1 რად; სხვა დგ და გნ რა. 9. გნ და დგ უნდოდა. 10. ასე C; K მოაბადთა; სხვა გნ და დგ მეცნიერთა. 11. ასე აბ 699.2; სხვა გნ ბადე (შეად. ვახტ). 12. კაკ<sup>1</sup> 776.4 და უგ 816.4 ამის. 13. კაკ<sup>1</sup> 777.1 ვაზირი. 14. კაკ<sup>1</sup> 777.1 (ჰ)პოვია.

- 113 რა ვაზირი არ შევიდა, კვლა მეფემან კაცი გზავნის.  
კაცმან ცნის და გარეთ<sup>1</sup> დადგის, წასვლა ვერვინ გაამჟღავნის.  
როსტანს ეჭვი შეუვიდა, ჭმუნვა ამით გაათავნის, —  
თქვა: „უცილოდ გაიპარა ვინ მარტომან ასთა ავნის!“
- 114 თავ-დადრეკით იგონებდა, გულსა ჰქონდა ჭმუნვა დიდი,  
უში ქმნა და აიხედნა, უბრძანებდა მონას: „მიდი,  
მოვიდეს და აწ მიაშბოს, შემოვიდეს იგი ფლიდი!“  
რა ვაზირი შემოვიდა, ფერი ჰკრთა და ქონდა რიდი. —
- 115 კვლა შევა დარბაზს ვაზირი დაღრეჯით, არ მხიარულად.  
მეფემან ჰკითხა: „წასრულა მზე დაუღვრომლად, მთვარულად?“  
მან მოაკუნა ყველაი, ვით წასრულიყო ფარულად:  
„მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად!“
- 116 რა მეფემან მოისმინა, დაიზახნა მეტის-მეტნი.  
მოსთქვამს, იტყვის: „ვა, გაზრდილო, ველარ გნახვენ თვალნი  
რეტნი!“ —  
პირსა ხოკით,<sup>2</sup> წვერსა გლეჯით გააკვირნა მისნი მჭკრეტნი. —  
„სად წაჰკე<sup>3</sup> და სად დაჰკარგენ<sup>4</sup> სინათლისა ეგე სვეტნი?!
- 117 თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იკსენები,  
მავრა მე რა ვქმნა, გაზრდილო, აწ სახლად მმართებს სენები!  
გამალარიბე, დამაგდე, — გულსა, გლახ, ვისთვის ენები? —  
შენად შეყრამდის პატიეთა ჩემთა ვერ იტყვის ენები!
- 118 ოდეს გნახავ მხიარულსა ნადირობით შემოსრულსა?! —  
ველარ გიჭკრეტ ნაბურთალსა, ტანსა მჭევრსა, ჯავარ-სრულსა,  
ველარ ვისმენ კმასა შენსა, სისმენელად მე<sup>5</sup> მას<sup>5</sup> რულსა!<sup>4</sup>  
აწ უშენოდ რა,<sup>6</sup> გლახ,<sup>8</sup> ვუყო საჯდომსა და სრასა სრულსა!

1. ასე უგ 818,2; სხვა დგ და გნ გარე. 2. კაკ<sup>1</sup> 781,3 ხოკით. 3. წაჰკე < წაჰკედ; კაკ<sup>1</sup> 781,4 წახველ. 4. კაკ<sup>1</sup> 781,4 დაკარგე. 5. ასე I; C, G და ვახტ მე მა- ხულსა(?). 6. კაკ<sup>1</sup> 783,4 და უგ 823,4 რაღა.

- 119 ეცი არ მოგკლავს სიმშლი რაზომცა დია ირები:  
„შენ შენი მშვილდი დაგარჩენს, შენთა ისართა პირები.  
ნუთუ კვლა ღმერთმან წყალობით გაგვიადვილოს<sup>1</sup> ჭირები.  
მაგრა თუ მოკვდე,<sup>2</sup> გაზრდილო, ვისგანლა დაეტირები?! —
- 120 რა მეფემან დიდებულნი ნახნა,<sup>3</sup> სულთ-თქემით შემოსტირნა,  
უთხრა: „ჰხედავთ, მზემან ჩემმან შუქნი სრულად დაგვიძირნა?!  
რა ვაწყინეთ, რა შევესცოდეთ, რად დაგვეყარნა,<sup>4</sup> რად გავგვიწირნა?!  
სპანი მისგან დამჭირულნი<sup>5</sup> ვინმცა-ლა<sup>6</sup> ვით დაგვიმჭირნა!“<sup>7</sup>
- 121 ყოვლნი ტიროდეს, მოსთქმიდეს, მერმე დაწყნარდეს<sup>8</sup> გვიანად.  
მეფემან ბრძანა: „იკითხეთ, — მარტო ანუ ყმიანად?“  
მოვიდა მონა შერმადინ მოშიშრად, სირცხვილიანად,  
ანდერძი ჰკადრა, ატირდა,<sup>9</sup> სიცოცხლე უჩნდა ზიანად.
- 122 მოაკსენა: საწოლს ეპოვე ესე მისგან დანაწერი.  
დგეს მონანი ნატირებნი, დაეგლიჯა თმა და წვერი.  
იგი მარტო გაპარულა, ყმა არ ახლავს, — არცა ბერი. —  
მე თუ მომკლათ,<sup>10</sup> მემართლებით, — სიცოცხლე მჭირს შეუფერი!“
- 123 რა ანდერძი წაიკითხეს, კვლა იტირეს დიდი ხანი.  
მერმე ბრძანა: „მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემნი სპანი.  
ვამლოცველნეთ<sup>11</sup> დავრდომილნი, ობოლნი და ქვრივნი, სხვანი.  
შევეწივნეთ<sup>12</sup>, მშვიდობისა<sup>14</sup> ნუთუ მისცნეს<sup>13</sup> ღმერთმან გზანი!“<sup>14</sup>.

1. ასე ინგ 824,3; ზოგი გნ და დგ გაგვიადვილოს(?). 2. აბ 708,4 მოკვდე(?).  
3. კაკ<sup>1</sup> 781,1 ნახა. 4. ასე უგ 826,3 სხვა დგ და პნ გაგვეყარნა(?). 5. გნ და დგ და-  
ჭირულნი. 6. C და I ვინცაღა. 7. გნ და დგ დაგვიჭირნა. 8. კაკ<sup>1</sup> 787,1 დადუმ-  
დეს. 9. G მეფესა (შეად. კაკ<sup>1</sup> 787,4). 10. კაკ<sup>1</sup> 788,4 და უგ 828,4 მომკლავთ.  
11. კაკ<sup>1</sup> 789,3 ვამლოცვინოთ(?). 12. ინგ 229,4 შევეხვეწნეთ. 13. კაკ<sup>1</sup> 789,4 და  
უგ 829,4 მისცეს. 14. ინგ 829,4 ნუ თუ ღმერთმან მშვიდობისა.

ქ ა რ ი მ ე ხ უ თ ი ე

ავთანდილისა და ტარიელის მეორედ შეყრა

ავთანდილის მისვლა ქვაბს და ტარიელის ვერ ნახვა. — ავთანდილის ძებნა ტარიელისა და პოვნა მისი. — ტარიელის მიერ ლომ-ვეფხის დაკოცვის ამბავი. — ქვაბსავე მისვლა ძმად-ნაფიცთა და ასმათის ნახვა. — ავთანდილისაგან გადაწყვეტა ნესტანდარეჯანის ძებნად წასვლისა და მისი და ტარიელის მეორედ გაყრა.

- 1 აწლა დავიწყებ ამბავსა, მის ყმისა წარმავლობასა: მივა და მიტირს<sup>1</sup> გულ-მდულრად, ვერ ვიტყვი<sup>2</sup> ცრემლთა მცრობასა! წამ-წამ მობრუნდის,<sup>3</sup> იაჯის<sup>4</sup> მისთვის მზისავე მზობასა, უჭერეტდის, თვალნი ვერ მოჰკნის, — თუ მოჰკნის, მიჰკლდის [ცნობასა.
- 2 ეტყვის:<sup>5</sup> „ჰე მზეო, ვინ ხატად გოქვეს<sup>6</sup> მზიარისა<sup>7</sup> სამისად,<sup>7</sup> ერთ-არსებისა ერთისა მის, უყამოსა ყამისად, ვის გმორჩილებენ ციერნი ერთის იოტის წამისად, ბედსა ნუ მიტყევ<sup>8</sup> მიაჯე შეყრადვე<sup>9</sup> ჩემად და მისად!“ —
- 3 ამას მოსთქმიდის, იწვოდის, ვითა სანთელი დნებოდის. დაყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის. რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა ეამებოდის.<sup>10</sup> მას ამსგავსებდის, ილზენდის, უჭერეტდის, ეუბნებოდის. —

1. კაკ<sup>1</sup> 791,2 მივა, მისტირის. 2. ზოგი ან და დგ იტყვის. 3. C და I დაბრუნდის (შეად. G და კაკ<sup>1</sup> 791,3). 4. F იაჯის (შეად. კაკ<sup>1</sup> 791,3). 5. ან და დგ იტყვის. 6. ასე ინგ. 836,1; სხვა ან და დგ გოქვის (?). 7. ან და დგ მზიანისა და მისად(?). 8. კაკ<sup>1</sup> 795,4 და უგ 836,4 მიცვლი. 9. ან და დგ შეყრამდის(?). 10. ან და დგ იამებოდის.

- 4 მთვარესა ეტყვის: „იფიცე სახელი ღრმთისა შენისა!  
შენ ხარ მიმცემი მიჯნურთა მიჯნურობისა სენისა,  
შენ გაქვს წამალი მისისა მოთმინებისა, თმენისა,  
მიაჯე შეყრად პირისა, შენ-გამო შენებრ მშვენისა!“ —
- 5 აწ ვერ ვიტყვი მაშინდელსა მე მის ყმისა ნაუბარსა, —  
რას<sup>1</sup> უბნობდის,<sup>1</sup> — რას მოსთქმიდის, რას ტურფასა რაზომ  
[გვარსა! —  
ზოგვან თოვლი<sup>2</sup> გაეწითლის ვარდსა ბრჭლითა ნახოკარსა. —  
ქვაბნი ნახნა, გაეხარნეს, ზე-გავიდა ქვაბთა კარსა.
- 6 რა ასმათმან დაინახა, მოეგება, ცრემლი სწეთების.  
ვით ეამა, — სიხარულსა მართ ველარას ვერ მიზხედების!  
ყმა გარდაკდა, მოეხვია, აკოცებს და ეუბნების. —  
კაცი კაცსა მოელოდეს, — მოსვლა ღია<sup>3</sup> ეამების! —
- 7 ყმა ქალსა ეტყვის: „პატრონი ნეტარ სად არის და ვითა?“  
ქალი ატირდა ცრემლითა ზღვათაცა შესართავითა!  
ეტყვის: „რა წახველ, გაიჭრა, ქვაბს ყოფა მისჭირდა ვითა.  
აწ მისი არრა არ ვიცი, არ ნახვით, არ<sup>4</sup> ამბავითა.“
- 8 ყმა დაქმუნდა, ვითამც რამე ჰკრეს ლახვარი გულსა შუა.  
ქალსა ეტყვის: „აჰა, დაო, ეგეთიმცა კაცი ნუ ა!<sup>5</sup>  
იგი ფიცი ვით გატეხა?! არ ვეცრუვე, რად მეცრუა?!  
ვერ იქმოდა, რად მიქაღდა? თუ მიქადა,<sup>6</sup> რად მიტყუა?!“
- 9 კვლა ქალი ეტყვის: „მართალ ხარ მაგისსა დამძიმებასა.  
მაგრა რა გავბრჭო<sup>7</sup> მართალი, ნუ მექვ რასაცა თნებასა:  
არ გული უნდა ფიცისა,<sup>8</sup> პირისა<sup>8</sup> გასრულებასა? —  
იგი უგულო მოელის მართ დღეთა შემოკლებასა!

1. ასე ინგ 842,2; ზოგი დგ და გნ მიუბნობდის. 2. ასე ინგ 842,3; ზოგი დგ  
გნ თვალნი (?). 3. ასე C და I; G დიდად; აბ 726,4 უცხო(?); ჭიუ 902,4 მისი.  
4. კაკ<sup>1</sup> 803,4 არც. 5. კაკ<sup>1</sup> 804,2 აგეთიმცა. 6. ასე კაკ<sup>1</sup> 804,4 და უგ 845,4; ზოგი  
დგ და გნ მიქაღდა(?). 7. ასე ინგ. 847,2; ზოგი დგ და გნ გაბრჭო. 8. C ფიცის  
და (შეად. დგ); I კაცისა.

- 10 გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან.  
რა გული წავა, იგიცა<sup>1</sup> წავლენ<sup>1</sup> და მისკენ მიდიან.  
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდი-ან.<sup>2</sup> —  
შენ არ გინახავს, არ იცი მას რომე ცეცხლნი სწვიდიან!
- 11 შენ უმართლე ხარ, ემღურვი, შენ გაეყარე ძმობილსა.  
მაგრა ვით ითქმის, ვით გაკდა, ვითა<sup>3</sup> გაიმბო<sup>3</sup> ცნობილსა! —  
ენა დაშვრების, გაცვლების, გულსა შეელმის ლმობილსა! —  
ამას მით ვაზრობ, მინახავს მე უბედურსა შობილსა.
- 12 ჯერთ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამბად ჰსმენია,  
თვარ<sup>4</sup> არ<sup>4</sup> თუ კაცთა,<sup>4</sup> — სასჯელი ქვათაცა შესაძრწენია!<sup>5</sup>  
დიჯლადცა კმარის მას რომე თვალთაგან ცრემლი სდენია! —  
თვით რაცა ჰბრძანოთ, მართალ ხართ, —სხვა სხვისა ომსა ბრძენია.
- 13 მას წარმავალსა ვჰკითხვიდი<sup>6</sup> დამწვარსა, ცეცხლ-მოდებულსა:  
„მოვიდეს, რა ქმნას ავთანდილ? — მისსა დამვედრე<sup>7</sup> დებულსა.“<sup>7</sup>  
მიბრძანა: „მოლამნახვიდეს მე მისთვის გაცულებულსა.  
ამათ<sup>8</sup> არ<sup>8</sup> დავჰყრი<sup>8</sup> არეთა, არ გავსტეხ მის ქადებულსა.“
- 14 ჩემთვის გარდაკდა მას აქათ გაყრა მზისა და ქედისა.  
ოდენ მოდენა ცრემლისა მჭირს, ველთა მოსალბედისა.  
მსჯის გამრავლება ხელ-ქმნილსა სულთ-თქემისა ზედა-ზედისა.  
დავიწყებვიარ სიკვდილსა, — ნახეთ<sup>9</sup> ნაქმარი ბედისა!

1. ასე C; I იგიცა მივლენ; G ცნობაცა მივლენ(?). 2. —ან=არს. 3. კაკ<sup>1</sup> 807,2 ვით გეამბობის; სხვა დგ და ბნ ვითა გაიმბობ. 4. კაკ<sup>1</sup> 808,2 თვარა არ კაცთა; უგ 850,2 არა თუ კაცთა; აბ 732,2 და ჰიჰუ 909,2 თუ არ კაცთაცა. 5. ასე უგ 850,2; ზოგი დგ და ბნ შენაძრწენია(?). 6. აბ 733,1 ვჰკითხვედი. 7. I მისგანვე დავედრებულსა (შეად. კაკ<sup>1</sup> 809,2); F უამბობ დავედრებულსა; G მისსა დავედრებულსა. 8. კაკ<sup>1</sup> 809,4 ამა არეთა არ დავყრი. 9. ასე ინგ 853,4; ზოგი ბნ და დგ (ჰ)ნახე.

- 15 ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:  
„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.  
აწ ზაფრანაა ვის წინას ვერ ვარდი ჰგვანდის, ვერ ია.  
თულა მოჰნახავ, მონახე. — ქმენ რაცა შენი ფერია.“
- 16 ყმამან უთხრა: „უმართლე ხარ არ მამართლო მდურვად მისად.  
მაგრა გაბრჭე, რა მიქმნია სამსახური ტყვესა ტყვისად:  
გამოჭრილვარ სახლით ჩემით ვით ირემი ძებნად წყლისად.  
მას ვეძებ და მას ვიგონებ, ვიარები, ველთა ველი<sup>1</sup> სად.<sup>1</sup>
- 17 სად<sup>2</sup> სადაფნი მარგალიტსა ლალის ფერნი<sup>3</sup> სცვენ და ჰბურვენ, —  
მათ<sup>4</sup> მოვკმორდი, ვერ ვიახლენ,<sup>5</sup> ვერ ვისურვენ, ვერ ვასურვენ.  
გამოაპრვით წამოსლვითა<sup>6</sup> ღმრთისა<sup>7</sup> სწორნი<sup>7</sup> მოვიმდურვენ.  
ნაცვლად მათთა წყალობათა გულნი მათნი შევაურვენ..
- 18 ესე ყველაი ასე მჭირს, დაო, ბედითა მისითა. —  
არ ვუტყუვე და მოსრულვარ მგზავრი ღამით და დღისითა.  
აწ იგი სადმე წარსულა, ეიწვი ცეცხლითა ვისითა.  
ცუდ-მაშვრალი და მტირალი ქვე-ეზი პირითა მქისითა. —
- 19 დაო, მეტსა საუბარსა აღარ მომცემს ჯამი და დრო.  
არ ვინანი გარდასრულსა, — ბრძენთა სიტყვა გავიკადრო.<sup>8</sup>  
წავალ, ესძებნი, ანუ ვჰპოვებ, ან სიკვდილი მოვიადრო.  
თვარა<sup>9</sup> ბედი აზომ თურე<sup>10</sup> მიკვეთს, ღმერთსა რალა ვჰკადრო!

1. გნ და დგ ვლისად(?). 2. ასე ინგ 856.1; სხვა დგ და გნ ბროლ—. 3. გნ და დგ ფერსა(?); ინგ 856.1 ფერად. 4. გნ და დგ მას. 5. აბ 738.2 ვიახლენ; კაკ<sup>1</sup> 813.2 ვიახლენ; უგ 856.2 ვიახლენ. 6. G წამოსრულვარ. 7. ასე C (შეად. აბ 738.3); I<sup>1</sup> ცათა სწორი (შეად. კაკ<sup>1</sup> 814.3); G დიდებულნი(?); I ჩემნი მზრდელნი. 8. კაკ<sup>1</sup> 861.2 და აბ 741.2 გავაადრო(?); უგ 852.2 გავაადრო; ინგ 859.2 დავაადრო. კიჟ 918.2 გავაყადრო(?). 9. ვარ. თვარე. 10. ვარ. თურმე.

- 20 ამის მეტი არღარა თქვა, ატირდა და წამოვიდა.  
ქვაბი ჩავლო, წყალსა<sup>1</sup> გაჰკდა,<sup>1</sup> შამბი გავლო, ველს გავიდა. —  
ქარი, ველთა მონაქროლი, ლალის ფერსა ვარდსა ჰზრევიდა. —  
„რად მიმეცო ამა ჭირსა?!“ — ბედსა ამას უზრახვიდა.
- 21 „მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწყლულა.  
იგი ფიცი, ჩემგან სრული, მან აღარა გამისრულა!  
მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ლხინი გარდასრულა!  
სხვა მოყვარე თვალსა<sup>2</sup> ჩემსა<sup>2</sup> გაკიცხულა, გაბასრულა!“
- 22 მივიდოდა, მიუბნობდა ყმა მტირალი, ფერ-შეცვლილი.  
ქედსა რასმე გადაადგა, ველი აჩნდა მზიან-ჩრდილი.  
ნახა, — შავი შამბთა პირსა დგას<sup>3</sup> სადავე-უყუყურილი!  
თქვა: „უცილოდ იქიაო,<sup>4</sup> — არად უნდა ამას ცილი!“
- 23 რა ტარიელ დაინახა, განაღამცა დაედრიჯა:  
ახლოს-მყოფი<sup>5</sup> სიკვდილისა<sup>5</sup> ჯდა და პირი დაებღნიჯა!  
საყულონი გარდებნიენს, თავი სრულად გაეგლიჯა.  
მას არღარა შეესმოდა, სოფლის გაღმა გაებიჯა.
- 24 ერთ-კერძ<sup>6</sup> უც ლომი მოკლული და კრმალი სისხლ-მოცხებული,  
კელა სხვაგნით<sup>7</sup> ვეფხი უსულო,<sup>8</sup> — მკედარი<sup>9</sup> ქვე დანარცხებული,  
მას წყაროსებრ თვალთავან ცრემლი სდის გაფიცხებული.  
მუნ ეგრე გულსა უნთებდა ცეცხლი მცხინვარე ცხებული.
- 25 თვალთა ახემაცდა ზარ-ედვა, სრულად მიჰკდოდა ცნობასა,  
მიახლებოდა სიკვდილსა, მოჰშორებოდა თმობასა.<sup>10</sup>  
ყმა სახელ-დებით უყივის, ჰლამის სიტყვითა<sup>11</sup> კრთობასა.  
ვერსა<sup>12</sup> ასმინა, გარდიჭრა, — ძმა გამოაჩენს ძმობასა.

1. კაკ<sup>1</sup> 818,2 წყალს გავიდა. 2. კაკ<sup>1</sup> 820,4 თვალთა ჩემთა. 3. ინგ 866,3 დგა.  
4. გნ და დგ იგიაო. 5. ასე ინგ 868,2; ზოგი დგ და გნ ახლოს-მყოფსა სიკვდილი-  
სად. 6. ასე G; სხვა გნ და დგ ერთკენ. 7. ასე C; G ერთ-კერძ (შეად. კაკ<sup>1</sup> 827,2);  
I ერთკენ; ზოგი გნ და დგ სხვაგან. 8. G მოკლული. 9. I მიწასა დანარცხებული.  
10. ზოგი გნ და დგ ნობასა(?). 11. კაკ<sup>1</sup> 828,3 სიტყვათა. 12. ინგ 870,4 ველარ.

- 26 კელითა ცრემლსა უწურავს, თვალთა ავლებდა საკელსა.  
— ახლოს უზის და უზახის<sup>1</sup> მართ სახელ-დებით, — სახელსა.  
ეტყვის: „ვერ მიცნობ ავთანდილს, შენტვის გაპრილსა და ხელსა?“ —  
მას, — არა<sup>2</sup> ღია, — შეესმის რეტსა, თვალ-დაუფახელსა. —
- 27 უთხრა: „ძმაო, არ გიტყუე, გიყავ რაცა შემოგფიცე:  
გნახე სულთა გაუყრელმან,<sup>3</sup> ფიცი ასრე დავამტყიცე.  
აწ დამეხსენ, სიკვდილამდის ვიტვირო და თავსა ვიცე.  
მაგრა გვედრებ დამარხვასა, მკეტა<sup>4</sup> საჭმლად<sup>4</sup> არ<sup>5</sup> მივიცე.“<sup>5</sup>
- 28 ყმაძან უთხრა: „რაშიგან ხარ, შენ საქმესა რად იქმ ავსა!  
ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის საკმილი არა წევასა!  
ვის უქმნია შენი მსჯავსი სხვასა,<sup>6</sup> კაცთა ნათესავსა?  
რად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა!
- 29 თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი<sup>7</sup> ბრძენნი<sup>7</sup> აპირებენ<sup>8</sup> ამა პირსა:  
კამს მამაცი მამაცური,<sup>9</sup> სჯობს რაზომცა ნელად ტირსა!  
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვეითკირსა! —  
თავისისა ცნობისაგან ჩაეარდების კაცი ჭირსა!
- 30 ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ საკმილი<sup>10</sup> სდებიან?  
ვის არ უნახვან<sup>11</sup> პატიუნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?  
მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგკვდებიან? —  
არ იცი, ვარდნი<sup>12</sup> უეკლოდ არავის<sup>13</sup> მოუტკრებიან?<sup>14</sup> —

1. ასე კაკ<sup>1</sup> 829,2 და უგ 871,2; სხვა დგ და გნ უყივის. 2. არა-ღია=ცო-  
ტა(დ). 3. კაკ<sup>1</sup> 831,2 გაუყრელად. 4. ასე კაკ<sup>1</sup> 831,4 და უგ 873,4; სხვა დგ და გნ  
მკეტო საჭმელად. 5. კაკ<sup>1</sup> 831,4 არა მიმცე. 6. კაკ<sup>1</sup> 832,3 და უგ 874,3 სხვათა-  
7. კაკ<sup>1</sup> 833,1 ყოვლი ბრძენი(?). 8. კაკ<sup>1</sup> 833,2 მამაცურად. 10. კაკ<sup>1</sup> 835,1 საგმი-  
ლი. 11. კაკ<sup>1</sup> 835,2 უნახავს. 12. ასე ინგ 877,4; სხვა დგ და გნ ვარდი. 13. ინგ  
877,4 საკრეულად. 14. ინგ 877,4 არ მოხდებიან.

- 31 ვარდას ჰკითხეს, — ეგ ზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად,<sup>1</sup> პირად? მიკვირს, რად ხარ ეკლიანი, პოვნა შენი რად არს ჭირად? — მან თქვა, — ტკბილსა მწარით<sup>2</sup> ჰპოვებ,<sup>2</sup> სჯობს იქმნების რაცა [ძვირად, ოდეს ტურფა გაიფედეს, არლარად<sup>3</sup> ღირს, — არცა ჩირად! —
- 32 რათგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უსასკო, მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო? — უბოროტო ვის ასმია რაც<sup>4</sup> ა<sup>4</sup> კარგი,<sup>4</sup> — უეშმაკო.<sup>5</sup> რად ეძღურვი საწუთროსა, რა უქმნია უარაკო?
- 33 ისმინე ჩემი თხრობილი: შეჯე, წავიდეთ ნებასა. ნუ მიჰყოლიხარ თავისა თათბირსა, გაგონებასა. რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ. ნუ სდეგ წადილთა ნებასა. ასრე არ სჯობდეს არ გეტყვი, ნუ მეჰვ რასაცა თნებასა.“
- 34 მან უთხრა: „ძმაო, რა ვითხრა, ძრვად-ცა არ ძალ-მიც<sup>6</sup> ენისა. ძალი არა მაქვს ხელ-ქმნილსა შენთა სიტყვათა სმენისა, — რად<sup>8</sup> აღვილად გიჩნს<sup>9</sup> მოთმენა ჩემთა სასჯელთა თმენისა?! — აწ მიწურვილვარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა.
- 35 ამას მოკვდავი ვილოცავ, არ ოდენ<sup>20</sup> ვითხოვ ბარ<sup>11</sup> ენით: აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით, მუნ ერთმანერთი კვლა ვნახნეთ, კვლა რამცა<sup>12</sup> გავიხარენით. — მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაცარენით! —
- 36 საყვარელმან საყვარელი ვით<sup>13</sup> არ ნახოს, ვით გასწიროს! მისკენ მივალ მხიარული, მერმე მანცა<sup>14</sup> ჩემ კერძ იროს. მივეგებვი, მომეგებოს, ამიტირდეს,<sup>15</sup> ამატიროს. ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა<sup>16</sup> ვინ გივაზიროს! —

1. ინგ. 878.1 თვალად. 2. კაკ<sup>2</sup> 880.3 და უგ 878.3 მწარე ჰპოვებს. 3. უგ 878.4 არლარა; სხვა დგ და ენ აღარა. 4. კაკ<sup>1</sup> 837.3 რაცა არის(?); უგ 879.3 რაცა საქმე(?); აბ 760.3 რაცა კარგი(?). 5. გნ და დგ საეშმაკო(?). 6. კაკ<sup>1</sup> 839.1 ძალ-მაქვს. 7. ინგ 881.2 ღონე. 8. კაკ<sup>1</sup> 839.3 და უგ 881.3 რა. 9. ვარ. გჩანს. 10. ასე ინგ 882.1; სხვა გნ და დგ ოდეს. 11. ენ და დგ არ. 12. გნ და დგ რამე(?). 13. კაკ<sup>1</sup> 841.1 თუ. 14. ასე ინგ 883.2; ზოგი დგ და გნ იგი. 15. კაკ<sup>1</sup> 841.3 და უგ 883.3 ატირდეს და 16. კაკ<sup>1</sup> 841.4 და უგ 883.4 გინდ რა.

- 37 მართ გარდაწყვედით იცოდი, გეტყვი მართალსა პირასა: სიკვდილი მახლავს, დამეკსენ, ხანსალა დავჰყოფ მცირასა. — რა<sup>1</sup> ცოცხალ ვიყო, რას მაქნევ? რა დავრჩე, კელსა მკდი რასა? — დამშლიან ჩემნი კავშირნი, შერთვივარ<sup>2</sup> სულთა სირასა...“
- 38 კვლა ეუბნების აეთანდილ სიტყვითა მრავალ-ფერთა. ეტყვის: „რა მოჰკვდე,<sup>3</sup> გერგების<sup>3</sup> სიკვდილით<sup>3</sup> რა, — ოკერთა?! ნუ იქმ, არა<sup>4</sup> სჯობს, საქმითა<sup>4</sup> ნუ ხარ თავისა მტერთა!“ ვერ წაიყვანა, ვერა ქმნა, — სიტყვითა ვერა-ვერითა.
- 39 მერმე უთხრა: „აჰა, რათგან არ მომისმენ არას, არა, აღარ<sup>5</sup> გაწყენ,<sup>5</sup> — ენა ჩემი აქამდისცა ცულად მცდარა. თუ სიკვდილი გიჯობს, მოჰკვე, ვარდი დაქნეს, — დაცამქნარა! — ერთსა რასმე გეაჯები, მიყავ!“ — ცრემლი ამღულარა.<sup>6</sup>
- 40 სადა ინდონი ბროლ-ვარდსა ჰსრავენ გიშრისა სართია, მას მოვეშორვე, წამოველ სიჩქარით, არ სიწყნარითა. ვერ დამიჭირა მეფემან მშობლურად საუბარითა. შენ არ შემიყრი, გამიყრი, — აწ ჩემი ღზინი ვთქვა რითა?!
- 41 ნუ გამგზავნი გულ-მოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი: ერთხელ შეჯე, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა მკვდილი.<sup>7</sup> ნუ თუ მაშინ მოვიქარვო სეედა ესე აწინდელი. მე წაეალ და შენ დავაგდებ, იქმნას შენი საქადელი!<sup>8</sup>“
- 42 ეხვეწებოდა, — შეჯეო, — აჯას<sup>8</sup> ხვეწნითა არვებდა.<sup>10</sup> იცოდა რომე შეჯდომა კავშანს მოაქარვებდა, — ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარვებდა. დაიმორჩილა, ეამა, — არ ივაგლაზა, არ ვებდა.

1. კაკ<sup>1</sup> 842.3 რომ; სხვა დგ და გნ არ(?). 2. ასე უგ 884.4; სხვა დგ და გნ შე(კ)რთიანი(?). 3. აბ 767.2 რა მოჰკვდე, გერგების სიტყვითა რა; I, კაკ<sup>1</sup> 845.2, უიჰ 946.2 და უგ 887.2 თუ მოჰკვდე, რას არგებ ქცევითა მაგ; G რომ მოჰკვდე, გერგების საქმითა მაგ. 4. ინგ 887, საქმენლად არა ხამს. 5. G და I აღარ გაწყენს; სხვა გნ და დგ არას გაწყენ. 6. ასე C, G და I. სხვა გნ და დგ ამად ღვარა. 7. G, I და K სულთა-მდგმელი. 8. კაკ<sup>1</sup> 848.4 საწადელი. 9. აბ 771, I აჯა—; კაკ<sup>1</sup> 849. I აჯა. 10. კაკ<sup>1</sup> 849. I არ ებდა(?).

- 43 ცხადად უთხრა : „შევჯდებიო, მომიყვანე ცხენი წინა.“  
მან მოჰგვარა, წყნარად შესვა, არ სიჩქარით ააქშინა.  
მინდორთაკენ წაიყვანა, ტანი მჭევრი აძრევინა.  
ხანი<sup>1</sup> წარვლეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა.
- 44 რა შეატყო მოჯობება მან, სევდისა მუფარახმან, —  
გაუნათლა<sup>2</sup> პირი ვარდი სიხარულმან დაუსახმან, —  
ცნობიერთა დასტაქარმან, უცნობოთა ოხრა-ახმან,  
ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა, რასმე მზრახმან.
- 45 შე-რასმე-ჰყევს საუბარსა, სიტყვა ჰკადრა არ მალუღლი:  
„ერთსა რასმე მოგაკსენებ, გამიცხადე დაფარული:  
ეგე სამკრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული,  
რაგვარ გიყვარს? რაგვარ გიღირს? თქვი, დავილო<sup>3</sup> მერმე სული.“
- 46 მან უთხრა: „სახე რა გითხრა მის უსახოსა სახისა!<sup>4</sup>  
ესეა ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცემი ახისა,  
მჯობი ყოვლისა სოფლისა, — წყლისა მიწისა და ხისა. —  
არ-სასმენლისა მოსმენა არს უმყავესი წმახისა!“
- 47 ავთანდილ უთხრა: „ელამობდი<sup>5</sup> მართ მაგისა<sup>6</sup> მე<sup>6</sup> თქმევასა.  
აწ რათგან გითქვამს, პასუხსა გკადრებ და ნუ მეჭვ თნევასა:  
სჯობს ასმათისა არ-ლევა მაგა სამკრისად<sup>7</sup> ლევასა.  
ამად არ გიქებ<sup>8</sup> საქმისა<sup>9</sup> უარესისა რჩევასა.
- 48 სამკრე გაბია ოქროსა, ოქრო-მჭედლისა დნობილი,  
უასაკო და უსულო, არ სიტყვიერი ცნობილი, —  
ალარად გინდა ასმათი, — ნახე მართალი ბრჭობილი! —  
პირველ, გლახ, მისი ნაჭვრეტი,<sup>10</sup> თვით<sup>11</sup> მერმე შენი ღობილი?!“

1. კაკ<sup>1</sup> 850,4 ცოტა. 2. გნ და დგ განანათლა. 3. კაკ<sup>1</sup> 853,4 დაიღე. 4. სახი-  
სა <სახისად=სახისათვის. 5. აბ 777,1 და სხვ. ველმოდი. 6. კაკ<sup>1</sup> 855,1 და უგ  
897,1 მაგისისა; სხვა დგ და გნ მაგისავე. 7. ანუ: სამგრისა <სამგრისად=სამ-  
გრისათვის. 8. კაკ<sup>1</sup> 855,4 გირჩე. 9. აყ ინგ 897,4; ზოგი დგ და გნ საქმესა.  
10. კაკ<sup>1</sup> 856,4 გამხრდელი. 11. კაკ<sup>1</sup> 856,4 და.

- 49 მან უბრძანა:¹ „რაცა გითქვამს, უმართლვე ხარ მეტის-მეტად: საბრალოა ასმით მისად მგონებლად და ჩემად მკვრეტად. მე სიცოცხლე არ მეგონა. შენ მომესწარ ცეცხლთა შრეტად. რათვან დავრჩი, გვაღე, ვნახოთ. თუცავე ვარ ჯეროთცა რეტად. —
- 50 რა წამეკიდა, ყველაი წვრილად გაიმბო ენითა, მერმე-ლა გაბრჭევე მართალი მაგა გულითა ბრძენითა: შენ მოგელოდი, მიმჭირდა მოლოდინითა შენითა, ქვაბს ველარ გავძელ. მინდოროთა² მოვლა მომინდა ცხენითა.
- 51 ამა³ ქედსა გარდმოვადეგ,⁴ შამბნი⁵ ისი⁶ მომეარნეს. ერთი ლომი, ერთი ვეფხი შეკრბეს, ერთვან⁷ შეიყარნეს. ჰგვანდეს რათმე მოყვარულთა, მათი ნახვა გამეხარნეს! მათ რა უყვეს ერთმანერთსა, გამიკვირდეს, შემეზარნეს!
- 52 პირველ ამოდ ილაღობნენს,⁷ მერმე მედგრად წაიკიდნეს. თვითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დაპრიდნეს. გამოპრიდნა ვეფხმან გული, — დედათამცა განარიდნეს!⁸ — ლომი მედგრად მოეკიდა,⁹ იგი ვერვინ დაამშვიდნეს!
- 53 ლომსა დაეუგმე საქმარი,¹⁰ ვარქეი. — არა ხარ ცნობასა! შენ საყვარელსა რად აწყენ, ფუ მაგა მამაცობასა! — კრმალ-გამოწვდილი მიეუტე, მივეც ლახვართა სობასა, თავსა გადავჰკარ, მოცავეკალ, დავჰკსენ სოფლისა თობასა.
- 54 კრმალი გავტყორცე. გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ კელითა. მის გამო კოცნა მომინდა ვინ მწვავს ცეცხლითა მწველითა. მიღრინვიდა და მაწყენდა ბრჭყალითა სისხლთა¹¹ - მღვრელითა. ველარ გავუძელ, იგიცა მოვკალ გულითა ზელითა. —

1. ინგ 900.1 ტარიელ თქვა. 2. ასე უგ 906.4; სხვა დგ და გნ მინდოროად. 3. უგ 907.1 იმა. 4. გნ და დგ გარდავადეგ. 5. ინგ 907.1 იგი შამბნი. 6. გნ და დგ ერთად. 7. აბ 789.1 ილაღობდეს(?); სხვა დგ ილაღობეს. 8. ასე G და I (შეად. კაკ¹ 867.3); სხვა ენ და დგ გამო(პ)რიდნეს. 9. კაკ¹ 867.4 წაეკიდა; სხვა დგ და გნ გავეკიდა. 10. ვარ. ნაქმარი. 11. ასე კაკ¹ 869.3 და უგ 911.3; ვარ სისხლის.

- 55 რაზომსაცა ვამწვიდებდი, ვეფხი ვერა დავამწვიდე.  
გავგულისდი, მოვიქნივე, ვჰკარ მიწასა, დავაწყვიდე, —  
მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე!.. —  
სულნი სრულად არ ამომკდეს, — რად<sup>1</sup> გიკვირს თუ<sup>2</sup> ცრემლსა  
[ვჰღვრიდე?! —
- 56 აჰა, ძმაო, მითხრობია ჭირი ჩემი, რაცა მჭირდა.<sup>3</sup>  
სულთა დგმაცა არა მმართებს, — ასრე ვასვლა რად<sup>4</sup> გიკვირდა.<sup>3</sup>  
სიცოცხელსა გავეყარე, სიკვდილიცა გამიძვირდა!<sup>34</sup> —  
ესე სიტყვა დაასრულა, ყმამან სულნ-თქვნა, აცატირდა.<sup>3</sup>
- 57 ავთანდილცა მასთანავე ტიროდა და ცრემლსა ჰღვრიდა.  
უთხრა: „დათმე, ნუ მოჰკვდები, გულსა სრულად ნუ დასჭირი და!  
ღმერთი მაგას მოწყალებს. თუცა ჭირმან მაგან<sup>5</sup> გრიდა:<sup>5</sup>  
თუც უნდოდით გასაყრელად, პირველ ერთგან არ შეგყრიდა. —
- 58 სდევს მიჯნურსა ფათერაკი, საწუთროსა დაანაღვლებს.  
მაგრა ბოლოდ ლხინსა მიჰხვდეს<sup>6</sup> ვინცა პირველ ჭირსა გასძლებს.—  
მიჯნურობა საჭიროა მით. — სიკვდილსა მიგვაახლებს.  
გასწავლულსა გააშმაგებს, უსწავლელსა გაასწავლებს.“
- 59 იტირეს და გაემართნეს, ქვაბისაკენ თავნი არნეს.  
რა ასმათმან დაინახნა, განალამცა გაეხარნეს!  
მოეგება, მოტიროდა, ცრემლთა<sup>7</sup> მისთა<sup>7</sup> კლდენი ღარნეს.  
აკოცეს და აცასტირდეს, კვლა ცნობანი ააჩქარნეს.
- 60 ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,  
შენ ხარ საესება ყოველთა, აგვაესებ მზეებრ ფენითა!  
გაქო, — ვით გაქო, რა გაქო, არ<sup>8</sup>-საქებელო<sup>8</sup> სმენითა!<sup>8</sup>  
დიდება შენდა, არ მომკალ ამათთვის ცრემლთა დენითა!“

1. აბ 792.4; უგ 912.4 და ინგ 912.4 რას. 2. კაკ<sup>1</sup> 870.4, უგ 912.4, ინგ 918.4  
რომ. 3. კაკ<sup>1</sup> 871.1 მჭირდეს. გიკვირდეს. დამიძვირდეს, აცატირდეს. 4. ასე  
ინგ 913.2; აბ 793.2 რას. 5. კნ და დგ არ გაკრიდა(?). 6. კნ და დგ მისცემს(?).  
7. კნ და დგ ცრემლმან მისმან 8. კაკ<sup>1</sup> 875.3 ძნელად სათქმელო ენითა; კაკ<sup>2</sup>  
918.3 არ ითქმის კაცთა ენითა.

- 61 მას ლამესა ერთგან იყენეს იგი ლომნი, იგი გმირნი.  
იუბნეს და განაცხადნეს თავ-თავისად მათნი ჭირნი.  
რა გათენდა, კვლა დაიწყეს საუბარნი სიტყვა-ჭმირნი.  
ერთმანერთსა გაუგონნეს ფიცი<sup>1</sup> პირველ-დანაპირნი.
- 62 ტარიელ ეტყვის: „რად უნდა სიტყვისა თქმა მრავალისა!  
რაცა შენ ჩემთვის გიქმნია, — ღმერთი მზღველია ვალისა!  
კმა ზენაარი ზენარად, — არ ნაქმარია მთრვალისა, —  
არ დაეიწყება, მოყვრობა მოყერისა წარმავალისა.
- 63 აწ შემიწყალე.<sup>2</sup> ნუ დამწვავე კვლა წვითა უტხელესითა.  
მე რომე<sup>3</sup> ცეცხლი მედების, არ ნაგზებია კვესითა!  
ვერ დამშრეტ, შენცა დაიწვი სოფლისა ქმნისა წესითა.  
წადი, მიბრუნდი,<sup>4</sup> შეიქეც მუნითვე, შენი მზე სით<sup>5</sup> ა.<sup>5</sup>
- 64 ვინ დამბადა, განკურნება ჩემი უჩანს მასცა ძნელად.  
ვისცა გესმის, გაიგონეთ, — მით გაჭრილვარ ხელი ველად.  
რაცა ჰმართებს გონიერთა ერთველ ვიყავ მეცა მქმნელად.  
აწ ნობათი ხელობისა მომხვედომია,<sup>6</sup> მით ვარ ხელად.“
- 65 აეთანდილ ეტყვის: „რა გკადრო პასუხი მაგა თქმულისა:  
შენ<sup>7</sup> ვერ<sup>7</sup> სთქვი ეგე სიტყვაო კაცისა ბრძნად სწავლულისა!  
ღმერთსამცა ვით არ შეეძლო კვლა განკურნება წყლულისა?!  
იგია მზრდელი ყოვლისა დანერგულ - დათესულისა! —
- 66 ღმერთსამცა ესე რად<sup>8</sup> ექმნა, — ეგეთნი დაებადენით,  
ალარ შეგყარნა,—გაგყარნა,—ხელნი<sup>9</sup> გქმნნა<sup>9</sup> ცრემლთა დადენით?!  
სდევს ფათერაკი მიჯნურსა, — განსჭვრიტეთ,<sup>10</sup> განიცადენით! —  
თქვენ ერთმანერთსა<sup>11</sup> არ მიჰხვედეთ,<sup>11</sup> მე სულნი ამომხადენით! —

1. კაკ<sup>1</sup> 883.4 ფიცი. 2. უგ 927.1 შემიხვეწე. 3. კაკ<sup>1</sup> 885.2 გულსა. 4. კაკ<sup>1</sup>  
885.4 და უგ 927.4 დაბრუნდი. 5. გნ და დგ სითა. 6. გნ და დგ მომგდომია(?).  
7. გნ და დგ შენვე(?). 8. ზოგი გნ და დგ რა. 9. გნ და დგ ხელი გქმნა. 10. კაკ<sup>1</sup>  
888.3 გასჭვრიტდით. 11. ასე უგ 930.4; კაკ<sup>1</sup> 888.4 ერთმანერთი არ მიხედეთ;  
ზოგი დგ და გნ ერთმანერთი არ მიგხვედეთ.

- 67 ნეტარ მამაცი სხვა<sup>1</sup> რაა,<sup>1</sup> — არ გაძლოს რაცა ჰირია!  
ჰირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო ჰირია!  
ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია. —  
რაცა მიწვრთხარ,<sup>2</sup> იწვართე, გკადრო, — უწვრთელი ვირია!
- 68 თუ რა გესმის, გაიგონე. — ესე კმა<sup>3</sup> სწავლა სწავლად:  
ჩემსა მზესა დავეთხოვე თქვენს წინაშე წამოსავლად.  
მოვაკსენე: „რათგან ჩემი<sup>4</sup> შეუქმნია<sup>4</sup> გული ავლად, —  
არას<sup>5</sup> ვარგებ,<sup>5</sup> არ დავდგები! სხვა ვიუბნო რალა მრავლად.“
- 69 მან მიბრძანა: „მადლიერ ვარ, კარგად ხარ და მამაცურად!  
შენგან მისსა გავლენასა მე დავიჩინ სამსახურად. “ —  
მისი კითხვით წამოსრულვარ, არ მთრვალ-გვარად,<sup>6</sup> არ მახმურად.  
აწ შევიქცე, რა ეუამბო, — რად მოხველო ჯაბან-კრდლურად?<sup>7</sup>
- 70 მაგ საუბარსა ესე სჯობს, — ისმინე ჩემი თხრობილი:  
მქმნელი საქმისა ძნელისა კაციმცა იყო<sup>8</sup> ცნობილი.  
ვერას ვერ შეიქმს საყვესა<sup>9</sup> ვარდი უმზეოდ ჰნობილი.  
შენ ვერას ირგებ, მე გარგებ,<sup>10</sup> — ძმა ძმისა უნდა ძმობილი.
- 71 სადაცა გწადდეს, მუნ იყავ მითვე წესითა მაგითა, —  
გწადდეს, — გულითა ბრძენითა, გწადდეს.<sup>11</sup> — ცნობითა შმაგითა, —  
მაგა ქცევითა ტურფითა, ანაგებითა ნაგითა, —  
ოდენ გამაგრდი, არ მოჰკვდე, არ დასდნე ცეცხლთა დაგითა.

1. კაკ<sup>1</sup> 889.1 რა არის. 2. კაკ<sup>1</sup> 889,4 მიწვრთნია. 3. ინგ 932 I კმარის. 4. ინგ 932,3 ჩემებრ მას შექმნია. 5. კაკ<sup>1</sup> 890,4 და უგ 932,4 ვერას არგებ(?). ვახტ გამ-1951 ვერას ირგებ; ინგ 932.4 ვერას იარგებ; სხვა დგ და ენ არას გარგებ. 6. ინგ 933,3 მთვრალურად; სხვა ენ და დგ მთვრალ-ვარ და. 7. აბ 812,4—გდლურად. 8. კაკ<sup>1</sup> 892,3 იყოს. 9. კაკ<sup>1</sup> 893,3 და უგ 934,3 ნაყოფსა; აბ 813,3 და სხვ. საყოფ-სა(?). 10. ასე უგ 934,4; სხვა დგ და ენ მარგებ. 11. კაკ<sup>1</sup> 895.2 თუ-გინდ.

- 72 ამის მეტსა არას გნუკავ. — წელიწდისა<sup>1</sup> ერთის<sup>1</sup> მსგეფსა. აქავ<sup>2</sup> ქებასა<sup>2</sup> მომნახვიდე მე ამბვისა<sup>3</sup> ყოვლგნით მკრეფსა. ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, — დროსა ამას ვარდ-იეფსა. ვარლთა ნახვა გაგაკრობდეს მართ ვითამცა ძალი ყეფსა.
- 73 ამა დროსა გადაესცილდე, აქავ ქებასა არ მოვიდე, ცან, ცოცხალი არ თურე ვარ, ულონიოდ მოგვედი კიდე. ენე<sup>4</sup> მისად<sup>4</sup> ნიშნად კმარის, შენ თუ ჩემთვის ცრემლსა ჰღვრიდე. მაშინ, გწადდეს — იქარევი<sup>5</sup>, გწადდეს — ჰმუნვა გაადიდე.
- 74 აწ რაცა გკადრე, ამისთვის ნუ თუ შენ იყო მჰმუნავი: მოგშორდები და არ ვიცი, თუ ცხენი დამცემს, თუ ნავი. ბარ<sup>6</sup> უთქმელობა არ ვარგა. არ პირუტყვი ვარ მჩბუნავი! არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს, ანუ ცა მიწყვი მბრუნავი.
- 75 მან<sup>7</sup> უბრძანა: „ალარ გაწყენ. არცა სიტყვა გამეტადდეს.<sup>8</sup> არ მომისმენ, რაზომიცა საუბარი მიდიადდეს. — თუ არ მოგყვეს საყვარელი, შენ მას მიჰყევ, რაცა სწადდეს. — ბოლოდ ყოვლი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს.
- 76 არ<sup>9</sup> დაიჯერო, — მაშინ სცნა ჩემთა საქმეთა ძნელობა. ჩემთვის ყველაი სწორია. — გაპრა და გაუქრელობა. შენ რაცა ვითქვამს, მაგას ვიქმ, მსჯის რაზომც<sup>10</sup> გინდა ხელობა. — უშენოდ მომხედეს, რალა ვქმნა, არ ღია დღეთა-გრძელობა.“

1. გნ და დგ წელიწადსა ერთსა(?); მსგეფსი = სწორი. 2. კაკ<sup>1</sup> 896,2 აქავ ქებასავ; უგ 936 2 აქა ქებასავ. 3. ასე აბ 815 2; სხვა დგ ამბავთა. 4. ინგ 937,3 ეს ამისად. 5. გნ და დგ იხარებდი(?) 6. გნ და დგ არ. 7. ინგ 939 I ყმაშან უთნრა. 8. ასე C და K; F, G და ვახტ გამიმეტდეს (მეად. კაკ<sup>1</sup> 897,1); I გადიადდეს. 9. ასე ინგ 940,1; სხვა გნ და დგ რა(?). 10. კაკ<sup>1</sup> 898,3 რაზომ.

- 77 საუბარი გადასწვიდეს, დააპირეს ესე პირი.  
ცხენთა შესხდეს, მოიარეს, თვითო მოკლეს ევლს ნადირი.  
შემოიქცეს, — აატირეს გული კვლაცა ანატირი.  
ხვალ გაყრისა გონებაჲმან სხვა უმატა ქირსა ჭირი.
- 78 დილა გათენდა, შესხდეს და მას ქალსა გაესალამნეს.  
ტარიელ, ასმათ, ავთანდილ თვალთაგან ცრემლნი ალაჲმნეს.<sup>1</sup>  
სამთავე ლაწეთა ალაჲმნი არღაენის ფერად ალაჲმნეს.<sup>2</sup>  
მათ ლომთა მიწყევ მკეც-ქმნილთა თაენი მკეცთ-თანა<sup>3</sup> ალაჲმნეს.\*
- 79 ქვაბნი<sup>4</sup> ჩაელნეს<sup>5</sup> და წავიდეს ზახილით ცრემლთა მდენანი.  
ასმათ ტირს, მოსთქვამს: „ჰე ლომნო, ვისნი ვინ მოგთქმენ ენანი!  
მზემან დაგწვნა<sup>6</sup> და<sup>6</sup> დაგდაგნა<sup>6</sup> ცისა მნათობნი ზენანი.  
ვა, ქირნი ჩემნი ეზომნი. ვა, სიცოცხლისა თმენანი!“
- 80 მათ ყმათა მუნით წარსულთა იგი დღე ერთგან იარეს.<sup>7</sup>  
ზღვის პირს მივიდეს, მუნ დადგეს, არ კმელთა არე იარეს.<sup>8</sup>  
არ გაიყარნეს მას ლამეს, კვლა ცეცხლი გაიზიარეს.  
ერთმანერთისა შორს-ყოფა იტირეს, იმგლოვიარეს.
- 81 ტარიელს ეტყვის ავთანდილ: „რუ ვაკმა ცრემლთა დენისა.  
რად მოიშოვრე შენ ფრიდონ, მომცემი მაგა ცხენისა?  
მუნით იცნობის ამბავი, ლონე მის მზისა ლხენისა.<sup>9</sup>  
აწ მე მუნ მივალ, მასწავლე გზა ძმად-ფიცისა შენისა.“

1. კაკ<sup>1</sup> 901,2 და უგ 943.2 დალაჲმნეს. 2. ალაჲმნეს < აალაჲმნეს. 8. კაკ<sup>1</sup> 901,4 და უგ 943,4 მგეცთავე; აბ 822,4 და ჭიჭ 1002,4 მგეცთანა. 4. ჭიჭ 1002,4 ალაჲმნეს. 5. უგ 944,1 ქვაბი ჩაელნეს. 6. კაკ<sup>1</sup> 902,3 დაგწვნა და დაგვდაგნა(?). 7. ზოგი ან და დგ ერთად. 8. იარეს = არედ გაიგადეს. 9. ასე კაკ<sup>1</sup> 947,3 და უგ 946,3; აბ 825,3 მშენისა.

- 82 ტარიელ სიტყვით ასწავლის მკარსა ფრიდონის გზისასა.  
მართ გააგონა რაც ოდენ შეეძლო ძალსა თქმისასა:  
„აღმოსავლისკენ<sup>1</sup> წადიო, პირსა იარე ზღვისასა.  
თუ ჰნახო, ჩემი უამბე, გკითხავს ამბავსა ძმისასა“.
- 83 ცისკრად ადგეს გასაყრელად, ერთმანერთსა მოეხვივნეს.  
მაშინ მათგან ნაუბარნი დადნეს ვისმცა<sup>2</sup> მოესმინნეს!<sup>2</sup>  
თვალთათ,<sup>3</sup> ვითა წყაროს თვალთათ,<sup>4</sup> ცრემლნი ველთა მოადინნეს.  
დიდ-ხანს იდგეს შეჭდობილნი, მკერდი მკერდსა შეარკინეს.
- 84 გაიყარნეს ტირილით და პირთა ხოკით, თმათა გლეჯით.  
ერთი აღმა, ერთი დაღმა,<sup>5</sup> უგზოდ მივლენ<sup>6</sup> შამბთა ეჯით.  
ვიდრე<sup>7</sup> უჩნდა ერთმანერთი, იზახდიან პირთა<sup>8</sup> ბღნეჯით. —  
იგი ნახნეს<sup>9</sup> დაღრეჯილნი,<sup>10</sup> მზე დაიღრეჯს მათით<sup>11</sup> ღრეჯით!.. --

1. კაკ<sup>1</sup> 905,3 და უგ 947,3 აღმოსავლეთით; სხვა დგ და გნ აღმოსავლით-  
კენ. 2. გნ და დგ ვინცა მოისმინეს. 3. ასე K (შეად. აბ 828,3) სხვა გნ და დგ  
თვალთა. 4. აბ 828,3 და ჭიჭ 100,3 თვალნი; კაკ<sup>1</sup> 907,3 და უგ 949,3 თვალი.  
5. ინგ 950,1 ჩალმა. 6. ინგ 950,2 ვლიდეს. 7. ვარ. ვირემ. 8. ვარ. პირსა. 9. ასე  
უგ 950,4; კაკ<sup>1</sup> 908,4 ნახეს(?), სხვა დგ და გნ ნახოს. 10. ასე უგ 950,4; სხვა დგ და  
გნ დაღრეჯილი. 11. აბ 829,4 მისით; ჭიჭ 1009,4 მისის; კაკ<sup>1</sup> 908,4 და უგ 950,4  
მათის.

კ ა რ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ავთანდილის წასლვა ქიხნალ ნესტანდარეჯანისა

ავთანდილის მისლვა მულლაზარს ფრიდონისას. — ავთანდილის წასლვა მულლაზარით და მეკობრეთა დაკოცა შველად ვაჭართა ქარავანისა. — ავთანდილის მისლვა გულნაშაროს თავადად ვაჭართა ქარავანისა და მისგან გაცნობა ვაჭართა უხუცესის უსენის ცოლის ფატმანისა.

- 1 ვა, სოფელო, რაშიგან ვართ,<sup>1</sup> რას გვაბრუნებ,<sup>2</sup> რა ზნე გჭირსა! ყოვლი<sup>3</sup> შენი მონდობილი ნიადაგმცა განა<sup>4</sup> ტირსა! სად წაიყუან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?! — მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა! —
- 2 მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა: „აჰა, მზეო,<sup>5</sup> გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა, ვინ მდაბალსა გაამაღლებ,<sup>6</sup> მეფობასა მისცემ, სვესა, მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!
- 3 მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა, გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც კშირსა. შემომყარე კაეშნისა<sup>7</sup> ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა, მას უთხარ თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა!“

1. გნ და დგ ხარ. 2. C მაბრუნებ. 3. ზოგი გნ და დგ ყოვლიმც. 4. გნ და დგ ჩემებრ. 5. ინგ რუსთვ. 1, გვ. 61 ღმერთო. 6. ინგ 957.3 მდაბალთა. 7. ასე ინგ 958.3; სხვა დგ და გნ კაეშანი.

- 4 ჰე მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა ბრჭესა, სრულსა,<sup>1</sup> მო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული გულსა. ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა. მართალი ვარ, გამიკითხე, რად მაწყულულებ მისთვის წყლულსა!
- 5 მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა. შეცამლებე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა, მას უთხრენ ჩემნი პატიენი, მას გაავონენ ენითა, რაგვარ გასრულვარ, — შენ იცი, გულია<sup>2</sup> აღარ<sup>2</sup>- ლხენითა.
- 6 მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა, ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბავითა. შენ დააშვენებ კეკლუტთა დაშვენებითა მაგითა, ვისმე, გლახ,<sup>3</sup> ჩემებრ<sup>3</sup> დაავდებ, გაჰკდი ცნობითა შმაგითა.
- 7 ოტარიდო,<sup>4</sup> შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა: მზე მარბუნვებს, არ გამიშვებს, შემეყრის და მიმცემს წვასა. დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მეღნად მოგცემ ცრემლთა ტბასა, კალმად გიკვეთ<sup>5</sup> გაწლობილსა<sup>6</sup> ტანსა, წერილსა<sup>7</sup> ვით<sup>8</sup> ლერწამსა.<sup>8</sup>
- 8 მო, მთვარეო, შემობრალე, ვილევი და შენებრ ვმკლდები. მზე გამავსებს, მზევე დამლევს, ზოგჯერ ვსხველდები,<sup>9</sup> ზოგჯერ [ვწველდები. მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს, ანუ რაგვარ ვბნდები. მიდი, უთხარ: „ნუ გასწირავ!<sup>10</sup>.. — მისი ვარ და მისთვის ვკვდები.“

1. უგ 959.1 ღმრთულსა. 2. ასე აბ 834.4: G გული აღარას (შეად. კაკ<sup>1</sup> 918.4); უგ 960.4 გული არლა არს. 3. ასე კაკ<sup>1</sup> 919.4 და უგ 961.4; აბ 835.4 ჩემებრსა. 4. კაკ 920.1 ჰე ოტარიდო. 5. ინგ 962.4 გიკვეცი. 6. B. D. F და I გაწყობილსა (შეად. კაკ<sup>1</sup> 920.4). 7. ასე C, D, F. G და ვახტ; I ჩემსა (შეად. უგ 962.4). 8. ასე B, I და ვახტ; C, D, F და G ვითა თმასა; K კალმად გიკვეთ ტანსა ჩემსა, თუ დავეხსენ მიწყვი წვასა. 9. G და ვახტ ვსხველდები (შეად. კაკ<sup>1</sup> 921.2). 10. კაკ<sup>1</sup> 921.4 და უგ 963.4 ნუ გამწირავს.

- 9 ყმა მტირალი სამ-ოც-და-ათ დღე ზღვის ჰირსა მივალს გზასა.  
შორით ნახა, — მენავენი მოვიდოდეს შიგან ზღვასა.  
მოიცადა, ჰკითხა: „ვინ ხართ, თქვენ ამისა გნუკავ თქმასა,  
ეს სამეფო ვისი არის, ან მოპრჩილობს ვისა კმასა?“<sup>14</sup>
- 10 მათ შოახსენეს: „ტურფაო სახით და ანაგებითა, —  
გვეუცხოვე და გვეკეთე, მით გეუბნებით ქებითა:  
აქამდის ზღვარი თურქთაა, — მომზღვრე<sup>2</sup> ფრიდონი<sup>2</sup> ზღვრებით<sup>3</sup> ა.<sup>3</sup>  
ჩვენცა მისნი<sup>4</sup> ვართ, <sup>4</sup>— გამბოთ, <sup>4</sup> თუ ჰვრეცით არ დავბნდებითა.“<sup>4</sup>
- 11 ყმამან უთხრა: „ძმანო ჩემნო, კარგთა კაცთა გარდგეიდე.  
მე მეფესა თქვენსა ვეძებ, მასწავლეთ, თუ სით წავიდე,  
რა ვიარო, ოდეს მივალ, ან გზასა აქვს რა სიდიდე?“ —  
მენავეთა უწინამძღვრეს, არ დააგდეს ზღვისა<sup>5</sup> კიდე.
- 12 შოაკსენეს: „ესე გზაა მულაზარსა<sup>6</sup> მიმავალი.  
მუნ დაგხედების მეფე ჩენი მშვილდ-ფიცხელი, მახვილ-კრმალი.  
აქადაღმა ათ დღე მიხვალ ნაკეთად სარო, ფერად ლალი. —  
ვა, რად დაგვწვენ, <sup>1</sup>უცხოთ<sup>7</sup> უცხო, რად მოგვიდეც ცეცხლებრ ალი“<sup>8</sup>
- 13 იგი<sup>8</sup> წავიდეს, დაბრუნდა ყმა გზასა თავის-წინასა,  
ვისი ჰგავს ტანი საროსა და ვისი გული რკინასა.  
მიაცორებებს და მიუბნობს, მოსთქვამს მისსავე<sup>9</sup> ღზინასა.  
ნარგისნი ჭუხან, ცრემლსა სწვიმს, ჩაპრცხის ბროლსა და მინასა.

1. I და K გრმალსა. 2. უგ 970,3 მომზღვრეა ფრიდონ; G მოსამზღვრე  
ფრიდონ (შეად. კაკ<sup>1</sup> 927.3); C მომძღვრე ფრიდონის (შეად. აბ 842,3 და სხვ.  
მომზღვრე). 3. C ზღვებითა; სხვა გნ და დგ ზღვრებითა. 4. I მისი ვართ, გამ-  
ბოთ (შეად. კაკ<sup>1</sup> 927.4 და უგ 970.4); აბ 842.4 ჰიჟ 1029.4 გამბობთ, ვისნი ვართ.  
5. ინგ 972.4 გზამდის. 6. ასე K; სხვა გნ და დგ მულა(ნ)ზან(რ)ზარს. 7. გნ და დგ  
უცხო(მ?). 8. კაკ<sup>1</sup> 931.1 და უგ 975.1 კაც(ნი. კაკ<sup>1</sup> 931.3 მისთავე.

- 14 მულღანზარსა<sup>1</sup> მიეახლა,<sup>1</sup> ადრე დაჰლევს გზასა გრძელსა.  
მინდორს ნახა სპა ლაშქართა და ნადირთა ჰვეანდის მსრველსა.  
ყოვლგნით ალყა შემოეკრა, მოსდგომოდეს გარე ველსა.  
ისერიან და იზახიან, მკეცსა სკრიან ვითა მკეცსა.
- 15 კაცი ემთხვია, მას ჰკითხა ამბავი მის ლაშქარისა.  
უბრძანა: „ისი<sup>3</sup> ვისია<sup>3</sup> ზმა<sup>4</sup> ზათქისა და ზარისა?“  
მან უთხრა: „ფრიდონ ხელმწიფე<sup>5</sup> მეფეა მულღანზარისა,<sup>5</sup> —  
იგი ნადირობს, შეუკრავს ნაპირი ველ-შამზარისა.“
- 16 მათ ლაშქართაკენ წავიდა მით უსახოთა ქცევითა.  
გამხიარულდა, — შვენება მის ყმისა ვთქვიმცა<sup>6</sup> მე ვითა!  
მისთა გამყრელთა დააზრობს, შემყრელთა დასწევს მზე ვითა!  
ნახონ,<sup>7</sup> მკვრეტელთა ახელებს, ტანი ლერწამობს რხევითა!<sup>8</sup>
- 17 მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გარდმოფრინდა.  
ყმამან ცხენი შეუტრია, — გაამყდა, არ შეშინდა.  
შესტყორცა და ჩამოავდო, — დაეცა და სისხლი სდინდა.  
გარდაკდა და ფრთენი დასკრნა, წყნარად შეეჯდა, არ აქშინდა.
- 18 იგი რა ნახეს, მესროლნი<sup>9</sup> სროლასა მოეშლებოდეს.  
ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოხევევოდეს, ხლდებოდეს.<sup>10</sup>  
იქათ და აქათ უვლიდეს, ზოგნი უკანა ჰყვებოდეს.  
ვერცა ჰკადრებდეს. — ვი ხარო? ვერცა რას ეუბნებოდეს.

1. C და F მულღანზარზარს მიმავალი; სხვა ან და დგ მულღანზარზარს მიეიახლა. 2. ასე კაკ<sup>1</sup> 933,3 და უგ 977,3; ვარ. შემოველო. 3. კაკ<sup>1</sup> 934,2 იგი ვინ არის. 4. ან და დგ იქნა. 5. K ჰკადრა თუ: «ფრიდონ ხელმწიფე მეფეა მულღანზარისა; F მან მოაგსენა: «მეფეა ფრიდონ მულღანზარ-ზასა; C და ვახტ მან უთხრა: «ფრიდონ ხელმწიფე მეფე მულღანზარისა (შეად. აბ 848... მულღანზარზარისა). 6. კაკ<sup>1</sup> 935,2 ვთქვამცა(?). 7. აბ 849,4 და კაკ<sup>1</sup> 979,4 ნახოს; უგ 979, ნახვა. 8. ასე უგ 979,4; სხვა ან და დგ ხე ვითა(?). 9. კაკ<sup>1</sup> 981,1 და უგ 981,1 მესროლთა. 10. ან და დგ ბნდებოდეს(?).

- 19 მინდორსა შიგან გორი დგა,<sup>1</sup> ფრიდონ მას ზედა დგებოდა.  
 ღირსი მასთანა სროლასა ორმოცი კაცი ჰხლებოდა.  
 მუნ დაემართა ავთანდილ,<sup>2</sup> მას თანა ყოლბი ჰყვებოდა.  
 ფრიდონს უკვირდა, — რა ქმნესო! მისთა სპათათვის წყრებოდა.
- 20 ფრიდონ მონა გამოგზავნა. — წა, ნახენო ისი სპანი,  
 რა ქმნეს, ალყა რად დაშალეს,<sup>3</sup> სად წადიან ვითა ბრმანი! —  
 მონა ფიცხლად მოეგება, ნახა სარო, მორჩი ტანი,  
 დადგა, თვალნი გაურეტდეს, დაავიწყდეს სიტყვის თქმანი.
- 21 ავთანდილ ცნა თუ. — ისია მოაძმედ ჩემად რებული!  
 უთხრა: „პრჭევი<sup>4</sup> შენსა პატრონსა ეს ჩემი დავედრებული:  
 ვარ უცხო ვინმე, ღარიბი სამყოფთა მოშორებულნი,  
 ძმად-ფიცი ტარიელისი,<sup>5</sup> თქვენს<sup>6</sup> წინა მომგზავრებულნი.“<sup>7</sup>“
- 22 მონა წავიდა ფრიდონის თხოვრად ამბისა მისისად.  
 უთხრა: „მზე ენახე მოსრული, ჩანს მანათობლად დღისისად.  
 ვაზრობ, იგიცა გაშმაგდენ, თუ ბრძენთა ნახონ ისი სად! —  
 ვარო<sup>8</sup> ძმა<sup>8</sup> ტარიელისი<sup>8</sup> შეყრად ფრიდონის მყისისად.“<sup>9</sup>“
- 23 ფიცხლად იგი<sup>10</sup> ქედი<sup>10</sup> ჩავლო,<sup>10</sup> ჩაეგება ფრიდონ წინა.  
 რა შეჰხუნდა, ესე<sup>11</sup> თქვა თუ, — არ მზეოა<sup>11</sup> ისი ვინ ა?  
 მას ჰმეტობდა, რაცა ქება მონისაგან მოესმინა! —  
 ერთმანერთსა გარდაუკდეს, ლხინმან ცრემლი აფრქვევინა.<sup>12</sup>
- 24 ცხენთა შესხდეს, გაემართნეს, ფრიდონისსა<sup>13</sup> მივლენ სრასა.  
 დაიშალა ნადირობა, მოეშალნეს მკეცთა სრვასა.<sup>14</sup>  
 ავთანდილის ჰვრეტად სპანი იქათა-იქათ იქმან ჯრასა.  
 თქვეს: „ასეთი კორციელი შეუქმნია რაგვარ<sup>15</sup> რასა!“

1. ინგ 982,1 ჩანს. 2. 1937, 982,3 ავთანდილს(?). 3. ინგ 983,2 მოშალეს.  
 4. I წა, ჰკადრე (შეად. კაკ<sup>1</sup> 940,2 და უგ 984,2). 5. აბ 854,4 და სხვ. ტარიელი-  
 სა. 6. ვარ. შენს. 7. ვარ. მომგზავრებულნი. 8. ვარ ძმაო. 9. ინგ 895,4 ძმისისად;  
 სხვა გნ და დგ მქისისად(?). 10. ვარ. ჩავლო იგი ქედი. 11. I მან ესე თქვა: თუ  
 არ მზეო (შეად. კაკ<sup>1</sup> 943,2 და უგ 987,2). 12. კაკ<sup>1</sup> 943,4 აუფრქვევინა. 13. ასე უგ  
 990,1; კაკ<sup>1</sup> 946,1 ფრიდონისა; სხვა დგ და გნ ფრიდონისას. 14. ინგ 990,2 სრასა.  
 15. G. I და K ნეტარ (შეად. კაკ<sup>1</sup> 946,4 და უგ 990,4).

- 25 ყმა ფრიდონს ეტყვის: „ესწრაფვი,<sup>1</sup> ვიცი, ამბისა თხრობასა, გაამზო, ვინ ვარ, სით მოვალ,<sup>2</sup> ვინათგან ჰლამი ცნობასა, ანუ სით ვიცნობ ტარიელს, ანუ რად ვიტყვი ძმობასა, — იგი ძმაღ მიჰკმობს, — ძმა ხარო, — თუცა ძლიე ღირს ვარ ყმობასა.
- 26 მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით, დიდი სპასპეტი, — სახელად მიხმოზენ ავთანდილობით, — ძე, დიდებულთა დიდ-გვართა, ზრდილი მეფეთა შვილობით, საკრძალავი და უკადრი, მყოფი არვისგან ცილობით.
- 27 დღესა ერთსა მეფე შეჯდა, ნადირობას გამოვიდა. მიხლორს ვნახეთ<sup>3</sup> ტარიელი,<sup>4</sup> — ცრემლთა ჰღვრიდა, ველთა [ჰრწყვიდა. გაგვიკვირდა, გვეუცხოვა, ვაწვიეთ და არ მოვიდა. ჩვენ გვეწეინა, — არ ვიცოდით, მას თუ ცეცხლი რაგვარ სწვიდა.
- 28 მეფემან სპანი შეპყრობად შეუზახნა და წყრებოდა. მან უჭირველად დაკოცნა, — ომი არ მისჭირდებოდა! ზოგსა მკარ-თეძო დაჰლეწა და ზოგსა სული ჰხდებოდა. მუნ-ლა ცნეს, ეტლი მთვარისა რომე არ დაბრუნდებოდა!
- 29 მათ სპათაგან ვერ-შეპყრობა ცნეს მეფეთა მეტად მწყრალთა, თვით შესხდეს და შეუტივეს ამაყთა და არრას მკრთალთა. რა ტარიელ მეფე იცნა, მუნ-ლა<sup>5</sup> დაჰკრთა<sup>6</sup> მათთა<sup>7</sup> კრმალთა, ცხენსა მისცნა სადავენი, დაგვეკარგა წინა თვალთა.
- 30 ვძებნეთ და კვალი ვერ ვპოვეთ, დავწამეთ ეშმაურობა. მეფე დაჰმუნდა, დაშალა სმა, ნადიმობა, პურობა. მე ვერლა გავძელ მისისა ამბისა არ<sup>8</sup> - დასტურობა. გამოვიპარე<sup>7</sup> საძებრად, მწვიდა ცეცხლი<sup>8</sup> და<sup>8</sup> მურობა.

1. ენ და დგ ისწრაფვი, ისწრაფვი. 2. აბ 860.2 მივალ. 3. I ნახა. 4. G და I ტარიელ ჯდა (შეად. კაკ<sup>1</sup> 949.2 და უგ 993.2). 5. ინგ 995.3 არ მიიყო ხელი. 6. კაკ<sup>1</sup> 952.3 და უგ 996.3 ვერ—. 7. კაკ<sup>1</sup> 952.4 გამოვეპარე. 8. კაკ<sup>1</sup> 952.4; უგ 996.4 და ჭიჟ 1055.4 ცეცხლისა.

- 31 იგი ვძებნე სამსა წელსა,<sup>1</sup> არ ვიამე არცა ძილი.  
მათ მასწავლეს,<sup>2</sup> ხატაელი<sup>3</sup> ვნახე<sup>4</sup> მისგან დაკოდილი.  
ვპოვე ვარდი მოყვითანო. შუქ-მკრთალი და აკო-მოკდილი.  
წემიტბო და შემეიყვარა ვითა ძმა და ვითა შვილი.
- 32 ქვაბნი წაუხვმან<sup>5</sup> დევთათვის.<sup>6</sup> სრულად გამესისხლებია.  
მუნ ასმათ ახლავს მარტოსა, სხვა არვინ უახლებია.  
მას მუდამ ძველი ცეცხლი სწევავს, არ ახლად,<sup>6</sup> არ ახლებია. —  
ვა მართებს მისსა გაყრილსა, შავი ხლა თავსა ჰხლებია! —
- 33 ქალი მარტო ქვაბსა შინა<sup>7</sup> ზის<sup>8</sup> მტირალი, ცრემლ-ნაწთომი.  
ყმა ნადირსა უნადირებს, ლომის ლეკვსა ვითა ლომი,  
მიართმევს და აგრე<sup>9</sup> არჩენს იგი, ერთგან ვერ დამდგომი.  
მისგან კიდე სანახავად არა<sup>10</sup> უნდა კაცთა ტომი.
- 34 მე უცხოს უცხოსა<sup>11</sup> მნატრა<sup>11</sup> მოსმენა სანატრელისა.  
მითხრა ამბავი მისი და მისისა საყვარელისა.<sup>12</sup>  
რა ჭირნი დათმნა, ვერ იტყვის აწ ენა ესე ხელისა.  
ჰკლავს სურვილი და! ვერ-ჭერეტა<sup>13</sup> მისისა სასურველისა.<sup>14</sup>
- 35 მის ყმისა ცეცხლი მომედვის.<sup>15</sup> — დამწვა<sup>16</sup> ცრემლითა<sup>16</sup> ცხე-  
[ლითა!<sup>17</sup>  
შემებრალნეს და გავშმაგდი, გავეკე ცნობითა<sup>18</sup> ხელითა.<sup>17</sup>  
მომინდა მისთა წამალთა ძებნა ზღვითა და კმელითა.<sup>17</sup>  
შეიქეცე, ვნახენ მეფენი მყოფმან<sup>19</sup> გულითა ბნელითა.<sup>17</sup>

1. კაკ<sup>1</sup> 953,1 და უგ 997,1 წელსა სამსა. 2. აბ 866,2 და ჭიჭ 1056,2 მასწავლ  
ნეს(?). 3. ან და დგ ხატაელნი(?). 4. უგ 997,2 ვნახენ(?). 5. G დევთათვის წაუ-  
ხვამს (შეად. კაკ<sup>1</sup> 954,1). 6. C, D და I ახალ (შეად. კაკ<sup>1</sup> 954,3 და უგ 998,3).  
7. ინგ 999,1 შიგან. 8. ასე ინგ. 999,1; სხვა ან და დგ ტირს(?). 9. კაკ<sup>1</sup> 955,3 და  
უგ 999,3 იმით. 10. კაკ<sup>1</sup> 955,4 არვინ. 11. კაკ<sup>1</sup> 956,1 და უგ 1000,1 უცხო მანატ-  
რა; სხვა დგ და ან უცხო მანატრა. 12. ასე G და I (შეად. კაკ<sup>1</sup> 956,2); სხვა ან  
და დგ სასურველისა. 13. ასე G და I (შეად. კაკ<sup>1</sup> 956,4 და 1000,4); ზოგი ან და  
დგ ვერ-ნახვა. 14 ასე G და I (შეად. კაკ<sup>1</sup> 956,4); სხვა ან და დგ დამმარხველისა.  
15 ან და დგ მედების. 16. I ვტირი ცრემლითა (შეად. კაკ<sup>1</sup> 958,1 და უგ 1002,1);  
G ვიწვი ალითა. 17. C და D მისითა. ვისითა, ქეიშითა, მქისითა. 18. ასე C და  
D; სხვა ან და დგ გულითა. 19. ან და დგ მყოფნი.

- 26 დავეთხოვე და გამიწყრა მეფე, მიეცა კმუნვასა.  
დავყარენ ჩემნი ლაშქარნი, მით იზახიან მუნ ვასა.  
გამოვიპარე, დავექ-ენ სისხლისა ცრემლთა წურვასა.  
აწ ვექებ მისთა წამალთა, ვიქმ იქათ-აქათ ბრუნვასა.
- 37 შენი მან მითხრა ამბავი, მისგან ძმობისა შენისა.  
აწ მიპოვნიხარ უებრო, ვერ<sup>1</sup> - საქებელი ენისა.<sup>1</sup>  
გამომირჩივე, სით მიჯობს ძებნა მის მზისა ზენისა,<sup>2</sup>  
მისთა მჭერეტელთა ლხინისა, ვერ-მჭერეტთა ამაზრზენისა?<sup>3</sup> —
- 38 აწ ფრიდონ იტყვის<sup>3</sup> სიტყვითა მის ყმისა<sup>4</sup> ნაუბარითა. —  
ორნივე სწორად მოთქმიდეს მოთქმითა საქებარითა.  
გულ-ამოსკვნილნი გულითა ტირან, ვერ-დამთმობარითა.  
მუნ ვარდთა<sup>5</sup> წყლითა ცხელითა<sup>6</sup> ჰრწყვენ ტევრთა ნაგუბარითა.<sup>5--</sup>
- 39 ფრიდონ მოსთქვამს: „რა შეგასხა,<sup>6</sup> ვერ საქებო, ვერ სათქმელო  
კმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამსხმელო,<sup>7</sup>  
მოახლეუთა სალხინოო, სიცოცხლეო, სულთა-მდგმელო,  
ცისა ეტლთა სინათლეო, დამწველო და დამანთქმელო!
- 40 რა მოგეშორვე, მას აქათ სიცოცხლე მომძულვებია.  
თუცა შენ ჩემდა<sup>8</sup> არა გცალს, მე შენთვის მომსურვებია.  
შენ უჩემობა ლხინად გჩანს,<sup>9</sup> — მე დია მიმპირვებია:<sup>10</sup>  
ოკერ სიცოცხლე უშენოდ, სოფელი გამარმებია!“ —

1. აბ 873.2 შენ საქებელი; ინგ 1004.2 საქები ბრძენთა (ენისა<ენისად).  
2. G და I მშენისა (შეად. კაკ<sup>1</sup> 960.3). 3. უგ 1005.1 იწყის. 4. ყმისა<ყმისად.  
5. G მუნ ვარდის წყლისა ცრემლითა რწყვენ ტევრთა საგუბარითა(?) (შეად.  
კაკ<sup>1</sup> 961.4); I მუნ ვარდთა წყლითა ცრემლითა ლაწვთა რწყვენ ნაგუბარითა; F  
მუნ ვარდსა წყლითა ცრემლითა რწყვენ ტევრთა ნაგუბარითა; C მუნ ვარდსა  
წყლითა ცხელითა რწყვენ ტევრთა საგუბარითა (შეად. უგ 1005.4); აბ 874.4  
მუნ ვარდთა წყლითა ცრემლთათა ჰრწყვენ, ტევრთა საგუბარითა; ჭიჭ 1067.4  
მუნ ვარდთა წყლითა ცრემლთათა რწყვენ ტევრთა ნაგუბარითა; ინგ 1005.4  
მუნ ვარდსა წყლითა ცრემლთათა რწყვენ ტევრთა საგუბარითა. 6. ზოგი გნ  
და დგ შეგასხათ(?). 7. F და I გარდამსმელო; C და D გარდამხველო; კაკ<sup>1</sup>  
963.2 გარდამგველო(?); სხვ. დგ და გნ გარდამსმელო. 8. B, F და G ჩემთვის  
(შეად. კაკ<sup>1</sup> 964.2); სხვა გნ და დგ ჩემად. 9. ვარ. გიჩნს. 10. ასე კაკ<sup>1</sup> 964.3 და  
უგ 1008.3; სხვა დგ და გნ მომპირვებია.

- 41 ფრიდონ თქვა ესე სიტყვანი მოთქმითა შვენიერითა. —  
სული დაიღეს, დადუმდეს, მივლენ არ თუ-რე მღერითა  
ავთანდილ მჭერეტთა აშვენებს ტურფითა ჰაერ-ფერითა.  
მელნისა ტბათა მიჯარვით ჰბურავს ვიშრისა ქერითა.
- 42 ქალაქს შევიდეს, მუნ დაჰხვდა სრა მოკაზმული სრულითა,  
საკელმწიფოთა ყოვლითა გასაგებლითა სრულითა.  
მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს რულითა!<sup>1</sup>  
შეჰფრფინვიდიან ავთანდილს გულითა სულ-წასრულითა.<sup>2</sup>
- 43 შევიდეს და დიდი შექმნეს ჯალაბობა, არ ხალვათი.  
იქათ-აქათ დიდებულნი წარიგებით ათჯერ ათი!  
თვით ორნივე ერთგან დასხდეს, — ვინცა<sup>3</sup> ვით<sup>3</sup> თქვა<sup>3</sup> ქება მათი!  
ბროლ-ბადახშა აშვენებდა ზოგან მინა, ზოგან სათი.
- 44 მას დღეს სვეს, ჰამეს, გარდაკდა ნადიმი მსმელთა დასისა.<sup>4</sup>  
გათენდა, ბანეს ავთანდილ, რიცხვი ძეს მუნ ატლასისა.  
შესამოსელი შეჰმოსეს დრაჰკნისა ბევრ-ათასისა.  
შეარტყეს წელსა<sup>5</sup> სარტყელი დაუდებელი ფასისა.
- 45 ყმა ფრიდონს ეტყვის: „გესმოდეს ჩემი აწ მონაკსენები:  
მე თქვენი გაყრა სიკვდილად<sup>6</sup> მიჩნს“ და მით<sup>6</sup> თავსა ვევენები.<sup>6</sup>  
მაგრა არა მცალს დღე-კრულსა, ცეცხლით<sup>7</sup> მე სხვათცა ვეგზნები.<sup>7</sup>  
გზა გრძელი, საქმე სასწრაფო მიც, დია<sup>8</sup> დავეყოვნები.<sup>9</sup>
- 46 მართალ ა,<sup>10</sup> შენი გამყრელი თვალთათ თუ ცრემლსა ჰღვრიდესა,—  
დღეს წარუვალი ვერა ვარ, მით ცეცხლი თუცა<sup>11</sup> მწვიდესა.  
დგომა მგზავრისა ცდომა არს, — კარგსა იქმს თავსა სწვრითიდესა.—  
სადა გინახავს იგი მზე, წამომყეე ზღვისა კიდესა.“

1. კაკ<sup>1</sup> 966,3 სრულითა. 2. კაკ<sup>1</sup> 966,4 სულ წასულითა. 3. კაკ<sup>1</sup> 967,3 ვინ-  
ცა ვინ თქვას. 4. G და I ჯარისა(?) (შეად. კაკ<sup>1</sup> 969,1). 5. ვარ. წელთა. 6 ნგ  
1015,2 შენი გაყრა ვერე მჩანს, გამმრავლებოდეს სენები. 7. I ცეცხლი მწვაეს  
მოუთმენები (შეად. კაკ<sup>1</sup> 971,3 და უგ 1015,3 მოუთმინები); C, D, F და ვახტ  
ცეცხლი მე სხვაცა მედები; G მე სხვათა ცეცხლი მედები; აბ 884,3 და ჰიუ  
1078,3 ცეცხლი მე სხვაცა მეგზნები. 8. G დიდი. 9. F და G დასაყოვნები; I და-  
ვიყოვნები (შეად. აბ 884,4 და ჰიუ 1078,4); C და D დამეყოვნები; უგ 1015,4  
დავეყვნები. 10. კაკ<sup>1</sup> 972,1 და უგ 1016,1 არს. 11. ან და დგ სხვაცა(?)

- 47 ფრიდონ უთხრა: „დასაშლელი ჩემგან არა არა! გეთხოვობს ვიცი რომე აღარა გცალს, შენ ლახვარი სხვა გესობის. წადი ლმერთი გიწინამძღვრებს, მტერი შენი დაემკობის! — მაგრა თქვი თუ უშენობა ჩემგან ვითა დაითმობის?! —
- 48 ამას გკადრებ: „არ ეგების მარტოსაგან წასლვა შენი. თანა ყმათა წამოგატან, იმსახურენ, იახლენი. აბჯარი და საქონელი,<sup>2</sup> ერთი ჯორი, ერთი ცხენი! არ წაიტან, გაირჯები ლაწვი-ვარდი ცრემლ-ნადენი.“<sup>3</sup>
- 49 მოასხნა ოთხნი მონანი მისანდობელნი გულითა, — სრული აბჯარი საკარგ-ყმო<sup>4</sup> ქაფითა, საბარკულითა, სამოცი ლიტრა წითელი აწონით არ ნაკლულითა, ერთი ტაიჭი უებრო მით უნაგრითა სრულითა.
- 50 ერთსა ჯორსა წვიე-მაგარსა საგებელი აუკიდა. — წავიდა და ფრიდონ შეჯდა, მასთანავე გამოვიდა. აწ გაყრისა მომლოდნესა ედებოდა ცეცხლი, სწვიდა. მოსთქვამს: „თუცა მზე გვეახლა, ჩვენ ზამთარი ვერ დაგვზრვიდა!“
- 51 ქალაქი განელეს, წავიდეს,<sup>5</sup> პირსა მივიდეს<sup>6</sup> ზღვისასა, მაშინ ფრიდონის ნახულსა ნასადგომევსა<sup>7</sup> მზისასა. მუნ დაადენდეს ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა. ფრიდონ უამბობს ამბავსა მის მნათობისა ტყვისასა:
- 52 „აქა მათ ორთა<sup>8</sup> მონათა მზე მოიყვანეს ნავითა, კბილ-თეთრი, ბაგე-ბადახში, — სახედავითა<sup>9</sup> შავითა. ცხენი გავქუსლე, გავაგე წავგერა კრმლითა და მკლავითა. შორს მნახეს, აღრე გამექცნეს, — ნავი მფრინვალე<sup>10</sup> ჩნდა ვითა.“

1. კაკ<sup>1</sup> 973,1 რა. 2. კაკ<sup>1</sup> 974,3 და უგ 1018,3 საგებელი. 3. ასე G (შეად. კაკ<sup>1</sup> 974,4 და უგ 1018,4); ზოგი გნ და დგ ცრემლთა მდენი. 4. ასე ინგ 1019,2; სხვა დგ და გნ საკაცო. 5. კაკ<sup>1</sup> 978,1 და უგ 1022,1 მივიდეს. 6. კაკ<sup>1</sup> 978,1 და უგ 1022,1 დიდისა. 7. ასე F; სხა გნ და დგ ნასაჯდომევსა. 8. კაკ<sup>1</sup> 979,1 და უგ 1023,1 ზანათა. 9. I ტან-ალვა თმითა (შეად. კაკ<sup>1</sup> 972,2); G (ბაგე-ბადახში, კბილ-თეთრი), ტან-ალვა თმით და. 10. ასე ინგ 1023,4; ვარ. მფრინველი.

- 53 მოხევიენეს ერთმენერთსა, გაამრავლენს ცრემლთა ღვრანი,  
აკოცეს და გაუახლდეს მათ ორთავე მათნი წვანი.  
გაიყარნეს გაუყრელნი, ძმად-ფიცნი და ვითა-ძმანი.  
ფრიდონ დადგა, ყმა წავიდა, — შემხედველთა მკლველი ტანი. . . ---
- 54 ავთანდილ მარტო ზღვის პირსა მივალს ოთხითა მონითა.  
წამალსა ტარიელისა ეძებს ყოვლითა ღონითა.  
ღლისით და ღამით მტირალი იღვრების ცრემლთა ფონითა.  
ჩალად უჩნს ყოვლი ქვეყანა მისვე ჩალისა წონითა!
- 55 სადაცა ნახნის, — ეუბნის. — მგ ზავრნი ზღვის პირსა რებულნი.  
ჰკითხის მის მზისა ამბავი. — დღენი ვლნა გაასებულნი. —  
ქედსა გარდადგეს, აქლემნი აღუჩნდეს ლარ-კიდებულნი,  
მოქარავენნი ზღვის პირსა დაყრით დგეს, დაყმუნებულნი.<sup>1</sup>
- 56 მუნ ქარავენი ურიცხვი მოსდგომოდა<sup>2</sup> ზღვის<sup>3</sup> კიდესა.  
შეიჭირებდეს, ჰმუნვიდეს, ვერცა დგეს, ვერცა ვლიდესა.  
ყმამან სალამი უბრძანა. — ქებასა შეასხმიდესა.  
ჰკითხა<sup>4</sup> თუ: „ვინ ხართ,<sup>4</sup> ვაჰარნო?“<sup>4</sup> მათ საუბარი ჰკიდესა.
- 57 უსამ იყო ქარავენისა უხუცესი, კაცი ბრძენი.  
მოახსენა ხოტბა სრული, დალოცა და უქნა ზნენი. —  
ჰკადრეს: „მზეო,<sup>5</sup> სიცოცხლე“ და<sup>6</sup> შენ ამოხველ<sup>6</sup> ჩენი მღხენი.<sup>7</sup>  
ჩამოვე და მოვაკსენოთ ამბავი და საქმე ჩენი. “
- 58 გარდაცდა, ჰკადრეს: „ჩვენ ვართო მობალდადენი ვაჰარნი.  
მაჰმადის სჯულის მჭირაენი, — აროდეს გვისევან მაჰარნი, —  
ზღვათა მეფისა ქალაქსა სავაჰროდ გარდმონაჰარნი,,  
საქონელ სრულნი, მდიდარნი, არ ლარნი გვაქეან<sup>8</sup> ნაჰარნი.

1. ასე კაკ<sup>1</sup> 984.4 და უგ 1028.4; სხვა დგ და გნ შეჭირებულნი. 2. ასე F; ინგ 1029.1 მოსდგომოდა ზღვისა; სხვა დგ და გნ იდგეს მის ზღვისა. 3. C, D და I ჰკითხეს. 4. C და D ვაჰარნო თუ ვინ ხართ. 5. ასე C და D; G გმელთა სინათლეო (შუად. კაკ<sup>1</sup> 986.3 და უგ 1030.3). 6. C და D ამოგე. 7. I მხსნელი. 8. F გვი-სხენ; C და D გვექონან.

- 59 ჩვენ აქა ვპოვეთ ზღვის პირსა კაცი უსულოდ მდებარე.  
 ვუშველეთ. ენა მოეცა სიტყვისა გამოგებარე.  
 ვაკითხეთ თუ: „ვინ ხარ, ღარიბო, რასა საქმისა მძებარე?1“  
 ვკითხრა თუ: „შეხვალთ, დაგვოცენ! — კიდე ცოცხალ-ვართ  
 [მე ბარე?!“
- 60 თქვა: „ქარავანი ეგვიპტით გამოვემართენთ ერითა,  
 ზღვასა შევედით ტვირთულნი ღარიბთა მრავალ-ფერითა.  
 მუნ მეკობრეთა დაგვოცენს ძელით<sup>2</sup> საკნისის წვერითა.  
 ყველაი წარკდა, არ ვიცი, აქა მოსრულ-ვარ მე რითა!“
- 61 ლომო და მზეო, ესეა მიზეზი აქა დგომისა.  
 დაბრუნებითა გვეცემის ზიანი ას<sup>3</sup> - საზომისა.  
 შევიდით, ვა თუ დაგვოცენ<sup>4</sup>. — ძალი არა გვაქვს ომისა.  
 ვერ<sup>5</sup> მდგარ-ვართ<sup>6</sup>, ვერცა წასრულ-ვართ, ღონე წაგვსვლია რჩო-  
 [მისა.“
- 62 ყმამან უთხრა: „ვინცა კმუნავს, ცუდია და ცუდად ცდების.  
 რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვცდების.  
 მე მივინდობ სისხლთა თქვენთა. შემოვისხამ, დაცამწვეთების!“  
 ვინცა გებძვის, კრმალი ჩემი მბრძოლთა თქვენთა დააცდების!“
- 63 მოქარავენნი აივსეს სიხარულითა დიდითა.  
 თქვეს: „ყმა ვინმეა, ჭაბუკი, არ<sup>7</sup> ჩვენებრი-ვე,<sup>7</sup> — რიდიითა.  
 აქვს თავისაგან იმედი, ვიყვნეთ გულითა მშვიდიითა.“ —  
 შევიდეს, ჩასხდეს ხომალდსა, გამართეს ზღვისა კიდიითა.
- 64 სიამოვნისა დარითა იარეს არ სიძნელითა.  
 მათი ბადრაგა ავთანდილ უძღვის გულითა ქველითა.  
 გამოჩნდა ნავი მეკობრე ღროშითა მეტად გრძელითა.  
 მას ნავსა ნავთა სალეწად საკნისი ჰვია ძელითა.

1. კაკ<sup>1</sup> 988.3 მდებარე. 2. ინგ 1033.3 ძელ-სახნისისა; სხვა ონ და დგ ძე-  
 ლის(?) სახნისის. 3. კაკ<sup>1</sup> 990.2 და უგ 1034.2 არ—. 4. კაკ<sup>1</sup> 990.3 დაგვოცენ.  
 5. უგ 1034.4 ვერცა ვდგათ; კაკ<sup>1</sup> 990.4 ვერც ვდგავართ; სხვა დგ და ონ ვერ  
 ვდგავართ. 6. ასე კაკ<sup>1</sup> 991.4; სხვა დგ და ონ დაცამწვეთების. 7. უგ 1036.2 არა  
 ჩვენებრე.

- 65 ჰკიოდეს და მოდიოდეს, იზახდეს და ბუკსა ჰკრესა.  
შეუშინდა ქარავენი მათ ლაშქართა სიდიდესა.  
ყმაძან უთხრა: „ნუ ეშიშვით<sup>1</sup> თქვენ იმათსა<sup>1</sup> სიალფესა!  
აწუ დაეკოც მათ<sup>2</sup> ყველასა,<sup>2</sup> ან სიკვდილი ჩემი დღეს ა“
- 66 უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებნენ<sup>3</sup> კმელთა სპანი.  
განგებაა, — არ<sup>4</sup> დაერჩები,<sup>4</sup> ლახვარნია ჩემთვის მზანი. —  
ვერ მიკსნიან<sup>5</sup> ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი,<sup>6</sup> ვერცა ძმანი.  
ვინცა იცის ესე ასრე, ჩემებრევა გულოვანი.
- 67 თქვენ, ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ. ომისაცა უმეცარნი.  
შორს ისრითა არ დაგხოცენ, — ჩაიკშენით<sup>7</sup> თანა კარნი!  
მარტო მნახეთ, ვით შევება, ვით ვიკმარნე ლომნი-მკლავნი.<sup>8</sup>  
მეკობრეთა<sup>9</sup> ნავისათა<sup>9</sup> სისხლნი ჰნახნეთ მონაღვარნი!<sup>14</sup>
- 68 ჩაიცვა ტანსა<sup>10</sup> აბჯარი ქცევითა ვეფხებრ-მკრჩხალითა.  
მას ხელთა კეტი რკინისა ჰქონდა, — კელითა ცალითა.  
ნავისა თავსა გულითა წადგა შიშ-შეუვალითა. —  
ვითა მჭერეტელნი ჰვრეტითა, მტერნი დაკოცნა კრმალითა! —
- 69 კიოდეს იგი ლაშქარნი, კმა მათი არ გაწყდებოდა.  
აძგერეს ძელი, რომელსა ზედან საკნისი ჰგებოდა.  
ყმა ნავის თავსა უშიშრად ქვე-დგა, ართუ-რე კრთებოდა.  
კეტი ჰკრა, ძელი მოსტეხა, — ლომს<sup>11</sup> მკლავი არ უდრკებოდა:<sup>11</sup>
- 70 მათ ლაშქართა გულ-უშიშრად ასრე ჰკოცდა ვითა თხსა, —  
ზოგი ნავსა შეანარცხის, ზოგსა ჰყრიდა შიგან ზღვასა.  
ერთმანერთსა შემოსტყორცის, რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა.  
დაკოდლნი<sup>12</sup> მკედართა შუა<sup>13</sup> იმაღვიან, — ჰმაღვენ კმასა.<sup>14</sup>

1. ინგ 1038,3 იშიშვით... იმათსა; ვარ. იშიშვით .. ამათსა. 2. F, C და D იმ ყველასა; G იმ ყველასა(?); I განგებითა; აბ 905,4 ამათ ყველას. 3. ზოგი გნ და დგ შეცამებნენ(?). 4. I დღესცა მომკლავს (შეად. კაკ<sup>1</sup> 995,2); F აწცა მომკლავს. 5. C და D დამკსნიან. 6. G მოყმენი. 7. ზოგი გნ და დგ ჩაიგრჩენით 8. ინგ 1040,3 მზარნი. 9. კაკ<sup>1</sup> 996,4 ღმერთსა უნდეს. მეკობრეთა; აბ 907,4 და სხვ. მეკობრისა ნავისანი. 10. კაკ<sup>1</sup> 997,1 ტანთა. 11. C, D და I სხვით არათ არ მოსტყედებოდა; C სხვად არად არ მოსტყედებოდა; F სხვით არას არ მოსტყედებოდა; კაკ<sup>1</sup> 998,4 სხვით არად არ მოსტყედებოდა. 12. ასე I (შეად. უიქ 1107,4); F ვინც ხრდალია; C და D დამალულნი; აბ 910,4 ვინც რჩოპილა. 13. C და D თანა. 14. I კმაღლსა(?).

- 71 გაუმარჯვედა ომი მათი ვითა სწადა მისსა გულსა.  
 ზოგთა ჰკადრეს ზენაარი: „ნუ დაგვხოცო, შენსა სჯულსა!“  
 არ დაკოცნა, — დაემონა<sup>1</sup> დარჩომოდა რაცა წყლულსა.  
 მართლად უთქვამს<sup>2</sup> მოციქულსა: „შიში შეიქმს სინანულსა.“<sup>4</sup>
- 72 მუნ ავთანდილ საჭურჭლენი მათეულნი დიდნი ნახნა.  
 ნავი ნავსა შეატყუბა, ქარავენსა დაუზახნა.  
 უსამ ნახა მხიარულმან,<sup>5</sup> — გაეხარნეს არ იახნა, —  
 ჰკადრა ხოტბა ქებად მისად, სასახაენი დიდნი სახნა.
- 73 მოეგებნეს, აკოცებდეს თავსა, პირსა, ფერკთა, კელსა,  
 ჰკადრეს ქება უსაზომო მას ტურფასა საქებელსა,  
 ვისი<sup>6</sup> კვრეტა გააშმაგებს კაცსა ბრძენსა ვითა ხელსა:  
 „შენგან დავპრჩით ჩვენ ყველანი ფათერაკსა ეგზომ ძნელსა!“<sup>8</sup>
- 74 ყმამან უთხრა: „მადლი ღმერთსა შემოქმედსა, არსთა მხადსა.<sup>7</sup>  
 ვისგან<sup>8</sup> ძალნი ზეციერინი განაგებენ აქა ქმნადსა!“<sup>9</sup>  
 იგი იქმან ყველაქასა, — იღუქალსა, ზოგსა ცხადსა.  
 კამს ყოვლისა დაჯერება, ბრძენი სჯერა მოწინედსა.
- 75 ღმერთმან სულსა ეგოდენსა თქვენ გათრივა სისხლი თქვენი.  
 მე გლახ, რა ვარ? — მიწა ცუდი! თავით ჩემით რამცა ვქმენი! —  
 აწ დავხოცენ მტერი თქვენნი, გავასრულე რაცა ვთქვენი, —  
 ნავი სრულად<sup>10</sup> საქონლ რთა მომილია!<sup>11</sup> ვითა ძღვენი.“
- 76 იგი ნავი მეკობრეთა მას დღეს ნახეს, არ ახვალეს.  
 მუნ დებულთა საჭურჭლეთა ამარიმცა ვით დათვალეს!  
 მათსა ნავსა გარდმოიღეს, — ნავი სრულად გარდმოცალეს,  
 დაღწეეს და ზოგი დაწეეს, შეშა დრამად არ გაცვალეს.

1. გნ და დგ დაიმონა. 2. ასე G და I; A, B, C, D და F იტყვის (შეად. დგ).  
 3. G და I მოციქულთა; A, B, C და D მოციქული; F მეცნიერი (შეად. დგ).  
 4. გნ და დგ სიყვარულსა(?). 5. კაკ<sup>1</sup> 1002.3 და უგ 1047,3 მხიარული. 6. გნ და  
 დგ მისი. 7. კაკ<sup>1</sup> 1004,1 მხედსა; აბ 915,1 შეადსა(?). 8. კაკ<sup>1</sup> 1004,2 და უგ 1050.2  
 ვისცა(?). 9. კაკ<sup>1</sup> 1000,4 ქნადსა(?). 10. G და I სახეს. 11. უგ 1051,4 მიმილია(?).

- 77 ავთანდილს უსამ მოართვა ვაჰართა შემოთვლილობა:  
„შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩვენ ვიციტ ჩვენი ცვილობა.<sup>1</sup>  
რაცა გვაქვს, იგი შენია, ამას არ უნდა ცვილობა.  
რასაცა მოგვეცემ, გვიბოძე, — გვიქმნია აქა ყრილობა.“
- 78 ყმამან შესთვალა: „ჰე ძმანო, წელანცა<sup>2</sup> მოვისმენია, —  
ლმერთსა შეესმა ნაკადი რაცა თქვენ თვალთა გდენია.  
მან დაგარჩინნა, — მე რა ვარ? მე, გლახ რა მომიღებენია?!  
რა გინდა<sup>3</sup> მომცეთ, — რას ვაქნევ? — მე ვარ და ჩემი ცხენია!
- 79 მე თუცა<sup>4</sup> რაცა<sup>4</sup> მინდოდა საჭურჭლე დასადებელი,  
ჩემსაცა მქონდა ურიცხვი, — უსახო ლარ-საგებელი.  
რას ვაქნევ თქვენსა? — არ<sup>5</sup> მინდა, ოდენ ვარ თქვენი მხლებელი.  
სხვაგან რამე მიც სხვა საქმე თავისა წასაგებელი.
- 80 აწვე<sup>6</sup> რაც<sup>6</sup> აქა ვიშოვე საჭურჭლე დაუთვალავი,  
რაცა ვის გინდა წაიღეთ,<sup>7</sup> — არვისი ვიყო მლაღავი.  
ერთსა ვიაჯი, მიაჯეთ სააჯო არ-საკრძალავი:  
საქმე რამე მიც თქვენს შიგან თავისა დასამალავი.
- 81 უმამდის ჩემსა ნუ იტყვიტ არ-თქვენსა-პატრონობასა.  
„თვით თავალია ჩვენი“, თქვით,<sup>8</sup> ნუ მიკმობთ ჭაბუკობასა.  
მე სავაჭროსა ჩაეცვამ, დავიწყებ ჯღუბაჩობასა.<sup>9</sup>  
თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა ძმობასა!“
- 82 ესე საქმე ქარავანსა გაეხარნეს მეტად დია.  
მოვიდეს და თაყვანის-სცეს, ჰკადრეს: „ჩვენი იმედია,  
რაცა აჯად<sup>10</sup> ჩვენ გემართებდა, იგი თქვენვე გაიჯდია,<sup>11</sup> —  
მას ვჰმსახუროთ, ვისი პირი მზისა პირად გაგვიცდია!“

1. ასე უგ 1054.2; ჰიჭ 1117.2 ცვილობა; სხვა დგ და გნ ფლიდობა(?).  
2. ვარ. ძოდანცა. 3. ინგ 1055.4 გინდ რა. 4. უგ 1056.1 თუმცა რამცა(?); ინგ 1056.1 თუცა რამცა. 5. ინგ 1056.3 რად; სხვა გნ და დგ რა(?). 6. კაკ<sup>1</sup> 1011.1 და უგ 1057.1 აწ რაცა. 7. კაკ<sup>1</sup> 1011.2 აიღეთ. 8. ასე ინგ 1058.2; C, D, G და I-თქო (შეად. კაკ<sup>1</sup> 1012.2). 9. C, D და ვახტ ჩუბაჩობასა. 10. გნ და დგ აჯა. 11. <გი-აჯად-(ებ)-ია.

- 83 მუნით წავიდეს, იარეს, არ თუ-რე ხანსა ზმიდიან.  
მიჰხედეს ტაროსსა ამოსა, ნიადგა ამოდ ვლიდიან.  
შეჰფრინვიდიან ავთანდილს, ქებასა შესახმიდიან.  
მას მარგალიტსა მართ<sup>1</sup> მისთა<sup>1</sup> კბილთავე ფერსა სძლენიდიან.
- 84 ზღვა გაიარა ავთანდილ, მივა ტანითა მქევრითა. —  
ნახეს ქალაქი მოცული გარე ბალისა ტევრითა,  
გვარად უცხონი ყვავილნი ფერითა ბევრის<sup>2</sup> - ზევრითა. —  
მის ქვეყანისა სიტურფე რა გაგაგონო<sup>3</sup> მეგ,<sup>4</sup> რითა!<sup>4</sup> —
- 85 მათ ბალთა პირსა დაბეს ნავი საბლითა სამითა.  
ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცენა, დაჯდა სკამითა.  
მოასხნეს კაცნი მზიდავნი, დამიზღებულნი<sup>5</sup> დრამითა.  
იგი ყმა ვაჭრობს, თამაღობს და თავსა ჰმალავს ამითა.
- 86 მოვიდა მისი მებაღე ბალსა ეახლნეს რომელსა.  
მას ყმასა უჭვრეტს შეფრფინვით პირსა ელვათა მკროთომელსა.  
ავთანდილ უკმო, ეუბნა კაცსა არ სიტყვა<sup>6</sup> - მცდომელსა:  
„ვისნი ხართ, ვინ ხართ, რა ჰქვიან მეფესა აქა მჯდომელსა? -
- 87 წვრილად მითხარ ყველაკაი,“ ყმა მას კაცსა ეუბნების, —  
„რა ლარია უფრო ძვირად, ან იეფად რა იკნების?“  
ჰკადრა: „ეხედავ პირსა<sup>7</sup> თქვენსა,<sup>7</sup> — მზისა პირად<sup>8</sup> მემეცნების<sup>10</sup>  
რაცა ვიცი, მართლად გკადრებ, მრული არრა არ გემცნების:
- 88 ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა სავლითა,  
თვით, — გულანშაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა:  
აქ<sup>10</sup> მოდის ტურფა ყვილიაი ნავითა ზღვა-ზღვა მავლითა.  
მელიქ სურხავი კელმწიფობს, სრული სევითა და დავლითა.

1. კაკ<sup>1</sup> 1014,4 და უგ 1060,4 მას ყმასა; სხვა დგ და გნ მის ყმისა. 2. G მე-ტად (შეად. კაკ<sup>1</sup> 1015,3 და უგ 1061,3). 3. ასე C, D, F და G (შეად. კაკ<sup>1</sup> 1015,4 და უგ 1061,4); აბ 926,4 გაიგონო. 4. ასე უგ 1061,4; C, F და G ენითა; აბ 926,4 შენ, რითა. 5. ასე უგ 1062,3; ზოგი დგ და გნ დამზადებულნი(?). 6. ვახტ სიტყვის—. 7. ასე I (შეად. 1018,3 და უგ 1064,3); G პირი თქვენი; აბ 929,3 და უიჰ 1127,3 პირი შენი. 8. I მსგავსად. 9. I მე მეცნების. 10. კაკ<sup>1</sup> 1019,3 აქა ძეს.

- 89 მე ვარ მებაღე უსენის, ვაჭართა უზუცესისა.  
თვით ესე ბალი მისია, თქვენი სადგომი დღესისა.<sup>1</sup> —  
ესეცა გკადრო ამბავი, — საქმე მისისა წესისა:  
პირველ მას ჰმართებს ჩვენება ყოვლისა უტუტრფესისა.
- 90 რა შემოვლენ დიდ - ვაჭარნი, მას ჰნახვენ და ძღვენსა სძღვნიან,  
უჩვენებენ რაცა ჰქონდეს, სხვაგან<sup>2</sup> ლარსა<sup>2</sup> ვერ ვაკსნიან.<sup>2</sup>  
უტუტრფესთა სეფედ დასხმენ, — ფასსა მუნვე დაუთვლიან.  
მათ მაშინვე ააზატებს, ვითა სწადდეს გაჰყიდიან.<sup>3</sup>
- 91 თქვენებრთა საბატითა მისგან კამს<sup>4</sup> გამოსვენება;  
გამოგებვა და წაყვანა მას ჰმართებს, — თქვენი ქენება.  
დამყენებულთა უბრძანებს, ჰმართებდეს ვის დაყენება. —  
აწ იგი აქა<sup>5</sup> არ არის, რას მარგებს მისი კსენება. —
- 92 ფატმან-ხათუნ შინა არის, ხათუნი და ცოლი მისი,  
პურად კარგი მასპინძელი, საყვარელი,<sup>6</sup> არ თუ მქისი.  
მას ვაცნობო მოსვლა თქვენი, წაგიყვანოს ვითა თვისი.  
წინა კაცთა მოგაგებებს, ქალაქს<sup>7</sup> შეხვალ ნათლივ,<sup>7</sup> დღისი.
- 93 ავთანდილ უთხრა: „წადითო, აგრე ქმნენ რაცა გწადიან.“  
მებაღე მირზის,<sup>8</sup> იხარებს,<sup>9</sup> ოფლნი მკერდამდის ჩადიან.  
ხათუნსა უთხრა ამბავი: „მე ესე დამიქადიან, —  
ყმა მოვა, ვისნი<sup>10</sup> მკვრეტელთა შუქნი მზედ განიცადიან!
- 94 ვაჭარი ვინმე პატრონი არს ქარავნისა დიდისა,  
საროსა მსგავსი ნაზარდი და<sup>11</sup> მთვარე<sup>11</sup> დღისა შევიდისა!  
ჰშვენის ჯუბა და მოხვევა ძოწეულისა რიდისა.  
მე<sup>12</sup> მიკმო,<sup>12</sup> მკითხა ამბავი და ნირი ლართა სყიდვისა.<sup>13</sup>“

1. კაკ<sup>1</sup> 1022,3 დღეს ისა. 2. F ლარსა ყველას გარდასთვლიან. 3. ინგ 1069,4 დაყიდიან. 4. ინგ 1070,1 მათგან ხაშს; სხვა დგ და გნ მათ ჰმართებს. 5. G და I შინა. 6. F, G და I მზიარული (შეად. კაკ<sup>1</sup> 1025,2 და უგ 1071,2); სხვა ან და ვახტ სიყვარული(?) 7. F ნათლად შეხვალ ქალაქს. 8. F ჩარბის. 9. C, D და F ახარებს 10. გნ და დგ მისთა. 11. G და I მთვარეა. 12. G და I მიმიგმო (შეად. კაკ<sup>1</sup> 1027,4 და უგ 1073,4). 13. ასე აბ 936,4 და სხვ.; ვარ. სყიდისა.

- 95 ფატმან-ხათუნს გაეხარნეს, გააგება მონა ათი.  
მოუკაზმა<sup>1</sup> ქარვასრანი<sup>2</sup>, დააყენა ბარგი მათი.  
შემოვიდა ლაწვი-ვარდი, ბროლ-ბადახში, მინა-სათი.  
მისთა მჭერტთა დაუსახნეს ვეფხსა ტოტი, ლომსა თათი.
- 96 ფატმან, ცოლი უსენისი, გაეგება კართა წინა.  
მზიარულმან<sup>3</sup> უსალამა, სიხარული დაიჩინა.  
ერთმანერთი მოიკითხეს, შევიდეს და დასხდეს შინა. —  
ფატმან-ხათუნს მოსვლა მისი, შე-ვით-ვატყვე, არ ეწყინა! —
- 97 ფატმან-ხათუნ — თვალად მარჯვე, არ ყმაწვილი, მაგრა<sup>4</sup> მზმელი,  
ნაკეთად კარგი, შავ-გვრემანი, პირ-მსუქანი, არ<sup>5</sup> პირ<sup>5</sup> — კმელი,  
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი. —  
ღია ედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი.
- 98 მას ლამესა ფატმან-ხათუნ უმასპინძლა მეტად კარგა.  
ყმაძან უძღვნა ძღვენი ტურფა, მიმღებელთა თქვეს თუ, — ვარგა!  
ფატმანს მისი მასპინძლობა უღირს, — ლმერთო, რა<sup>6</sup> დაკარგა?!  
სვეს და ჭამეს, — დასაწოლად ყმა გავიდა ღამით გარ, გა. —
- 99 დილასა ლარი ყველაი უჩვენა, — გააკსნევენა.  
ტურფანი სეფედ გარდასხნა, ფასიცა დაათვლევინა.  
ვაჭართა უთხრა: „წაიღეთ, — აპკიდა, გააწვეინა.  
„თქვენ ვითა გინდა ვაჭრობდით, ნუ გამამჟღავნებთ<sup>7</sup> მე, — ვინ ა.“
- 100 ყმა ვაჭრულად იმოსების, არ ჩაიცვამს არას<sup>8</sup>მისისა.  
ზოგჯერ უკმის ფატმან მისსა, ზოგჯერ იყვის ფატმანისსა.  
ერთგან სხდიან, უბნობდიან საუბარსა არა მქისსა. —  
ფატმანს ჰკვლიდის<sup>9</sup> უმისობა, რამინისა ვითა ვისსა.

1. G და F მოუკაზმა (შეად. აბ 937,2); C, D და I მოუკაზმეს. 2. ასე C, D და I; G და F ქარვასლანი; სხვა ან და დგ ქარვასრანი. 3. F, G და I მზიარულად (შეად. კაკ<sup>1</sup> 1030,2 და უგ 1076,2). 4. F კარგად. 5. F არა თუ. 6. ან და დგ არ(?). 7. ასე I (შეად. კაკ<sup>1</sup> 1033,3 და უგ 1079,4); C, D და F თქვა (შეად. აბ 942,4 და უიუ 1142,4). 8. ასე I (შეად. კაკ<sup>1</sup> 1033,4 და უგ 1079,4); C, D და F გამაცხადებთ; აბ 942,4 და უიუ 1142,4 გამამჟღავნებთ. 9. ასე C, D, F, G და I; ვახტ არა(?). 10. I ჰკვლევდის; G კვლედა; C და D ჰკვლიდა (შეად. აბ 943,4).

ქ ა რ ი მ ე უ ვ ი დ ე .

ავთანდილისაგან ნესტანდარეჯანის ამგის ცნობა.

“ ფატმანის გამიჯნულება ავთანდილისათვის. -- ზოკვლა ავთანდილისაგან ჭაშნავგირისა, ფატმანის საყვარელისა. -- ფატმანის ნაამბობი: ფატმანისაგან ზანგთაგან წაგვრა ნესტანდარეჯანისა და დამალვა. -- ფატმანის ქმრის უსენისაგან საიდუმლოების გამხელა ზღვათა მეფის წინაშე, ნესტანდარეჯანის სასახლეს მიყვანა და მეფის ძის საცოლოდ დაწინდვა. -- ნესტანდარეჯანის გაპარვა და გაქცევა ფატმანისაგან. -- ნესტანდარეჯანის შეპყრობა ქაჯთაგან, დაწინდვა მისი ქაჯთა უფლისწულის საცოლოდ და ტყვეობა მისი ქაჯეთის ციხეში. -- ფატმანისა და ავთანდილისაგან კვლავ ცნობა ნესტანდარეჯანის ამბისა ქაჯეთის ციხითგან. -- ავთანდილის წასვლა ტარიელთან.

- 1 ფატმან-ხათუნს ავთანდილის გულსა ნდომა შეუვიდა. სიყვარული მეტის-მეტი მოემატა, ცეცხლებრ სწვიდა. დამალვასა ეცდებოდა ჭირთა; მაგრა<sup>1</sup> ვერ მალვიდა. იტყვის: „რა ექმნა, რა მერგების!“ — აწვიმებდა ცრემლსა,<sup>2</sup> ღვრიდა.
- 2 „მიღმა ვუთხრა, ეა თუ გაწყურეს, შეხედვაცა დამიძვირდეს! თუ არ<sup>3</sup> ვუთხრა,<sup>3</sup> რაგვარ<sup>4</sup> გავძლო,<sup>5</sup> — ცეცხლი უფრო გამიკ-  
[შირდეს! —  
ვთქვა და მოვკვდე ანუ დავრჩე, — ერთი რამე გამიპირდეს! —  
მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას რაცა სჭირდეს!“
- 3 დაწერა წიგნი საბრალო მის ყმისა მისართმეველი, მისისა მიჯნურობისა, მისთა პატიყთა მცნეველი, მისთა მსმენელთა გულისა შემძრველი, შემარხეველი, — უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახეველი:

1. გნ და დგ მაგრა ჭირთა. 2. კაკ<sup>1</sup> 1036.4 ცრემლთა. 3. ასე G და I (შეად. კაკ<sup>1</sup> 1037,2 და უგ 1083,2); სხვა გნ და დგ არა ვთქვა. 4. F ველარ (შეად. აბ 946,2). 5. ასე F, G და I; ზოგი გნ და დგ გავძლებ.

- 4 „ჰე მზეო, ღმერთსა ვინათგან მზედ სწადდი დასაბადებლად,  
 მით შეგქმნა<sup>1</sup> მოშორებულთა ჰირთა,<sup>2</sup> არ<sup>2</sup> ლხინთა<sup>2</sup> მზადებლად,<sup>3</sup>  
 ახლოს შემყრელთა დამწველად, მათად ცეცხლისა მადებლად! —  
 მნათობთა შენი შეხედვა ტკბილად უჩნს,<sup>4</sup> დასაქადებლად.
- 5 შენ გტრფიალობენ მქერეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდებიან.  
 ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არ<sup>6</sup> შენზედა<sup>5</sup> კრფებიან!<sup>6</sup>  
 შენი შორეობა<sup>7</sup> ყვავილთა აქნობს, ჩემნიცა<sup>8</sup> ჰუნებიან!<sup>9</sup>  
 სრულად დამზრალვარ,<sup>10</sup> თუ მზისა შუქნი არ მომესწრებთან!
- 6 ღმერთი მყავს მოწმად, ვიშიში თქვენსა ამისსა თხრობასა.  
 მაგრა რა ვირგო<sup>11</sup> დღე-კრულმან, სრულად გაყრილვარ<sup>12</sup> თმო-  
 [ბასა.<sup>13</sup>
- გული ვერ გასძლებს ნიადაგ შავთა წამწამთა სობასა! —  
 თუ რას მეწვიე, მეწივე, თვარა მივჰკლები<sup>14</sup> ცნობასა.<sup>15</sup>
- 7 მე ვირე ამა წიგნისა პასუხი მომივილოდეს,  
 ვცნობდე, — გინდოდე საკლავად, ან ჩემი რა<sup>16</sup> გაგვილოდეს,<sup>16</sup>  
 მუნამდის გავძლო სულთა-დგმა, გული რაზომცა მტკიოდეს. —  
 სიცოცხლე ანუ სიკვდილი გარდმიწყდეს ნეტარ-ძი ოდეს?!

1. ასე G და F; C და ვახტ ჩემგან(?) (შეად. აბ 948,2). 2. ასე G და I; F ლხინთა, არ ჰირთა; C და ვახტ ლხინად, არ ჰირთა (შეად. აბ 948,2). 3. ან და დგ მზადებლად(?). 4. F სჩანს; I თქვეს. 5. K არა შენზედ. 6. ასე C, D, I და K; F ბნდებიან; G სხდებიან. 7. ან და დგ შფენება(?). 8. C, F, G და I ჩემნიცა; სხვა ან და დგ და ჩემიც, ჩემნიც. 9. I ჰუნდებიან. 10. ან და დგ დამწვარვარ(?). 11. F ვარგო. 12. C და D გაყერივარ (შეად. აბ 950,2 გავჰყრივარ); F გაყერილვარ; I მივბდივარ; G მიბდილვარ. 13. G და I ცნობასა. 14. ასე C და D (შეად. აბ 950,4); F და I მივბდილვარ; G ნუ მწუკე. 15. G თმობასა. 16. ასე C და D (რამ); B გაღავლენოდეს; G და I რამ გავილოდეს (შეად. კაკ<sup>1</sup> 1052,2); აბ 951,2 და ჰუი 1151.2 გავივლოდეს; უგ 1082,2 რა გგავივლოდეს(?).

- 8 ფატმან-ხათუნ დაწერა და გაუგზავნა წიგნი მყისი.<sup>1</sup>  
ყმამან ასრე წაიკითხა, ძმა<sup>2</sup> ვინმეა ანუ თვისი.  
თქვა: „არ იცის, გული ჩემი<sup>3</sup> ვის<sup>4</sup> აშიკობს,<sup>5</sup> — ვისა მისი!<sup>6</sup>  
რომე მიმიჩნს<sup>7</sup> სამიჯნუროდ, რად ვამსგავსო მე მას ისი!<sup>8</sup>
- 9 ესე-გვარი, საზრახავი, დაუზრახა<sup>9</sup> გულსა შინა. —  
მერმე იტყვის: „ჩემი<sup>10</sup> შემწე<sup>10</sup> ჩემგან კიდე<sup>10</sup> არავინ ა!  
რასათვისცა გარდმოჭრილვარ, მისი ძებნა რათგან მინა,  
რათაცა<sup>11</sup> ვით ვჰპოვებ, მას ვიქმ, გულმან სხეამცა რა ისმინა!
- 10 ისი დიაცი აქა ზის, კაცთა მნახავი მრავალთა,  
მოსადგურე და მოყვარე მგზავრთა ყოველგნით მავალთა,  
მივჰყვე, მიაბობს<sup>12</sup> ყველასა,<sup>12</sup> — რაზომცა<sup>13</sup> ცეცხლი მწვეავ<sup>13</sup>  
[ალთ<sup>13</sup> ა.<sup>13</sup>  
ნუ თუ რა მარგოს, — მე მისთა<sup>14</sup> გარდაკდა ჩემგან<sup>15</sup> ცენა<sup>16</sup>  
[ვალთა!“
- 11 კვლა იტყვის: „ვერვინ ვერას იქმს, თუ ეტლი არ მოსთმინდების.<sup>17</sup>  
მით რაცა მინდა არა მაქვს, რაცა მაქვს არ მომინდების. —  
ბინდის ფერია<sup>18</sup> სოფელი ესე,<sup>18</sup> თურ<sup>19</sup> ამად<sup>19</sup> მბინდების.<sup>20</sup>—  
კოკასა შიგან რაცა დგას იგივე წარმოსდინდების!“

1. B და ვახტ ყმისი (შეად. აბ 952,1 და ჰიუ 1152,2); სხვა კნ და დგ მისი.  
2. ასე F; სხვა კნ და დგ და. 3. F ვისა. 4. F მე; სხვა კნ და დგ ვინ. 5. კნ და დგ  
მაშიკობს. 6. კნ და დგ ვის(ს)ა ვისი. 7. I და K მიჩანს; F მიჩანს, C და D მი-  
მიჩს. 8. ასე C, D, F, I და K; აბ 952,4 და სხვ. მისი. 9. ასე C, D, G და I; B და  
ვახტ დაუზრახავს (შეად. აბ 954,1 და ჰიუ 1154,1); F დაუზრახე. 10. ასე F, G  
და I; B, C და D ჩემგან კიდე ჩემი შემწე; K ჩემი შემწე შენგან კიდე; აბ 954,2  
და ჰიუ 1154,2 შენგან კაცი ჩემი შემწე(?). 11. G რათამცა. 12. F მიაბობს ყვა-  
ლასა; G მიაბობს ამბავი. 13. ასე G (ალთა) (შეად. ჰიუ 1155,3); I გამავალ-ზე-  
მომავალთა; აბ 955,3... მწვეავს ალთა. 14. კნ და დგ მისი(?). 15. G ჩემი(?). 16. G  
ცნა(?); I, ტ. 4: პირველვე ვათქმევ პირითა თავისა გადასავალთა. 17. F მომთ-  
მინდების. 18. ასე F, G და I (შეად. კაკ<sup>1</sup> 1048,3); B გვარია (შეად. აბ 597,3 და  
სხვ.). 19. F და G ეს თურე ამად (შეად. კაკ<sup>1</sup> 1048,3 და უგ 1094,3); B და I უფ-  
რო და უფრო. 20. კნ და დგ ბინდ(დ)ების.

- 12 მიუწერა: „წავიკითხე<sup>1</sup> შენი<sup>1</sup> წიგნი,<sup>1</sup> — ჩემი ქება.  
შენ მომასწარ, თვარა შენგან მე უფრო მჭირს ცეცხლთა დება.  
შენცა გინდა, მეცა მინდა განუწყველლად შენი ხლება.  
შეყრა არის პირიანი, ორთავეა რათგან ნება.“
- 13 ფატმანისა<sup>2</sup> ვერ ვიამბობ, მოემატა რა სიამე!  
მიუწერა:<sup>3</sup> „კმარის რაცა უშენომან<sup>3</sup> ცრემლი ვლამე!  
აწ ვიქმნები თავის წინა, აქა მპოვებ მარტოსა მე.  
მომისწრაფე<sup>4</sup> შეყრა შენი, რა შელამდეს, მოლი, — ლამე.“
- 14 მას ლამესვე, საწვეველი რა მიართვეს წიგნი ყმასა, —  
შელამდა და წაცავიდა, — სხვა ემთხვია მონა გზასა:  
„ამას ლამეს ნუ მოხვალო, ვერა მპოვებ შენთვის მზასა.“  
მას ეწყინა, არ დაბრუნდა, თქვა თუ: „ჰგავსო ესე<sup>5</sup> რასა!“
- 15 წვეული აღარ დაბრუნდა კვლა ზევე უკუ-წვევითა.  
ფატმან ზის წყენით, შევიდა ავთანდილ მარტო რხევითა.<sup>6</sup>  
ღიაცსა წყენა შეატყო, ნახა ფერ-შეცვლით.<sup>7</sup> რყევითა.<sup>7</sup>  
ვერ დაიჩინა შიშითა და მისითავე თნევითა.
- 16 ერთგან დასხდეს და დაიწყეს კოცნა ლაღობა წყლიანი.  
შემოდგა კარსა ყმა ვინმე კეკლუცი, ტან-ნაკვითიანი.  
შემოვლო ახლოს, შემოჰყვა მონა<sup>8</sup> კრმალ-დარაკიანი.<sup>9</sup>  
დაჰკრთა რა ნახა ავთანდილ, — ჰგავსო თუ, გზაა კლდიანი!
- 17 ფატმან რა ნახა, შეშინდა, ძრწის და მიეცა თრთოლასა,<sup>10</sup>  
მან გაკვირვებით უქვრიტა მათსა ლაღობა-წოლასა.  
უთხრა: „არ გიშლი ღიაცო, ფერთა მიდამო-კრთოლასა!<sup>11</sup>  
გავითენდების, განანებ მაგა მოყმისა ყოლასა!

1. K წიგნი შენი წავიკითხე. 2. ასე უგ 1096,1; სხვა დგ და გნ ფატმანისას.  
3. C, F, G და I მოეწერა(?): უშენომან, კმარის რაცა. 4. ასე ინგ 1096,4; სხვა  
გნ და დგ მოისწრაფე(?). 5. ასე F; სხვა გნ და დგ ვევე. 6. გნ და დგ ხე ვითა(?).  
7. გნ და დგ შესლევითა, შე—, ვითა. 8. F მოყმე. 9. F—კაპარტიანი. 10. გნ და  
დგ ძრწოლასა. 11. კაკ<sup>1</sup> 1054,3—კრთომასა.

- 18 გამკიცხე, ბოზო დიაცო, და დამდეგ გასათრეველად,  
მაგრა სცნობ ზვალე პასუხსა მაგა საქმისა მზღვეველად!  
ვარ შენთა შვილთა შენითა კბილთა დასაქმვეველად!  
დავშალო, წვერთა ფუ მიყავ, ხელი-ლა ვრბოდე მე ველად!“
- 19 ესე თქვა და კაცმან წვერთა მოიზიდნა განვლნა კარნი.  
ფატმან შექმნა თავსა ცემა, ლაწენი ესხნეს ნახოკარნი.  
ცრემლთა მისთა მონაღვართა<sup>1</sup> წყაროსებრნი<sup>2</sup> ისმნეს<sup>3</sup> წყარნი.  
თქვა: „დამქოლეთ, მოდიოთ, ქვითა მომადევით მონაყარნი!“<sup>4</sup>
- 20 მოსთქვამს: „მოვკალ, ჰაი,<sup>5</sup> ქმარი, ამოვწყვიდენ<sup>6</sup> წვრილნი შვილნი.  
იავარ-გყავ საქონელი, — უსახონი თვალნი თლილნი, —  
გავეყარე საყვარელთა! ვა, გამზრდელნი, ვა, ვაზრდილნი!  
ბოლოდ ვექმენ სახლსა ჩემსა, — სიტყვანია ჩემნი წბილნი!“
- 21 ამას ყველასა ავთანდილ ისმენდა გაცბუნებულნი.  
უბრძანა: „რა გჭირს, რას იტყვი, რასთვის ხარ ავრე ვებული?  
რას დაგეჟადა იგი ყმა, რა ნახა შენგან კლებული?  
დადუმდი, მითხარ, ვინ იყო, ანუ რად საქმედ რებული?“
- 22 დიაცმან<sup>7</sup> უთხრა: „ჰე ლომო, ზხელი ვარ ცრემლთა დენითა!  
ნურას ნუ მკითხავ ამბავსა, ვერცა რას გითხრობ ენითა.  
დავკოცენ შვილნი კელითა, მით ვარ აღარას ლხენითა!  
თავი მოვიკალ უთმინოდ სიყვარულითა შენითა!“
- 23 ესე-გვარი დია მიჰხედეს<sup>8</sup> სიტყვა - მცდარსა, ენა - მეტსა,  
ხვაშიაღსა<sup>9</sup> ვერ-დამბალავს,<sup>10</sup> უჭკუოსა, შმაგსა, რეტსა!  
„ვაგლახითა შეწივენით!“ — გეტყვი ყოვლსა ჩემსა მჭერეტსა.  
მკურნალმანცა ვერა ჰკურნოს თავისისა<sup>11</sup> სისხლსა მხვრეტსა!“<sup>11</sup>

1. G მონადენთა. 2. I წყაროსებრი; C და D წყაროსაებრი. 3. I ისმის.  
4. ვახტ მო, მაყარნი(!) (შუად. აბ 965.4); ჳიჳ 1165.4 მომაყარნი; კაკ<sup>1</sup> 1056.4 და  
უგ 1102.4 მომაყარნი(?). 5. F აჰი. 6. F ამოგსწყ იტნე; G, ტ. 1: ჰაი. აი. მოვ-  
ჰკალ ქმარი და შემდეგ.; C და D მოვკალ, ჰაი, ჰაი, ქმარი და შემდეგ.: I მოვ-  
ჰკალ თავი, ქმარი და შემდეგ.. 7. F ქალმან უთხრა: «აჰა, ლე მო... 8. კაკ<sup>1</sup> 1060.1  
მიხვდა. 9. ასე კაკ<sup>1</sup> 1060.2. ინგ 1106.2 ხვაშიადის; სხ\_ა დგ და გნ ხვაშიადთა.  
10. კაკ<sup>1</sup> 1060.2 ვერა მალავს; ინგ 1106.2 ვერ-მბალავსა. 11. გნ და დგ თავისისა  
სისხლის.

- 24 ორისაგან ერთი ჰქმენით, ამის მეტსა ნურას<sup>1</sup> ჰლამით: მო-ვითა-ჰკლავ<sup>2</sup> იმა კაცსა, — წადი, მოკალ მალეით, ღამით. მე და სრულად<sup>3</sup> სახლი<sup>3</sup> ჩემი დაკოცასა დაგვესენ ამით. მოხვალ, — გთხრობ ყველაკასა, მე<sup>4</sup> რითა<sup>4</sup> ვარ<sup>4</sup> ცრემლთა ღამით.
- 25 თვარა ღამითვე ტვირთები შენი წაიღე ვირითა, დამაგდე,<sup>5</sup> შენი საჭურჭლე<sup>5</sup> სხვაგან<sup>6</sup> მიკრიფე<sup>6</sup> კვირითა.<sup>6</sup> ეექვე, რომე ჩემთა<sup>7</sup> ცოდვათა<sup>7</sup> შენცა აგავსონ<sup>8</sup> ჰირითა: თუ დარბაზს მივა იგი<sup>9</sup> ყმა, შეილთა დამაქმვეს პირითა!<sup>10</sup>
- 26 ყმამან უთხრა: „კაცი მომეც მასწავლელად, წინამძღვარად, გზასა მართლად წამიყვანოს, თვარა<sup>12</sup> მეშველად<sup>12</sup> მინდა არად. იმა კაცსა ვერა ვჰხედავ მეომრად<sup>13</sup> და<sup>13</sup> ჩემად დარად. რაცა ვუყო, მოგახსენებ, მომიცადე, იყავ წყნარად.“
- 27 მას მისცა მონა დიაცმან წინამძღვრად, წაცამყვანელად.<sup>14</sup> კვლა<sup>15</sup> მი-ვე-ჰყვილა:<sup>15</sup> „ვინათგან ცეცხლი ცხელია<sup>16</sup> სანელად, თუ მო-ვითა-ჰკლა<sup>17</sup> იგი ყმა, — ჩემად<sup>18</sup> გულისა მფხანელად. — ბექედი ჩემი აცვია, — მას გვედრებ მოსატანელად.“
- 28 ავთანდილ განვლო ქალაქი მით უებროთა ტანითა. ზღვის პირსა სახლი<sup>91</sup> ნაგები<sup>19</sup> დგა<sup>19</sup> ქვითა წითელ-მწვანითა, ქვეშეთკენ სრითა ტურფითა, კვლა ზედათ<sup>20</sup> ბანის-ბანითა, დიდროვანითა, ტერფითა, მრავლითა,<sup>21</sup> თანის-თანითა.

1. გნ და დგ ნულარ(?). 2. B, I და K მოვითმოჰკლავ(!). 3. F უსენ, შვილი. 4. ინგ 1108,4 მოვითგითხარ; აბ 970,4 მე ვითა ვარ. 5. I დააგდე ჩემი საჭურჭლე; სხვა გნ და დგ დააგდე ჩემი მიდამო. 6. აბ 971,2 სრულად მიკრიფე, მი-რითა; K იყავ სხვა საქმე ნირითა; I სხვაგან მიკრიფე მირითა; სხვა გნ და დგ სრულად მი(ჰ)კრიფე მირითა. 7. B ჩემმან ცოდვამან. 8. B აგავსოს; F აგავსო. 9. ვარ. ისი. 10. B, F, G და I კბილითა. 11. გნ და დგ ფატმანს. 12. G, I და K თვარ მეშველად (შეად. კაკ<sup>1</sup> 1064,2). 13. ინგ 1110,3 მეომრად. 14. G, I და K და მასწავლელად (შეად. კაკ<sup>1</sup> 1065,1). 15. ასე G; I კვლავე მიჰყვილა; B, C, D და დგ კვლავე შეჰყვილა. 16. შეად ინგ 1111,2; G ცეცხლი ცხელია აწ ნელად (შეად. დგ); C და D ცეცხლი აწ ცხელია ნელად; I ცეცხლი ცხელია ა ნელად; B ცრემლი ცხელია აწ ნელად. 17. ასე C (შეად დგ); F და G თუ ვითა მოჰკლა. 18. G ჩემთვის. 19. C სახლნი ნაგებნი დგეს. 20. ზოგი გნ და დგ ზედა(?). 21. C მრავლისა.

- 29 მუნ მიჰყავს პირ-მზე აეთანდილ მას მისა წინამძღომელსა.  
კმა-მდაბლად ჰკადრებს: „ისია სრა მისი, ეძებ რომელსა.“  
უჩვენებს, ეტყვის: „ჰხედავო ბანსა<sup>1</sup> ზედათ<sup>1</sup> ქვე<sup>1</sup> მდგომელსა?  
იქი წევს ძილად, იცოდი, ანუ ქვე ჰპოვებ მჯდომელსა.“
- 30 კარსა წინა დარაჯანი ორნი უწევს მას, გლახ, ყმასა.  
ყმა გავიდა, გაეპარა, დაავდებდეს ვირე კმასა,  
თვითო კელი ყელსა მიჰყო, მუნვე მისცა სულთა-კდასა, —  
თავე თავსა შეუტაკა, გაურივა ტვინი თმასა.
- 31 იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანითა.  
კელ<sup>2</sup> - სისხლიანი აეთანდილ შედგა ტანითა ჯანითა.  
ველარ აესწრა, იღუმალ მოკლა, — ვერცა<sup>3</sup> თუ<sup>3</sup> ვცანიო!  
კელი მოჰკიდა, მიწასა დაასკენა, დაკლა დანიოთა.
- 32 მჭვრეტელთა მზე და მებრძოლთა მკეცი და ვითა-ზარია! —  
ბეჭდილთურ თითი მოჰკვეთა, ქვესკნელთ მიწათა<sup>4</sup> გარია,<sup>5</sup> —  
ზღვისაკენ<sup>6</sup> სარკმლით გატყორცა, ზღვისა ქვიშათა<sup>7</sup> გარია.  
მისთვის არცა<sup>8</sup> საღ<sup>8</sup> სამარე, არცა<sup>9</sup> სათხარად<sup>9</sup> ბარია. . .
- 33 რა ფატმანისსა მოვიდა<sup>10</sup> ლომი, მზე, მოყმე წყლიანი,  
უბრძანა:<sup>11</sup> „მოვკალ,<sup>11</sup> მან ყმაძან დღე ველარ ნახოს მზიანი!  
თვით მონა შენი მოწმად მყავს, — ფიცი აფიცე ღმრთიანი.  
აჰა თითი და ბეჭედი და<sup>12</sup> დანა<sup>12</sup> მტკნარ<sup>12</sup> - სისხლიანი!
- 34 აწ მითხარ თუ რას იტყოდი, რას<sup>13</sup> გაშმაგდი ისრე რეტად,  
რას გექაღდა ისი კაცი? — მესწრაფების მეტის-მეტად.“  
ფატმან ფერკთა მოეხვია: „არ<sup>14</sup> ღირს<sup>14</sup> ეარო<sup>14</sup> პირსა ჰვრეტად,  
გამიმრთელდა გული წყლული, აწლა<sup>15</sup> დაეჯღე<sup>15</sup> ცეცხლთა შრე-  
[ტად!

1. კაკ<sup>1</sup> 1067,3 ბანს ზედა ქვეო; აბ 976,3 ბანსა ზედა ქვე—; ჰიუ 1176,3 ბანსა ქვე ზედა; უგ 1113,3 ბანსა ზე-და-ქვე. 2. კაკ<sup>1</sup> 1069,2 თვალ—. 3. კაკ<sup>1</sup> 1069,3 და უგ 1115,3 თუ ვერცა. 4. ვარ. მიწასა. 5. გარია < გარეა. 6. ვარ. ზღვათაჟენ(ნ). 7. ვარ. ქვიშასა. 8. B, C, D და I არცადა; K ნუმცადა; G და F აღარცა. 9. I არცადა სათხარად; G არცა სათხრელად; B და არცა სათხარად. 10. გნ და დგ შევიდა. 11. კაკ<sup>1</sup> 1072,2 «მოვკალო», უთხრა. 12. ინგ 1118,4 და დანა ტარ—; კაკ<sup>1</sup> 1072,4 დანა მაქვს მე; აბ 981,4 და დანა მაქვს. 13. კაკ<sup>1</sup> 1083,1 რად. 14. უგ 1119,3 არა ღირს ვარ. 15. გნ და დგ ახლა დავეჯე.

- 35 მე და უსენი შეილითურთ აწ ახლად დავიბადენით.  
ლომო, ქებანი შენნიმცა ჩვენ ვითა ვადიადენით!  
ვინათგან სისხლთა იმისთა<sup>2</sup> დაღვრავე<sup>3</sup> დაიქადენით,<sup>4</sup>  
თავითგან გითხორობ ყველასა, თქვენ სმენად დაემზადენით.
- 36 — წესია<sup>5</sup> ამა<sup>6</sup> ქალაქსა:<sup>5</sup> დღესა მას ნაეროზობასა,  
არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა.  
ყოველნი<sup>6</sup> სწორად დავიწყებთ, კაზმვასა, ლამაზობასა.  
დიდსა შეიქმენ მეფენი პურობა-დარბაზობასა.
- 37 ჩვენ, დიდ ვაჭართა ზედა-გვაც დარბაზს მიღება ძღვენისა.  
მათ საბოძერისა ბოძება ჰმართებს მსგავსისა ჩვენისა.  
ათ დღემდი ისმის ყოველგან კმა წინწილისა, ებნისა,  
მოედანს მღერა, — ბურთობა, დგრიალი ცხენთა დგენისა.
- 38 ქმარი ჩემი დიდ-ვაჭართა წაუძღვების, უსენ, წინა.  
მათთა ცოლთა მე წავასხამ, — მაწვეველი არად მინა, —  
დედოფალსა ძღვენსა ვუძღვენით, — მდიდრად,<sup>7</sup> არ თუ გლახად<sup>8</sup>  
[ვინა!<sup>7</sup>  
დარბაზს ამოდ გავიხარებთ, მხიარულნი მოვალთ შინა.
- 39 დღე მოვიდა ნაეროზობა, დედოფალსა ძღვენი ვსძღვენით.  
ჩვენ მივართვით, მათ გვიბოძეს, ავაესენით,<sup>8</sup> ავიესენით.  
ჟამიერად მხიარულნი წამოვედით ნებით ჩვენით.  
კვლა დავსხედით, გახარებად<sup>9</sup> უნებურნი<sup>10</sup> არ ვიყვენით.

1. I და K უსენი; C უსენი (<უსენი). 2. კაკ<sup>1</sup> 1074.3 მისთაგან. 3 ასე აბ 983.3 და ჭიჭ 1183.3; კაკ<sup>1</sup> 1074.3 და უგ 1120.3 დაღვრასა. 4. აბ 982.3 და ჭიჭ 1183.3 დაიქადენით; კაკ<sup>1</sup> 1074.3 და უგ 1120.3 დაექადენით. 5 ასე G და I (შეად. აბ 984.1); სხვა გნ და დგ ამა ქალაქსა წესია. 6 კაკ<sup>1</sup> 1075.3 ყ ელაი 7. აბ 986.3 მდიდარი, თუ გლახა. ვინა; ინგ 1123.3 მდიდარი თუ გლახა ვინა. 8. კაკ<sup>1</sup> 1078.2 ავაესეთ და. 9. ინგ 1124.4 ნადიმობად. 10. ინგ 1124.4 მუნებურნი.

- 40 ბალსა შიგან თამაშობად სალამოსა<sup>1</sup> გაველ<sup>1</sup> ქამსა,  
გავიტანე ხათუნები, — მათი ჭმევა ჩემგან კამსა.  
მომყეობოდეს მომღერალნი, იტყოდინ ტკბილსა კმასა.  
ვიმღერდი და ვემაწვილობდი,<sup>2</sup> ვიცვალეზი რიდე-თმასა.
- 41 იქ ბალსა შიგან ტურფანი სახლნი ნატიფად გებულნი,  
მაღალნი, ყოვლგნით მხედველნი, ზღვაზედან წაკიდებულნი, —  
მუნ შევიტანენ ხათუნნი იგი, ჩემთანა ხლებულნი.  
კვლა დავიდევით ნადიმი, დავსხედით ამოდ, შვებულნი.
- 42 ვაქრის ცოლთა მხიარულმან<sup>3</sup> ვუმასპინძლე,<sup>3</sup> ამოდ დურად. —  
სმასა ზედა უმიზეზოდ გავკე რადმე<sup>4</sup> უგემურად.  
რა შემატყვეს,<sup>5</sup> გაიყარა<sup>6</sup> სხდომილ-იყო<sup>7</sup> რაცა<sup>8</sup> პურად.  
მარტო დავერჩი, სევდა რამე შემომქეტა გულსა მურად.
- 43 უკ-მოვახვენ<sup>9</sup> სარკმელნი<sup>10</sup> და შევაქცივე პირი ზღვასა.<sup>11</sup>  
ვიხედვიდი, ვიქარვებდი კაეშნისა<sup>12</sup> ჩემგან ზრდასა.  
შორს ამიჩნდა ცოტა რამე, მოცურვიდა<sup>13</sup> შიგან წყალსა.<sup>14</sup>  
მფრინველად ვთქვი ანუ მკეცად, სხვას ვამსგავსე<sup>15</sup> მემცა რასა!
- 44 მეშორვიდა,<sup>16</sup> — ვერად ვიცან, მომეახლა, — იყო ნავი.  
ორთა კაცთა ტანად შავთა, თვით პირიცა ედგა შავი.  
იქათ-აქათ მოსდგომოდეს ახლოს, უჩნდა ოდენ თავი,  
გამოვიდეს,<sup>16</sup> — გამიკვირდა იგი უცხო სანახავი:

1. ასე C და D; I სალამო ქამ—(შეად. კაკ<sup>1</sup> 1079,1); G სალამო ქამს. .; F გაველ სალამოსა; აბ 988,1 ... გავე. 2. G და I ვთამაშობადი (შეად. კაკ<sup>1</sup> 1079,4). 3. კაკ<sup>1</sup> 1081,1 და უგ 1127,1 ვუმასპინძლე მხიარულმან. 4. გნ და დგ რამე. 5. I ყველაკაი. 6. ასე C, D და I; F და G გაიყარნეს. 7. ასე C, D და F; I იყენეს. 8. F ვინცა. 9. ასე C და I (შეად. აბ 991,1); K უკმოვახჩევ; B უკმოვახარშევ; F უკმოვიხვენ. 10. ასე C და F; სხვა გნ და დგ სარკმელი. 11. უგ 1128,1 გზასა. 12. კაკ<sup>1</sup> 1082,2 კაეშანსა. 13. ვარ. მოცურევდა. 14. გნ და დგ ზღვასა. 15. აბ 991,4 სხვათ(?). 16. უგ 1129,1 მოშორვიდა; სხვა დგ და გნ მე შორიდამ. 17. C და D გამოვიდეს; I გამოვიდა.

- 45 გამოზიდეს იგი ნავი, გამოიღეს ბალსა<sup>1</sup> წინა, მიიხედეს, მოიხედეს, — ვინ ვეიჭერტსო, სადა<sup>2</sup> ვინ<sup>2</sup> ა. ვერა ნახეს სულიერი, ვერცა რამან შეაშინა. — მე იღუმალ ვიხედვიდი, სულ-ღებული ვიყავ შინა.
- 46 მით ნავიდალმა, <sup>3</sup> მით რომე გარდმოდგეს<sup>4</sup> კილობანიოთა, — აჰკადეს. — ქალი გარდმოკდა<sup>5</sup> უცხოთა რათმე<sup>6</sup> ტანიოთა, თავსა რიდიოთა შავიოთა, ქვეშეთ მოსილი მწვანითა. — მ'ზესა სიტურფედ ეყოფის, იყოს მისითა გვანითა!
- 47 რა მობრუნდა ქალი ჩემკენ, შემოადგეს სხივნი კლდესა. დაწვთა მისთა ელვარება ელვარებდა კმელთ<sup>7</sup> და ზესა.<sup>7</sup> დავიწუხენ<sup>8</sup> თვალნი, ყოლა ვერ შეეადგენ, ვითა მ'ზესა. უკ-მიეაკშეე<sup>9</sup> კარი, ჩემგან<sup>10</sup> მათი<sup>11</sup> ჰერეტა ვერა ცნესა.
- 48 მოვიკემნ ოთხი მონანი ჩემსა წინაშე მდგომელნი, ვუჩქვენე: „ჰხედავთ ინდოთა ტყვედ ჰყვანან შუქნი რომელნი? ჩაეპარენით, ჩაიდითო<sup>12</sup> წყნარად,<sup>13</sup> ნუ<sup>13</sup> ჩქარად<sup>13</sup>, მხლდომელნი. მოგყიდონ, ფასი მიეციოთ, რასაცა იყენენ მდომელნი.
- 49 თუ არ<sup>14</sup> მოგცენ,<sup>14</sup> ნულარ მისცემთ, წაჰგვარეთ<sup>15</sup> და<sup>15</sup> დაკოცენით<sup>1</sup> მოიყვანეთ ისი მთვარე, ჰქმენით კარგად, ეცადენით!“ ჩემნი ყმანი ზედა-დალმა ჩაეპარნეს ვითა ფრენით. დაევაჰრნეს, არ მოჰყიდეს, — შავნი ვნახენ მეტად წყენით.

1. G ბალთა. 2. ასე ჰიჭუ 1193.2; სხვა დგ და ან ვინა. 3. ვარ. ნავიდალმე. 4. ან და დგ გარდმოსვეს(?). 5. G და I გარდმოსვეს. 6. კაკ<sup>1</sup> 1085.2 და უგ 1131.2 რამე. 7. კაკ<sup>1</sup> 1086.2 და უგ 1132.2 ზესთა ზესა. 8. F, G და I დავიხუენ (შეად. კაკ<sup>1</sup> 1086.3). 9. G და K უკმოვიგშეე; F უკმოვიხრჩეე; C, D და ვახტ. უკმოვიგარჩ (შეად. აბ 995.4). 10. ასე C და D; სხვა ან და დგ ჩემკენ(5). 11. F ჩემი. 12. ასე G და I (შეად. აბ 996.3 და ჰიჭუ 1196.3); F, C და D ჩაედით (შეად. უგ 1133.3). 13. G და I ჩქარად ნუ მიხვალთ (შეად. კაკ<sup>1</sup> 1087.3 და უგ 1133.3); ინგ 1133.3 წყნარად, არ რამე. 14. ინგ 1134; I არ მოგყიდონ. 15. ასე ინგ 1134.1; ზოგი ან და დგ წაგვარენით.

- 50 მე სარკმელთა გარდავადებ, რა შევიგენ, არ მოჰყიდეს, შევეუზახენ: „დახოცენით!“ — დაიპყრეს<sup>1</sup> და თავთა<sup>2</sup> სკრიდეს. იგი<sup>3</sup> ზღვასა<sup>3</sup> შეასრიენეს, შემოადგეს ქალსა, სცვიდეს. ჩავეგებე, ამომგვარეს,<sup>4</sup> ზღვის პირს ხანსა არ დაზმიდეს.
- 51 რა გიამბო ქება მისი, — რა სიტურფე, რა ნაზობა! ვფიცავ რომე იგი მზეა, არა ჰმართებს მზესა მზობა!<sup>5</sup> ვინ განიცდის შუქთა მისთა, ვინმცა ვით ქმნა ნახაზობა! მე თუ დამწევას, აჰა, მზა ვარ, აღარ<sup>6</sup> უნდა ამას მზობა!<sup>7</sup>“
- 52 ესე სიტყვა დაასრულა, — ფატმან იკრა პირსა კელნი. ავთანდილსაც აეტირნეს, გარდმოყარნა<sup>8</sup> ცრემლნი ცხელნი. ერთმანერთი<sup>9</sup> დააეიწყდა,<sup>9</sup> მისთვის გაკდეს ვითა ხელნი. ღვარამან, ზედათ მონადენმან, გააწყალნა ფიფქნი თხელნი.
- 53 მოიტირეს, — ყმამან უთხრა: „ნულარ გასწყვედ, გაასრულე.“<sup>4</sup> ფატმან იტყვის: „მივეგებე, გული მისთვის ვაერთგულე, გარდუეყოცნე ყოვლი ასო, თავი ამდ მოვაძულე. ზედა დავსვი ტახტსა ჩემსა, შევეკვეთე, გავესულე.“<sup>10</sup>
- 54 ეპკითხე: „მითხარ, ვინ ხარ, მზეო, ანუ შეილი ვისთა ტომთა? იმა ზანგთა სით მიჰყვანდი შენ, პატრონი ცისა კომთა?“ მან პასუხი არა მითხრა მე სიტყვათა ესე-ზობთა.<sup>11</sup> ას-ნაკეცი წყარო ვნახე ცრემლთა მისთა მონაწევომთა.
- 55 რა მივაჭირვე კითხვითა, მეტითა საუბარითა. გულ-ამოკვინჩვით ატირდა მით რამე კმითა წყნარითა. ბროლ-ლალსა ღვარი ნარგისთათ<sup>12</sup> მოსდის გიშრისა ღარითა. მისი მჭვრეტელი დაეიწვი, გავკე გულითა მკვდარითა.

1. ასე C და D; აბ 998.2 დაიპყრეს; G და I შეიპყრეს. 2. ვარ. თავსა. 3. გნ და დგ იგინი ზღვას. 4. კაკ<sup>1</sup> 1089.4 და უგ 1135.4 გამოვკვეარე. 5. მზობა < მზე-ობა. 6. G არად; I არა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1090.4); უგ 1136.4 არლა. 7. მზობა < მზაობა 8. კაკ<sup>1</sup> 1091.2 გარდმოსცვიდეს. 9. კაკ<sup>1</sup> 1091.3 დააეიწყდა ერთმანერთი. 10. კაკ<sup>1</sup> 1082.4 გავესრულე(?). 11. კაკ<sup>1</sup> 1093.3 ამაზობთა. 12. ზოგი გნ და დგ ნარგისთა.

- 56 მითხრა: „შენ ჩემთვის, დედაო, ხარ უმჯობესი დედისა, — რას აქნევ ჩემსა ამბავსა, ზღაპარი არის ყბედისა! ღარიბი ვინმე შემსწრობი ვარ უბედოსა ბედისა. თუ რაცა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა მხედისა!“
- 57 ავიყვანე იგი პირ-მზე ნაქები და. — ვერ ვთქვი, — უქი! სურვილმან და მზემან მისმან, ძლივ დავმალე მზისა<sup>1</sup> შუქი! ჩამოვპტურე მრავალ-კეცი სტავრა მძიმე, არ სუბუქი. ცრემლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, წამწამთაგან მოჰქრის ბუქი
- 58 მოვიყვანე შინა<sup>2</sup> ჩემსა<sup>2</sup> იგი პირ-მზე ტანით ალვით. მოვუკაზმე სახლი ერთი, შიგან დავსვი მეტად მალვით. არვის ვუთხარ სულიერსა, შევიწახე ფარვით. კრძალვით. ერთი ზანგი ვამსახურე. მე შევიდი. ვნახი ხალვით.
- 59 ვით გაიმბო საკვირველი მე, გლახ, მისი ყოფა-ქცევა, — დღე და ღამე განუწყველად ტირილი და ცრემლთა ფრქვევა: შევეხვეწი, — დადუმდიო, წამ-ერთ ჰქონდის ჩემი თნევა. — აწ უმისოდ ვით ცოცხალ-ვარ, ჰაი<sup>3</sup> ჩემდა,<sup>3</sup> ვაგლახ მე. ვა! —
- 60 ეამი ვერ ვპოვე კითხვისა ნიადავ ცრემლთა ღვრისაგან, თუცა<sup>4</sup> მეკითხა, — ვინ<sup>5</sup> ხარო,<sup>5</sup> ვერე<sup>6</sup> გასრული<sup>7</sup> რისაგან? მჩქეფრად სისხლისა ნაკადი მოსდის ალვისა ხისაგან! — მას კორციელი რა<sup>8</sup> გასძლებს, — სხვა, კიდევანი ქვისაგან!
- 61 არად უნდის საბურავი, არცა წოლა საგებლითა. მიწყვი იყვის რიდითა და მით ერთითა ყაბაჩითა. მკლავი მისი სასთუმალად<sup>9</sup> მიიდვის და მიწვის მითა. — ძლივ ვაქაჩე ცოტა რამე ათასითა შეხვეწითა. —

1. ინგ 1143.2 მისი. 2. კაკ<sup>1</sup> 1097.1 ჩემსა შინა. 3. კაკ<sup>1</sup> 1098.4 ჰაი. ჰაი (< ჰაი, ჰაი) ჩემთ ის: სხ ა დგ და გნ ჰაი ჩემთ ის 4. კაკ<sup>1</sup> 1100.2 თუმცა(?) 5. ასე კაკ<sup>1</sup> 1100.2; სხ ა დგ და; 6 ვინა ხარ. 6 არ. აგრე. 7. ვარ. გასული. 8. კაკ<sup>2</sup> 1147.4 და უგ 1147.4 ვით; სხვა დგ და გნ არ. 9. ვარ. სასთაულად, სასთუნალად.

- 62 სხვა ვიამბო საკვირველი, — რიღისა და ყაბაჩისა:  
ვარ მნახავი ყოვლისავე უცხოთა და ძვირფასისა,  
მაგრა მისი არა ვიცი, ქმნილი იყო რაგვარ, რისა! —  
სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა. —
- 63 მან ტურფამან სახლსა ჩემსა ეგრე დაყო ხანი დიდი.  
ვერ გავანდევე ქმარსა ჩემსა, შესმენისა მქონდა რიდი.  
ვთქვი: „თუ ვუთხრა,<sup>1</sup> — გამამჟღავნებს, — დარბაზს<sup>2</sup> მთავ<sup>3</sup> ისი  
[ფლიდი!“  
ესე მეყო საგონებლად, რა<sup>3</sup> შევიდი,<sup>3</sup> რა გავიდი.<sup>3</sup>
- 64 ვთქვი თუ: არ ვუთხრა, რა ვუყო, ჩემგან რა მოგვარების?  
არცა რა ვიცი, რა უნდა, რა ვისგან მოევმარების.  
ქმარი რა მიგრძნობს, მოცამკლავს, ვერლარა მომეფარების.  
ვითა დავმალო ნათელი, ვინ მზესა დაეღარების!
- 65 მე, გლახ, მარტომან რა ვუყო, — მიმატებს ცეცხლთა დებასა!  
მო და გავენდო, ნუ შევალ უსენის შეცოდებასა!  
არ გამამჟღავნოს,<sup>4</sup> ვაფიცო;<sup>5</sup> თუ მომცემს იმედებასა,<sup>6</sup>  
სულსა ვერ წარსწყმედს, ვერა იქმს ფიცისა ვატულებასა!“
- 66 შიველ მარტო, ქმარსა ჩემსა ველალობნე,<sup>7</sup> ველაციცე.  
მერმე ვუთხარ: „გითხრობ რასმე, მაგრა პირველ შემომფიცე,  
არვის უთხრა სულიერსა, — საფიცარი მომეც მტკიცე!“  
ფიცი ჰფიცა საშინელი: თავითცაო<sup>8</sup> კლდეთა ვიცი. —
- 67 რაცა მითხრა, სიკვდილამდის არვის უთხრა სულიერსა,  
არა ბერსა, არა ყმასა, მოყვარესა, არცა მტერსა!“  
მერმე ვუთხარ ყველაკაი უსენს, კაცსა ლმობიერსა:  
„მოდი, მომყევ, აქა სადმე, მო, გიჩვენებ მზისა ფერსა.“

1. ასე G და I; სხვა ან და დგ (ვ)უთხრობ. 2. ასე G და I; სხვა ან და დგ  
ვიცი, დარბაზს გამამჟღავნებს. 3. G და I შევიდი თუ გამოვიდი; სხვა ან და  
დგ კვლა შევიდი, კვლა გავიდი. 4. G და F გამამჟღავნებს. 6. ასე G (შეად. დგ);  
F ვაფიცებ. 6. ასე F (შეად. დგ); G იმედობასა. 7. ან და დგ ველალობე. 8. ან  
და დგ თავიცაო.

- 68 ადგა წამომყვა,<sup>1</sup> წავედით, შევევლენით კარნი სრისანი, უსენ გაკვირდა, გაცაკრთა, რა შუქნი ნახნა მზისანი. თქვა: „რა მიჩვენე, რა ენახე, რანია, ნეტარ, რისანი?; თუ კორციელი არისცა,<sup>2</sup> თვალნიმცა მრისხვენ<sup>3</sup> ღმრთისანი!“
- 69 ვთქვი თუ: „არცა რა მე ვიცი ამისი კორციელობა. რაცა არ გითხარ, მის მეტი არა მაქვს მეცნიერობა. მე და შენ ვჰკითხოთ, — ვინ არის, ვისგან სჭირს ისი ხელობა? ნუ თუ რა გვითხრას, ვეაჯნეთ,<sup>4</sup> ქმნას დიდი ღმობიერობა.“
- 70 მივედით, გვქონდა ორთავე კრძალვა მის<sup>5</sup> მზისა<sup>5</sup> მკრძალისა.<sup>5</sup> ვჰკადრეთ თუ: „მზეო, საკმილი გვედების შენგან აღისა! გვითხარ, რა არის წამალი მთუარისა შუქ-ნამკრთალისა, რას შეუქმნიხარ ზაფრანათ შენ, ფერად მსგავსი ლალისა?“
- 71 რაცა ვკითხეთ, არა ვიცი,<sup>6</sup> ესმა ანუ არ ისმენდა: ვარდნი<sup>7</sup> ერთგან შეეწებნეს,<sup>7</sup> მარგალიტსა არ აჩენდა, გველნი მოშლით მოეკეცნეს, — ბალსა<sup>8</sup> შეღმა შე-რა-ჰვენდა,<sup>8</sup> მზე ვეშაპსა დაებნელა, — ზედან რამცა<sup>9</sup> გაგვითენდა!
- 72 ვერა დავჰყარეთ პასუხი ჩვენ საუბრითა ჩვენითა. ვეფხი-აეაზა პირ-ქუშად ზის, წყრომა ვერ ვუგრძენითა. კვლაცა ვაწყინეთ, ატირდა მჩქედრად<sup>10</sup> ცრემლისა დენითა. „არა ვიციო, მიმიშვით!“<sup>11</sup> — ეს ოდენ გვითხრა ენითა.
- 73 დავსხედით და მასთანავე ვიტირეთ და ცრემლი ვლამეთ. რაცა გვეთქვა, შევიანანეთ, — სხვამცა რალა შევიწამეთ! ძლიე<sup>12</sup> ვიაჯეთ<sup>12</sup> დადუმება, — დავადუმეთ, დავაამეთ. ჩვენ მივართვით ხილი რამე, მაგრა ვერრა ვერ ვაქამეთ.

1. იხვ 1165,1 აწყვა და. 2. ასე უგ 1155,4; სხვა დგ და გნ არისმცა. 3. კაკ<sup>1</sup> 1108,4 რისხვენ. 4. ასე უგ 1156,4; სხვა დგ და გნ ვიაჯნეთ. 5. უგ 1157,1 მისისა მკრძალისა(?); იხვ 1157,1 მისისა კრძალისა; სხვა დგ და გნ მისისა კრძალვისა(?). 6. აბ 1019,1 ვიციო. 7. გნ და დგ ვარდი... შეეწება. 8. გნ და დგ ბალი შეღმა შე-რა-შენდა. 9. კაკ<sup>1</sup> 1111,4 და უგ 1158,4 რადმცა. 10. G და I მწარედ (შეად. კაკ<sup>1</sup> 1112,3). 11. G მომეშვით. 12. უგ 1160,3 ძლიეს ვეაჯეთ(?).

- 74 უსენ იტყვის: „ბევრ-ათასნი ჭირნი ამან ამიკოცნეს!  
ესე ლაწენი მზისად კმანან,<sup>1</sup> კაცთაგანმცა ვით იკოცნეს!  
უმართლეა,<sup>2</sup> ვერ-მკვრეტელმან<sup>3</sup> თუ პატიენი იასოცნეს! —  
მე თუ შვილნი მირჩენიან, ღმერთმან იგი დამიკოცნეს!“
- 75 მას ვუჭვრიტეთ დიდი ხანი, წამოვედით სულთ-თქემა<sup>4</sup> - ახით.  
შეურა გვიჩნდის სიხარულად, გაყრა დიდათ ვივაგაზხით.  
ვაჭრობისა საქმისაგან მოვიცალით, — იგი ენახით.  
გულნი ჩვენნი გაუშვებლად დეიტყვევენს მისით<sup>5</sup> მახით.
- 76 რა გარდაკდა<sup>6</sup> ხანი რამე, გამოვიდეს<sup>7</sup> ღამე-დღენი,  
უსენ მითხრა: „არ მინახავს ძოლანიოგან<sup>8</sup> მეფე ჩვენი.  
მივაზირობ, — წავალ, ენახავ, — ვუდარბაზო, ვუძღვნა ძღვენი.“  
მოვაკსენე: „ღია, ღმერთო, ბრძანებაა ევე თქვენი!“
- 77 უსენ ტაბაკსა დააწყო მარგალიტი და თვალეზი.<sup>9</sup>  
დავედრე: „დარბაზს დაგხედების და ზბაზის<sup>10</sup> ერი<sup>10</sup> მთრეალეზი,  
ამა ქალისა ამბავსა, მომკალ, თუ არ ეკრძალეზი!“  
კელა შემომფიცა: „არ ვიტყვი, თავსაცა მეცეს კრმალები!“
- 78 უსენ<sup>11</sup> მივიდა,<sup>11</sup> კელმწიფე დაჰხვდა ნადიმად მჯდომელი.  
უსენ არიფი მეფის<sup>12</sup> ა,<sup>12</sup> მეფეცა<sup>13</sup> მისი მნდომელი! —  
წინა მისვდა, შეიძღვნა ძღვენი მიართვა რომელი. —  
აწ ნახეთ<sup>14</sup> მთვრალი ვაჭარი, ცქაფი,<sup>15</sup> უწრფელი,<sup>16</sup> მსწრომელი!<sup>17</sup>

1. ასე ინგ 1161;2; სხვა დგ და გნ კმარან. 2. F უმართლე ხარ(?). 3. G ვერა-  
მკვრეტმან (შეად. კაკ<sup>1</sup> 1114.3). 4. ინგ 1162,1 და სხვ. სულთქმით. 5. კაკ<sup>1</sup> 1115,4  
მისთა. 6. G გამოგდა. 7. G გამოვიდა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1116,1 და უგ 1163.1). 8. I ძო-  
ლანდლითგან; სხვა გნ და დგ ძულანდლითგან. 9. G და F ლალები (შეად. კაკ<sup>1</sup>  
1117,1 და უგ 1164.1). 10. კაკ<sup>1</sup> 1117,2 დარბაისელნი. 11. G მივიდა, უსენს.  
12. გნ და დგ მეფისა. 13. ასე I; C,F და G მეფეა; სხვა გნ და დგ და მეფე. 14. ასე  
G და I; F ნახე; B, C და D ნახო (შეად. აბ 1026,4 და სხვ.). 15. I მქაფი. 16. ასე  
C, D, G, F და I; B უწვრთნელი; სხვა გნ და დგ უწფელი. 17. F და I მწთომე-  
ლი; G წომელი(?); B, C და D რომელი.

- 79 უთხრა დიდმა კელმწიფემან უჭკუოსა უსენს, მთრვალსა:  
„ღია მიკვირს, საძღვნოდ ჩვენად სით მოიღებ ამა თვალსა,  
მარგალიტსა დიდროვანსა, უმსგავსოსა<sup>1</sup> ჰპოვებ ლალსა?  
ვერ გარდევდი, თავმან ჩემმან, ძღვენთა ზენთა ნაათალსა!“
- 80 თაყვანის-სცა უსენს, ჰკადრა: „ჰე მალალო კელმწიფეო,  
ზეცით უუქთა მომფენელო, მარჩენელო არსთა, მზეო!  
რაცა სხვა მაქვს, ვისი არის? — ოქრო, გინა<sup>2</sup> საჭურჭლეო, —  
დედის მუცლით რა გამომყვა? — მზომებია თქვენგან მეო.
- 81 ამას გკადრებ: თავმან თქვენმან, არა გამართებს მადლი ძღვნისა.  
სხვა რამე მიც<sup>3</sup> საძღვნო<sup>4</sup> თქვენი,<sup>4</sup> — შესართავი თქვენის ძისა.  
მას უცლოდ დამიძალღებთ, ოდეს ჰნახოთ მსგავსი მზისა.  
მაშინ მეტად გაამრავლოთ<sup>5</sup> თქვენ ბრძანება ნეტარძისა!“
- 82 რას ვაგრძელებდე, გატეხა ფიცი, სიმტკიცე სჯულისა! —  
უამბო პოვნა ქალისა, მკერეტთაგან მზედ სახულისა.  
მეფესა მეტად ეამა, მიეცა ღზინი გულისა.  
უბრძანა დარბაზს მოყვანა, სრულ-ქმნა უსენის თქმულისა.
- 83 მე აქა ჩემსა ამოდ ვჯე, — მუნამდის არ მიკვნესია! —  
შემოდგა კარსა მეფისა მონათა უხუცესია.  
თანა ჰყვა მონა სამოცი, ვით კელმწიფეთა წესია.  
მოვიდეს, — დია გავკვირდი, ვთქვი: „რამე საქმე ზესია!“
- 84 მისალამეს, — „ფატმან“, — მითხრეს, — „ბრძანებაა ღმრთისა“  
[სწორთა:  
დღეს რომელი უსენ შესძღვნა ქალი, მსგავსი მზეთა ორთა,  
აწ მომგვარე,<sup>7</sup> წაეიყვანოთ,<sup>8</sup> ელა არ გვინდა გზათა შორთა.“  
ესე მესმა, დამტყდეს<sup>9</sup> ცანი<sup>9</sup> რისხვით, ეცა გორა<sup>9</sup> გორთა!“

1. კაკ<sup>1</sup> 1120,3 და უგ 1167 3 უსახოსა. 2. კაკ<sup>1</sup> 1121,3 ანუ; უგ 1168,3 თუნდა.  
3. უგ 1169,2 მითქს; სხვა დგ და გნ მყავს. 4. კაკ<sup>1</sup> 1122,2 სასძლოდ თქვენთვის;  
სხვა დგ და გნ სასძლო თქვენი. 5. აბ 1030,4 და სხვ. გაამართლოთ. 6. I ცათა;  
C, F და G ღთისა; B ვახტ და დგ მზისა. 7. ვარ. მომგვარე. 8. ზოგი გნ და დგ  
წაეიყვანა. 9. G.... რისხვა ღთისა მეცა გორთა; B და C.... რისხვა ღთისა ეცა  
გორთა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1125,4 და უგ 1172,4); F და I დამატყდესა ცანი, რისხვით  
ეცა გორთა; აბ 1033,4 და სხვ. .... რისხვით ეცა გორა გორთა.

- 95 მე გაკვირვებით კვლა ვჰკითხე: „რა ქალი გინდა, რომელი?“  
მათ მითხრეს:<sup>1</sup> „უსენ შემოსდენა<sup>2</sup> პირი ელვათა მკრთომელი.“  
არ-რა<sup>3</sup> მარგებდა, დაესკვნა დღე<sup>4</sup> ღმირი სულთა-ჩაცომილი.“  
აეთროლდი, ავდეგ ველარა, ვერცა ქვე-ვიყავ-მჯდომელი.
- 86 შეველ, ვნახე იგი ტურფა მტირლად და ცრემლ-დასხმულად.  
ვკადრე: „მზეო, ბედმან შევმან ვით მიმუხთლა, ჰხედავ, რულად?<sup>4</sup>  
ცა მობრუნდა რისხვით ჩემკენ, იავარ-მყო, აღმფხვრა სრულად!  
შემასმინეს, მეფე გითხოვს, ვარ ამისთვის გულ-მოკლულად!“
- 87 მან მითხრა: „დაო, ნუ<sup>5</sup> გიკვირს ვეგ, რაზომცა ძნელია!  
ბედი უბედო ჩემზედა მიწყვი ავისა მქმნელია.  
კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!  
სხეა-და-სხეა პირი ჩემზედა არ ახალია, ძველია.“
- 88 თვალთათ ვითა მარგალიტი გარდმოყარა ცრემლი კშირი.  
ადგა ასრე გულ-უშიშრად, ვეფხი იყო ანუ გმირი.  
ლხინი ლხინად არად<sup>6</sup> უჩნდა,<sup>7</sup> მართ აგრევე ჭირად<sup>8</sup> ჭირი.  
მთხოვა, გარე აჯილითა მოიბურა ტანი, პირი.
- 89 შეველ საჭურჭლეს, რომელსა ფასი არ დაედებოდა.  
თვალ-მარგალიტი ავიღე, რაც ოდენ ამელებოდა.  
თვითო და თვითო თვითოსა ქალაქსა ეფასებოდა.  
მიველ, მას<sup>9</sup> წელსა<sup>10</sup> შევარტყი,<sup>11</sup> შეე-გული ვისთვის<sup>12</sup> კვდებოდან
- 90 ვარქვი: „ჩემო, განლა სადმე გეკმარების ესე-გვარი“<sup>13</sup>  
მათ მონათა კელთა მივეც იგი პირი მზისა დარი.  
ცნა მეფემან, მოეგება, ჰკრეს ტაბლაცსა, გაკდა ზარი. —  
იგი მივა თავ-მოდრეკით, წყნარი, არას მოუბარი.

1. F და I მან მითხრა. 2. G შესდენაო (შეად. კაკ<sup>1</sup> 1126,2). 3. გნ და დგ არას(?). 4. კაკ<sup>1</sup> 1127,2 სრულად. 5. I რად (შეად. კაკ<sup>1</sup> 1128,1); G რას. 6. G არას. 7. G უჩნდის (შეად. კაკ<sup>1</sup> 1129,3). 8. G ჭირთა(?). 9. B, G და I და. 10. ვარ. წელსათა. 11. F შევაბი. 12. G მისთვის. 13. ასე C და D; G ეს გუჰარი (შეად. აბ 1039, I და ჭიჭ 1241,1); F და I ეს გუჰარი.

- 91 ვით მზემან მისნი მჭკრეტელნი შექმნა თვალისა მფახველად.  
მეფემან ბრძანა: „გამკადა ნახული მე უნახველად!  
ლმრთისაგან კიდე ვინმც იყო კაცი ამისად მსახველად!  
ჰმართებს ამისა მიჯნურსა ხელი თუ რბოდეს, გლახ,<sup>1</sup> ველად!“
- 92 გვერცა დაისვა, ეუბნა ტკბილითა საუბარითა:  
„მითხარო, ვინ ხარ, ვისი ხარ, მოსრული ვისთა გვართა?“  
მან არა გასცა პასუხი პირითა, მზისა დართა.  
თავ-მოღრეკილი, დაღრეჯით ქვე-ზის ცნობითა წყნარითა. —
- 93 არ ისმენდა მეფისასა, რასა გინდა უბრძანებდა.  
სხვაგან იყო გული მისი, სხვასა რასმე იგონებდა.  
ვარდნი<sup>2</sup> ერთგან შეეწებნეს,<sup>2</sup> მარგალიტსა არ აღებდა.  
მჭკრეტნი მისნი გააკვირვნა, — რასამცა ვინ იაზრებდა!
- 94 მეფე ბრძანებს: „რა შევიგნათ, გული ჩვენი რით იქსნების?  
ამა ორთა კიდევანთა აზრი არაა არ იქმნების.  
ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი<sup>3</sup> ეგონების,  
მისგან კიდე არვისად სცალს, არცაღა<sup>4</sup> ვის ეუბნების.
- 95 ანუ არის ბრძენი ვინმე მაღალი და მაღლად მხედი.  
არცა ლხინი არად<sup>5</sup> უჩანს, არცა ჭირი ზედა<sup>6</sup> ზედი.  
ვით ზღაპარი ასრე<sup>6</sup> ესმის უბედობა თუნდა ბედი.  
სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრედი.
- 96 ღმერთმა ქმნას, შინა მოვიდეს ძე ჩემი გამარჯვებული.  
მე დაეახვედრო ესე მზე, იმისთვის<sup>7</sup> დამზადებული.  
მან ათქმევინოს ნუ თუ რა, ჩვენცა ვცნათ განცხადებული.  
მანამდის მთვარე შუქ-კრთომით ჯდეს, მზისა მოშორვებული.“

1. ასე ინგ 1180,4; სხვა დგ და გნ ახ. 2. ინგ 1182,3 ვარდი... შეეწება; აბ 1043,3 და სხვ. ვარდნი შეეწებნა. 3. კაკ<sup>1</sup> 1136,3 სიყვარული. 4. ასე კაკ<sup>1</sup> 1136,4 და უგ 1183,4; აბ 1044,4 და ჰიუ 1246,4 ვერცაღა. 5. გნ და დგ ლხინად(?). 6. კაკ<sup>1</sup> 1137,3 ისრე; აბ 1045,3 ასე. 7. ასე ინგ 1185,2; სხვ. დგ და გნ და მისთვის.

- 97 კელმწიფისა შვილსა გითხრობ კარგსა ყმასა, გულოვანსა,  
უებროსა ზნედ და თვალად, შვენიერსა პირსა, ტანსა,  
მაშინ ლაშქარს წასრულ-იყო, მუნ დაჰყოფდა დიდსა ხანსა.  
მამა მისთვის ამზადებდა მას, მნათობთა დასავანსა.
- 98 მოიღეს, ტანსა ჩააცვეს შესამოსელი სძალისა,<sup>1</sup> —  
მას ზედა შუქი მრავალი ჩნდა მნათობისა თვალისა, —  
დაადგეს თავსა გვირგვინი ერთობილისა ლალისა. —  
მუნ ვარდსა ფერი აშვენებს ბროლისა გამჭირვალისა. —
- 99 მეფემან ბრძანა: „მოკაზმეთ საწოლი უფლის-წულისა.“  
დაუდგეს ტახტი ოქროსა წითლისა მალრიბულისა.  
ადგა თვით დიდი კელმწიფე, პატრონი სრისა სრულისა,  
მას ზედა დასეა იგი მზე, ლხინი მჭერეტელთა გულისა.
- 100 უბრძანა ცხრათა ხალუმთა დადგომა მცველად კარისად. —  
კელმწიფე დაჯდა ნადიმად მსგავსად მათისა გვარისად.  
უბოძა უსენს უზომო მუქფად მის მზისა-დარისად.  
სცემენ ბუქსა და ტაბლაკსა მოსამატებლად ზარისად.
- 101 გააგრძელეს ნადიმობა, სმა შეიქმნა მეტად გრძელი.  
ქალი პირ-მზე ბედსა<sup>2</sup> ეტყვის:<sup>3</sup> „რა ბედი<sup>3</sup> მიძ<sup>3</sup>, — ჩემი მსჯელი!<sup>4</sup>  
სადაური სად მოვსრულ-ვარ, ვის მივჰხვდები ვისთვის ხელი!  
რა ვქმნა, რა ვყო, რა მერგების?—სიცოცხლე მჭირს მეტად ძნელი!“
- 102 კვლაცა იტყვის: „ნუ დავაქნობ შვენებასა ვარდის<sup>5</sup> ფერსა!  
ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომაროს<sup>6</sup> ჩემსა მტერსა.  
სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?!  
რა მისჭირდეს, მაშინ უნდან<sup>7</sup> გონებანი გონიერსა!“

1. გნ და დგ ქალისა(?). 2. F და I ბედსა სწყევლის; ინგ 1190,2 თავსა ეტყვის. 3. F და I ბედი; G ბედი მაქვს; აბ 1051,2 მიც (შიძ 2. პ.). 4. ასე G და I; F და სხვა გნ და დგ მკლველი. 5. ინგ 1191,1 ვარდთა. 6. G და I მე მამრიოს; ინგ 1191,2 მოცამრიოს. 7. ასე უგ 1191,4; სხვა დგ და გნ უნდა.

- 103 ხადუმნი უკმნა,<sup>1</sup> უბრძანა: „ისმინეთ, მოდით ცნობასა!  
მოლორებულხართ, მომცდარხართ<sup>2</sup> თქვენ ჩემსა პატრონობასა!  
მომცდარა<sup>3</sup> თქვენი პატრონი,<sup>4</sup> ჩემსა თუ ჰლამის სძლობასა!  
ჩემთვის ბუქსა და ტაბლაკსა ცუდად, გლახ, იცემს, ნობასა!
- 104 არ ვარგ-ვარ თქვენად დედოფლად, ჩემი გ'ზა კიდევანია.  
მაშოროს ღმერთმან მამაცი პირად-მზე, სარო-ტანია!  
სხვასა რას<sup>5</sup> მნუკავთ<sup>6</sup> საქმესა, — ჩემნი საქმენი სხვანია!  
თქვენთანა ჩემი სიცოცხლე არ ჩემი შესაგვანია!
- 105 უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიკემ დანასა,  
თქვენ დაგკოცს თქვენი პატრონი, სოფელს ვერ დაჰყოფთ ხანასა.  
ესე სჯობს მოგვე<sup>7</sup> საჭურჭლე მძიმე, — მარტყია ტანასა.  
მე გამაპარეთ, გამიშვიეთ, თვარა დაიწყებთ ნანასა!“
- 106 შემოიკსნა მარგალიტი, შემოერტყა რაცა თვალი,  
მოიკადა გვირგვინიცა გამჭვირვალი, ერთობ ლალი,  
მისცა, უთხრა: „გამომიღეთ, გეაჯები გულ-მჭურვალი,  
მე გამიშვიეთ, ღმერთსა თქვენსა მიავალეთ დიდი ვალი!“
- 107 მონათა მიჰხვდა სიხარბე მის საჭურჭლისა ძვირისა.  
დაჰვიწყდა შიში მეფისა ვითა ერთისა გზირისა!  
გამოპარება დაასკვნეს მის უებროსა პირისა. —  
ნახე, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა! —
- 108 რა ხადუმთა აღუსრულეს საქმე მისი საწადელი,  
ერთმან ტანსა აღიკადა, მისცა მისი ჩასაცმელი.  
სხვანი კარნი გამოარნეს, იჯარვიდა დარბაზს მსმელი. —  
დარჩა მთვარე გავსებული გველისაგან ჩაუნთქმელი! —

1. ვარ იგმნა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1145,1). 2. ასე ინგ 1192,2 მომცთარხართ; ვარ. დამცდარხართ. 3. ასე ინგ 1192,3 მომცთარა; ვარ. დამცდარა. 4. ინგ 1192,2 ხელ-მწიფე. 5. C, D და I რად. 6. G მნუკავთ; I გნუკავთ; C და G მნუკეთ. 7. ასე კაკ<sup>1</sup> 1147,3 და უგ 1194,3; სხვა დგ და გნ მოგკეთ.

- 109 მონანიცა გარდიხვეწნეს, გაიპარნეს მასეუ თანა. —  
ქალმან კარსა დამირეკა, ფატმანობა ჩემი ბრძანა.  
გაველ, ვიცან, მოვეხვიე, — გამიკვირდა მეცა განა!  
შინა ყოლა არ შემომყვა, — რად მაწვევო? — შემანანა.
- 110 მიბრძანა: „თავი ვიყიდე მოცემულითა შენითა,  
მუქაფა ღმერთმან შემოგზლოს მოწყალეებითა ზენითა!  
ველარ დამმალავ, გამიშვი, ფიცხლად გამგზავნე ცხენითა,  
სადამდის<sup>1</sup> სცნობდეს კელმწიფე, კაცთა<sup>2</sup> მომწვედეს რბენითა.“
- 111 შეველ ფიცხლად საჯინიბოს, ავკსენ ცხენი უკეთესი.  
შევეუკაზმე, ზედან შევესვი მხიარული, არ მოკენესი.  
ჰგვანდა, ოდეს ლომსა შეგჯდეს მზე, მნათობთა უნათლესი!<sup>3</sup> ---  
წარხდა ჩემი ჭირნახული, ვერ მოვიმკი რაცა ვთესი! —
- 112 დღე მიიყარა, კმა გაკდა, მოვიდა მისი მდევარი.  
მოიცვეს შინა<sup>4</sup> - ქალაქი, შეიქმნა მოსაწვევარი.  
მე მკითხეს, ვარქვი: „თუ ჰპოვოთ მუნ სახლსა სადა მე ვარი,  
მეფეთა ვიყო შემცოდე და მათთა სისხლთა მზღვევარი!“
- 113 მონახეს, ვერრა შეიგნეს, შეიქცეს გაწბილებულნი. —  
მას აქათ იგლოვს კელმწიფე და ყოვლნი მისნი ზღებულნი.  
დაჰხედენ დარბაზის ერთა, — შეველენ ის-ფრითა ღებულნი. —  
მზე მოგვეშორვა, მას აქათ ჩვენ ვართ სინათლე - კლებულნი. . .
- 114 მის-მთვარისა სადაობა<sup>5</sup> კვლა გიამბო, — საქმე კვლაცი.  
აწ უწინა ესე გითხრა, რას შექაღდა ისი კაცი. —  
მე, გლაზ, ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი. —  
კაცსა დასერის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი! —

1. ინგ 1200.4 ვირემდის. 2. კაკ<sup>1</sup> 1153.4 და უგ 1200.4 კაცსა. 3. უიუ 1264.3 უტურავესი; ინგ 1201.3 უზეშთესი; სხ: ა დგ და ან უკეთესი. 4. უგ 1202.2 შიგა; კაკ<sup>1</sup> 1155.2 შიგან. 5. G და I სადა ყოფნა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1157.1).

- 115 შით არ ჯერ-ვარ ქმარსა ჩემსა, — მკლე არის და თვალად ნასი. —  
ისი კაცი, ქაშნავირი,<sup>1</sup> დარბაზს იყო მეტად ხასი.  
ჩვენ გვიყვარდა ერთმანერთი, არ მაცვია თუცა ფლასი, —  
ნეტარ-ძი ვინ სისხლი მისი შემახვრიტა ერთი თასი!
- 116 ესე ამბავი მასთანა ვთქვი დიაცურად, ხელურად, —  
ჩემსავე მოსვლა მის მზისა და გაპარება მელურად.  
გამქლავნებასა მექადის,<sup>2</sup> — არ მოყვარულად, მტერულად!  
აწ ისრე მკვდარსა ვიგონებ, — იშ, თავი ვიკსენ მე რულად!
- 117 დამქადის<sup>3</sup> რაზომჯერცა წავიკიდნით თავის-წინა. —  
ოდეს შექმე,<sup>4</sup> არ მეგონა მე იმისი ყოფნა შინა.  
მოსრულ-იყო მოსვლა ეთქვა; შენმცა<sup>5</sup> მოხველ<sup>6</sup> — შემეშინა,  
ამად გკადრე, — ნუ მოხვალო, — მოგაგებე მონა წინა.
- 118 აღარ დაჰბრუნდით, მოხვედით. შუქნი თქვენ ჩემთვის არენით.  
შეიყარენით ორნივე, ჩემზედა დაიჯარენით.  
ამად შეეშინდი, ღონენი ვერლა-რა მოვიგვარენით.<sup>7</sup>  
იმას, გლახ ჩემი სიკვდილი გულითა სწადდა, არ ენით:
- 119 თუცა<sup>7</sup> ისი არ მოგეცა, მისრულიყო დარბაზს თვითა,<sup>8</sup>  
შემასმენდა ჯავრიანი, გული ედვა ცეცხლებრ წვითა.  
მეფე შწყრალი გარდასწმედდა სახლსა ჩემსა გარდაგვითა.  
შვილთა, ღმერთო, დამაჰმევედა, დამქოლვიდა<sup>9</sup> მერმე ქვითა.
- 120 მუქათა ღმერთმან შემოგზლოს, — მადლსა გკადრებდე მე რასა, —  
რომელმან დამქსენ მშვიდობით იმა გველისა მზერასა!  
აწ ამას იქათ ვნატრიდე ჩემსა ეტლსა და წერასა, —  
აღარ ვეშიშვი<sup>10</sup> სიკვდილის „აჰა,<sup>11</sup> — ქვე ჩავიჭერ“-ასა!“<sup>11</sup>

1. აბ 1066.2 ჩაშნავირი; ვარ. ჩაჩნავირი. 2. ასე G და I (შეად კაკ<sup>1</sup> 1159.3); სხვა გნ და ღვ მექადდა. 3. ვარ. დამქადლის(?). 4. ინგ 1207.2 გიხმე. 5. ინგ 1207.3 შენცა მეხმე; სხვა გნ და ღვ შენცა მოხველ. 6. გნ და ღვ მოვავგვარენით. 7. კაკ<sup>1</sup> 1162.1 თუმცა. 8. უგ 1209.1 ვითა; სხვა ღვ და გნ მითა. 9. ვარ. დამქოლვიდა. 10. G ვეშიშვი სიკვდილსა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1163.4); C და D ვიშიშვი სიკვდილსა (შეად სხვა გნ და ღვ). 11. G; აჰა ქვე ჩავიჭერ ასა; C და D ჰამ, ჰამ ქვე ჩავიჭერ რასა; ზიუ 1273.4 ჰი, ჰი, ჩავიჭერ იერასა(?); აბ 1071.4 ჰი, ჰი, ჩავიჭერ მე რასა(?); კაკ<sup>1</sup> 1163.4 ჰამ, ჰამ ჩავიჭერ მე რასა(?); უგ 1210.4 ჰი. ჩავიჭერ მე რასა(?); ინგ 1210.4 ჰი. ჩავიჭერ ქვე რასა; F. ტ. 4: ამის მუქათას ღმერთიმცა შემოგზლავს კარგსა ყველასა

- 121 ავთანდილ უთხრა: „ნუ გეშის, წიგნსაცა ავრე სწერია, —  
შოყვარე-მტერი ყოვლისა<sup>1</sup> მტრისაგან<sup>2</sup> უფრო მტერია.  
არ შიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია. —  
ნულარ იშიშვი იმისგან, აწ იგი მკვდართა ფერია! —
- 122 იგივე შითხარ: მას აქათ ქალი გაჰგზავნე შენ ოდეს,  
რაცალა<sup>3</sup> გეცნას ამბავი, ანუ რა მისი გსმენოდეს.“ —  
კვლა იტყვის ფატმან ტირილით, კვლა თვალთა ცრემლნი<sup>4</sup>  
[სდენოდეს:  
წარკდესო<sup>5</sup> შუქნი,<sup>6</sup> რომელნი<sup>6</sup> მზისაებრ ველთა ჰვენოდეს!“
- 123 ფატმან იტყვის: „მოგვეშორვა მზე, მნათობი სრულად კმელთა,  
სიცოცხლე და სულთ-დგმულობა, მონაგები ჩემთა კელთა.  
მასუკანით განუწყვედლად დება მჭირდის ცეცხლთა ცხელთა.  
ვერ გევახმე<sup>7</sup> წყარო თვალთა<sup>8</sup> ჩემთა,<sup>8</sup> ცრემლთა<sup>8</sup> გარდმომღერელ-  
[თა.<sup>9</sup>
- 124 სახლი და შვილი მომძულდა, ვჯდი უგულოთა გულითა.  
მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმეძინის რულითა.  
უსენ, გამტეხი ფიცისა, მიჩნს უსჯულოთა სჯულითა!  
ვერ მიმიხალოს საახლოდ კრულმან პირითა კრულითა! —
- 125 დღესა ერთსა, სალამო-ქამს, ჩასვლა იყო ოდენ მზისა,  
წარვდეგ წინა დარაჯაგათა, კარი მიჩნდა ხანაგისა.  
ვიგონებდი, სევდა მკლვიდა მისისავე გონებისა.  
ვთქვი: „კრულია ზენაარი ყოვლისავე<sup>10</sup> მამაცისა!“ —
- 126 შო-სით-მე-ვიდა<sup>11</sup> ღარიბი მონა მოყვსითა სამითა, —  
მონა შონურად მოსილი, სხვანი მგზავრულად,<sup>12</sup> ხამითა.  
სასმელ-საჭმელი მოიღეს ქალაქს ნასყიდი დრამითა,  
სემიდეს, ჭამდეს და უბნობდეს, სხდეს მხიარულნი ამითა.

1. I მოყვრისა. 2. მტერთაცა; C და D მტრისაგანც. 3. I რაც რომე. 4. ვარ.  
ცრემლი. 5. I ვამ, წაგდა; ინგ 1212.4 ვა, წაგდეს. 6. ვარ. შუქი, რომელი. 7. C,  
D და F გავაგმი. 8. გნ და დგ ცრემლთა, თვალთა ჩემთა. 9. G და I მონადენტა.  
10. F ყოვლისამცა (შეად. აბ 1077.4). 11. ასე I; G მოსითმოვიდა(?); სხ ა კნ და  
დგ მოვიდა სითმე. 12. ვარ. მგზავრულეებ; F მოსილი.

- 127 მე ვუყურებდი, ვუჭკერტდი. თქვეს: „ამოდ გავიხარენით.  
მაგრა ჩვენ აქა მოყვასნი უცხონი შევიყარენით.  
არცა<sup>1</sup> რა<sup>1</sup> ვიცით ვინ ვინ ა,<sup>2</sup> ანუ სით მოვიაარენით.  
კამს ერთმანერთსა ამბავი ჩვენიცა ვუთხრათ ბარ ენით.“
- 128 მათ სხვათა მათი ამბავი თქვეს, ვითა მგზავრთა წესია!  
მონამან უთხრა: „ჰე ქმანო, განგება რამე ზესია!  
მე მარგალიტსა მოგიმიკი, თქვენ ქერიმი დაგითვისია:  
ჩემი ამბავი ამბავთა თქვენთაგან უკეთესია. —
- 129 მე ვარო მონა მეფისა მალლისა, ქაჯთა მფლობლისა.  
მათ მიხედა ცემა სენისა, მათისა დამამკობლისა:  
მოგვიკედა შემწე ქერივისა, შემწყნარებელი ობლისა!  
აწ შეილთა მისთა და მისი ზრდის, უკეთესი<sup>3</sup> მშობლისა.
- 130 დულარდუხტ<sup>4</sup> არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა-ლოდია.  
ვისცა არ დაჰკოდს, ყმა მისი ვერავის დაუყოდია.  
მას უსხენ წვრილინ<sup>5</sup> მმის-წულნი, — როსან და ერთი როდია.  
აწ იგი ქაჯეთს კელმწიფედ ქვე-ზის მორკმული, მო<sup>6</sup>-, დია!<sup>6</sup>
- 131 გვესმა ამბავი, — ზღვათ იქათ სიკედილი დისა მათისა.  
შეიჭირებდეს ვაზირნი, დაშალეს<sup>7</sup> ქმნა<sup>7</sup> ხალვათისა, —  
ვითა ვჰკადროთო დაესება პირისა კმელთა მნათისა! —  
როშაქ მოყმეა,<sup>8</sup> თავადი მონისა ბევრ ათასისა.
- 132 როშაქ ბრძანა: „მო-ცა-ვინ-მკლავს, მე ტირილსა არ დავჰხედები.  
მინდორს წავალ, ვიმეკობრებ, ალაფითა ავივსები,  
შინა მოვალ შოებული, ადრე ზედა-მოვესწრები,  
მეფე დისა დატირებად წავიდოდეს, წაცავჰყვები.“

1. უგ 1218,3 არც არა; კაკ<sup>1</sup> 1171,3 არა არ. 2. ასე ჰიუჰ 1291,3; კაკ<sup>1</sup> 1171,3 და უგ 1218,3 ვინ ვინ ვართ; სხვა დგ და გნ ვინ ვინა. 3. G უმჯობესად: B, F და I უკეთესად (შეად. კაკ<sup>1</sup> 1173,4). 4. K თულარდუხტ. 5. G და I ორნი (შეად. კაკ<sup>1</sup> 1174,3). 6. ინგ 1221,4 სწოლია; ზოგი ენ და დგ წოლია(?). 7. G დაშლა ქნეს მათ (შეად. კაკ<sup>1</sup> 1175,2); I დაშლა ქნეს მუნ; F დაშალე ქნეს(?). 8. ასე ინგ 1222,4; სხვა დგ და გნ მონაა.

- 133 გვიტხრა მისთა კელისათა: „წაეალ, თანა-წამომყევით!“  
წაგვიტანა მონა ასი, ყველაკაი მისგან რჩევით.  
დღისით, მზისით ვმეკობრობდით, ღამეთაცა ვიყვნით თევით.  
ღია ვღეწეთ ქარაევანი, ლარი ჩვენ-კერძ<sup>1</sup> გარდმოვღევით!
- 134 მინდორ-მინდორ მივიდოდით<sup>2</sup> ჩვენ ღამესა ღია ბნელსა.  
დიდნი<sup>3</sup> რამე სინათლენი გამოგვიჩინდეს<sup>4</sup> შუა ველსა.  
ვთქვით თუ. — მზეა ნუთუ ზეცით შთამოჭრილი ზედან კმელსა!  
ღაბნელნი მივეცენით გონებასა ჩვენსა მსჯელსა.<sup>4</sup>
- 135 ზოგთა<sup>5</sup> ვთქვით<sup>5</sup>, — არის ცისკარი! ზოგთა ვთქვით<sup>5</sup>, — არის  
[მთვარეო!  
მას დარაზმულთა მიემართეთ, —ახლოსმცა<sup>6</sup> ვნახეთ<sup>7</sup> ბარეო.  
შორს მოვუარეთ, მივედიო, შემოვადევით გარეო.  
მით ნათლიდაღმა<sup>8</sup> გამოკდა კმა, ჩვენი მოუბარეო.
- 136 გვიტხრა: „ვინ ხართ, ცხენოსანო? თქვენ სახელნი თქვენნი  
[თქვენით!  
გულანშაროთ მოციქული ქაჯეთს მივალ, მერიდენით!“  
ესე გვესმა, მოვადექით, ალყად გარედ მოვერტყენით:  
პირ-მზე რამე ცხენოსანი გავნიცადეთ თვალით ჩვენით.
- 137 ვუჭკირით პირსა მნათობსა, ელვათა მეღვარებსა.<sup>9</sup>  
მისი ციმციმი მზისაებრ ეფინებოდა არებსა.  
ძვირ-ძვირად გვეუბნებოდა სიტყვასა რასმე წყნარებსა.  
კბილთაგან შუქი შეადგის<sup>10</sup> ზედან გიშრისა სარებსა.
- 138 კვლა ვეუბნით მას მზესა ტკბილ-მოუბრითა ენითა.  
არ მოყმე<sup>11</sup> იყო, ტყუევოდა, ჩვენ ესე შევიგენითა.  
როშაქ შეატყო ქალობა, გვერცა წარუდგა ცხენითა.  
აღარ გავუშვით, დაჭირვა ვჰკადრეთ კელითა ჩვენითა.

1. უგ 1224.4 ჩვენგან. 2. კაკ<sup>1</sup> 1178.1 და უგ 1225.1 მოვიდოდით. 3. აბ 1086.2 და სხვ. დიდი რამე სინათლენი გამოგვიჩინდა(?). 4. ვარ. მრჯელსა. 5. ასე C და D; უგ 1226.1 ზოგთა ვთქვით... ზოგთა თქვეს; F ზოგთა ვთქ ით... და ზოგთა; კაკ<sup>1</sup> 1179.1 ზოგთა თქვეს... და ზოგთა; აბ 1087.1 და ჭიქ 1289.1 ზოგთა თქ. ეს. . ზოგთა თქვეს. 6. კაკ<sup>1</sup> 1179.2 და უგ 1226.2 ახლოსაც. 7. აბ 1087.2 ვნახე 8. ვარ. ნათლიდაღმე. 9. ასე ინგ 1228.1; ზოვი ბნ და დგ მოღვარებსა(?). 10. ასე კაკ<sup>1</sup> 1181.4; სხვა დგ და ბნ შეადგა. 11. ასე ინგ 1229.2; სხვა დგ და ბნ მონა.

- 139 კელა ვჰკითხეთ: „გვითხარ მართალი<sup>1</sup> საქმე შენ<sup>2</sup>-მზებრ-ნათელისა,<sup>2</sup> ვისი ხარ, ვინ ხარ, სით მოხვალ მანათობელი ბნელისა?“ მან არ-რა გვითხრა, გაუშვა წყარო ცრემლისა ცხელისა. რა საბრალოა გავსილი მთვარე ჩანთქმული გველისა!
- 140 არცა რა ცხადი ამბავი, არცა რა დასამალავი, — არ-რა არ გვითხრა, — ვინ იყო, ან ვისგან ნამუხთალავი. ქუშქუშად გვეუბნებოდა კუშტი, თავისა მკრძალავი, ვითა ასპიტი, მქვრეტელთა მისთა თვალთა მლალავი.
- 141 როშაქ გვიბრძანა: „ნუ ჰკითხავთ, აწ თურე არ სათქმელია ამისი საქმე, — უცხოა, საამბობლადცა ძნელია! — ბედი მეფისა ჩვენისა არსთავან სანატრელია მით, რომე ღმერთი მას მისცემს რაც უფრო საკვირველია.
- 142 ესე ღმერთსა მისაგვრელად მისად<sup>3</sup> ჩვენთვის მოუცია.<sup>4</sup> მიუტანოთ არმალანად, დაგვიმადლებს მეტად დია. თუ დაეძალავთ, დავმჟღავნდებით, მეფე ჩვენი ამაყია! პირველ მათი შეცოდება, მერმე დიდი აუგია!“
- 143 მივემოწმენით, თათბირნი<sup>5</sup> არ კიდე<sup>6</sup> გავაკიდენით<sup>7</sup> დაებრუნდით, ქაჯეთს მიემართეთ, მას წინა მოვეკიდენით. არცა რა ვკადრეთ კელის კელ,<sup>8</sup> არცა თუ წავეკიდენით. — იგი ტირს, ლაწვსა გულ-მდულრად ჩაჰრცხის ცრემლისა კი<sup>9</sup> დენით.<sup>9</sup>
- 144 მე როშაქს ვჰკადრე: „გამიშვი, ადრე ვარ თქვენი მზლებელი, აწ გულანშაროს ქალაქსა ვარ საქმის რასმე მდებელი. მან გამომიშვა, აქ სადმე ლარი მიც წასაღებელი, თანა-წავიტან. წაცავალ მე მათი ზედა - მსწრებელი.“

1. I ამბავი. 2. C, D F შენ მზებრ ნათლისა; I მზებრ სანათელისა. 3. G მათად. 4. F და I მოუგვრია (შეად. კაკ<sup>1</sup> 1186.1; უგ 1233.1 და ჰიჰ 1296.1); აბ 1094.1 მოუცდია(?). 5. ასე C და ვანტ (შეად. დგ); G და K თათბირსა. 6. I დია. 7. ასე C და ვანტ (შეად. დგ); G, I და K გავეკიდენით. 8. ასე კაკ<sup>1</sup> 1187.3; სხვა ლგ და 65 ბელ-და-ბელ. 9. G და I მოდენით (შეად. კაკ<sup>1</sup> 1187.4).

- 145 მათ კაცთა დიდად ეამა ესე ამბავი მონისა.  
მე გავიგონე, შერამშრა<sup>1</sup> ნაკადი ცრემლთა ფონისა.  
მენიშნა, ყოვლი ნიშანი ვიცან ჩემისა ღონისა.  
ცოტაი ღზენა მომეცა, მსგავსი დრამისა წონისა.
- 146 მოვიყვანე იგი მონა, ახლოს დავსვი ჩემსა წინა,  
ვჭკითხე: „მითხარ, რას იტყობი, გავონება მეცა მინა.“ —  
მან იგივე კვლა მიამბო რაცა მუნით<sup>2</sup> მომეჴმინა.<sup>3</sup>  
ამ ამბავმან გამაცოცხლა, სულთ-მობრძავი დამარჩინა.
- 147 მე ორნი შენი მონანი მყვანან, სავენი გრძნებითა,  
უჩინოდ წავლენ-წამოვლენ მათითა კელოვნებითა.  
მოვასხენ ქაჯეთს გავგზავნენ, ვარქვი<sup>4</sup> თუ: „ნუ დასდგებითა,  
მაცნობეთ მისი ამბავი თქვენითა მოქმედებითა.“ —
- 148 მას დღეს<sup>5</sup> მოვიდეს<sup>6</sup> მიამბეს. — ფიცხლად ებიჯა გზისადა: —  
მიუგვრიათო მეფისა<sup>8</sup> ზღვას იქათ წამავლისადა.  
ვერვის შეუღდამან<sup>7</sup> საჭერეტლად თვალნი, მართ ვითა მზისადა. —  
ქვე-დაუწინდავს საცოლედ როსან ცოტასა ყმისადა:
- 149 „როსანს შეერთოთო“ — დულარდუხტს მეფესა უბრძანებია. —  
„ჯერთ საჭორწინოდ<sup>8</sup> არა მცალს, აწ გული ცეცხლ-ნადებია.  
შემოვიქცევი, შევისძლობ ვინ ცისა მზედ ნაქებია“. —  
ციხეს დაუსვამს, ხადუმი ერთაი უახლებია.
- 150 ყოვლი მცოდნელი<sup>9</sup> გრძნებისა მას თანა-წაუტანია  
მით, რომე გზაა საჭირო, მტერნი საომრად მზანია.  
ქვე - დაუყრია მოყმები, ვინც უფრო გულოვანია.  
დაეყოვნების, — წასრულა ჯერეთ ცოტაი ხანია. —

1. B და I შერამშრა; G შემამშრა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1189.2). 2. ასე C და D; F, G და I პირველ (შეად კაკ<sup>1</sup> 1190.3). 3. C და D მოესმინა(?). 4. G და I უთხარ (შეად. კაკ<sup>1</sup> 1191.3). 5. ინვ 1239.1 მას დღე; სხვა დგ და ონ სამ დღე. 6. კაკ<sup>1</sup> 1192.2 მეფე-სა(!). 7. კაკ<sup>1</sup> 1192.3 შეუღდამს. 8. უგ 1240.2 ქორწინებად. 9. ასე უგ 1241.1; კაკ<sup>1</sup> 1194.1 ყოვლინი მცოდნელი; სხვა დგ და ონ ყოვლინი მცოდნენი.

- 151 ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია..  
ქალაქსა შუა<sup>2</sup> მაგარი კლდე მალალი და გრძელია.  
მას კლდესა შიგან გვირაბი, ასაძრომელი, კვრელია. —  
მუნ არის მარტო მნათობი, მისთა შემყრელთა<sup>3</sup> მწველია.
- 152 გვირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირ-ნასები.  
ათი-ათასი ჭაბუკი დგას,<sup>4</sup> ყველაკაი ხასები,  
ქალაქის კართა სამთავე — სამ-ათას-სამ-ათასები. —  
გულო, გაგსაჯა სოფელმან, არ ვიცი, და, გლახ, რას ები! ..“
- 153 ესე ამბავი ავთანდილ პირ-მზემან, მან<sup>5</sup> თავადამან<sup>6</sup>  
რა მოისმინა, ეამა; სხვად არ-რა განაცხადა მან, —  
შესწირა ღმერთსა მადლობა ტურფამან დანაბადამან:  
„ამბავი ჩემი სალხინო მითხრო<sup>7</sup> ვისმან-ლა დამან?!“
- 154 ფატმანს უთხრა: „საყვარელო, კმა ხარ ჩემთვის სასურველად, --  
შენ<sup>9</sup> ამბავი<sup>9</sup> შევნიერად<sup>10</sup> მომასმინე არ პირ-ბნელად,  
მაგრა საქმე ქაჯეთისა გამაგონე უფრო მრთელად:  
ქაჯნი ყველა უხორცოა, — რამან შექმნა კორციელად?“
- 155 მის ქალისა სიბრალოლი ამანთებს და მიდებს აღსა. ✨ ✨  
მაგრა ქაჯნი უკორცონი რას აქნევენ, მიკვირს ქალსა?“  
ფატმან უთხრა: „მომისმინე, მართლად გხედავ მდა მკრთალსა:  
არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა.
- 156 ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, —არიან ერთგან კრებულნი,  
კაცი გრძნებისა მკოდნენი, ზედან<sup>11</sup> გაკელოვნებულნი,  
ყოველთა კაცთა მავნებნი,<sup>12</sup> იგი ვერვისგან<sup>13</sup> ვნებულნი.  
მათნი შემბნელნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი.

1. F და I ქალაქთა(?). 2. G და I; ვარ. შიგან. 3. ინგ 1242,4 შორს მყოფ-  
თა. 4. აბ 1104,2 და ჭიჭ 1306,2 დგის. 5. C და K მაგრამ ვადამა(ნ), (შეად. კაკ<sup>1</sup>  
1197.1); F მაგრა ვადამან(?); H ია-ვარდამან; აბ 1105,1 მაგრ ავადამან; ჭიჭ 1307.1  
არ აკადამან; უგ 1244.1 მაგრ ვადამან. 6. კაკ<sup>1</sup> 1197.2 და უგ 1244,2 გაუცხადა.  
7. ზოგი კნ და დგ მითხარო(?). 8. C, G და K ვისმან ლადამა(ნ) (?). 9. კნ და დგ  
მე. 10. ინგ 1245,2 სანატრული; ზოგი კნ და დგ შევნიერი. 11. G და I მაზედ.  
12. კაკ<sup>1</sup> 1200,3 და უგ 1247,3 მავნენი. 13. კაკ<sup>1</sup> 1200,3 და 1247,3 არვისგან.

- 157 იქმენ რასმე საკვირველსა: მტერსა თვალსა დაუბრმობენ,  
ქართა აღძვრენ საწინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,  
ვითა კმელსა გაირბენენ წყალსა, წმიდად დააშრობენ,  
სწადდეს დღესა ბნელად იქმენ, სწადდეს, — ბნელსა ანათობენ.
- 158 ამისთვის ქაჯად უკმობენ გარეშემონი ყველანი,  
თვარა<sup>1</sup> იგიცა<sup>2</sup> კაცნია, ჩვენებრვე კორციელანი.“  
ავთანდილ მაღლი უბრძანა: „ცეცხლნი დამივსენ ცხელანი.  
დიდად მეამნეს ამბავნი, სიტყვანი აწინდელანი.“ —
- 159 გულითა ღმერთსა აღიდებს ავთანდილ ცრემლთა მდენელი.  
თქვა: „ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ჭირთა მომალხენელი,  
ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი,  
წყალობა-შენი<sup>4</sup> - იჩქითად - ჩვენზედა<sup>5</sup> - გარდმომფენელი!<sup>6</sup>“
- 160 მას ღამეს ფატმან იამა ავთანდილთანა წოლითა.  
ყმა უნდო - გვარად ეხვევის ყელსა ყელითა<sup>7</sup> ბროლითა.  
ჰკლავს თინათინის გონება, ძრწის იდუმლითა ძრწოლითა.  
გული მკეც - ქმნილი<sup>8</sup> გასჭრია მკეცთავე თანა რბოლითა.
- 161 გათენდა, ბანვად წავიდა მზე სოფელს მურ<sup>9</sup> - ნაკიდები.  
ღიაცმა უძღვნა მრავალი კაბა, ყაბაჩა, რილები,  
მრავალი ფერი სურნელი, ტურფა პერანგი, წმიდები,<sup>10</sup> —  
„რაცა გწადისო<sup>11</sup> ჩაიცვი, მე ნურას ნუ<sup>12</sup> მერიდები.“<sup>12</sup>“
- 162 ავთანდილ თქვა: „საქმე ჩემი<sup>13</sup> განეაცხადო ამა დღესა.“ —  
სამოსლისა ვაჭრულისა ცმა აქამდის დაეწესა, —  
მას დღეს ყოვლი საჭაბუკო შეიმოსა ტანსა მკნესა.  
მოიმატა დაშვენება, დაემსგავსა ლომი მზესა.

1. ვარ. თვარემ. 2. ასე უგ 1249,2; სხვა დგ და გნ იგინიც. 3. კაკ<sup>1</sup> 1202,3 დამივსე ცეცხლი. 4. გნ და დგ თქვენი(?). 5. კაკ<sup>1</sup> 1203,4 და უგ 1250,4 არს ჩვენი; სხვა დგ და გნ არის ჩვენდა. 6. უგ 1250,4 გარ მომფენელი. 7. ასე კაკ<sup>2</sup> 1252,2 და უგ 1252,2; სხვა დგ და გნ ბელითა. 8. ასე I (შეად. დგ); B, C და D ხელ-ქმნილი. 9. გნ და დგ შუქ—. 10. K წინდები(?). 11. I რაცა გედოსო; კაკ<sup>1</sup> 1209,4 და უგ 1255,4 რაც გეწადისო. 12. I დამერიდები. 13. ასე ინგ 1256,1; ვარ. ჩვენი.

- 163 ფატმანს პური შეეკაზმა<sup>1</sup> ავთანდილის საწვეველად.  
ყმა შევიდა მოკაზმული მხიარულად, არ პირ-ბნელად.  
ფატმან ნახა, — გაუყვირდა, — ვაჭრულისა უმოსელად.  
შემოსცინა: „აგრე სჯობსო შემთვის ხელთა სასურველად.“
- 164 პური ჭამეს, გაიყარნეს, ყმა წავიდა მისსა შინა.  
ღვინო-სმული, მხიარული დაწვჷ, ამოდ დაეძინა.  
სალამო ეამს გაიღვიძა, შუქი ველთა მოაფინა.  
ფატმან უხმო: <sup>3</sup> „მოდი, მნახე, მარტო ვარო, თავის-წინა.“
- 165 ფატმან მივიდა, ავთანდილს კმა ესმა მისგან ოხისა, —  
იტყოდა: „მომკლავს უცილოდ ტანი ალვისა, მო-, ხისა!“  
გვერცა დაისვა, ბალიში მისცა მისისა ნოხისა. —  
ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა ქოხისა.
- 166 ავთანდილ ბრძანა: „ჰე ფატმან, ვიცი ეს საქმე შენია, —  
ვაჭკრთები ამა ამბავსა მართ ვითა გველ-ნაკბენია.  
მაგრა აქამდის მართალი შენ ჩემი არა გსმენია.  
ჩემნი მომკლველნი<sup>4</sup> წამწამნი შეენი, — გიშრისა ტყენია!<sup>4</sup>  
<sup>1,2</sup>
- 167 გგონივარ ვინმე ვაჭარი, პატრონი ქარავანისა! —  
შე ვარ სპასპეტი მალლისა მეფისა როსტევეანისა,  
თავადი სპისა დიდისა, მათისა შესავანისა,  
მაქვს პატრონობა მრავლისა<sup>5</sup> საჭურჭლე - ზარადხანისა.<sup>6</sup> —
- 168 შენ ვიცი კარგი მოყვარე, ერთგული, მისანდობელი. —  
მათ უფის<sup>7</sup> ერთი ასული, — მზე კმელთა მანათობელი.  
იგრა ჩემი დამწველი და ჩემი დამადნობელი.  
მან გამომგზავნა, დავავდე პატრონი, მისი<sup>8</sup> მშობელი.

1. ინგ 1257,1 მოგეზადა. 2. დაეძინა. 3. ასე C და D (შეად. 1259,4); G ფატმან იგმო; აბ 1117,4 ფატმანს უგმო; I «ფატმან», უთხრა. 4. აბ 1119,4 და სხვ. სხენია; ინგ 1261,4 ჩემსა მომკლველსა... სხენია. 5. კაკ<sup>1</sup> 1215,4 და უგ 1262,4 მრავალი. 6. კაკ<sup>1</sup> 1215,4 ზარდახანისა; C და D მგზავსი ხანისა(?). 7. კაკ<sup>1</sup> 1216,2 უხის. 8. ინგ 1263,4 მათი.

- 169 რომე შენ ქალი გყოლია, მე ძებნად მისვე ქალისად მივლია ყოვლი ქვეყანა. — მის მზისა მონაცვალისად. მისთვის გაჭრილი მინახავს, წვეს ლომი ფერ-ნამკრთალი სად, გამცუდებულად თავისად, მის ვულისა და ძალისად.“ —
- 170 ავთანდილ ფატმანს ყველაი<sup>1</sup> უთხრა: ამბავი თავისა, ამბავი ტარიელისა, შემოსვა ვეფხის ტყავისა. უბრძანა: „შენ ხარ წამალი ჯერო შენგან უნახავისა, ღონე წამწმისა კშირისა, ჯორნის ფრთებრ<sup>2</sup> ნაფუშავისა.
- 171 შოდი და, ფატმან მეწივე, ვეცადნეთ მისისა<sup>3</sup> რგებასა, ვუშველოთ, იგი მნათობნი ნუთუ მიეცნენ შეგებასა. ვინცა სცნობს კაცი, ყველაი ჩვენსა დაიწყებს ქებასა. ნუთუ კვლავ მიჰხედენ მიჯნურნი ერთმანერთისა ხლებასა!
- 172 მომგვარე ქაჯეთს გავგზავნოთ<sup>4</sup> იგივე მონა გრძნეული, ქალსა ვაცნობოთ ყველაი ამბავი, ჩვენგან ცნეული, მანცა გვაცნობოს მართალი, ვქმნათ მისი გამორჩეული. ღმერთმან ქმნას, ქაჯთა სამეფო მოგესმას ჩვენგან ძლეული!“
- 173 ფატმან თქვა: „ღმერთსა დიდება, საქმენი მომხედეს, მო-, რანი, დღეს რომე მესმნეს ამბავნი.უკვდავებისა სწორანი!“<sup>5</sup> — მოჰგვარა მონა გრძნეული, შავი მართ ვითა ყორანი. უბრძანა: „ქაჯეთს გავზავნი,<sup>6</sup> წა, გზანი გისხენ შორანი.
- 174 აწ გამოჩნდების საკმრობა ჩემი შენისა გრძნებისა, ფიცხლად დამივსე<sup>7</sup> საკმილი შენ ჩემთა ცეცხლთა გზნებისა, მას მზესა ჰკადრე მიზეზი მისისა განკურნებისა.“ მან უთხრა: „ხვალე მოგართვა ყოვლი ამბავი ნებისა.“<sup>8</sup>“

1. უგ 1265,1 ყოველი. 2. უგ 1265,4 ფრთებ—. 3. ინგ 1266,1 მათსა. 4. ასე უგ 1267,1; სხვა დგ და გნ გავგზავნო. 5. კაკ<sup>1</sup> 1221,2 სწორ ანი(?). 6. კაკ<sup>1</sup> 1221,4; სხვა და და კნ გავგზავნი. 7. კაკ<sup>1</sup> 1222,2 დამივსო. 8. ნებისა < ნებისად.

- 175 ფატმან წერს: „აჰა მნათობო, სოფლისა მჭეო ზენაო, შენთა შორს-მყოფთა ყოველთა დამზერელო,<sup>1</sup>ამაზრზენაო, სიტყვა-მჭევრო-და-წყლიანო, ტურფაო, ლამაზ-ენაო, ბროლო და ლალო, ოროვე, კვლა ერთგან შენათხზენაო!
- 176 თუცა თუ შენი ამბავი შენ არა მომასმენიე, მე ეგრეცა<sup>2</sup> ვცან<sup>2</sup> მართალი, მით გულსა მოვავლენიე.<sup>3</sup> — შენთვის ხელ-ქმნილსა ტარიელს ამბვითა მოალხენიე. ორნივე მიჰხედეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ იე. —
- 177 მოსრულა შენად საძებრად მისი ძმად-შეფიცებული, ავთანდილ, მოყმე არაბი, არაბეთს - შიგან<sup>4</sup> ქებული, სპასპეტი როსტან მეფისა, ვერვისგან დაწუნებული. — შენ სწერდი შენსა ამბავსა<sup>5</sup> ლალი, ბრძნად გაგონებული.
- 178 ჩვენ ამისთვის ესე მონა გამოვგზავნეთ თქვენსა წინა, — ვცნათ ამბავი ქაჯეთისა, — მოსრულანმცა<sup>6</sup> ქაჯნი შინა? მადაურთა მეომართა ანგარიში წერილად გვინა, — ვინ არიან მცველნი შენნი, ან თეადი მათი ვინ ა?
- 179 რაცა იცი მადაური მოგვიწერე, გაამეღანე. — მერმე შენსა საყვარელსა ნიშანი რა გაუგზავნე. შენნი ყველა აქამდისნი<sup>7</sup> ჭირნი<sup>7</sup> ღზინსა გაათავნე, — ღმერთსა უნდეს, მოყვარენი შესაფერნი შეგავზავნე!“
- 180 ფატმან მისცა დაწერილი მას გრძნეულსა კელოვანსა: „ესე წიგნი მიართვიო ქალსა, მზისა დასავანსა.“ მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედან ტანსა; მასვე წამსა გარდიკარგა,<sup>8</sup> გარდაფრინდა ბანის-ბანსა. —

1. გნ და დგ დამწველო. 2. ასე უგ 1271,2; კაკ<sup>1</sup> 1224,2 ეგრეცა ვსცნა; სხვა დგ და ან ეგე ვ(კ)ანი. 3. აბ 1129,2 მოვალხენიე; ინგ 1171,2 მოვათმენიე. 4. კაკ<sup>1</sup> 1225,2 და უგ 1272,2 არაბეთშიგან. 5. I შენსა ამბავთა(?); G შენთა ამბავთა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1225,4). 6. ინგ 1273,2 მოსრულანცა. 7. გნ და დგ შენი... აქამდისი ჭირი, ... აქანამდის... 8. კაკ<sup>1</sup> 1228,4 და უგ 1276,2 დაიკარგა.

- 181 წავიდა ვითა ისარი კაცისა მშვილდ-ფიცხელისა. —  
რა ქაჯეთს შეკდა, ქმნილ იყო ოდენ ბინდ-ბანდი ბნელისა.  
უჩინოდ შევლო სიმრავლე მოყმისა კართა მცველისა, —  
მას მხესა ჰკადროს<sup>1</sup> ამბავი<sup>1</sup> მისისა სასურველისა. —
- 182 ციხისა კარნი დაკშულნი შევლნა მართ ვითა ღიანი. —  
შევიდა ზანგი პირ-შავი, თმა-გრძელი,<sup>2</sup> ტან-ნაბღიანი.  
იგი მზე დაჰკრთა, ეგონა სამისო რამე ზიანი,  
შესცვალა ვარდი ზაფრანად, ლაქვარდის ფერად იანი.
- 183 ზანგმან<sup>3</sup> უთხრა: „ვინ გგონივარ, ანუ აგრე რად დაჰბნდები?  
მე ვარ მონა ფატმანისი თქვენს წინაშე ნაგზავნები.<sup>4</sup>  
ამა წიგნმა გამამართლოს, არ ტყუვილად გეუბნები. —  
მზისა შუქნი მოიცადნენ,<sup>5</sup> ვარდო, აღრე ნუ დასქნები.“ —
- 184 პირ-მზე გაკვირდა ფატმანის ამბითა საკვირველითა.  
ნუშნი გააპნა, შეიკრნეს<sup>6</sup> სატნი<sup>6</sup> გიშრისა წნელითა.  
მას იგი წიგნი მონამან მისცა თავისა კელითა.  
იკითხავს, სულთ-თქვამს, უსტარსა ალტობს ცრემლითა ცხელითა.
- 185 მონასა ჰკითხა: „მიამბე, ვინ არის ჩემი მძებნელი,  
ანუ ვინ მიცის ცოცხალი, მიწასა ზედან-მტკეპნელი?“  
მან მოაკსენა: „ვიკადრებ, რასცა<sup>7</sup> ოდენ ვარ მცნებელი:  
რა წამოსრულხარ, მას აქათ შენგან ჩენნია მზე ბნელი.
- 186 ფატმანის გული მას აქათ ლახვართა შენახევია.  
მას რომე ცრემლი<sup>8</sup> სდენია,<sup>8</sup> — ზღვასაცა შენართევია.  
მე ერთველ შენი ამბავი მისთვის კვლა მომირთმევია!<sup>9</sup>  
ღმერთსა ვიმოწმებ, მას<sup>10</sup> აქათ ტირილი<sup>10</sup> არ დაჰლევია.<sup>10</sup>

1. კაკ<sup>2</sup> 1276.4 და უგ 1276.4 ჰკადრა ამბავი; აბ 1134.4 ჰკადრა სალაში.  
2. ინგ 1278.2 თმა-კრუზი. 3. C და F ქაჯმან. 4. ვარ. ნამგზავნები. 5. ასე ვახტ;  
F და I მოიცადე; C და D მოისწრაფვენ (შეად. აბ 1136.4 და სხვ.). 6. გნ და დგ  
შეიძრნეს სატნი. 7. გნ და დგ რასაც. 8. ასე I; აბ 1139.3 და სხვ ცრემლნი სდი-  
ოდეს. 9. I შემატებია 10. ვახტ ..... დამლევია(?); G ... დაგვლევია; I ტირილი  
აროდეს დაგვდუმებია.

- 187 აწ ვინმე მოყმე მოვიდა შეენიერთა პირითა, —  
 მან უთხრა<sup>1</sup> წვრილად ყველაი თქვენ ხართ რათაცა<sup>2</sup> ჭირითა.  
 იგია შენი მძებნელი მკლავითა ვითა - გმირითა.  
 მე გამოამგზავნეს, დამვედრეს სწრაფა სწრაფითა კშირითა.“
- 188 ქალმან უთხრა: „მემართლებსი, ყმაო, შენი ნაუბარი.  
 ფატმან ჩემი რა იცოდა, ვიყავ ვისი წანაგვარი!  
 ულონიოდ არის სადმე ჩემი ცეცხლთა მომდებარი.  
 მე მიუწუწურ, შენცა ჰკადრე, ვარ ვითაცა<sup>3</sup> გულ-მდულარი.“<sup>4</sup>“
- 189 პირ-მზე სწერს:<sup>5</sup> „აჰა ხათუნო, დედისა მჯობო დედაო!  
 მისგან ტყვე-ქმნილსა სოფელმან რა მიყო, ამას ჰხედოა?! —  
 მე, გლას, მათ ჩემთა პატიეთა სხვაცა დამერთო ზედაო! —  
 აწ ვნახე შენი უსტარი, მე დიდად მეიმედაო. —
- 190 შენ ორთა დამხსენ გრძნეულთა, გამიადვილე ჭირები.  
 აწ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები:  
 ერთსა მცვექს ერთი სამეფო, ბევრჯერ ათასი გმირები.—  
 ავად მომიხდა თათბირი და ჩემი დანაპირები!
- 191 სხვად, ამბავი აქაური მეტი რამცა მოგიწერე:  
 ქაჯთა მეფე არ<sup>6</sup> მოსრულა,<sup>6</sup> არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე.  
 მავრა სპანი უთვალავნი მცვენ და მათი სიალფე-რე.  
 რასა ჰქვიან ძებნა<sup>7</sup> ჩემი! —არ ეგების, დაიჯერე!
- 192 ვინცაღა ჩემი მძებნელი მოსრულა,<sup>8</sup> — ცუდ-მაშვრალია.  
 იჭირვის, იწვის, ენთების, ჩემი სწევას ცეცხლებრ აღია,  
 მავრა მას ვჰნატრი, — უნახავს მზე, ამაღ არ დამზრალია, —  
 უმისოდ ჩემი სიცოცხლე, ვა-მე, რა დიდი ბრალია! —

1. უგ 1283,2 მათ(?). 2. ინგ 1283,2 და სხვ. რითაც. 3. C, F, G და ვახტ ვი-  
 თამცა(?). 4 F და G გულ-მპურვალი(?). 5. ასე ინგ 1285,1; ზოგი გნ და დგ ვწერ(?).  
 6. კაკ<sup>1</sup> 1231,2 შინ არ არის. 7. ინგ 1287,4; აბ 1144,4 და სხვ. მძებნი(?). 8. ასე ინგ  
 1288,1; აბ 1145,1 და სხვ. მოსრული.

- 193 შენ აშბავი არ ვიამზე მაშინ, ამაღ დაგიმაღე, —  
ვერ იტყოდა ენა ჩემი, თავი ჭირთა გაეკარძალე. —  
გახვეწები,<sup>1</sup> საყვარელსა შემახვეწე, შემაბრალე, —  
ნუ წამოვა ძებნად ჩემად, — მიუწერე, შეცასთვალე.
- 194 რომე მჭირს, — კმარის, ნუ მომკლავს<sup>2</sup> ამისითავე სწორითა:  
მას ძეკვდარსა ვნახვე, მოვკვდები მე სიკვდილითა ორითა.  
ვერას ვინ მარგებს, დასტურად ვიცი, არ რამე ჭორითა.  
არ დაგმორჩილდეს, — დამქოლეთ<sup>3</sup> შავისა ქვისა ყორითა!
- 195 გეთქვა ნიშნისა გაგზავნა, აწ ესე გამიმეღავენია:<sup>4</sup>  
ძისეულთავე რიდეთა ნაკვეთი გამიგზავნია.  
ესენი ჩემთვის მის გამო ტურფანი სანახავნია,  
თუცა თუ ფერად ბედისა ჩემისა მსგავსად შავნია.“ —
- 196 აწ საყვარელსა მიუწერს გულ-ამოსკენილი, მტირალი.  
ძისძანვე ცრემლმან დაუვისს მას,<sup>5</sup> ეღებოდა ვირ,<sup>6</sup> ალი.  
დაწერა წიგნი მსმენელთა გულისა გასაგმირალი.  
ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომქვირალი:
- 197 „ჰე ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები.  
ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველსა<sup>8</sup> ამონაწები.  
მე გული შენი ქალაღდად გულსავე ჩემსა ვაწები. —  
გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეკსნები აწ, ები!
- 198 ჰხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია?! —  
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია.  
ბრძენნი იცნობენ, სწურობენ მით, — მათგან საწუნელია. —  
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვა-მე, რა დიდი ძნელია! —

1. კაკ<sup>1</sup> 1241,3 და უგ 1289,3 გეაჯები. 2. 2. ან და დგ მე რომ. 3. G დამწ-  
ვაეს (შეად. კაკ<sup>1</sup> 1242,1). 4. ან და დგ დამქოლეთ(?). 5. უგ 1291,1 განამეღავენია;  
აბ 1148,1 გაამეღავენია. 6. კაკ<sup>1</sup> 1244,2 ვინ(?); სხვა დგ და ან ვის(?). 7. ან და დგ  
ვის(?). 8. ინგ 1293,2 ნაღველთა; უგ 1293,2 ნაღველსა; აბ 1160,2 ნაღველთა.

- 199 ჰხედავ, ჩემო, ვით გაგვყარა სოფელმან და ჟამმან კრულმან? --  
ველარ გნახე საყვარელი მხიარულა მხიარულმან!  
ნეტარ რა ქმნას უშენომან გულმან, შენგან დალახურულმან! --  
გავიცხადა დამალული<sup>1</sup> გონებამან დაფარულმან, —
- 200 შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე.  
ჩემი მეთქვა,<sup>2</sup> — მართ<sup>3</sup> დასრულდა<sup>3</sup> სიცოცხლე და ყოელი ღონე!  
აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვჰმონე,  
ჩემი ყველა აქანამდის ჭირი ღბინსა შევაწონე:
- 201 შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად, —  
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად, —  
მომიგონებდე, გაკსოვდე მე შენთვის დაკარგული სად. —  
ვზი მზრდელად<sup>4</sup> საყვარულისა მის, შენგან<sup>5</sup> დანერგულისად.
- 202 სხვად, ჩემო, ჩემი ამბაყი ჩემგან არ მოგეწერების! —  
ენა დაშვრების, მოსმენით არვისგან დაიჯერების! —  
ფატმან წამგვარა გრძნეულთა, — ღმერთიმცა მას ეტერების!  
აწ კვლა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების. —
- 203 აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა,<sup>6</sup> —  
არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიჟთა მრავალ-გვართა:  
კვლაცა მიმცა შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელად საომართა!  
ბედმან გვიყო ყველაყაი, ჩემო, რაცა დაგვემართა!
- 204 ციხეს ვზი ეზომ მალალსა, თვალნი ვერ გარდასწვდებიან.  
გზა გვირაბითა შემოვალს, მცველნი მუნ<sup>7</sup> ზედა<sup>7</sup> - დგებიან.  
ღღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან.  
მათთა შემბმელთა დაჰკოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.

1. კაკ<sup>2</sup> 1294,4 ხვაშიადი. 2 F გეთქვა; G ყველა. 3. F გარდასულა; F გარდ-  
მეწყვიტა; ინგ 1296,2 გარდასრულად; სხვა გნ და დგ გარდასრულდა. 4. ასე  
კაკ<sup>1</sup> 1240,4; სხვა დგ და გნ მზრდელი. 5. ასე შან. ძვ. ქ. ე. და ლიტ. გვ 131, 35;  
სხვა დგ და გნ ჩემგან. 6. შან. ძვ. ქ. ე. და ლიტ. გვ. 132, 3 დამისართა; აბ 1155,1  
მიმისართა. 7. G მაზედა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1252,2).

- 205 ნუთუ ესენი გეგონნეს სხვათა მებრძოლთა წესითა?!  
 ნუცა მე მომკლავ ჰირითა ამისგან უარესითა!  
 ოებს მკვდარსა გნახავ, დავიწვი ვითა აბედი კვესითა!  
 მოგშორდი, — დამთმე გულითა, კლდისაცა<sup>1</sup> უმაგრესითა!
- 206 შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხვდეს<sup>2</sup> მთვარე შენი, —  
 შინმან მზემან, ვერვის<sup>3</sup> მიჰხვდეს, მოცავეიდან სამნი მზენი!  
 აქათ თავსა<sup>4</sup> გარდაეიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი. —  
 სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი:
- 207 ღმერთსა შემევედრე, ნუთუ კვლა დამკნას სოფლისა შრომასა,  
 ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა,  
 მომცნეს ფრთენი და აღეფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,  
 დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა ელვათა კრომასა.
- 208 მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი.  
 განალამცა მას ეახელ<sup>5</sup> მისი ეტლი არ თუ წბილი!  
 მუნა გნახო, მასვე<sup>6</sup> გასახო, განმინათლო<sup>7</sup> გული<sup>8</sup> ჩრდილი,  
 თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა<sup>9</sup> ტკბილი!
- 209 მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა. —  
 მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა:  
 მომეგონის მოშორებება,<sup>10</sup> მემატების წყლული წყლულსა. —  
 ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ,<sup>11</sup> ჩემო, ჩემსა<sup>12</sup> სიყვარულსა.<sup>12</sup>
- 210 წადი ინდოეთს, — მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,  
 მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით კელ-აღუპრობელსა.  
 გულსა აღხინე ჩემისა მოშორებებისა მთმობელსა.  
 მომიგონებდი მტირალსა შენთვის ცრემლ-შეთშრობელსა.

1. G კლდისგანაც (შეად. კაკ<sup>1</sup> 1253,4). 2. ინგ 1308,1 ჰმართებს. 3. ინგ 1303,2 არვის. 4. ინგ 1303,3; სხვა გნ და დგ აქა. 5. აბ 1160,2 და ჰიქუ 1368,2 იახ-  
 ლე; კაკ<sup>1</sup> 1256,2 იახელ. 6. ასე K (შეად. აბ 1160,3); ზოგი გნ და დგ მანდვე(?).  
 7. K გამინათლდა. 8. K გულსა. 9. ასე C (შეად. აბ 1160,4); ვარ. მქონდეს.  
 10. გნ და დგ მომეგონოს. 11. ინგ 1306,4 იგლოვ. 12. უგ 1306,4 შენთვის დაკა-  
 რგული(?).

- 211 რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კმა<sup>1</sup> საჩივარად, —  
სცხა სამართალი<sup>2</sup> მართალი გულისა გულსა მყივარად:<sup>3</sup>  
შენთვის მოვკვდები, გავკვდები ყოვანთა დასაყივარად.<sup>4</sup>  
ვიდრე ცოცხალ ვარ გეყოფი სატირლად და სატკივარად. —
- 212 აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა.  
გარდმიკვეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა.  
ესე-ლა დავრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა. —  
რისხვით მობრუნდა ჩვენზედა ბორბალი ცისა შეიდისა!<sup>4</sup>
- 213 ესე წიგნი, საყვარელსა მისსა თანა მინაწერი,  
რა დაწერა, გარდაკვეთა მათ<sup>5</sup> რიდეთა<sup>6</sup> ერთი<sup>6</sup> წვერი,  
თავ-მოხდილსა დაუშვენდა სისხო, სიგრძე თმათა ფერი.<sup>7</sup> —  
აღვისაგან სული მოჰქრის ყორნის ფრთათათ მონაბერი.
- 214 იგი მონა წამოვიდა, გულანშაროს მომავალი.<sup>8</sup>  
წამ-ერთ მიჰკდა<sup>9</sup> ფატმანისსა, დღე იარა არ მრავალი. —  
რა ავთანდილს გაუსრულდა საქმე მისი სასურვალი,  
კელ - განპყრობით<sup>10</sup> ღმერთსა ჰმადლობს ცნობა-სრული, არა  
[მთრვალი.
- 215 ფატმანს უთხრა: „გამისრულდა ეამად საქმე საწადელი.  
დიდი შენი მოჭირვება<sup>11</sup> ჩემგან არის გარდუქდელი.  
წავალ, დგომად აღარა მცალს დრომ მოსრულა შარშანდელი.  
ფიცხლად ქაჯეთს მოვიყვანო მათი მომსაზობ-ამწყვედელი.<sup>12</sup>
- 216 ხათუნშან უთხრა: „ჰე ლომო, ცეცხლი აწ უფრო ცხელდების.  
მოეშორებების ნათელსა, გული ამისთვის ბნელდების.  
ისწრაფე, ჩემი ნუ გაგვა. — ხელი ეგრეცა ხელდების! —  
თუ ქაჯნი მოგესწრებიან, მუნ მისვლა გაგიძნელდების.“

1. ვარ. კმარს. 2. ენ და დგ ცან. 3. ენ და დგ შივა რად. 4. C დასატივარად(?).  
5. კაკ<sup>1</sup> 1261.2 მას რიდესა. 6. ასე კაკ<sup>1</sup> 1261.2 და სხვ.; აბ 1165,2 პირთა. 7. ასე  
კაკ<sup>1</sup> 1261.3; ზოგი დგ და ენ წვერი(?). 8. კაკ<sup>1</sup> 1262.1 მამავალი; აბ 1166,1 მიმავალი.  
9. კაკ<sup>1</sup> 1262.2 მოგდა. 10. ენ და დგ ბელ-აღპყრობით. 11. ინგ 1312,2 კირ-  
ნახული. 12. კაკ<sup>1</sup> 1263.4 მომსპელ—.

- 217 ყმაძან ფრიდონის მონანი უკმნა,<sup>1</sup> მასთანა ხლებულნი,  
უბრძანა: „მკედარნი აქამდის აწლა ვართ დაცოცხლებულნი,  
რაცა გვინდოდა მისითა სმენითა<sup>2</sup> განახლებულნი.  
ჩვენთა მტერთანი გიჩვენე წყლულნი, მით ვავლახებულნი!
- 218 შიღით და ფრიდონს უამბეთ ამბავი არ ნაცქაფავი.  
მე ვერა ვნახავ, ვისწრაფი, — გზა ჩემი არს ნასწრაფავი,  
მან გააკაფოს კმა კაფი, კვლა უფრო გასაკაფავი. —  
თქვენ მოგცე ლარი ყველაი მე ჩემი ნაალაფავი.“ —
- 219 დაწერა: „ფრიდონ, მალალო, სვე-სრულო მეფეთ-მეფეთ,  
ლომისა მსგავსო ძალ-გულად. მზეო შუქ-მოიფეთ,  
მოვლენილო და მორკმულო, მტერთა სისხლისა მჩქეფეთ,  
უტროსმან ძმამან შორი-შორ სალამი დავიყეფეთ!
- 220 ჭირნი ვნახენ და მოცამხვდა ნაცვალი ჭირ-ნახულისა, —  
კარვად მოკდომა საქმისა ჩემისა განზრახულისა:  
მიცნია მართლად ამბავი პირისა მზედ სახულისა,  
დამარჩენელი ლომისა მის, ქვესკნელს დამარხულისა.
- 221 იგი მზე ქაჯთა მეფესა ჰყავს ქაჯეთს პატიმარია.  
მუნ მისელა მიჩანს თამაშად, თუცა გზა საომარია.  
ნარგისთათ<sup>1</sup> წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდი ნაწვიმარია.  
ჯერთ ქალსა ქაჯნი არ ახლვან, მაგრა სპა უამრავია.
- 222 გულ-მზიარული ვიხარებ ამად, არ ცრემლი მმილდების, —  
სადაცა უენ და უენი ძმა ხართ, ძნელი გაადვილდების.  
რაცა მოვინდეს,<sup>6</sup> უცილოდ იქმთ, იგი არ ავცილდების.  
არ თუ-რე კაც<sup>7</sup> დაგიდგამს,<sup>8</sup> ვეჭვ, კლდეცა გაგიცვილდების!<sup>9</sup>

1. ვარ. იკმნა. 2. კაკ<sup>1</sup> 1265,3 სმენით ვართ; 3. კაკ<sup>1</sup> 1265,3 განხარებულნი.  
4. ასე ინგ 1320,3; ზოგი გნ და დგ ნარგისთა. 5. კაკ<sup>1</sup> 1271,4 ახლავს. 6. კაკ<sup>1</sup> 1272,3  
გეწადოს. 7. გნ და დგ კაცმან(?). 8. კაკ<sup>2</sup> 1320,4 და უგ 1321,4 დაგიდგნას(?); სხვა  
დგ და გნ დაგიდგას(?). 9. ასე კაკ<sup>1</sup> 1272,4; სხვა დგ და გნ გაგიღბილდების.

- 223 აწ, შემინდევ, ვერა გნახე. შორს ამისთვის წაგიარე, —  
გზა-გზა ყოვნა<sup>1</sup> აღარა მცალს, პატიმრად ა იგი მთვარე!  
ადრე მოვალთ მხიარულნი, ჩვენი ნახეა გაიხარე. —  
ამის მეტი რაღა გკადრო, — ძმასა ძმურად მოეკმარე. —
- 224 ამა მონათა ჩემზედა გარდაუკდელი გულია.  
ამოდ მშსახურეს, — თქვენიმცა გული ამათთვის სრულია!  
ქება რად უნდა მას, ვინცა თქვენთანა ხან-დაზმულია!  
„მსგავსი ყველაი მზგავსსა ჰზობს,“ —ესე ბრძენთაგან თქმულია.“ —
- 225 მონახა, პოვა აეთანდილ ნავი მისისა მკარისა.  
გამოემართა იგი მზე პირითა საესე მთვარისა. —  
მავრა დაგდება უმძიმდა ფატმანის გულ-მწუხარისა. —  
მისთა გამყრელთა ნაკადი ჩასდის ცრემლისა<sup>2</sup> ღვარისა...

1. ასე ინგ 1322,3; ზოგი გნ და დგ ყოფნა. 3. გნ და დგ სისხლისა.

კ ა რ ი მ ე რ ვ ე

ნესტანდარჯანის ხსნა ქაჯეთის ციხითგან და

ავთანდილის და ტარიელის გამეფება.

ავთანდილის დაბრუნება ტარიელთან. — ტარიელის დაბნედა ნესტანდარჯანის წიგნისა და ნიშნის ნახვისას. — ასმათის ნახვა. — ქეაბს ნახვა დიდი საჭურჭლისა და საკვირველი აბჯრისა. — წასვლა ფრიდონისას. — გალაშქრება ქაჯეთის წინააღმდეგ. — ციხის აღება და ნესტანდარჯანის კსნა. — ზღვათა მეფისა და ფატმანის ნახვა და ქორწილი ტარიელისა და ნესტანდარჯანისა. — მისლვა ფრიდონისას და განგრძობა ქორწილისა. — ქეაბს მისლვა და იქ დებული საჭურჭლის მიძღვნა ტარიელის მიერ ფრიდონისათვის. — არაბეთს მისლვა, ავთანდილის მიერ შერთვა თინათინისა და მისი გამეფება. — ინდოეთს გამეფება ტარიელისა და ნესტანდარჯანისა.

- 1 გამოვლნა ზღვანი ავთანდილ მეზავრითა რათმე<sup>1</sup> ნავითა. პირ-მხიარული აცოვრებს მართ ოდენ მარტო თავითა. მას შეყრა ტარიელისა უხარის მით ამბავითა. კელ-განჰყრობილი<sup>2</sup> გულითა არს ღმრთისა საესავითა.
- 2 მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით<sup>3</sup> ამოსვლა მწვანისა, ვარდის ფურცლობა,<sup>4</sup> — ნიშანი, დრო მათის პაემანისა, ეტლის ცვალება მზისაგან,<sup>5</sup> შეჯდომა სარათანისა,<sup>6</sup> სულთ-თქენა,<sup>7</sup> რა ნახა<sup>8</sup> ყვავილი მან, უნახავმან ხანისა.
- 3 აგრგვინდა ცა და ღრუბელნი<sup>9</sup> ცროდეს ბროლისა ცვარითა. ვარდთა აკოცა ბავითა მითვე ვარდისა დარითა. უბრძანა: „გიჰვრეტ თვალთა, გულ-ტკბილად შეხედვარითა, მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბარითა.“

1. ინგ 1327,1 რითმე 2. ვარ. აგელ-აღჰყრობილი. 8. I ქვეყნად (შეად. კაკ<sup>1</sup> 1279,1). 4. გნ და დგ ვარდის-ფურცლობის. 5. მზისა და. 6. ასე G; კაკ<sup>1</sup> 1279,3 საროს ტანისა (შეად. ვახტ). 7. კაკ<sup>1</sup> 1279,4 სულთქენის. 8. კაკ<sup>1</sup> 1279,4 რა ნახის. 9. ვარ. ღრუბელი (შეად. კაკ<sup>1</sup> 1280,1).

- 4 რა მოეგონის<sup>1</sup> მოყვარე, სდინდიან ცრემლნი მწარენი.  
ტარიელისკენ იარნა მან გზანი საწყინარენი,  
უღაბურნი და უგზონი, უცხონი რამე არენი.  
სადაცა ნახნის,<sup>2</sup> დახოცნის<sup>2</sup> ლომ-ვეფხნი მოშამბნარენი.
- 5 ქვაბი გამოჩნდეს,<sup>3</sup> ეამა, იცნა, თქვა: „იგი კლდენია,  
სადაა<sup>4</sup> ჩემი მოყვარე<sup>4</sup> და ვისთვის ცრემლნი მდენია.  
ღირს ვარმცა ვნახო პირის-პირ, ვუამბო რაცა მსმენია?! —  
არ მოსრულ იყოს, რაღა ვქმნა, ცუდ ჩემი განაველენია!
- 6 თუ მოსრულა, უღონოდ შინა ხანსა არ დაჰზმიდა,  
მინდორს სადმე წაყვიღოდა, მკეცისაებრ ველთა ვლიდა. —  
სჯობს თუ შამბ-შამბ წაფიარო,“ — ივონებდა, იხედვიდა.  
ესე თქვა და მიუქცია, მინდორთაკენ წამოვიდა.
- 7 მიაცორეებს და იმღერის გულითა<sup>5</sup> მხიარულითა.<sup>5</sup>  
მართ სახელ-დებით უყივის კმითა მით ზეარულითა.<sup>6</sup>  
ცოტაი წარვლო, — გამოჩნდა მზე სინათლითა სრულითა:  
შამბისა პირსა ტარიელ დგას,<sup>7</sup> კრმლითა მომაბულითა.
- 8 ტარიელს ლომი მოეკლა, მით კრმალსა სისხლი სცხებოდა.  
შამბისა პირსა ქვევითი დგა, ცხენი არა ჰხლებოდა.  
ყვილი აეთანდილისა ესმოდა, ეოცებოდა.  
შეჰხედნა, იცნა, გაიქცა მისკენ, მირბოდა, ხლდებოდა.
- 9 კრმალი გასტყორცა ტარიელ, მიჰმართა მისსა ძმობილსა.  
ყმა ცხენისაგან გარდიჭრა, — ჰგვანდა ეტლისა სწრობილსა!  
მათ ერთმანერთსა აკოცეს, — ჰგვანან ყელ-გარდაჭობილსა!  
კმა შაჭრის - ფერად გამოჰკვდა<sup>8</sup> ვარდსა კშირ-კშირად პობილსა.

1. I მოაგონდის (შეად. კაკ<sup>1</sup> 1281,1). 2. ინგ 1330,4 ნახის, დახოცის. 3. კაკ<sup>1</sup> 1282,1 გამოჩნდა. 4. კაკ<sup>1</sup> 1282,2 სადა ზის ჩემი ძმად-ფიცი. 5. გნ და დგ მხიარულითა გულითა. 6. კაკ<sup>1</sup> 1284,2 სიხარულითა; აბ 1187,2 და უიჭი 1397,2 მხიარულითა; ინგ 1333,2 და უგ 1333,2 სახარულითა. 7. ინგ 1333,4 დგა. 8. შეად. ინგ 1335,4; აბ 1188,4 გაუბდა; კაკ<sup>1</sup> გაუბდის.

- 10 ტარიელ მოთქვა ტირილით სიტყვა ნატიფი, მკვერები, სისხლისა ღვარმან<sup>1</sup> შელება წითლად გიშრისა ტვერები, აღევასა წყარო ცრემლისა მოჰრწყავს, ნაკადი ბევრები, — „რათგან შენ გნახე, რა მგამა, პატიჟი<sup>2</sup> მჭირდეს მეე რები!“
- 11 ტარიელ ტირს და ავთანდილ სიცილით ეუბნებოდა, გალიმდის, ძოწი გააპის, კბილთაგან ელევა ჰკრთებოდა. ეტყოდა: „ეცანო ამბავი, შენ რომე გეამებოდა. აწ განახლდების ყევილი, ვარდი აქამდის ქნებოდა.“
- 12 ტარიელ უთხრა: „ჰე ძმო, კმარის დღეს<sup>3</sup> რაცა მლხენია,<sup>4</sup> — ყოველი ჩემი სალხინო მინახავს, — ნახვა შენია. სხვად, ნუ ყო<sup>5</sup> ღმერთმან წამალი, არცა-რა მოგისმენია! — კაცმანმცა<sup>6</sup> სოფელს ვით პოვა<sup>7</sup> რაც არა საქმე ზენია!“
- 13 რა ტარიელ არ შესჯერდა, ავთანდილცა არ დაწყენარდა. შის ამბისა დაყოენება ველარ გაძლო, აუჩქარდა. გამოიღო რიდე მისი, ვინ ბაგეთა ვარდი ვარდა. რა ტარიელ ნახა, იცნა, გამოუღო, შემოვარდა.
- 14 წიგნი და კიდე რიდისა იცნა და გაცაშალა მან, პირსა დაიდვა, — დაეცა,<sup>8</sup> — ვარდმან ფერიოთა მკრთალამან. სულნი<sup>9</sup> გაექცნეს,<sup>9</sup> მოადრიკა<sup>10</sup> ლავი გ-შრისა ტალამან. — მისნი ვერ გაძლენს<sup>11</sup> პატიჟნი ვერ კაენ,<sup>12</sup> ვერცა სალამან! —
- 15 ავთანდილ უქვერეტს ტარიელს უსულოდ ქვე-მდებარესა. შეჰფრინდა, შეველად მიჰმართა მას ფიცხლად,<sup>13</sup> უუბარესა.<sup>14</sup> ვერ-რა ვერ არგო დამწეარსა, სრულად<sup>14</sup> ცეცხლ-ნადებარესა! — მისთა ნიშანთა<sup>15</sup> სიცოცხლე მართ<sup>16</sup> მისი<sup>16</sup> მიიბარესა! —

1. I (შეად. კაკ<sup>1</sup> 1287,2 და უგ 1336,2); გნ და დგ ცრემლმან. 2. ასე ინგ 1336,4; სხვა დგ გნ პატიჟნი. 3. ასე G; ზოგი გნ და დგ დღე. 4. კაკ<sup>1</sup> 1289,1 მსმენია. 5. გნ და დგ ყოს(?). 6. G კაცმამცა. 7. G პოოს. 8. კაკ<sup>1</sup> 1291,2 და ცაბნდა. 9. C... გაიქცეს; კაკ<sup>1</sup> 1291,3... გაიქცნეს; B სული გაექცა. 10. კაკ<sup>1</sup> 1291,3 მოდრიკნეს(?). 11. F გაძლდა. 12. ასე A, S, H და I; B კეენ; C და D ყაენ; F რამინ (შეად. აბ 1194,4 და სხვ.). 13. გნ და დგ ტკბილად მოუბარესა(?). 14. კაკ<sup>1</sup> 1292,3 გვანდა. 15. ინგ 1341,4 ნიშატთა. 16. კაკ<sup>1</sup> 1292,4 მათ მათი(?).

- 16 უცნობო-ქმნილი ტარიელ ძეს მსგავსად ნატუსალისად. ავთანდილ ადგა, გამოვლნა<sup>1</sup> შამბნი<sup>1</sup> საძებრად წყაღისად. მან პოვა სისხლი ლომისა, მოაქეს საესებლად ალისად. მკერდსა დაასხა, გავეკდა ლაქვარდი ფერად ლლისად.
- 17 ავთანდილ მკერდსა დაასხა მას ლომსა სისხლი ლომისა, ტარიელ შეერთა, შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა. თვალნი აღახენა, მიეცა ძალი ზე-წამოჯდომისა. — ლურჯად ჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან ფერ<sup>2</sup>-ნაკრთომისა. —
- 18 ტარიელ ნახა ნაწერი კვლაცა მკლველისა მისისა. იკითხავს, — აშთობს,<sup>3</sup> აშეთებს<sup>4</sup> კითხვა წიგნისა მისისა. დაუყვის ცრემლმან სინათლე, ბნელად ჩანს შუქი დღისისა. — ავთანდილ ადგა, დაუწყო თხრობა სიტყვისა მქისისა.
- 19 ეტყვის თუ: „ნაქმრად არ ვარგა კაცისა განსწავლილისად!<sup>4</sup> აწ რადლა გემართებს ტირილი? კამს დაესხდეთ ქმნად ღიმილისად.<sup>4</sup> ადგე, წავიდეთ საძებრად მის მზისა წარკდომილისად.<sup>4</sup> აღრე მიგიყვან, მიყვანა არს შენგან მონდომილი სად.“<sup>4</sup>
- 20 მერმე ტარიელქ ამბავსა ჰკითხავს, აღარა ბნდებოდა. შეჰხენდის, თვალნი<sup>5</sup> ამართნის,<sup>6</sup> შავ-თეთრი ელვა-ჰკრთებოდა. მართ ვითა ლალსა მზისაგან მას ფერი ეზარდებოდა,<sup>7</sup> ვინ ღირს ა, თუცა<sup>8</sup> წყალობით ცა მიწყევ მობრუნდებოდა.<sup>9</sup>
- 21 ავთანდილს მადლი უბრძანა, ქმნა უყო საუბარისა: „შე შენი ჭება ვითა ვთქვა, ბრძენთაგან საქებარისა! ვითა ზე-მთისა წყარომან მოჰრწყე ყვაელი ბარისა, — დამწყვიდე დენა ცრემლისა ნარგისთა ნავუბარისა.

1. კაკ<sup>1</sup> 1269,2 გამოვლო შამბი. 2. ასე კაკ<sup>1</sup> 1297,4; სხვა დგ და გნ შუქ—  
3. I აშთობს. ახელეებს; G თუცა ახელეებს (შეად. კაკ<sup>1</sup> 1300,2); სხვა გნ და დგ  
თუცა აშეთებს. 4. ასე უგ 1950 და ჰიქ 1415; სხვა დგ და გნ გან(ნ)სწაველი[ულისა,  
ღიმილისა, წარკდომილისა, მონდომილისა. 5. F თვალი. 6. კაკ<sup>1</sup> 1303,2 ააჩე-  
ნის. 7. F, G და I ეზარებოდა(?) (შეად. კაკ<sup>1</sup> 1303,3). 8. კაკ<sup>1</sup> 1303,4 თუმცა. 9. გნ  
და დგ მობრუნდებოდა.

- 22 მე ვერა<sup>1</sup> გიყო<sup>1</sup> ნაცვალი,<sup>1</sup> ღმერთი გადგიკდის<sup>2</sup> ციერი.  
ზეგარდმო<sup>3</sup> მისი<sup>3</sup> შემოგზლოს მუქაფა ჩემ-მაგიერი!“ —  
ადგეს<sup>4</sup> და შინა წავიდეს, მათ ლხინი ჰქონდა ძლიერი. —  
აწ<sup>5</sup> გავეაძლო<sup>5</sup> სოფელმან ასმათ, ადრიოგან მშიერი! —
- 23 ქვაბისა კარსა ასმათი მარტო ზის,<sup>6</sup> არ მაგოსანი.<sup>7</sup>  
შეჭედნა, იცნა ტარიელ, თანა ყმა ჰარმაგოსანი.  
ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იადონი მგოსანი. —  
მაშინვე იცნა, აიჭრა<sup>8</sup> მოშლილი,<sup>9</sup> პერანგოსანი.
- 24 აქამდის მიწყივ ენახა ქვაბს მოსვლა მოტირალისა,  
აწ გაუკვირდა დანახვა სიცილით მომღერალისა.  
ზარ-აღებული ავარდა, ცნობა უც ვითა მთრვალისა.  
არ იცის სმენა ამბისა ჯერო, მისგან სასურვალისა!
- 25 მათ რა ნახეს, შემოჰყიველეს სიცილით და კბილთა ჩენით:  
„ჰე ასმათო, მოგვივიდა მოწყალეობა ღმრთისა ზენით!  
ვპოვეთ მთვარე დაკარგული, რაცა გვწადდა იგი ვქმენით!  
აწ გავკედით<sup>10</sup> ბედისაგან ცეცხლთა შრეტით, ჰირთა ლხენით!“
- 26 ასმათ რა ნახა უსტარი, ცნა მისი დანაწერობა,  
გაკვირდა, ზარმან აილო, ათრთოლებს ვითა ხელობა.  
ტერფთ თხემამდის გაუკდა მას მეტი საკვირველობა.  
იტყვის: „რა ენახე, რა მესმის, არსმცა<sup>11</sup> ამისი<sup>11</sup> მრთელობა?!“

1. F და C ვერა გიყო, ნაცვალსა; G და I ვერ გარდგიკდი ნაცვალსა; კაკ<sup>1</sup> 1305,1 ვერ გარდვიკდი ნაცვალსა. 2. C და F გარდიკდის (შეად. კაკ<sup>1</sup> 1305,1); G და I შემოგზლავს 3. აბ 1207,2 და ჰიჰ 1419,2 ზეგარდმოთ მისთა; კაკ<sup>1</sup> 1305,2 ზეგარდმოთ მისით. 4. გნ და დგ შესხდეს(?). 5. B აწე გავეაძლო(!); I აწყა გააძლო. 6. G დგას; 7. გნ და დგ ბარგოსანი(?). 8. ასე F, G და I (შეად. კაკ<sup>1</sup> 1306,4; B, C და ვახტ ავარდა. 9 ასე B, C და ვახტ (შეად. კაკ<sup>1</sup> 1306,4 და უგ 1355,4); სხვა გნ და დგ შიშველი. 10. ასე ინგ 1357,4; აბ 1210,4 გავხდებით; B გავკეტდით(?). 11. კაკ<sup>1</sup> 1311,4 არისმცა მისი.

- 27 აეთანდილ უთხრა: „ნუ ვეშის ეგე ამბავი მრთელია. ლხინი მოგვეცა, მოგვეშორდა ყოველი ჭირი ძნელია. მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარ ა, ბნელია. ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია!“
- 28 ტარიელ ეტყვის აეთანდილს: „ისმინე<sup>1</sup> სიტყვა ასეები, — გიამბობ რასმე ამბავსა, ნოამბედ ნუ გენასები: შე ოდეს ქებაზნი წაუფხუნენ, — დავკოცე<sup>2</sup> დევთა დასები, მას აქათ მათი აქა ძეს საჭურჭლე ძვირ-ნაფასები.
- 29 მე აგრე არა მინახავს, მართ ვითა არა მნდომია. შოდი და ვაგვსნათ, შევიგნათ<sup>3</sup> საჭურჭლე თუ რა-ზომია. ეამა, ადგეს ორნივე, არცა ქვე-ასმათ-მჯდომია, დაღეწეს კარი ორმოცი, მათგან არ ზედა ომია.
- 30 პოვეს საჭურჭლე უსახო, კვლა უნახავი თვალისა: მუნ იღვა რიყე თვალისა კელ-წმიდად განათალისა, ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა, ვინძეა თქვა<sup>4</sup> რიცხვი ოქროსა, ვერვისგან დანათვალისა!
- 31 იგი სახლი ორმოცივე შიგან იყო გატენილი. — პოვეს ერთი ზარადხანა<sup>5</sup> აბჯრისათვის სახლად ქმნილი. მუნ აბჯარი ყოველი - ფერი ასრე იღვა ვითა მწნილი, შიგან ერთი კიღობანი დაბეჭდილი, არ გაქსნილი.
- 32 ზედა ეწერა: „აქა ძეს აბჯარი საკვირველიო: ჯაჭვე-მუზარადი, აღმასი-კრმალი, ბასრისა მჭრელიო. თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, დღე<sup>6</sup> იყოს<sup>6</sup> იგი ძნელიო. უმისყამისოდ ვინც ვაქსნას,<sup>7</sup> არის მეფეთა მკლველიო!“

1. კაკ<sup>1</sup> 1315,1 ისმინეთ. 2. ასე უგ 1364,3; სხვა დგ და გნ დავგოცენ. 3. ასე უკი 1430,3; კაკ<sup>1</sup> 1316,3 და უგ შევიგნეთ. 4. ასე ინგ 1366,4; ვარ. ქმნა. 5. F, I და K ზარადხანი (შეად. კაკ<sup>1</sup> 1318,2); C ზარდახანა; B და G ზარდახანი. 6. ასე ინგ 1868,8; სხვა დგ და გნ იყოს დღე. 7. ასე ინგ 1368,4; ზოგი დგ და გნ გაჭკნის.

- 33 კილობანი გაქსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი,  
რასაცა ვით შეიმოსენ<sup>1</sup> მეომარნი სამნი ყმანი:  
ჯაჭვი, კრმალი, მუზარადი, საბარკული მათი მგენი,  
ზურმუხტისა ბუდებითა იყენეს, — ვითა ლუსკუმანი.
- 34 თვითომან თვითო ჩაიცვეს, თავის-თავს<sup>2</sup> გამოსცდილიან:  
ჯაჭვე-მუზარადსა აბჯარი<sup>3</sup> მართ ვერ-რა ვერ მოჰკიდიან,<sup>4</sup>  
კრმალი<sup>5</sup> რკინისა<sup>6</sup> მოჰკრიან,<sup>5</sup> ვით ბამბის მკელსა<sup>6</sup> სჭრიდიან. —  
მათ უღირს ყოვლად ქვეყანად, შევატყვე, არ გაჰყიდიან! —
- 35 თქვეს: „ესე ნიშნად გვეყოფის, ვართო კარგითა ბედითა,  
ღმერთმან მოგვხედნა თვალითა, ზეგარდმო მონახედითა.“  
აიღეს იგი აბჯარი თავის-თავისა ქედითა, —  
თვითო მათ, — ერთი ფრიდონის საძღვნობლად შეკრეს ღვედითა.
- 36 რა გათენდა, გაემართნეს, წაიტანეს ასმათ თანა.  
ნურადინის ქვეყანამდის შესივიან მათ უკანა.  
მუნ ვაჭარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ უძღვანა.  
ავთანდილ კმა ყოლაოზად, სხვამცა ვინა<sup>8</sup> წაეძღვანა!<sup>8</sup>
- 37 იარეს და ზედან შეჰკედეს ნურადინის მეჯოგეთა.  
ჯოგი ნახეს, მოეწონა, ფრიდონისთვის ეაგეთა.  
მუნ ავთანდილს ინდო ეტყვის: „გაქნევ კარგთა<sup>9</sup> სიშმაგეთა, —  
მოდი ფრიდონს გავლალობნეთ,<sup>10</sup> ჯოგსა მისსა მოვადგეთა!
- 38 ჯოგი წაუღოთ, მოსრულნი გესმით<sup>11</sup> ჯოგისა წაღებად,<sup>12</sup>  
გამოემართვის საომრად, ველთა სისხლითა<sup>13</sup> დაღებად,  
ანაზად გვიცნობს, გაკრთების, გულსა შეჰლაშის დაღებად. —  
ამოა კარგი ლალობა, ლაღსა<sup>14</sup> შევეიქმს<sup>14</sup> ლაღებად.

1. კაკ<sup>1</sup> 1320.2 შეიმოსნეს. 2. გნ და დგ თავისთავს(?). 3. ასე B და C; F და G აბჯარსა(?) (შეად. დგ). 4. C დაჰკიდიან(?). 5. I რკინასა გრმალი დაჰკრიან; B რასაცა გრმალი დაჰკრიან; C კრმალი რკინასა მოჰკრიან; F გრმალი რკინასა შემოჰკრის. 6. F ძაფსა. 7. ასე I; კაკ<sup>1</sup> 1324.4 და უგ 1374.4 ვინ-ლა აბ 1222.4 და ჰუჰ 1439.4 ვინცა. 8. ინგ 1374.4 წაიძღვანა; სხვა გნ და დგ წაიტანა. 9. G და I ერთსა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1325.3). 10. G და I ველალობნეთ (შეად. კაკ<sup>1</sup> 1325.4 და უგ 1375.4); აბ 1223.4 და ჰუჰ 1440.4 გავლალობნეთ. 11. კაკ<sup>1</sup> 1326.1 ესმის. 12. I წა-მღებად. 13. გნ და დგ სისხლისა(?). 14. G ლაღსავე შეიქმს.

- 39 დაუწყეს პყრობა ტაიკებს ფრიდონის უკეთესებსა.  
მუნ მეჯოგეთა ფანოსი<sup>1</sup> შეიქმნეს,<sup>2</sup> ეკრა<sup>3</sup> კვესებსა.  
უყვილეს: „ვინ ხართ<sup>4</sup> მოყმენო,<sup>4</sup> ვინ იქმთ<sup>5</sup> საქმესა<sup>6</sup> ესებსა.<sup>6</sup>  
ჯოგი მისია, ვინ მტერსა<sup>7</sup> ჰკრავს<sup>8</sup> კრმალსა,<sup>8</sup> — არ აკვენებსბა!“
- 40 მათ მშვილდები დაიწვადეს, მეჯოგეთა გაეკიდნეს.  
მეჯოგენი შიიზახდეს, კმანი მათნი გაადიდნეს:  
„გვიშველეთო, გვიშველეთო, მეკობრეთა ამოგვეწყვიდნეს!“  
კმა შეიქმნა, შეიყარნეს, ფრიდონს ჰკადრეს, არ დაჰრიდნეს..
- 41 შეეკაზმა ფრიდონ, შეჯდა, შეკაზმული გამოვიდა.  
ყმანი<sup>9</sup> შესხდეს,<sup>9</sup> შეიჯარნეს,<sup>10</sup> რაზმი ველთა დაჰვარვიდა.  
იგი მშენი მოეგებნეს, მას<sup>11</sup> ზამთარი ვერ დაჰვრვიდა.  
დაეხურა ზარადები,<sup>12</sup> პირსა მათსა უფარვიდა.
- 42 რა ტარიელ ფრიდონ იცნა, თქვა<sup>13</sup>, — ვნახეო ვინცა მინა!  
მუზარადი მოიკადა, გაილიმა, გაიცინა.  
ფრიდონს უთხრა: „რასა ჰლამი, ჩენნი მოსვლა რას გეწყინა? —  
ბურად ავი მასპინძელი მოგვეგებვი ომად წინა?!“
- 43 ფრიდონ ფიცხლად გარდაიჭრა, დავარდა და თაყვანის-სცა.  
იგინიცა გარდაუტედეს, მოეხვივნეს, — აკოცის - ცა.<sup>14</sup>  
ფრიდონ ღმერთსა კელ-განაპყრობით<sup>15</sup> უსაზომო მაღლი მისცა.  
დიდებულნი აკოცებდეს, იცნობდიან იგი ვისცა.
- 44 ფრიდონ უთხრა: „რასა სდეგით, მოგელოდით უწინარე.  
მე მზა ვარო, — სამსახური თქვენი რამცა დავიზარე!“  
ჰკვანდა, თუცა<sup>16</sup> შეყრილიყენეს ორნი მშენი, ერთი მთვარე!  
ერთმანერთი დააშვენეს, გაემართნეს, იქცეს გარე.

1. G და K ფანოზი (შეად. კაკ<sup>1</sup> 1327,2). 2. I უკრეს: კაკ<sup>1</sup> 1327.2 შეეკრა:  
სხვა გნ და დგ შეექმნა. 3. I აანთეს. 4. G და I ძმანო. ვინა ხართ (შეად. კაკ<sup>1</sup>  
1327,3). 5. I საქმეს რადა იქთ; ინგ 1377,3 ვით იქმთ... 6. გნ და დგ ზესებსა(?!).  
7. G მტერთა. 8. G კრმალსა ჰკრავს (შეად. კაკ<sup>1</sup> 1327,4). 9. გნ და დგ ამა შეიქმნა.  
10. გნ და დგ შეიყარნეს. 11. გნ და დგ ვის. 12. ასე ინგ 1380,1; სხვა დგ და გნ ან.  
13 კაკ<sup>1</sup> 1329,4 მუზარადი. 14. კაკ<sup>1</sup> 1331.2 აკოცესცა. 15. გნ და დგ იელ-(ა)პ-  
ყრობით. 16. კაკ<sup>1</sup> 1332,3 თუმცა(?).

- 45 ფრიდონის სახლსა გარდაკდეს; ორნივე, ტურფად გებულსა. ახლოს დაისყამს აეთანდილოს, მისსა ძმად შეფიცებულსა. ტარიელ დაჯდა საჯდომსა ოქსინო - გარდაგებულსა. — მათ უძღვნეს იგი აბჯარი ფრიდონს, ჭაბუკად ქებულსა.
- 46 უთხრეს: „ჯეროთ უამად არა გეაქვს სხვა შენთვის არმაღანია, მაგრა ტურფანი მრავალნი ქვე-სადმე-გვისხენ სხვანია.“ მან დასდვა პირი მიწასა, არ დააყოვნა<sup>1</sup> ხანია: „ჩემთვის ამისი ბოძება არს თქვენი შესაგვანია!“
- 47 გამოისვენეს მას ღამეს<sup>2</sup> ფრიდონის მასპინძლობითა. აბანოს ბანნა,<sup>3</sup> ალაგნა<sup>3</sup> შესამოსლისა ძღვნობითა. დამოსნა<sup>4</sup> ტურფა - ტურფითა, ერთმანერთისა მჯობითა. თვალ-მარგალიტი ღარიბი უძღვნა ოქროსა გობითა. —
- 48 უთხრა თუ: „ეცე სიტყვა ავისა მასპინძელისა, — ჰგავს, მოსწყენოდეს<sup>5</sup> სტუმრობა მას<sup>6</sup> ბრძნისა<sup>6</sup> ვითა ხელისა. მაგრა აწ ყოვნა არ ვარგა, წასვლა სჯობს გზისა გრძელისა. თუ ქაჯნი მოგვესწრებიან, საეჭვი არს სიძნელისა.
- 49 ქაჯეთს ერთველ კელა<sup>7</sup> ყოფილ - ვარ, — ჰნახეთ, თქვენცა [გემაგრების: ყოვლგნით კლდეა გარეშემო, მტერი ვერად<sup>8</sup> მოადგების. თუ იღუმალ არ შეუვალთ, ცხადად შებმა<sup>9</sup> არ ეგების. მით ლაშქარი არად გვინდა, რაზმი მალვით ვერ მოგვეყვების.“
- 50 იგინიცა დაემოწმნეს ამა მისსა ნაუბარსა. მუნ დაავდეს ქალი ასმათ, — ფრიდონ მისცემს საჩუქარსა. თვით სამასსა ცხენოსანსა წაიტანდეს გმირთა დარსა. — ბოლოდ ღმერთი გაუმარჯვეებს ყოვლსა, პირველ შენაზარსა!..

1. კაკ<sup>1</sup> 1334.3 და უგ 1484.3 დაიყოვნა. 2. გნ და დგ ღამით(?). 8. კაკ<sup>1</sup> 1335.2 ბანეს. აავსნეს. 4. კაკ<sup>1</sup> 1335.3 დამოსეს. 5. კაკ<sup>1</sup> 1336.2 მომწყენოდეს. 6. კაკ<sup>1</sup> 1336.2 მე ბრძნისა: ინგ 1326.2 თქვენ ბრძენთა; სხვა დგ და გნ თქვენ ბრძნისა. 7. C და I მეც. 8. კაკ<sup>1</sup> 1338.2 ვერსით; ვერა (ვერად < ვერ-რად). 9. ასე C და ვახტ: B, G I შესლვა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1338.3).

- 51 ზღვა გაიარეს სამთავე ერთგან ძმად-შეფიცებულთა.  
ფრიდონ გზა იცის, იარეს დღისით და ღამით რებულთა.  
ფრიდონ თქვა: „ვახლავთ არეთა ჩვენ ქაჯეთს მიახლებულთა.  
აქადგან ღამით ვლა გვინდა მით არას გამქლავებულთა.“
- 52 ამა ფრიდონის თათბირსა სამნივე ერთგან ჰზმიდიან.  
რა გაუთენდის, დადგან, და ღამით ფიცხლად ვლიდიან.  
შივიდეს, აჩნდა ქალაქი, — მცველთა ვერ დასთვალვიდიან!  
გარე კლდე იყო, გუშავთა კმა ჯარვით გაადიდიან.
- 53 ფრიდონ თქვა: „ვიტყვი სიტყვასა, — ვეშვ, ჩემი არ დამცდარია:  
ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდდთავან საომარია.  
პირის-პირ ომი არ ძალ-გვიც,<sup>1</sup> არ ჟამი საკვეხარია.  
ათს<sup>2</sup> წელსა<sup>2</sup> ვერსით<sup>2</sup> შეუვალთ, თუ ზედ დაგვიქმან კარია!
- 54 ჩემსა სიმცროსა გამზრდელნა სამუშაითოდ მზრდიდიან.  
მასწავლენს მათნი საქმენი, მახლდუნებდიან,<sup>3</sup> მწვრთიდიან.  
ასრე ვავიდი საბელსა რომ თვალნი ვერ მომკიდიან.  
ვინცა მჭკრეტდიან<sup>4</sup> ყმაწვილნი,<sup>5</sup> იგიცა მე<sup>6</sup> მნატრიდიან.<sup>6</sup>
- 55 აწ ვინცა ვიცით<sup>7</sup> უკეთად<sup>8</sup> შეტყორცა საგდებელისა, —  
მას<sup>9</sup> ერთსა ბურჯსა გარდვავდოთ წვერი საბლისა გრძელისა.  
მას ზედა გავლა ასრე<sup>10</sup> მიჩნს ვითა<sup>10</sup> გარბენა<sup>10</sup> ველისა. —  
თქვენ ჭირად გიყო<sup>11</sup> შიგნითა!<sup>12</sup> ჰოვნა კაცისა მრთელისა! —

1. ასე G და I; C ძალ-გვაქვ; ვახტ ძალ-გვაქვს. 2. ასე ინგ 1393.4 ათ წელ ვერსით; სხვა დგ და გნ ათ-ას წელ ვერსით. 3. F მახლტუნვიდიან; სხვა გნ და დგ მახლტუნ(ე)ვბდიან. 4. G მიჭკრეტდის; I მნახეედის. 5. C ყმა წურილნი; F ყმარწვილნი. 6. ასე F და I; სხვა გნ და დგ ინატრიდიან. 7. ასე უგ 1395.1; სხვა დგ და გნ იციით. 8. გნ და დგ უკეთა; ინგ 1395.1 უკეთე. 9. კაკ<sup>1</sup> 1345.2 და უგ 1395.2 მან. 10. ასე ინგ 1395.3; G ასრე მჩანს ვითა გარბენა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1345.3); აბ 1240.3 ადვილად მიჩანს მართ ვითა. 11. B გეყოს. 12. C, F, G და I შიგანთა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1345.4 და უგ 1395.4).

- 56 აბჯრითა გაელა არად მიჩნს ჳირად, გატანა ფარისა.  
 შიგან ჩახლდები კისკასად, ეცემი მსგავსად<sup>1</sup> ქარისა,  
 ლაშქართა დევჰკოც, გავახვამ, — მნახოდ<sup>2</sup> გალებად<sup>2</sup> კარისა,  
 თქვენცა მუნ მოდით, სადაცა გესმას ზრიალი ზარისა.“
- 57 ავთანდილ უთხრა: „ჰე ფრიდონ, მოყვასნი ვერ გიჩივიან, —  
 ლოძთა მკლავთაგან იმედი გაქვს, არა წყლულნი გტკივიან.  
 სთათბირობ ძნელთა თათბირთა, — მტერთა ივაგლახ-ივიან,  
 შაგრა თუ გესმის, გუშაგნი რა ახლო-ახლო ყივიან?!
- 58 რა გახვიდოდე, გუშაგთა ესმას<sup>3</sup> აბჯრისა ჩხერება,<sup>4</sup>  
 გიგრძნობენ, თოკსა მოჰკვეთენ, — ამისი კამს დაჯერება!  
 წაგიხდეს ცუდად ყველაი, დაგრჩეს ცუდი-ლა ფერება. —  
 ეგე თათბირი არ ვარგა, სხვებრ<sup>5</sup> ვქმნათ თავისა<sup>6</sup> ტერება:
- 59 სჯობს, დადევით დამალულნი თქვენ ადგილსა იღუმალსა.  
 ისი კაცი არ იჳირვენ მგზავრსა ქალაქს შემეავალსა.  
 სავაჳროდა შევეკახშივი,<sup>7</sup> ვიქმნ საქმესა<sup>8</sup> მე მუხთალსა.  
 ერთსა ჯორსა გარდაეჰკიდებ მუზარადსა, ჯაჰვსა, კრმალსა.
- 60 სამთავე შესელა, რა<sup>9</sup> ვაგოთ,<sup>9</sup> თუ გვიგრძნან, არს საოუები.  
 მე მარტო შევალ ვაჳრულად და კარგად შევეტყუები.  
 მალვით ჩაეიცემ აბჯარსა, გაღჩნდები, — გავეცრუები. —  
 ღმერთმან ქმნას, უხვად ვადინო შიგნით სისხლისა რუები! —
- 61 შიგნითა მცველთა მოვიცლი მე უნახავად ჳირისად,  
 თქვენ გარედ კართა ეცენით ყოველნი მსგავსად გმირისად.  
 კლიტეთა დავლეწ, გავახვამ, — მნახოთ<sup>10</sup> ალებად<sup>10</sup> ღირისად!<sup>10</sup> —  
 თუ რა სხვა სჯობდეს, თქვენ ჰბრძანეთ, ვარ მრჩეველად ამა  
 [ჳირისად.“

1. I' და I მგზავსი. 2. გნ და დგ (ჰ)ნახოთ გალება. 3. კაკ<sup>1</sup> 1348,1 ესმის.  
 4. კაკ<sup>1</sup> 1348,1 ჩხარება. 5. კაკ<sup>1</sup> 1348,4 და უგ 1396.4 სხვაებრ. 6. კაკ<sup>1</sup> 1348,4 და  
 უგ 1396.4 თავის. 7. G და I მოვეკახში; სხვა გნ და დგ შევეკახში. 8. კაკ<sup>1</sup> 1349,3  
 და უგ 1399.3 საქმესა ვიქმ. 9. ინგ 1400,1 არა ხამს; სხვა დგ და გნ არ ვარგა.  
 10. უგ 1401,3 დავგიდგამს ვერ ქვიტკირი სად(?); ინგ 1401,3 დამიდეგამს...; სხვა  
 დგ და გნ (ჰ)ნახოთ გალებად(?) კარისად.

- 62 ტარიელ უთხრა: „მე თქვენი ვცან გმირთა მეტი გმირობა. თქვენსა ძალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბირობა, პირობა. ვიცი, გწადს<sup>1</sup> ომი ფიცხელი, არ ცუდი კრძალთა ღირობა. კაციმცა მაშინ თქვენ გახლავს, რა ომმან ქმნას გაჭირობა!
- 63 მაგრა იყვენით ჩემთვისცა საქმისა რასმე რჩევითა: კმა ესმას ჩემსა ხელ-შქმნელსა, ზედა გარდმოდგეს მზე ვითა, თქვენ გქონდეს ომი ფიცხელი, — უომრად მნახოს მე ვითა?! ესე შე დამსვრის, — ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა!
- 64 მაგა თათბირთა<sup>2</sup> ესე სჯობს, ვქმნათ ჩემი მონაკსენები: გავიყოთ კაცი ას-ასი; რა ღამე ჩნდეს ნათენები, სამთავე სამგნით მივჰმართოთ, ფიცხლად დავსხლიტოთ<sup>3</sup> ცხენები. მოგვეგებვიან, ვემცრობით, — ჩვენ კრძალსა მივჰყოთ<sup>4</sup> მძლე<sup>5</sup> ნები
- 65 ფიცხლად შევებნეთ, შევსჯარნეთ, ვერ მოგვასწრებენ კარებსა. სამთაგან ერთი შეუვალთ, სხუა გარეთ ვსცემდეთ გარებსა. მან ერთმან შიგნით შიგანნი მისცნეს<sup>6</sup> სისხლისა ღვარებსა. კელი კვლა ვჰკადოთ აბჯარსა მას, ჩვენგან მძლედ ნაკმარებსა.“
- 66 ფრიღონ უთხრა: „შემიგია,<sup>7</sup> გან<sup>7</sup> იგია, ვიცი მე რა: მაგა ცხენსა ჩემელსა მოასწრებენ<sup>8</sup> კართა<sup>9</sup> ვერა! ოდეს გიძლენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა, თვარა ყოლა არ გიძლენიდი, გითხრა ჩემი სიძუნწე რა!“ —
- 67 ფრიღონ ლალი ამხანაგობს საუბართა ესოდენთა. ამაზედან გაიცინეს მათ წყლიანთა-სიტყვა-ბრძენთა. ერთმანერთსა ელაღობნენ<sup>10</sup> ლაღობითა მათთა მშვენთა. გარდაკდეს და დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა.

1. ან და დგ გწად(ს)თ. 2. ან და დგ თათბირსა. 3. B და G დავსწკიპოთ (შეად. კაკ<sup>1</sup> 1354.3); I გავქუსლოთ. 4. ასე ინგ 1404.4; სხვა დგ და ან მივსკეთ. 5. კაკ<sup>1</sup> 1354.4 მძლედ. 6. აბ 1249.3 მივსკეთ; ინგ 1404.3 მივსცნეთ. 7. ინგ 1406.1 შემიგიან. გაგიგია; სხვა დგ და ან შემიგია. გამიგია. 8. B და C წამოასწრობს; I წამოუსწრობს. 9. I<sup>1</sup> კარსა. 10. F<sup>1</sup> ელაღობეს; ვარ. ელაღობნეს.

- 68 იგი ჰაბუყნი შეუქითა ენახენ მზისაცა მეტიითა!  
მათ სამთა შეიღნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტიითა. —  
ტარიელ შავსა ზედან ზის ტანიითა მით წერწეტიითა. —  
დალიენეს მტერნი ომითა ვითა მქვრეტელნი ჰვრეტითა! —
- 69 სამთავე სამად გაიყვეს, — თვითომან თვითო, — კარები,  
თანა ჰყვა კაცი ას-ასი<sup>1</sup> ყველაი გმირთა დარები. —  
მას ლამეს<sup>2</sup> უქმნეს სადარნო უცრუეო არ<sup>3</sup> ნაჩქარები.<sup>3</sup> —  
გათენდა, გაჩნდეს, მიჰმართეს, თავის-თავ ჰქონდა ფარები.
- 70 პირველ ამოდ მივიდოდეს<sup>4</sup> მგზავრთა რათმე მაგიერად.  
მათ შიგანთა<sup>5</sup> ვერ-რა უგრძნის, ვერცა დაჰხედეს გულ - კმიერად.  
გულსა შიში არა ჰქონდა, ამოდ დგეს და ნებიერად.  
მიდგეს გარე,<sup>6</sup> მუზარდნი დაიხურნეს ჟამიერად.
- 71 ანაზად ცხენნი<sup>7</sup> გაქუსლნეს,<sup>7</sup> მათრაკმან შექმნა წრიალი,  
რა ნახეს, კარნი გაახენეს, ქალაქით გაკდა ზრიალი.  
სამთავე სამგნით მიუზდეს,<sup>8</sup> თავსა მით უყვეს რიალი.  
ეკრის<sup>9</sup> ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი.<sup>10</sup>
- 72 კაცსა უკრავად დაბნედდის კმა ტარიელის კავისა.  
აბჯარსა ჰფრეწდის, გაცუდდის<sup>11</sup> სიმაგრე ჯავშან-ქაფისა.  
სამგნითვე კართა შესჯარნეს, ჰირნი არ ნახნეს კავისა. —  
რა ქალაქს შეჰკვდეს, შეიქმნა სიკრეფე<sup>12</sup> ციხეს<sup>13</sup> სწრაფისა.<sup>14</sup>

1. ასე ინგ 4412,2; სხვა დგ და გნ სამასი. 2. გნ და დგ ლამით. 3. ასე შანიძე, ძვ. ქ. ენა და ლიტ., 133,8; ინგ 1412,3 აუჩქარები; სხვა დგ და გნ ანაჩქარები. 4. აბ 1254,1 მილიოდეს; ინგ 1413,1 მილიოდეს. 5. ასე უგ 1413,2; სხვა დგ და გნ შიგნითა. 6. კაკ<sup>1</sup> 1363,4 გარედ(?). 7. გნ და დგ ცხენი გაჰქუსლეს. 8. ასე ინგ 1414,3; სხვა დგ და გნ მიჰმართეს. 9. გნ და დგ იკრეს. 10. ინგ 1414,4 დგრიალი. 11. ასე ინგ 1416,2; სხვა გნ და დგ გაცუდდეს. 12. კაკ<sup>1</sup> 1366,4 სიხრავე(?); უგ 1416,4 სიხარვე(?); სხვა გნ და დგ სიკრეფე. 13. ასე უგ 1416,4; სხვა გნ და დგ ციხის. 14. სწრაფისა < სწრაფისად; კაკ<sup>1</sup> 1366,4 წრაფისა.

- 73 აეთანდილ და ლომი ფრიდონ შიგნით ერთგან შეიყარნეს.  
მტერი სრულად აეწყვიდნეს, სისხლნი მათნი მოვლვარნეს.  
უყვიღეს<sup>1</sup> და ერთმან-ერთი ნახეს, დიდად გაეხარნეს.  
თქვეს: „ტარიელ რა იქნაო?“ — მისად ჰვრეტად თვალნი არნეს.—
- 74 ერთმანცა არა იცოდა, ვერ-რა ცნეს ტარიერისა. —  
ციხისა კარსა მიჰმართეს, რიდი არ ჰქონდა მტერისა.  
მუნ ნახეს რიყე აბჯრისა, ნალეწ, კრშალთა წვეერისა,  
ათი-ათასი ნობათი უსულო, მსგავსი მტვერისა!
- 75 გზანი დაჰხვდეს შეკაფულნი,<sup>2</sup> შევიდეს<sup>3</sup> და აძვრეს<sup>4</sup> კვრელსა.  
ნახეს, -- მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა!  
მუზარადი მოეკადა, ჰშვენის აკრვა თმისა<sup>5</sup> ლელსა.  
მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭო ყელი-ყელსა,
- 76 ეხვეოდეს ერთმან-ერთსა, აკოცეს და ცრემლნი ღვარნეს  
ამას ჰგვანდა.<sup>6</sup> ოდეს ერთგან მუშთარ-ზულა შეიყარნეს! —  
მზე რა ვარდსა შემოადგეს, დაშვენდეს<sup>6</sup> და შუქნი არნეს! —  
აქანამდის ჰირნახულთა ამას იქათ გაიხარნეს! —
- 77 მათ ერთმან-ერთსა აკოცეს, დგანან ყელ-გარდაქობილნი.  
კვლა შეეწებნეს კშირ-კშირად ვარდნი ბაგეთათ<sup>8</sup> პობილნი,  
აწ ესენიცა გავიდეს, შეკრბეს სამნივე ძმობილნი.  
მას მზესა მისცეს სალამი, წარდგეს მართ ვითა კმობილნი.
- 78 მზე მოეგება პირითა ტურფითა, მოცინარითა.  
აკოცა მისთა მშველელთა ლაღმან, ცნობითა წყნარითა.  
მათ მდაბლად მადლი უბრძანა სიტყვითა მით ნარნარითა.  
ორნივე ერთგან უბნობდეს ამოთა<sup>9</sup> საუბნარითა.<sup>10</sup>

1. ასე უგ 1417,3; სხვა ან და დგ იყვიღეს. 2. L შეკაზმულნი; ვახტ შეკა-  
ზმული. 3. G და I ავიდეს. 4. ასე G და I; სხვა ან და დგ გაძვრეს. 5. ზოგი დგ  
თმისა. 6. ან და დგ ჰგვანდეს, ჰგვანდის. 7. ინგ 1421,3 დაშვენდენ(?). 8. ჰიქ  
1489,2 ბაგეთად(?). 9. ასე G და I (შეად. კაკ<sup>1</sup> 1373.4 და უგ 1423,4); აბ 1262.4  
ტურფითა. 10. ასე G; ვარ. საუბარითა.

- 79 ტარიელს უსალამეს, მას აღვისა-მორჩსა-ვით ხეს,  
ძიულოცეს გამარჯვება, ერთმანერთი მოიკითხეს.  
არა სჭირდა, არ ინანდეს,<sup>1</sup> რომ აბჯარი გარ<sup>2</sup> მოითხეს,<sup>2</sup>  
თავნი მათნი გალომნეს, მბრძოლნი მათნი იშველეს, ითხეს! --
- 80 საშასისა კაცისაგან ას-სამოცი შეჰყოლოდა.  
ფრიდონს უმძიმს სპათა მისთა<sup>3</sup> მაგრა<sup>4</sup> ერთ-კერძ<sup>5</sup> უხაროდა. --  
მონახეს და არ აცოცხლეს რაცა<sup>6</sup> მბრძოლი დარჩომოდა. —  
რომც პოვნეს საჭურჭლენი, აწმცა თვალვით<sup>7</sup> ვით ითქმოდა!
- 81 შაკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით ჰპოვეს, მალევი,  
სამ-ოც-და- ათსა<sup>8</sup> აჰკიდეს, — მარგალიტი და თვალევი. —  
თვალი ყველაი დათლილი, — იაგუნდი და ლალები.  
იგი მ'ზე შესვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალები.
- 82 საშოცი კაცი დაადეს ქაჯეთს<sup>9</sup> ციხისა<sup>9</sup> მცველია.  
წაშოიყვანეს იგი მზე, — მათი-ლა წაგვრა ძნელია!  
ზღვათა ქალაქსა<sup>10</sup> დაჰმართეს,<sup>11</sup> თუცა გზა მუნით გრძელია.  
თქვეს: „ფატმან ვნახოთ, მუქავა. გეც მისი გარდუტყელია.“
- 83 ზღვათა მეფესა წინაშე გაგზავნა მახარობელი,  
შესთვალა: „მოვალ<sup>12</sup> ტარიელ, მტყვრთა მძლე, მოსყრიო  
მსპობელი.<sup>13</sup>  
ქაჯეთათ მიმყავს ჩემი მზე, ჩემი ლახვართა-მსობელი.  
მწადნიან განახნე<sup>14</sup> პატრევით, ვითა მამა და მშობელი.

1. ასე G (შუად. კაკ<sup>1</sup> 1374.3); ზოგი ენ და დგ ინანეს. 2. ინგ 1424.3 გარ გაითხეს; სხვა დგ და ენ არ გაითხეს. 3. სპათა მისთა < სპათად მისთად = სპათა მისთათის. 4. მაგრა = მიუხედავად იმისა რომ. 5. კაკ<sup>1</sup> 1375.2 და უგ 1425.2 ცალკერძ. 6. G და I რაც მებრძოლი (შუად. კაკ<sup>1</sup> 1375.3). 7. ასე C (შუად. აბ 1263a,4); G თვალვა (შუად. კაკ<sup>1</sup> 1375.4); I თ. აღნი(?). 8. ენ და დგ. სამი-ათასსა. 9. ასე ინგ 1427 1; სხვა დგ და ენ ქაჯეთის ციხის. 10. I ქალაქთა(?). 11. G და I მიმართეს (შუად. კაკ<sup>1</sup> 1377.3). 12. ასე უგ 1428.2; ვარ. მოველ(?). 13. კაკ<sup>1</sup> 1378.2 მსპობელი. 14. ინგ 1428.4 განახო; სხვა ენ და დგ განახე.

- 84 აწ მე მაქვს ქაჯთა ქვეყანა და მათი დანადგბია.  
მეფეო, კარგი ყველაი მე თქვენგან წამკიდებია:  
ფატმანს უქსნია ჩემი მზე, სდედებია და სდებია.  
მისად<sup>1</sup> მუქაბად<sup>1</sup> რამც გიძღვენ,<sup>2</sup> — მძულს ცული ნაქადებია!
- 85 მოდი, გენახენ, გავიარდეთ ქვეყანასა შენსა ვირე.  
სრულად ქაჯთა სამეფოსა გიძღვნი, ჩემგან<sup>3</sup> შეიწირე.  
კაცნი შენნი შეაყენენ, ციხე მაგრად დაიჭირე.  
მე ვისწრაფი, ვერ<sup>4</sup> გეახელ,<sup>4</sup> შენ წამოდი, ჩემ კერძ ირე.
- 85 თქვენ უბრძანეთ ჩემ მაგიერ უსენს, ქმარსა ფატმანისსა, —  
გამოგზავნოს, — ეამების ნახვა მისი კსნილსა მისსა.  
მისგან კიდე ინატრიდა ჭერეტასამცა სხვად-ლა ვისსა,  
ვინ მზესაცა უნათლეა, ასრე ვითა ბროლი ფისსა!“
- 87 რა კაცი ტარიელისა ესტუმრა ზღვათა მფლობელსა,<sup>5</sup> —  
წესია გული გაპკრთების ამბავსა გასაკრთობელსა, --  
მისცა მადლი და დიდება ღმერთსა, მართლისა მბრჭობელსა.  
მაშინვე შეჯდა, არ უნდა მისვლა სხვასა-ლა მკმობელსა.
- 88 ბარგი აპკიდა, განავო ქმნა ქორწილისა მათისა.  
მას მოაქვს<sup>7</sup> რიცხვი ტურფათა, არ<sup>8</sup> სიდიადე<sup>8</sup> ფსათისა.<sup>9</sup>  
ფატმან ჰყავს თანა, იარეს საველი დღისა ათისა.  
უხარის ნახვა ლომისა და მზისა კმელთა მნათისა.
- 89 შორს გაეგებნეს სამნივე დიდსა მეფესა ზღვათასა,  
გარდაკდეს, მდაბლად თაყვანს-სცეს,<sup>10</sup> გარესწყედს ჯარსა სპათასა.  
შეასხა<sup>11</sup> ქება ტარიელს, მან მადლი გაუათასა.  
ქალი რა ნახა,<sup>12</sup> სტრფიალობს შუქსა მას ბროლ-ბაკმათასა.

1. ასე აბ 1267,4; G და I ამისად ნაცვლად (შეად. კაკ<sup>1</sup> 1379,4); C ამისად მუქფად; ზოგი გნ და დგ ამის მუქაფად. 2. გნ და დგ გიძღვნა(?). 3. ინგ 1430,2 ჩვენგან. 4. ინგ 1430,4 ვერ გიახელ; სხვა გნ და დგ ვერა გნახავ. 5. კაკ<sup>1</sup> 1382,1 მეფესა. 6. ასე უგ 1432,4; სხვა დგ და გნ სხვისა—. 7. ასე კაკ<sup>1</sup> 1383,2 და უგ 1432,2; სხვა დგ და გნ მოაქვს. 8. უგ 1433,2 არს სიდიადე; ინგ 1433,2 თვალ-მარგალიტთა. 9. გნ და დგ სათისა(?). 10. გნ და დგ აგოცეს(?). 11. გნ და დგ შეასხეს. 12. გნ და დგ ნახეს.

- 90 ფატმან-ხათუნს მისსა მჭვრეტსა ედებოდა ცეცხლი ნელი.  
მოეხვია, გარდუკოცნა კელი, ფერკი, პირი, ყელი.  
იტყვის: „ღმერთო, გემსახურო,<sup>2</sup> გამინათლა<sup>3</sup> რათგან ბნელი!  
ეცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი<sup>4</sup> გრძელი!“
- 91 ქალი ფატმანს ეხვევოდა, ტკბილად<sup>5</sup> იტყვის,<sup>5</sup> არ გამწყრალი:  
„ღმერთმან გული გამიმრთელა<sup>6</sup> გახეთქილი, გაცამწყრალი.<sup>7</sup>  
აწ აგრე ვარ გავსებული, წინას ვიყავ ვითა მცხრალი.  
მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით<sup>8</sup> ეჩან<sup>9</sup> არ<sup>9</sup> დამწრალი.<sup>9</sup>“
- 92 ზღვათა მეფე გარდაუკდის<sup>10</sup> მუნ ქორწილსა მეტად დიდსა.  
ქაჯეთიცა დაუმაღლა, არ გაუშვა დღესა შვიდსა.  
უზვად გასცემს საბოძვარსა,<sup>11</sup> საჭურჭლესა<sup>12</sup> ანაკიდსა.  
პერპერასა დაფანტულსა ზედან<sup>13</sup> სცვეთდეს<sup>14</sup> ვითა კიდსა.
- 92 მუნ იდვის გორი ლარისა, — სტავრისა და ატლასისა. —  
ტარიელს უძღვნა გვირგვინი ვერ დანადები ფასისა,  
იაგუნდისა მრთელისა, ყვითლისა, მეტად ხასისა,  
კელა ერთი ტახტი ოქროსა წითლისა მართ ხალასისა.
- 94 ნესტანდარეჯანს ყაბაჩა უძღვნა შემკული თვალითა, —  
იაგუნდითა წითლითა, ბადაღშნისათა<sup>15</sup> ლალითა. —  
დასხდეს ორნივე ქალ-ყმანი პირითა ელვა-მკრთალითა.  
მათნი მჭვრეტელნი დაიწვენეს ცეცხლითა მით ახალითა.

1. კაკ<sup>1</sup> 1385,1 ცხელი. 2. I რა გამსახურო; G რა გამსახურე. 3. I გამინათლე.  
4. G მისი(?); I ჩემი(?). 5. G ეტყვის ტკბილად; I ტკბილად ეტყვის. 6. გნ და  
დგ განმინათლა(?). 7. ასე უგ 1436.2; B გაცამკრთალი; C გაცამწყრალი(?); G  
და I გაცამწრალი (შეად. კაკ<sup>1</sup> 1386,2); ვანტ გაცამკრთალი (შეად. აბ 1274,2).  
8. C ვით ეჩან; G მით ვარ. 9. G დაუმწრალი. 10. გნ და დგ გარდაიგდის(?).  
11. I საჭურჭლესა. 12. G და I მარგალიტსა. 13. ვარ. ზედა. 14. C და G (სცვე-  
თენ. 15. ინგ 1439,2 ბადახშანურის; სხვა დგ და გნ ბადახშითა და.

- 95 ტარიელ მადლსა გარდიკდის ტურფა-სიტყვითა, — ენითა:  
„დიდად ვიამე, მეფეო, პირველ ნახვითა თქვენითა,  
მერმე აგვავესენ მრავლითა ტურფა<sup>1</sup>-ფერიოთა<sup>1</sup> ძღვენითა.  
ვიცო, შორი-შორ არ ჩავლა ჩვენ თქვენი კარგად ვქმენითა.“
- 96 ზღვათა მეფე მოაკსენებს: „კელმწიფეო, ლომო, ქველო,  
მოახლეთა სიცოცხლეო,<sup>2</sup> ვერ-მჰკერეტელთა<sup>3</sup> შორით მკლველო!  
მსგავსი თქვენი რამცა მეძღვნა, შენიერო სანახველო!  
რა მოგშორდე, რა მერგების, საჰკერეტელად<sup>4</sup> სასურველო?!“ —
- 97 ტარიელ ფატმანს უბრძანა: „მე თავი შენი მიდია. —  
დავ,<sup>5</sup> ვალი“ შენი ჩემზედა გარდაუკდელი, დიდა!  
აწ რაცა ქაჯთა საჰურჰლე ქაჯეთით ამიციდია  
შომიციეშია, წაილე, არ კიდე მომიციდია.“
- 98 ფატმან-ხათუნ თაყვანის-სცა, ჰკადრებს მადლსა მეტის-მეტსა:  
„მე, მეფეო, გაყრა<sup>7</sup> შენი<sup>7</sup> მიღებს ცეცხლსა დაუშრეტსა, —  
რა მოგშორდე, რა ვიქმნები, მე დამაგდებ ვითა რეტსა?! —  
ახ, ნეტარძი მოახლეთა, ვაგლახ თქვენსა ვერა-მჰკერეტსა!“
- 99 ზღვათა მეფესა ეტყოდა<sup>8</sup> პირივე<sup>9</sup> შუქთა მათენი,<sup>10</sup> —  
კბილნი ბროლნი და ბაგენი სადაფნი<sup>11</sup> მომსადაფენი:<sup>11</sup>  
„უთქვენოდ მყოფთა არ გვინდან<sup>12</sup> ნიშაგნი,<sup>13</sup> ნა-ჩანგ-დაფენი,<sup>13</sup>  
მაგრა გაგვიშვენ, წავიდეთ, ჟამია, ვართ მოსწრაფენი.“

1. ინგ 1441.3 უცხოთა ტურფა. 2. კაკ<sup>1</sup> 1392,2 სალხინოთ. 3. კაკ<sup>1</sup> 1392,2 ვერა მჰკერეტთა. 4. კაკ<sup>1</sup> 1392,4 ყოველთათვის. 5. აბ 1281,2 და. 6. ასე ინგ 1443,2; ვარ. გულ. 7. კაკ<sup>1</sup> 1394,2 და უგ 1444,2 ნახვა თქვენი. 8. აბ 1283,1 და პიუ 1512,1 ეტყვიან; სხვა დგ და გნ ეტყოდეს. 9. კაკ<sup>1</sup> 1395,1 და უგ 1445,2 სა-მნივე; სხვა დგ და გნ ორნივე. 10. კაკ<sup>1</sup> 1395,1 ერთგან მეფენი(?). 11. გნ და დგ სადაფთა მოსადაფენი(?). 12. ზოგი გნ და დგ გვინდა. 13. კაკ<sup>1</sup> 1395,3 ნიშატნი საჩანგ-დაფენი.

- 100 შენ იყავ ჩვენად<sup>1</sup> მშობელად<sup>1</sup> და<sup>2</sup> მამად<sup>2</sup> საესავიო.  
 შაგრა აშასცა ვიაჯით, გვიბოძე ერთი ნავიო.<sup>3</sup>  
 შეფემან ბრძანა: „არა მშურს სამიწოდ თქვენად<sup>3</sup> თავიო,  
 რათგან ისწრაფი, რა გკადრო, — წა, გიწინამძღვრდეს მკლავიო.“
- 101 შეფამან ნავი - ხომალდი მოკაზმა ზღვისა კიდესა.  
 გამოემართა ტარიელ, გამყრელნი ცრემლსა ჰღვრიდესა,  
 თავსა იცემდეს, იგლეჯდეს, თმა-წვერსა გაიყრიდესა. —  
 ფატმანის ცრემლთა შედენით თვით ზღვაცა გაადიდესა!
- 102 გამოვლნეს ზღვანი სამთავე ერთგან ძმად შენაფიცართა.  
 კვლა ამტკიცებდეს სიტყვათა მათ, პირველ დანამტკიცართა.  
 ჰშვენის მღერა და სიცილი მათ, მისთა არ-უეიცართა.<sup>4</sup>  
 ბაგეთათ შუქი შეადგის ზედან ბროლისა ფიცართა.
- 103 მუნით კაცი ასმათს თანა გაგზავნეს მახარობლად,  
 კვლა ფრიდონის თავადთასა<sup>5</sup> ნაომართა მათთა მთხრობლად:  
 „მადა<sup>6</sup> მოვა,<sup>6</sup> მოიმაღლებს მზე მნათობთა მამაგრობლად,  
 ჩვენ, დამზრალნი აქანამდის, აწ ვიქმნებით<sup>7</sup> დაუზრობლად.“
- 104 მუნ მიეგებნეს ყოველნი ფრიდონის დიდებულები, —  
 ასმათი, სავსე ღზინითა, ვის აღარ აჩნდა წყლულები.  
 ნესტანდარეჯანს მოეჭდო, რომე<sup>8</sup> ვერ<sup>8</sup> დაჰკსნის<sup>9</sup> ცულები.  
 აწ გაუსრულდა<sup>10</sup> ყოველი მას<sup>16</sup> მისი ნაერთულები.
- 105 ნესტანდარეჯან ეხვევის, პირსა აკოცებს პირითა,  
 უბრძანა: „ჩემო, ვავლახ მე, შენცა ავავეს ჭირითა!  
 აწ ღმერთმან მოგვცა წყალობა, ვცან, მისი არ სიძვირითა.  
 შე გულსა შენსა ეზომსა, არ ვიცი, გარდვიკდი რითა!“

1. აბ 1284.1 და ჰიჟ 1513.1 მამა მშობელი; კაკ<sup>1</sup> 1396.1 ჩვენი მშობელი;  
 ინგ 1446.1 ჩვენი იმედი. 2. აბ 1284.1 და სხვ. და ჩვენი; ინგ 1446.1 მშობლურად.  
 3. კაკ<sup>1</sup> 1396.3 თქვენთვის. 4. ვარ არ-უიცართა. 5. კაკ<sup>1</sup> 1399.2 თავადთანა(?).  
 6. ინგ 1449.3 მანდ ამოვა. 7. ინგ 1449.4 დაჯზედით. 8. კაკ<sup>1</sup> 1401.3 რომ ველარ.  
 9. უგ 1451.3 გაჰყრის; სხვა ღვ და ან გაჰკსნის. 10. ასე ინგ 1451.4; სხვა ღვ და  
 ან გაუსრულა... მან.

- 106 ასმით ჰკადრა: „მალი ღმერთსა, ვარდნი ვნახენ არ დაზრულნი. ბოლოდ ასე განგიცხადენ<sup>1</sup> გონებანი<sup>2</sup> დაფარულნი, — სიკვდილიცა სიკიცხლედ მიჩნს,<sup>3</sup> ოდენ<sup>4</sup> ვნახე<sup>1</sup> მზიარულნი!“ სჯობან<sup>5</sup> ყოველთა<sup>5</sup> მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი! —
- 107 დიდებულთა თაყვანის-სცეს, მოახსენეს დიდი ქება: „რომე ღმერთმან გაგვახარა, კურთხეულ არს მისი ღმრთება! ჩვენ გვიჩვენა პირი თქვენი, აღარა გვწვაეს ცეცხლთა დება. წყლულსა მისგან დაკოდილსა მასვე<sup>6</sup> ძალ-უც განკურნება.“
- 108 მოვიდეს და პირი კელსა დასდევს, აგრე გარდაკოცნეს. მფეე ვტყვის: „ძმათა თქვენთა თაენი ჩვეთვის დაიკოცნეს. იგი შვება საუკუნოს ცხადად პოვეს, არ იოცნეს, ერთსა მიჰხვდეს საზიაროდ, დიდებანი იასოცნეს.
- 109 თუცა მე მათი დაკოცა მტკივის და სატკივარია, მაგრა მათ მიჰხვდა უკვდავთა<sup>7</sup> მუნ დიდი საჩუქარია.“ — ესე თქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოვლსა გარია,<sup>8</sup> ნარგისთათ<sup>9</sup> იძვრის ბორიო, ეარდსა ზრავს იანვარია.
- 110 მუნ ატირდეს ყველაკანი,<sup>10</sup> რა ტირილად<sup>11</sup> იგი<sup>11</sup> ნახეს, რაცა ვის<sup>12</sup> რა დაჰკლებოდა მათ ტირილით, სულთ-თქემით<sup>13</sup> ახეს. დადუმდეს და მოაქსენეს: „რათგან ბრძენთა მშეებრ გახანეს, თქვენთა მჭერეტთა მღერა ჰმართებს, რასათვისმცა ივაგლახეს!
- 111 ვინ ღირს ა თქვენსა ეგზომსა ტირილსა, შეჭირვებასა! თქვენთვის სიკვდილი დია სჯობს მიწათა ზედან რებასა!“ — კვლა ფრიდონ ჰკადრა მეფესა: „ნურად იქმ გამწარებასა, ღმერთიმცა მუქფად მოგიზღავს ათასსა გახარებასა!“

1. გნ და დგ გა(ნ)აცხადა, გა(ნ)აცხადნა. 2. ჰიჟ 1523,2 განგებამან(?); სხვა დგ და გნ გონებამან. 3. ვარ. მჩანს. 4. ინგ 1453,3 ოდეს ვნახენ; სხვა დგ და გნ ოდენ ვნახენ. 5. კაკ<sup>1</sup> 1403,4 სჯობს ყოველთა. 6. ასე ინგ 1454,4; აბ 1292,4 მით-ვე(?). 7. გნ და დგ უკვდავი(?). 8. გნ და დგ არია. 9. კაკ<sup>1</sup> 1406,4 ნარგისთა. 10. აბ 1295,1 ყველაკანი(?). 11. ინგ 1457,1 ტარიელ ვგრე. 12. ინგ 1457,2 ვისცა. 13. ინგ 1457,2 სულთქმანი აერთსახეს.

- 112 გარდაკდეს ფრიდონისასა, სრა ნახეს მოსაწონები.  
გამოეგება მრავალი ოქროს სარტყლითა მონები.  
ფერკთა საფენლად ოქსინო არს<sup>1</sup> მათგან<sup>1</sup> მონაქონები.<sup>1</sup>  
თავსა აყრიდეს<sup>2</sup> ოქროსა,<sup>2</sup> ჰხვეტს ჯარი მუნ ნარონები.
- 113 მათ ქალ-ყმათათვის საჯდომი დაედგა თეთრ-ძოწეული,  
წითელ-ყვითლითა თვალითა ზედან კეკლუცად ფრქვეული, —  
ავთანდილისთვის — ყვითელი და შავი ერთგან რეული. —  
მოვიდეს,<sup>3</sup> დასხდეს, — მჭერეტელი ვცან მათი სულ-დალეული!
- 114 მოიღეს ძღვენი უსახო<sup>4</sup> ფრიდონის არ აღქატისა, —  
ცხრა მარგალიტი სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა,  
კვლა ერთი თვალი სამსგავსო მზისა შუქ-მონამატისა, —  
მას წინა ღამით ძალ-ედვა<sup>5</sup> მხატვარსა ხატვა ხატისა! —
- 115 ფრიდონისგან უსაზომო ქორწილია დღესა რვასა.  
ყოვლთა დღეთა მიართმიდეს უფასოსა ძღვენსა მზასა.  
დღე და ღამე არ გასწყვედდის ჩაღანა და ჩანგი კმასა. —  
აჰა მიჰხედეს შესაფერნი ყმა ქალსა და ქალი ყმასა! —
- 116 ტარიელ ფრიდონს უბრძანა დღე-ერთ სიტყვები გულისა:  
„არს გული თქვენი საჩემოდ უფროსი ძმისა სრულისა.  
არ გემუქრების სიცოცხლე, არცა მიცემა სულისა,  
მე თქვენგან ეპოვე მოკვდავმან ჩემი წამალი წყლულისა.
- 117 ავთანდილისგან შენც იცი ჩემთვის თავისა დადება.  
აწ მე მაქვს ნაცვლად მისისა მოკმარებისა წადება.  
შენ მიდი ჰკითხე,<sup>6</sup> რა უნდა, მან ქმნას ამისი ცხადება.  
ვითა დამივსო საკმილი, ეგრე მისიცა კმა დება.

2. გნ და დგ მართ მათგან არს ნაქონები(?). 2. K აყრიდენ გუარსა. 3. ვარ. მოვიდეს. 4. G და I ურიცხვი (შეად. კაკ<sup>1</sup> 1414.1). 5. ინგ 1465.4 ძალ-ედვის. 6. ინგ 1470.3 ჰკადრე.

- 118 უთხარ: „ძმაო, რა გარდიკდის შენგან<sup>1</sup> ჩემდა<sup>1</sup> ჳირ-ნახულსა! ღმერთი მოგცემს წყალობასა მისსა<sup>2</sup> ზეცით, — შესახულსა! თუ ვერა ვიქმ საწადელსა შენსა, შენთვის განზრახულსა, არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა ზულსა.
- 119 აწ მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ რით მოგვეკმარები? — ვარჩევ, წავიდეთ არაბეთს, იყავ ჩემიცა მარები. ცილი<sup>3</sup> სიტყვითა გავმართოთ და<sup>4</sup> კრმლითა<sup>4</sup> საომარები. თუ შენცა<sup>5</sup> ცოლსა<sup>5</sup> არ შეგერთავ, მე ჩემსა არ ვექმარები!“
- 120 რა ფრიღონ უთხრა ავთანდილს ტარიას მოციქულობა, მას გავციენეს, გაღიმდა, ჳშვენოდა მხიარულობა. თქვა თუ: „მეშველი რად მინდა, მჳირს არვისაგან<sup>6</sup> წყლულობა, — ჩემი მზე არცა ქაჯთა ჳყავს, არცა სჳირს ღზინ-ნაკლულობა. —
- 121 ჩემი მზე ტახტსა ზედა ზის მორჳმული, ღმრთისა ნებითა. საკრძალავი და უკადრი, ღალი, არვისგან ვნებით ა: არცარა უმძიმს ქაჯთაგან, არცა გრძნეულთა გრძნებითა. — მას ზედა შევლა რად მინდა? -- რად მექვ რასაცა თნებითა!
- 122 რა შოვა ჩემთვის განგება, ზეცით მოსრულნი, ზენანი — ღმერთი იწადებს — მომივლენ გულის საკმითა ღზენანი, მაშინლა მომსუდენ<sup>7</sup> მოკვდავსა მზისა ელვათა ფენანი. უმისეამისოდ ცუდია ჩემგან მი-და-მო რბენანი!“ —
- 123 მიდი და ჳკადრე ტარიელს პასუხი ჩემგან თბრობილი: „მადლი რად უნდა, მეფეო, ხარ რაზომ გინდა ღმობილი! ვარ მუცლითგანვე დედისა თქვენად სამონოდ შობილი. ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს, ვირ მეფედ<sup>8</sup> იყო კმობილი!“

1. ინგ 1471,1 ჩემზედ შენგან; სხვა დგ და ან შენგან ჩემსა(?). 2. უგ 1471,2 მისგან. 3. ან და დგ ტაბილის(?). 4. ინგ 1472.3 ხრმალითა. 5. კაკ<sup>1</sup> 1421,4 შენ შენსა ცოლად; სხვა დგ და ან თუ შენ შენს (ცოლსა(?). 6. ვარ. არავისგან. 7. აბ 1312.3 მომხედეს(?) 8. ან და დგ მეჲე იყო ცნობილი.

- 124 გებრძანა, —შეყრა მწადიან საყვარელისა შენისა. —  
ეგე არს მსგავსი გულისა ლმობიერისა თქვენისა. —  
მუნა მე კრძალი არ მიკვეთს, არცა სივრცელე ენისა.  
მიჯობს მოლოდნა საქმისა მის განგებისა ზენისა.
- 125 ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე:  
ინდოეთს გნახო მორჭმული საჯდომთა ზედა მჯდომარე,  
გვერცავე ვიჯდეს მნათობი,<sup>1</sup> პირი ელვათა მკართომარე,  
მებრძოლნი თქვენნი მოგესრნეს, არვინ ჩნდეს მუნ მეომარე.
- 126 რა გამისრულდენ<sup>2</sup> ესენი ჩემნი გულისა ნებანი,  
მაშინ-ლა მივალ არაბეთს, მომხვდენ<sup>3</sup> მის მზისა ხლებანი,  
ოდესცა სწადდეს, დამივსნეს<sup>4</sup> ამა ცეცხლისა ღებანი.  
სხვად,<sup>5</sup> თქვენგან არ-რა არ მინდა,—მძულან ცუდნი-ლა<sup>6</sup> თნებანი!“
- 127 რა ფრიდონ ჰკადრა ტარიელს ესე სიტყვანი<sup>7</sup> ყმისანი,  
მან ბრძანა: „მაგას არა ვიქმ, ამას არ უნდა მისანი!  
ვითა მან პოენა მიზეზნი ჩემისა სულთა-დგმისანი,  
ეგრევე მანცა სამისოდ ნახნეს ძალ-გულნი ძმისანი!
- 128 შიდი, უთხარ ჩემ-მაგიერ სიტყვა ჩემგან არ ნათნები:  
„მე შენისა გამზრდელისა უნახავად არ დავდგები.  
ვექვ, მრავალი დამეკოცოს მონა მისგან საყვარლები.  
ვითხოვ ზოლე<sup>8</sup> შენდობასა, ეგეთი-ლა მოვბრუნდები.“
- 129 ესე უთხრა: „ამის მეტსა ჰმოციქულობ ნურას ნოო,  
ხვალე წასვლა არ დავშალო, არცა სიტყვა გავაიყო!  
მე არ მიზამს არაბთ მეფე, რომე სიტყვა გავაიყო, —  
ამოდ ვსთხოვო<sup>9</sup> ქალი მისი, შევეხვეწო, შევაგუო.“

1. I თქვენი მზე; G შენი მზე (შეად. კაკ<sup>1</sup> 1427.3; F ჩემი(?) მზე. 2. აბ 1316.1 გამისრულდეს(?). 3. აბ 1316.2 და სხვ. მომხვდეს(?). 4. კაკ<sup>1</sup> 1428.3 დამივსოს. 5. უგ 1479.4 სხვა. 6. G და I ცუდილა; C რასაცა (შეად. აბ 1316.4). 7. G და I ნათქვამი (შეად. კაკ<sup>1</sup> 1429.1). 8. კაკ<sup>1</sup> 1430.4 ზოლმე. 9. ასე G და I; F ვითხოვ.

- 130 უამბო ფრიდონ ავთანდილს ტარიას მოციქულობა:  
„არ დადგებისო, ცუდია შენგან ცდისაღა თქმულობა.<sup>1</sup>  
მას დაუმძიმდა, მოედგა კვლა<sup>1</sup> გულსა<sup>1</sup> კვამლ-ალ-მულობა.<sup>1</sup> —  
ასრე კამს რიდი მეფეთა ყმათავან<sup>1</sup> მოკრძალულობა!<sup>1</sup>
- 131 ავთანდილ მივა მუკლ-მოყრით ტარიას შესახვეწელად,  
ფერკთა ეხვევის, აკოცებს, აღარ შეჰხედავს ზე წელად.  
ეტყვის: „კმა, რაცა შეესცოდე როსტანს წლეულად მე წელად.  
კვლა ნუ მიქმ ერთგულობისა გამტებლად, დაცამლევწელად.
- 132 რასაცა ჰლამი, არ მომცემს<sup>2</sup> მას ღმრთისა სამართალია:  
გამზრდელსა ჩემსა ვით ვჰკადრო მე საქმე სამუხთალია?!  
მე მაზედ<sup>3</sup> კელი ვით გავძრა, ვინ ჩემთვის ფერ-ნამკრთალია!<sup>4</sup>  
ვით მოიკმაროს მონამან პატრონსა ზედა კრმალია?!<sup>5</sup>
- 133 ეგე საქმე მე და ჩემსა საყვარელსა შეგვამღურვებს.  
ვა თუ გაწყრეს, გაგულისდეს! კუშტი გულსა შეაურვებს,  
ამბავსაცა დაგიძვირებს, ჰვრეტისათვის მომასურვებს, —  
შენდობასა კორციელი კაცი ვერა<sup>4</sup> დამიურვებს!<sup>6</sup>
- 134 ტარიელ უთხრა სიცილით, მან მზემან შუქ-მაფენამან,<sup>5</sup> —  
კელი მოჰკიდა ავთანდილს, ამართა, ააყენა მან —  
„შიყოო კარგი ყველაი მომართებამან შენამან,  
მაგრა სჯობს, შენცა ვალხინოს ჩემგან<sup>6</sup> შენთვისა<sup>6</sup> ლხენამან.
- 135 მე ვიცი გული საშენოდ შენისა საყვარელისა, —  
არ ეწყინების სტუმრობა შენისა-მე-შემყრელისა. —  
რადმცა რა ვჰკადრე მეფესა თხრობა რასაცა ჰრელისა!  
ოდენ ნახვისა მათისა ნატრა მაქვს სანატრელისა.

1. ასე G, ვახტ და დგ, G და L... მალობა, გულსა ცეცხლისა აღობა, და პატრონისა კრძალობა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1432.2-4). 2. ან და დგ მოგცემს. 3. ან და დგ შემისთვის(?). 4. კაკ<sup>1</sup> 1435.4 ვერვინ. 5. ან და დგ შუქ-ნაფენამან. 6. კაკ<sup>1</sup> 1436.4 ჩემმან შენისა: სხვა დგ ან ჩემმან შენითა(?).

- 136 ამას ოდენ მოვაკსენებ მუდარით და შეპონებით,  
რომე მოგცეს ქალი მისი მან მისითა მოგონებით.  
რაოგან ბოლოდ,<sup>1</sup> შეყრავეა, სიშორესა ვით ეთნებით?  
დააშვენეთ ერთმანერთი, თავის-თავის ხუ დასქნებით.“
- 137 რა ავთანდილ ტარიასგან სცნა, წასლევასა არ დაჰშლიდა,  
არა ჰკადრა შეცილება, საუბარსა ზედა - ჰრთვიდა.  
ფრიდონ კაცსა დარჩეულსა სათანაოდ გარდასთვლიდა.  
თანა წაჰყვა, განალამცა მათთანავე<sup>2</sup> გზასა ვლიდა.
- 138 ფრიდონისით გაემართნეს იგი ლომნი, იგი მზენი.  
თანა მიჰყავს პირი მზისა, — ქალი, მჭვრეტთა ამაზრზენი.  
ჰკიდავს ბროლსა ყორნის ბოლი დაწყობილი,<sup>3</sup> დანათზენი.<sup>3</sup>  
მუნ ბადახშსა აშვენებდეს სინატიფე, სინაზენი. —
- 139 მას ჰგვანდა,<sup>4</sup> თუცა სამყაროს მზე უჯდა შუა მთვარეთა. —  
იარნეს დღენი მრავალნი ლალთა, ბრძნად მოუბარეთა,  
შაგან მათ დიდთა შინდორთა, სოვლგნით კაცთ-მოუმწედარეთა. —  
სად ყოფილიყო ტარიელ, მიჰხვდეს მათ<sup>5</sup> კლდეთა<sup>5</sup> არეთა.
- 140 ტარიელ ბრძანა: „მე მმართვეს დღეს თქვენი მასპინძლობა.  
მუნ მივალ, სადა ყოფილ-ვარ, მჭირდა სადამდის ზელობა.  
მუნ გემასპინძლობდეს<sup>6</sup> ასმათი,<sup>6</sup> მას უც კორცისა კმელობა.  
მე რომე გიძღვნი ტურფათა, აქოთ ლარისა ჰრელობა!“
- 141 მივიდეს, შიგან გარდაკდეს ქებასა მას დიდთა კლდეთასა.  
ასმათს უც კორცი ირმისა, იქმს მასპინძლობა-კვეთასა.  
ამხანაგობდეს, ლალობდეს წასელასა მათ საქმეთასა,  
ღმერთსა ჰმადლობდეს შეცვლასა ლხინად ჰირისა დღეთასა.

1. ინგ 1490,3 ბოლო. 2. G მასთანავე. 3. კაკ<sup>1</sup> 1442,3 ჩაწყობილი, ჩანათ-  
ზენი. 4. გნ და დგ ჰგვანდეს. 5. ინგ 1495,4 მის კლდისა; სხვა გნ და დგ იმ კლ-  
დისა(?). 6. გნ და დგ გვიმასპინძლოს ასმათმან (ახალი ფორმა ასმათმან, იშ-  
ვიათად გმარებული ძველ მწერლობაში).

- 142 უბოძა ტურფა ძრავალი მათ მათი შესადარები.  
კვლა ფრიდონისნი აავსნა, სპა ჰყვა თუ სპასალარები. —  
აივსო<sup>1</sup> კაცი ყველაი მაშინ მათ თანა ნარები. —  
მაგრა ძეს რომე საჭურჭლე, ჰგვანდა — კაც - დაუკარები!
- 143 ფრიდონს უთხრა: „ვალი თქვენი ჩემგან ძნელად გარდიკდების,  
მაგრა თქმულა: „კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წარკდების.“  
აწ საჭურჭლე, რაზომიცა აქა ძეს და ან იღების,  
შენი იყოს ყველაკაი, შენ წაიღე, ვითა გხედების.“
- 144 ფრიდონ მდაბლად თაყვანის-სცა, ჰკადრა მადლი მეტის-მეტი:  
„მე,<sup>2</sup> მეფეო, რად გგონივარ უჭკუო და აგრე რეტი?<sup>2</sup>  
მტერი ყოვლი ჩალად გიჩანს, ვინმცა<sup>2</sup> იყო<sup>3</sup> ვითა კეტი!<sup>2</sup>  
ჩემი ლხინი მუნამდის<sup>4</sup> ა,<sup>4</sup> ვირე ვიყო შენი მჭერეტი.“ —
- 145 ფრიდონ კაცნი დააბრუნნა მოსასხმელად აქლემისად,  
სახლსა მისსა მისაღებლად<sup>5</sup> მის ყველასა<sup>6</sup> საჭურჭლისად. —  
აწ მუნითგან<sup>7</sup> გაემართნეს არაბეთის<sup>8</sup> წაველად<sup>9</sup> გზისად. —  
ავთანდილ<sup>10</sup> ა<sup>10</sup> გალუული<sup>11</sup> შესაყრელად — მთვარე-მზისად.
- 146 ტარიელ კაცი გაგზავნა წინაშე როსტან მეფისა, —  
შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, სურვილთა სიიფესა:  
მე მოვალ მეფე ინდოთა დარბაზსა თქვენს სეფესა,  
გიჩვენებ ვარდსა კოკობსა, უფერქვენელსა, მოუყრეფესა!
- 147 მაშინ თქვენ ჩემი გეწყინა ნახვა, მიწისა შენისა.  
ცდა შეპყრობისა ავი ჰქმენ, შემოტევება ცხენისა.  
მე შენთა სპათა ვაჩვენე ნიშანი რამე წყენისა, —  
დავკოცე მონა მრავალი, მსახური სრისა თქვენისა.

1. ასე კაკ<sup>1</sup> 1448,3 და უგ 1499,3; სხვა დგ და გნ აავსო. 2. ინგ 1501,2 ვიხც არ გრძნობს ამ სოფელსა, უჭკუთა, დიდად რეტი; 3. ღმრთისა გადგას ნათლად სვეტი. 3. I და სხვ. იყოს (შეად. კაკ<sup>1</sup> 1450,3). 4. კაკ<sup>1</sup> 1450,4 მუნამდისცა. 5. ასე C; I მისატანად (შეად. კაკ<sup>1</sup> 1451,2); G მისატანლად. 6. I ყოვლისა. 7. F მუნით-ცა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1451,3). 8. F არაბეთად; ვარ. არაბეთით. 9. ასე G; I წაველა; C მივლად (შეად. აბ 1338,4 და სხვ.). 10. ასე C; G ავთანდილ არს (შეად. კაკ<sup>1</sup> 1451,4); I ჩანს. 11. I გავსებული.

- 148 აწ ამად მოვალ წინაშე, დავყარენ ჩემნი გზანია,  
შემინდოთ რაცა შეგცოდე, ჰქმნნეთ გაწყრომისა კმანია.  
ძღვენი არა მაქვს,<sup>1</sup> მმოწმობენ<sup>2</sup> ფრიდონ და მისნი კმანია.  
ოღენ ძღვენად თქვენი ავთანდილ მე თქვენთვის მომიტანია.“
- 149 რა მიუვიდა მეფესა მახარობელი ამისა,<sup>3</sup>  
ვით გაეხარნეს, ვერ იტყვის ენა ერთისა წამისა!  
თინათინს ლაწვთა ემატა ელვა შუქისა სამისა, —  
ბროლსა და ლალსა აშვენებს მუნ ჩრდილი წარბ-წამწამისა.
- 150 ტაბლაკსა ჰკრეს და გაისმა კმა მაშინ<sup>4</sup> თქართქარებისა.  
ლაშქარნი რბოდეს მიდამო, ქმნა სწადდა მათკენ რებისა.  
დაიწყეს მოსხმა ცხენისა,<sup>5</sup> მოღება<sup>6</sup> უნაგრებისა.  
შესხდა სიმრავლე მოყმისა მკლავ-ფიცხელ-გულ-მაგრებისა.
- 151 მეფე შეჯდა, გაეგებნეს თავადნი და სრულად სპანი.  
ვისცა ესმის, მოვიდიან მას წინაშე სხეავნით სხევანი.  
ყველაკაი ღმერთსა ჰმადლობს, გაამაღლნეს მათნი კმანი.  
თქვეს: „ბოროტსა<sup>7</sup> უმყოფოო, კეთილნია შენგან<sup>8</sup> მზანი!“
- 152 რა ერთმანერთი აღუჩნდა მიგებულ-მოსაგებავთა,  
ავთანდილ ეტყვის ტარიელს სიტყვათა დანაგებავთა:<sup>9</sup>  
„აგერა, ჰხედავთ მინდორთა მტვერითა შენაღებავთა?  
ამად მეღების<sup>10</sup> საკმილი,<sup>10</sup> გულსა ეცხება,<sup>10</sup> ებავთა:
- 153 ისია ჩემი გამზრდელი და თქვენდა<sup>11</sup> მოგებებულა.  
იქი ვერ მივალ, მრცხვენიან, გულსა საკმილი ღებულა.  
ჩემად არაკად სულთ-დგმული კაცი არ გაწბილებულა!  
რასაცა მიზამთ, თქვენ იცით,—ფრიდონ თქვენდავე<sup>12</sup> ხლებულ ა.“

1. C გვაქვს, 2. C და I გვმოწმობენ. 3. გნ და დგ უამისა(?). 4. ასე ვახტ; ინგ 1508,1 მათგან; K და L სიცილი. 5. G და I ჯოგისა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1457,3). 6. G და I გაღება (შეად. კაკ<sup>1</sup> 1457,3). 7 ასე ინგ 1509,4; ზოგი გნ და დგ ბოროტთა. 8. ინგ 1509,4 შენნი; გნ და დგ შენთვის. 9. გნ და დგ დანაზებავთა. 10. უიჟ 1582,4 ..... ეცხელა; კაკ<sup>1</sup> 1459,4 ამისთვის ვიწვი, საკმილი გულსა ეღების; უგ 1510,4 ..... ეცხელა. 11. C თქვენად; G ჩემთვის (შეად. კაკ<sup>1</sup> 1460,1). 12. I თქვენ-თანვე; G თქვენთანა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1460,4).

- 154 ტარიელ უთხრა: კარგსა იქმ შენ პატრონისა კრძალვასა. აქ<sup>1</sup> დადგე, იქი ნუ მოხვალ, იქმცა უჩემოდ ხალვასა. მე მივალ, ვუთხრობ მეფესა შენგან თავისა მალვასა. ვეკვი, ღმრთითა, ადრე შეგყარო მზესა მას, ტანად აღვასა.“
- 155 მუნ დადგა ლომი ავთანდილ, დაიდგა მცირე კარავი. ნესტანდარეჯან მუნვე დგას, იგია მკვრეტთა მზარავი! მისთა წამწამთა ნიავე ჰქრის ვითა ქარი არავი!<sup>2</sup> წავიდა მეფე ინდოთა, მისრული მიუფარავი.<sup>3</sup>
- 156 ფრიდონ წაჰყვა. განალამცა განვლეს ეელი დიდსა ხანსა, — ცნა მეფემან, ტარიელ<sup>4</sup> ა,<sup>4</sup> მარტო მოვა, მოჰხრის ტანსა. გარდაკდა და თაყვანის-სცა მას უკადრსა, ლომებრ ჯანსა, — სდებს პატვისა ინდოთ მეფე<sup>5</sup> მართ მამისა შესაგვენსა.
- 157 გაეკვირვა მეფე მისსა თვალადობა-სიტურფესა. პირსა უქვრეტს გაკვირვებით, უქებს მკლავთა სიალფესა. — კვლა ფრიდონსცა<sup>6</sup> უსალამა, — თაყვანის-სცა მან მეფესა, — მას შეფესა, ავთანდილის ნახვისათვის მოსწრავესა.
- 158 მეფე ტარიას ქებასა დაჰკრთების, დაელონების. ტარიელ ეტყვის: „მეფეო, აწ გული შენ გემონების. მიკვირს თუ ეგრე სიკეთე თქვენ ჩემი რად გეგონების: რადგან ავთანდილ შენია, სხვა რად ვინ მოგეწონების!
- 159 ნუ გიკვირს მისი არ მოსვალა და დაყოვნება ხანისა: მოდი და დავსხდეთ, მეფეო, ამოა კორდი მწვანისა, გკადრო მიზეზი მისისა<sup>7</sup> თქვენს წინა ვერ-მოყვანისა.<sup>8</sup> ვიაჯ<sup>9</sup> რასამე,<sup>9</sup> აწ მმართვეს მოთხოვა მე ფარმანისა.“

1. გნ და დგ აწ. 2. კაკ<sup>1</sup> 1462,3 არ ავი. 3. ან და დგ მიუპარავი(?). 4. კაკ<sup>1</sup> 1463,2 და უგ 1514,2 ტარიელი. 5 ასე კაკ<sup>1</sup> 1463,4; სხვა დგ და გნ მეფეს. 6. ან და დგ ფრიდონსცა(?). 7. კაკ<sup>1</sup> 1467,3 მისი და. 8. კაკ<sup>1</sup> 1467,3 და უგ 1518,3 ვერ-მოტანისა. 9 კაკ<sup>1</sup> 1467,4 ვიაჯი რასმე.

- 160 დასხდეს, მეფენი მოადგა გარე სიმრავლე რაზმისა.  
ტარიელს პირსა ციმციმი ათქს<sup>1</sup> უნათლესი ბაზმისა.  
ჭვრეტა ახელებს მჭვრეტელთა ყოფა-ქცევისა-და-ზმისა!  
დაუწყო თხრობა მეფესა სიტყვისა ბრძნად ნაკაზმისა:
- 161 „მეფეო, თავი მემცრობის ამისად<sup>2</sup> მოსაკსენებლად,  
შაგრა მოსრული თქვენს<sup>3</sup> წინა ვარ<sup>3</sup> შემომხვეწულად,<sup>3</sup> მქენებლად.  
თვით იგი იაჯს, რომელი ჩანს მზეებრ შუქთა მფენელად,  
ვინ არის ჩემად სინათლედ და ღლეთა<sup>4</sup> გამათენებლად.
- 162 აწ ამას გკადრებთ ორნივე ხვეწნით და შემუდარებით: —  
ავთანდილ დაგვდვა<sup>5</sup> წამალი მისგან თავისა დარებით,<sup>6</sup> —  
დავიწყდეს რომე პატიენი სჭირდეს ჩვენთავი დარებით. —  
არ გაწყენ, გრძელი ამბავი არს, ჩვენგან<sup>7</sup> მიუმხედარებით. —
- 163 თქვენთა უყვარს ერთმანერთი ქალი ყმას და იგი ქალსა.  
მით ვიგონებ საბრალოსა მტირალსა და ფერ-ნამკრთალსა.  
მუკლ-მოყრილი გეაჯები, — ნულარ აწვევ იმათ<sup>9</sup> აღსა, —  
რომე მისცე ქალი თქვენი მკლავ-მაგარსა, გულ-ფიქალსა.
- 164 ამის მეტსა არ-რას გკადრებ, — არ მოკლესა არცა გრძელსა.“ —  
ამოილო კელ-მანდილი, მოინასკვა ზედან ყელსა,  
ადგა, მუკლნი მოუყარნა,<sup>10</sup> ეაჯების ვითა მზრდელსა. —  
გაუყვირდა ყოვლსა კაცსა შორით<sup>11</sup>; ვერას<sup>11</sup> მომსმენელსა! —
- 165 რა ტარიელ მუკლ-მოყრილი ნახა, მეფე შეუზარდა,  
შორს უკუ-დგა, თაყვანის-სცა, ქვე-მიწამდის-დაუვარდა,  
შოახსენა: „კელმწიფეო, ლხინი ყოვლი გამიქარდა,<sup>12</sup>  
თქვენმან აგრე სიმდაბლემან ნახვა თქვენი ჩამადარდა! —

1. ათქს<ადგს. 2. ასე ინგ 1520,1; ვარ. მე მისად. 3. G წინაშე, თქვენი მხვეწე ვარ; I თქვენს წინა ვარ შემომხვეწე (შეად. კაკ<sup>1</sup> 1469,2). 4. ინგ 1520,4 ბნელთა; სხვა დგ და გნ ჩემად. 5. გნ და დგ დამდვა. 6. G და I დადებით (შეად. კაკ<sup>1</sup> 1467,2). 7. კაკ<sup>1</sup> 1470,4 და უგ 1521,4 ჩემგან. 8. გნ და დგ მას. 9. კაკ<sup>1</sup> 1471,3 ამით. 10. C დაუყარნა (შეად. აბ 1357,3 და სხვ.); G და სხვ. მიუყარნა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1472,3 და უგ 1523,3). 11. ასე ინგ 1423,4; სხვა დგ და გნ მის ამბისა. 12. ასე C (შეად. აბ 1358,3 და სხვ.); G და I უკუ-შქარდა; კაკ<sup>1</sup> 1473,3 და უგ 1524,3 უკუ-ქარდა.

- 166 მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვჰპოვებ ვერა.  
თვით მეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქეს და მას ეფერა. —  
ვარი ახლად ეფურჩნების,<sup>1</sup> მე ყვაილი დამებერა. —  
რადმცა<sup>2</sup> ვჰკადრე შეცილება რასცა<sup>3</sup> იგი<sup>4</sup> ოდენ<sup>5</sup> სჯერა!“
- 167 რა ტარიელ მეფისაგან ესე სიტყვა მოისმინა,  
დადრკა, მდაბლად თაყვანის-სცა, პირსა ზედა დაეფინა.  
კვლა მეფემან<sup>6</sup> თაყვანის-სცა, წამო-რე-ვლო,<sup>7</sup> წარდგა წინა. —  
ერთმანერთი მოიმადლეს, მათ ერთსაცა არ ეწყინა. —
- 168 ფრიდონ შეჯდა, ავთანდილის მახარობლად გაექანა, —  
ესდენ დიდი სიხარული გაეხარნეს მასცა განა! —  
წავიდა და წამოუძღვა, მოიყვანა, მოჰყვა თანა.  
მაგრა ირცხვის მეფისაგან, შუქი ბნელად მოევანა.
- 169 მეფე ადგა, მოეგება, ყმა გარდაკდა, რა მივიდა.  
კელთა ჰქონდა კელ-მანდილი, პირსა მითა იფარვიდა.  
შხე ღრუბელსა მოჰფარვოდა,<sup>8</sup> ქუშდებოდა, ვარდასა ჰზრვიდა.  
მაგრა მისსა შევენებასა რამცა ვითა დაჰფარვიდა!
- 170 მეფე კოცნასა ლამობდა,<sup>7</sup> აღარა ცრემლნი სდენიან.  
ავთანდილ ფერკთა ეხვევის; შუქნი ქვე-დაუფენიან.  
უბრძანა: „ადევ, ნუ ირცხვი, შენ ზნენი გამოგჩენიან.  
რათგან მერჩიო,<sup>8</sup> ნუ მერცხვი, — ჩემგან<sup>9</sup> რასალა<sup>9</sup> გრცხვენიან?“<sup>9</sup>
- 171 მეფე ყელსა ეხვევოდა მას ლომსა და ვითა-გმირსა.  
ახლოს უზის, ეუბნების, აკოცებს და უჭკრეტს პირსა. —  
იგი მზე და კელმწიფობა ასრე მიჰხვდა, ვითა ღირს ა. —  
მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიჰკდის კაცი ქირსა! —

1. გნ და დგ იფურჩნების, იფურჩნების, იფურჩუნების. 2. გნ და დგ რა-  
მცა. 3. ინგ 1526.4 რასაც ოდენ < იგი; სხვა გნ და დგ რასაც იგი ოდენ. 4. კაკ<sup>1</sup>  
1477,3 როსტენცა. 5. ასე C; I წარემოვლო(?) (შეად. კაკ<sup>1</sup> 1477,3; G წამოვლო  
და. 6. G და I ეფარ(ვ)ოდა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1479,3); C მოჰფარვიდა; ვახტ მოჰფა-  
როდა. 7. უგ 1531,1 ჰლამობდა. 8. G მერჩივნო(?). 9. F ჩემგან ნულარა გრცხვე-  
ნიან; I აგრე ნულარა გრცხვენიან; C გაე, რასალა გრცხვენიან; G ვგ არა შენი  
ზნენიან.

- 172 ყმა მეფესა მოახსენებს: „მივივრს, სხვასა რად რას ჰბრძანებ, რად არ გინდა ნახვა მზისა, ანუ რად-ლა აგვიანებ, — მივეგები მზიარული,<sup>1</sup> სახლსა თქვენსა<sup>2</sup> მოიყვანებ, შემოიშოს უუქთა მისთა, ნათლად<sup>3</sup> გარე-მოივანებ“<sup>4</sup>
- 173 ტარიელსცა მოაკსენა, — შესხდეს, ქალსა მიეგებნეს. — მათ სამთავე გოლიათთა მზისა ფერად ლაწვნი ლებნეს. მიჰხვდეს მათსა საწადელსა, იგი ჰპოვეს, რაცა ძებნეს. კელი ჰკადეს კრმალთა მათთა, არა ცუდად წელთა ებნეს. —
- 174 გაჰკვირდეს ყოველი მხედველნი მისთა ელვათა ფენასა. ვით მზემან დაყვნა მკვრეტელთა თვალნი ნათლისა ჩენასა. მისგან დამწვარნი მისცნიან<sup>5</sup> გულნი ჰკრეტითა ღებნასა. სითცა გამოჩნდის, იქმოდის<sup>6</sup> ჯარი<sup>6</sup> მუნითკენ რბენასა. —
- 175 შესხდეს,<sup>7</sup> წავიდეს ყოველნი<sup>7</sup> შინა თავისა<sup>7</sup> დარებად. ჰქონდეს შვიდნივე მნათობნი მის მზისა დასადარებად. არ მიიხვდომის სიტუტრფე, არს მათგან მიუმხვდარებად! — აღრე მივიდეს მეფისა სახლად-სამყოფად, არებად.
- 176 შევიდეს, ნახეს თინათინ მკვრეტთა<sup>8</sup> მიმცემი<sup>8</sup> ჰირისა. სკიტპროსან გვირგვინოსანსა ჰშვენროდა ცმა პორფირისა. მოსრულთა პირსა შეადგა ელვა მისისა პირისა. — შევიდა მეფე ინდოთა, იგი მზე, მსგავსი გმირისა.
- 177 თინათინ ზედა აწვივა<sup>9</sup> ტახტსა მეფეთა ზეთასა. ტარიელ უთხრა: „შენ დაჯე, სწადიან ბრჭესა-ბრჭეთასა. დღეს ტახტი შენი შენ გმართებს მეტად ყოველთა დღეთასა. მე ლომი ლომთა<sup>10</sup> დაგისე<sup>11</sup> გვერცა შენ მზესა<sup>12</sup> — მზეთასა.“

1. G მზიარულსა. 2. G შენსა. 3. ასე C, G და I (შეად. კაკ<sup>1</sup> 1483,4 და უგ 1534,4); აბ 1367,4 სახლად. 4. ინგ 1535,1 მოახსენეს. 5. კაკ<sup>1</sup> 1487,3 და უგ 1583,3 მისცნიან. 6. უნ და დგ იქმოდეს ჯარნი. 7. C, G, I ვახტ შინა წავიდეს ყოველნი, შესხდეს თავისა დარებად; K .... წავიდნენ .... შესხდნენ....; აბ 1371,1 შესხდეს, წავიდეს ყველანი შინათ თავისა მარებად; ინგ 1539,1 შინა. 8. G მკვრეტელთ. 9. C, G და I აწვივნა. 10. G ლომსა(?) (შეად. კაკ<sup>1</sup> 1491,4). 11. G დაგისევამ(?). 12. ვახტ მზეთა—(?).

- 178 ტარიელ<sup>1</sup> კელი მოჰკიდა<sup>2</sup> და დასვა<sup>3</sup> ტახტსა თავისსა.  
გვერცა დაუსვა<sup>10</sup> ავთანდილ, სურვილსა მოეკლა ვისსა.  
უნახავსა და ნახულსა სჯობს ყოვლსა სანახავისსა!  
ნუ ექვე მიჯნურთა<sup>5</sup> მათებრთა,<sup>5</sup> ნუცა<sup>6</sup> თუ<sup>6</sup> რამინს<sup>6</sup> და ვისსა!
- 179 ქალსა<sup>7</sup> შესწბა,<sup>7</sup> გაუკვირდა ავთანდილის გვერცა ჯდომა.  
ფერი ჰკრთა და გაუფიცხლა<sup>8</sup> შე-და-გა-მო გულმან კრთომა.  
მეფე ეტყვის: „შვილო, ჩემგან გაქვს სირცხვილი თუ რაზომა, —  
ბრძენთა<sup>9</sup> უთქვამს სიყვარულის<sup>10</sup> ბოლოდ მისი არ-წარკდომა.“
- 180 მართ მეფემან სპათა ბრძანა ავთანდილის თაყვანება:  
„ესეაო მეფე თქვენი, ასრე იქმნა ღმრთისა ნება.  
დღეს ამას აქვს ტახტი ჩემი, მე-სიბერე, ვითა სნება.  
ჩემად სწორად ჰმსახურებდით, დაიჭირეთ ჩემი მცნება.“ —
- 181 ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი საწადელი, —  
შვიდი ტახტი საკელმწიფო, საშვებელი განუცდელი.<sup>11</sup>  
მათ პატიეთა დაავიწყებს ღზინი ესე აწინდელი. —  
ყოლა ღზინთა ვერ იამებს კაცი ჰირთა გარდუხდელი! —
- 182 ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,  
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,  
ავის მქნელნი<sup>12</sup> დააშინნეს, კრავნი ცხვართა<sup>13</sup> ეფებთა<sup>13</sup> სწოვდეს.<sup>13</sup>  
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან ძოვდეს.



1. ან და დგ ორთავე. 2. გნ და დგ მოჰკიდე. 3. გნ და დგ დასვეს. 4. გნ და დგ დაუსვენ. 5. ასე C; I მიჯნურსა მათებრსა; K მიჯნურთა მათებრსა; აბ 1375,4 მიჯნურად მათებრსა. 6. ასე G; K ნურცა თუ რამინს; I ნუმცა რამინსა; C ნუ-ცა რამინის(?); სხვა გნ და დგ ნუმცა თუ რამინს. 7. K შეწრფა(?); ინგ 1544,1 ქალი შესწბა. 8. K გაუფიცხლდა(?); ვახტ გაუფიცხლდა(?) (შეად. კაკ<sup>1</sup> 1493,2); სხვა გნ და დგ გაუფიცხა. 9. ასე C, G, I და K; სხვა გნ და დგ ბრძენსა. 10. გნ და დგ სიყვარული. 11. აბ 1410,2; გაუცდველი; ინგ 1637,2 გაუცდელი. 12. ვარ-ავთა. 13. ინგ 1664.3 კრავთა ვერ უწოვდეს(?); სხვა დგ და გნ ცხვართა ვერა(?) სწოვდეს.

## ზოგ წარყვნილ და ზოგ ძნელად გასაგებ ადგილთათვის

1. მიძღვნა, 2,1: აქ „კელობისა“-დ წაკითხვა „ხელობისა“ იწვევს გაუგებრობას და აღმადგენელნი ან განმმართველნი ტაეპისა შეცდომაში შედიან. არც „ამადარი“ ნიშნავს არაფერს, არც რუსთველი ყოფილა „კელობით“ რუსთველი, ან „ალამდარი“ (ან თუ ვინმე აღმადგენელს სურს „ჯაბადარი“; ესეც ხომ „მოკელე“ იყო), არამედ რუსთველი გონება-დაკარგულობით, ხელობით მცდარი იქმს ამ საქმეს, ე. ი. „ე. ტ.“-ის დაწერას, — ხელობს რა კელმწიფისათვის (რომელიც ღმრთისაგან არის!). და ეს სრულიად ნათლად აქვს ნათქვამი პოეტს: „მე რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამას მცდარი.“ სხვანაირად აღდგენა ამ ტაეპისა მართალი არ იქნება.

2. მიძღვნა, 3,4: ეს ტაეპი წარყვნილი ყოფილა. დაჩინილა მხოლოდ სიტყვათა ნაგლეჯები და მით უცდიათ ძველ და ახალ კრიტიკოსებს ტექსტისა მისი აღდგენა. აქეთვან სხვა და სხვაობა ვარიანტთა. ატროფში კი რუსთველი ნათლად ამბობს: ეს ამბავი გავლექსე და საკოჭმანები საქმე ვქმნო. ცხადია ეს საქმე საკოჭმანო იყო რუსთველისათვის, — „შემართა“ თუ არა თვისი თხზულება, კვლავ ქებანი (აზმანი) მისი „ველ-ქმნილისათვის“, — და არა მეფე თამარისათვის, დაერთო თუ არა ნება, რომ პოეტს ეძღვნა მისთვის თხზულება, ჯერ კიდევ მისთვის უცნობი. ამიტომ აღვადგენთ ამ ტაეპს კონტექსტის მიხედვით: „ჩემსა ხელ-მქმნელსა შემართო, ლაღსა (=ამაყს) მას, კვლაც აზმანები?“ — და შემდეგ სტროფებში რუსთველი თავს იმართლებს ასეთი „შემართებისათვის“: მიჯნურ პოეტს მისი ერთი მიჯნურის გარდა „ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“, არა თუ იგი თვის ნაღველს რქით-აქეთ აბნევდესო. და, ამბობს რუსთველი: „ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“-ო (პირველი „ქება“: „ისტორიანი და აზმანი“) და სხვ.

3. I, 4,4: ტაეპის უკანასკნელი სიტყვები წარყვნილი ყოფილა. ამიტომ ცუდად აღდგენილი ზოგთაგან: „ღამესა ჩვენ უმთვაროსა“; K „ღამესა მომთანაროსა“; ინგ. „ღამესა უმთენაროსა“; აბ. „ღამესა უთენაროსა“. ეს უკანასკნელი უფრო სწორია, მაგრამ ერთობ ან არც ერთი ამ წა-

კითხვათაგანი არ არის სწორი. უნდა იყოს წაკითხული კონტექსტის მიხედვით: „ღამესა არ უთენაროსა“, რათვანაც აქ შედარებასთან გვაქვს საქმე: როდესაც ვარდი მის ყვავილს დააქნობს, იგი წაეა და სხვა მოეა, და როდესაც მზე ჩასვენდება, ბნელს და გაუთენებელ ღამეს კი არ ვკვრებთ, (არამედ იგი ისევ გათენდება), და თუ მოხუცი მეფე როსტე-ვანი, ძველი სინათლე გადავა, მის ნაცვლად აღმობრწყინდება ახალი სინათლე, ახალი მეფე, მზე თინათინი. აი რა უნდოდა ეთქვა რუსთველს.

4. I, 28,1: აქ უნდა იყოს „მიწამცა“ და არა „მიწაცა“. „მიწამცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა“ ძველი ზრდილობის გამოთქმაა, — მიწა, ე. ი. ფერკთა მტვერი რომ უნდა იყოს ავთანდილ თქვენ (მეფის) წინაშე, (იგი მშვილდოსანიაო). —

5. I, 39,2: „თუცა“ აქ უფრის „თუმცა“-ს. რავგარადაც ეს უკანასკნელი, „თუცა“-ც აორისტს მოითხოვს. ასეთი მაგალითები ბევრია „ვეფ. ტ.“-ში. „თუცა გული უმაგარადა“ = გული რომ გამაგრებოდა.

6. I, 45,3: I-ის ვარიანტი „დაცივიდეს“ (არა სხვა „დაკოცნა“), აგრეთვე ვარიანტი: „თავსა კელ-აღუპყრობელად“ — (სხვა: „თავის კელ-აუპყრობელად“) სწორია. წინადადება ნიშნავს: დაეცენ (ერთმანერთზედ ნაკრავნი) ისე, რომ თავს ვერ უშველეს (=უმეფონი).

7. I, 47,3: პირველი ნახევარი ტაეპისა წარყვნილი ყოფილა. აქეთგან აღმადგენელთა კონიექტურები: „ტაიჭი მიუქს მერანსა“, „ტაიჭი მიქრის მერანი“, „ტაიჭი მიაქვს მერანსა“, „ტაიჭი მიაქვს მერანი“. არც ერთი არ არის სწორი, არამედ შევნიერი სურათი ასე აქვს დახატული პოეტს: „ტაიჭი მიაქვს მერანსა“ (მზე, რომელიც ველად მიეფინების). ტაეპიც ასე უნდა გასწორდეს.

8. 9. I, 67,3: კელთ-ნაწერთა და დაბეჭდილ გამოცემათა: „არ ართვან შეუყრელისა“ შეუსაბამოა. ავთანდილი საკელმწიფო აქტების დროს თუ ნახავდა თინათინს, თვარა ისინი ერთგან აროდეს შეყრელან. თინათინი პირველი ასეთი შეყრისას ხომ ეუბნება ავთანდილს: „აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად“-ო, (I, 71,2) (= ახლოს არ გიკარებდიო. მართლ-საჩინოდ არ-ის მაგივრად ბარ = ბარე) უნდა ყოფილიყო ტექსტი: „უხარის შეყრა ვარდისა“, რომელსაც იგი ბარე (დიად ჯერ) არ შეპყროდა. მათ ახლა პირველად ნახეს ერთმანერთი, ისე რომ იქ სხვა არავინ ყოფილა.

10. I, 107,3: „მინდორს შეჯდომა“ არაინ უნდა გაიგოს: მინდორს გასვლის შემდეგ ცხენზე შეჯდომა, არამედ ეს ნიშნავს მინდორს გასასვლელად შეჯდომა. ასეთი მაგალითები სხვაც არის „ვეფ.-ტყავოსანში“.

11. II, 90,3: კელთ-ნაწერთა და დაბეჭდილ გამოცემათა „მეტი რაძცა შევეზრაზე“ ვერ გამოჰხატავს იმას, რისიც თქმა რუსთველს უნდოდა. ტარიელი ამბობს: როდესაც მეფე მომეწია და დავინახე, კელმწიფობით შემებრალა იგი, ამიტომ კელი არ შევახე, არამედ თვალთა წინ გამოვექეცი, — აბა მეც როგორ უნდა შემეტია (კელმწიფესათვის). — „რად“ არ ნიშნავს „ე.ტ.“-ში ყოველთვის „რატომ“-ს, არამედ კშირად „როგორ“-ს, „რავგარ“-ს (ზმნ. ზედა).

12. III, 7,3: აქაც „კელისა“-ს მაგიერად „ხელისა“ წაკითხვამ დიდი გაუგებრობა შექმნა: ი. აბულაძე, მაგ. ამბობს: „ხელისა მიუმცდარობა“ გიჟის სირეგვენეს ნიშნავსო; ეს სარიდანს არა სჭირდება! ნამდვილად კი ტაეპი ნიშნავს: სარიდანი „მეფედ-ლა დაჯდა“, (თუმცა ვასსალად ფარსადანისა), და მას „არა სჭირს“ (ე. ი. არ ეძნელება) თანამდებობის („კელის“) შეუცდომლად აღსრულება („მიუმცდარობა“).

13. III, 35,4: ე. ი. ნესტან-დარეჯანი, ვისგანაც ეჭვი არ ჰქონდა მსგავსი რაისამე მოწერისა, აწვა სევდად ხესავით ტარიელს.

14. III, 45,3: კნ და დგ-თა „მთქვიან ალვად“ სრულიად უადგილოდ და უგემური თავის ქება იქმნებოდა ტარიელისა. მას უნდოდა ეთქვა: ჩემსა დაეჯდები ჩემ სწორებთან ერთად, რომ მარტო არ ვიყო. — ცოტა გასართობად და ჭირთა შენელებად. ასეც გასწორდა ეს ტაეპი: „ჩემსა დაეჯდე, ვთქვი, არ ხალვად“.

15. III, 91,4: ნიშნავს: ლაშქარნი უგზოდ ვლიდეს, გზას ყურადაც აღარ იღებდენ („არ გაივლენდეს“ და არა: „ვერ გაივლიდეს, ან „არ გაივლიდეს“).

17. III, 110,3: რას ნიშნავს კნ და დგ-თა „ახე“, ამის განმარტება მე არსად შემხვედრია. ჩემი აზრით აქ უნდა იყოს „მახე“ = „მახევი“, „გამახევი“, „გამმარეწელი“, ან-და „მახები“, შემხებელი“.

18. III, 124,2: აზრი სრულიად ნათელია: ტარიელმა კელი თავის კრძალზე შეიჭრა და ეს სჩანდა, წყლული არ ჰგავდა მტრისაგან დაჩენილად („ძილებულად“, „ნალებად“).

19. III, 126,2-3: ეს ტაეპები წარყვნილი ყოფილა და აქეთვან არის კნ და დგ-ათა ვარიანტები, ყველა ძნელად მისაღები. ჩვენგან აღდგენილ ტაეპებში სწერია: ალაფის ამღებ ლაშქარით თავი გავალაღებინე იქ, სადაც ჩემი სისხლის მძებნელთ (ე. ი. მტერთ) მინდორი შევეაღებინეო, — ამბობს ტარიელი.

20. III, 141,1: „არ ჩემგან უცოდნელია“ = ეს ჩემთვის (შემდეგ) უცოდნელი არ დარჩა. კნ და დგ-ათა „მართ ჩემგან უცოდნელია“ არ უღდება კონტექსტს.

21. III, 170,4: „ზედან - წათვლა“ არ ნიშნავს „ზედ - დართვას. „წამატებას“ (აბულაძე), არამედ ანგარიშში არ ჩავდებას. არაფრად მიჩნევას (შეად. III, 127,4).

22. III, 173,1: „გული მიც თუცა მელია“ = გული მაქვს ისე, რომ უნდა დაშელოის, გამიჩერდეს.

23. III, 216,4: ტაეპის ბოლო ნაწილი წარყვნილი ყოფილა და აქეთვან კნ და დგ-ათა სხვა და სხვა ნაირად აღდგენა მისი. ჩვენ ასე აღვადგენთ: „აწ გამოჩნდეს“ თუ მე რა მინდა და (სხვას) ვისაც რა უნდა („რა მინდოდეს, ვის რა უნდი!“).

24. III, 235,2-3: კნ და დგ-ათა „ანუ სისხლითა მისითა ჩემი რად ძოაზღვევინე“: თითქოს დავარის სისხლი უნდა ეზღოს ტარიელს მოკლული ზვარაზმ-შაჰის სისხლით! დავარი კი სულ სხვას ეუბნება ნესტან-დარეჯანს: ანუ ჩემი სისხლით რად აზღვევინე ტარიელს მის მიერ დათხეული სისხლი ზვარაზმ-შაჰისა: „ანუ სისხლიცა მისიცა ჩემით რად ძოაზღვევინე“-ო. ეს ასეც გასწორდა. — შემდგომი ტაეპის აზრიც ნათელია. თუ „გაქმნევინეს“ მაგივრად „მაქმნევინე“-ს აღვადგენთ: ტყუილუბრალოდ არ მომკლავს ჩემი ძმა, როდესაც იმას გიყოფ, რაც შენ (თვით) ჩამადენინეო.

25. III, 255,2: კნ და გამომცემელთა „გამყოფთა“, „გამყოლთა“ ყოვლად მიუღებელია. უნდა იყოს: „მუნ-მყოფთა“, რაიცა „მცხოვრებთ“ ნიშნავს (ფრიდონი მათ არ ერიდებოდა), იგინი „ზაბუნებად“ ჩათვალა და მათ სიმრავლესაც არაფრად მიიჩნევდა.

26. III, 268,3: მეორე ნახევარი ამ ტაეპისა სადაოა: ინგოროყვამ „გავიანტენით“ ანტე-ქრისტედ გაკდად მიიჩნია (იხ. მისი „ვ.ტ.“-ი, გვ. 412); ჩვენ ერთხელ გამოვთქვით აზრი, — „გავიანტენით“ უნდა ნიშნავდეს, თითქოს მიზანში ამოღებას და სროლას (მანქანიდგან ნასროლი ქვებისა); (ბერძნულითგან „ანტ(ი)აო“); ხოლო არის ვარიანტი „გავანატენით“, რომელსაც კსნიან: „ტყავივით დალბილება“, „ტყავად ქცევა“, „გათელვა. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია აქ შემდეგი ვთქვათ: თუ „გავანატენით“, სწორია, მაშინ ტაეპი ასე უნდა ითარგმნოს: (მანქანიტგან ნასროლი) ქვებით დაეულეწეთ ქალაქს კედლები („წვივები“), ჩვენ იგი გავატყავით. შემდეგ მართლაც მოდის ტაეპი: „მომკალით, ლარი დაპლიოთ (ამ „გატყაულ“ ქალაქში) ან აკიდებით ან ტენით“-ო.

27. III, 278,4: ეს ტაეპი წარყვნილი ყოფილა, როგორც სამართლიანად შენიშნავს ინგოროყვა: სიტყვები არ არის ტარიელის მიერ ფრიდონისადმი თქმული, არამედ ავთანდილისადმი, ამბის მოყოლისას. მაგრამ ჩვენთვის ინგოროყვას მიერ აღდგენილიც შესასწორებელია ისე, როგორც სხვა ვარიანტები. უნდა იყოს: „მომკალ, თურე (არა „თუცა“) უჩემოდა (არა „უჩემოსა“) ენახამცა ვის ისიც ხე (არა „ვისცა ისც ხე“) — მომკალ, თურმე (აი) ვის უნდა ენახა ჩემს გარდა ის ხეც!

28. IV, 84,4: აბ. „ვის სად“ და ინგ. „ვისსა“ მიუღებელია. უნდა იყოს „მისად“ = მისთვის — მოყვარისთვის (ვისთვის სიკვდილიც ავთანდილს „თამაშად“ და მღერად მიაჩნია, ვისთვისაც მან თვისი მზე დათმო, და ახლა მისთვის თვის სახლსაც ვერ დათმობს, — ვერაფრით?).

29. IV, 99,4: კნ და დგ-ათა „მოვეგონები“ განმეორება „მომიგონებენ“-ისა. უნდა იყოს „მო-ვე-გონები“ = იგივე (ჩემი) მომგონებლები.

30. IV, 117,2: „აწ სახლად მმართებს სენები“ თუ გავიგებთ: ახლა ჩემს სახლში სენები უნდა მქონდესო (ე. ი. სნეულებანი), გამოთქმა რაღაც შეუსაბამოდ გვეჩვენება. ჩემი აზრით „სენები“ თქმულია აქ რუსთველის მიერ „სანაკების“ მაგიერად და ასეთი გავება ამ სიტყვისა მართლაც უდგება კონტექსტს: როსტევანი მოთქვამს ავთანდილის გაპარვის გამო: თუ თავი შენი შენ გახლავს, ლარიბად (მარტოდ) არ ჩაითვლები, მაგრამ მე რა ვქმნა, ახლა სახლად სენაკები უნდა მქონდეს (დაუხლებულ ბერსავით), რათგანაც გამალარიბე (მარტოდ დამტოვე) და დამაგდო. — თუმცა არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ სიტყვა „სენა“ „სენაკის“ მნიშვნელობით არსად შეგვხვედრია ძველ ქართულ მწერლობაში.

31. V, 2,1: „ვე მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად“ სწორი არ არის, როგორც წინათაც მქონდა როდენიმეჯერ ნათქვამი თავ-

თავის ადგილს. მიუხედავად მკვლევართა ვრცელი სიბრძნის-მეტყველებისა „მზიანი ღამისა“-თვის უნდა იყოს „მზიარისა სამისა“ და ამას ამართლებს მეორე ტაევის „ერთ-არსებისა ერთისა მის“. აზრი ნათელია და ბევრჯერ თქმული სხვათა მიერაც: „სამის მზიარი“ = „სამება“, ხოლო „ერთ-არსება“, „ერთი“. ასე ესმოდა ეს ავტორსაც ამ სტროფისა, როგორც V, 2-ს მისდევს (და მე ჩანართად მიმაჩნია): ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“, და აქ ღმერთი მზიან-ღამედ-ღმერთად“ დიად არ არის ნაგულისხმები.

32. V, 32,3: კნ და დგ-ათა „საეშმაკო“ უეჭველად შეცდომაა, რომელიც ტაეის გაუგებრად ჰყოფს. როგორც წინადაც გვქონდა ნათქვამი თავის ადგილს, უნდა იყოს „უეშმაკო. ტაევი ნიშნავს: რაც კარგია, ვის გაუგონია ის უბოროტო და უეშმაკო, ე. ი. რომ მას თან არ სდევდეს ბოროტი და ეშმაკი.

33. VI, 1,2 კნ და დგ-ათა „ჩემებრ“ ცხადი გადაკეთებაა ვილაც რედაქტორისა, რომელსაც სტროფი ავთანდილის სიტყვებად მიუჩნევია. სტროფი რუსთველის სიტყვებია და „განა“ აქ აუცილებელია: ყოველი მინდობილი სოფელს დიადაც ნიდაგ უნდა ტიროდეს! შეად. ამასთანავე რითმი: 2. „განა ტირსა“ და 4. „განაწირსა.

34. VI, 34,1: „უცხოის უცხოში“ კი არ „ანატრა“ ავთანდილს „მოსმენა სანატრელისა“, არამედ უცხო ავთანდილს ტარიელმა ჰნატრა უცხოისა და სანატრელი (ამბის) მოსმენა.

35. VI, 61,2: „ას-საზომისა“-ს მაგიერად „არ-საზომისა“ (ინგ და სხვ.) არ არის საჭირო. „ას-საზომისა“ ნიშნავს აქ „ას-გვარს“. „ას-ნაირს“.

36. VI, 71,4: აქ „უთქვამს მოციქულთა“ უნდა იყოს, არა „იტყვის მეცნიერი“, და „შიში შეიქმს სინანულსა“ და არა „სიყვარულსა“. მართლაც სწორედ „მოციქულთა“ სიტყვით შიში ვერ შეიქმს სიყვარულს, ხოლო დიად სინანულს (შეად. სამოციქ. იოანე ა, 4,18 და სახარება ლუკასი 23,40).

37. VII, 25,2: ტაევი წარყენილი ყოფილა. ამიტომ პირველი ნახევრის ვარიანტები: „დააგდე ჩემი მიდამო“, დააგდე ჩემი საჭურჭლე“; მეორესი: „სრულად მიკრიფე მი-, რითა,“ „სხვაგან მიკრიფე მირითა“, იყავ სხვა საქმე ნირითა“. არც ერთი მათგანი სწორად არ ჩანს. ხოლო სიტყვათა ირგვლივ: „საჭურჭლე“, „სხვაგან“, „სხვა“ შესაძლებელი კდება ჩვენი აზრით, თუ პირველი ტაევის შინაარსს დაუუკვირდებით სწორი აღდგენა წარყენილი ტაევისა: თვარა ღამითვე შენი ტვირთები წაიღე ვირებით, „მე დამაგდე (და) შენი საჭურჭლე სხვაგან მიკრიფე კვირითა“, (ვირებზედ აკიდებული ჯინებით)-ო, ეუბნება ფატმანი ავთანდილს.

38. VII, 71,3: კნ და დგ-ათა „ბალი შეღმა შე-რა-შენდა“ ბუნდოვანია. სურათი ასეა დახატულ: ნესტან-დარეჯანს ბაგენი მოეკემა და კბილთ არ აჩენდა, შავი (გველის ფერი) ნაწნავები მოშლით მოეკეცა და, პირს შეიხვევდა მით, მზე ვეშას დაებნელებია და თავზედ რალა უნდა გაგვთენებოდაო, ამბობს ფატმანი. ამიტომ ვასწორებთ: „ბალსა შეღმა შე-რა-ჰვენდა“.

39. VII, 112,2: „მოსაწვეარი“ არ ნიშნავს გაქცეულის დასაჭერად ატეხილ ყვირილს, არამედ უბედურებას. უბედურობის მოწვევისას ყვირილს. ეს ჩვენ წინათაც გვქონდა ნათქვამი თავის ადგილს („ისტორიანი და აზმანი“): „შესატყვისო მოსაწვეარისა რომელმანცა ენიმან გამოთქვა“; „ესე -ვითარი საგოდებელი და მოსაწვეარი მოსაწვეართა“ და სხვ.). „მ.ტ.“-ში „შეიქმნა მოსაწვეარი“ ნიშნავს: ატყდა უბედურობის მოწვევის ყვირილი. შეად. III, 219,1: „შეიქმნა ზახილი, მოსაწვეარი“ = შეიქმნა ერთი ყვირილი და უბედურობა.

40. VII, 120,4: ტაეპი წარყვნილი ყოფილა. ეს სჩანს კნ და დგ-ათა ვარიანტთაგან. „ვიშიშვი სიკვდილსა“ (სწორია G ვეშიშვი), „აჰა ქვე ჩაიქურ ასა“, „ჰაი, ჰაი ქვე ჩაიქურ რასა“, „ჰი, ჰი, ჩაიქურ ვე-რასა“, „ჰი, ჰი, ჩაიქურ მე რასა“, „ჰაი, ჩაიქურ ქვე რასა“ და სხვ. ყველა ეს ვარიანტები შეუსაბამოა და ბუნდოვანი. ტაეპს აზრი მიეცემა და იგი ნათელი გაკდება, თუ ფატმანის კი არა, სიკვდილის სიტყვებდ ვცნობთ „აჰა ქვე ჩაიქურ“ (არა „ჩაიქურ“: „ალარ ვეშიშვი სიკვდილის „აჰა ქვე-ჩაიქურ“-ასა ე. ი. მუქარას).

41. VII, 153,1: კნ და დგ-ათა „მაგრამ ვადამან“, „მაგრა ავადამან“, „არ ავადამან“ „მაგარ ვადამან“ და სხვ. ყველა მიუღებელია, აქაც წარყვნილ სიტყვებთან გვაქვს საქმე, რომელიც არა სწორად აღუდგენიათ. უნდა ყოფილიყო: „მან თავადმან“ = მან თვით (ავთანდილმა) რომ მოისმინა ფატმანისაგან ამბავი, (არა სხვისგან ნამზობი). „თავადი“ = „თვით“ ძველ ქართულში ჩვეულებრივია, (იხ. მაგ. სახარება).

42. VII, 159,4: „წყალობა — შენი — იჩქიდან — ჩვენზედა — გარდმომფენელი“ ე. წ. ჯაჭვია და მას არაეითარი შეცვლა არ სჭირდება. ასეთი რამ „მ.ტ.“-შიც გვხვდება და სხვა ძეგლებშიც (უფრო მოკლე). აქ აღსანიშნავია, რომ ასეთი ჯაჭვი ჩვეულებრივი მოვლენა იყო სუმერულში.

43. VII, 161,1: თუ მზემ სოფელს მოჰკიდა შუქი, ავთანდილს, ამისთვის მას ბანვა არ დასჭირდებოდა. სოფელსაც იგი თვით მოჰკიდებდა შუქს, და არა სოფელი მას. მაშასადამე მზეს სოფლისაგან რალაც არა-

წმიდა მოკვიდებიან და ამიტომ წასულა ბანვად. აქეთგან აუცილებელია „შუქი“-ს მაგივრად „მურ“ - (ნაკიდები) ვცნათ სწორად.

44. VII, 179,3: ტაეპი ნიშნავს: ყველა შენი აქამდე გადაკდილი ჭირი რომ ლხინში გაათავო, (ამისთვის ღმერთმა ჰქმნას, რომ შესაფერნი მოყვარენი შეგაერთოთ), სწერს ფატმანი ნესტან- დარეჯანს.

45. VII, 182,2: არა გვგონია „თმა-გრძელი“-ს გადაკეთება „თმა-გრუზა“-დ საჭირო იყოს. „ზანგი“ შავ-კაცს ნიშნავს და თმა-გრუზი ნეგრების გარდა იგი შეიძლება იყოს მაგალითად ეთიოპიელიც. თვით „ვ-ტ.“-ში ნესტანდარეჯანის წამყვან შავ-კაცებს ერთგან „ინდონი“ ეწოდება.

46. VIII, 7,2 „ზეარული“ ნიშნავს „აწეულს“, „ამაღლებულს“. ავთანდილი ტარიელს მღალაი ხმით ეძახდა. (შეად III, 121,4; ჩანარ. 144,1).

47. VIII, 15,2: კნ და დგ-ათა „შველად მიჰმართა მას ტკბილად მოუბარესა“ შეუსაბამოა. ტარიელი „ტკბილად მოუბარე“ კი აღარ იყო, არამედ დაბნედილი. თუ „ტკბილ მოუბარეს“ ტარიელის ერთ ეპითეტად მივიჩნევთ, ესეც სუსტია. უეჭველად ეს ადგილი წარუყენილი ყოფილა და აღუდგენიათ, როგორც აღმდგენელებს შეეძლოთ, მაგრამ შემცდარად. ტექსტში უნდა ყოფილიყო „უუბარესა“. რათგანაც დაბნედილი ტარიელი დიად უუბარე იყო. და ამ სიტყვის წინ ყოფილა „ფიცხლად“. რომლის დარჩენილი ნაწილი — ლად „ტკბილად“, აღუდგენიათ.

48. VIII, 22,3: „შესხდეს“ „ადგეს“ მაგივრად დაუდევრობაა გადაშწერთა. ტარიელს ცხენი თან არ ჰყავდა და რომ ის და ავთანდილი ერთ ცხენზედ არ შემჯდარან, ეს ჩანს შემდეგი სტროფიდან: ასმათმა „შეზხდნა, იცნა ტარიელი, თანა ყმა ჭარმაგოსანი“. ავთანდილის ჭარმაგი დიად კელით მიჰყავდათ.

49. VIII, 23,1: „ასმათი მარტო ზის, არ ბარგოსანი“ კნ და დგ-ათა შიულდებელია. „ბარგოსნობის“ და „მარტოობის“ დაპირის-პირება არ კერძდება. უნდა იყოს „არ მაგოსანი“ „მაგ“-ი = ცალი მეორე რამ: ორმაგი, მაგ-იერ-ი, მაგ-რა-მ(ე).

50. VIII, 34,2: კნ და დგ-ათა „აბჯარსა“ გაუგებრობაა. უნდა იყოს „აბჯარი“. კილიბანზედ წარწერით: ჯაჰვე-მუზარადი, აღმასი-კრმალი, ფოლადის მჭრელი, იყო იქ. და როდესაც ტარიელმა და ავთანდილმა გაშოსცადეს იგინი, ნახეს, რომ მართლაც მათ ვერავითარი სხვა აბჯარი ვერას აენებდა დაკვირთ, ხოლო კრმალი რკინას სჭრიდა ვით ბაშის კელს.

51. VIII, 41,2-3: კნ და დგ-ათა: „კმა შეიქმნა, შეიყარნეს“ შეცდომით არის განმეორებული სტრ. 40,4-ითგან. ჩვენი კონიექტურაა: „ყმანი შესხდეს, შეიჯარნეს“ კონტექსტის მიხედვით.

52. VIII, 71,3: „თავსა მით უყვეს რიალი“, „თავსა“ არ ნიშნავს აქ „თავის-თავს“, არამედ თავს დაატეხეს ქალაქს უბედურება.

53. VIII, 72,4: კნ და დგ-ათა „სიკრეხე“, „სიხარკე“, სიხარკე“ ყოვლად მიუღებელია. უნდა იყოს „სიკრეფე“ = შეკრება. აზრიც ნათელი კდება ამ სიტყვით მთელი ტაეპისა: გმირები რომ ქალაქს შეიჭრენ, ციხის დამცველი მეომრები ციხეს შეიკრიბენ (მის დასაცველად). შეად. IV, 19,4 „მის ყმასა მოსელა უხარის ყოველსა მუნ მეკრეფესა“.

54. VIII, 79,3: ნიშნავს: მათ არ უმძიმდათ, რომ აბჯარი გარს შემოირტყეს. (შეადარეთ III, 249,4; სჭირდა = უმძიმდა, იმავე II/, 7,3: არა სჭირს = არ ეძნელება, არ უმძიმს, მეორე მნიშვნელობა: „სჭირს“ — დაპართებული აქვს).

55. VIII, 81,2: „სამი-ათასსა (აქლემსა და ჯორს) აჰკიდეს (საჭურქლე), მარგალიტი და თვალები“ შეუძლებელია, — ფანტასტიური რიცხვი ტვირთ-აკიდებულ პირუტყვთა და თვით ანაკიდი სიმდიდრისა. უნდა ყოფილიყო „სამ-ოც-და-ათსა“, ესეც საკმარისი იქმნებოდა დიდი საჭურქლის წამოღებისათვის, რომელიც ტარიელმა ფატმანს უძღვნა, ხოლო ქაჯათა მთელი სამეფო და „დანადები“, რომელიც ქაჯეთს დარჩა, ტარიელმა ზღვათა მეფეს დაუტოვა.

56. VIII, 88,2: „არ სიდიადე სათისა“ ცუდათ წაკითხულია და ამიტომ ასწორებენ: „არს სიდიადე სათისა“. „თვალ-მარგალიტთა, სათისა“. ნამდვილად კი უნდა წაევიკითხოთ „ფსათისა“ (ბერძ. ფსიათიონ ფსიათოს = ჭილოფი, ჭილოფის საგები, მატრაცი); ზღვათა მეფემ დიდი რიცხვი „ტურფათა“ წაიღო, არა ჭილოფის (საგებელთა) სიდიადე.

57. VIII, 99,2: ბაგენი, (წითელი) სადაფის მსგავსნი, რომელნიც კბილთ „მოასადაფებენ“ = ჰფარავენ, იცავენ სადაფსავით.

58. VIII, 106,2: „ასრე განვიცხადნე გონებანი დაფარულნი“ (არა „განაცხადა“ და სხვ. და არა „განგებამან“, „გონებამან, კნ და დგ-თა, რაიცა გაუგებრად ჰყოფს ტაეპს). აქ უბრალო გამოთქმაა: ბოლოს ასე (უნდა) გითხრა ჩემი იღუმალი გონება (აზრი,ფიქრი): ოღონდ მზიარული განხო და სიკვდილიც სიკიცხლედ მიმანიაო, ეუბნება ასმათი ნესტან-დარეჯანს. — შეად. გამოთქმა ნესტან-დარეჯანისა: VII, 199,4—200,1: გავიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან, — შენმამ მზემან, აქა-

ნამდის შენ ცოცხალი არ მეგონე“, სწერს ნესტან-დარეჯანი ტარიელს, ე. ი. ჩემმა იღუმალმა გონებამ (ფიქრმა) ვაგიცხადა დაძალული (= ძოკლედ: მართალი გითხრა), — შენმა მზემ, აქამდე მე შენ ცოცხალი არ მეგონეო.

59. VIII, 152,2: უნ და დგ-ათა „დანაზებავთა“ ძლიერ კელოვნური ფორმა და „დასანაზებელიც“ არაფერი ჰქონდა ავთანდილს. უნდა იყოს „დანავებავთა“, — დანავებავთა = დანავებულთა, ან ნავებათა = ვაეებით თქმულთა.

60. VIII, 178,1: ასე ვასწორებთ ჩვენ ამ ტაევს. წინა სტროფებში სწერია: „შევიდა მეფე ინდოთა“; „თინათინ ზედა აწვივა (ტარიელი) (არა აწვივნა ტარიელი და ნესტან-დარეჯანი) ტახტს მეფეთა“; „მე, ლომი ლომთა დაგისვა გვერცა შენ მზესა-მზეთასა“. აქეთგან ნათლად სჩანს, რომ ტარიელმა მოჰკიდა კელი თინათინს და დასვა ტახტსა მისსა და დაუსვა გვერდს ავთანდილს. ამას იგი ავთანდილს ჰპირდებოდა და ამისთვის მოვიდა არაბეთს. ნესტან-დარეჯანის მონაწილეობა აქ შემავსებელთა მოგონილი ამბავია

61. VIII, 182,3: „კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს, ან „კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს“ ყოვლად მიუღებელია. უნდა იყოს „კრავნი ცხვართა ვეფხსა სწოვდეს“. — ისეთი სიწყნარე იყო ტარიელის და ნესტან-დარეჯანის სამეფოში, სადაც თხა და მგელიც ერთად ძოვდენ, (შეად. „ისტორიანი და აზმანი“: „ერთგან ძოვდეს ლომი და კარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა და მგელი ცხვართა თანა“.) (შეად. ესაია, 11, 6—7). ასეთი სიწყნარე იყო ისტორიკოსის თქმით თამარის საქართველოშიც გიორგი რუსის საბოლოოდ განდევნის შემდეგ.

## გოლო-სიტყვა

ეს „ვ.ტ.“ უკვე სტამბაში იყო და იბეჭდებოდა, როდესაც შეძლება მომეცა წამეკითხა ორი ნაკვეთი „ვეფხისტყაოსნის ხელთნაწერთა ვარიანტები“-სა (გამ. საქ. მეც. აკადემიისა. თბილისი, 1960, 1961). ამიტომ ზოგიერთი ვარიანტი, ამ კელთნაწერებითგან ამოღებული, ვეღარ მოხერხდა რომ აღმენიშნა კრიტიკულ აპპარატში.

როდესაც ვ.ტ.-ის კელთნაწერთა ვარიანტებს ვკითხულობთ, ვხედავთ, თუ რა დღე დადგომია „ვ. ტ.“-ის ტექსტს, ისედაც მართლსაჩინოდ ძლიერ დაზიანებულს მონდოლთა ამოკრებელი შემოსევების დროს, შემდეგ საუკუნოებში ჩამრთველთა, განმგრძობთა და გადამწერთაგან, „მუშრობთაგან“. შეუძლებელი არ არის, რომ ვახტანგს ჰქონებოდა უკეთესი კელთნაწერები, როდესაც მან თავისი „ვ.ტ.“-ი დაამზადა გამოსაცემად. მაგრამ, უეჭველია, მის დიდ კრიტიკულ ნიჭს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ მან „ვ.ტ.“-ი მოგვცა იმ სახით, რომლითაც იგი ჩვენ გვაქვს მის გამოცემაში, — უმეტეს შემთხვევაში მისაღები ვარიანტებით, თავისუფალი დანართთაგან და უმეტეს ნაწილ ჩ ა ნ ა რ თ ა ვ ა ნ . ხოლო სხვა რამ არის ის უძველესი ჩანართები, რომელიც მე მესხი-მოლექსისად მიმაჩნია. ეს ჩანართები ყველა ვახტანგის გამოცემაში. რასაკვირველია, ვახტანგს ის რუსთველისად მიაჩნდა, რათგანაც რუსთველისებური შევნიერი ლექსით არის დაწერილი და კარგი კელოვნებით ჩაქსოვილი რუსთველის ტექსტში. მესხი - მელექსის გამოყოფა რუსთველისაგან ადვილი საქმე არ არის, და თუ მე ეს გავბედე, მხოლოდ ვითარცა წინადადება.

ჩემი მიზანი იყო ჩანართები „ვ.ტ.“-თან ერთად გამომეცა, მაგრამ სამწუხაროდ ეს არ მოხერხდა ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზით და კელ-მოკლეობის გამო. შემდეგ შეიძლება ისიც გამოიცეს უკეთეს პირობებში. (სურვილი შესრულებულია. გამომცემელი).

დასასრულ, უღრმეს მადლობას ვუძღვნი ყველას, ვინც ამ „ვ. ტ.“-ის გამოცემას რაიმენაირად კელი შეუწყო, — განსაკუთრებით ჩემ საიუბილეო კომიტეტს, ფულის შემომწირველთ და სხვ., ხოლო უმეტეს ყოველთა ჩემს ძვირფას მეგობარს კ. ხალიას, რომლის დაუღალავი დეველის გარეშე ეს „ვ. ტ.“-ი ვეროდეს გამოიცემოდა.

## მ. წაჩეთელი.

მკნხენი, აგვისტო 1962.

ჩ ა ბ ა რ თ ი

ჩ ა ნ ა რ თ ი

(მ ი ძ ლ ვ ნ ა: 1—2; აბ. II—VII; აკლია G-ს).

- 1 ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა, -- შენ ღამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა, მოამეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიდმდე ვასატანისა,<sup>1</sup> ცოდვათა შესუბუჟება, მუნ თაია-წასატანისა.<sup>1</sup>
- 2 ვის ჰშვენის, ლომსა, კმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა, მფეისა მზის თამარისა, ლაწვე-ბადახშ, თმა-გიშერისა, მას არა ვიცი შევჰკადრო<sup>2</sup> შესხმა ხოტბისა მე<sup>3</sup> რისა,<sup>3</sup> ვისთა<sup>4</sup> მჰკვრეტელთა ყანდისა<sup>5</sup> მირთმა ჰკამს მართ მის<sup>6</sup> ფერისა.<sup>6</sup>
- 3 თამარს ვაქებდე<sup>7</sup> მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული, ვთქვენ<sup>8</sup> ქებანი ვისნი<sup>9</sup> მე<sup>9</sup> არ ავად გამორჩეული. მელნად ვინმარე გიშრის ტბა და<sup>10</sup> კალმად<sup>10</sup> მე ნა<sup>10</sup> რხეული. — ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.
- 4 მიბრძანეს მათად<sup>11</sup> საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა, ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა, ბროლ-ბადახშისა თლილისა მის,<sup>12</sup> მიჯრით მიწყობილისა, გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა<sup>13</sup> ლბილისა!<sup>13</sup>
- 5 აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და კელოვანება. ძალი მომეც და, — შეწვენა შენგან მაქვს, — მივეს გონება! — მით შევეწიენეთ ტარეილს, ტურფადცა უნდა ქსენება! — მათ სამთა გამირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება.
- 6 მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი.<sup>14</sup> მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი! დავჯე, — რუსთველმან გავლექსე, — მისთვის გულს ლახვარ-  
[სობილი, —  
აქამდის ამბათ ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

\*= გვიანდელი ჩანართი. 1. გ/წასატანისა—გ/წასატანისად. 2. ინგ. რუსთვ. I, გვერ. 109 შევემართო. 3. ვახტ. ხშირისა; C და H შერისა, (შეად. კაკ<sup>2</sup> 3,3 და ჭიქ. 3,3); აბ. III, 3 შე(,—) რისა. 4. ასე C; სხვა კნ და ღვ მისთა. 5. C-ყანისა (?!). 6. ვახტ. D და H მშიერისა (?); C მიშერისა (შეად. ღვ): ინგ. იქვე: მისთა მჰკვრეტელთა შამსისა ნიშნად სთქვეს, ეტლად შერისა(?!). 7. ასე ინგ. იქვე; სხვა ღვ და კნ ვაქებდეთ. 8. ასე ინგ იქვე; სხვა ღვ და კნ ვთქვენით. 9. აბ IV, 2 და კაკ<sup>2</sup> 4,2 ვისნიმე (?).

10. კაკ<sup>2</sup> 4,3 და ქიქ. 4,3 და კალმად მინა; ინგ იქვე კალმად მე ნაი.  
 11. კნ და დგ მათდა; (ინგ ვ. ტ. 5,1 მათად). 12. კნ და დგ მით(?); 13.  
 აბ V, 4 სიტყვისა (?); 14. ასე კნ და დგ!

2.

(მიძღვნა: 3—4; აბ X—XVII)

- 1 თვალთა მისგან უნათლოთა უნატრამცა ახლად ჩენა!  
 აჰა გული გამიჯნურდა, მიჰხედომია ველთა რბენა!  
 მიაჯეთ ვინ, კორცთა დაწვც<sup>2</sup> კმა<sup>3</sup> არს,<sup>3</sup> მისცეს სულთა ღებენა. —  
 სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ლეენა!<sup>4</sup> —
- 2\* რაცა ვის<sup>5</sup> რა<sup>5</sup> ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უმნობდეს,<sup>6</sup> —  
 მუშა მიწყვი მუშაკობდეს,<sup>7</sup> მეომარი გულოვნობდეს.  
 კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს.  
 არცა ვისგან დაიწუნოს,<sup>8</sup> არცა სხვათა უწუნობდეს.
- 3 შაირობა პირველადვე სიბრძნისა ერთი დარგი:  
 საღმრთო — საღმრთოდ გასავონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,  
 კვლა აქაცა ეამების ვინცა ისმენს კაცი ვარგი. —  
 გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.
- 4 ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,  
 მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,  
 მართ აგრეთვე მელექსესა<sup>9</sup> ლექსთა<sup>10</sup> გრძელთა<sup>10</sup> თქმა და კევა,<sup>10</sup>—  
 არ<sup>11</sup> მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.
- 5\* მაშინლა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,  
 რა ველარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა! —  
 არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,  
 კელ-მარჯვედ სცემდეს ჩოვანსა, იკმაროს დიდი გმირობა!
- 6\* მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე<sup>12</sup> თქვას ერთი ორი.  
 თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი,  
 განაღა თქვას ერთი ორი, უმსგავსო და შორი-შორი,  
 მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო!“ — უცილობლობს ვითა ჯორი.

- 7 მეორე ლექსი, ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა, —  
არ ძალ-უც<sup>13</sup> სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასავმირეთა, —  
ვაძსგავსე მშვილდსა<sup>14</sup> ბედითსა<sup>14</sup> ყმაწვილთა მონადირეთა, —  
დიდსა ვერ მოჰკლევინ, კელად აქვს კოცა ნადირთა მცირეთა.
- 8\* მესამე<sup>15</sup> ლექსი<sup>15</sup> კარგი არს<sup>15</sup> სანადიმოდ,<sup>16</sup> სამღერეულად,  
სააშოკოდ,<sup>17</sup> სალალობოდ,<sup>18</sup> ამხანაგთა სათრეველად.<sup>19</sup>  
ჩვენ მათიცა გვეამების<sup>20</sup> რაცა ოდენ თქვან ნათელად. —  
მოშაირე არა ჰქვიან ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

G ენატროსცა; სხვა კნ და დგ ენატრამცა. 2. ინგ. იქვე: დაწ-  
ვად. (შეად. ვ. ტ. 10,3). 3. ვარ. კმარის. 4. აბ X,4 და ინგ იქვე ვლენა(?).  
5. C, D და G ვისცა. 6. კნ და დგ უბნობდეს (?). 7. უგ 11,2 მუშაობდეს  
8. აბ. 11,4 და ჭიკ. 114, (შეად. მარრი ტექსტი ი რაზ. XII) დაეწუნოს.  
9. ვარ. მელექსეთა. 10. C, D. და G საუბართა ტკბილთა ფრქვევა.  
(შეად. ზოგი დგ.); H საუბართა ტკბილად ფრქვევა (კევა = კმევა).  
11. კნ და დგ რა(?). 12 ასე ვახტ. C და D ვინმე (შეად. ზოგი დგ). 13.  
ძალ-უც = ძალ-უძს. 14. კნ და დგ მშვილდი ბედიითი. 15. ინგ. იქვე,  
არს მესამე ლექსი კარგი. 16. ინგ. იქვე სანადიმო (შეად ვ. ტ. 17,1)  
17. ინგ. იქვე: სააშოკო (შეად. ვ. ტ. 17,2). 18. ინგ. იქვე სალალობო  
(შეად. ვ. ტ. 17,2). 19. ინგ. იქვე სათრეველად (შეად. ვ. ტ. 17,2); შანი-  
ძე, ძე. ქარ. ენა და ლიტ. გვ. 116,8 სათრეველად. 20. ასე შანიძე, იქვე;  
სხვა დგ და კნ გვიამების. \* = გვიანდელი ჩანართი.

### 3

(მიძღვნის დასასრულის შემდეგ; აბ XX —

[— XXXI

- 1 ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,  
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა.  
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა.  
ვინცა ეცდების, თმობამცა<sup>1</sup> ჰქონდა<sup>2</sup> მრავალთა წყენათა!
- 2 მას ერთსა მიჯნურობასა ჰქვიანნი ვერ მიჰხედებიან.  
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა<sup>3</sup> დავალდებიან. —  
ვთქვენ<sup>4</sup> ზელობანი ქვენანი, რომელნი კორცთა ჰხედებიან.  
მართ მასეე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან.
- 3 მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა<sup>5</sup> ენითა,  
მიო, რომე შმაგობს მისისა ვერ მიხედომისა წყენითა. —

‘ზოგსა’<sup>6</sup> აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა, კელა ზოგსა<sup>6</sup> ქვე-უც ბუნება კეკლუცთა ზედან<sup>7</sup> ფრფენითა.<sup>8</sup>

- 4 მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვითა მზეობა, სიბრძნე, სიმდიდრე,<sup>9</sup> სიუხვე, სიყმე და მოცალეობა, ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა. — ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.
- 5 მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი. მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი. იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი. ნუენ გარეეთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი.
- 6 კამს მიჯნური ხანიერი, არ მსიძავი,<sup>10</sup> ბილწი, მრუში. რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთ-თქემა, უში. გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხედეს, თუნდა ქუში. — მძულს უგულოდ სიყვარული, ხვეენა-კოცნა, მტლაშა-მტლუში!
- 7 ამა საქმესა მიჯნური<sup>11</sup> ნუ უკმობს<sup>11</sup> მიჯნურობასა, — დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა ღმობასა!<sup>12</sup> ესე მღერასა ბედითსა ჰგავს ვაჟთა, ყმაწვილობასა! კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.
- 8 არს პირველი მიჯნურობის<sup>13</sup> არ დაჩენა, ჭირთა მალვა, თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგცა<sup>14</sup> ჰქონდეს<sup>14</sup> ხალვა, შორით ბნელა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა, დასთმოს წყრომა მეფეთავან,<sup>15</sup> მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.
- 9 კამს თავისა ხვაშიადას არვისთანა ამჟღავნებდეს, არ ბედითად „ჰაის“<sup>16</sup> ჰზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს, არსით უჩნდეს მიჯნურობა, არა-სადა იფერებდეს, მისთვის ჭირი ღზინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიღებდეს.
- 10\* მას უშმაგო<sup>17</sup> ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჟღავნოს?! ამის მეტი რამცა ირგო,<sup>18</sup> — მას ავნოს და თვითცა ივნოს! რათამცალა<sup>19</sup> ასახელა,<sup>20</sup> რა<sup>21</sup> სიტყვითა მოაყივნოს?! — რა გავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკივნოს! —

11\* მიკვირს, კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა?  
ვისცა<sup>22</sup> უყვარს, რად აყიენებს მისთვის მკედარსა, მისთვის  
[წყლულსა?! —  
თუ: არ უყვარს, რადალა<sup>23</sup> სძულს და<sup>24</sup> აყიენებს რაცა სძულსა?! —  
აესა კაცსა ავი სიტყვა ურჩენია სულსა გულსა!

12 თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, — ტირილსა ემართლების.  
სიარული, მარტობა ჰშვენის, გაჭრად დაეთვლების,  
ივონებდეს, მისგან კიდე ნურად<sup>25</sup> ოდეს<sup>25</sup> მოეცლების.<sup>26</sup>  
არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცთა ეახლების.<sup>27</sup>

1. F და G თმობაცა. 2. A და ვახტ. ქონდეს. 3. G ყურნიმცა (?). 4. ასე C და G; სხვა კნ და ღვ ვთქვენ. 5. ასე C და D (შეად. ღვ); სხვა კნ არა-ბულისა (?). 6. კნ და ღვ ზოგთა. 7. F წაღმა (?!). 8. F ფრენითა (?!). 9. F სიმდაბლე (შეად. ღვ). 10. კნ და ღვ მეძავი. —. G და ვახტ. მიჯნურნი ნუ უკმობთ. 12. ასე მარრი. „ტექსტი ი რაზ“ XII (შეად. ინგ. 26,2). სხვა ღვ და კნ თმობასა. 13. კნ და ღვ მიჯნურობა (?). 14. კნ და ღვ ნიადაგმცა (შეად. აბ. XVII,2 ნიადაგმცა ჰქონდა). 15. ასე A და ვახტ.; სხვა კნ და ღვ მოყვრისაგან (!). 16. კაკ.<sup>2</sup> 30,2 ჰაჰ-ჰაჰ; სხვა ღვ და კნ ჰაი. 17. F უმოყვრო (?). 18. F ირგოს(?). 19 C და D რათამგლა. 20 G და ვახტ. ასახელოს. 21. F არ (?). 22. კნ და ღვ ვინცა (?). 23. კნ და ღვ რად არა(?!); ინგ. იქვე (რუსთვ.); რათაღა(?). (შეად ვ. ტ. 30,3). 24. კნ და ღვ რად(?). 25. ვარ. ნურაოდეს. 26. F მოსცილდების. 27. კნ და ღვ იახლების(?). \* = გვიანდელი ჩანართი.

#### 4\*

(I: 11 — 12; აბ 12; აკლია ვახტ.-ს).

არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან:  
„თინათინ ჩემი კელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან.  
მან განანათლნეს ყოველნი ვით მზემან მანათობელმან!  
მოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან.“\*

\* = გვიანდელი ჩანართი.

#### 5

(I: 17 — 18; აბ 19).

„მეფეთა შიგან სიუხვე ვით ედემს ალვა რგულია.  
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, — იგიცა, ვინ ორგულია.

სმა-ჟამა, — დიდათ შესარგი, — დება რა სავარგულია.  
რასაცა ვასცემ, შენია, არცა<sup>1</sup> რა<sup>1</sup> დაკარგულია!“

1. მარბ მ ბრიერ, ლა ლანგ ჟეორჟიენ, გვ. 592, XI 0, რასც, უგ. 50,4  
რას; სხვა, დგ და კნ რაც (?).

6

(I: 19 — 20; აბ 22).

მას დღეს ვასცემს ყველაკასა სივაჟისა მოგებულსა,  
რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა.  
მერმე ბრძანა: „ვიქმ საქმესა მამისაგან სწავლებულსა:  
ჩემსა ნუეინ ნუ დამალავს<sup>1</sup> საქურჭლესა დადებულსა.“

1. C, G და ვახტ. დამალავთ.

7\*

(I: 22 — 23; აბ 25<sup>1</sup> — 25<sup>2</sup>; აკლია G-ს).

- 1 თავსა ზის პირ-მზე აეთანდილ, მჭერეტთაგან მოსანდომია.  
საათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია.  
ვაზირი, ბერი სოგრატი, თვით მასთანავე მჯდომია.  
თქვეს თუ: „რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰკროთომია?“
- 2 თქვეს თუ: „მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა,  
თვარა აქა სამძიმარი მათი ყოლა არა ქმნილა!“  
აეთანდილ თქვა: „სოგრატ, ვჰკითხოთ, გვითხრას<sup>1</sup> რასმცა<sup>2</sup> შეგ-  
[ვეცილა,  
ვჰკადროთ რამე სალალობო, რასათვისმცა გავგვაწილა!“

1. კაკ<sup>2</sup> 27,3 გვითხრობს. 2. კაკ<sup>2</sup> 27,3 და ინგ 58,3 რამცა; აბ 25<sup>2</sup>,3 და  
უგ 58,3 რაცა; შან. რადმცა. — \* = გვიანდელი ჩანართი.

8\*

(I: 24 — 25; აბ 27<sup>1</sup>; აკლია G-ს).

რა მეფემან მოისმინა, გაცინებით შემოჰხედნა.  
გაუკვირდა ვით მკადრაო, ან სიტყვანი ვით გაბედნა.

„კარგად ჰქმენო,“ დაუმაღლა, ბრძანებანი<sup>1</sup> უიმედნა:  
„ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუელს, ვინცა დაიყუდნა!“

1. უგ 61,3 წყალობანი (?). \* გვიანდელი ჩანართი.

9\*

[ I: 27 — 28; აბ 30<sup>1</sup> — 30<sup>2</sup>; შეად. მარრი, „მ. ტ.-ი“ (რუს), პეტ-  
როგრადი 1917, გვ. 434 და შემდ.; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XXIX და შემდ.].

1 კვლა უბრძანა: „თაესა ჩემსა, რას იცინი, „რა<sup>1</sup> დამგმეო?“  
ყმამან ჰკადრა: „მოგაკსენებ და ფარმანი მიბოძეო, —  
რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გარისხდე, არ გაწყერეო,  
არ გამკვადო კადნიერი, არ ამიკლო ამაზეო.“<sup>2</sup>

2 უბრძანა: „რასმცა ვიწყინე<sup>3</sup> თქმა შენგან საწყინარისა!“  
ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა.  
ავთანდილ იტყვის: „დავიწყო კადრებად<sup>4</sup> საუბნარისა:  
ნუ მოჰკეცხ<sup>5</sup> მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა.“

1. უგ 65,1 რად. 2. C, D და G ამადზეო; უგ 65,4 ამათზეო. 3. კნ და  
დგ რადმცა (რასმცა = რაჲსამცა). 4. კნ და დგ კადრება. 5. კაკ<sup>2</sup> 35,4  
მაკეცხ. — \* = გვიანდელი ჩანართი.

10\*

( I: 30 — 31; აბ 33<sup>1</sup> და 34\*; შეად. ა. სარაჯიშვილი, „მოამბე“  
12—4, გვ 1 და შემდ. თბილისი 1895; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XXX).

1 კვლა ბრძანა: „მონა თორმეტი შეესხათ ჩვენთანა მარებლად,  
თორმეტი ჩვენად<sup>1</sup> ისრისა მომრთმეველად, მოსაკმარებლად. —  
ერთაი შენი შერმადინ არს მათად დასადარებლად. —  
ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდენ უტყუერად, მიუმცდარებლად.“

2 მონადირეთა უბრძანა: „მინდორნი მოიარენით,  
დასცევით ჯოგი ნადირთა,<sup>3</sup> თაენი ამისთვის არენით.“  
ლაშქარნი სამზოდ აწვიენეს: „მოღით და მოიჯარენით,  
გაეყარნეთ<sup>4</sup> სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გაეიხარენით.“

1. ასე ინგ.. 70,2; აბ 33<sup>1</sup>,2 და კაკ<sup>2</sup> 40,2 ჩემად; უგ 70,2 ჩვენდა. 2. კაკ<sup>2</sup> 41,1  
მინდორი. 3. ასე უგ 71,2; აბ 34\* მრავალი. 4. ჭიქ 74,4 ვაჰყარეთ; სხვა,  
დგ და კნ ვა(ჰ)ყარეს. — \* = გვიანდელი ჩანართი.

11

(I: 32 — 33; აბ 37; შეად. ინგ. რუსთავ. I, გვ. 74 და შემდ.).

უბრძანა: „მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა<sup>1</sup> ვლიდითა, შშვილდსა ფიცხელსა მოგვეცემდით, ისარსა მოგვართმიდითა, ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა.“ — დაიწყო მოსვლა ნადირმან ყოვლგნით,<sup>2</sup> მინდორთა<sup>2</sup> კილითა.

1. ასე ინგ 74,1; აბ 37,1 ჩემთანა. 2. კაკ<sup>1</sup> 44,4 და უგ 74,4 ყოვლთა მინდორთა(?).

12

(I: 34 — 35; აბ 40; შეად. ინგ. რუსთავ. I, გვ. 76 და შემდ.).

იგი ველი გაირბინეს, ჯოგი წინა შემოიხსნეს, დაკოცეს და ამოწყვიდეს, ცათა ღმერთი შეარისხნეს, ველნი წითლად შეელეზნეს, ნადირთაგან სისხლი ისხეს. — ავთანდილის შემხედველთა, — „ჰგავსო<sup>1</sup> ალვას<sup>1</sup> ედემის ხეს!“

1. რუსთავ. ჰგავს ალვაა. (შეად. „ვ.ტ.“ 77,4). 2. ასე ინგ და აბ 40,4.

13

(I: 35 — 36; აბ 42 — 46; შეად. ინგ. რუსთავ. I, გვ. 78 — 85).

- 1 ერთმანერთსა თუ: „მე გჯობო“, სიცილით ეუბნებოდეს, ამხანავობდეს, ლალობდეს იქათ და აქათ დგებოდეს. მერმე მოვიდეს მონანი, რომე<sup>1</sup> მათ<sup>1</sup> თანა<sup>1</sup>; — ჰყვებოდეს. უბრძანა: „თქვითო მართალი, ჩვენ თქვენგან არ გვეთნებოდეს.“
- 2 მონათა ჰკადრეს: „მართალსა გკადრებთ და ნუ გემცდარებით მეფეო, ყოლა ვერ ვიტყვით შენსა მაგისა დარებით. აწვევა დაგვეკოც, ვერა ჰგავ, — ვერად ვერ მოგვეკმარებით, — ვისგან<sup>2</sup> ნაკრავნი გვინახვან<sup>3</sup> მკეცნი ვერ-წალმა-წარებით.
- 3 ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ათჯერ<sup>4</sup> ოცია. მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუკოცია. არ დასცდომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყორცია. თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი დაგვიკოცია.“
- 4 მეფესა ესე ამბავი უჩნს<sup>5</sup> ვითა<sup>5</sup> მღერა ნარდისა, უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა.

აქვს მიჯნურობა იმისი\* ვითა ბულბულსა ვარდისა.  
სიცილით ლაღობს, მიეცა გულით ამოსლვა დარდისა.

- 5 იგი ორნივე საგრილად გარდაკდეს ძირსა ხეთასა.  
ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოდგეს უფროსი ბზეთასა.  
ახლოს უთქს<sup>8</sup> მონა თორმეტი, უმკნესი<sup>9</sup> სხვათა მკნეთასა.  
თამაშობდეს და უჭკრეტდეს წყალსა და პირსა ტყეთასა.<sup>10</sup>

1. უგ. 79,3 რომელნი უკან. 2. ჭიჭ. 83,4 მისგან. 3. ჭიჭ. 83,4 გვინახავნ.  
4. ასე ინგ. 81,1; სხვა დგ და კნ ასჯერ(?) 5. კაკ<sup>2</sup> 52,1 უჩანს ვით.  
6. ვარ. ამისი. 7. ვარ. უფროსნი. 8. უთქს=უდგს. 9. C, D და I უმკნესნი.  
10. ასე C, D და F; G და I კლდეთასა (შეად. აბ 46,4; ვახტ. კვეთასა).

14

(I: 39 — 40; აბ 51).

მის მონისა არა ესმა სიტყვა, არცა ნაუბარი.  
მათ ლაშქართა ზახილისა იყო ერთობ უგრძნობარი.  
უცხოოდ რადმე<sup>1</sup> ამოსკვნოდა<sup>2</sup> გული ცეცხლთა ნადებარი.  
ცრემლსა<sup>3</sup> სისხლი ერეოდა, გასდის ვითა ნაგუბარი.

1. ასე F; I რასმე; C, და G და ვახტ. რამე. 2. I ამოსკვნია(?). 3. I ცრემლთა.

15\*

(I: 51 — 52; აბ 62<sup>1</sup>; აკლია K-ს).

მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დაღრეჯილი.  
მისგან კიდე არეინ შეჰყვა, — აეთანდილ უჩნს ვითა შვილი.  
ყვალაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ დაჯრილი.  
ვაბედიოდა სიხარული, ჩალანა და ჩანგი ტკბილი.

\* = გვიანდელი ჩანართი.

16\*\*

(I: 60 — 61; ჭიჭ. 115; აკლია ვახტ.-ს).

„აწ ესე მიკვირს, რა იყო, ანუ რა ვნახე და რული!  
მან დამიკოცა ლაშქარი, სისხლი ადინა ღვარული.  
კაცად კორცისად ვით ითქმის ისრე თვალთავან ფარული!  
უცილოდ ღმერთსა მოვსძულდი აქამდის მე მხიარული.“

\*\* = ძლიერ გვიანდელი ჩანართი.

17\*

(I: 63—64; აბ 73<sup>1</sup>; შეად. აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XXX და შემდ.; აკლია ვახტ.)

„თუ ყოფილა იგი მოყმე კორციელი, კმელთა მელელად,  
მას ნახეიდა სხვაცა ვინმე, — გამოჩნდების მასწავლელად.  
თვარა ეშმა გჩვენებია ღვინთა შენთა შესაცვლელად!<sup>1</sup> —  
სეღდისაგან მოიცალე, რად შექმნილხარ მოუცლელად?<sup>2</sup>

1. ასე F; ვარ შემცვლელ - მშლელად, შეცამშლელად. 2. ვარ. მოულ-  
ხელნად. — \*გვიანდელი ჩანართი.

18

(I 65 — 66; აბ 76<sup>1</sup>—76<sup>2</sup>; შეად. სბ „მ.ტ.“ -ი გვ. XXX და შემდ.).

1. მონათა ჰკადრეს: „მეფეო, ჩვენ კმელნი მოვიარენით,  
მაგრა ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა გავიხარენით,  
მისსა მნახესა სულთ-დგმულსა კაცსა ვერ შევეყარენით! —  
ჩვენ ვერ-რა გარგეთ, ღონენი<sup>1</sup> სხვანი რა მოიგვარენით.“
2. მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო:  
ვნახე რამე ეშმაკისა სიცრუე<sup>2</sup> და<sup>2</sup> სიბილწეო,  
ჩემად მტერად წამოსრული, გადმოჭრილი ზეცით ზეო!  
გამიშვია შეჭირვება, არა მგამა ყოლა მეო!“
3. ესე თქვა და სიხარულით თამაშობა ადიოდა.  
მგოსანი და მუშაითი უკმეს. პოვეს რაცა სადა.  
ღია გასცა საბოძვარი, ყველა დარბაზს შემოკადა. —  
მისი მსგავსი სიტხვითა ღმერთმან სხვამცა რა დაბადა!

1. კნ და დგ საქმენი. 2. ასე F, C, I და ვახტ სიკუდე და; G სიმატუტრე.

19\*

(I: 70—71; ქიქ. 132.—133; აბ 81<sup>1</sup> და გვერდი XXXII; აკლია ვახტ.-ს).

1. ქალმან უბრძანა: „ზარი მღევს მე ამისისა თხრობისა!  
მწაღდა არა თქმა რომლისა ღონე არა მაქვს თმობისა,  
მაგრა იცია მიზეზი შენისა აქა კმობისა, —  
რად ვზი ქუშად და დაღრეჯით, ასრე მიკდილი ცნობისა?“
2. ყმამან ჰკადრა: „სააზროსა<sup>1</sup> ჩემგან თქმა-ლა ვით იქმნების?  
მზესა მთვარე შეეყაროს,<sup>2</sup> დაილევის, დაცაქნების.

აზრად არად აღარა მცალს, თავი ჩემი მეგონების.  
თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა გეკურნების.“

1. კნ და დგ საზაროსა(?). 2. F მოეშოროს(?) — \* = გვიანდელი ჩანართი.

20

(I: 77—78; აბ 881; შეად აბ „მ.ტ.“-ი გვ VIII და XXXIII, აკლ G-ბ).

- 1 მოაკუნა ყმამან: „მზეო, ვინ გიშერი აწამწამე,  
სხვა პასუხი რამცა გკადრე, ანუ რამცა შევიწამე!  
მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე!  
ვითა მონა სამსახურად განაღამცა წავე, წა-მე!“
- 2 კვლაცა ჰკადრა: „აჰა, მზეო, რათგან ღმერთმან მზედ დაგბადა,  
მით გმორჩილობს ზეციერი მნათობა რაცა სადა.  
მე რომ თქვენგან მოვისმინენ წყალობანი, — მედიდა.  
ვარდი ჩემი<sup>2</sup> არ დაჰნების, შუქი<sup>3</sup> შენი იეფად ა.“

1. ასე უგ 134,4; სხვა დგ და კნ წავეწამე. 2. F შენი 3. F გული.

21

(I: 78 — 79; აბ 91).

ერთგან დასხდეს ილაღობნეს,<sup>1</sup> საუბარი ასად აგეს,  
ბროლი-ბადაღში შეხვეული და გიშერი ასადაგეს.  
ყმა ეტყვის თუ: „შენთა მჭერეტთა თავი ხელი, ა, სად აგეს!  
ცეცხლთა მადით<sup>2</sup> მოდებულთა გული ჩემი ასადაგეს.

1. კნ და დგ ილაღობნეს. 2. კნ და დგ მანდით.

22\*

(I: 79 — 80; აბ 92<sup>1</sup>; აკლია G-ს).

თქვა: „მზეო, ვარდასა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს აღრე!  
ბროლი დაღალი გასრულვარ ქარვისა უყვითლესად-რე!  
მაშინ რაღა ვქმნა, ვერ-ჰვრეტა რა მომხვდეს კვლა უგრძესად-რე!  
კამს მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამიც<sup>1</sup> წესადრე.“

1. დამიც = დამიძს.

\* = გვიანდელი ჩანართი.

23\*

(I: 85 — 86; აბ 99).

მეფე ყელსა<sup>1</sup> მოეკიდა,<sup>2</sup> გარდაკოცნა ვითა შვილი. —  
სხვა მათებრი არ ყოფილა არ გამზრდელი, არ გაზრდილი! —  
ყმა ადგა და წამოვიდა, მას დღეს<sup>3</sup> მათი ჩანს<sup>4</sup> გაყრილი.  
როსტან მისთვის აატირა ლმობიერი<sup>5</sup> გული, ლბილი.<sup>6</sup>

1. C და G კელსა(?). 2. I მოეხვია. 3. კნ და დგ დღე. 4. შანიძე, ძ. ქ. ე.  
და ლიტ. გვ. 129,13 უჩნს. 5. ასე G; სხვა კნ და დგ გონიერი. 6. G და I  
ტკბილი; C ბილი(?). \* = გვიანდელი ჩანართი.

24\*

(I: 88 — 89; აბ „მ.ტ.“-ი გვ. XXXIII).

ესეა მონა შერმადინ ზემოთცა სახელ-დებული,  
თანა-შეზრდილი, ერთგული და მისთვის თავ-დადებული.  
მან არ იცოდა აქამდის მის ყმისა ცეცხლი დებული.  
აწ განუცხადა სიტყვები მის მზისა იმედებული,

\* = გვიანდელი ჩანართი.

25\*

(I: 89 — 90; აბ 103<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.“-ი გვ. XXXIII; აკლია ვახტ.-ს).

„მოუკლავარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა,  
ტრემლი ცხელი ასოვლებდის ნარგისთავან ვარდსა ზრულსა.  
ვერ ვაჩენდი აქანამდის ჭირსა ჩემგან დაფარულსა.  
აწ მიბრძანა საიმედო, ამად მხედავ მზიარულსა.“

\* = გვიანდელი ჩანართი.

26\*

(I: 108 — 109; აბ 122<sup>1</sup>; აკლია G-ს).

„იგი ველი გაირბინა, ლაშქართავან გაეკიდა.  
ვინმცა ნახა სულიერმან, ანუ ვინმცა გაეკიდა!

ვის შახვილი ვერას აენებს, მისად<sup>1</sup> მკლველად<sup>1</sup> გაეკიდა, —  
ვისგან<sup>2</sup> ტვირთი კაეშნისა ტვირთად მიიმედ<sup>3</sup> გაეკიდა.<sup>4</sup>

1. G და I მისი მკვლეელი (შეად. კაკ<sup>2</sup> 149,3); F მკლავი მისი; სხვა კნ და  
დგ მისი მკლავი. 2. კნ და დგ მისგან. 3. ასე F; C და I ვარგად (შეად. აბ.  
122<sup>1</sup>,4); G ბარგად. 4. F აეკიდა (შეად კაკ<sup>2</sup> 149,4). \* = გვ. ჩანართი.

27\*\*

(I: 109 — 110; აბ 123<sup>1</sup>; აკლია I-ს).

„ღმერთი, ლომო, შენად ნაცვლად სხვასა<sup>1</sup> ვისცა<sup>1</sup> დანერგვიდეს!<sup>14</sup>—  
დარბოდეს და სხვაგნით სხვათა მოამბეთა მოასხმიდეს.

ველარა ცნეს მისი საქმე, გაიარა აქათ კიდეს.

მისნი სპანი გულ-მოკლულნი ცრემლსა ცხელსა გარდმოჰყრიდეს.

1. ასე შანიძე.

\*\* = ძლიერ გვიანდელი ჩანართი.

28

(II: დასაწყისის წინ; აბ 125<sup>1</sup>).

ამ საქმესა შემოწმების დიონოსი<sup>1</sup> ბრძენი,<sup>1</sup> მეზროს:<sup>4</sup>

საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრეილოს, დაცაეზროს,

ვის ბადახში არა ჰგვანდეს და ლერწაში ტანად ეზროს,<sup>2</sup>

იგი სადმე გალარიბდეს, სამყოფთაგან იაბეზროს.

1. D დიონოსი ბრძენი ეზროს (შეად. აბ და სხვ.); C და G დეონოსი  
ბრძენი ეზროს; I დევიანოსი ბრძენი ეზროს; ა. შანიძე: დიავნოზი ბრძენის  
ეზროს. (ჩვენნი მეცნიერება, 8, თბილისი 1924, გვ. 48 და შემდ.) ინგ.  
რუსთვ. I. გვ. 298 მე დივანი ბრძენის ეზროს, (შეად. ვ.ტ. 177,1). —  
(მეზროს = მეაზროს). 2. = ეზაროს.

29

(II: 1 — 2; აბ 127 — 128).

ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა,, დანასა.

მოუნდის გულსა დაცემა ზოგჯერ, — მიჰმართის დანასა.

თქვის: „ჭირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდაათიდან<sup>1</sup> ასა,<sup>1</sup>

მოეშორდი ლხინსა ყველასა, — ჩანგსა, ბარბითსა და ნასა!<sup>4</sup>

- 2 ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო ჰნებოდა.  
გულსა უთხრის<sup>2</sup> თუ: „დათმეო“, ამად არ დია ბნდებოდა. —  
უცხო უცხოთა<sup>3</sup> ადგილთა საქებრად იარებოდა,  
მეზაერთა ჰკითხვიდის<sup>4</sup> ამბავთა, მათ თანა-ემოყვებოდა.
1. კაკ<sup>2</sup> 156,3 და უგ 179,3 ოთხმოცდაათი ანასა(?!); აბ 127,3 ოთხმოც-  
და-ათი-ან-ასა(?!); ინგ. 179,3 ოთხმოცა და ან ასა. 2. I უთხრა თუ; G ეტ-  
ყოლის. 3. I უცხოთა. 4. ვარ. ჰკითხვიდის.

30

(II: 3 — 4; აბ 131).

მიჰხვდა რასმე ქვეყანასა უგემურსა, მეტად მქისსა.  
თვე ერთ კაცსა ვერა<sup>1</sup> ნახავს,<sup>1</sup> ვერას<sup>2</sup> შვილსა ადამისსა. —  
იგი ჰირი არ უნახავს არ<sup>3</sup> რამინს<sup>3</sup> და<sup>3</sup> და არცა ვისსა. —  
დღე და ღამე იგონებდა საყვარელსა მასვე მისსა.

1. I ვერ ნახავდა; G ვერ ნახვიდა. 2. F და I ვერც(?). 3. F რამინსადა.

31\*

(II: 4 — 5; აბ 132<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.-ი“, გვ XVIII; აკლია G-ს)

ზედ წაადგა, შეექცევის, დროთა, დღეთა ანგარიშობს.  
თვენი ესხნეს<sup>1</sup> ორანილა,<sup>1</sup> ამად სულთ-თქვამს, არ<sup>2</sup> თუ<sup>2</sup> იშობს. —  
„ვა, თუ საქმე გამომქლავდეს!“ — კვლა ამისთვის გულ-მოშიშობს:  
„ავესა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს!“

1. F ესხენ ორანილა; I ესხნეს მას ორნილა; ვახტ. ესხნეს ორნილა. 2.  
აბ 132<sup>1</sup> არა; უგ 185,2 და ჰიჰ. 204,2 ამად(?!). \* = გვიანდელი ჩანართი.

32

(II: 7 — 8; აბ 135<sup>1</sup> — 135<sup>4</sup>; აბ „მ.ტ.-ი“ გვერდი XVIII და  
XXXIII და შემდ. აბ 135<sup>1</sup> — აკლია K-ს და F-ს)

- 1\* თავსა უთხრა<sup>1</sup>: „მოჰკვე,<sup>1</sup> გიჯობს<sup>1</sup> სიცოცხლეს აუგიანსა!  
მიხვალ, დაგხვდების თინათინ, — ანათებს დღესა მზიანსა. —  
გკითხოს მის ყმისა<sup>2</sup> ამბავი, რა გმართებს ვაგლაზიანსა?“ —  
იგონებს წამ-წამ, მიჰყვების ტყის პირსა შამზნარ-წყლიანსა.
- 2 იტყვის: „ღმერთო, სამართალნი შენნი ჩემთვის რად ამრუდენ,  
მე ეზომნი სიარულნი კიდე რად, გლახ, გამიცუდენ,

გულით ჩემით სიხარულნი აღუხერგენ, ჭირთა<sup>3</sup> დაუბუდენ?<sup>3</sup>  
დღეთა ჩემთა ცრემლნი\* ჩემნი<sup>4</sup> ვერაოდეს<sup>5</sup> დავიყუდენ!<sup>6</sup>

- 3 კვლაცა იტყვის: „დათმობა სჯობს,“ და თავსავე ეუბნების:  
„დღეთა მეტად ნუ მოკვდები,<sup>7</sup> გული ჩემი ნუ დადნების!  
ულმართოდ ვერას ვერ მივაწევ.“<sup>8</sup> ცრემლი ცუდათ მედინების!  
განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქნების!
- 4 ყოვლნი არსნი ცათ-ქვეშეთნი<sup>9</sup> ერთობ სრულად მომივილიან,  
მაგრა საქმე მის კაცისა ვერა-სადა შემვიანი.<sup>10</sup>  
ულონიოდ მართალ<sup>11</sup> იყენეს, რომელთაცა ქაჯად თქვიან!  
აწ ტირილი არას მარგებს, ცუდად<sup>12</sup> ცრემლნი<sup>12</sup> რასა მდიან!“

1. უგ 191,1 თავს უთხრა: „მოჰკვე, გიჯობსო.“ 2. ვარ. მზისა. 3. ინგ. 189,3 ჭირნი დააბუდენ. 4. F, G და I ცრემლი ჩემი. 5. I ვერა ოდენ. 6. I დავიწყვიდენ. 7. ინგ. 190,2 მოკვდები. 8. F მოვიწევ. 9. ასე C და D; G და I ცასა ქვეშე; F ცათა ქვეშა 10. ასე ვახტ; სხვა კნ შემვიანი. 11 F, G და I მართლად. 12 G და I ცრემლი ცუდად; F ცუდად ცრემლი. —\* = გვიანდელი ჩანართი.

33

(II: 8 — 9; აბ 136<sup>1</sup>)

მთით ჩამოვიდა აეთანდილ, განვლო წყალი და ტყენია,  
მინდორს აცორვებს ტაიჭსა შეეღრენით მონაწყენია.  
გასცუდებოდეს მკლავნი და მისნი სიამაყენია!  
ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყენია.

34

(II: 30 — 31; აბ 158<sup>1</sup> — 158<sup>2</sup>; აბ „მ.ტ.“ გვ. XXIV).

- 1 აეთანდილ იტყვის: „ეზომნი ჭირნიმცა რად ვაცუდენი!  
რაცლად არის, არ<sup>1</sup> არის<sup>1</sup> თუცა<sup>2</sup> არ ედგნეს ბუდენი.  
სადაცა მივა მივიდეს,<sup>3</sup> რაზომც მოვილიდეს ზღუდენი,  
მუნალა<sup>4</sup> ვქებნე ღონენი ჩემნი არ დასამრუდენი.“
- 2 წინა-უკანა იარნეს<sup>5</sup> ორნი დღენი და ლამენი, —  
დღისით და ლამით მაშვრალნი, არ<sup>6</sup> შეჭამადთა<sup>6</sup> მჭამენი.<sup>7</sup>  
არსადა ხანი არ დაყვეს ერთი თვალისა წამენი.  
მათ თვალთა ცრემლნი<sup>8</sup> სდიოდეს<sup>8</sup> მინდორთა მოსალამენი.

1. ვარ. არა არს. 2. C თუმცა, (შეად. ინგ. 217,2). 3 ინგ. 217,3 მიეჭყეები.  
4. C მუნ აღარ(?); სხვა კნ და ღვ მუნიოგან. 5. ასე C; ვარ. იარეს.6.  
C არ საჭამადთა. 7. F და G მჭამელნი. 8. F, G და I ცრემლი სდიოდა.

35\*

(II: 33—34; აბ 162<sup>1</sup>; აბ „მ:ტ.-ი“ XXXIV; აკლია K-ს, ვახტ. და სხე).

ყმამან უთხრა: „დაო ასმათ, კილნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს!  
ველარ მიეხვდით ჟამიერად ჩვენ ვისნიცა<sup>2</sup> ცეცხლი გვწვიდეს!“  
ესე თქვა და მკერდსა კელნი იკრნა, ცრემლნი გარდმოსწვიმდეს.  
ქალი შებნდა, მოეხვია, ერთმანერთსა სისხლი სწმიდეს.

1. კნ და ღვ ასე! 2. ვარ. ვისიცა. \* = გვიანდელი ჩანართი.

36\*

(II: 36 — 37; აბ 165).

მის მოყმისა წესი იყო, მეტსა თუ-რე<sup>1</sup> არ<sup>2</sup> ასრე<sup>2</sup> ჯდა.<sup>2</sup>  
ქალი ტირს და მკერდსა იცემს, თმასა ტევრსა გაიგლეჯდა.  
ერთმანერთსა მოეხვიენეს, აკოცა და ცხენსა შეჯდა.  
ასმათ ისრე<sup>3</sup> დაღრეჯილი, კვლა უფრო-რე დაიღრეჯდა.<sup>4</sup>

1. ვარ. თურემ, თურმე. 2. G... არა იჯდა; F თურემ (მეტსა) არ იაჯ-  
და(?); სხვა კნ არას ეჯდა. 3. F უფრო; I ეგრე; ვარ. აგრე. 4. G ყმა  
შტირალი წამოვიდა, დაღრეჯილი პირსა ღრეჯდა. \* = გვიანდელი ჩა-  
ნართი.

37

(II: 38 — 39; აბ 168).

აწ ამას ჩემთვის ღმრთისაგან სხვა საქმე რა ვამჯობინო!<sup>1</sup> —  
ქალი შევიპყრა, მის ყმისა ამბავი ვამბობინო,  
ჩემიცა ვუთხრა ყველაი, მართალი გავამბობინო.<sup>2</sup>  
მას ყმასა კრმალი არა ეპკრა, არცა<sup>3</sup> მას<sup>3</sup> დავასობინო!<sup>3</sup>

1. C ვაჯობინო (შეად. კაკ.<sup>1</sup> 209,1). 2. C გავაბობინო. 3. კაკ<sup>1</sup> 209,4  
არც მისი დავისობინო.

(II: 43 — 44; აბ 173<sup>1</sup> — 173<sup>3</sup>; აბ „მ.ტ-ი“ გვ. XXXIV და შემდ.  
აბ 173<sup>1</sup> აკლია K-ს).

1\* კვლა ეტყვის: „ყმაო რა გინდა, ანუ მენუევი მე რასა?  
მაგა საქმესა ვერა იქმს ვერცა კალამი წერასა.  
შენ ერთველ იტყვი, — მითხარო, შე ასჯერ გეტყვი<sup>1</sup> ვერასა.  
ვითა სიცილი ტირილსა მიჯობს ვაგლახი მღერასა.“

2 — „ქალო, არ იცი, სით მივალ, რა ჭირნი მომითმენიან,  
ოდიოვან ვეძებ ამბავთა, — ესე არვისგან მსმენიან!  
შენ მიპოვნეხარ, — სიტყვანი ჩემნი რაზომცა გწყენიან,  
ვერ დაგეკსნები, მიაშბე, ჩემგან<sup>2</sup> ნულარა გრცხვენიან.“

3 ქალმან უთხრა: „რას შეგესწარ, მე ვინ ვარო,<sup>3</sup> ანუ შენო!  
მზე არ მახლავს, შეგეტყვების, თრთვილო, ასრე მით მაწყენო!  
გრძელი სიტყვა საწყინოა, ასრე მოკლედ მოგაკსენო:  
ვერასათვის ვერ გაიმბობ, რაცა გინდა იგი ქმენო!“

1. ასე უგ. 235,3; ვარ. გითხრობ. 2. აბ 173<sup>2,4</sup> ჩემთან(?). 3. ინგ. 237,1  
ვარ და \* = გვიანდელი ჩანართი.

(II: 46 — 47; აბ 176<sup>1</sup>; აბ „მ.ტ-ი“ გვ. XXXV).

კვლა ეტყვის: „ყმაო, რა<sup>1</sup> მპოვე, ვინ მეუბნები მე, ვინო?!  
ვეგ ამბავი ცოცხალსა ენითა ვერ მათქმევიანო!  
შე თავი ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკლევინო, —  
ვითა უსტარი ბედითი ადვილად დავახევიანო!“

1. კნ და ღვ რად(?). \* = გვიანდელი ჩანართი.

( II: 52 — 53; აბ 183 — 184).

1 რა ქალსა მიჰხვდა ყმისაგან მიჯნურობისა სმინება.<sup>1</sup>  
გულ-ამოხვინჩვით დაიწყო ას-კეცად<sup>2</sup> ცრემლთა დინება.  
კელა გაამალლა ზახილით ტირილი, არ გაცინება. —  
ავთანდილს ღმერთმან წადილი მისცა გულისა, ლხინება.

2 იტყვის თუ: „ამა სიტყვითა მას ფერი შეეცვალების!  
ვისთვისმე ხელსა<sup>3</sup> უცილოდ მას ცრემლი ემალ-მალების.“ —  
კელა უთხრა: „დაო, მიჯნური მტერსაცა<sup>4</sup> შეებრალების!“  
ესეცა იცი, — სიკვდილსა თვით ეძებს, არ ეკრძალების.“

1. C ხსენება. 2. ასე კაკ<sup>1</sup> 227,2; ვარ. ას-კეცთა. 3. ასე ინგ 249,2; კაკ<sup>1</sup>  
228,2 ხელი; სხვა დგ და კნ ცხელი. 4. კნ და დგ მტერთაცა.

41\*

( II: 55 — 56; აბ 187<sup>1</sup>; აბ „ვ. ტ.-ი“ გვ XX<sup>1</sup>XXV და შემ.).

„მაშა რათგან მიჯნურობა შენად ღონედ მოიგონე,  
არ ეგების, ამაჲ იქათ თუცა თავი არ გამონე,  
არ შენ მოგეც<sup>1</sup> თავი ჩემი, დაგაბნივე, დაგაღონე.  
შენთვის მოგვეცდე, — ამის მეტი<sup>2</sup> შემცა საქმე რა ვიღონე!“<sup>3</sup>

1. ასე უგ. 253,3 და აბ 187<sup>1</sup>,3; კაკ.<sup>2</sup> 233,3 მოგეცე. 2. ინგ \*253,4 ამისებ-  
რი. 3. უგ 253,4 ვაღონე(?). \* = გვიანდელი ჩანართი.

42\*

( II: 60 — 61; აბ 192<sup>1</sup>; აბ „ვ. ტ.-ი“ გვ. XXXVI).

„იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოვნების,<sup>1</sup>  
თვით თუ არ ვითხრობს, არ ითქმის, არვისგან<sup>2</sup> დაიჯერების<sup>2</sup>

მოილოდინე მოვიდეს, რაზომცა დაგეყოვნების.  
დადუმი, ვარდა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვენბის.“

1. ინგ 259,1 იბოვენბის. 2. ჭიკ. 285,2 არვისგან არ იცნობებბის. \* = გვიან-  
დელი ჩანართი.

43\*

(II: 61 — 62; აბ 193-A).

„ამის მეტსა ვერას გითხრობ მე სიტყვასა ამისთანსა:  
იგი<sup>1</sup> მინდორს არონინებს ტანსა მტერთა<sup>2</sup> მემაჯანსა.  
ესჴამ, გლახ, მარტო ნადირისა მისგან კორცსა მონატანსა.  
აწვე მოვა, არა ვიცი, თუ დაჴყოვნის დიდსა ხანსა.“

1. ინგ 261,2 ისი. 2. უგ. 261,2 და კაკ<sup>1</sup> 291,2 მჴევრსა. \* = გვიანდელი  
ჩანართი.

44\*

(II: 67 — 68; აბ 999A — 199B; აბ „მ. ტ. ი“ გვ XLVI და შემდ.;  
შეად. ა. სარაჯიშვილი, „მოამბე“, 1895, XII, გვ. 22 და შემ.).

1\* მან ქალმან კელ-ყო კვესითა გზება ცეცხლისა ნელისა.  
ეგონა ჴამა კორცისა შამწერისა, შეუქმნელისა.  
მიუპყრა, ერთი აკლია, — ქმნაა საქმისა ძნელისა.  
ძალი არ ჴქონდა, დაუწყო გამოყრა უცოხნელისა.

2 ცოტად მიწვა, მიიძინა, თუცა ყოლა ვერა მეტი.  
შეკრთა, დიდნი დაიზახნა, წამოვარდა<sup>1</sup> ვითა რეტი.  
იზახლის და წამ-წამ იყრის გულსა ლოდი, თავსა კეტი.  
ცალ-კერძ ზის და პირსა იხოკს ქალი მისი შენამჴერეტი.

\* = გვიანდელი ჩანართი. 1. ინგ. 269,2 წამოიჭრა.

45

(II 70 — 71; აბ 203).

„ყოველი პირი ქვეყანისა ერთობ სრულად მოგივლია, —  
ერთი კაცი შემაქცევრად<sup>1</sup> შენად ვითა დაგელია,  
გეახლოს<sup>2</sup> და არ გაშმაგდე, — თუცა ჴირი არ გაკლია? —  
შენ მოჴკვედე და იგი წარკდე, — ესე შენთვის რა მადლია?!“

1. ვარ. შემაქცევლად. 2. კნ და დგ გიახლოს.

(II: 78 — 79; აბ 212).

მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაპრიდეს,  
ვარდთა<sup>1</sup> ჰკლუიღდეს, ბაგეთავან კბილნი თეთრნი გამოსჰვირდეს, ,  
ყელი ყელსა გარდააჰდეს, ერთმანერთსა აუტირდეს,  
ქარვად შექმნენს<sup>2</sup> იაგუნდნი<sup>3</sup> მათნი, თუცა ლალად ღირდეს.

1. ასე ინგ. 282,2; სხვა დგ და კნ ვარდსა. 2. C შექმნეს იაგუნდი.

47\*

(II: 92 — 93; აბ 227 — 227<sup>1</sup> --- 228; აბ „მ. ტ.-ი“ გვ. XXXVI:  
აბ 227 აკლია K-ს.

- 1 ავთანდილ უთხრა: „ვით მაქებ საქები ბრძენთა ენითა!  
მაგისად ნაცვლად რადმც<sup>1</sup> ვიყავ ღირსი ქებისა თქვენისა!  
სახე ხარ მზისა ერთისა ზეცით მნათისა ზენისა,  
რათვან ვერ შეგცვლის პატიუი ეგ ზომთა ცრემლთა დენისა.
- 2 ამა დღემან დამაეიწყა გული ჩემი ვინ დაბინდა.  
დამიგდია სამსახური მისი,<sup>2</sup> იქმნას რაცა<sup>3</sup> გინდა! —  
იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა<sup>4</sup> მინა მინდა! —  
შენ გაახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა!“
- 3 ტარიელ უთხრა: „მე შენი გული აწ მემკურვალეების.  
მიკვირს თუ ნაცვლად მაგისად შენ ჩემი რა გევალების? --  
მაგრა წესია, — მიჯნური მიჯნურსა შეებრალეების. —  
შენ საყვარელსა გაგყარო, ესე რად გენაცვალეების?!“

1. ინგ. 297,2 რამც. 2. ასე C და F; სხვა კნ და დგ იგი. 3. C და F რალა;  
I რაც რამ. 4. ზოგი კნ და დგ ათასჯერცა. \* = გვიანდელი ჩანართი.

48

(II: 93 — 94; ჰიჭ. 331 — 335; აბ 230, 230<sup>1</sup>—230<sup>2</sup> (=ჰიჭ. 333 —  
335); აბ „მ. ტ.-ი“ გვ. XXXVI; ჰიჭ. 331 — 332 აკლია ვახტ.-ს).

- 1\*\* ასმათ უთხრა: „ცრემლით, ლომო, მაგა ცეცხლსა რა ერგების? —  
მე ვითა ვთქვა წვევა თქმისა, რათვან აგრე არ ეგების.  
ეხედავ, ესე ხელი ვინმე მოყმე შენთვის წაეგების.  
ცნას მიზეზი შენთა წყლულთა, ქმნას, რა ღონე აეგების.<sup>1</sup>

- 2\*\* მეხვეწებოდა, ჰლაშობდა ჩემგან რასამე სმენასა.  
ნუ მიყოს<sup>2</sup> ღმერთმან<sup>2</sup> გაძლება, მემცა ვით მივეც<sup>3</sup> ენასა!  
თუ რას სცნობს, ვეჭობ ამისგან თქვენსა რასამე ლხენასა.  
არს უკეთესი, რაცაღა სწადს განგებასა ზენასა.“
- 3 ამას დაყმუნდა ტარიელ დამწვარი, დააღებუელი.<sup>4</sup>  
ასმათს უბრძანა: „მას აქათ შენ ხარ ჩემთანა ხლებული:  
რად არა იცი, უწამლო არს ლები ესე ლებული.  
კვლა ესე ყმა მწვავს მტირალი, ცრემლითა დავაღებუელი.“<sup>5</sup>
- 4\* კაცმან ვით პოვოს ღმრთისაგან რაც არა დანაბადია!  
მით გული ჩემი საკმილმან აწ ასრე დანაბა დია.  
კვლა გზასა მიკრავს, მიჭირავს, მითქს<sup>6</sup> ბადე დანაბადია!  
აწ კელთა<sup>7</sup> ნაცვლად<sup>7</sup> ლხინისა<sup>7</sup> ჩალა მაქვს და ნაბადია!
- 5\* მაგრა ღმერთმან მოწყალემან მით ცნობითა<sup>8</sup> ერთით<sup>9</sup> მზითა,<sup>9</sup>  
ორი მისი მოწყალეობა დღესცა მომცა ამა გზითა:  
პირველ, — შეჰყარის მოყვარულთა ჩემით რათმე მიზეზითა,  
კვლა, — ნუთუმცა სრულად დამწვა ცეცხლთა ცხელთა ანაგზითა!“
1. უგ 301,4 დაედების. 2. ჭიჭ. 332,2 ყოს ღმერთმანა; ინგ. 302,2 ნუ თუ  
ყოს ღმერთმან. 3. ჭიჭ. 332,2 მიესცე. 4. C დავაღებუელი(?). 5 ჭიჭ.333,4;  
დასველებული. 6. მითქს = მიდგს. 7. უგ 304,4 ლხინთა ნაცვლად სოფ-  
ლისა(?). 8 ინგ.\* 305.1 სახითა. 9. კნ და დგ ერთი მზითა(?) \* = გვი-  
ანდელი ჩანართი. \* \* = ძლიერ გვიანდელი ჩანართი

(II: დასასრულის შემდეგ; აბ 232 — 234).

- 1 ასმათს უთხრა: „მოდი, მოჯე, თანა წყალი მოიტანე,<sup>1</sup>  
დაბნედილსა მაპკურებდი, გული მითა გარდამზანე,  
მკედარი მნახო, დამიტირე,<sup>2</sup> სულთ-თქემა გაათანისთანე,  
მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე.“
- 2 ლილ-ჩაკნისილი სამბობლად დაჯდა, მკჰრნი ამოყარა.<sup>3</sup>  
ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით დიდ-ხანს, შექნი არ დაყარა.<sup>3</sup>  
ვერ გაახენა სასაუბროდ მან ბაგენი, — გაამყარა,  
მერმე სულთ-თქენა, დაიზახნა, ცრემლნი ცხელნი გარდმოყარა.<sup>4</sup>

- 3 მოსთქვამს: „ჰაჲ,<sup>5</sup> საყვარელო ჩემო, ჩემთვის დაკარგულო, იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო, გულო! ვინ მოგკვეთა, არა ვიცი, ხეო, ედემს დანერგულო! — ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგწვა, გულო, ასჯერ დადაგულო!“
1. ინგ. 307,1 მომიტანე. 2. C დამიტურო. 3. ასე ინგ. 308,2; სხვა დგ და კნ აღარნა. 4. კაკ<sup>1</sup> 280,4 გარდმოღეარნა. 5. ბბ 234,1 აჰი; კაკ<sup>1</sup> 291,1-ჰაჲ, ჰაჲ.

50

III: 10 — 11; ბბ 244<sup>1</sup> — 245; ბბ „მ. ტ.-ი“ გვ XXXV/;შუად-სარაჯიშვილი: „მოამბე“, 1895, XI — XII, გვ 10 ; ბბ 244<sup>1</sup> აკლია K-ს).

- 1\* ასმათ, მითხრობდი რაცა სცნა ჩემგან ამბობა ცილისა. — ხუთისა წლისა შევიქმენ მსგავსი ვარდისა შლილისა. — ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკვლა მართ ვითა სირისა. — არა ჰგაოდის ფარსადანს მისი არა სმა შვილისა. “
- 2\*\* „ასმათ, შენცა ხარ მოწამე ჩემისა, ფერ-მიკვილისა. შხესა მე ვსჯობდი შევენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა. იტყოდეს ჩემნი მნახავნი, — მსგავსია ედემს ზრდილისა! — აწ მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილისა.“

\* = გვიანდელი ჩანართი. \*\* =მეორე მსგავსივე ჩანართი.

51

(III: 12 — 13; ბბ 248 — 249).

- 1 „საშობელი გაიყარა, ზრდა დაგვიწყეს მე და ქალსა. — მართ მაშინვე ჰგვანდა იგი მზესა,<sup>1</sup> შუქთა<sup>1</sup> ნასამალსა! — ვუყვარდით და სწორად ეუჩნდით მეფესა და დედოფალსა. — აწ ვაკსენებ, ვისგან ჩემი დაუდაგავს გული აღსა.“
- 2 ყმა დაბნდა, რა სახელისა კსენებასა მიეწურა. ავთანდილსცა აეტირა, მისმან ცეცხლმან გულსა ჰმურა. ქალმან სულად მოაქცია, მკერდსა წყალი მოაპყურა. თქვა: „ისმენდი, მავრა ჩემი სიკვილისა დღე დასტურ ა!“
1. კნ და დგ მზისა შუქთა.

52

(III: 17 — 18; ბბ 255 — 256).

- 1 „თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა. დღისით ვიყვი მას წინაშე, გამიშვებდის არცა ძილსა. —

ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვკვვანდი ედემს ზრდილსა.  
სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა.

- 2\* მოსრნის მკეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან<sup>1</sup> სრეულმან.  
მერმე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან.  
შევიდი, შევექმნი ნადიმი ნიადაგ ლხინსა<sup>2</sup> ჩვეულმან.  
აწ საწუთროსა გამყარა პირმან ბროლ-ბადახშეულმან!<sup>4</sup>

i. ვარ. ჩემგან 2. ასე ინგ. 333,3 ვარ ლხინთა. \* = გვიანდელი ჩანართი.

53\*

(III: 22 — 23; აბ 261<sup>1</sup>; აბ „ვ.ტ.-ი“ გვ XXVI)

„ალარა ვიცი, დამეიწყედეს, — თუც არ<sup>1</sup> დიადი წელია.  
გიაბო ჩემი ამბავი, განა რაზომცა ძნელია.

ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყევ ავისა მქმნელია.

მისთა ნაკვესთა წინწალნი<sup>2</sup> დამეცეს, ხანგრძლად მწველია.“

i. ასე ჭიკ. 379,1; სხვა გამ. თუცა. 2. კნ და დგ წინწალი.

\* = გვიანდელი ჩანართი.

54

(III: 27 — 28 ; აბ 266A — 266B — 267; აბ „ვ.ტ.-ი“ გვ XLVII

- 1 აწ წარკდეს იგი ნათელნი, მზისაცა მოწუნარენი.  
მისი ვერ გაძლო კსენება, დაბნდა და სულთ-თქენა მწარენი.  
ყმა და ასმათი ტიროდეს, კმას სცემდეს იგი არენი.  
კმუნეთ თქვეს: „მკლავნი ცუდ-ქმნილან, ვა<sup>1</sup>, გმირთა<sup>1</sup> მემუ-  
[ქარენი!“.
- 2 ასმათმან წყალი დაასხა, ცნობად მოვიდა ტარია.  
დიდ-ხანს ვერა თქვა, სევდამან გული შეუბყრა, დარია.  
დაჯდა და მწარედ სულთ-ითქენა, ცრემლი მიწასა გარია.  
თქვა: „ჩემგან მისი კსენება, ეა მე, რა დიდი ზარია!
- 3 მიმდღონი საწუთროსანი მისთა ნივთთავან რჩებიან.  
იშეებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან.  
ვაქებ ჭკუსა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან! —  
ისმენდი ჩემთა ამბავთა, თუ სულნი შელამრჩებიან.“

i. ასე ინგ. 345,4; ვარ. ვაი, გმირთ.

(III: 29 — 30; აბ 269A — 270 — 270<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.“-ი გვ. XXXVI და XLVIII).

- 1 მე რა მნახა თვალთ-ახმული, მეფე ყელსა მომეხვია.  
 ცრემლით მითხრა: „შვილო, შვილო, ცოცხალ-და ხარ? — სიტ-  
 [ყვა თქვია!“

მე პასუხი ვერა გავეცე, ვითა შმაგი შეეკრთი დია,  
 კვლა დავეცი დაბნედილი, გულსა სისხლი გარდმეთხია.

- 2 სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარე<sup>1</sup> შემომცვიდიან.<sup>1</sup>  
 მათ კელთა ჰქონდეს<sup>2</sup> მუსაფნი.<sup>2</sup> ყოველნი იკითხვიდიან, —  
 მტერ-დაცემული ვეგონე, — არ ვიცი რას სჩმახვიდიან. —  
 სამ დღემდის ვიყავ უსულოდ,<sup>3</sup> ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან.

- 3\* აქიშნიცა იკვირებდეს: „ესე სენი რა გვარია?  
 სამკურნალო არა სჭირს რა, სევედა რამე შემოაჰყრია.“  
 ზოგჯერ შმაგად წამოვიჭრი, სიტყვა მცდარი წამერია. —  
 დედოფალი, — ზღვასა შეიქმს მას რომ ცრემლი დაუღვრია!“

1. ასე ინგ 351,1; სხვა დგ და კნ გარეშემო მცვიდიან. 2. უგ. 351,2  
 ჰქონდა მუსაფი; ვარ. ჰქონდა მუსაფნი. 3. ვარ უსულო. \* = გვ. ჩანართი.

(III: 31 — 32; აბ 272 A)

„ზე<sup>1</sup> - წამოვეჯე, მეფისაგან დია კაცი მოვიდოდა.  
 ახარებდეს, — წამოჯდაო, — დედოფალი გამორბოდა.  
 მეფე მორბის თავ-შიშველი, არ იცოდა რას იქმოდა.  
 იგი ღმერთსა ადიდებდა სხვა ყველაი უჩუმოდა.“

- i. ასე L; სხვა კნ და დგ მე. \* = გვიანდელი ჩანართი.

(III: 48 — 49; აბ 290).

„მითხრა: „დღე ევე სირცხვილად მედების გულსა ალობა:  
 გგონია ჩემგან წინაშე მაგისტვის მომავალობა!  
 მაგრა აწ მიდებს იმედსა შენგან ცდისა-ლა მალლობა.  
 ამას<sup>1</sup> თუ ღირს ვარ, ვერ ვიტყვი, მაკლია ღმრთისა წყალობა!“

1. G მაგას.

58\*

(III: 53 — 54; აბ 296<sup>1</sup>; აბ „მ. ტ.-ი“ XXXVI).

ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ მეკრძალოდა.  
ჩემი რა გითხრა, რა ვიყავ, ლხინი რად დამეთვალოდა!  
გული მი-და-მო მიარდა, კრთებოდა დამეალოდა.<sup>1</sup>  
მუნ პირი ჩემი გაბროლდა და ლაწვი გამელალოდა.“

i. ასე შანიძე; სხვა გამოცემებში: და მელალ(ვ)ოდა. \* = გვიან. ჩანართი.

59

(III: 87 — 88; აბ 330; ქიკ. 457; აკლია ვახტ.-ს)

- 1 „მოვაკსენე: „არ მეწყალვის თავი შენთვის დასაწველად.  
მაგრა რათგან დამარჩინე, არ გამოჩნდი ჩემად მკლველად,  
შენ სინათლედ თვალთა ჩემთა მიჩნდე მზეებრ სანახველად. —  
აწ შევება ხატაელთა, მუნ გამოვჩნდე ლომი ქველად!
- 2 აწ რასაცა შენ მალირსებ კორციელი არა ღირსა!  
მოწყალეზა იჩქითია ღმრთისა, ამაღ არრა მკვირსა. —  
შენთა შუქთა შემომადგამ! ბნელსა გულსა, — ზედან მკვირსა.  
შენი ვიყო სადამდისცა დამიყოფდეს მიწა პირსა.“

i. ვახტ. შემომადგა(?).

60\*

(III: 157 — 158; ქიკ. 529; აკლია ვახტ.-ს და სხვ. კნ-ებს და დგ-ებს).

„მომართენეს ასნი კლიტენი ასთავე საჭურჭლეთანი.  
თაყვანის-ვეც და დავლოკენ დავლანი მათთა სვეთანი.  
შაკოცეს, ადგეს ორნივე თვით იგი მზენი მზეთანი.  
რა გასცეს,<sup>1</sup> ზომნი რა<sup>2</sup> გითხრსე ლაშქართა სისავეთანი!“

i. ინგ. \*\* 487,4 გასცენეს. 2. ინგ. 487,4 ვით. \* = გვიანდელი ჩანართი.

61\*

(III: 163 — 164; აბ 406<sup>1</sup> — 406<sup>2</sup>; აბ „მ. ტ.-ი“ გვ. XXXVI; შეად.

ა. სარაჯიშვილი, „მოამბე“ თბილისი 1896).

- 1 „ღმერთმან თუ<sup>1</sup> მცა<sup>1</sup> ენა ჩემი ქებად შენად<sup>2</sup> უშენოსა,  
შენთვის მკვდარი აღარ ვიტყვი, — მაშა მომკლავ უშენოსა?

მზემან ლომსა ვარდ-გიშრისა<sup>3</sup> ბალი<sup>4</sup> ნალად<sup>5</sup> უშენოსა.  
შენმან მზემან, თავი ჩემი<sup>6</sup> არვის ჰმართებს<sup>7</sup> უშენოსა!

- 2 თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო.  
ამას იქათ ნულარ<sup>8</sup> იდენ,<sup>8</sup> გულსა<sup>9</sup> ჭირნი<sup>9</sup> არიდენო.  
შენნი მჭვრეტნი ჩემთა ჭვრეტთა აყივნებდენ,<sup>10</sup> არ იდენო:<sup>11</sup>  
რომე წედან<sup>12</sup> მოგეხვიენეს, იგი ჩემთვის არიდენო.

1. კნ და ღვ თუცა; თუმცა. 2. კნ და ღვ შენდა. 3. G ვარდ-გიშერი; სხვა კნ და ღვ ვარდ-გიშერი. 4. ასე G და I (შეად. უგ. 494,3); აბ 406<sup>1</sup>,3 ბალ-ჩას; კაკ<sup>2</sup> 481,3 ბალსა. 5. G ბაღიად. (შეად. უგ. 494,3 და კაკ<sup>2</sup> 481,3); I ბაღა; აბ 406<sup>1</sup>,3 ბაღად. 6. F შენი(?). 7. F და G მიხედეს. 8. ასე ინგ. ღვ ჭირსა თავი. 10. ინგ. 495,3 ჩემთა მჭვრეტთა ეჯავრიან; სხვა კნ და ღვ ჩემთა მჭვრეტთა ავინებენ(?). 11. აბ 406<sup>2</sup>,3 არ ჰრიდენო. 12. ვარ. ძოლან. \* = გვიანდელი ჩანარით.

62

(III: 164 — 165; აბ 408 — 413 — ჭიკ 545; აკლია ვახტ.-ს და სხვ.).

- 1 აქა მხეც-ქმნილი ტარიელ ტირს, ჭირი ვათასების.  
თქვა: „მე მაქვს სამკრე, რომელი კვლა წინას მკლავსა მას ების.“  
იგი შეიკსნა, შოილო, თვალთ<sup>1</sup> არ დაიფასების!  
პირსა დაიდვა, დაცაბნდა, ქვე მკვდართა დაედანების.<sup>2</sup>
- 2 ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკვდარი სამარის კარისა!  
ორგნით სჩანს ლევი მჯილისა მართ გულსა ვარდნაკარისა. ,  
ასმათს სდის ღვარი სისხლისა დაწვთავან ნახოკარისა.  
კვლა წყალსა ასხამს, უშველის, კმა ისმის მუნ წყანწკარისა.
- 3 ავთანდილცა სულთ-თქენა მწარედ, დაბნედილსა შემოჭვრიტნა.  
ასმათ ვამნი გაამრავლნა, ცრემლმან მისმან ქვანი კვრიტნა.  
მერმე სულად მოაქცია, ცეცხლნი წყლითა დაუშრიტნა.  
თქვა: „ცოცხალ ვარ? — საწუთრომან აწცა ჩემნი<sup>3</sup> სისხლნი<sup>3</sup>  
[ხვრიტნა!“
- 4 ზე-წამოჯდა ფერ-მიკდილი, აყოლებდა თვალთა რეტად.  
ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვითა სპეტად.  
დიდ-ხანს მათად<sup>4</sup> არა სცალდა საუბრად და არცა ჭვრეტად.  
დარჩომა და არ-სიკვდილი მას უმძიმდა მეტის-მეტად.
- 5 ავთანდილს უთხრა: „ისმენდი, ცნობა მაქვს თუცა ხელისა, —  
გითხრა ამბავი ჩემი და ჩემისა დამმარხველისა.

ლხინად მიჩნს შეყრა მოყვრისა მის, შენგან შეუყრელისა.  
მე მიკვირს ჩემი სიცოცხლე, ასრე დარჩომა მართელისა! —

- 6 ასმათის ნახვა შეამა ჩემგან დად საესავისა. —  
წიგნი რა ენახე, მომართვა ესე საბამი მკლავისა.  
მკლავსა შევიბი მაშინვე, მოვიქსენ რიდე თავისა,  
იგი უცხო და ღარიბი მტკიცისა რასმე შავისა.
- 7\* როდენი და ყაბაჩანი რომე შესხნეს საძღვნოდ მისად,  
ერთგან შეეკრენ, გავუგზავნენ, — მზესა აკლდა ოდენ მზისად!  
ასმათ დიდ-ხანს არ გავუშვი, მე იმედად სულთა-დგმისად.  
მისგან კიდე მომეცალა სასაუბროდ სხვად-ლა ვისად!“

1. ასე F, G და I; ვარ თვალვით. 2. ასე C და G; F დაედარებში; I და  
ვახტ. დაესახებში. 3. კაკ<sup>1</sup> 464,4 და უგ 499,4 ჩემი სისხლი. 4. კნ და დგ.  
მათდა. \* = გვიანდელი ჩანართი (იხ. ჭიქ.).

63

(III: 193 — 194; აბ 443).

„კვლაცა ვჰკადრე: „მე თუ, მზეო, შენთვის ფიცი გამეტეხოს,  
ღმერთმან აწვე რისხვა მისი ზეკით ჩემთვის გაამეხოს!  
ვისი ვინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი მესხოს?!  
მაშა მაშინ რავგარ დავრჩე, რა ლახვარი გულსა მესხოს!“

64\*

(III: 203—204; აბ 453,1; აბ „მ.ტ.“-ი გვ XXXVI; შეად ა. სარაჯ-ლი.  
„მოამბე“ 1896, VI, XX, გვ. 1 და შემ.).

„ასრე ქმენ, ჩემო ღომო და მჯობო ყოველთა გმირთაო, —  
მიპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო.  
მისთა სპათაცა ნუ დაჰკოც ზროხათა ვითა, — ვირთაო.  
დიადი<sup>1</sup> სისხლი<sup>1</sup> უბრალო კაცმანმცა<sup>2</sup> ვით იტვირთაო!“

1. უგ. 543,4 სისხლი კაცისა. 2. კნ და დგ კაცმანცა. \* = გვ. ჩანართი.

65

(III: 229 — 230; აბ 480 — 481).

- 1 „ახლოს მიველ, კვლაცა ვჰკითხე: „რაშიგან ვართ? — თქვი მარ-  
[თალი!“  
კვლა საბრალოდ ამიტირდა, კვლა მომიდვა<sup>1</sup> ამით ალი.  
დიდ-ხანს სიტყვა ვერა მითხრა, — მისთა ჰირთა ნათალი.  
მკერდსა წითლად უღებავდა სისხლი ღაწვთა ნაწვეთალი.

2 მერმე მითხრა: მოგაკსენებ, ესე რადმცა დაგიმაღლე!  
მაგრა ვითა გაგახარნე, შენცა აგრე შემიწყალე:  
ნუ მაცოცხლებ, ნუ დამარჩენ, შემიხვეწე, შემიბრალე!  
დამკსენ ჩემსა საწუთროსა, ღმერთსა შენსა მიაღალე!“

1. ასე ინგ. 570,2; სხვა დგ და კნ მოედვა.

66\*

( I I I : 232 — 233; აბ „მ.ტ.“-ი გვ. XXXVII).

„მის შეფისა წესი იყო, თავი მისი ძვირად ფიცის  
და თუ ფიცის, არ გატეხის, მასვე წამსა დაამტკიცის.  
ესე წყრომა შეფისაგან ვისცა ესმა, ვინცა იცის,  
მან უამბო დავარ ქაჯსა, ვინ გრძნებითა ცაცა იცის.“

\* = გვიანდელი ჩანართი.

67\*

( III ; 240—241; აბ 493—493;<sup>1</sup> აბ „მ. ტ.“ გვ. XXXVII; აბ 493<sup>1</sup> აკ-  
ლია ვახტ.-ს).

1 „მეტმან ზარმან გამაშმაგა, მომივიდა ცხრო და თრთოლა.  
თავსა<sup>1</sup> ვლთხარ: „ნუ მოჰკვდები, არას გარგებს ცული წოლა!  
გიჯობს გაჭრა, ძებნად მისად გაეარდნა და ველთა რბოლა! —  
აჰა ჟამი, ვისცა გინდა ჩემი თანა-წამოყოლა!“

2 შეველ, ფიცხლად შევეკაზმე, ცხენსა შევეჯე შეკაზმული.  
ას-სამოცი კარგი მოყმე, ჩემსა-თანა ხან-დაზმული,  
წამომყვა<sup>2</sup> და წაცავედით, კართა გარე დარაზმული.  
ზღვის პირს მიველ, ნავი დამხვდა, მენავემან მნახა ზმული.<sup>3</sup>

1. ინგ 585,2 გულსა. ვარ. წამო/ამყევს. 3. აბ 493<sup>1</sup>,4 ცმული.

\* = გვიანდელი ჩანართი.

68

( I I I : 245 — 246; აბ 499).

ხეთა ძირსა მივიძინე, მათ მონათა ჭამეს პური.  
მერმე ავდეგ სევდიანი, მიღამებდა<sup>1</sup> გულსა მური: —  
ვერ-რა<sup>2</sup> მეცნა<sup>2</sup> ეგ ზომ გრძელად<sup>3</sup> ვერ ჭორი და ვერ<sup>4</sup> დხსტური.—  
ველთა ცრემლი ასოვლებდა თვალთა ჩემთა მონაწური.“

1. ასე F და K; G მიღალვიდა. 2. K არა მესმა. 3. K გრძნებდა(?). 4.  
K არ.

69\*

(III: 251 — 252; აბ 506).

პირველ მითხრა: „არა ვიცი რა ხარ, ანუ რას გამგავსო!  
ანუ ვგრე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ<sup>1</sup> გაგავსო!  
რამან შექმნა<sup>2</sup> მოყვითანოდ ვარდ-გიშერი რომე ჰრგავსო?  
ღმერთმან მისგან ანთებული სანთელიცა<sup>3</sup> რად დაგავსო?!

1. ასე ინგ. 599,2; ვარ. ვინ. 2. ასე ინგ. 599,3; ზოგი კნ და ღვ შეგქმნა.
3. ასე ინგ. 599,4; სხვა ღვ და კნ სანთელიმცა. \* = გვიანდელი ჩანართი.

70\*

(III: 261 — 262; აბ 517).

„ესეცა ვუთხარ: „ამბავი ჩემი არ გაგეგონების.  
უფროვე წყნარად<sup>1</sup> გაიმობ, თუ ჟამი ჩვენ გვექონების.“  
მან მითხრა: „ლხინი საჩემო მაგას რა შეეწონების!  
ღლედ სიკვდილამდის სიცოცხლე შენ ჩემი დაგემონების.“

1. ასე ინგ. 610,2; სხვა კნ და ღვ წვრილად. 2.F, G და I არ ?). \* = გვიანდელი ჩანართი.

71\*

(III: 262 — 263; აბ 519).

„კვლა მოვეწონე, ვეტურფე მე მისი გარდნაკიდარი.  
შემასხმიდიან ქებასა, — მზეო, შენ ჩვენთვის ილარი!  
შივედით, ვნახეთ ქალაქი მისი ტურფა და მდიდარი.  
ყველასა ტანსა ემოსა ზარქაში<sup>1</sup> განაზიდარი.“

1. K ზარდახში(?). \* = გვიანდელი ჩანართი.

72\*

(III: 270 — 271; აბ 528).

„ლაშქარნი ფრიღონს მეფედ და მიხმობდეს მეფეთ-მეფობით,  
თვით თავსა მათსა მონად და ჩემსა ყველასა სეფობით.  
დაღრუჯით ვიყავ, ვერ მპოვეს ვეროდეს ვარდის მკრეფობით.  
ჩემი ვერ სცნიან ამბავი, მუნ იყო არ იეფობით.“

- \* = გვიანდელი ჩანართი.

73\*

(III: 281 — 282; აბ „მ. ტ.-ი“ გვ. XXXVII).

„კვლაცა მითხრა: „ვისცა ღმერთი საროს მორჩსა ტანად უხებს,  
მას ლახვარსა მოაშორებეს, თუცა პირველ გულსა უხებს.“

იგი მოგვემს<sup>1</sup> წყალობასა მისსა, ზეცით მოგიქუხებს,<sup>2</sup>  
ჭირსა ლხინად შეგიცვალებს,<sup>3</sup> არათ ოდეს შეგაწუხებს.<sup>4</sup>

1. ასე G და I; სხვა კნ და ღვ მოვეცემს. 2. ასე G და I; სხვა კნ და ღვ მოვეციქუხებს. 3. ასე აბ 539<sup>1</sup>; ზოგი კნ და ღვ შეგვიცვალებს. . . შეგვაწუხებს. \* = გვიანდელი ჩანართი.

74

(II; 285 — 286; აბ 544 — 545).

- 1 „ჩვენ გავგზავნენთ მენაენი, რომელთაცა კვლა უვლია, მოვეინახონ იგი მთვარე, ვისთვის<sup>1</sup> ჭირი არ გვაკლია. მუნამდისცა მოიჭირვე, გონებამან არ დაგლია. ყოლა<sup>1</sup> ჭირი არ<sup>2</sup> ეგების,<sup>2</sup> თუცა<sup>3</sup> ლხინმან არ<sup>4</sup> დასძლია.“
- 2 კაცნი უკმნა<sup>5</sup> მასვე წამსა, ესე საქმე დავიურვეთ.<sup>6</sup> უბრძანა<sup>7</sup> თუ: „ნავებითა წადით, ზღვა-ზღვა მოიცურვეთ, მოვეინახეთ, საყვარელსა მისსა მისთვის მოასურვეთ, თავთა ჭირი უათასეთ, რადმც<sup>8</sup> უშვიდეთ, ანუ<sup>9</sup> ურვეთ!„

1. C ყველა. 2. G ნუ იქნების. 3. C და I თუმცა(?) (შეად. უგ 638,4). 4. ასე C და I; G არა სძლია. 5. C, I და ვახტ. უკმენ (?); G იკმი; სხვა კნ და ღვ იკმნა. 6. ასე C; G და I დაიურვეთ (შეად. კაკ<sup>2</sup> 628,1. 7. C უბრძანეთ. 8. ასე C; G და ვახტ. რამც(?). 9. ასე ვახტ.; G და I რამც(?); აბ 545,4 რადმცა.

75

(III; 286 — 287; აბ 547).

ფრიდონ საჯდომნი<sup>1</sup> დამიდგნა<sup>1</sup> ადგილსა საბატრონოსა.<sup>2</sup>  
გითხრა თუ: „მცდარვარ აქამდის, ვერ მივჭხვდი ვასაგონოსა.  
ვარ დიდი მეფე ინდოთა, რა ვით ვინ მოგაწონოსა!  
ვინ არის კაცი რომელმან თავი არ დაგაგონოსა!“

1. ასე C; G და I საჯდომი დამიდგა (შეად. კაკ<sup>1</sup> 6041). 2. ასე G და I; C საბატრონოსა (შეად. აბ 547,1).

76

(III; 289 — 290; აბ 551 — 552).

- 1 „თუცა ღია მოიჭირვეს, ვერცა ეგრე დამიჭირეს. მისთა სპათა მუკლ-მოყრით<sup>1</sup> თავი<sup>2</sup> მათი<sup>2</sup> ჩემ-კერძ ირეს, მეხვეოდეს, მაკოცებდეს, ატირდეს და ამბატირეს: „ნუ წახვალო, დაგემონნო,<sup>3</sup> სიცოცხლეა ჩვენი ვირ<sup>4</sup> ეს<sup>4</sup>

2. ეგრე ვუთხარ: „თქვენი გაყრა მეცა დია მეძნელების, მავრა ლხინი უმისოსა ჩემგან ძნელად გაიძლების. ჩემსა ტყვესა ვერ გავსწირავ, — თქვენცა დია გებრალეების. ნურვინ მიშლით, არ დავდგები, არცა ვისგან დამეშლები.“

1. ასე აბ 551,2; G, I და ზოგი დგ მუკლ-მოყრილთა. 2. ასე ინგ 645,2; სხვა დგ და კნ თაენი მათნი. 3. G, I და სხვ.; ჭიჭ. 689,4 დაგემონოთ; აბ 551,4 დაგაწამოთ. 4. ასე აბ 551,4 და კაკ<sup>2</sup> 635,4; G, I და სხვ. ვირეს(?)

77\*\*

(III: 297 — 298; აბ 560<sup>1</sup>; აკლია K-ს).

„დევეთა ყვირილი, ზახილი ზეცამდის აიწეოდა.  
მათითა<sup>1</sup> ლახტის ცემითა ქვეყანა შეირყეოდა.  
მზე დააბნელეს მტვერითა, ალვის შტო შეირხეოდა.  
ასნი ერთ-კერძოთ<sup>2</sup> მომიკდეს, დავფრიწე, დაიხეოდა.“

\*\* = ძლიერ გვიანდელი ჩანართი. ინგ. 655,2 მათისა. 2. ასე ინგ. 655,4; კარ. ერთ-კერძო.

78\*

(III 299 — 300; აბ 562<sup>1</sup>; აბ, „მ.ტ.“-ი, გვ. XXXVII).

„მისსა ვერ იტყვის ქებასა ყოველი ბრძენთა ენები.  
მას დაკარგულსა ვიგონებ მე, სიცოცხლისა მთმენები.  
მას აქათ ვახლავ ნადირთა თავსა მათებრვე მესენები.  
სხვას<sup>1</sup> არას<sup>2</sup> ვიაჯ ღმრთისაგან, ვარ სიკვდილისა მქენები.“

1. C, G და I სხვად. 2. I არად. \* = გვიანდელი ჩანართი.

79

(IV: 10 — 11; აბ 573<sup>1</sup> — 573,<sup>3</sup>; აბ „მ. ტ.“-ი გვ. XXXVII და შემ; აბ 573<sup>1</sup> — 573<sup>2</sup>; აკლია G-ს).

1\* ავთანდილს ასმათ ჩამოჰყვა, ზენარით ეუბნებოდა,  
მუკლთა უყრიდა, ტიროდა, თითითა<sup>1</sup> ეხვეწებოდა,<sup>1</sup>  
ადრე მოსვლასა ჰვედრებდა, მართ ვითა ია ჰქნებოდა.  
მან უთხრა: „დაო, უთქვენო<sup>2</sup> სხვა რამცა მეგონებოდა!

2\* ადრე მოვალ, არ გაგწირავთ, არას დავზამ შინა ხანსა,  
ოდენ სხვაგან არ წავიდეს, — ნუსად<sup>3</sup> არებს იმა ტანსა.  
აქათ ორ თვე არ მოვიდე, ვიქმ საქმესა დაუგვანსა.<sup>4</sup> —  
შეიგენით, მიცემულვარ<sup>5</sup> ჭირსა რასმე<sup>6</sup> თანის-თანსა!“

3 იგი მუწით წამოსრული სევდამანცა განა მოკლა!  
პირსა იცემს,<sup>7</sup> ვარდსა აპობს,<sup>8</sup> კელი მისი განამხოკლა.<sup>9</sup>  
სისხლსა,<sup>10</sup> მისგან დადენილსა,<sup>10</sup> მკეცი ყოელი<sup>11</sup> განამლოკლა.<sup>21</sup>—  
მისმან ფიცხლად სიარულმან შარა გრძელი შეამოკლა.

1. ინგ 670,2 ხელზედა ეკონებოდა. 2. კნ და დგ უთქვენოდ. 3. კაკ<sup>2</sup> 661,2 ხურსად. 4. კაკ<sup>2</sup> 661,3 დასავანსა(?). 5. ინგ 671,4 მიესცემივარ. 6. I და K თურმე. 7. ასე ინგ 672,1; G იხოჰს; ვარ. იხოკს. 8. ასე C; კაკ<sup>1</sup> 633,2 აზრობს. 9. ვახტ. გაამოკლა(?). 10. G სისხლი მისგან დადენილი. 11. G მკეცმან ყოველმან; ზოგი კნ და დგ მკეცი ყოელი. 12. G გამოლოკა.  
\* = გვიანდელი ჩანართი.

80

(IV: 16 — 17; აბ 580).

არცალა დაჯდა ნადიმად, არცალა ქმნად ხალვათისა. —  
შერმადინ მახარობელი წაეა მისვლისა მათისა.  
ფიცხლად წავიდა, სავალი სამდღე ელო დღისა ათისა.—  
მას ლომსა ნახვა უხარის მის მზისა მოკამათისა.

81

(IV: 17 — 18; აბ 581<sup>1</sup> — 581<sup>2</sup>; აბ „მ.ტ.“-ი XXXVIII და შემ.).

- 1 როსტეევან, მეფე უკადრი. მორუმული, შეუზოველი! —  
შერმადინ მოციქულობა თვით მოაკსენა ყოველი:  
„ავთანდილ მოვა წინაშე, მის ყმისა ვისმე მპოველი.“  
ბრძანა: „ეცან ჩემი ღმრთისაგან სააჯო და სათხოველი!“
  - 2 თინათინს ჰკადრა შერმადინ, ნათელსა მას უღამოსა:<sup>1</sup>  
„ავთანდილ მოვა წინაშე, გკადრებს ამბავსა ამოსა.“<sup>4</sup>  
იგი მით აკრთობს ელვასა, მზისაცა უთამამოსა,  
მას საბოძვარი უბოძა, მისი ყველაი დამოსა.
1. ვახტ. უუამოსა(?).

82

(IV: 19 — 20; აბ 584).

თინათინსცა<sup>1</sup> თაყვანის-სცა, — ლომთა-ლომმან მზეთა-მზესა.  
მუნ<sup>2</sup> ბროლი და ვარდ-გიშერი გაეტურფა სინაზესა.

პირი მათი<sup>3</sup> უნათლეა სინათლესა ზესთა-ზესა.  
სახლ-სამყოფი არა ჰმართებს, ცამცა გაიდარბაზესა!

1. G თინათინსაც; I აეთანდილცა (შეად. კაკ<sup>1</sup> 646,1); სხვა კნ და ღვ მას აეთანდილ. 2. ინგ 685,2 ლალ—. 3. კნ და ღვ მისი.

83

(IV: 21 — 22; აბ 586A — 586A<sup>1</sup> — 586B — 587; აბ „პ.ტ.“-ი, გვ. XXXIX; შეად. სარაჯიშვილი, „მოამბე“ VIII, თბილისი 1897, გვ 1—10).

1\* „მას ვაკენებდე, ნუ გიკვირს, თქმა მკირდეს მიწყეივ ახისა.  
მზე თუ ვთქვა მსგავსი მისი და ანუ მისისა სახისა,  
ვინ უნახავ-ქმნის გონება ყოვლისა<sup>1</sup> კაცთა მნახისა, —  
ვარდი დამქნარბ ეკალთა შუა, გლახ,<sup>2</sup> მყოფი, მახ, ისა!<sup>3</sup>“

2\*\* რა ჭირი კაცსა სოფელმან მოუთმოს<sup>4</sup> მოუთმინამა,<sup>5</sup>  
ქაცვი ლერწამმან, ზაფრანა იმსგავსოს ფერად მინამა.<sup>5</sup> —  
აეთანდილ მისმან<sup>5</sup> მკსენებმან<sup>5</sup> ლაწვი<sup>6</sup> ცრემლითა მინამა,<sup>5</sup>  
წერილად უამბო ამბავი მან მისმან მონასმინამა:<sup>5</sup>

3\* “ქვებნი წაუხვმან<sup>7</sup> დავთათვის,<sup>8</sup> სახლად აქვს დევთა სახლები.  
საყვარელისა მისისა ქალი ჰყავს თანა<sup>9</sup> - ნახლები.  
ტანს ვეფხის ტყავი აცვია, ცუდად უჩნს<sup>10</sup> სტავრა-ნახლები.  
აღარა<sup>11</sup> ჰნახავს სოფელსა,<sup>11</sup> ცეცხლი სწევას ახალ-ახლები.“

4 რა დაასრულა ამბავი, საქმე მისისა ჭირისა,  
ნახვა მის<sup>12</sup> მზისა ნათლისა,<sup>12</sup> მის<sup>12</sup> თვალად<sup>12</sup> არ დუხჭირისა,  
უამა,<sup>13</sup> უქეს<sup>14</sup> ვარგისა კელი, მძლე<sup>14</sup> დანამჭირისა:<sup>14</sup>  
„ეგე კმა სიმკნედ სიმკნისა, რადლა<sup>15</sup> ხარ მომხვეჭი რისა!“

1. კნ და ღვ ყოველთა. 2. ინგ 648,4 შორს მყოფი. 3. 688,4 ის ა.  
4. G და I დაუთმოს (შეად. კაკ<sup>2</sup> 679,1). 5. ასე ინგ<sup>1</sup> 689,1; G და I მისმან  
მკსენებმან; ზოგი კნ და ღვ მისმა(ნ) მკსენებმან; ინგ 689,3 მისმან მხე-  
ნებმან, ლაწვი ცრემლითა მინამა (მოუთმინამა, მინამა, მინამა, მონას-  
მინამა). 6. ვარ. ლაწვი. 7. G და I წაუხვამს; C და ვახტ. ომითა (შეად. აბ  
586B,1). 8. C და ვახტ. წაუხვმან (შეად. აბ 586B,1). 9. G გვერცა. 10.  
G და I უც. 11. G ჩალად უჩნს ესე სოფელი. 12. I მოუხნდა მის მზისა  
და თვალთა; G მოუხნდა მზისა და ნათლისა. 13. C, G და I იამა; ვარ. ეა-

და. 14 C. . ვარდისა . . . (შეად დგ); G. . . G . . . ქება ვარდისა ბროლისა განამჟვრიტისა; I. . . აქო ვარდისა კელი მძლედ დანამჟირისა. 15. ინგ. 691,4 რათგან. \* = გვიანდელი ჩანართი. \*\* = ძლიერ გვიანდელი ჩანართი.

84

(IV: 22 — 23; აბ 589).

ყმა წაეიდა მხიარული, ლმობიერი, არ გამწყრალი,  
ლომი შინდორს ლომთა თანა მოარული,<sup>1</sup> ფერ-ნამყრთალი,  
ყმა სოფლისა ხასიათი, ჯავარი<sup>2</sup> და სრული<sup>2</sup> ლალი.<sup>2</sup>  
მაგრა ჰქონდა გული<sup>3</sup> გულსა-გულისათვის<sup>3</sup> განაცვალი.

. ასე I, (შეად კაკ<sup>2</sup> 683,2 და ჰიკ<sup>2</sup> 740,2; G არის რული; სხვა კნ და დგ შინდორს რული.2. ასე G და I (შეად აბ 589,3; კაკ<sup>2</sup> 683,3 და უგ 693,3 ჯავარ-სრული, მრავალ-წყალი. 3. კნ და დგ გულისათვის გული გულსა.

85\*\*

(IV: 25 — 26; აბ 592<sup>1</sup>; აბ „3.ტ.“-ი, გე XXXIX).

„მუნ სარო, მსგავსი ვარდისა,<sup>1</sup> ენახე, მისჰირდა,<sup>2</sup> — შინეზი.“<sup>3</sup>  
იტყვის: „დაეკარგე ბროლი და სადა ჰრთავს ბროლსა შინეზი!“  
მით ვიწვი, რათგან ჩემებრვე ცეცხლი სწავას მოუთმინეზი. —  
მერმე კვლა ჰკადრა ამბავი მან მისგან მონასმინეზი.

1. I ძეწნისა. 2. G მისჰირდა. 3. ინგ 697,1 ში, ნეზი. \*\* = ძლიერ გვიანდელი ჩანართი.

86\*

(IV: 26 — 27; აბ 594).

ნუ<sup>1</sup> მკითხავ, ქება რა<sup>2</sup> გკადრო,<sup>2</sup> ჩემგან არ<sup>3</sup> გაგეგონების:  
მისსა მნახავსა ნახული აღარა მოეწონების:  
თვალნი მჰკერეტელთა ვით მზისა ციაგსა დაეღონების. —  
ვარდი შექმნილა ზაფრანად, აწია შეიკონების.“

1. G თუ. 2. G ვით. \*\* = გვიანდელი ჩანართი.

87\*

(IV: 31 — 32; აბ 600).

„საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხედების:<sup>1</sup>  
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხედების!“<sup>1</sup>

აქამდის<sup>2</sup> ჭირი<sup>2</sup> ჩემზედა აწ ასრე<sup>3</sup> ღზინად უხედების.<sup>4</sup>  
რათგან შეება აქეს სოფელსა, თვით<sup>5</sup> რად<sup>5</sup> ვინ<sup>5</sup> შეუწუხდების!“

1. ასე კაკ<sup>1</sup> 666,1 და უგ 705,1; სხვა კნ და დგ უკ/ხედების. 2. I მაშინ ჭი-  
რი ჩნდა (შეად. კაკ<sup>1</sup> 666,3). 3. I ესე (შეად. აბ 600,3); ვარ ასე. 4. ასე  
კაკ<sup>1</sup> 666,3 და უგ 705,3; აბ 600,3 და ჭიკ 752,3 უხედების. 5. I კაცი რად,  
(შეად კაკ<sup>1</sup> 666,4). \* = გვიანდელი ჩანართი.

88

(IV: 32 — 33; აბ 602 — 605 — 605<sup>1</sup> აბ „მ.ტ.“-ი გვ. XXXIX).

- 1 ყმაძან ჰკადრა: „სიახლითა<sup>1</sup> შევჰრთე<sup>1</sup> ჭირი<sup>1</sup> შეიღსა მე რვა! —  
ცული არის დამზრალისა გასათბობლად წყლისა<sup>2</sup> ბერვა,  
ცული არის სიყვარულით<sup>3</sup> ქვეით<sup>3</sup> კოცნად<sup>3</sup> მზისა წვერვა. —  
თუ გეახლო, ერთეკელ<sup>4</sup> ვა,<sup>4</sup> და, რა მოგშორდე, ათასჯერ ვა!
- 2\* ვა, თუ გავიჭრა,<sup>5</sup> გაჭრილსა სადა, გლახ, დამწვაეს სამ ალი!  
გული ძეს საგნად ისრისა, მესერის საკრავად სამალი.  
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან<sup>6</sup> ჩანს ნასამალი,  
მალვა<sup>7</sup> მწადის, <sup>7</sup> მაგრა გარდაკდა ჟამი პატივთა სამალი!
- 3 მესმა<sup>8</sup> თქვენი ნაუბარი,<sup>8</sup> გავიგონე<sup>8</sup> რაცა ჰბრძანე:  
ვარდსა ჭაკვი მოაპოვებს,<sup>9</sup> — ეკალთამცა რად ვეფხანე! —  
მაგრა მზეო, თავი<sup>10</sup> მზესა<sup>16</sup> ჩემთვის სრულად დაამგვანე,<sup>10</sup> —  
სიცოცხლისა სიიმედო ნიშანი რა წამატანე.“
- 4 ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიყეთისა კელის-მკდელი,  
მზესა ასრე ეუბნების ვით გაზრდილსა<sup>11</sup> ამო მზრდელი.  
ქალმან მისცნა მარგალიტნი <sup>12</sup> სრულ-ქმნა მისი საწადელი. —  
ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს ღზინი ესე აწინდელი! —
- 5\* რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლაღსა თანა-ახიოს,  
ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს რგოს,მორწყოს, ახიოს,<sup>13</sup>  
მისსა მჭერეტელსა ალხინოს, ვერ-მჭერეტსა ავაგლახიოს! —  
ვაი მოყვრისა გაყრილსა, ახი<sup>14</sup> როს<sup>14</sup> ეყოს, აკიოს!<sup>14</sup>

1. G სიხარული შევეერთე; I სიახლითა შევერთე ჭირსა. 2. G ცეცხლთა(?)  
3. I სიყვარული, შორით კოცნა. 4. G და I ნეტარძი. 5. ასე ინგ 708,1;  
ვარ. გავიჭრე. 6. ასე აგრეთვე შანიძე; სხვა კნ და დგ დღისით-ლა(?).  
7. I ვიშვი. 8. G და I კვლაცა ჰკადრა: „გავიგონე შენ ამბავი“, (შეად.  
კაკ<sup>1</sup> 670,1). 9. G და I კვლაცა ჰკადრა: „გავიგონე შენ ამბავი“, (შეად.

10. I თავი შენი მზესა ჩემთვის დავადარნე; G თავი შენი ჩემთვის მზესა დაადარნე. 11. კაკ<sup>1</sup> 671,2 გამზრდელსა(?). 12. F, G, I და K მისცა ძარგალიტი (შეად. კაკ<sup>1</sup> 671,3 და ინგ. 710,3). 13. ახიოს= ახეოს. 14. კაკ<sup>1</sup> 672,4, აბ 605<sup>1</sup>,4 და ჭიჭ. 758,4 ახიოს, ეყოს, ახიოს; უგ. 711,4 ახიოს, ეყოს, ახი ოს (=ოდეს.) (აკიოს=აკმიოს). \*—გვიანდელი ჩანარ.

(IV: 33 — 34; აბ 607<sup>1</sup> — 607<sup>3</sup>; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XXXIX).

- 1 კმა წავიდა სევდიანი, მკერდსა იცემს, ამად იღებს, რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და აგულ-ჩვილებს.<sup>1</sup> — რა ღრუბელი მიეფარვის, მზე კმელეთსა დააჩრდილებს, — მის მოყვრისა მოშორებება კელა აბინდებს, არ ადილებს.
  - 2 სისხლმან და ცრემლმან გარევით ღაწვი ქმნის ღარად და ღარად. იტყვის: „მზე ჩემგან თავისად კმა დასადებლად აღარად?! — მიკვირს თუ, გული აღმასი შევმან წამწამმან დაღა რად! ვირე<sup>2</sup> ვნახვიდე,<sup>2</sup> სოფელო,<sup>3</sup> მინდი<sup>4</sup> სალხინოდ აღარად!
  - 3 ვინ გუშინ<sup>5</sup> ედემს ნაზარდი ალვა მრგო,<sup>6</sup> მომრწყო,<sup>6</sup> მახია, დღეს საწუთრობა ლახვარსა მიმცა, დანასა<sup>7</sup> მახია.. დღეს<sup>8</sup> გულის<sup>9</sup> ცეცხლსა<sup>10</sup> უშრეტსა<sup>10</sup> დაბმით<sup>11</sup> დამიბა მახია.<sup>11</sup> აწლა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია!<sup>14</sup>
  - 4 ამას მოსთქვამს, ცრემლსა აფრქვევს,<sup>12</sup> ათროთლებს და აწანწა-  
[რებს,<sup>13</sup>  
გულ-ამოსკენით, ოხრა-სულთ-თქემით<sup>1</sup> მიპზრის ტანსა, მიაწარებს.<sup>14</sup>  
საყვარლისა სიახლესა მოშორებება გაამწარებს.  
ვა, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუღარებს, აზეწარებს!
1. კაკ<sup>1</sup> 704,2 გააფლიდებს(?). 2. G ვირემ ვნახვიდე; ინგ 714,3 ვიდრე ვნახვიდე. 3. G სოფელი. 4. G მინდა. \* = გვიანდელი ჩანართი. 5. G უწინ (შეად. უგ. 715,1). 6. G რგო, მორწყო; I რევით მორწყო; C მიწასა დამრგო(?); აბ 607<sup>1</sup>,1 მრწყო, დამრგო. 7. G დამხია. 8. G და I აწ. 9. კნ და დგ გული. 10. G ცეცხლით ამივსო. 11. I დაბმითა დაამახია; G დაბმით დამაბა მახია (მახია=მახეა. 12. C აბნეეს. 13. I აწანწარებს; G აწარწარებს. 14. F მიახარებს(?).

(IV 35 — 36; აბ 610,— 611,— 611<sup>1</sup>,— 612 — 615, 615<sup>1</sup> — 615<sup>2</sup>;  
 აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XXXIX და შემდ.).

- 1 რა გულსა უთხრა გულისა სიტყვანი საგულისონი,  
 მან მარგალიტნი მოიხენა<sup>1</sup> მის მზისა სამეყვისონი,  
 მის მზისა მკლავსა ნაბამნი, მის<sup>2</sup> კბილთა შესატყვისონი,  
 პირსა დაიდვა, აკოცა,<sup>3</sup> ცრემლი სდის ვითა ბისონი.
- 2 რა გათენდა, კაცი მოვა მომკთხავი, დარბაზს მკმობი.  
 ყმა წავიდა ლალი, ნაზი, ნალეიძები, ძილ-ნაკროთობი.  
 ერთმანერთსა ეჯავრიან, დვას მჭვრეტელთა ჯარი მსწრობი.  
 მეფე მინდორს ეკაზმოდა, მოემზადა<sup>4</sup> დაბდაბ-ნობი.
- 3 მეფე შეჯდა, — მაშინდელი ზარი აწმცა ვით ითქმოდა!  
 ქოს-დაბდაბთა ცემისაგან ყურთა სიტყვა არ ისმოდა,  
 მზესა ქორნი აბნელებდეს, ძალლთა რბოლა მი-და-მოდ ა! —  
 მას დღეს მათგან დანაღვარი სისხლი ველთა მოესხმოდა.
- 4 ინადირეს, შემოიქცეს მხიარულნი, მინდორს რულნი.  
 შეიტანნეს დიდებულნი,<sup>5</sup> თავადნი და სპანი სრულნი.  
 დაჯდა, — დაჰხედეს მოკაზმულნი საჯდომნი და სრანი სრულნი.  
 კმას სცემს ჩანგი ჩაღანასა, — მომღერალნი იყენეს რულნი!<sup>6</sup>
- 5 ყმა ახლოს უჯდა მეფესა, — ჰკითხავდა, — ეუბნებოდა.  
 ბაგეთათ<sup>7</sup> ვასჭვირს ბროლ-ლალი, მათ კბილთა ელვა ჰკრთებოდა.  
 ღირსნი<sup>8</sup> ახლოს<sup>8</sup> სხდეს,<sup>8</sup> ისმენდეს, შორს ჯარი დააჯრებოდა.  
 უტარიელო<sup>9</sup> კსენება არვისა<sup>10</sup> იკადრებოდა.
- 6 ყმა მივიდა გულ-მოკლული,<sup>11</sup> ცრემლი ველთა მოედინა,  
 მართ მისივე სიყვარული უარებდის თვალთა წინა.  
 ზოგჯერ ადგის, ზოგჯერ დაწვის, ხელსა რადმცა დაეძინა!  
 რაცა<sup>12</sup> აჯა დათმობისა გულმან ვისმცა მოუსმინა!<sup>13</sup>
- 7 წევს, იტყვის: „გულსა სალხინო რამცალა<sup>14</sup> დავუსახეო!  
 მოგშორდი ედემს ნაზარდი, ტანო ლერწამო და ხეო,  
 შენთა მჭვრეტელთა ნიშატო., ვერ-მჭვრეტთა საევაგლახეო!  
 ცხადად ნახვასა არ ღირს-ვარ, ნეტარმცა სიზმრად<sup>15</sup> გნახეო!“

8\* ამას მოსთქმიდის ტირილით,<sup>16</sup> ცრემლისა<sup>17</sup> დასაღვაროთა.<sup>17</sup>  
 კვლა გულსა ეტყვის: „დათმობა ჰვეანდეს სიბრძნისა წყაროთა.  
 არ დავთმოთ. — რა ვქმნათ? სევდასა, მითხარ, რა მოვუგვაროთა?  
 თუ ლხინი გვიანდა ღმრთისაგან, ჭირნიცა შევიწყნაროთა.“

9\* კვლა იტყვის: „გულო, რაზდენცა გაქვს სიკვდილისა წადება,  
 სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება.  
 ძაგრა დამალე, არ გაჩნდეს შენი ცეცხლისა კვლა დება, —  
 ავად შეჰფერობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება!“

1. კაკ<sup>1</sup> 680,2 მოიკსნა. 2. კნ და დგ მათ. 3. კაკ<sup>1</sup> 680,4 დაცაბნდა(?). 4.  
 კაკ<sup>2</sup> 712,4 მოეკაზმა. 5. ჭიჭ 771,2 შეიყვანნეს. 6. აბ 612,4 და კაკ<sup>1</sup> 683,4  
 სრულნი(?). 7. ვარ. ბაგეთა. 8. უგ. 723,3 ახლოს სხდეს ღირსნი. 9. ვარ.  
 უტარიელოდ(?). 10. კნ და დგ არვისგან(?). 11. კაკ<sup>1</sup> 685,1 გულ-ნაკლუ-  
 ლი. 12. ინგ 724,4 რაცა. 13. კაკ<sup>1</sup> 685,4 მოუთმინა. 14. კაკ<sup>2</sup> 719,1 რამცა  
 ვით. 15. ვარ. სიზმრივ. 16. კაკ<sup>1</sup> 687,1 ტიროდის. 17. კაკ<sup>1</sup> 685,1 რწყავს  
 საგუბრითა წყაროთა; სხვა კნ და დგ ცრემლითა დასაღვარიითა.. \* =  
 გვიანდელი ჩანართი.

91

(IV: 38 — 39; აბ 619).

დაჯდა, მისთა შემხედველთა გული მათი მართლად ხელეს.  
 მისთა მჭერეტთა მისთვის ბნედა თავისათვის ისახელეს,  
 სულთ-თქვემა ბევრი აათასეს, აღარათუ აერთველეს,  
 გაყრა<sup>1</sup> ბრძანეს, — გაიყარნეს, ჯალაბობა გაათხელეს.

1. ინგ 731,4 ხალეა.

92\*

(IV: 40 — 41; აბ 621<sup>1</sup>).

„მისი ნახვა გულსა ჩემსა ვითა ბადე დაებადა.  
 მუნვე დარჩა დათმობაცა, მასთანავე დაება და! —  
 რათგან დასწავეს მოახლეთა, ღმერთსა მზედმცა<sup>1</sup> დაებადა! —  
 მერმე ასმათ ჩემთვის დისა მართ დად უფრო დაებად<sup>2</sup> ა.“<sup>2</sup>

1. ინგ 734,3 და სხვ. მზედცა. 2. აბ 621<sup>1</sup>,4 და ებადა(?!). \* = გვიანდელი  
 ჩანართი.

(IV: 49 — 50; აბ 631).

„გზა არ წაეა თავსა წინა, სიკოცხლე, გლახ, ვით გათიო<sup>1</sup>?!  
ამიკლებს და ანუ მომკლავს, — ეგე სიტყუა ვითა სთქვიო,  
რად არ მუნვე გაიგონე,<sup>2</sup> რად ხარ შმაგი აგეთიო!<sup>3</sup> —  
სჯობს სიკვილილი აკლებასა, ამას თავსა აწვე ესწვრთიო!“

1. ასე C, G და I; ზოგი კნ და ღგ გათიო(?). 2. ასე F; სხვა კნ და ღგ შემიგონე(?). 3. ვარ. აგრეთიო, ეგეთიო. 4. ვახტ. სიკოცხლე (შეად. უგ. 744,4).

(IV: 64 — 65; აბ 647).

დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრნა კედელსა, შეაღუნა.  
დააცლუნა,<sup>1</sup> მაგრა მისთვის ალმანსა, არ აძეუნა:  
„ვით მიამბე წასვლაი მისი, ვინ ალვისა მორჩი ხე წნა!“  
ვაზირისა ცრემლმან ცხელმან ლაწენი თეთრნი აახეუნა.

1. ასე ინგ 760,2 დააცლუნა; სხვა კნ და ღგ დააცლუნვა.

(IV: 67 — 68; აბ 651).

ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს, თუცა ცრემლსა არ იწყურებს.<sup>1</sup>---  
მიკვირს, რად სცალს საწყლიანოდ, რად არ გულსა შეიურებს?  
ვინ არ მისცემს ქადებულსა მოურავსა, — მოიმღურებს?  
თქმულა: „ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსცა დაიურებს.“

1. ვარ. იწყურებს, იწყურებს(?). \* = გვიანდელი ჩანართი.

(IV: 73 — 74; აბ 657<sup>1</sup> = ჰიჰ 824; აბ 658 — 659).

- 1\* (ჰიჰ. 824) შეკრა წითელი ათასი პირ-მზემან, ტანად სარომან,  
სამასი სტავრა-ატლასი უხემან და მიუმცდარომან,  
სამოცი ლალ-იაგუნდი ფერად არ საუარო მან.  
კაცი ვაგზავნა ვაზირმან, ეს ყველა მისთვის არომან.
- 1\*\* (აბ 657<sup>1</sup>) შეკრა წითელი ასი-ათასი პირად მზემან და ტანად  
[სარომან,  
სამასი თავი სტავრა ატლასი უხემან, ნიადაგ მიუმცდარომან,

სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი ფერად არ<sup>1</sup> მათგან<sup>1</sup> საუარო<sup>1</sup> მან.<sup>1</sup>  
კაცი გაგზავნა ვაზირისასა, ესე ყველი მისთვის არო მან.

- 2 შესთვალა თუ: „რაცა გმართებს, ვით მოგცე და ვით გაქონო?  
ვალთა შენთა გარდასაკდელად<sup>2</sup> რა ნაცვლი მოვიგონო?  
თულა დავრჩე, შენთვის მოვკვდე, თავი ჩემი დაგამონო,  
სიყვარული<sup>3</sup> საყვარულსა<sup>3</sup> შეგიცალო,<sup>4</sup> შეგიწონო.“ —
- 3 შე ვითა ვთქვა უებრობა, სიკეთე და ქება მისი! —  
კაცი იყო საქმისა<sup>5</sup> შესაფერი, შესატყვისი.  
ისრე უნდა მოკმარება, ჰგავიდოდეს ვისცა ვისი. —  
ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი!

1. აბ 657<sup>1,3</sup> არ მათმან საურაომან(?); უგ 771,3 მართ ვითა მიუმხვდარო-  
მან(?!). 2. ინგ 772,2 გარდასახდლად. 3. ასე I; G სიყვარულსა სიყვა-  
რული. 4. G და I შეგიცვალა. 5. ასე I; G საქმისამცა(?). \* = გვიანდე-  
ლი ჩანართი. \*\* = უფრო გვიანდელი ჩანართი.

97

(IV: 75 — 76; აბ 661<sup>1</sup>, 662; აბ „მ.ტ.“-ი, გვ XL).

- 1\*\* თუცა მისი არ გაწირვა ჩემგან მტკიცობს, არ სათულობს, —  
ყოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა ჰგომობს და აგრე ცრუობს! —  
გული მისი უნახავი ტირს და სულთ-თქვამს, ვაებს, უობს,  
ლხინსა<sup>1</sup> არ-რას<sup>1</sup> არ იახლებს, ჰკრთების,<sup>2</sup> კუშტობს,<sup>2</sup> ვამობს<sup>2</sup>  
[ქსუობს.<sup>2</sup>
- 2 სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:  
პირველ, — ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა,  
მიცემა და არ-რას შური, ჩუქებისა არ მოწყენა,  
გავლენა და მოკმარება, მისად რგებად ველთა რბენა.“

1. უბ 776,4 არას კაცსა. 2. უბ 776,4 ერიდების, კრთების, ქსუობს;  
აბ 661<sup>3,4</sup>, კრთების, კუშტობს, ვამობს, უშობს. \*\* = ძლიერ გვიანდე-  
ლი ჩანართი.

98

(IV: 95 — 96; აბ 682<sup>1</sup>; აბ „მ.ხ.“-ი გვ. XL).

„არ დავიწყება მოყვრისა არ-ოდეს გვიზამს ზიანსა.  
ვჰგომო კაცსა უაუგოსა,<sup>1</sup> ცრუსა და ღალატინას!

ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ მას კელმწიფისა სვიანსა!<sup>2</sup> —  
რა უარეა მამაცსა სულ-დიდსა, წასელა-გვიანსა!“

1. უგ. 798,2 აუგინასა. სიტყვა „უაუგოს“ ორი მნიშვნელობა აქვს: I. „უსირცხვილო“, II. „სამარცხვინო რომ არა აქვს რა ვისმე.“ (შეად. „უმსგავსო“, დადებითად თუ უარყოფიდად). 2. უგ. 798,3 მზიანსა(?).

99\*

(IV: 98 — 99; აბ 686).

„თუ საწუთრომან დამამკოს ყოველთა დამამკობელმან,  
ლარიბი მოვკვდე ლარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,  
ველარ შემსუდრონ მოყვასთა<sup>1</sup> და ვერცა მისანდობელმან,  
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალე<sup>2</sup>-მომობელმან.“

1. ასე კაკ<sup>1</sup> 762,3; (შეად. ინგ 802,3); სხვა დგ და კნ დაზრდილთა. 2. კაკ<sup>1</sup> 762,4 მოწყალედ. \* = გვიანდელი ჩანართი.

100

(IV: 99 — 100; აბ 688).

„რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საქურჭლესა დასადებლად,  
მიეც ზოგი ხანაგათა,<sup>1</sup> ზოგი კიდთა გასადებლად.<sup>2</sup>  
ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წარსაგებლად. —  
შენგან კიდე არვინ მივის ცეცხლა ჩემთა<sup>3</sup> დამავსებლად.“

1. კაკ<sup>1</sup> 764,2 ხანაგათა და. 2. ვარ. ასაგებლად, (შეად ინგ 804,2). 3. ასე კაკ<sup>1</sup> 764,4 (შეად ინგ 804,4); სხვა დგ და კნ ცხელთა.

101\*

(IV: 119 — 120; აბ 709).

ზარი გაისმა, შემოკრბა ჯარი მრავალი კაცისა.  
დარბაზს ხასთაგან ჯარია კელითა წვერთა მტაცისა.<sup>1</sup>  
ივლეჯს და იცემს ყველაი, კმა ისმის თავსა ტკაცისა.  
თქვეს: „ზნელი გვაპრთებს დღე-კრულთა, რათგან მზე მიგვიდრკა  
[ცისა!“

1. კაკ<sup>1</sup> 785,2 და უგ 825 ტაცისა(?) \* = გვიანდელი ჩანართი.

(V: დასაწყისის წინ; აბ 714).

მთვარე შზესა მოეშოროს, მოშორებუა განანათლებს.  
რა ეახლოს, შუქი დასწვავს, გაეყრების, ვერ იახლებს.  
მაგრა ვარდსა უმზეობა გააკმობს და ფერსა აკლებს. —  
ჩვენ ვერ-ჭერეტა საყვარლისა ჭირსა ძველსა ვაგვიახლებს.

(V: 1 — 2; აბ 716, 718, 718<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.“-ი XL).

- 1 რა მიეახლის დაბნედად, ვერ კელ-ჰყვის გაძვრად ენისად,  
მაგრა სდის ცრემლი თვალთაგან მსგავსად დიჯლისა<sup>1</sup> დენისად.  
ზოგჯერ დაბრუნდის, იჭერეტდის ღონედ პატიჟთა თმენისად.  
რა გაემართის, არ იცის, მას თუ არბეედის ცხენი სად!
- 2 თქვა: „ჩემო, შენი შორს მყოფი კრულია ვინცა დადუმდეს,  
რათგან შენ დაგრჩა გონება, გული შენკენვე დაბრუნდეს,  
თვალთა მტირალთა შეხედვა შენივე სწადდეს და უნდეს.  
სჯობს, სიყვარულსა<sup>2</sup> მოყუარე რაზომც<sup>3</sup> არ<sup>3</sup> დაუზაბუნდეს!
- 3 „მე რა ვქმნა შენად შეყრამდის, ანუ რას მიჭვედ ღხენასა!  
თასა მოივკლავ მე, თუცა შენგან არ ვეჭვედ წყენასა.  
მაგრა შენ გაწყენ ჩემისა არ-სიცოცხლისა სმენასა! —  
მოდი და მიესცნე ცოცხალმან თვალნი ცრემლისა დენასა!“<sup>4</sup>
- 4\*\* ტირს, იტყვის: „დადვა კეშანი ლახვარმან ჩემთვის ათმანო,  
ინდოთა რაზმი ჩემად კლვად თქვა,—ესე ტევერი ვთხზათ,<sup>4</sup>—მანო.<sup>4</sup>  
თვალთა გიშერი აშვენებს, სათმან რად მომკლა, სათმანო!  
ბაგე, კბილი და თვალ-წარბო, მომცემდით პატიჟთა, თმანო!“

1. ასე უგ 832,2; სხვა დგ კნ დილაჯის(?). 2. ასე ინგ. 833,4; ვარ სიყვარულსა. 3. ასე შანიძე („მნათობი“); სხვა კნ და დგ რაზომცა. 4. ასე აბ. 718<sup>1</sup>,2; უგ 835,2 ვთხზა თმანო(?). \*\* = ყოვლად უშვერი ძლიერ გვიანდელი ჩანართი.

(V: 2 — 3; აბ 720).

„ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი,  
შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა, ჯაჭენი მაზიან რკინანი!  
ბროლ-პადახშისა მძებნელმან სათნი დავკარგენ მინანი.  
მაშინ ვერ გავძელ<sup>1</sup> სიახლე, აწ სიშორესა ვინანი.

1. ვარ. გავძლე.

(V: 4 — 5; აბ 724).

- 1 ლამე აღზენდის, დღე სჯიდის,<sup>1</sup> ელის ჩასვლასა მზისასა.  
რა წყალი ნახის, გარდაკდის, უჭკერეტდის ჭავლსა წყლისასა.  
მას თანა-პრთედის<sup>2</sup> ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა.  
კვლა გაემართის, ისწრაფდის წავლასა<sup>3</sup> მისვე გზისასა.
- 2 მარტო მოსთქმიდის, ტიროდის ტანად აღვისა ხიანი.  
მინდორს თხა მოკლის, სადაცა ადგილი დაჰხედის კლდიანი.  
შეწვის, ჭამის და წავიდის პირ-მზე, გულ-მარიხიანი.  
იტყვის: „დავყარენ ვარდნი და, აჰა მე, ვაგლახ, იანი!“<sup>4</sup>

1. ვარ რჯიდის. 2. ვარ. (პ)რთედის. 3. I წასლევასა (შეაღპ ზოგ. დგ). 4. კაკ<sup>1</sup> 800,4 ვაგლახიანი.

106\*

(V: 8 — 9; აბ 728<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XL; აკლია G-ს).

„თუ<sup>1</sup> უმისოდ სოფელს ყოფნა რათგან ჩირად<sup>2</sup> არ მიღირდა,  
რად დავვიწყდი, რა მოვსცილდი, რად ვერ გაძლო, რა მისჭირდა?  
მან ვატეხა ზენარისა რად შემართა, ვით გაპირდა?  
მაგრა ჩემის<sup>3</sup> ბედისაგან<sup>3</sup> ავი<sup>3</sup> რამცა გამიკვირდა!“

1. უგ. 846,1 მე. 2. ასე უგ 846,1; სხვა დგ და კნ ჭირად. 3. კაკ<sup>1</sup> 804,4  
ავის ბედისაგან ჩემი. \* = გვიანი ჩანართი.

107\*

(V: 13 — 14; აბ 734).

„მას ზენარსა<sup>1</sup> არ<sup>1</sup> გაუტეხ<sup>1</sup>, მას ფიცსა არ ვეცრუებო,  
მას პაემნამდის მოვუცდი,<sup>2</sup> რაზომცა<sup>3</sup> გამდის რუები.  
თუ მკედარი მნახოს, დამმარხოს, თქვას ვაგლახი და უები.  
ცოცხალი დაჰხედე, უკვირდეს, — სიცოცხლე არს სათუები.“

1. უგ. 852,1 ზენარსა არ გავსტეხ; ჭიკ. 911,1 ზენარს არა გაუტეხ.  
F 2. ინგ. 852,2 მოვიცდი. 3. აქაც რაზომცა. = რაზომ-მცა.  
\* = გვიანდელი ჩანართი.

(V: 17 — 18; აბ 739).

„პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი,  
მშობლური, ტკბილი, მოწყალე, — ცა, წყალობისა მთოველი,  
მას ეუორგულე, წამოველ, მართ დავივიწყე ყოველი!  
მისი შემცოდე ღმრთისაგან კარგსა აღარას მოველი!“

(V: 20 — 21; აბ 743).

იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე შენ უფალსა, არსთა მხედსა!  
რად გამყარე მოყვარეთა,<sup>1</sup> რად შემასწარ ამა ბედსა?  
ერთი ორთა მგონებელი ვარ საქმესა წარსაწყმედსა!  
მოკვცდე, თავი არ მეწყალვის, სისხლი ჩემი ჩემსა ქედსა!<sup>2</sup>“

1. კაკ<sup>2</sup> 863,2 მოყვარესა. 2. ჭიჭ 920,4 ქედს ა.

(V: 21 — 22; აბ 745 — 747).

1 კელა იტყვის: „მიკვირს ნაღველი<sup>1</sup> კაცისა ჭკუიანისა!  
რა მჭმუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ბანისა?!  
სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა.  
აწ შეცა მიჯობს მონახვა მის მზისა, ლერწამ-ტანისა.“

2 ყმა გაემართა საძებრად მტირალი, ცრემლთა მფრქვეველი.  
ეძებს, უზახის, უყივის დღეებრ ღამეთა მთიეველი.  
სამ დღემდის მოვლო მრავალი კევი, შამზნარი, ტყე, ველი.  
ვერ პოვა, მივა მჭმუნვარე, ვერას ამბისა მცნეველი.

3\* იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე, ეზომ დიდი რა გაწყინე,  
რად შემასწარ ამა ბედსა, რა სასჯელი მომივლინე!  
გამკითხველო, გამიკითხე, აჯა ჩემი შეისმინე!<sup>2</sup>  
დაამოკლენ დღენი ჩემნი, ჭირნი ამით მომილხინე!<sup>2</sup>“

1. ვარ. ნაღველი. F 2. ასე ინგ 865,4; ვარ გამილხინე. \* = გვ. ჩანართი.

(V: 22 — 23; აბ 749).

რა შეხედნა ყმასა გულმან გაუფეთქნა გაუნათდა.  
აქა ლხინი დაღრეჯილსა უათასდა, არ უათდა.

ვარდმან ფერი განანათლა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა.  
ვით გრივალმან ჩაირბინა, არ მოსცალდა<sup>1</sup> ჭვრეტად მათთა.

1. ასე ინგ. 867,4; სხვა კნ და დგ მოსცილდა.

112

(V: 26 — 27; აბ 754).

ესე ყველაი ასრეა, რაცა აწ ჩემგან თხრობილა:  
ცრემლნი მოსწურნა თვალთაგან, ცოტადრე მოაცნობილა.  
მაშინლა იცნა, აკოცა, მოეჭლო, მოემობილა. —  
ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა, მათებრივ<sup>1</sup> არვინ შობილა!

1. ასე ინგ 872,4; სხვა კნ და დგ მისებრივ.

113

(V: 29 — 39; აბ 757A).

„ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ,  
მინდორს სტირ და მკეცთა ახლავ, — რას წადილსა აისრულებ?  
ვისთვის ჰკედები, — ვერ მიხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ.  
თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყულულსა ახლად რად იწყულულებ?“

114

(V: 37 — 38; აბ 765 — 766).

- 1 „რა სთქვი, რას იტყვი, არ მესმის, არცა მცალს სმენადი ამისად.<sup>1</sup>  
სიკვდილი მახლავს ხელ-ქმნილსა, სიციცხლე არის წამისად.  
აწ გამიარმდა სოფელი<sup>2</sup> მეტად ყოვლისა ჟამისად.  
მუნ მეცა მივალ, — მიწად<sup>3</sup> მალ,<sup>3</sup> გამდის<sup>3</sup> ცრემლისა ლამი სად.<sup>3</sup>
- 2 ბრძენი, — ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!  
ეგ<sup>4</sup> საუბარი მაშინ კამს, თუცალა ვიყო ცნობასა. —  
ვარდი ვერ არის უმზეოდ, იყოს, — დაიწყებს ჭნობასა. —  
მაწყენ, დამეკსენ, არა მცალს, არცალა ვახლავ თმობასა!“

1. ვარ შავისად. 2. ინგ 885,3 სიციცხლე. 3. კაკ<sup>1</sup> 843,4 ცრემლისა მიწად  
სად გადის ლამისად(?); ინგ 885,4 და სხვა დგ და კნ ცრემლისა, მიწად(.)  
სად გამდის ლამი, სად(?). 4. კნ და დგ ეს.

(V: 43 — 44; აბ 773).

შეაქცევს და ეუბნების საუბართა შეენიერთა.

მისთვის სძრვიდა სასაუბროდ მათ ბაგეთა ძოწის ფერთა. —

მისი სმენა გააყრმობდა<sup>1</sup> მსმენელისა ყურთა ბერთა! —

მოაშორეა<sup>2</sup> კაეშანი, დათმობასვე<sup>3</sup> შეაერთა.

1. ასე ინგ 893,3; ვარ გააყრმობდა. 2. კაკ<sup>1</sup> 851,4 და უგ. 893,4 მოიშორეა; აბ 773,4 მოეშორეა. 3. ინგ 893,4 და თმობავე; დგ და კნ დათმობავე.

(V: 48 — 49; აბ 779).

„თქვენს შუა მქმნელი საქმისა, შენგან ნაკობი დობისა, —

თქვენი შემყრელი მსახური, — შენის<sup>1</sup> ღირს-მქნილი ძმობისა,<sup>2</sup>

მისი გამზრდელი, გაზრდილი, მისთვის მიკდილი ცნობისა!

გლახ, დაგივდია, არ ჰნახავ! შაბაშ მართლისა, ბრჭობისა!<sup>3</sup>“

- i. კნ და დგ შენგან. 2. კნ და დგ კმობისა. 3. ბრჭობისა = ბრჭობისად.

\* = გვიანდელი ჩანართი.

(V: 49 — 50; აბ 781 — 785).

- 1 დაჰმორჩილდა, გაემართნეს ავთანდილ და ამირბარი. —

ვერ მიგია ქება მათი, ვერ-რა<sup>1</sup> ქებად<sup>1</sup> საქებარი:

კბილნი ვითა მარგალიტნი, ბაგე — ვარდი ნაპობარი,

გველსა კერელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი! —

- 2 ამას ეტყვის: „შენთვის დავსდებ გონებასა, სულსა, გულსა, მაგრა შენცა ნუ აგრე ხარ, ნუ იწყლულეებ ახლად წყლულსა. არას გარგებს სწავლულობა, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა. არ იკმარებ, რას კელსა - ჰკდი საუფჯესა დაფარულსა?“

- 3 არას გარგებს შეჭირვება, — რომ სჭმუნვიდე, რა გერგების? არ თუ<sup>2</sup> იცი, — უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების? მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი სამ დლე არ დაჭნების. — ბედი, ცდა, და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცავხვდების.“

- 4 ყმაძან<sup>3</sup> უთხრა: „ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად სოფლად ღირდეს. გონიერსა მწვერთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.“

მაგრა რა ვქმნა, რაგვარ გაეძლო, მეტის-მეტი რა მიმჭირდეს?!  
შენცა გჭირან ჭირნი ჩემნი, არ მამართლო, არ მიკვირდეს?!<sup>1</sup>

- 5 ცვილსა ცეცხლსა<sup>4</sup> სიმკურვალე უგავს, ამად აენტების.  
მაგრა წყალსა არსით ახლავს, — თუ ჩავარდეს, დაცაშრტების. —  
რაცა ვის<sup>5</sup> რა<sup>6</sup> საქმე თვით სჭირს, სხვათათვისცა ევარგების.<sup>6</sup> —  
თავიდაღმა რად არ იცი, გული ჩემი რაგვარ დნების!<sup>4</sup>

1. კაკ<sup>1</sup> 859,2 შესაფერად; სხვა დგ და კნ ვერა ქება. 2. ინგ 903,2. 3.  
ინგ. 904,1 მოახსენა. 4. კნ და დგ ცეცხლის(?). 5. ასე კაკ<sup>1</sup> 863,3; სხვა  
დგ და კნ ვისცა. 6. ასე ინგ 905,4; სხვა დგ და კნ ეკადრების(?).

118\*

(V: 51 — 52; აბ 788).

„ქედსა გარდავდეგ, ლომ-ვეფხი მოვიდეს ერთგან რებულნი.  
სახედ ვაძსგავსენ მიჯნურთა, ციცხლნი დამეცნეს დებულნი.  
შეიყარნეს და შეიბნეს, იბრძოდეს გამწარებულნი.  
ლომი სდევს, ვეფხი მიურბის, არ იყვნეს ჩემგან ქებულნი.“<sup>4</sup>

\* = გვიანდელი ჩანართი.

119

(V: 60 — 61; აბ 798 — 802; 802;<sup>1</sup> 803; აბ „მ.ტ.“-ი, გვ XL და შემ).

- 1 ტარიელ ეტყვის: „ჰე დაო, მით ცრემლი აქა მდინია,<sup>1</sup> —  
საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გავვიცინია. —  
ძველი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმინია!<sup>2</sup> —  
ვა, შენი ბრალი, დავ,<sup>3</sup> თვარა სიკვდილი ჩემი ღზინია!“
- 2 სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი!  
მე თვალთა ჩემთა მით<sup>4</sup> მიკვირს, რად ვარ ცრემლითა ღტობილი.  
უწყლოობა<sup>5</sup> ჰკლავს, — წყალი სდის აროდეს არ ვაკმობილი! —  
ვა, წარკდა ვარდი პობილი, ვა, მარგალიტი წყობილი!“
- 3 ავთანდილსცა მოეგონა მისი მზე და საყვარელი.  
იტყვის: „ჩემო ვით ვეგები მე უშენოდ სულთა მთქვემელი!<sup>6</sup>  
შენ არ გახლავ, ჩემი ჩემთვის სიცოცხლეა სანანელი.  
გითხრამცა ვინ, რა მჭირს, ანუ რა ცეცხლი მწევს, რაგვარ ცხელი:

- 4 ვარდი ამას ვით იაზრებს, მზე მოჰშორდეს,<sup>7</sup> — არ დავექნეო, ანუ ჩვენ, გლახ, რა გვერგების,, რა ჩასვენდეს გორსა მზეო! — გულო გიჯობს გაუმაგრდე, თავი სრულად გააკლდეო. — ნუთუ მოგზედეს ნახეა მისი, სულთა სრულად ნუ დაჰლეო!<sup>4</sup>
- 5 სული დაიღეს, დაღუმდეს, ორთავე ცეცხლი სდებოდა. ასმათი<sup>8</sup> შეჰყევა,<sup>8</sup> შევიდა, მათებრ<sup>9</sup> საკმილი<sup>9</sup> ჰგზებოდა. დაუგო ტყავი ვეფხისა, რომელ კელა მიწყვი ჰგებოდა. ორნივე დასხდეს, უბნობდეს რაცა მათ ეამებოდა.
- 6\* მწვადი შეწვეს<sup>10</sup> და<sup>10</sup> შეიქმნა პურობა მსგავსი ჟამისა. მუნ უპუროდ<sup>11</sup> ა პურობა,<sup>11</sup> არ სიდიადე ჟამის ა. მას შეეხვეწნეს, — ჭამეო, — ძალი არ ჰქონდა ჭამისა. გაცოხნის ლუკმა, გატყორცის, წონა ძლიე ჩანთქის დრამისა,
- 7 ამოა რომე<sup>12</sup> კაცი<sup>12</sup> კაცს<sup>12</sup> ამოსა ეუბნებოდეს, მან გაუგონოს რაცა თქვას, არ ცუდად წაუკლებოდეს. ცოტად ეგრეცა დაუესებს, ცეცხლი რაზომცა სდებოდეს. — დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუკლებოდეს.

1. კაკ<sup>1</sup> 876,1 მდენია. 2. კაკ<sup>1</sup> 876,3 მოსასმენია. 3. აბ 798,4 და თვარე; ჭიჭ 977,4 დავ, თვარე; კაკ<sup>1</sup> 876,4 და უგ 918,4 თვარადა. 4. კაკ<sup>1</sup> 877,2 ვით. 5. ასე კაკ<sup>1</sup> 877,3 და უგ 919,3; სხვა დგ და კნ უწყალობა(?). 6. კნ და დგ სულთა-მდგმელი(?). 7. ინგ 921,1 მომშორდეს. 8. კაკ<sup>1</sup> 880,2 ასმათ შეყევა და. 9. კაკ<sup>1</sup> 880,2 მათებრვე ცეცხლი. 10. უგ 923,1 შეიწვეს. 11. კნ და დგ უპურობა პურობა(?); ჭიჭ. 982,2 უპურობა პურისა(?). 12. კაკ<sup>1</sup> 882,1 რომ კაცი კაცსა. \* = გვიანდელი ჩანართი.

120\*\*

(V: 77 — 78; აბ 821; აბ „მ.ტ.“-ი გვ. XLVIII)

ლექსთა მკითხველნო, თქვენნიმცა<sup>1</sup> თვალნი<sup>1</sup> ცრემლისა მღვრელია! გულმან რა, გლახ, ქმნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია! მოშორებება და მოყვრისა გაყრა კაცისა მკლველია! ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე რაგვარ ძნელია!

\*\* = ძლიერ გვიანდელი ჩანართი. 1. ინგ 342,1 თქვენნიმცა თვალი: ვარ. თქვენიცა თვალნი.

( V: 82 — 83; აბ 827).

თხა მოკ ლეს და მიითრივეს, ცეცხლი შექმნეს ზღვისა პირსა,  
სვეს და ჭამეს, რაცა ჭამა შეჰფეროდა მათსა ჭირსა.  
მას ლამესა ერთგან<sup>1</sup> იყვენეს, ერთგან მიწვნეს<sup>2</sup> ხეთა ძირსა. —  
ვჰგმობ მუნთალსა საწუთროსა, ზოგჯერ უხესა, ზოგჯერ ძვირსა!

1. კნ და დგ ერთად. 2. კაკ<sup>1</sup> 906,3 და უგ 948,3 მიწვეს.

( VI: 1 — 2; აბ 830<sup>1</sup> — 830<sup>5</sup>; აბ „მ.ტ.“-ი გვ. XLI; შეად. ა. სარა-  
ჯიშვილი, „მოამბე“, 1898, IV, გვ. 1 და შემ; აბ 830<sup>2</sup> — 830<sup>5</sup> აკლ..B).

- 1 ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, კმა მისწვდების ცათამდის.  
იტყვის თუ: „ღვარი ცრემლისა<sup>1</sup> კვლაცა მდენია, კვლაცა მდის!“  
აწ აგრე გაყრა ძნელია, ვით მაშინ შეყრა მათ<sup>2</sup> ამდის.<sup>2</sup>  
კაცი არ ყველა შორია,<sup>3</sup> კიდი<sup>4</sup> ძეს კაცით კაცამდის.
- 2 ველს მაშინ მკეცნი ძღებოდეს სისხლითა<sup>5</sup> მუნ ნატირითა.  
ვერ დაივებდა საკმილსა, იწვის ცეცხლითა, კშირითა.  
კვლა თინათინის გონება ავსებს უფრორე<sup>6</sup> ჭირითა.  
ბაგეთათ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა.
- 3 ვარდი ჭნებოდა, ღრებოდა,<sup>7</sup> ალვისა<sup>8</sup> შტო<sup>8</sup> ირხეოდა,<sup>8</sup>  
ბროლი და ლალი გათლილი ლაქვარდად გარდიქეოდა.  
გამაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ უმკნეოდ ა.  
იტყვის თუ: „ბნელი რას მიკვირს, რათგან დამაგდე, მზეო, და!“
- 4 მხესა ეტყვის: „მზეო, გიტყვი<sup>9</sup> თინათინის ლაწვთა დარად.  
შენ მას ჰგავ და იგი შენი გგავს, თქვენ ანათებთ მთად და ბარად.  
ხელსა მალხენს ნახვა შენი, ამად გიჭურეტ არ დამცდარად.  
მაგრა ჩემი რად დააგდე გული ცივად, გაუმთბარად? —
- 5 თუ<sup>10</sup> ერთისა მოშორევა მზისა ზამთრის<sup>11</sup> გაგვამცივენებს,<sup>12</sup>  
მე, გლახ, ორნა დამიყრიან, გული ამად რად არ ივენებს!  
მაგრა კლდესა არ-რა შესწონს, არაოდეს არ იმტკივნებს.<sup>13</sup>  
წყლოლსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს ანუ გაამსივნებს.<sup>14</sup>

1. კნ და ღგ სისხლისა(?). 2. 952,3 და ცამდის; სხ. ღგ და კნ ცათამდის(?).  
3. კნ და ღგ სწორია. 4. კნ და ღგ დიდი. 5. ასე უგ. 953,1; სხვა ღგ კნ  
ცრემლითა. 6. უგ 953,3 უფროვე. 7. K ღრუბლობდა(?). 8. I და K ალ-  
ვის შტო შეირხეოდა. 9. F გსახე. 10 ასე ინგ 956,1; სხ. კნ და ღგ თვე(!).  
11. ინგ. 956,1 ზამთარს. 12 ინგ 956,1 გაგვიმციენებს; სხვა კნ და ღგ გაგ-  
ვაციენებს. 13 ასე ინგ 956,3; აბ 830<sup>5</sup>,3 და სხვ. ატკიენებს(?). 14. აბ.  
830<sup>5</sup>,4 და სხვ. გაასიენებს. \* = გვიანდელი ჩანართი.

123

(VI: 8 — 9; აბ 837<sup>1</sup>; 838 — 840<sup>1</sup>: აკლია K-ს; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XLI  
და შემდ. შეად. ა. სარაჯიშვილი, „მოამბე“, თბილისი 1898, IV,  
გვერდ. 13 და შემდ.).

- 1\* „აჰა, მოწმობენ<sup>1</sup> ვარსკლავნი, შეიძინივე მემოწმებთან:  
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზაულ ჩემთვის ბნდებთან,  
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყევებთან, --  
მას გააგონენ<sup>2</sup> რანიცა ცეცხლნი უშრეტნი<sup>3</sup> მდებთან.“
- 2 აწ გულსა ეტყვის: „ვითამცა გდის ცრემლი, არ გაგკმობია,  
რას გარგებს მოკლეა თავისა, — ეშმა ძმად თუ-რე გძმობია?!  
მეც ვიცო, ჩემსა ხელ-მქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია!  
მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია?!
- 3 თუ დავრჩეო, ესე მიჯობს.“ — სიცოცხლესა ეტყვის თუ-სა. —  
„ნუ თუ მომხვდეს ნახეა მზისა, ნუ ვიზახი მიწყვი უ - სა!“ —  
მიიმღერის კმასა ტკბილსა, არ დასწყვედის<sup>4</sup> ცრემლთა რუსა,  
მისსა კმასა თანა კმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსსა.<sup>5</sup>
- 4 რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მკეცნი მოვიდიან.  
მისევ კმისა სიტკბოსაგან წყლით<sup>1</sup> ქვანიცა გამოსხდიან.  
ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან.  
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლი სდიან.
- 5\*\* მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:  
ტყით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მტრინ-  
[ველნი,  
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი,  
რუსნი, სპარსნი, მოღრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი.

1. ინგ 964,1 მმოწმობენ. 2. C და I გააგონე; აბ 837<sup>1</sup>,4 და ჭიკ. 1024,  
გააგონენ. 3. ასე F და G, (შეად. უგ 964,4); C და ვახტ. უშენოდ (შეა-

დართო კაკ<sup>2</sup> 965,4 და აბ 837<sup>1,4</sup>); I რაზომცა. 4. ასე C, G და I; სხვა კნ და დგ გასწყვეტლის. 5. ასე შანიძე („მნათობი“). 6. ინგ \* 968,2 კლდით(?).

\* = გვიანდელი ჩანართი.

\*\* = ძლიერ გვიანდელი ყოვლად უაზრო და უშვერი ჩანართი.

124\*

(VI: 10 — 11; აბ 843; აკლია K-ს).

„ნურადინ-ფრიდონ მეფეა ამა ქვეყნისა ჩვენისა,  
მოყმე შენე, უხვი, ძლიერი, ფიცხლად მომხლტომი ცხენისა..  
ვენება არაკის არ ძალ-უტე ბის შხისა ოდნად მშვეენისა. —  
იგია ჩვენი პატრონი, მსგავსი მზის შუქთა მფენისა.“

\* = გვიანდელი ჩანართი.

125\*

(VI: 12 — 13; აბ 346).

ყჰამან უთხრა: „მიკვირს, ძმანო, რად ხართ ჩემთვის გულ-მოკ-  
[ლულნი,

ანუ ეგრე ვით გეკეთნეს ზამთრის ვარდნი ფერ-ნაკლულნი?  
თქვენმცა მაშინ გენახენით, ლაღნი ვსხედით, არ საპყრულნი,  
ჩვენნი მჭერეტნი დავაშვენენით, ჩვენგან სხდიან მზიარულნი.“

126\*

(VI: 13 — 14; აბ 847<sup>1</sup>; აბ „მ.ბ.“-ი გვ. XLII).

ვინცა<sup>1</sup> გზას<sup>1</sup> ნახნის უცხონი, კმსახურებდიან, ჰყმობდიან,  
მოვიდოდიან საჭვრეტლად. მას ზედა სტრფიალობდიან,  
ეჰნელეზობდის გაშვება, გაყრასა ძლივ დასთმობდიან,  
გზის ყოლაოზი მისციან, ჰკითხის რა, უამბობდიან.

\* = გვიანდელი ჩანართი. 1. ასე ინგ. 976,1; ვარ. ვინც გზასა.

127

(VI: 22 — 23; აბ 856).

რა ტარიელ მოისმინა, ფრიდონს ჰირი უმსუბუქდა.  
თვალათ<sup>1</sup> ცრემლნი<sup>1</sup> გარდმოსცივიდეს,<sup>2</sup> გული უფრო აუჩუქდა.  
მონაქროლმან ვარდი დაზრა, წამწამთაგან ბუქი ბუქდა.  
შეიყარნეს, — ერთმანერთი მათგან იქო, არ გაუქდა.

1 კნ და დგ თვალთა. 2. კაკ<sup>1</sup> 942,2 ცრემლი გარდმოსცივიდა.

\* = გვიანდელი ჩანართი.

(VI: 23 — 24; აბ 858; 858<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XLII).

- 1 მოეხვივნეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაპრიდონ. თვით უსახოდ ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონ. რა მჭერეტელთა იგი ნახონ, მზე მათთანა გააფლიდონ! მომკალ, ბაზარს სხვა მათებრი ივაჭრონ რა, ან<sup>1</sup> გაჰყიდონ!<sup>1</sup>
  - 2 \* ფრიდონისებრნი მოყმენი თუცა<sup>2</sup> ვინ, ვით ეგებინ, მაგრა მას ახლვან<sup>3</sup> ქებანი, მართ მეტნი<sup>4</sup> არ მიჰხვდებიან. — მზე უჩინო-იქმს<sup>5</sup> მნათობთა, რა ახლოს შეიყრებიან, დღისით ვერ ნათობს სანთელი და ღამით შუქნი ჰკრთებიან.
1. ასე I და K; სხვა კნ და ღვ ანუ (3)ყიდონ. 2. ინგ. 989,1 ვინა; სხვ კნ და ღვ ვინმცა(?); 3. ასე ინგ. 989,2; აბ 858<sup>2</sup>, 2 და სხვ. ახლავს(?). 4. ინგ. 989,2 მეტი. 5. G იქს. \* = გვიანდელი ჩანართი.

(VI: 34 — 35; აბ 870).

„ვითა მთვარე დაუდგრომლად იარების, არ დადგების, მასვე ცხენსა შენეულსა ზის, აროდეს გარდაცვლების, არას ჰნახავს პირ-მეტყველსა, ვით ნადირი კაცთა ჰკრთების. — ვა მე, მისსა მგონებელსა, ვა მას, ვინცა მისთვის კვდების!“

(VI: 38 — 39; აბ 875).

ლაშქართა შიგან შეიქმნა კმა ტირილისა დიდისა, ზოგთაგან ზოკა პირისა, ზოგთაგან სრევა რიდისა. ფრიდომ ტირს, მოსთქვამს კმა-მალლად, გაყრილი წლისა შეიდისა: „უხანობა და სიცრუე, ვა, საწუთროსა ფლიდისა!“

\* = გვიანდელი ჩანართი.

(VI: 43 — 44; აბ 881).

დასხდეს, შეიქმნა პურობა, გაამრავლებდეს მახალსა. უმასპინძლებდეს ავთანდილს ვითა მზახალი მზახალსა. მოიღებდიან ჰურჯელსა ტურფასა, ახალ-ახალსა. — მაგრა მის ყმისა მჭერეტელთა გული მიეცა, გლახ, ალსა,„

132

(VI: 44 — 45; აბ 883).

ყმამან დაყენა დღენი რამე, თუცა ყოენას ვერა სთმოზდა.  
ფრიდონს თანა ნადიროზად გავიდის და თამაზობდა.  
სწორად ჰყოცდა, შორს და ახლოს, თუ რას თვალსა მიაპყრობდა.  
მისი სროლა მშვილდოსანსა ყველაკასა აწბილობდა.

1. კნ. და დგ. კელსა(?).

133\*

(VI: 50 — 51; აბ 890).

ზარი მის ყმისა<sup>1</sup> გაყრისა<sup>1</sup> გავდა, მიეცნეს წუხილსა.  
მოატყდეს მოქალაქენი, ლარსა ვინ ჰყიდა, თუ ხილსა.  
კმა ზახილისა მათისა ჰგვანდა ჰაერთა<sup>2</sup> ქუხილსა.  
იტყოდეს: მზესა მოვჰშორდით, მო, თვალნი<sup>3</sup> მივსცნეთ წუ-  
[ხილსა!"]

1. ასე ვახტ.; C, F და G ყმისა წასვლისა; I მზისა გაყრილთა. 3. ასე ინგ. 1021,1; სხვა კნ და დგ თვალი მივსცეთ. \* = გვიანდელი ჩანართი

134\*

(VI: 53 — 54; აბ 893<sup>1</sup>—893<sup>2</sup>; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XLII და შემდ.).

1 ყმა მიმავალი მიუბნობს მსგავსი მთვარისა სრულისა.  
არს თინათინის გონება მისად სალხენლად გულისა.  
იტყვის: „მოვშორდი, — სიცრუევე, ვა, საწუთროსა კრულისა!  
შენ გაქვს წამალი ჩემისა მამრთელეზელი წყლულისა.

2\*\* რად სიცხე გულსა ნიადაგ მწვავეს გმირსა<sup>1</sup> სამს<sup>2</sup> ალებისა,<sup>2</sup>  
რად გული კლდისა ტინისა შემქმნია სამ სალებისა!  
არ შეუძლია ლახვარსა დაჩენა სამსა ლებისა!  
შენ ხარ მიზეზი სოფლისა ასრე გასამსალებისა!“

1. კნ და დგ გმირთა. 2. ასე ინგ 1026,1; სხვა კნ და დგ სამსალებისა.  
\* = გვიანდელი ჩანართი. \*\* = კიდევ უფრო გვიანდელი ჩანართი.

135\*

(VI 69 — 70; აბ 909<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.-ი“, გვ. XLIII; აკლია K-ს და ვახტ.-ს).

ძელი მოსტევა აეთანდილ, დარჩა ნავ-დაუღეწელი.  
შეშინდეს იგი ლაშქარნი, გზა ძებნეს გარდასხვეწელი.

ველარ გაესწრხეს, გარდუკდა მტერთა მიდამო მღეწელი.  
არ დარჩა კაცი ცოცხალი მუნ<sup>1</sup> მისგან<sup>1</sup> დაუფრეწელი.

1. ასე ინგ. 1043,4; სხვა დგ და კნ მასშიგან. \* = გვიანდელი ჩანართი.

136\*

(VI: 71 — 72; აბ 912)

კაცო ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკეცხ ვითა მთვრალი,  
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი.  
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწევას ნაბერწკალი.  
ღმერთი გფარავს, — სწორად გაჰკვეთს, შეშა ვის ჰკრა თუნდა  
[კრძალი.

\* = გვიანდელი ჩანართი.

137\*\*

(VI: 72 — 73; აბ 913<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.-ი“, გვ. XLIII; აკლია G-ს)

ავთანდილის მაქებელად<sup>1</sup> ათასიმცა ენა ენდა!<sup>2</sup>  
ვერცა მათ თქევან,<sup>3</sup> ნაომრობა რაგვარ ტურფად დაუშვენდა.  
ქარავენმან იზრიალა, თქვეს: „უფალო, მადლი შენდა!  
მზემან შუქნი შემოგვადგნა, ღამე ბნელი გაგვითენდა!“

1. ასე ინგ 1048,1 სხვა კნ და დგ მაქებელთა. 2. კაკ<sup>2</sup> 1048,1 და უგ 1048,1  
უნდა. 3. კნ და დგ თქვეს(?). \*\* = ძლიერ გვიანდელი ჩანართი.

138

(VI: 75 — 76; აბ 917).

ამოა, კარგსა მოყმასა რა ომი გაჰმარჯვებოდეს,  
ამხანაგთათვის ეჯობნოს, ვინცა მას თანა-ჰხლებოდეს,  
მოულოცვიდენ, აქებდენ, მათ აგრე მყოფთა სწებებოდეს,  
ჰშვენოდეს დაკოდილება, ცოტაი რამე ჰგნებოდეს,

139\*

(VI: 88 — 89; აბ 930<sup>1</sup> — 930<sup>2</sup>; აბ „მ.ტ.-ი“, გვ. XLIII).

- 1 „აქა მოსვლითა გაყრმდების კაცი<sup>1</sup>, თუც<sup>1</sup> იყოს<sup>1</sup> ბერები.  
სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ<sup>3</sup> არნ სიმღერები.  
ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქეს ყვაილი ფერად-ფერები.  
ვინცა გვიცნობენ, გენატრიან, — იგიცა, ვინ ა მტერები.

2 დიდ-ვაჭარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ ჰპოვებენ:  
იყიდიან, გაჰყიდიან, არა<sup>1</sup> თუ<sup>4</sup> ცუდად<sup>4</sup> წააგებენ. —  
გლაზა თვე ერთ გამდიდრდების, სავაჭროსა ყოველგნით ჰკრებენ;  
უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ.<sup>4</sup>

1. ინგ 1066,1 კაციმცა იყო. 2. ასე F და I; G დღე ყოველ. 3. ასე ინგ.  
1067,1; სხვა დგ და კნ ამის მეტსა.. 4. ასე ინგ 1067,2; სხვა დგ და კნ  
მოიგებენ. \* = გვიანდელი ჩანართი.

140\*

(VI: 95 — 96; აბ 938).

ზარი გაკდა<sup>1</sup> და შემოკრბეს<sup>1</sup> ქალაქისა ერნი სრულად.  
იქათ-აქათ იჯრუბოდეს, — ვუჭვრიტოთო ამის რულად!<sup>2</sup>  
ზოგნი ნდომით შეჰფრფინვიდეს,<sup>3</sup> ზოგნი იყენეს<sup>4</sup> სულ-წასრულად.  
მათთა ცოლთა მოიძულნეს ქმარნი, — დარჩეს გაბასრულად.

1. C, D და I გაკდა, შემოკრიბეს; ვახტ გაკდა, შემოაკრფეს (შეად. უგ  
1075,1); F გაისმა, შემოკრდა. 2. კაკ<sup>2</sup> 1075,2 სრულად(?). 3. F და G შეფ  
რფინვიდენ. 4. F იყენ; G დარჩეს. \* = გვიანდელი ჩანართი.

141

(VII: დასაწყისის წინ; აბ 944).

სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგანც<sup>1</sup> ვითა<sup>1</sup> დაითმობის.<sup>1</sup>  
გიღიზღებს და შეგიკვეთებს, შეგიწდობს და მოგინდობის.  
მართ ანაზღად ვილაღატებს, — გაჰკვეთს, რასცა<sup>2</sup> დაესობის.  
მით დიაცასა ამაღავი არასთანა არ ეთხრობის.

1. G ვითა ვისგანც გაიძლებს; C, D, I და სხვ. ვისგან ვითა დაითმობის.  
2. ასე შანიძე; სხვა გამოცემებში რაცა.

142

(VII: 8 — 9; აბ 953).

თქვა: „ყვავი ვარდასა რას აქნევს,<sup>1</sup> ანუ რა მისი ფერია! —  
მაგრა მას ზედა ბულბულსა ჯერო ტკბილად არ უმღერია! —  
უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა<sup>2</sup> მით<sup>2</sup>, — ოკერია.<sup>2</sup> —  
რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!“

1. ინგ. 1090,1 ღირსა. 2. დგ მოკლეა, მით ოკერია(!): სრულად წინააღ-  
მდეგ: იმიტომ არის მოკლე რომ ოკერია.

143

(VII: 10 — 11; აბ 956).

თქვა: „დიაცა ვინცა უყვარს გაექსვიჲ და მისცემს გულსა.  
აუგი და მოყინვება არად შესწონს ყოლა კრულსა!  
როცა იცის, გაუცხადებს, ზეაშიადსა უთხრობს სრულსა. —  
მიჯობს მიეპყვე, განლა<sup>1</sup> სადმე<sup>2</sup> ვსცნობ საქმესა დაფარულსა.“<sup>3</sup>

144

(VII: 25 — 26; აბ 972).

რა ესე ესმა ავთანდილს ლაღსა, ბუნება-ზეარსა,<sup>1</sup>  
ადგა და ლახტი აიღო, — რა ტურფა რამე მენე არსა!  
„ამა საქმისა ვერ-ცნობა,“ თქვა, „ჩემი სიძუნტე<sup>2</sup> არსა!“ —  
ნუ ეტე სულთ-დგმულსა<sup>3</sup> მისებრსა,<sup>3</sup> სხვა<sup>4</sup> არცა<sup>4</sup> მისებრი<sup>4</sup> არსა!

1. F გონება-ზიარსა; B გუნება-ზიარსა; ინგ. 1109,1 ბუნება-ზიარსა. 2. B, G და I სიძუნტე; F სიწუტე(?!). 3. I და K სულდგმულსა ქვეყანად; G მისებრი სულდგმულსა. 4. F არცა მისებრ სხვა; I და K თუ ვითმე მისებრი; G რაცა სად მისებრი; ქიკ. 1172,4 სხვა არცა მისებრვე.

145

(VII: 32 — 33; აბ 980).

კმა მათისა დაკოცისა არ გაისმა არსით არა.  
წამოვიდა ვარდი ტკბილი, — რასამცა ვით გაემწარა?  
ესე მიკვირს, სისხლი მათი<sup>1</sup> ასრე ვითა მოიბარა! —  
რომე წელან წამოველო, გზა იგივე წაიარა.

i. ასე ინგ. 1117,3; სხვა დგ და კნ მისი

146\*

(VII: 56 — 57; აბ 1004<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.“-ი გვ. XL111 აკლია G-ს).

ვთქვი: „უუჟამოდ არ წესია მოყვანა და მზისა კმობა..  
მომყვანელი გამშაგდების და წაუვა ერთოჲ ცნობა.  
კმობა უნდა ჟამიერად, სააჯოსა ყოვლსა თხრობა.  
რად არ ვიცი ამა მზისა საუბრისა უჟამობა!“

\* = გვიანდელი ჩანართი.

147

(VII; 59 — 60; აბ 1008).

„შინა შევიდი, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები,  
შიგან მელნისა მრევსა ეყრდნის<sup>1</sup> გიშრისა<sup>1</sup> შუბები.  
მელნისა ტბათათ იღვრების სავეს სათისა რუბები.  
შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები.“

1. ასე ინგ. 1146,2; სხვა დგ და კნ ეყარის გიშრის.

148

(VII: 78 — 79; აბ 1027).

„რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი დოსტაქანი,  
კვლა შესენეს და კვლა აისენეს სხვა ფარჩნი და სხვა ჭიქანი,  
დაავიწყდეს იგი ფიცნი<sup>1</sup>, — რა მუსაფნი, რა მაქანი! —  
მართლად თქმულა: „არა ჰმართებს ყვესა<sup>2</sup> ვარდი,<sup>2</sup> ვირსა რქანი!“

1. ასე ინგ. 1166,3; ზოგი დგ და კნ დაავიწყდა იგი ფიცი. 2. ვარ. ყვეს წამწამნი.

149\*

(VII: 90 — 91; აბ 1040).

„ზედა მოატყდა მჭვრეტელი, გაკდა<sup>1</sup> ზათქი და ზარები.  
ვერ იჭირვიდეს სარანგნი, მუნ იყო არ სიწყნარები.  
იგი რა ნახა მეფემან, საროსა მსგავსი ნარები,  
გაკართომით უთხრა: „ჰე მზეო, აქა ვით მოგვარები!“

1. ასე ინგ. 1179,1; სხვა კნ და დგ გაკდეს. \* = გვიანდელი ჩანართი.

150

(VII: -07 — 108; აბ 1058).

„ვა,<sup>1</sup> ოქრო მისსა<sup>2</sup> მოყვასსა<sup>2</sup> აროდეს მისცემს ლხენასა!  
დღედ სიკვილამდის სიხარბე შეაქნევს კბილთა ღრჭენასა.  
შესდის და გასდის, — აკლია, ემღურვის ეტლთა რბენასა.  
კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა.“

1. ასე უგ. 1197,1; სხვა დგ და კნ რა. 2. კნ და დგ მისთა მოყვასთა.

151

(VII: 122 — 123; აბ 1074).

ვა, საწუთროო, სიცრუეით თავი სატანას ადარე!

შენი ვერაჲ ვერა ცნას,<sup>1</sup> შენი სიმუხთლე სადა-რე!<sup>2</sup>

პირი მზისაებრ საჩინო სად უჩინო ჰყავ, სად არე? —

მით ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოკრად სჩანს<sup>3</sup> ყოვლი სადარე!<sup>4</sup>

1 კაკ<sup>1</sup> 1166,2 სცნა. დგ სად არე(?). 3. კნ და დგ ჩანს(?). 4. ასე ჰქვ 1276,4!  
კაკ<sup>1</sup> 1166,4 და უგ. 1213,4 სად არე('); აბ 1074,4 სადა-რე(?).

152\*

(VII: 159 — 160; აბ 1111A; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XLVI).

მის ამბისა ცნობისათვის<sup>1</sup> ცრემლით ღმერთსა ადიდებდა.

ფატმან ეჭვდა თავისათვის, ამაღ ცეცხლსა კვლავ იღებდა.

ყმა ნამუსსა ინახვიდა,<sup>2</sup> სიყვარულსა იფერებდა.

ფატმან ყელსა ეხვევოდა, პირსა მზესა აკოცებდა.

1. ასე ინგოროყვა<sup>1</sup>251,1; ვარ. სმენისათვის. 2. ვარ. ინახვიდა. \* = გვიან-  
დელი ჩანართი

153

(VII: 160 — 161; აბ 1113 — 1114).

[ვისად.<sup>1</sup>

1 ავთანდილ<sup>1</sup> მალევით ცრემლსა<sup>1</sup> წვიმს, სდის ზღვათა შესართა-  
შიგან მელნისა მორეცა, ცურავს გიშრისა ნავი სად.

იტყვის თუ: „მნახეთ, მიჯნურნო, იგი, ვინ ვარდი ა ვისად!  
უმისოდ ნებეთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისად!“

2 მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვათაცა დასალბონია,  
გიშრისა ტევრი<sup>2</sup> აგუბებს, ვარდისა ველსა ფონია.  
ფატმან მას ზედა იხარებს მართ ვითა იადონია. —  
თუ ყვავი ვარდსა იშოვის,<sup>3</sup> თავი ბულბული ჰგონია!

1. K ავთანდილს მალევით ცრემლისა სწევს დენა ცეცხლ-ნართავისად;  
F ავთანდილ მალევით ცრემლსა ღვრის დადენად სისხლ-ნართავისად; C  
და ვახტ. ავთანდილ მალევით ცრემლსა წევს დენად ცეცხლ-ნართავი-  
სად(?); B ავთანდილ მალევით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა შენართა-  
ვითად. 2. უგ 1254,2 ტევრსა(?). 3. კნ და დგ იშოვის.

154\*

(VII: 163 — 164; აბ 1116A<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.“-ი XLIV).

ფატმან მისსა შეენებასა მეტის-მეტად ჰკვირდებოდა.  
მან პასუხი არა გასცა, თავის-წინა ღიმდებოდა:  
„შეეტყობის<sup>1</sup> არ მიცნობსო,<sup>2</sup>“ ეგრე<sup>3</sup> მითა<sup>3</sup> ყოვნებოდა.<sup>3</sup>  
თუცა რასმე იფერებდა, მეტი არა გაჰვიდოდა.

1. ვარ. შეეტყუების. 2. I მიცნასო. 3. I ეგრე ვითა ჰყოვნდებოდა; უგ. 1258,3 ეგრე ვითა ყიენებოდა; სხვა კნ და დგ რა რეგვენადა, რავეარ კძობდა(?!). \* = გვიანდელი ჩანართი.

155\*\*

(VII: 179 — 180; აF 1132<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.“-ი გვ. XLIV; აკლია K-ს).

წადი უსტარო, ისწრაფე, თუ თუ მუჟლი გქონდეს მალეზი.  
დაგნატრი, მიხვალ, დაგხედების ბროლი, სათი და ლალები.  
ბედად შენ მჯობხარ, უსტარო, განხვენ დამწველის თვალეზი.  
შენს უკან ჩემი სიცოცხლე, თუ გესმის, არ გებრალეზი<sup>4</sup>

\*\* = ყოვლად უშვერი, ძლიერ გვიანდელი ჩანართი.



156\*

(VII: 205 — 206; აბ 1157<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XLIV; აკლია G-ს).

„შენ, საყვარელო, ნუ სჰმუნავ ჰმუნვითა ამისთანითა, —  
ჩემი სთქვა, სხვას<sup>1</sup> მიჰხედების<sup>2</sup> იგი ალვისა ტანითა!  
არამ სიცოცხლე უშენოდ, ვარ აქამდისცა ნანითა!  
ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა!“

1. კნ და დგ სხვათა. 2. ინგ. 1302 მიჰხვდაო. \* = გვიანდელი ჩანართი.

157

(VII: 218 — 219; აF 1171 — 1172).

- 1 „ჩემსა ზედა დიდი არის ვალი თქვენგან დანადები.  
მადლსა სხვაებრ გადავიხდი, თულა ფრიდონს შევეყრები.  
აწ წაიღეთ ყველაკაი მეკობრეთა წანალები.  
ამის მეტსა ვერას მოგცემ, ვიცი ამად გეძუნწები.
- 2 სახლი არ მახლავს, რა ძალ-მიც გაცემა საბოძვარისა.“ —  
მისცა მართ სავსე ხომალდი, რიცხვი ტურფათა-გვარისა.<sup>1</sup>

უბრძანა: „წადით, წაიღეთ, გზა წავლეთ მისვე არისა,  
ფრიდონს მიაბრთვით უსტარი ჩემგან, ძმად-ნათფიცარისა.“

1. უგ. 1317,2 ლარისა; სხვა დგ და კნ ჯარისა.

158\*\*

(VII: 224 — 225; აბ 11788<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.“-ი გვ. XLIV).

ესე უსტარი დაწერა, შეკრა და წაცახვია მან,  
მისცა ფრიდონის მონათა ვარდმან და ვითა<sup>1</sup>-იამან.  
შესთვალა ზეპირ რაკა<sup>2</sup> კმდა<sup>2</sup> სრულად, მართ ვითა ჰვია, მან.  
მათ მარგალიტი უჩვენის ძოწისა კარმან ღიამან.

\*\* = ძლიერ გვიანდელი ჩანართი. 1. ასე ინგ. 1324,2; სხვა დგ და კნ თმითა. 2. კნ და დგ რაც კამდა.

159\*

(VII: დასასრულის შემდეგ; აბ 1180).

ფატმან უსენ და მონანი ტირან ცრემლითა ცხელითა.  
იტყვიან: „მზეო, რა გვიყავ, დაგვწვენ ცეცხლითა მწველითა!  
რად დაგვაბნელენ<sup>1</sup> შენისა მოშორებვისა ბნელითა,  
დაცაგვპარხენო<sup>2</sup> კელითა ჩვენითა<sup>3</sup> დამმარხველითა!“

1. ზოგი კნ და დგ დაგვაბნელე. 2. ზოგი კნ და დგ დამცაგვმარხენო. 3. ინგ. 1326,4 ჩვენისა. \* = გვიანდელი ჩანართი.

160

(XIII: 15 — 16; აბ 1195<sup>1</sup>; 1196 — 1197; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XLIV;

შეად. ა. სარაჯიშვილი. „მოამბე“, თბილისი, 1900. VII, გვ. 1 და შემ.).

- 1 ავთანდილ დაჯდა ტირილად, ტირს კმითა შვენიერითა.  
ყორანსა ვაჰლეჯს კშირ-კშირად, აფრთხოზს ბროლისა ჭერითა.  
გახეთქა ლალი გათლილი ანდამატისა კვერითა,  
მუნით წყარონი გამოკდეს,<sup>1</sup> ძოწსა ვამსგავსენ ფერითა.
- 2 პირსა იხოკს, დაწვთა სისხლი ჩასდიოდა მისსა მკურეტსა:  
„რაც ვქმენო,<sup>2</sup> არ უქმნია არცა შმაგსა, არცა რეტსა!“

წყალი სწრაფით<sup>3</sup> რად დავასხი ცეცხლსა ნელად<sup>4</sup> დასაშრეტსა!  
ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტის-მეტსა!

- 3 მე მოვკალ ჩემი მოყვარე, რა მმართვეს გაუზილებულსა!  
თავსა ვაბრალობ საქმესა არ დასმით გავიხილებულსა.  
ცრუ კაცი კარგსა<sup>5</sup> ვერას<sup>5</sup> იქმს საქმესა გაძნელებულსა.  
თქმულა: „სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“

1. კაკ<sup>2</sup> 1342,4 და უგ. 1342,4 გამოჩნდეს. 2. G მე ვქენ. 3. ასე ინგ. 1343,3;  
სხვა დგ და კნ სწრაფად. 4. კნ და დგ ძნელად. 5. ასე კაკ<sup>1</sup> 12<sup>9</sup>4,3; სხვა  
დგ და კნ კარგად(დ).

161\*

(VIII: 17 — 18; აბ 1200 — 1201).

- 1 ზამთარი ვარდთა<sup>1</sup> გააკმობს,<sup>2</sup> ფურცელნი ჩამოსცივიან,  
ზაფხულის მზისა სიახლე დასწევას,<sup>3</sup> გვალვასა სჩივიან. —  
მავრა მათზედა<sup>4</sup> ბულბულნი ტურფასა კმასა ჰყივიან. —  
სიციხე სწევას, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯერვე სტკივიან.
- 2 აგრევე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია.  
ჭირსა და ლხინსა,<sup>5</sup> ორსავე<sup>6</sup> ზედა მართ ვითა ხელია.  
მიწყვიე წყლულდების, საწუთრო მისი აროდეს მრთელია. —  
იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მკლველია.<sup>7</sup>

1. ასე C; B, D და F ვარდსა. 2. ასე B, D და F; G და I დააზრობს.  
3. G და I სწევას და. 4. კნ და დგ მას ზედა. 5. კაკ<sup>2</sup> 1347,2 ლხინზე.  
6. კაკ<sup>2</sup> 1347,2 ორზედვე. 7. ასე ინგ. 1348,4; სხვა დგ და კნ მტერია.

\* = გვიანდელი ჩანართი.

162

(VIII: 19 — 20; აბ 1204).

„ვითა გემართებს გახარება, პირველ აგრე გავიხარნეთ,  
მერმე შევესხდეთ, გავემართნეთ, ქაჯეთისკენ თავნი ვარნეთ,  
კრმალნი ჩვენნი ვიწინამძღვრნეთ, მათნი ზურგნი<sup>1</sup> დაცავლარნეთ.<sup>1</sup>  
უჭირველად შემოვიქცეთ, იგი მძორთა დავადარნეთ.“

1. უგ. 1351,3 ზურგით(?) დავიყარნეთ; სხვა კნ და დგ ზურგნი დავი-  
ყარნეთ(?).“

(VIII: 25 — 26; აბ 1211 — 1212).

- 1 ავთანდილ ცხენსა გარდაკდა ასმათის მოსახვეველად, მან მიჰყო კელი, ალვისა<sup>1</sup> შტო მოჰყვა მოსარხვეველად. ყელსა და პირსა აკოცებს, არის. ცრემლისა მფრქვეველად: „რა ჰქმენო, და სცან, მიამბე, — ვტირ შენი მოაჯე ველად!“
  - 2 ავთანდილ ასმათს უსტარი მისცა მისისა ზრდილისა, ალვისა შტო-დამუნარისა, თვარისა ფერ-მიკდილისა, უთხრათუ: „ნახე ნაწერი მის პატივ-გარდაკდილისა. მზე მოგვეახლა, მოგვეცა ჩვენ მოშორება ჩრდილისა.“
1. კნ და დგ (მიჰყო კელი) ალვასა.

(VIII: 27 — 28; აბ 1214A — 1214B; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XLVD)

- 1 ინდოთ მეფე მხიარული ასმათს რასმე უბრძანებდა. შ  
ერთმანერთსა ეხვევოდეს, სიხარული ატირებდა.  
ვარდსა ზედა ყორნის ბოლო ნამსა თხელსა აკურებდა. —  
კაცსა ღმერთი არ გასწირავს, თუცა კაცი შეიგებდა! —
  - 2 ღმერთსა მისცეს დიდი მადლი, თქვეს: „გვიყოო რაცა სჯობდა.“ —  
„აწლა ვცანით, უარესსა პირი მისი<sup>1</sup> არ გაბრჭობდა.“<sup>2</sup> —  
ინდოთ მეფე კელთ-განპყრობით მხიარული ამას კმობდა. —  
ქებას შევიდეს, ერთგან<sup>3</sup> დასხდეს,<sup>3</sup> ასმათ რასმე მასპინძლობდა.
1. კაკ<sup>1</sup> 1314,2 და უგ 1363,2 თქვენი. 2. ასე ინგ 1363,2; სხვა კნ და დგ გაბრჭობდა. 3. კაკ<sup>1</sup> 1314,4 და უგ. 1363,4 მხიარულნი.

(VIII: 35 — 36; აბ 1221A; 1221A<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XLIV).

- 1 ოქროც რამე წაიტანეს, მარგალიტი ღარიბები.  
გამოვიდეს, გამობეჭდეს, ორმოცივე საჭურჭლები.  
ავთანდილ თქვა: „ამას იქათ დავამაგრო კრმალთა ნები.  
ამას ღამეს არსად წაეაღ, რა გათენდეს, არ დავდგები.“

2\*\* აქა, მხატვარო, დახატენ ძმათ<sup>1</sup> უმტკიცესნი<sup>1</sup> ძმობილნი,  
იგი მიჯნურნი მნათობთა, სხვისა ვერვისგან სწრობილნი,  
ორნივე გმირნი მოყმენი, მამაცობისა ცნობილნი.  
რა ქაჯეთს მივლენ, გასინჯოთ ომი, — ლახვართა სობილნი!

1. უგრ. 1373,1 ძმად უმტკიცესად. \*\* = ძლიერ გვიანდელი ჩანართი.

166

(VIII: 48 — 49; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XLVIII; შეად. ა. სარაჯიშვილი  
„მოამბე“, თბილისი 1900, X, გვ. 1 და შემდეგ.).

დიდთა რას ვაქნევთ ლაშქარსა, კარგი გვინდან და ცოტანი.  
სამასი კაცი გვეყოფის, წავიდეთ მართ მეოტინი.  
ჩვენ ქაჯეთს ქაჯთა საომრად<sup>1</sup> დავაგნეთ კრძალთა კოტანი.  
მას აღრე ვპოვებთ, ვისიცა მოგვეკლავს ალვის, მო--, ტანი.“

1. ასე ინგ. 1387,3; სხვა კნ და დგ მეომრად(“).

167

(VIII 52 — 53: აბ 1237).

გვირავის კარსა ჭაბუკი ათი-ათასი მცველია. —  
მათ ლომთა ნახეს ქალაქი, მთვარე დგას მუნ ნათელია. —  
თქვეს: „ვითათბიროთ, — ვითა ვქმნათ,<sup>1</sup> აწ გამორჩევა ძნელია.  
ასა თათსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია.“

1. ასე G და I, შეად. ინგ. 1392,3; სხვა კნ და დგ სჯობს.

168

(VIII: 67 — 68; აბ 1251,<sup>1</sup>; აბ “მ.ტ.“-ი, გვ. XLIV).

კვლა ერთმანერთსა მიუგეს სიტყვები არ პირ-მკვანები.  
დაასკენეს იგი თათბირი ტარიას განაზრახები.  
გაიყვეს კაცი ას-ასი, ყველაი გმირთა სახები,  
ცხენებსა<sup>1</sup> შესხდეს,<sup>1</sup> აიღეს მათ მათი ჩაბალახები.

1. ინგ. 1408,4 გაემართნეს და.

169\*

(VIII: 68 — 69; აბ 1252<sup>1</sup> — 1252<sup>2</sup>; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XLIV).

1 ჩემი აწ ესე ნათქვამი მათი სახე და დარია  
რა ზედა სწვიმდენ<sup>1</sup> ღრუბელნი და მათა ატყდეს ღვარია,

მოვა და კევთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია,  
მაგრა რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნარია.

- 2 თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთე-მიუწლომნია,  
მაგრა ტარიას შებმანი არვისგან მოსანდომნია! —  
მზე მნათობთაცა დაჰფარავს, არცალა ნათლად<sup>2</sup> კომნია. —  
აწ იყურებდით, მსმენელნო, გესმნეს ფიცხელნი ომნია!

\* = გვიანდელი ჩანართი. 1. ინგ. 1410,2 წვიმდეს; სხვა კნ და დგ წვიმ-  
დენ. G ნათობს.

170

(VIII: 71 — 72; აბ „მ.ტ.“-ი გვ. XLIV და შემდეგ).

მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა.  
კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოაშორვა<sup>1</sup> სიტკბო მზისა.  
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმრგვლე ცისა.  
ველნი მძორთა<sup>2</sup> ვერ იტევდეს,<sup>3</sup> გადიადდა ჯარი მკედრისა.

1. ასე ინგ. 1415,2; სხვა კნ და დგ მოიშორვა(?). 2. ასე ინგ. 1415,4; სხვა  
კნ და დგ მკედართა. 3. ინგ. 1415,4 იტევდა.

171

(VIII: 74 — 75; აბ 1250).

ციხისა მცველი ყველაი იდვა მართ ვითა სნეული,  
თავით ფერკამდე დაქრილი, აბჯარი მუნ დახეული,  
ციხისა კარნი განხმულნი, კართა ნალეწი სრეული.  
ცნეს ნაქმრად ტერიელისად, თქვეს: „საქმე არს მისეული!“

172

(VIII: 94 — 95; აბ 1278).

ავთანდილს და ფრიდონს უძღვნა უსაზომო დიდი ძღვენი, —  
ძვირფასისა უნაგრითა<sup>1</sup> უკეთესი<sup>2</sup> თვითო ცხენი,  
თვითო კაბა ვალიანი, უცხო ფერთა შუქთა მფენი.  
მოაკსენეს: „მაღლი რა ვთქვათ, სვიანმცა<sup>3</sup> დავლა თქვენი!“

1. ასე კაკ<sup>1</sup> 1390,2; სხვა კნ და დგ უნაგირი. 2. კაკ<sup>1</sup> 1390,2 შეკაზმული.  
3. კაკ<sup>1</sup> 1390,4 სვიანმცა.

(VIII: 103 — 104; აბ 1228).

173

იგი მზე შესვეს კუბოსა, იარეს გზა ზღვის პირისა,  
მიყმაწვილობდეს, უხარის მათ გარდაკლომა ჭირისა,  
მივიდეს, სადა ქვეყანა იყო ნურადინ გმირისა.  
მოეგებიან, ისმოდის კმა სიმღერისა კშირისა.

(VIII: 111 — 112; აბ 1296<sup>1</sup>; 1297 — 1298; აბ „პ.ტ.“, გვ. XLV;  
აბ 1296<sup>1</sup>, აკლია K-ს).

174\*\*

1\*\* ავთანდილცა მიუმტკიენა, ეტყვის დიდსა სიმძიმისა.  
მათ შეასხეს ქება, უთხრეს: „თავნი მივსცნეთ აწ ლიმილსა:  
რათვან მიჰხვდა დაკარგული ლომი მზესა წარკლომილსა,  
აღარაჲ ვსტირთ სატირელსა, აღარ დავსდებთ თვალთა მილსა.“

2\* მივიდეს სადა ქალაქი დიდი მულღანზარზარია.<sup>1</sup>  
სცემდეს ბუქსა და ტაბლაცსა, ვაკდა ზათქი და ზარია.  
დაბდაბისა და ქოსისა კმა ტურფად<sup>2</sup> შენათხზარია,  
მოატყდეს მოქალაქენი, დააგდეს მუნ ბაზარია.

3\* შუკათა მოდგეს ვაჰარნი, ყოვლგნით მჰკერეტელთა ჯარია.  
შორს უარებდეს სარანგნი, კელთა აქეს მათ აბჯარია.  
მოიჯრებოდეს ჯალაბნი, სარანგთა დამსაჯარია.  
ათად საკვრეტლად მიშეება მუნ მათვან სააჯარია.<sup>3</sup>

1. ვარ. მულღანზანზარია, მულღანზარზარია. 2. კაკ<sup>2</sup> 1458,3 ტკბილად.  
3. კაკ<sup>2</sup> 1459,4 ნააჯარია. \*\* = ძლიერ გვიანდელი ჩანართი.

\* = გვიანდელი ჩანართი.

175

(VIII: 113 — 114; აბ 1301).

მგოსანნი<sup>1</sup> მოდგეს, ისმოდის<sup>2</sup> კმა სიმღერისა ტკბილისა.  
ქორწილი ქმნეს და გამრავლდა ძღვენობა ღარისა ლბილისა,  
ფრიდონის პურად კარგისა, არ მასპინძლისა წბილისა. —  
ნესტანდარჯანს უშეენის ღიმილი, ჩენა კბილისა.

1. ასე G და I; C მგოსნები (შეად. აბ 1301,1). 2. ინგ. 1464,1 ისმოდა;  
სხვა კნ და დგ ისმოდეს(?).

(VIII: 114 — 115; აბ 1303 — 1304).

- 1 კვლა უძღვნა თვითო ფარლული, გარდასაყრელი ყელისა, მრგვლად დათლილისა თვალთა, იავუნდისა მრთელისა, კვლა მოაქვს ერთი ტაბაკი, მძლედ საჭირავი კეელისა, ავთანდილისთვის ლომისა ძღვენი ფრიდონის ქველისა.
- 2 იგი ტაბაკი სავსეა მარგალიტითა სხვილითა. ავთანდილს უძღვნა ყველაი არა სიტყვითა წბილითა. — აიესო სახლი სტავრითა და ოქსინოთა ლბილითა. — ტარიელ მადლი უბრძანა ლაღმან, სიტყვითა ტკბილითა.

(VIII: 134 — 135;)

„ღია მძულს მეტი მოყვრისა შიში, კრძალვა და რიდება, მძულს განუწყვედლად კუშტობა და<sup>1</sup> სულ-მძიმობა,<sup>1</sup>- დიდობა. თუ მოყვარეა გულისა, ქმნას ჩემკენ მონაზიდობა, თვარა მე ჩემდა, იგ მისდა, ღია სჯობს კიდის-კიდობა.“

1. ინგ. 1488,2 სულ-მძიმობა და.

(VIII: 137 — 138; აბ 1328<sup>1</sup>; „მ.ტ.“-ი გვ. XLV).

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი<sup>1</sup> დიენოს<sup>1</sup> განაცხადებს: „ღმერთი კარგსა მოავლინებს და<sup>2</sup> ბოროტსა არ დაბადებს, აესა წამ-ერთ ვამოკლებს,<sup>3</sup> კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს, თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს.“

1. C და G ბრძენ დიონოს (შეად. კაკ<sup>1</sup> 1441,1) I ბრძენი დიონს (?). 2. C და ვახტ. არ; I და H მით; G აწ. 3. ასე F (შეად. აბ 1328<sup>1</sup>,3ჟ C, G რა I შემოაკლებს).

(VIII: 138 — 139; აბ 1330)

იგი მზე უჯდა კუბოსა და ავრე არონიებდეს. მინადირობდეს, ნადირსა მუნ სისხლსა მიადინებდეს.

სადაცა დახედის ქეყანა, მჭვრეტელთა მოალხინებდეს,  
მიეგებიან, სძლენობდიან, აქებდეს, არ ავინებდეს.

1. კაკ<sup>2</sup> 1492,1 დაადინებდეს. \* = გვიანდელი ჩანართი.

180

(VIII: 141 — 142; აბ 1334).

მოიარნეს ქვაბოვანნი, თამაშობდეს მხიარულნი,  
პოვეს იგი საჭურჭლენი ტარიასგან დაბეჭდილნი,  
ვერცა ვისგან დანათვალნი, ვერცა ვისგან შეგებულნი.  
არ იტყვიან,<sup>1</sup> არა გვაქვსო, იგ<sup>2</sup> ამისთვის<sup>2</sup> გულ-ნაკლულნი!

1. G და I არა თქვეს თუ (შეად. კაკ<sup>1</sup> 1447,4). 2. G და I არცა იყენეს,  
(შეად. კაკ<sup>1</sup> 1447,4).

181\*

(VIII: 145 — 146; აბ 1338<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.“-ი გვ. XLV; შეად. ა. სარაჯიშ-  
ვილი, „მოამბე“, თბილისი 1901, V, გვ. 1 და შემდ.)

მიხვდეს არაბთა საზღვართა, რა ვლეს მრავალი ხანები.  
დაჰხვდა სოფლები, ციხები კშირ-კშირად, თანის-თანები.  
მუნ<sup>1</sup>-შიგან<sup>1</sup>-მყოფთა<sup>2</sup> ემოსა ტანსა ლურჯი და მწვეანები<sup>1</sup>  
ავთანდილისთვის ყველაი ცრემლითა არს ნაბანები.

1. G მას შიგან; I მაშიგან. 2. C მყოფსა. \* = გვიანდელი ჩანართი.

182

(VIII: 156 157; აბ 1349A; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XLVI).

ტარიელცა თაყვანის-სცა, მივა კოცნად, სასალამოდ.  
მეფე ყელსა აკოცებდა მართ ბაგისა დასაამოდ.  
გაკვირვებით ეუბნების, არის მისგან სათამამოდ:  
„შენ მზე ხარო, შენი გაყრა არის ღლესა შესალამოდ!“

183

(VIII: 165 — 166; აბ 1359).

ვით ეგების, რაცა გწადდეს, რომე კაცი არ მოგთმინდეს,  
ანუ მშურდეს ქალი ჩემი, საკვდავად<sup>1</sup> და<sup>1</sup> ტყვედაცა<sup>1</sup> გინდეს.  
გაბრძანაცა<sup>2</sup> სახლით თქვენით, ცრემლი არცა მაშინ მდინდეს:  
სხვა მისებრი ვერა პოვოს, ცათამდისცა აღ-ცა-ფრინდეს!<sup>3,4</sup>

1. I სიკვდავად დატყვედაც; C და G საკლავად და ტყვედაც. 2. კნ და  
ღვ. გებრძანამცა. 3. G და I გაცაფრინდეს (შეად. კაკ<sup>1</sup> 1474,4).

(VIII: 166 — 167; აბ 1361).

„თუ შეგერთო ერთი მონა, თქვენთვის არცა მაშინ მშურდა,  
ვინმცა გკადრა შეცილება, უშმაგომცა ვინ<sup>1</sup> მოგმდურდა!  
თუ ავთანდილ არ მიყვარდა, ასრე<sup>2</sup> მისთვის რად მომსურდა?! —  
დია, ღმერთო, წინაშე ვარ, ესე ჩემგან დადასტურდა.“

1. კნ და დგ ვით. 2. ვარ. აგრე.

185\*\*

(VIII: 170 — 171; აბ 1365<sup>1</sup>; 1366; აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XVI; შეად. ა.  
სარაჯიშვილი, „მომბე“, თბილისი. 1901, V, გვ. 11).

მოეხვია, გარდაკოცნა მან პირისა არე-მარე:  
„დამიგზეო<sup>1</sup> ცეცხლი ცხელი, მაგრა წყალი არე,<sup>2</sup> მარე.<sup>2</sup>  
ვინ გიშერი დააჯოგა და წამწმისა<sup>3</sup> არემა-რე,  
გვალე, შეგყრი, ლომო, მზესა, თავი მისკენ არე, მარე.“

\*\* = ძლიერ გვიანდელი ჩანართი. 1. ასე ჰქვ 1605,2; სხვა დგ და კნ  
დამივსეო. 2. ინგ. 1532,2 არ ემარე. 3. ინგ. 1532,3 წამწამი. (წამწამისა =  
= წამწამისად).

186

(VIII: აბ 1369 — 1369<sup>1</sup>; აბ „მ.ტ.-ი“, გვ. XLV).

1 მეფემან<sup>1</sup> ქალს<sup>1</sup> უსალამა მართ<sup>2</sup> შორით გარდაკდომილმან.  
დაუყენა თვალნი ელვამან, მისთა ლაწვთავან კრთომილმან.  
გამოეგება, აკოცა კუბოსა შიგან ჯდომილმან.  
დაუწყო ქება მეფემან, თვით ვერას ვერ მიხვდომილმან.<sup>3</sup>

2\*\* ეტყვის: „მზეო, ვითა გაქო, ნათელო და დარიანო!  
შენთვის ხელნი გონებანი არა ცუდად არიანო,  
მზიანო და მთვარიანო, ეტლად რაო და რიანო!  
თქვენ საჭერეტლად აღარ მინდით არ ვარდნო და არ იანო!“

1. ასე უგ. 1536,1; სხვა კნ და დგ მეფემ ქალსა. 2. კნ და დგ მან. 3. აბ.  
1359,4 მიკდომილმან(?). \*\* = ძლიერ გვიანდელი ჩანართი.

187

(VIII 176 — 177; აბ 1373).

ტარიელ და ცოლმან მისმან ქალსა მდაბლად უსალამეს,  
მოეგებნეს, აკოცეს და საუბარი დაამეს.

იგი სახლი განანათლეს, არ ნათელი შეღამეს,  
ბროლ-ბადახში<sup>1</sup> გაალაწვეს და გიშერი აწამწამეს.

1. ვარ. ბალახში.

188

(VIII: 179 — 180; აბ 1377).

„აწ, შეილნო,<sup>1</sup> ღმერთმან თქვენ მოგცეს ათას წელ ღღეთა-გრძე-  
სვე-სვიანობა, დიდება, კვლა ჭირთა გარდუკდელიობა. [ლობა.  
ცამცა ნუ შეგცვლის,<sup>2</sup> მოგხვდების თვით მისებრ შეუცვლელობა!  
თქვენის<sup>3</sup> კელისა<sup>3</sup> მელირსოს<sup>3</sup> მიწათა შემომყრელობა.“

1. კაკ<sup>1</sup> 1494,1 და უგ 1545,1 შეილო. 2. კაკ<sup>1</sup> 1494,2 შაგცვლით. 3. აბ  
1377,4 და ჭიჭ. 1618,4 თქვენით კელითა მელირსოს; უგ 1545,4 თქვე-  
ნის კელითა მელირსოს; კაკ<sup>1</sup> 1494,4 შემესწრას თქვენი სამარე(?).

189

(VIII: 180 — 181; აბ 1379 — 1409; აბ 1396<sup>1</sup>; შედ. ჭიჭ. 1620 —  
—1651; ჭიჭ 1638—აბ 1396<sup>1</sup>; იხ. აბ „მ.ტ.“-ი, გვ. XLV, აკლია K-ს;  
აბ 1400 — 1401, აკლია B-ს სტროფათათვის 3 და შემდ. შედ. კაკ  
„მ.ტ.“-ი გამოცემა მეორე).

1 ლაშქარნი და დიდებულნი დადრკეს,<sup>1</sup> მდაბლად ეთაყვანეს,  
მოაკსენეს: „მიწა<sup>2</sup> ვექმნეთ ვინცა მიწად მოგვიყვანნეს,<sup>3</sup>  
მორჩილ-ქმნილნი დაგვადიდნეს,<sup>4</sup> ურჩნი მკედართა დაგვამგვანნეს.<sup>5</sup>  
მტერთა<sup>6</sup> მკლავნი<sup>6</sup> შეაძუნტნეს,<sup>7</sup> გულნი<sup>8</sup> ჩვენნი<sup>8</sup> ავულვანეს!<sup>9</sup>

2 ტარიელცა ქებით<sup>10</sup> უთხრა<sup>10</sup> იმედისა გადიდება.<sup>11</sup>  
ქალსა ეტყვის:<sup>12</sup> „შემიყრიხართ, აღარა გწვავს<sup>13</sup> ცეცხლთა დება.  
ქმარი შენი ძმა ჩემი,<sup>14</sup> მწადს აგრევე<sup>15</sup> შენი<sup>15</sup> დება.<sup>15</sup>  
ორგულთა და შემცილეთა<sup>16</sup> თქვენთა მე ვქმნა გაფლიდება!“

1. ასე G და I; ვარ მოდრკეს. 2. ასე G; ვარ. მიწად. 3. I მიგვიტანეს,  
G მიგვიყვანნეს. 4. I დადგვამდიდრნეს. 5. I დაგვავგანეს; ინგ. 1547,3  
დაგვავგანნეს. 6. G მტერთა გულნი; I მტერნი ჩვენნი. 7. I შეცადრწუნ-  
დეს. 8. F და I გული ჩვენი; G ჩვენი გული. 9. F და G ავულოვნეს;  
I ავულოვნდეს. 10. G უთხრა ქება; ინგ. 1542,1 უთხრა ქებით. 11. I და  
K თავსა დება; C და ვახტ. გათაეება. 12. G და I უთხრა. 13. „კნ და დგ  
გვწვავს(?). 14. G ძმა ჩემი. 15. ასე ინგ. 1548,3; G აგრევე მწადს თქვენი.  
16. და I შემცილეთა.

- 3 მას დღეს ავთანდილ პატრონად<sup>1</sup> ზის და კელმწიფე<sup>2</sup> ზენია მას-თანა მჯდომსა ტარიელს ჰშვენნიან სინაზენია. ნესტანჯვარ ახლავს თინათინს, თვით<sup>3</sup> მკვრეტთა ამაზრზენია, — ჰგავს თუ, ცა მოდრკა ქვეყანად, შეყრლან ორნი მზენია!
- 4 დაიწყეს მორთმა პურისა ლაშქართა მის მესავესისა:<sup>4</sup> ზროხა და ცხვარი დაკლული არს უმრავლესი ხავსისა. შეიქმნა ძღვნობა ძღვენისა, მათისა შესამსგავსისა. — მათ ყოვლთა შუქი ანათობს პირისა მზისა მსგავსისა.
- 5 იანგულისა ჯამები იყვის, ლალისა ჭიქები, კვლა უცხო ფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები. — მის ქორწილისა მაქები<sup>5</sup> კაცი ბრძენთაგან იქები! მკვრეტელო გულსა ეტყოდი, — ნუ აეკსნები,<sup>6</sup> იქ ები!
- 6 მუტრიბნი მოდგეს, ყოველგნით ისმოდის კმა წინწილისა. შეყრით ძეს გორი ოქროსა და ბადახშისა თლილისა. მსმელთათვის წყარო ღვინისა ასგან სდის მსგავსი მილისა. ბინდით ცისკრამდის სმა იყო, გარდაკდა ჟამი დილისა.
- 7 არა დარჩა უსაბოძვროდ, არ კოკლი და არ საყარი. მოდიოდა მარგალიტი მოფანტული, მონაყარი. გაბედითდა წასაღებლად ატლასი და ოქრო მყარი. — სამ-დღე იყო ინდოთ მეფე ავთანდილის ვით მყარი.
1. ასე C და I; G და K კელმწიფედ. 2. ასე G; K პატრონად. 3. კნ და ღვ ვით(?). 4. შანიძე („მნათობი“) სისავესისა. 5. კაკ<sup>1</sup> 1500,3 მაქებრი(?). 6. ასე G; C გვედგას; სხვა კნ და ღვ გვედგოს. 2. კაკ<sup>1</sup> 1504,2 დაუღდგეს. 6. C აიკსნები.
- 8 ხვალისად მეფე არაბთა კვლა პურობს, არ ლაფალია. ტარიელს უთხრა: „შენი მზე საკვრეტლად სატურფალია. მეფე ხარ ყოვლთა მეფეთა და ეგე დედოფალია. კამს, ყურსა გვედგას<sup>1</sup> საყურლად ჩვენ თქვენი ნატერფალია.
- 9 აწ, მეფეო, არ ეგების ჩვენი სხდომა თქვენად სწორად.“ საკელმწიფო საჯდომი და სხვა დაუღდა<sup>2</sup> ტახტი შორად. ქვემოდ დასხნა ავთანდილ და ცოლი მისი მათად სწორად. პირველ ძღვენი ტარიასთვის მოიღიან, იღვის გორად

- 10 არაბთა მეფე მასპინძლობს, იქმს ოდენ არიფობასა,<sup>3</sup>  
ზოგჯერ მათ ახლავს, ზოგჯერ მათ, არ იკობს კელმწიფობასა.  
გასცემს და უქებს ყოველი<sup>4</sup> უხვობა-იეფობასა. —  
ფრიდონ ზის ახლოს ავთანდილს, ჩვეულნი<sup>5</sup> თვით<sup>6</sup> მეფობასა.
- 11 მეფესა,<sup>7</sup> ქმრითურთ პატივი ჰქონდა ინდოთა ქალისა,  
სიყვარული და ჩუქება ვით სიძისა და სძალისა.  
რომე სძღვნა, არა ეგების თქმა არცა ნაათალისა! —  
თვითო სკიპტრა და პორფირი და გვირგვინები თვალისა.
- 12 კვლა უძღვნა ძღვენი ორთავე მსგავსი მათისა ბედისა:  
ათასი თვალი ნაშობი რომანულისა დედისა,<sup>8</sup>  
კვლა მარგალიტი ათასი მართ<sup>9</sup> ვითა<sup>9</sup> კვერცხი<sup>9</sup> ტრედისა,<sup>8</sup>  
ათასი ცხენი, ტაიჭი სიდიდით მსგავსი ქედისა.
- 13 ფრიდონს უძღვნა ცხრა ტაბაკი მარგალიტი თავ-შედგმული,  
ცხრა ტაიჭი ძვირფასისა უნაგირთა<sup>10</sup> შეკაწმული. —  
ინდოთ მეფე თაყვანის-სცემს ლალი, ბრძენი, არ მახმული.<sup>11</sup>  
მადლი ჰკადრა ფხიზელურად, თუცა იყო ღვინო-სმული.
- 14 რას ვაგრძელებდე, გარდაკდეს დღენი ერთისა თვისანი.  
თამაშობდიან, არ იყვნეს ყოლა გაყრანი სმისანი.  
ტარიელს<sup>12</sup> სძღვნიან<sup>12</sup> უცხონი თვალნი ლალისა ქვისანი. —  
მათ ყოვლთა მათი ელვანი ჰფარვენ მართ ვითა მზისანი.
- 15 ტარიელ გვანდის ვარდსა და იყვის ფიფქსა მთოველად:  
ავთანდილ როსტანს წნაშე გაგზავნა დასათხოველად.  
შესთვალა: „შენი სიახლე კმა ჩემად ღზინად ყოველად, —  
მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი მუჟ შიგან მძოველად.

1. ასე G; C გვედვას; სხე კნ და დგ გვედვოს. 2. კაკ<sup>1</sup> 1504,2 დაუდგეს.  
3. ვახტ. მასპინძლობასა. 4. ასე ინგ 1556,3; G და I ყოველნი; ვარ. ყვე-  
ლაი. 5. ასე G, I და K; C ჩვეულა (შეად. აბ 1388,4). 6. ასე I და K;  
ვარ. ვით. 7. კაკ<sup>2</sup> 1506,1 თინათინს(?). 8. ასე C, (შეად. უგ. 1558,2; აბ  
1390,2 დედლისა. 9. K ბატის კვერცხ შენახედისა(?) 10. ასე ინგ;  
1559,2; სხვა დგ. და კნ უნაგირითა. 11. Fმახმური. 12. G და I ტარიელს  
უძღვნა; K ტარიელს სძღვნეს.

- 16 უცებნი მოსრნის მცოდნეთა<sup>1</sup> ცოდნამან, კელოვნებამან.  
ვეჭე, მოგცეს თქვენცა დაღრეჯა ჩემმან რასაცა ვნებამან.

- წავიდე ავი არ მიყოს მე აქა დაყოენებამან!  
ადრე კელა გნახნე მორკმულნი, ინებოს ღმრთისა ნებამან!“
- 17 როსტეიანს<sup>2</sup> ეთქვა: „მეფეო, რად ხართ<sup>3</sup>რასაცა რიდითა. რაცა ვიჯობდეს,<sup>4</sup> იქმოდით,<sup>5</sup> განსჭერეტდიო, განიცდიდიოთ. აეთანდილ თანა-წამოგყვეს, წადით ლაშქრითა დიდიოთ. თქვენთა მტერთა და ორგულთა დაჰფრეწდით, დაცასჭრიდიოთ!“
- 18 აეთანდილ უთხრა ტარიელს ესე სიტყვები ორები.  
მან უთხრა: გაე,<sup>6</sup> ნუ უბნობ, შეცვე ბროლისა ყორები, — ახალ-შაყრილსა<sup>7</sup> მთვარესა, მზეო, ვით მოეშორები?! — აეთანდილ უთხრა: „მაგითა შენგან არ მოვილორები!“
- 19\* არ ღია გინდა დამავდო, წახვიდე ჩემად მზრახავად, — ცოლი უყვარსო, გამწირა, — იყო ამისა მსახავად, მე დავრჩე შენი გაყრილი თავისა მევეგლახავად<sup>8</sup> — კაცსა მოყვრისა გაწირვა არ<sup>9</sup> მოუქდების, გლახ,<sup>10</sup> ავად?!“
- 20 ტარიელს უგავს სიცილი ბროლისა<sup>11</sup> ვარდთათ<sup>11</sup> ფრკვევასა. უბრძანა: „ვიტყვი უშენოდ შენისა უფრო მე-ვასა, რათგან გწადია, წამომყევ, დამწამებ ნურას თნევას.“ — აეთანდილ ბრძანებს ლაშქართა ყოვლგნით მისთანა წვევასა.
- 21 შეყარა სპანი არაბთა,<sup>12</sup> — არღარა ხან-დაზმულია,<sup>13</sup> — კაცი ოთხმოცი ათასი, ყველაი დაკაზმულია. კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი ხეარაზმულია. — არაბთა მეფე მათითა გაყრითა ნალველ-ჰმულია.
- 22 ერთმანერთისა გაყრილნი ქალნი ორნივე, დობილნი, ერთმანერთისა დად-ფიცნი, სიტყვითა<sup>14</sup> გამონდობილნი, მკერდითა მკერდსა, შეკრულნი, ყელითა<sup>15</sup> გარდაჭდობილნი, ტიროდეს, — მათთა მჭერეტელთა გულნიმცა<sup>16</sup> ესხმეს წდობილნი!

1. ასე ინგ 1562,1; სხვა დგ და კნ მცოდნეთა. 2. ასე G და I; ვარ. როსტევიამ ჰკადრა. 3. ვარ. ხარ. 4. C გიჯობდეთ (შეად. აბ 1395,2). 5. I, იქმოდეთ. 6. ასე C; სხვა კნ და დგ ავრე. 7. C ახალ შერთულსა; ინგ. 1564,3 ახლად შეყრილსა. 8. აბ 1396<sup>1</sup>,3 მე ვა-გლახ ავად(?). 9. კნ და დგ ახ. 10. აბ ავად. 11. ასე ჭიჭ. 1639,1 და უგ. 1566,1; აბ 1397,1 ბროლისა ვარდითა; G I ბროლისავარდთა (შეად. კაკ<sup>1</sup> 1515,1). 12. კნ და დგ არაბეთს. 13. ასე I, (შეად. კაკ<sup>1</sup> 1516,1 და ჭიჭ 1640,1); აბ 1398,1 და ინგ. 1567,1 ხანსა ზმულია. 14. კნ და დგ სიტყვისა(?). 15. უგ 1569,3 ყელისა(?). 16. ასე I; ვარ. გულნიცა. \* = გვიანდელი ჩანართი.

- 23\* მთვარე ცისკრისა ვარსკლავსა<sup>1</sup> რა თანა-შეესწოროსა,  
ორნივე სწორად ნათობენ, მოშორდეს მოეშოროსა,—  
არა თუ იგი<sup>2</sup> მოშორდეს,<sup>2</sup> მართ ცამან მოაშოროსა,<sup>2</sup>—  
მათად<sup>4</sup> საჭერეტლად მჭერეტელმან, კამს, თავი იქედ-გოროსა!
- 24\* მათადვე<sup>5</sup> სახედ, — რომელსა ესენი დაუბადიან,  
იგივე გაჰყრის, — სიშორე არა თუ ნებით სწადიან! —  
ვარდსა სწებვენ და აპობენ, ტირან და ცრემლნი ჩადიან.  
მათთა: გამყრელთა ყოველთა<sup>6</sup> სიცოცხლე არ იქადიან!
- 25 ნესტანდარეჯან თქვა:<sup>7</sup> „ნატარმც ყოლა<sup>7</sup> არ შემოგცნებოდი,<sup>8</sup>  
მზისა შემყრელი<sup>9</sup> გაყრითა აწ ასრე არ დავბნდებოდი!<sup>10</sup>  
ამბავსა სცნევედი, მაცნევედი, წიგნითა მეუბნებოდი.  
ვითა მე შენთვის დამწვარ-ვარ, აგრე შენ ჩემთვის სდნებოდი!<sup>11</sup>
- 26 თინათინ უთხრა: „ჰე მზეო, შენთა მჭერეტელთა მლხინებო,  
რადმცა<sup>12</sup> გაგწირე, თუ ვითა გაყრასა მოვითმინებო!<sup>13</sup>  
ღმრთისაგან დღეთა თხოვასა ნაცვლად სიკვდილი ვინებო!  
აგრემცა მივი, რაზომსცა<sup>14</sup> ცრემლსა<sup>15</sup> მე<sup>15</sup> დავიღინებო!“
- 27 კვლა აკოცეს ერთმენერთსა, გაიყარნეს იგი ქალნი.  
ქვე-დამდგომმან წარმავალსა ვერ მოსწყვიტნა ყოლა თვალნი.  
იგი იჭერეტს უკულმავე, ედებოდეს ამით აღნი. —  
რომე მწადდეს, ვერ დავწერენ მე სიტყვანი ნათალნი!

1. C ნიავსა(!). 2. ასე C და G (შეად. კაკ<sup>1</sup> 1518,3); I თვითან გაშორდეს; K თვითონ მოშორდენ; ინგ. 1569,2 იგი მოშორდეს. 3. მოიშოროსა(?). 4. ვარ მათდა. 5. ვარ მათდავე; C მათთავე. 6. ვარ ყველათა. 7. G მას იტყვის: „ნეტამც“ (შეად. კაკ<sup>1</sup> 1520,1); I იტყოდა: „ნეტამც“. 8. G და I შეგემცნებოდი (შეად. კაკ 1520,1). 9. ინგ 1571,2 შეყრილი; სF 1402,2 გამყრელი. 10. ასე ჭიჭ 1644,2 და ინგ 1571,2; სხე კნ და დგ დავდნებოდი. 11. უგ 1571,4 ჰბნდებოდი. 12. ასე C და I (შეად უგ 1572,2; სხეა კნ და დგ რამცა. 13 G დავითმინებო. 14. G და I რაზომცა (შეად აბ-ის 1403,4); C რაზომსა (შეად უგ 1572,4). 15 ვარ მე ცრემლსა. \* = გვიან-დელი ჩანართი.

- 28 როსტან მათითა გაყრითა ხელთაგან უფრო, ხელდების,  
ათასჯერ იტყვის ვაგლახსა, არ სულთ-თქემა<sup>1</sup> უერთკელდების,  
ცხელი სდის წყარო ცრემლისა, მართ ვითა ქვაბი ცხელდების. —  
ტარიელ არის დაღრეჯით, ფიფქი ნასდების, თხელდების.
- 29 ტარიელ ვარდა დაუტყლეს მეფე ხვევნიტ და კოცებით.  
ეტყვის თუ: „თქვენი სიახლე მიჩნს<sup>2</sup> აქამდისცა<sup>3</sup> ოცებით.<sup>3</sup>  
რათგან მოგწორდი, დავრჩებდი პატიჟდა გაასოცებით.<sup>4</sup>  
შენგან მოგვეცა სიცოცხლე, შენგანვე დავიკოცებით.“
- 30 ტარიელ შეჯდა მეფისა გამყრელი, გამოსალამე.  
სრულად ლაშქართა სდიოდა ცრემლი მინდორთა სალამე:  
„შენ მზე გელისო<sup>5</sup> საომრად<sup>6</sup> და თავი<sup>7</sup> შენ მას ალამე!<sup>7</sup>  
უბრძანა: „თქვენთვის მტირალსა ყოლა<sup>8</sup> რად მიჩნდეს<sup>9</sup> სალა<sup>8</sup> მე!“
- 31 გაემართნეს და წავიდეს<sup>9</sup> დია სპითა და ბარგითა, —  
ტარიელ, ფრიდონ ავთანდილ თავითა მეტად კარგითა.  
კაცი ოთხმოცი-ათასი ჰყვა ცხენებითა ვარგითა.  
მივლენ სამნივე გულითა ერთმანერთისა მარგითა.
- 32 სამ თვე ვლეს,<sup>10</sup> — ღმერთსა მათებრი სხვა რამცა დაებადოსა!<sup>10</sup>  
მოეგებნიან, — მტერობა ვერავინ დაიქადოსა! —  
მინდორსა შიგან<sup>11</sup> სადილად გარდაკდეს უდილადოსა,<sup>12</sup>  
ვითა ჰმართებდა, პურობდეს, ღვინოს სემიდეს, არ დოსა. . .

1. G და I სიტყვა. 2. ასე C; G მიჩნდეს აქამდის. 3. G და I ოცებით.  
4. ასე ინგ 1575,3; სხვა დგ და კნ გასაოცებით. 5. ასე G (შეად კაკ<sup>1</sup>  
1525,3); სხვა კნ და დგ გელმისო. 6. ასე C; აბ 1407,3 და სხვ კნ და დგ  
სალა-მად; ჭიჭ 1649,3 ალაამად. 7. ასე ჭიჭ 1649,3 და უგ 1576,3; აბ  
1407,3 შენ მასა ჰლამე; G მას ასალამე (შეად. კაკ<sup>2</sup> 1525,3). 8. C ყოლა  
არ მიჩნდეს სალამე; სხვა კნ და დგ ყოლა რად მიჩნდეს სალამე. 9. I წა-  
ვიდნეს. 10. ასე I; C და G სამ თვე ვლეს, — ღმერთმან მათებრი სხვა  
ნურა ნუ დაბადოსა; აბ 1409,1 და სხვ. სამთავე ვლეს, — ღმერთმან  
მათებრ სხვა ნურა ნუ დაჰბადოსა. 11. I მინდორთა შიგან; აბ 1409,3  
დორსა შინა. 12. უდილადოსა(?).

(VIII:181 — 182; აბ 1411 — 1425; ჳიჳ 1714 — 1716; 1723; 1725 — 1726; 1730 — 1739; ჳიჳ 1733. აკლია ვახტ-ის და აბ „მ.ტ.“-ს).

- 1 თვით ორნივე ერთგან მსხდომნი ჳნახნეთ,<sup>1</sup>— მშეცა ვერა სჯობდეს! ბუკსა ჳკრეს და მეფედ დასვეს, ჳოსნი კმასა დააბრკემობდეს.<sup>2</sup> მისცეს კლიტე საჳურჳლეთა,<sup>3</sup> თავთა მათთა მიანდობდეს: „ესეაო მეფე ჩენი!“ — იზახდეს<sup>4</sup> და<sup>4</sup> ამას ჳემობდეს.
- 2 ავთანდილ და ფრიდონისთვის ორნი ტახტნი დაამზადნეს. ზედან დასხდეს კელმწიფურად, დიდებანი უდიადნეს. — ღმერთმან სხვანი კორციელნი მათებრნი-ლა რა<sup>5</sup> დაბადნეს! — ამბობდიან ჳირთა მათთა, ყველაკასა განუცხადნეს.
- 3 სმა, პურობა, გახარება ჳმნეს, ჯალაბი გაადიდეს. ვითარიცა ჳორწინობა კამს, ეგეთსა გარდიკდიდეს. მათ ოთხთავე თავის-თავის ძღვენსა სწორად მიართმიდეს. გლახკათათვის საბოძვარსა საჳურჳლესა ერთგან ჳყრიდეს.
- 4 სრულნი ინდონი ავთანდილს და ფრიდონს მწედ<sup>6</sup> ჳხადოდიან:<sup>6</sup> „თჳვენგან გეჳირს კარგი ყველაი!“ — მართ ამას მოიტყოდინან. ვითა პატრონთა<sup>7</sup> სჳერეტინან, რაც სწადდის, მას იჳმოდინან. სადარბაზობლად ნიადაგ მათ წინა მოვიდოდიან.

1. ასე ინგ 1638,1; G ვნახე (შეად კაკ<sup>1</sup> 1586,1); სხვა დგ და კნ ჳნახეთ.
2. კნ და დგ დაატკობობდეს(?); 3. ინგ 1638,3 მისცა. 4. G იზახდიან.
5. ინგ 1630,3 რად 6. G მკსნელად კდიან (შეად კაკ<sup>1</sup> 1595,1). 7. ინგ 1647,3 პატრონსა.

- 5 ინდოთ მეფე უბრძანდებდა ასმათს, მისსა შეკდომილსა:  
„რაცა შენ ჰქმენ, არ უქმნია არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა!  
აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა, ერთსა წილსა.  
ზედან დაგვამ, შენი იყოს, გვესახურებდი ტკბილი<sup>1</sup> ტკბილსა.<sup>1</sup>“
- 6 ვინცა გწადდეს ქმრად შეირთე, სამეფოსა ეპატრონე,  
მუნდალმა გვესახურებდი, თავი შენი დაგვამონე.“  
ასმათ ფერკნი გარდუკოცნა: „შენგანაო<sup>2</sup> ჩემი ღონე!  
მონობისა უკეთესი რამც ვიშოვნე, რამც ვიქონე!“
- 7 ერთგან სამთავე ძმობილთა დაყენეს ცოტანი<sup>3</sup> დღენია.<sup>3</sup>  
თამაშობდიან, უსახო მოუდიოდის ძღვენია, —  
რა მარგალიტი ღარიბი, რა უკეთესი ცხენია! —  
მაგრა ავთანდილს სურვილმან დაღრეჯა დააჩენია.
- 8 ტარიელ ცნა,<sup>4</sup> — ამა ყმასა<sup>5</sup> ცოლისათვის<sup>6</sup> მოესურვა.  
უბრძანებდა: „გული შენი განალამცა<sup>7</sup> მომემდურვა!  
აწ, ვაგლახ მე, ჭირნი<sup>8</sup> შენმან<sup>9</sup> გონებამან შევიდით ურვა:  
მოგშორდები, ლხინი<sup>9</sup> ჩემი<sup>9</sup> საწუთრომან<sup>9</sup> დამიშურვა!“
- 9 კვლა ფრიდონცა დაეთხოვა: „წავიდეთო სახლსა ჩემსა,  
ზედაზედა დავსტეპნიდე დარბაზსა და ამა თემსა,  
სამსახურსა მიბრძანებდი უხუცესი ვითა მრწემსა.  
თქვენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“.

1. კაკ<sup>1</sup> 1597,4 ვითა შვილსა. 2. G შენგან არის (შეად. კაკ<sup>1</sup> 1598,3 და უგ 1650,3). 3) ასე ინგ. 1654,1; კაკ<sup>1</sup> 1599,1 ცოტაი ხანია; აბ 1417,1 და ჰიჰ 1730,1 ცოტაი დღენია. 4. კაკ<sup>1</sup> 1600 თქვა. 5. ასე ინგ 1655,1; აბ 1418,1 და ჰიჰ 1731,1 ყმისა. 6. ინგ 1655,1 მის მზისათვის. G ვიცი ამაღ (შეად კაკ<sup>1</sup> 1600,2 და უგ 1655,4). 8. კაკ<sup>1</sup> 1600,3 და უგ 1655,3 ჭირი შენი(?); აბ 1418,3 და ჰიჰ 1731,3 ჭირნი შენნი(‘). 9. კაკ<sup>1</sup> 1600,4 და უგ 1655,4 საწუთრომან ლხინი ასრე.

- 10\* მასცა უბოძა ფარმანი: „წა, სახლი მოიარეო,  
მე ნუ გამწირავ, მნახვიდი, ადრე მობრუნდი გარეო.“  
ავთანდილს უთხრა: „უშენოდ რამცა ვით გავიხარეო!  
რათგან ისწრაფი, რალა ვქმნა, მიგელის ლომსა მთვარეო.“
- 11 როსტევენისთვის<sup>1</sup> წაატანა საძღვნოდ<sup>2</sup> ტურფა<sup>2</sup> ჯუბაჩები,  
კვლა ჭურჭელი თვალთა თლილთა, არ კოვზები, არ ჩამჩები:  
„ჩემ მაგიერ მიუტანე, წაო,<sup>3</sup> ნურას<sup>3</sup> მეურჩები.“<sup>3</sup>  
ავთანდილ თქვა: „არა ვიცი, მე უშენოდ ვით დავრჩები!“
- 12 ქალსა ქალმან გაუგზავნა ყაბაჩა და ერთი რიდე,  
რომე ჩაცმა-დაბურვასა ვინ ღირს იყო მათგან კიდე!  
ერთი თვალი, — წამღებელმან ვერა თქვას თუ, — ცუდად ვზიდე!  
ღამე მზეებრ განანათლის, ჩნდის სადაცა შეჭხედვიდე.<sup>4</sup>
- 13 ავთანდილ შეჯდა, წავიდა ტარიას გაესალამა.  
იგი ორნივე გაყრისა დაწვნა ცეცხლისა ალამა.  
სრულად ჰინდონი მისტირან, ცრემლმან მინდორიდ დალამა.  
ავთანდილ იტყვის: „მომკლაო სოფლისა მე სამსალამა!“
- 14 ერთგან ფრიდონ და ავთანდილ იარნეს დღენი მცირენი.  
გზამან გაყარნა, წავედეს თავის-თავ ანატირენი. —  
კარგად მოუკლეს მათ მათნი საქმენი დანაპირენი. —  
ავთანდილ მიჰკდა არაბეთს, ნახნა არ ცუდნი ჭირენი.

1. ინგ 1658,1 როსტევენისთვის; ზოგი კნ დგ ძღვნად ტურფები. 2. ასე G;  
3. G წადი, ნურას მეუბნები; I წადი, ნურას მეურჩები. 4. G და I ჩახედ-  
ვიდე. \* = გვანდელი ჩანართი

- 15 გამოეგებნეს არაბნი, სამეფო დამშვენა მან.  
ნახა მზე მისი, მიჰრიდა მისთა სურვილთა წყენამან.  
მასთანა ტახტსა<sup>1</sup> დავეჯდა,<sup>2</sup> ალხინა<sup>3</sup> მკვერეტთა ლხენამან.  
განაკელმწიფა გვირგვინით<sup>4</sup> ზეცით მოსრულმან ზენამან.
- 16 მათ სამთავე კელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს.  
ერთმანერთსა ჰნახვიდიან, საწადელინი<sup>5</sup> გაუსრულდეს.  
ბრძანებისა შემცილენი მათთა<sup>6</sup> კრმალთა<sup>7</sup> დავეწყულულდეს.  
მოიმატეს სამეფონი, გაკელმწიფდეს, გამორკმულდეს.

1. აბ 1424,3 ტახტზე(?). 2. G და I დაუჯდა. 3. G და I ილხინა.  
4. კნ და დგ გვირგვინი(?). 5. აბ 1425,2 საწადელი. 6. ასე ინგ 1663,3;  
G მათის კრმალთა(?) (შეად კაკ<sup>1</sup> 1608,3); აბ 1425,3 და ჭიჭ 1739,3  
მათთა კრმალთად(') .

(ბოლო-სიტყვა; დასასრული 01 — 05).

- 1 გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.  
გარდაკდეს, განვლეს სოფელი, — ნახეთ სიმუხთლოე ჟამისა!  
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა. . .  
ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისადა<sup>1</sup> მისა,<sup>1</sup> —
- 2 ქართველთა ღმრთისად,<sup>2</sup> დავით<sup>3</sup> ვის<sup>3</sup> ვით მზეს | ჰმსახურებს<sup>3</sup>  
[სარებლად,<sup>3</sup>  
ესე<sup>4</sup> ამბავი<sup>4</sup> გავლექსე<sup>4</sup> მე მათად სააზმანებლად,<sup>5</sup> —  
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა<sup>6</sup> მარებლად,<sup>6</sup>  
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა დამამაგრებლად.<sup>7</sup>
- 3 დავითის ქმნანი<sup>8</sup> ვითა ვთქვენ<sup>9</sup> სიჩაღზე<sup>10</sup> — სიკაფეთანი! —  
ესე ამბავი უცხონი უცხოთა კელმწიფეთანი, —  
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი, —  
ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფე- თა-ნი.<sup>11</sup>

- 4 ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,  
 წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!  
 რასა ვინ ეძებთ, — რას აქნევთ? — ბედია მაყივნებელი:  
 ვის არ შეუტყვის, კარგისა<sup>12</sup> თუ<sup>12</sup> რისამ<sup>12</sup> იყოს მხლებელი?! —
- 5 ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,  
 აბდულ-მესია<sup>13</sup> — შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,  
 დილ-არგეთ<sup>14</sup> — სარგის მოთგველსა, მას ენა დაუშრომელსა,  
 ტარიელ — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეთშრომელსა.<sup>15</sup>

1. ინგ. 1665,4 რუსთველისად ამისა; რაიცა აგრეთვე მისაღებია; F რუს-  
 თველისა თემისა; K რუსთავლისა დამისა; C რუსთველისა i დამისა;  
 B (მე მესხმან ვინმე დავწერე იქ) რუსთავისა თემისა; აბ 01,4 რუსთვე-  
 ლი... სად ამისა... (?!); სხვა დგ ემენდაცია! რუსთავისა დაბისა. 2. კნ  
 და დგ ღმრთისა. 3. დგ დავითის, ვის მზე (ჰ)მსახურებს სარებლად; ინგ.  
 რუსთვ. I. გვ 126 ვის-მზესა-დავით მსახურებს მთვარებლად(?). 4. ინგ.  
 იქვე: ესე ამბავი გავლექსენ. 5. კნ უმეტესნი; დგ საკამათებლად; მარრი:  
 „ტექსტი“ ი რაზ. XII საკუმარებლად (შეად ინგ. იქვე). 6. ინგ იქვე:  
 „უქ-თა-მარ-ებლად(!). 7. ინგ იქვე და უგ 1664,4 გამახარებლად. ვახტ.  
 ქნარი(?). 9. F ვთქვენ; K ვთქვა. 10. Kსიახლე(?). 11 ვილაყფე-თა-ნი=  
 ვილაყფე-ნი თა. 12 კნ და დგ კარგია, ორისავ(?!). 13 დავითაღმაშენე-  
 („მონა ქრისტესი,“ „ცხებულისა,“ „მესიასი“). 14.. ვარ. დილარგეთს(?);  
 კ. კეკელიძე. ქართ. ლიტ. ისტ. II, გვ. 35 დილარ ერთს(?). 15. ინგ 1669,4  
 შეუშრომელსა(?).

სტ.

01/304



**ბამომცემლისაბან.**

**მიხეილ წერეთლის** მიერ აღდგენილი „**მ.ტ.**“-ის ტექსტის აწყობა ადვილი საქმე არ იყო. უღრმეს მადლობას ვუძღვნით ბატონ ილია თაყაიშვილს ამ შრომის დასაბეჭდად მონდომებით დამზადებისათვის, აგრეთვე მის მეუღლეს ქალბატონ თამარს და ბატონ პავლე ვაშაძეს კორექტურის გაკეთებაში დახმარებისათვის.

**ნინო სალია.**

---

IMPRIMERIE COOPERATIVE ARPAJONAISE  
95, Grande-Rue - 91290 Arpajon  
HORS COMMERCE

